ალბერტ
მორავია

ჩოჩარა

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი — 1 9 6 8

И (Итал)
85—31
მ 85

თანამედროვე პროგრესული იტალიელი მწერლის ა. მორავიას რომანი „ჩოჩარა“ მკაცრი საბრალდებულო აქტია იმპერიალისტ ომის გაძჩაღებელთა წინააღმდეგ. რომანში დიდი მხატვრული ძალით არის გადმოცემული განუზომელი მწუხარება და უბედურება, რაც თავს დაატყდა იტალიელ მოსახლეობას ოკუპაციის წლებში.

—

თარგმნა ელისაბედ ბაბრატიონმა

7—3—4
216—68 ადგ.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

კარგი იყო ის დრო, როცა გავთხოვდი და მშობლიური სოფლიდან რომში ჩამოვედი. იცით, როგორც სიმღერაში იტყვიან ხოლმე:

> როდესაც ჩოჩარა* თხოვდება,
> ერთს აძლევს თოკს, მეორეს კი ჩოჩებს**.

მაგრამ მე ყველაფერი ქმარს ჩავაბარე, თოკიც და ჩოჩებიც, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ჩემი ქმარი იყო, მეორე კი — რომში წამომიყვანა. ეს ძალიან მახარებდა, რა ვიცოდი, რომ სწორედ რომში მელოდა უბედურება. სახე მაშინ მრგვალი მქონდა, თვალები დიდი, შავი და ცოცხალი, თმებიც შავი, ორ მჭიდრო ნაწნავად დაწნული. თმები თითქმის წარბებთან მეწყებოდა. ტუჩები მარჯანივით წითელი მქონდა, როცა ვიცინოდი, მიჩანდა თეთრი, პატარა და სწორი კბილების ორი მწკრივი. ღონიერი ვიყავი და თავით ორმოცდაათი კილოს ტარება შემეძლო. ტვირთს თავზე მორგებულ მრგვალ ლანგარზე ვდებდი. ჩემი მშობლები, მართალია, გლეხები იყვნენ, მაგრამ ისეთი მზითეკი გამომატანეს, როგორც ნამდვილ სენიორას — ოცდაათი წყვილი ყოველგვარი თეთრეული: ოცდაათი ზეწარი, ოცდაათი ბალიშის პირი, ოცდაათი პირსახოცი, ოცდაათი პერანგი, ოცდაათი პერანგის ამბანაგი; ყველაფერი ეს სახლში ნაქსოვი გამძლე სელის ტილოსაგან იყო შეკერილი: დედაჩემმა თვითონ მოქსოვა ეს ტილო ხელის დაზგაზე. ზოგიერთ ზეწარს მეტად ლამაზი ნაქარგი ჰქონდა შემოვლებული. მქონდა მუქწითელი ძვირფასი მარჯნის სამკაულიც: მარჯნის ყელსა-

---

* ჩ ო ჩ ა რ ა — ჩოჩარეთის, რომის სამხრეთით მდებარე მთიანი მხარის ქალი.

** ჩ ო ჩ ი — ტყავის ან ბაწრისძირიანი ფეხსაცმელი.

ბამი, ოქროს საყურეები მარჯნით, მარჯნიანი ოქროს ბეჭედი და მკერდზე დასაბნევი ლამაზი ქინძისთავიც კი ოქრომარჯნით. მარჯნის გარდა მქონდა აგრეთვე სხვადასხვა საგვარეულო ოქროს ნივთი და ლამაზი მედალიონი კამეათი, რომელზეც ამოტვიფრული იყო მწყემსი თავისი ბატკნებით.

ჩემს ქმარს ტრასტეევერეში, დელ ჩინკვეს შესახვევში, დუქანი ჰქონდა. ბინაც იმავე სახლში იქირავა, პირდაპირ დუქნის თავზე. საწოლი ოთახის ფანჯრიდან რომ გადმოხრილიყავით, ხელით მისწვდებოდით მუქი წითელი ფერის აბრას, რომელზეც ეწერა: „პური და მაკარონი". ჩვენი ბინის ორი ფანჯარა ეზოში გადიოდა, ორი კი — ქუჩაში. გვეპირა ორი პატარა დაბალჭერიანი ოთახი სამზარეულოთი და დერეფნით. მაგრამ მე ბინა კარგად მოვაწყვე. ზოგიერთი ნივთი უკვე გვქონდა, დანარჩენი კი კამპო დი ფიორიზე შევიძინეთ. საწოლ ოთახში სულ ახალი ნივთები იდგა: კაკლისფრად შეღებილი, ყვავილებით და გირლანდებით მოხატული ფართო რკინის საწოლი, სასადილოში — ლამაზად მოჩუქურთმებული, ჭრელპირიანი დივანი და ასეთივე ორი სავარძელი, მრგვალი სასადილო მაგიდა და კარადა, რომელშიც ყვავილებით და ხილით მოხატული წმინდა ფაიფურის თეფშები ეწყო. ჩემი ქმარი დუქანში დილით ადრე მიდიოდა, მე კი ბინას ვალაგებდი: ვგვიდი, ვწმენდდი მტვერს, ვასუფთავებდი ყოველ კუნჭულს, ყოველ ნივთს. როცა დალაგებას მოვრჩებოდი, მთელი ბინა სარკესავით ბრწყინავდა. ფანჯრებზე ჩამოკიდებულ ქათქათა ფარდებში მშვიდი, ნაზი სინათლე შემოდიოდა. საუცხოო სანახავი იყო — სისუფთავე, წესრიგი, ყველაფერი კრიალებდა. კარგია, როცა შენი ბინა გაქვს, სადაც ვერავინ ვერ შემოვა დაუკითხავად და იქ მთელი სიცოცხლე შეგიძლია გაატარო ასე, მის დალაგებასა და მოწესრიგებაში. მოვრჩებოდი დალაგებას, მოვირთვებოდი, თმას დავივარცხნიდი, ავიღებდი საფულეს და წავიდოდი ბაზარში სავაჭროდ. ბაზარი ჩვენ სახლთან ახლოს იყო. მთელი საათი დავდიოდი ფარდულებს შორის, საყიდლად კი არა, ისე დასათვალიერებლად, ჩვენ თითქმის ყველაფერი გვქონდა დუქანში. დავდიოდი ფარდულებს შორის და მუშტრის თვალით ვუყურებდი ხილს, ბოსტნეულს, ხორცს, თევზს, კვერცხს. გუნებაში ვაფასებდი, ვვარაუდობდი რამდენი ჰქონდა მოგება გამყიდველს. შევაფასებდი საქონელს და გამყიდველს ეშმაკობაში ვამხელდი. ვაჭრობაზეც არ ვამბობდი უარს. ასწონი ხანდახან ხელით საქონელს, დადებ

უკან, გადგები განზე, დაბრუნდები, ისევ შეევაჭრები და ბოლოს წახვალ ისე, რომ არაფერს იყიდი. ზოგიერთი გამყიდველი მეარშიყებოდა, გადაკვრით მეუბნებოდა, თუ დათმობაზე წავიდოდი, უფასოდ მომცემდა საქონელს, მაგრამ ჩემი პასუხებიდან მაშინვე ხვდებოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. ამაყი ვიყავი, სისხლი მაშინვე თავში ამივარდებოდა ხოლმე, ვბრაზობდი. კიდევ კარგი, რომ ქალები მამაკაცებივით დანებს არ ატარებენ, მზად ვიყავი მომეკლა ვინმე. ერთხელ ვტაცე ხელი გრძელ ქინძისთავს და ვეცი ერთ გამყიდველს, რომელიც სხვებზე უფრო გადამეკიდა, მაწუხებდა ყოველგვარი სისულელეებით და საჩუქარს მაძალებდა. ჩემს ბედზე პოლიციელები ჩაერივნენ თორემ აუცილებლად ჩავურჭობდი ქინძისთავს ზურგში.

მაგრამ კმარა ამაზე. სახლში კმაყოფილი ვბრუნდებოდი, ვდგამდი ცეცხლზე წყალს, ვდებდი ქვაბში ძვლიანი ხორცის ნაჭერს, მწვანილს და დუქანში ჩავდიოდი. იქაც ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ჩვენ ცოტ-ცოტა ყველაფრით ვვაჭრობდით: მაკარონით, პურით, ბრინჯით, ხმელი ბოსტნეულით, ღვინით, ზეითუნის ზეთით, კონსერვით. დავიბნევდი გულზე კამეას, დავიმკლავებდი ხელებს და დედოფალივით ვიდექი დახლთან. ვიღებდი საჭირო საქონელს, ვწონიდი, ჩქარ-ჩქარა ვანგარიშობდი, ვიწერდი ციფრებს გასახვევი ქაღალდის ნაგლეჯზე, ვახვევდი და ვაწვდიდი მყიდველს. ჩემი ქმარი არ იყო ასეთი სწრაფი. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა, როცა მას გავყევი, ახალგაზრდა აღარ იყო. ზოგი იმასაც ამბობდა, მის ფულს დახარბდაო. არ დავმალავ, არასოდეს არ მყვარებია, მაგრამ ღმერთს გეფიცებით, ყოველთვის მისი ერთგული ვიყავი, თუმცა თვითონ არ ყოფილა ერთგული ქმარი. მას ბევრი უცნაური თვისება ჰქონდა. მაგალითად, დარწმუნებული იყო, რომ ქალებს მოსწონდათ, მაგრამ ეს სულაც არ იყო ასე. მას სიმსუქნე აწუხებდა, შავი თვალები დასისხლიანებული ჰქონდა, სახე გაყვითლებული და რაღაც ლაქებით დაფარული. ღვარძლიანი, გულჩახვეული და უხეში კაცი იყო. ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ იტანდა. ხშირად მიდიოდა დუქნიდან. ვიცოდი, რომ ქალებში დადიოდა, მაგრამ ისინი მხოლოდ ფულით ნებდებოდნენ, ყველამ იცის, ფულით ყველაფერს მიაღწევ. ფულის გულისათვის პატარძალიც კი წამოიხდის კაბას. ბატყობდი, როდის იყო მისი სამიჯნურო საქმეები კარგად, მაშინ მხიარული და თავაზიანი ხდებოდა. მაგრამ თუ ბედი

არ სწყალობდა, მოღუშული დადიოდა, უხეში იყო და ხანდახან მცემდა კიდეც.

— შეგიძლია შენ კახპებთან რამდენიც გინდა იმდენი იარო, მე კი ხელს ნუ მახლებ, თორემ წავალ შენგან და მშობლებთან დავბრუნდები.

არ მინდოდა თაყვანისმცემლები გამეჩინა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ბევრი დამდევდა. მე კი მხოლოდ ოჯახსა და დუქანზე ვფიქრობდი, ხოლო როდესაც შვილი შემეძინა, მთელი ჩემი სიყვარული მასზე გადავიტანე. მამაკაცები ჩემში ახლა თითქმის ზიზღს იწვევდნენ: შეიძლება იმიტომ, რომ ჩემი ბებერი უშნო ქმრის გარდა არც ერთ მამაკაცს არ ვიცნობდი. მათი სიყვარული კი არ მჭირდებოდა. მხოლოდ ერთი რამ მსურდა: მშვიდი, უზრუნველი ცხოვრება. საერთოდ კი ქალი ერთგული უნდა იყოს თავისი ქმრისა, მაშინაც კი, როცა ქმარი ღალატობს.

წლები გადიოდა, ჩემი ქმარი კი სულ უფრო იშვიათად შოულობდა ქალებს, რომლებიც ფულითაც არ თანხმდებოდნენ დაეკმაყოფილებინათ მისი ავხორცობა. აუტანელი ხასიათი გაუხდა. უკვე დიდი ხანია მასთან აღარ ვცხოვრობდი როგორც ცოლი, მაგრამ უეცრად, ალბათ იმიტომ, რომ ვეღარავინ იშოვა, ისევ ჩამაცივდა და უნდოდა მასთან მეცხოვრა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ეს ცოლ-ქმარს შორის ხდება, უბრალოდ და ჩვეულებრივად, არამედ როგორც გარყვნილი დედაკაცები ყვარობენ თავიანთ საყვარლებს. იგი თმებით მათრევდა. ძალას მატანდა ჩამედინა უსსგავსობა. ამაზე კი მაშინაც არ ვთანხმდებოდი, როცა რომში ჩამოვედი მასთან ერთად და ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ თავი შეყვარებული მეგონა. ვუთხარი, დამეხსენ-მეთქი, არც შენი ცოლობა მინდა და არც საყვარლად ყოფნა. პირველად ისე მცემა, რომ ცხვირიდან სისხლი მადინა, მერე მიხვდა, რომ არ დავუთმობდი და დამანება თავი, მაგრამ იმ ხნიდან შემიძულა და ყოველნაირად მამცირებდა. ვითმენდი, მაგრამ გულის სიღრმეში მეც შევიძულე. პირდაპირ საზიზღარი შესახედავი იყო. მე კიდეც ვუამბე ამის შესახებ მღვდელს აღსარებაზე, თან დავძინე, შეიძლება ყველაფერი ცუდად გათავდეს-მეთქი. მაგრამ მღვდელმა, როგორც ჭეშმარიტმა ღვთისმსახურმა, მომაგონა მადონას ტანჯვა და მოთმინება მირჩია. იმ ხანებში მოსამსახურედ ბიჩე ავიყვანე. იგი მხოლოდ

15 წლისა იქნებოდა, ნათესავებმა მე ჩამაბარეს, რადგან სრულიად ბავშვი იყო. ჩემი ქმარი ახლა მას გადაეკიდა. საკმარისი იყო მუშტართან შევჩერებულიყავი, რომ იგი დუქნიდან გაქრებოდა, სწრაფად აირბენდა კიბეს, პირდაპირ სამზარეულოში შევარდებოდა და მშიერი მგელივით ეძგერებოდა ბიჩეს. ამჯერად მეც გავჯიუტდი და კუბრძანე ბიჩესთვის თავი დაენებებინა. მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა. მაშინ ბიჩე დავითხოვე. ამაზე უფრო შემიძულა და სახედარი შემარქვა. — სახედარი დაბრუნდა? სახედარი სად არის?

ერთი სიტყვით, ჯვარს მაცვა. როდესაც მძიმედ გახდა ავად, გამოგიტყდებით, შვება ვიგრძენი, მაინც სიყვარულით ვუვლიდი, შეზობლებმა იციან, რომ დუქანი ღვთის ანაბარა დავაგდე, სულ მასთან ვიყავი, ღამეებს ვუთევდი. ბოლოს და ბოლოს მოკვდა. მე ისევ თითქმის ბედნიერად ვიგრძენი თავი. მქონდა დუქანი, ბინა, მყავდა ქალიშვილი — ნამდვილი ანგელოზი და არაფერი მინდოდა.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები: 1940, 41, 42, 43. იყო ომი, მაგრამ მე მასზე არაფერი ვიცოდი და არც მინდოდა მცოდნოდა. ვაჟიშვილები არა მყავდა და ომი ფეხებზე მეკიდა. დაე ჟლიტონ ერთმანეთი რამდენიც უნდათ, თვითმფრინავებით, ტანკებით, ყუმბარებით — მე მქონდა ბინა, დუქანი და თავს სავსებით ბედნიერად ვგრძნობდი. ომი არ მაინტერესებდა. თუმცა თელაც ვიცი და მოკითხვის ბარათსაც შემიძლია მოვაწერო ხელი, გულახდილად გეტყვით, კითხვით მაინცდამაინც კარგად ვერ ვკითხულობ. გაზეთებში მხოლოდ სასამართლოს ქრონიკას ვადევნებდი თვალყურს, უფრო სწორად, როზეტას ვაკითხებდი. ვიღაც გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, რუსები — ჩემთვის ყველა განურჩევლად უცხო ტომის ხალხი იყო.

— სანამ ვაჭრობა კარგად მიდის, ყველაფერი რიგზეა, — ვეუბნებოდი სამხედროებს, რომლებიც დუქანში შემოდიოდნენ და ტრაბახობდნენ, რომ გაიმარჯვებენ ამა და ამ ადგილას, წავლენ იქ, გააკეთებენ ამასა და ამას.

ვაჭრობის საქმე კი მართლაც კარგად მიდიოდა, თუმცა წიგნაკები შემოიღეს, რის გამოც როზეტას და მე მთელი დღე მაკრატლის ხმარება გვიხდებოდა, თითქოს ვაჭრები კი არა მკერავები ვყოფილიყოთ. ვაჭრობის საქმე კარგად მქონდა აწყობილი იმიტომ კი არა, რომ მოხერხებული ვარ და წონაში მოტყუება ვიცოდი, იმიტომაც, რომ

წიგნაკები იყო და მე ჩემს ქალიშვილთან ერთად მივემგზავრებოდი მშობლიურ სოფელში, ან სადმე უფრო ახლო ორი უზარმაზარი ცარიელი ჩემოდნით და იქიდან ვბრუნდებოდით დატვირთულნი ყოველგვარი სურსათ-სანოვაგით: ფქვილით, ლორით, კვერცხით, კარტოფილით. პოლიციელებს მოველაპარაკე. ისინიც მშივრები იყვნენ, და ჩუმ-ჩუმად უფრო მეტს ვვაჭრობდი, ვიდრე დახლთან. მაგრამ ერთმა პოლიციელმა ჩემი გამოჭერა სცადა. მოვიდა და მეუბნება, დაგაბეზღებ თუ არ დამნებდიო. მე კი ამაზე მშვიდად ვუპასუხე:

— კარგი... მოგვიანებით შემოიარე ჩემთან.

ის კიბოსავით გაწითლდა და ხმაამოუღებლივ წავიდა. როცა დანიშნულ დროს მოვიდა, სამზარეულოში შევიყვანე, უჯრიდან დანა ამოვიღე, მიეაბჯინე ყელზე და ვუთხარი:

— დამაბეზღე თუ გინდა, მაგრამ ჯერ კი ყელს გამოგჭრი. მას შეეშინდა. და მითხრა, ალბათ გაგიჟდი, მე ხომ გეხუმრეო. მერე დაუმატა:

— შენ რა, სხვა ცომისაგანა ხარ? მამაკაცები არ მოგწონს?

— ამაზე სხვებს ელაპარაკე... მე ქვრივი ვარ, დუქანი მაქვს და მხოლოდ ვაჭრობაზე ვფიქრობ. ჩემთვის სიყვარული არ არსებობს, დაიმახსოვრე ეს ერთხელ და სამუდამოდ.

არ დამიჯერა და კიდევ კარგა ხანს დამდევდა, მაგრამ უკვე პატივისცემით. მე ხომ სრული ჭეშმარიტება ვუთხარი. როზეტას დაბადების შემდეგ სიყვარული ჩემთვის აღარ არსებობდა. არც მანამდე მაინტერესებდა მაინცდამაინც. რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს, არ მიყვარს და არც არასოდეს მყვარებია, როცა ხელს მახლებენ. მაშინ ჩემს მშობლებს რომ არ გავეთხოვებინე, დღემდე ისეთივე დავრჩებოდი, როგორც დედამ მშობა.

ხალხს ჩემი გარეგნობა ატყუებს. თუმცა ტანდაბალი ვარ და ხანში რომ შევედი, ძალიან გავსუქდი, მაგრამ სახე სუფთა მაქვს, უნაოჭო, თვალები შავი, კბილები თეთრი და მამაკაცებს ძალიან მოვწონვარ. ჩემი სიცოცხლის ამ ბედნიერ წლებში ბევრს უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა, სიყვარულს მეფიცებოდნენ, მაგრამ ისინი, უბრალოდ, ჩემს დუქანს და ბინას უმიზნებდნენ. შესაძლოა თვითონაც არ იცოდნენ, რომ დუქანი და ბინა მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მე და გულწრფელნი იყვნენ ჩემთან. მე კი ასე განვსაზღვრე: დუქანზე და ბინაზე ყოველ მამაკაცს გავცვლიდი და ისინი რა, სხვანაირები არიან? ყველანი ერთი ცომისაგანა ვართ მოზელილი. ისინი რომ მდი-

დარი ან ოდნავ მაინც უზრუნველყოფილი ხალხი ყოფილიყო, კიდევ მესმის, თორემ ყოველგვარი მაწანწალა მეკიდებოდა. შორიდანვე ჩანდა, რომ მათ მხოლოდ თავიანთი საქმის მოგვარება სურდათ. პოლიციაში მომუშავე ერთი ნეაპოლელი განსაკუთრებით დამტრიალებდა თავს, მეფარისევლებოდა, ქათინაურებს მეუბნებოდა, ნეაპოლურად დონა ჩეზირას მეძახდა, მაგრამ პირდაპირ ვუთხარი:

— მე რომ არც დუქანი და არც ბინა მქონდეს, ასევე მეტყოდი?

ის შედარებით გულახდილი იყო და სიცილით მითხრა:

— მაგრამ შენ ხომ დუქანიცა გაქვს და ბინაც?

მართალია, ასეთი გულახდილი იმის შემდეგ გახდა, როცა ჩემი შერთვის ყოველგვარი იმედი დაკარგა.

ომი ისევ გრძელდებოდა, მაგრამ ეს მე არ მაწუხებდა. როცა რადიოში სიმღერების შემდეგ უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ, ვეუბნებოდი როზეტას:

— გამორთე რადიო... ჭირმა გაწყვიტა ეგ მამაძაღლები! ეგრემც დაუჭამიათ ერთმანეთი! არ მსურს ამის მოსმენა. რაში გვეკითხება მაგათი ომი. როცა ომს იწყებენ, უბრალო ხალხს, რომელიც ამ ომში უნდა გაგზავნონ, არაფერს ეკითხებიან. ჩვენ სრული უფლება გვაქვს არ გვაინტერესებდეს მაგათი ომი.

მეორე მხრივ კი, ომი ხელსაყრელი იყო ჩემთვის. სულ უფრო მეტად ვეწეოდი სპეკულაციას, სულ უფრო მეტ ფასს ვადებდი საქონელს და სულ უფრო ნაკლებად ვყიდდი საქონელს მტკიცე ფასებში. როცა ნეაპოლის და სხვა ქალაქების დაბომბვა დაიწყო, ხალხი მოდიოდა და მეუბნებოდა:

— უნდა გავიქცეთ, თორემ ყველას ამოგვხოცავენ.

მე კი ვეუბნებოდი:

— რომში ისინი ვერ მოვლენ, რომში ხომ პაპი ცხოვრობს. ესეც არ იყოს, ვის დავუტოვო დუქანი, რომ წავიდე?

ჩემი მშობლები წერილებით გვიხმობდნენ სოფელში. მე უარი ვთქვი მათთან წასვლაზე. მე და როზეტა ხშირად დავდიოდით სოფლებში და იქიდან რომში ჩამოგვქონდა ყოველგვარი საქონლით სავსე ჩემოდნები: სოფელში ყველაფერი თავსაყრელი იყო, მაგრამ მთავრობა ძალიან ცოტას იხდიდა და გლეხებს არ უნდოდათ მტკიცე ფასებში გაეყიდათ პროდუქტები. გველოდებოდნენ ჩვენ, სპეკულანტებს და საქონელს ბაზრის ფასებში გვაძლევდნენ. ჩემოდნებს

პროდუქტებით ვავსებდით, ხოლო რაც არ ეტეოდა ტანსაცმლის ქვეშ ვმალავდით; ერთხელ კაბის ქვეშ, მუცელზე რამდენიმე კილო ძეხვი შემოვიხვიე, ნამდვილ ორსულ დედაკაცს ვგავდი, და ისე დავბრუნდი რომში. როზეტა კი კვერცხებს უბეში მალავდა. იქიდან ისეთი თბილი ამოჰქონდა, თითქოს პირდაპირ ქათამს გამოაცალესო. მაგრამ ეს მგზავრობა სახიფათო იყო და ბევრ დროსაც გვართმევდა. ერთხელ ფროზინონეს მახლობლად ჩვენს მატარებელს ჰაერიდან სროლა აუტეხეს და იგი შუა მინდორში გაჩერდა. როზეტას ვუთხარი ჩამოსულიყო მატარებლიდან და თხრილში დამალულიყო, მე კი ვაგონში დავრჩი, ჩემოდნებში ბევრი რამ მქონდა, მგზავრები კი ნდობას არ იმსახურებდნენ, განა დიდი დრო უნდა ჩემოდნის მოპარვას. თაროებს შორის იატაკზე დავწექი და თავზე ბალიშები დავიფარე, ხოლო როზეტა სხვა მგზავრებთან ერთად მატარებლიდან ჩავიდა და თხრილში დაიმალა. თვითმფრინავმა ტყვიებით დასეტყვა მატარებელი, ჰაერში წრე გააკეთა, ისევ დაბრუნდა და სულ ახლოს გადაუარა თავზე. გავიგონე მოტორის საშინელი ხმაური და ტყვიამფრქვევის კაკანი, თითქოს მატარებელს ხშირი სეტყვა ეცემაო. ამის შემდეგ თვითმფრინავი გაფრინდა, ყველანი ვაგონში დაბრუნდნენ და მატარებელი დაიძრა. მაჩვენეს თითის სიგრძე ტყვიები, ზოგი ამბობდა, ეს ტყვიები ამერიკულიაო, ზოგი — გერმანულიაო. მე კი როზეტას ვუთხარი:

— შენ მზითვისთვის ნივთები და ფული გჭირდება. მებრძოლები ადრე თუ გვიან ბრუნდებიან ომიდან. ომში კი მათ ესვრიან და ესვრიან, ცდილობენ აუცილებლად დახოცონ... რა გაეწყობა, ჩვენც დავბრუნდეთ მგზავრობიდან.

როზეტა ან არაფერს ამბობდა, ანდა მეუბნებოდა, რომ წამყვებოდა ყველგან, სადაც კი წავიდოდი, მას სათნო ხასიათი ჰქონდა, სულ სხვანაირი, ვიდრე მე. ღმერთს გეფიცებით, ჩემი როზეტა ნამდვილი ციდან ჩამოსული ანგელოზი იყო.

როზეტას მუდამ ვეუბნებოდი:

— ღმერთს შეევედრე, ომი კიდევ ერთ-ორ წელიწადს გაგრძელდეს... მაშინ შენ მარტო კარგი მზითვი როდი გექნება, მდიდარი საპატარძლოც იქნები.

როზეტა არაფერს მიპასუხებდა, მხოლოდ ამოიოხრებდა. ბოლოს და ბოლოს გავიგე, რომ ჰყავდა შეყვარებული, რომელიც ომში იყო და როზეტა შიშობდა არ მოეკლათ. იგი იუგოსლავიაში იმყოფებოდა

და მიმოწერა ჰქონდათ. გავიკითხ-გამოვიკითხე და გავიგე, რომ პონ-ტეკორვოდან არის, კარგი ყმაწვილია, იქ მის მშობლებს ცოტაოდენი მიწა აქვთ, ხოლო თვითონ საბუღალტროზე სწავლობს. მერე ჯარში გაიწვიეს, ომის შემდეგ კი სწავლის დამთავრებას ფიქრობდა.

როზეტას ვუთხარი:

— მთავარია, ომიდან დაბრუნდეს... დანარჩენზე მე ვიზრუნებ.

როზეტა გახარებული მომეხვია ყელზე. მაშინ შემეძლო ამის თქმა, რომ ყველაფერზე ვიზრუნებ-მეთქი. მქონდა ბინა, დუქანი, მქონდა ფული, ხოლო რაც შეეხება ომს, ყველამ იცის, რომ ყოველგვარი ომი ერთ მშვენიერ დღეს თავდება და ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება. როზეტამ მაჩვენა თავისი საქმროს უკანასკნელი წერილი, რომლიდანაც განსაკუთრებით ერთი ადგილი დამამახსოვრდა: „ცხოვრება აქ ძალიან ჭირს. ეს სლავები არ გვნებდებიან და ყოველ წუთს ფხიზლად ყოფნა გვიხდება“. იუგოსლავიაზე წარმოდგენაც არ მქონდა, მაგრამ მაინც ვუთხარი როზეტას:

— რისთვის დაგვჭირდა იქ წასვლა? რატომ ვერ ვისვენებთ ‘ინ? ისინი არ გვნებდებიან და, უნდა გითხრა, სწორადაც იქცევიან.

ერთხელ, ორმოცდასამში კაი სპეკულაცია გავჩარხე. სერმონეტიდან რომში ათიოდე დამარილებული ღორის ბარკლის ჩამოტანა მოვახერხე. მოველაპარაკე ერთი სატვირთო მანქანის მძღოლს, რომელსაც რომში ცემენტი მოჰქონდა, მან შაშხი ცემენტის ტომრების ქვეშ დადო და უვნებლად ჩამოიტანა. მე კი ხეირი ვნახე. შაშხს რომში პირდაპირ იტაცებდნენ. ალბათ ამ შაშხის ბრალი იყო, რომ ვერ გავიგე სწორად რა ხდებოდა იტალიაში. როდესაც სერმონეტიდან დავბრუნდი, მითხრეს, მუსოლინი გაიქცა და ომი მალე დამთავრდებაო.

მე ვუპასუხე:

— თუ მკითხავთ, ჩემთვის სულ ერთია, მუსოლინი იქნება თუ ბადოლიო, ოღონდაც ვაჭრობის საქმე იყოს კარგად.

უნდა გითხრათ, მუსოლინი არასოდეს არ მყვარებია. არ მომწონდა მისი თვალები, გამომწვევი ტუჩ-პირი, რომლითაც მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობდა. ყოველთვის ვფიქრობდი, ბედმა იმის შემდეგ, უმტყუნა, რაც საყვარლად პეტაჩი გაიხადა-მეთქი. ცნობილია, რომ ბებერი მამაკაცები სიყვარულისაგან გონებას კარგავენ, მუსოლინი კი, როცა ეს გოგო გაიცნო, უკვე ნამდვილი ბაბუა იყო. 25 იელისის ღამის ერთადერთი ხეირი ჩემთვის გარიბალდის ქუჩაზე საინტენდატოს მაღა-

ზიების დარბევა იყო. მეც გავიქეცი სხვებთან ერთად და ერთი თავი ყველი წამოვიღე. ამ მაღაზიებში ბევრი რამ იყო და ყველაფერი დაიტაცეს. ერთმა ჩემმა მეზობელმა უფროსის კანტორიდან ურიკით თიხის ღუმელიც კი წამოიღო.

იმ ზაფხულს ჩემი საქმე კარგად მიდიოდა: ხალხი დაშინებული იყო და სურსათს იმარაგებდა, ყველაფერს ხარბდებოდნენ. მაღაზიები ცარიელი იყო, სამაგიეროდ სარდაფები და საკუჭნაოები სავსე. ერთხელ, ერთ სენიორას, რომელიც ვია ვენეტოს ახლოს მდიდრულ სახლში ცხოვრობდა, შაშხი წავუღე. კარი ლივრეიანმა ლაქიამ გამიღო. ღორის ბარკალი ჩემოდანში მქონდა. სენიორა დერეფანში მომეგება, ისეთი ლამაზი და სურნელოვანი იყო, იმდენი სამკაული ეკეთა, ნამდვილ მადონას გავდა, უკან მისი დაბალ-დაბალი ჩასუქებული ქმარი მოჰყვებოდა. სენიორა ძალიან მადლობელი დამრჩა, კინაღამ გადამეხვია და სულ იმეორებდა:

— ჩემო ძვირფასო, ო, ძვირფასო, აქ შემოდით, მობრძანდით, მობრძანდით.

დერეფანში გავყევი, სენიორამ საკუჭნაოს კარი გააღო და დიდძალი სურსათი დავინახე, თითქოს ნამდვილი გასტრონომიული მაღაზია ყოფილიყოს. ოთახს ფანჯრები არ ჰქონდა. კედლების გაყოლებით თაროებზე ზეითუნის ზეთში ჩაწყობილი სარდინების დიდი ქილები იდგა. თითო ქილა ალბათ ერთ კილოს იწონიდა, აქ ბლომად ელაგა ამერიკული და ინგლისური კონსერვები, მაკარონის გროვა, ფქვილისა და ლობიოს ტომრები, მურაბიანი ქილები და ათობით ღორის ბარკალი და ძეხვეული.

— აქ თქვენ მთელი 10 წლის მარაგი გაქვთ,—ვუთხარი სენიორას.

— ჯერ ხომ არ ვიცით რა მოგველის, — მომიგო მან.

დავკიდე შაშხი. სენიორას ქმარმა მაშინვე გადამიხადა ფული. როცა საფულიდან ფულს იღებდა, სიხარულისაგან ხელები უკანკალებდა და სულ იმეორებდა:

— როგორც კი რაიმე კარგი გექნებათ, ნუ დაგავიწყდებით... ჩვენ სხვებზე ოცი-ოცდაათი პროცენტით მეტს გადაგიხდით.

ერთი სიტყვით, ყველანი სურსათის მომარაგებას ცდილობდნენ. არც კი გვევაჭრებოდნენ, რაგინდ ძვირიც ყოფილიყო საქონელი. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ მე არაფერი მოვიმარაგე და როცა შიმშილობა დაიწყო, სახლში არაფერი არ აღმომაჩნდა. მივეჩვიე იმას, რომ ფული ყველაზე ძვირფასი რამ არის. მაგრამ მას ხომ ვერ შე-

ჭამ, თაროები დუქანში ცარიელი იყო, მხოლოდ რამდენიმე ყუთი მაკარონი და მდარე ხარისხის სარდინის ორი-სამი კოლოფიღა ვიპოვე. ფული მქონდა, თან ბანკში კი არა, შინ ვინახავდი. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ამბობდნენ, მთავრობას ბანკების დახურვა და საწყალი ხალხის დანაზოგის მითვისება უნდაო. ფული აპლა აღარავის აინტერესებდა და მე ძალიან მიმძიმდა სპეკულაციით მოგებული ფულის შავ ბაზარზე ხარჯვა, მით უმეტეს, რომ ფასები დღითიდღე იზრდებოდა. ამასობაში გერმანელები და ფაშისტები დაბრუნდნენ [1]. ერთ მშვენიერ დილას კოლონას მოედანზე მივდიოდი და მუსოლინის სასახლის აივანზე ფაშისტების შავი დროშა დავინახე. მოედანი სავსე იყო თავით ფეხამდე შეიარაღებული შავხალათიანი ხალხით. ისინი კი, ვინც 25 ივლისს ღამით ასეთი აურზაური ატეხა, ცდილობდნენ შეუმჩნეველი ყოფილიყვნენ და ისე იპარებოდნენ, როგორც თაგვები კატის დანახვაზე. როზეტას ვუთხარი:

— იმედი უნდა ვიქონიოთ, ახლა კი ომი ჩქარა დამთავრდება და ისევ გავძღებით.

ეს სექტემბერში მოხდა. ერთხელ დილით მითხრეს, ვია დელა ვიტეზე კვერცხებს არიგებენო. გავექანე იქითკენ, მართლაც, იქ კვერცხით დატვირთული ორი მანქანა იდგა, მაგრამ არავის არაფერს აძლევდნენ. მანქანასთან ავტომატიანი გერმანელი ჯარისკაცი იდგა. მას მოკლე შარვალი და ფლანელის ხალათი ეცვა. იგი თვალყურს ადევნებდა კვერცხის გადმოტვირთვას. გარშემო უამრავი ხალხი შეჯგუფულიყო. მშიერი თვალებით მიშტერებოდნენ კვერცხებს და სდუმდნენ. სჩანდა, გერმანელს ეშინოდა, სულ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს თავდასხმას მოელისო, ავტომატს ხელიდან არ უშვებდა და ბაყაყივით დახტოდა. ჯარისკაცი ახალგაზრდა და სქელი იყო. თეთრი კანი მზეზე გასწითლებოდა, ხელები და ფეხები თითქოს პლაჟზე დასწვოდა. ხალხმა დაინახა, რომ კვერცხს არ დაარიგებდნენ და ხმაური ატეხა. ჯერ ნელა, მერე სულ უფრო და უფრო ხმამაღლა. გერმანელმა ავტომატი მოიმარჯვა, შორიდანაც ეტყობოდა, რომ ძალიან ეშინოდა, დაუმიზნა ხალხს და დაიყვირა:

— დაიშალეთ, დაიშალეთ. დაიშალეთ!

---

1 1943 წლის 8 სექტემბერს იტალია ომს გამოეთიშა, რის შემდეგაც ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გერმანიის ჯარებმა დაიკავეს და გამოაცხადეს ფაშისტური რესპუბლიკა მუსოლინის მეთაურობით.

დილიდან არაფერი მეჭამა და შიმშილისაგან კუჭი მიხმებოდა. გონება სრულიად დავკარგე და დავიყვირე:

— მოგვეცი კვერცხები და წავალთ!

ჯარისკაცმა ავტომატი დამიმიზნა და ისევ დაიღრიალა:

— დაიშალეთ, დაიშალეთ!

მაშინ ხელი პირთან მივიტანე და ვაჩვენე, მშია-მეთქი, მაგრამ მას არაფრის გაგება არ სურდა და ისე ძლიერად მატაკა ავტომატი მუცელში, რომ საშინლად გავბრაზდი და ვიყვირე:

— რა ჯანდაბისთვის გააგდეთ მუსოლინი... იმის დროს უკეთ ვცხოვრობდით. იმის შემდეგ კი, რაც თქვენ მოშავდით, ჩასახეთქი აღარაფერი დაგვრჩა!

არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი სიტყვების გაგონებაზე ხალხმა სიცილი ატეხა. ვიღაცამ სახედარი მიწოდა ისევე, როგორც ოდესღაც ჩემი ქმარი მეძახდა. ერთმა მითხრა:

— ჩანს სგურგოლიდან ხართ და გაზეთებს არ კითხულობთ.

გავბრაზდი და ვუპასუხე:

— ჯერ ერთი, მე ვალეკორსიდანა ვარ და არა სგურგოლიდან, მეორეც არ გიცნობ და შენთან ლაპარაკი არა მსურს.

მაგრამ ისინი ისევ იცინოდნენ და მგონი გერმანელმაც გაიცინა. ლამაზ თეთრ ყუთებში ჩალაგებული კვერცხები კი მანქანიდან გადმოჰქონდათ და მაღაზიაში შეჰქონდათ. მაშინ დავიყვირე:

— ეი, შენ, ნაბიჭვარო, კვერცხები გვინდა, გესმის? კვერცხები გვჭირდება!

ხალხს პოლიციელი გამოეყო და მიბრძანა:

— წადი აქედან, თორემ შავ დღეს დაგაყრი!

მე ვუპასუხე:

— დღეს შენ ჭამე რამე? მე კი არ მიჭამია.

პასუხად მან სილა გამაწნა და ხალხში შემაგდო. მზად ვიყავი მომეკლა. ვიღაც მიჭერდა, ვძალადობდი და პირში ვეუბნებოდი ყველაფერს, რასაც მასზე ვფიქრობდი. გარშემო ყველანი მეჩიჩინებოდნენ წადიო, ბოლოს და ბოლოს ხალხში თავშალი დავკარგე და ლასლასით გავწიე შინისაკენ. მოვედი სახლში და ვეუბნები როზეტას:

— ჩვენ თუ დროზე არ მოვუსვით აქედან, შიმშილით დავიხოცებით.

როზეტამ ტირილი დაიწყო და მითხრა:

— მეშინია, დედა!

გამიკვირდა, როზეტას არასოდეს არ უთქვამს, რომ ეშინოდა, არასოდეს არ ჩიოდა და ისე მშვიდად იქცეოდა, რომ მეც მხნეობას მმატებდა.

— რისი გეშინია, სულელო? — ვკითხე მე.

— ამბობენ, თვითმფრინავები მოვლენ და ყველას დაგვხოცავენო, ხმები დადის, ჯერ რკინიგზებსა და მატარებლებს მოსჰობენ და როცა ყველა გზა გადაჭრილი იქნება, ხოლო საჰმელი სულ გაქრება და სოფელში ვეღარავინ წავა, ისინი ყველას ყუმბარებით ამოგვხოცავენო. უკვე ერთი თვეა ჯინოსგან წერილი არ მიმიღია. მისი არაფერი ვიცი.

ვცდილობდი მის დამშვიდებას და ვეუბნებოდი, რომში პაპი ცხოვრობს, გერმანელები მალე მოიგებენ ომს, საშიში არაფერია. მაგრამ ეს თვითონაც აღარ მჯეროდა. როზეტა სულ უფრო ხმამაღლა სლუკუნებდა. გულში ჩავიკარი, ჩავიხუტე, დავარწიე, თითქოს ორი წლის ყოფილიყო, ის კი ტიროდა და იმეორებდა:

— მეშინია, დედა.

გავიფიქრე, რომ ის სულ არა მგავდა, მე ჩემს სიცოცხლეში არაფრის არ მეშინოდა. იგი არც გარეგნობით მგავდა, შესახედავად ნამდვილი ბატკანი იყო: უწყინარი, თითქმის სევდიანი თვალები, ოდნავ მოგრძო, თხელი ცხვირი, ლამაზი პირი და წინ წამოწეული მსუქანი ტუჩები, ნიკაპი კი მოკლე, ამიტომ უფრო წააგავდა ბატკანს. ბატკნის მატყლივით ხშირი და ხვეული ქერა თმა ჰქონდა, ჭორფლით ოდნავ დაფარული თეთრი და ნაზი კანი, მე კი შავგვრემანი ვარ, კანი თითქოს მზითა მაქვს დამწვარი. მის დასაწყნარებლად ვთქვი:

— ამბობენ, სულ მალე ინგლისელები მოვლენ, ხოლო როცა ისინი მოვლენ, შიმშილობა აღარ იქნებაო... მანამდე კი იცი რა ვქნათ? ბებიასთან და ბაბუასთან წავიდეთ სოფელში და იქ დაველოდოთ ომის დამთავრებას. საჰმელი იქ სამყოფია: ლობიოც ბევრი აქვთ, კვერცხიც და შაშხიც. თანაც სოფელში ყოველთვის შეიძლება რაიმეს შოვნა.

— ბინას რაღა ვუყოთ? — მკითხა მან.

— ამაზეც ვიფიქრე, შვილო, — ვუპასუხე მე. ბინა ჯოვანის მივაქირაოთ. ერთი სიტყვით... ისე გავაკეთოთ, ვითომ მივაქირავეთ, წესიერად შეგვინახავს და როცა დავბრუნდებით, დაგვიბრუნებს. დუ-

ქანს კი დავკეტავ, შიგ მაინც არაფერია. ოდესმე ისევ გამოჩნდება სურსათი და კვლავ შევძლებთ ვაჭრობას.

უნდა გითხრათ, რომ ეს ჯოვანი, ჩემი განსვენებული ქმრის ამხანაგი იყო, ნახშირითა და შეშით ვაჭრობდა. იგი მაღალი და მოსული კაცი იყო, მელოტი თავი, წითური სახე და ჩხვლეტია ულვაშები ჰქონდა, თვალები კი მეტისმეტად უწყინარი. როდესაც ჩემი ქმარი ცოცხალი იყო, ისინი ხშირად ერთად ატარებდნენ დროს ტრატორიაში, სადაც ჩვენი უბნის ვაჭრები იყრიდნენ ხოლმე თავს. ტანისამოსი მუდამ აჩაჩულ-დაჩაჩული ჰქონდა, ულვაშებიდან სიგარის ჩამქრალი ნამწვი მოუჩანდა, მუდამ ბლოკნოტით და ფანქრით დადიოდა, რაღაცას ანგარიშობდა, იწერდა. ლაპარაკიც ალერსიანი და თავაზიანი იცოდა; როდესაც როზეტა ჯერ კიდევ პატარა იყო, შეხვედრისას ყოველთვის მეკითხებოდა:

— როგორ არის პატარა? რას აკეთებს ციცქნა?

და ერთხელ ასეთი რამ მოხდა. ახლა თვითონაც არ ვიცი, ნამდვილად იყო ეს თუ არა. ხშირად ხდება, ეჭვი გეპარება სინამდვილეში, როგორც ეს მე დამემართა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანი, რომელმაც ეს ჩაიდინა, არასოდეს არ ლაპარაკობს მომხდარ ამბავზე. ჩემი ქმარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, აღარ მახსოვს რისთვის მოვიდა ჯოვანი ჩვენთან, — მე სადილს ვამზადებდი, — დაჯდა სამზარეულოში და გამიბა ლაპარაკი, ბოლოს ჩემი ქმარი ახსენა. მეგონა, ისინი მეგობრები იყვნენ, და წარმოგიდგენიათ ჩემი გაკვირვება, როცა უცბად მკითხა:

— მითხარი ერთი, ჩეზირა, როგორ ცხოვრობ ამისთანა არამზადასთან?

მან პირდაპირ ასე თქვა — არამზადასთანო. ყურებს არ დავუჯერე, მოვტრიალდი და შევხედე, იგი ისე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისეთივე უწყინარი, ჩამქრალი სიგარით პირში. ცოტა ხნის შემდეგ მან დაუმატა:

— შენი ქმარი მოფამფალებულია, ის ჩქარა მოკვდება, მაგრამ მანამდე მოასწრებს და რაიმე ცუდ ავადმყოფობას შეგყრის, იგი ხომ მუდამ მეძავებთან დადის.

მივუგე:

— იგი დიდი ხანია ჩემი ქმარი აღარ არის, როცა საღამოს სახლ-

ში ბრუნდება და წვება, მე ზურგს შევუბრუნებ და ღამე მშვიდობისას ეუსურვებ ხოლმე.

მაშინ ჯოვანიმ მითხრა, ან შეიძლება მომეჩვენა, რომ მან ეს წარმოთქვა:

— შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, მონაზვნობას ხომ არ აპირებ! შენ ახალგაზრდა ხარ და მოსიყვარულე მამაკაცი გჭირდება.

მე ვკითხე:

— მერე შენ რა გესაქმება? მე არ მჭირდება მამაკაცი და კიდეც რომ მჭირდებოდეს შენ რა შუაში ხარ-მეთქი.

იგი წამოდგა, მახსოვს, რომ ეს სწორედ ასე იყო, მომიახლოვდა, მომკიდა ნიკაპში ხელი და მითხრა:

— თქვენთან, ქალებთან პირდაპირი ლაპარაკი სჯობს... შემრმხედე თვალებში: ჩემზე არასოდეს არ გიფიქრია?

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კარგად აღარც მახსოვს მერე რა მოხდა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შემომთავაზა მისი ხასა გავმხდარიყავი. ისიც მახსოვს, ვუპასუხე:

— როგორ არა გრცხვენია, ვინჩენცო ხომ შენი მეგობარია?

მან კი მომიგო:

— საიდან არის ჩემი მეგობარი, მე მეგობრები არა მყავს.

მერე მითხრა, შემიძლია დავიფიცო, ყველაფერი სწორედ ისე იყო, რომ თუ მასთან დავწვებოდი და დავნებდებოდი, ფულს მომცემდა. ამოიღო საფულე და სამზარეულო მაგიდაზე ფულის მთელი დასტა დამილაგა, თან დაჟინებით მიყურებდა და მეუბნებოდა:

— კიდევ მოგცე თუ გეყოფა?

მაშინ, როგორც მახსოვს, სრულიად მშვიდად ვთხოვე წასულიყო. მან აკრიფა ფული და წავიდა. ყველაფერი ჭეშმარიტად ასე იყო. მართლაც, ხომ არ შეიძლებოდა, ეს გამომეგონა. მაგრამ არც მეორე დღეს, არც შემდეგ დღეებში მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამის შესახებ. ჯოვანი ისევე მშვიდად, უბრალოდ და თავაზიანად მექცეოდა, როგორც წინათ და მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ეს სიზმარში ვნახე, ისიც, რომ ჩემს ქმარს არამზადა უწოდა, ისიც, რომ საყვარლობა შემომთავაზა და ფული სამზარეულო მაგიდაზე დამიწყო. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეჩვენებოდა, რომ ეს არასოდეს არ მომხდარა და ყველაფერი დამესიზმრა, მაგრამ მაშინაც და შემდეგაც, არ ვიცი რატომ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯოვანი ერთადერთი

ადამიანია, ვისაც თვითონ მე ვაინტერესებ და არა ჩემი ქონება; ამიტომ, როცა დახმარება დამჭირდა, მხოლოდ მას მივმართე. წავედი ჯოვანისთან სარდაფში, რომელიც სავსე იყო ფიჩხის კონებით და ხის წვრილი ნახშირის ტომრებით. ეს ერთადერთი საწვავი იყო, რომელიც იმ ზაფხულს რომში იშოვებოდა. მე ვუთხარი რისთვისაც მივედი. მან უხმოდ მომისმინა. ბოლოს მითხრა.

— კარგი, მივხედავ შენს დუქანს და ბინას. ეს, რასაკვირველია, დიდად თავსატეხი საქმეა, განსაკუთრებით ახლანდელ დროში, მე თვითონაც არ ვიცი რატომ ვაკეთებ ამას... შეიძლება შენი განსვენებული ქმრის ხათრით... მე შევკრთი, თითქოს ისევ გავიგონე მისი სიტყვები. „როგორ ცხოვრობ ასეთ არამზადასთან?“ — არც ახლა დავუჯერე ყურებს და უეცრად წამომცდა:

— იმედი მაქვს, რომ ამას მარტო მისი ხათრით კი არა, ცოტა ჩემი ხათრითაც აკეთებ.

არ ვიცი, რატომ ვუთხარი ეს, შეიძლება იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი მის სიყვარულში და იმ მძიმე დროში მეც მესიამოვნებოდა გამეგო, რომ ამას ჩემი გულისთვის აკეთებდა. ჯოვანიმ შემომხედა, გამოიღო პირიდან სიგარა, დადო მაგიდის კიდეზე, კართან მივიდა, დაკეტა და ურდული გაუყარა. სრულიად დაბნელდა, მივხვდი, რასაც აპირებდა, მაგრამ ხმა არ ამომიღია, გული ძლიერად მიცემდა, აღელვებული ვიყავი, მაგრამ ვერ გეტყვით რომ ეს ჩემში ზიზღს იწვევდა, ალბათ, ჩემზე გარემომაც იმოქმედა. მთელ ქალაქში არეულობა, შიმშილი და შიში გამეფებულიყო, მე სასოწარკვეთილი ვიყავი დუქნის და ბინის დატოვების გამო და როგორც ყველა ქალს, მეც მინდოდა მყოლოდა მამაკაცი, რომელიც დამეხმარებოდა და ხელს გამომიწვდიდა ამ მძიმე წუთებში. ერთი სიტყვით, ველოდებოდი სიბნელეში ჯოვანის მოახლოებას და ჩემს სიცოცხლეში პირველად ვგრძნობდი, რომ ჩემი სხეული რბილი და დამყოლი ხდებოდა, ხოლო როცა სულ ახლოს მოვიდა და მომეხვია, მძაფრად მივეკარი, მძიმედ ვსუნთქავდი და მის ტუჩებს ვეძებდი. მან მიმაწვინა ნახშირის ტომრებზე და მე დავნებდი. პირველად ვიგრძენი, რომ ნამდვილად დავნებდი მამაკაცს. ტომრებზე წოლა უხერხული იყო, ჯოვანი კი ტლანქი, მაგრამ მე მაინც მსუბუქად და საამურად ვგრძნობდი თავს. როცა ყველაფერი გათავდა და მომშორდა, მე ისევ ტომრებზე ვიწექი დაბნეული და ბედნიერი. მეჩვენებოდა, რომ კვლავ ახალგაზრდა ვარ, როგორც მა-

შინ, როცა რომში პირველად ჩამოვედი ჩემ ქმართან ერთად და ვოცნებობდი ასეთ გრძნობაზე, მაგრამ ამაოდ. სწორედ მაშინ დამებადა ზიზღი მამაკაცებისა და სამიჯნურო საქმეებისადმი. რამდენიმე ხანს სიბნელეში ვიყავით. მერე ჯოვანიმ მკითხა მოველაპარაკები თუ არა ჩემს საქმეზე. მე წამოვდექი ტომრებიდან და ვუთხარი — ჰო-მეთქი. მაშინ მან აანთო პატარა ყვითელი ნათურა და დავინახე, რომ მაგიდასთან ზის სრულიად ჩვეულებრივად, ულვაშებში სიგარა მოუჩანს, უწყინარი თვალები ნახევრად მილულული აქვს. მივუახლოვდი და ვუთხარი:

— დაიფიცე, რომ არასოდეს, არავის ეტყვი იმის შესახებ, რაც დღეს მოხდა... დაიფიცე!

მან გაიღიმა და მიპასუხა:

— რაზე ლაპარაკობ? მე არაფერი ვიცი, პირდაპირ არ მესმის რაზე ლაპარაკობ, შენ ხომ ბინის და დუქნის გამო მოხვედი, ასე არ არის, განა?

და ისევ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყველაფერი ეს მომეჩვენა. ტანსაცმელი რომ არ მქონოდა აჩაჩული და მასზე ტომრებზე წოლისაგან ნახშირის კვალი არ ყოფილიყო, მართლაც ვიფიქრებდი, რომ არაფერი მომხდარა. მე დარცხვენით ჩავილაპარაკე:

— ჰო, ჰო, რასაკვირველია, შენ მართალი ხარ, მე შენთან სახლისა და დუქნის გამო მოვედი.

ჯოვანიმ აიღო ქაღალდის ფურცელი და დაწერა, რომ მე მივაქირავე დუქანი და ბინა ერთი წლით, მომაწერინა ხელი, მერე ჩადო ეს ქაღალდი მაგიდის უჯრაში, გაიღო კარი და მითხრა:

— მაშასადამე, გადაწყვეტილია, დღეს მოვალ შენთან, რომ ქონება ჩავიბარო, ხვალ დილით კი გამოგივლით და ორივეს სადგურში წაგიყვანთ.

იგი კარებში იდგა და როცა გვერდზე ჩავუარე, ღიმილით შემომხედა და გავაზე ხელი მომარტყა, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, ის, მეორე საქმეც გადაწყვეტილია ჩვენ შორისო. გავიფიქრე, რომ ახლა, როცა პატიოსნება დავკარგე, უფლება აღარა მაქვს ამგვარ მოქცევას წინააღმდეგობა გავუწიო. და კიდევ ვიფიქრე: ამაშიც ხომ ომი და შიმშილია დამნაშავე, რომ პატიოსან ქალს გავაზე ხელს შემოჰკრავენ, მას კი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია იმიტომ, რომ აღარ არის პატიოსანი.

დავბრუნდი შინ და მაშინვე სამგზავროდ დავიწყე მზადება. გული მიკვდებოდა, როცა ვფიქრობდი, რომ ბინის დატოვება მომიხდება, საიდანაც ოცი წელიწადი ფეხი არ გამიდგამს, თუ სოფლებში სანოვაგისათვის მგზავრობას არ ჩავთვლით. მართალია, დარწმუნებული ვიყავი, რომ ინგლისელები ძალიან მალე, ერთ-ორ კვირაში მოვიდოდნენ და აქედან მხოლოდ ერთი თვით მომიხდებოდა წასვლა, მაგრამ ამავე დროს წინაგრძნობა მქონდა, რომ მალე ვერ დავბრუნდებოდით შინ და რაღაც უბედურება გველოდა. არასოდეს არ მაინტერესებდა პოლიტიკა და ფაშისტებზე, ინგლისელებზე, რუსებზე და ამერიკელებზე არაფერი ვიცოდი, მაგრამ ჩემს გარშემო ყველა მარტო ამაზე ლაპარაკობდა. მე კი არ გავიგე, სიმართლე რომ ვთქვა, ვერაფერიც ვერ გავიგე, მაგრამ თითქოს მივხვდი, რომ უბრალო ხალხისათვის, აი, მაგალითად, ისეთებისათვის, როგორიც მე და როზეტა ვიყავით, კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი. ყველაფერი აირია ისევე, როგორც სოფელში ავდრის წინ, ცას შავი ღრუბლები გადაეკვრება, ფოთლები თრთიან, ცხვრები ერთად გროვდებიან, ერთმანეთს ეკვრიან და შუა ზაფხულში უცბად ცივი ქარბორბალა დაუბერავს. მეშინოდა, მაგრამ რისი, თვითონაც არ ვიცოდი. გავიფიქრებდი თუ არა, რომ ღვთის ანაბარა ვტოვებ ბინას და დუქანს, გული მეკუმშებოდა, თითქოს დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასოდეს ვეღარ ვნახავდი. მაგრამ მაინც ვუთხარი როზეტას:

— ბევრს ნურაფერს წამოიღებ თან, ჩვენ ხომ მხოლოდ ორი კვირით მივდივართ, ჯერ კიდევ თბილი დარებია.

ეს სექტემბრის შუა რიცხვებში იყო. უჩვეულოდ ცხელოდა, ჩავაწყვე ორ პატარა ჩემოდანში თხელი ტანსაცმელი და ყოველი შემთხვევისათვის, თუ უცბათ აცივდებოდა, ორი ფლანელის პერანგი. ცოტათი რომ მაინც გამექარვებინა დარდი, წარმოვიდგინე, თუ როგორ შეგვხვდებოდნენ სოფელში ჩემი მშობლები.

— აი ნახავ, ისინი ძღომამდე გვაჭმევენ, მოვიკეთებთ და დავისვენებთ, სოფელში ისეთი გაჭირვება კი არ არის, როგორიც რომში, ჩვენ იქ კარგად ვიქნებით, გამოვიძინებთ და, რაც მთავარია, გავძლებით. აი ნახავ: მათ ჰყავთ ღორი, აქვთ ფქვილი, ხილი, ღვინო. რომის პაპივით ვიცხოვრებთ.

მაგრამ ეს ყველაფერი არ ახარებდა როზეტას; იგი თავის საქმროზე ფიქრობდა, რომლისგანაც უკვე მთელი თვე წერილი არ მიეღო.

ვიცოდი, იგი ყოველ დილით დადიოდა საყდარში და მის გადარჩენაზე ლოცულობდა, შესთხოვდა ღმერთს ჩქარა დაებრუნებინა შინ და დაქორწინებულიყვნენ.

— დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო, მადონა გხედავს და ესმის შენი, იგი დაგიფარავს უბედურებისაგან.

ამასობაში დავძლიე ჩემი უბედურება, ბარგს ვკრავდი და მოუთმენლად ველოდი გამგზავრების წუთს. უკანასკნელ დროს ყველაფერმა — საჰაერო განგაშმა, უჭმელობამ, მგზავრობაზე ფიქრმა იმდენად შეცვალა ჩემი ცხოვრება, რომ ბინის დალაგების სურვილიც კი აღარ მქონდა. იყო დრო, როცა მუხლებზე დაჩოქილი ისეთი ძალით და იმდენს ვაპრიალებდი იატაკს, რომ სარკესავით ბრწყინავდა. ჩემის აზრით, ცხოვრება ურმიდან ჩამოვარდნილ ყუთს დაემსგავსა: იგი დაიმსხვრა და რაც შიგ იყო, გზაზე მიმოიფანტა. როდესაც ეფიქრობდი, თუ როგორ მომარტყა ჯოვანიმ ხელი, ვგრძნობდი, რომ მეც ანოვარდი კალაპოტიდან და ყველაფერი შემიძლია ჩავიდინო — ქურდობაც, მკვლელობაც კი, იმიტომ რომ საკუთარი თავის პატივისცემა დავკარგე და სრულიად სხვა ქალი გავხდი. მხოლოდ ის მამშვიდებდა, რომ როზეტა შეინარჩუნებდა იმას, რაც მე დავკარგე, რადგან ჰყავს დამცველი დედა. ჩვენი ცხოვრება ჩვევებისაგან შედგება და პატიოსნებაც ხომ მხოლოდ ჩვევაა... როდესაც ჩვევებს კარგავ, ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცევა, ადამიანები კი აღვირახსნილ ქაჯებად, რომლებსაც აღარა აქვთ არც საკუთარი თავის, არც სხვისი პატივისცემა.

როზეტა თავის გრძელბეწვიან კატაზე დარდობდა, რომელიც სულ პაწაწინა იპოვა ქუჩაში და რძეში დასველებული პურით გაზარდა. ღამით ლოგინში იწვენდა, დღისით კი კატა ძაღლივით დასდევდა ყველგან. მე ვურჩიე კატა მეეზოვისათვის დაეტოვებინა და როზეტა დამთანხმდა. ახლა იგი იჯდა თავის ოთახში საწოლზე, რომელზეც უკვე გამზადებული ჩემოდანი იდო, კატა მუხლებზე ეწვა, როზეტა ალერსიანად უსვამდა ხელს, კატა კრუტუნებდა და თვალებს ნაბავდა. არ იცოდა საცოდავმა, რომ მისი პატრონი დატოვებას უპირებდა. ვგრძნობდი, როზეტა იტანჯებოდა, შემეცოდა და ვუთხარი:

— აი ნახავ, შვილო, გაივლის ეს საძაგელი დრო და ყველაფერი კარგად იქნება... ომი დამთავრდება, ყველაფერი სამყოფი გვექნება, შენ გათხოვდები და ბედნიერად იცხოვრებ ქმართან ერთად.

იმ წუთს, თითქოს ჩემი სიტყვების საპასუხოდ, საჰაერო განგაშის

სირენა აზუზუნდა. გული შემეკუმშა, მომეჩვენა, რომ ეს ზუზუნი უბედურებას მოასწავებდა. გაბრაზებულმა გავაღე ფანჯარა, მუშტებით დავემუქრე ცას და დავიყვირე:

— ჭირმა წაგიღოს იმასთან ერთად, ვინც აქ გამოგგზავნა და ეისი გულისთვისაც აქ მოხვედი!

როზეტა არ განძრეულა, მხოლოდ მითხრა:

— რატომ ჯავრობ, დედა? შენ თვითონ არ ამბობ, ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდებაო?

ამ ანგელოზის გულისათვის თავს ძალა დავატანე და უკვე მშვიდად ვთქვი:

— ეს რასაკვირველია ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც გვიხდება ბინის დატოვება და ვინ იცის კიდევ რა მოგველის.

ის დღე ჩემთვის ჯოჯოხეთად იქცა. მეჩვენებოდა, რომ ერთ დღეში სრულიად სხვა ქალად ვიქეცი. თვალიდან არ მშორდებოდა, რაც ჩემსა და ჯოვანის შორის მოხდა. მაგონდებოდა როგორ დავნებდი, თითქოს ქუჩის ქალი ვყოფილიყო, ჩაცმული, პირდაპირ ნახშირის ტომრებზე, და მზად ვიყავი თითები დამეკვნიტა. დავდიოდი ბინაში, რომელიც ოცი წელი ჩემი სახლი იყო და რომელიც ახლა უნდა დამეტოვებინა. სასოწარკვეთილება სულ უფრო და უფრო მიპყრობდა. სამზარეულოში ცეცხლი ჩაქრა. ორსაწოლიან ლოგინზე, სადაც მე და როზეტა ვიწექით ხოლმე, ზეწრები დაჭმუჭნული იყო, მაგრამ ძალა არ შემწევდა ლოგინი ამელაგებინა, რომელზეც მალე უკვე აღარ დავიძინებდი, ან ცეცხლი დამენთო სამზარეულოში, სადაც ხვალინდელი დღიდან აღარ მოვამზადებდი საჭმელს. სუფრაგადაუფარებელ მაგიდასთან ვჭამეთ პური და სარდინი; ვუყურებდი სევდიან როზეტას და ლუკმა ყელში მეჩხირებოდა. მეცოდებოდა, თან ვშიშობდი. ჩემის აზრით ძალიან უმტყუნა ბედმა, რომ ასეთ დროს დაიბადა და ცხოვრობს. ორი საათი იქნებოდა, როცა დაულაგებელ ლოგინზე, პირდაპირ საბნებზე მივწექით, რომ ცოტა მაინც მოგვეტყუებინა თვალი. როზეტას ჩემს გვერდით მოკუნტულს ეძინა, მე კი ვიწექი თვალგახელილი და ჩაციებით ვფიქრობდი ჯოვანის ნახშირიან ტომრებზე, იმაზე, თუ როგორ შემომკრა საჯდომზე, ბინაზე და დუქანზე, რომელსაც ღვთის ანაბარა ვტოვებდი. ბოლოს ზარის ხმა გაისმა. მე ფრთხილად მოვიშორე მძინარე როზეტა და წავედი კარის გასაღებად.

ეს ჯოვანი იყო, მოღიმარი, სიგარით პირში. ერთი სიტყვის თქმაც არ დავაცადე, ისე ვეცი გაცეცხლებული.

— ყური მიგდე, ვიცი მომხდარს ვეღარ დააბრუნებ, შეიძლება მეც ის აღარ ვიყო, რაც წინათ ვიყავი და შენ უფლება გაქვს მომექცე, როგორც ქუჩის ქალს... მაგრამ, ერთი სცადე და ამ დილანდელივით კიდევ მომარტყი ხელი საჯდომზე, ღმერთს გეფიცები, მოგკლავ; თუ გინდ კატორღაში გამგზავნონ. შეიძლება დღესდღეობით იქ უკეთ ცხოვრობენ კიდეც, და სიამოვნებით წავალ იქ.

მან გაკვირვებით ოდნავ ასწია წარბები, არაფერი მითხრა, შემოვიდა დერეფანში და გადმომილაპარაკა:

— მოდი ერთი, ქონება ჩამაბარე.

საწოლ ოთახში შევედი და ფურცელი ავიღე, რომელზეც როზეტას სახლში და დუქანში დარჩენილი ნივთები ჩამოეწერა. სიაში წვრილმანებიც შევატანინე, იმიტომ კი არა, რომ ჯოვანის არ ვენდობოდი, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ არავისი ნდობა არ შეიძლება. სანამ საქმეს შევუდგებოდი, ძალიან სერიოზულად ვუოხარი ჯოვანის:

— მხედველობაში მიიღე, მე და ჩემმა ქმარმა ოცი წელი ოფლი ვღვარეთ ამ ნივთების შესაძენად. ამიტომ გაუფრთხილდი მათ, გახსოვდეს, როცა დავბრუნდები, პაწაწკინტელა ლურსმანიც კი თავის ადგილზე უნდა დამხვდეს.

მან გაიღიმა და მითხრა:

— მშვიდად იყავი, ყველა ლურსმანი ადგილზე დაგხვდება.

დავიწყეთ საწოლი ოთახიდან. სია ორ ცალად იყო შედგენილი, ერთი ჯოვანის მივეცი, მეორე — როზეტას, მე კი ნივთებს ვაჩვენებდი.

ვაჩვენე ჩემი ლამაზი, ფართო რკინის საწოლი, რომელიც ისე იყო შეღებილი, იფიქრებდით, კაკლის ხისგანაა გაკეთებულიო. ავწიე საბანი და ვაჩვენე: ორი ლეიბი, ერთი მატყლის, მეორე ძუის, დაეუთვალე კარადაში შენახული საბნები, ზეწრები და სხვა თეთრეული. პატარა კარადებში ვაჩვენე ფაიფურის ღამის ქოთნები წითელი და ლურჯი ყვავილებით, ჩამოვუთვალე ავეჯი: კამოდი თეთრი მარმარილოს დაფით, ოქროს ჩარჩოში ჩასმული ოვალური სარკე, ოთხი სკამი, საწოლი, ორი პატარა კარადა, სარკიანი შიფონერი, მერე ჩამოვუთვალე ყველა სტატუეტი და წვრილმანი: შუშის საფარქვეშ მოთავსებული სანთლის ყვავილების თაიგული, რომელიც სულ ნამდვილს

გავდა (ეს ყვავილები ჩემმა ნათლიამ მაჩუქა ქორწილში), ფაიფურის ბომბონერი დაშაქრული ნუშისათვის, მწყემსი ქალ-ვაჟის ორი სტატუეტი, ცისფერი ბალიში ნემსებისათვის, სორენტოდან ჩამოტანილი მუსიკალური ყუთი, რომლის სახურავზე ვეზუვი ეხატა და როცა გააღებდით, რაღაც მელოდიას უკრავდა, მძიმე, თლილი შუშის ორი სურა თავისი ჭიქებით, ზამბახის ფორმის ვაზა ფერადი ფაიფურისა, რომელშიც ყვავილების მაგივრად ფარშევანგის ძალიან ლამაზი სამი ფრთა იდო, ორი ფერადი სურათი: ერთზე გამოსახული იყო მადონა ჩვილით, მეორეზე — შავკანიანი მამაკაცი და ქერათმიანი ქალი, მითხრეს, რომ ეს იყო სცენა ოპერა „ოტელოდან", ოტელო ამ შავ მამაკაცს ერქვა. საწოლი ოთახიდან ჯოვანი სასადილოში გავიყვანე, რომელიც სასტუმროს მაგივრობასაც გვიწევდა. იქვე იდგა საკერავი მანქანა. ვაიძულე ხელით მოესინჯა მრგვალი მაგიდა და მის გარშემო მდგარი მწვანე ხავერდგადაკრული ოთხი სკამი. მაგიდა მუქი კაკლის ხისა იყო, მასზე პატარა მოქარგული სუფრა ეფინა და ისეთივე ვაზა იდგა, როგორიც საწოლ ოთახში. მერე გამოვაღე ბუფეტის კარი და ჩამოვუთვალე ყვავილებით და გირლანდებით მოხატული ფაიფურის სერვიზი 6 კაცისა, რომელიც ჩემს სიცოცხლეში სულ ორჯერ თუ მექნებოდა ნახმარი. ისევ გავაფრთხილე:

— იცოდე, ამ სერვიზს თვალისჩინივით გაუფრთხილდი, აბა ერთი გაგიტეხია, ნახავ მაშინ!

— ნუ გეშინია, — ღიმილით მიპასუხა ჯოვანიმ.

მერე ვაჩვენე სიაში ჩამოთვლილი სხვა ნივთებიც: ორი ყვავილიანი სურათი, საკერავი მანქანა, რადიომიმღები, რეფსით გადაკრული დივანი და ორი სავარძელი. ვარდისფერი და ცისფერი შუშის ლიქიორის სერვიზი ექვსი ჭიქით, კიდევ რამდენიმე ბომბონერი და ყუთი, კედელზე მიკრული ლამაზად მოხატული მარაო. გადავედით სამზარეულოში, ჩავუთვალე სამზარეულოს ჭურჭელი — სპილენძისა და ალუმინის ქვაბები, უჟანგავი ფოლადის დანები, ჩანგლები და კოვზები, ვაჩვენე მთელი ჩემი მეურნეობა: სამზარეულო კარადა, კარტოფილის საჭყლეტი მანქანა, კარადა ცოცხებისათვის. ერთი სიტყვით, ბინაში ყველაფერი ვაჩვენე. ამის შემდეგ დუქანში ჩავედით. აქ ნივთების სია ძალიან მოკლე აღმოჩნდა: თაროები, დახლი და რამდენიმე სკამი. ამის მეტი დუქანში არაფერი იყო, უკანასკნელად, შიმ-

შილობის დროს ყველაფერი გავყიდე, ერთი მარცვალიც არ დამრჩენია. მერე ისევ შინ დავბრუნდით და მე სევდიანად ვთქვი:

— ნეტა რად მინდა ეს სიები, სულ ერთია, აქ არასოდეს აღარ დავბრუნდები. ჯოვანიმ, რომელმაც უკვე მოასწრო დაჯდომა და სიგარის გაბოლება, თავი გააქნია და თქვა:

— რას ამბობ? ორი კვირის შემდეგ ინგლისელები მოვლენ, ფაშისტებიც კი ლაპარაკობენ უკვე ამაზე... ამ ორი კვირით შენ სოფელში წახვალ, მერე კი დაბრუნდები და ჩვენ ვიზეიმებთ შენს დაბრუნებას. ჯოვანი კიდევ დიდხანს გვამშვიდებდა მე და როზეტას და თითქმის მიაღწია კიდეც მიზანს, ისე რომ, როცა წავიდა, ჩვენ გული მოგვეცა. დერეფანში გავყევი გასაცილებლად და, თუმცა მარტონი ვიყავით, მაინც არ მომარტყა, მხოლოდ ლოყაზე მომიცაცუნა ხელი, რასაც ხშირად აკეთებდა, როცა ჩემი ქმარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მე ძალიან მადლობელი დავრჩი მისი და ასე მეგონა, ჩვენს შორის არაფერი მომხდარა, ხოლო მე ისეთივე დავრჩი, როგორიც წინათ ვიყავი.

მთელი დღე მზადებაში გავიდა. ჯერ საგზალი მოვამზადე: პარკში ჩავდე ძეხვი, რამდენიმე კოლოფი სარდინი, ერთი თევზის კონსერვი და ცოტაოდენი პური. მერე ჩავაწყვე საჩუქრები ჩემი მშობლებისათვის: მამისათვის ჩემი ქმრის ახალთახალი კოსტუმი (მამა თითქმის ისეთივე ტანისა იყო, როგორც ჩემი ქმარი), რომელიც მან სიკვდილის წინ შეიკერა და ითხოვა ამაში დამმარხეთო. ეს იყო ლურჯი შევიოტის ძალიან ლამაზი კოსტუმი, მე დამენანა და მიცვალებული ძველ ზეწარში გავახვიე; კოსტუმი კი შევინახე. ჩავაწყვე ნახმარი, მაგრამ ჯერ კიდევ ახალი ფეხსაცმელი. დედისთვის გადავწყვიტე მეჩუქებინა შალი და ქვედატანი, ამას დავუმატე ყველაფერი, რაც პროდუქტებიდან დამრჩა: რამდენიმე კილო შაქარი და ყავა, კონსერვები, ძეხვი. ყოველივე ეს მეორე ჩემოდანში ჩავაწყე ისე, რომ სამი ჩემოდანი მქონდა, აგრეთვე ფუთა საბნითა და ბალიშით, რაც იმ შემთხვევისათვის წამოვიღე, თუ მატარებელში მოგვიხდებოდა წოლა. ყველა მეუბნებოდა, მატარებელი რომიდან ნეაპოლში მისვლას ხანდახან ორი დღე უნდებაო. ჩვენ კი ამ ორ ქალაქს შუა მდებარე სადგურამდე მივდიოდით და ვიფიქრე სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი.

დარდი რომ ოდნავ მაინც გამექარვებინა, საღამოს ცხელი ვახშამი მოვამზადე, მაგრამ, როგორც კი მივუსხედით მაგიდას, აზუზუნდა

სირენა. შევამჩნიე, როგორ შეკრთა და გაფითრდა როზეტა შიშისაგან. მთელი მისი სიმამაცე უცებ გაქრა, იგი ნერვიულობდა. მაგიდაზე ვახშმის დატოვება და სარდაფში ჩასვლა მოგვიხდა, თუმცა ეს არაფერს შველოდა: ჩვენს ძველ სახლს რომ ყუმბარა დასცემოდა, იგი დაინგრეოდა და ყველანი სარდაფში დავიღუპებოდით, მაგრამ მაინც ჩავედით თავშესაფარში.

ჩვენი სახლის სხვა მცხოვრებნი უკვე ისხდნენ სიბნელეში, სკამებზე. საჰაერო განგაში 45 წუთს გაგრძელდა. ზოგი ამბობდა, ინგლისელები რომში უახლოეს დღეებში მოვლენ. უკვე ნეაპოლის ახლოს, სალერნოში გადმომსხდარან და ნეაპოლიდან რომამდე ძალიან ნელაც რომ იარონ, ერთ კვირაზე მეტს არ მოუნდებიანო. გერმანელები და ფაშისტები კურდღლებივით გარბიან და ასე ირბენენ ალპებამდეო. ზოგი კი ამბობდა, გერმანელები არ დაანებებენ რომსო. მუსოლინის არ უნდა ქალაქის დათმობა, ურჩევნია დაანგრიოს, ვიდრე ინგლისელებს დაუთმოსო. ყურს ვუგდებდი ამ ლაპარაკს და ვფიქრობდი, — სწორად ვიქცევი, რომიდან რომ მივდივარ-მეთქი. როზეტა შეშინებული მეკვროდა. მას ეშინოდა და ვიცოდი, რომ მხოლოდ რომიდან წასვლის შემდეგ დამშვიდდებოდა. უცებ ვიღაცამ თქვა:

— ამბობენ, ქალაქში პარაშუტისტებს ჩამოსხამენ, ისინი კარდაკარ ივლიან და აქაურობას ააწიოკებენო.

— რისი თქმა გინდა ვითომ ამით?

— ქალებს წაიყვანენ, ნივთებს წაიღებენ.

მაშინ მე ვთქვი:

— ერთი მანახა ვინ გაბედავს ხელი მახლოს!

ვიღაც მამაკაცის დამცინავმა ხმამ მიპასუხა სიბნელეში:

— შენ შეიძლება ხელი არ გახლონ, რადგან გადაბერებული ხარ, შენს ქალიშვილს კი ახლებენ და მერე როგორ.

ეს პროეტი იყო, პურის მცხობელი, უხეში და ენაჭარტალა კაცი. მე ის ჭირისდღესავით მეჯავრებოდა.

— მიქარვას თავი დაანებე... მე ოცდათხუთმეტი წლისა ვარ, ხოლო როცა გავთხოვდი, თექვსმეტისა ვიყავი, დღესაც ბევრი შემირთავდა, ოღონდ მე არ მსურს.

— ე, მოძველდა მელიისა და ყურძნის არაკი, — მიპასუხა მან.

მაშინ საშინლად გავბრაზდი და ვუთხარი:

— გირჩევნია შენ კახპა ცოლს მოუარო, რომელიც ახლაც, უპა-

რაშუტისტებოდაც კარგად გადგამს რქებს. წარმომიდგენია, რას იზამს, როცა პარაშუტისტები ქალაქში გამოჩნდებიან!

მე მეგონა მისი ცოლი სოფელში იყო. ისინი სუტრიდან იყვნენ და რამდენიმე დღის წინ ვნახე როგორ მიემგზავრებოდა. მაგრამ მოვტყუვდი, ისიც თავშეაფარში ყოფილა. სიბნელეში ვერ დაეინახე, მაგრამ ახლა მისი ყვირილი მომესმა:

— შენ თვითონა ხარ კახპა, ბინძური, საზიზღარი, უსინდისო დედაკაცო!

მან სტაცა როზეტას თმებში ხელი, მე ვეგონე, როზეტა ყვიროდა, ის კი გამეტებით ურტყამდა. ვეცი და ორივენი მიწაზე გავგორდით. ვურტყამდით ერთმანეთს და თმებით ვათრევდით. გარშემო ყვიროდნენ. როზეტა ტიროდა და შველას ითხოვდა. როგორც იქნა, რამდენიმე კაცმა გაგვაშველა, მაგრამ მათაც მოხვედათ ერთი-ორი. გაგვაშველეს თუ არა, სირენაც აზუზუნდა. განგაში დამთავრდა. აინთო სინათლე; ჩვენ ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდიო, გაწეწილები, აქოშინებულები, ჩვენს გამშველებლებს კი სახე დაჰკაწროდათ, ისმა გასჩეჩოდათ. კუთხეში როზეტა ქვითინებდა.

იმ საღამოს ადრე დავწექით. ვახშამს არ მივკარებივართ. იგი დილამდე მაგიდაზე იდო. როზეტა მომეკრა, რაც მას ბავშვობის მერე აღარ უქნია.

— კიდევ გეშინია? — ვკითხე მე.

— არა, არ მეშინია, მაგრამ მითხარი, დედა, პარაშუტისტები მართლა ასე ეჭცევიან ქალებს?

— რას უგდებ ყურს მაგ სულელს, თვითონაც არ იცის რას ლაპარაკობს.

— მაგრამ ეს მართალია? — არ მეშვებოდა იგი.

— არა, არ არის მართალი, თანაც ჩვენ ხვალ სოფელში მივდივართ. იქ არაფერი არ მოგვივა, დამშვიდდი და დაიძინე.

იგი ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე ისევ მკითხა:

იმისათვის, რომ დავბრუნდეთ, ვინ უნდა გაიმარჯვოს: გერმანელებმა თუ ინგლისელებმა?

მე დავიბენი, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, გაზეთებს არასოდეს არ ვკითხულობდი და სრულებით არ მაინტერესებდა ომის ამბავი.

— არ ვიცი ისინი რას ჩმახავენ, ვიცი მხოლოდ, რომ ყველანი მამაძაღლები არიან, ინგლისელებიც და გერმანელებიც. ისინი უბ-

რალო ხალხის დაუკითხავად ომობენ. ერთი რამ შემიძლია გითხრა, ჩვენთვის სჯობია, რომ ვინმემ ნამდვილად გაიმარჯვოს. ინგლისელები იქნებიან თუ გერმანელები, სულ ერთია, ოღონდაც ვინმე იყოს სხვაზე უფრო ძლიერი, — ვუთხარი მე.

— ყველა ამბობს, გერმანელები ცუდები არიანო. რა გააკეთეს მათ ცუდი, დედა? — კვლავ მკითხა როზეტამ.

— ის გააკეთეს, რომ აქ მოვიდნენ, იმის მაგივრად, რომ საკუთარ სახლში დატეულიყვნენ... ამიტომაც სძულს ისინი ხალხს, — ვუპასუხე მე.

— იქ, სადაც ჩვენ მივდივართ ინგლისელებია თუ გერმანელები? — კვლავ მკითხა მან.

არ ვიცოდი რა მეპასუხა და ვუთხარი:

— იქ არც გერმანელებია და არც ინგლისელები. იქ მინდვრები, ძროხები და გლეხებია; ჩვენ მშვენივრად ვიქნებით, ახლა კი დაიძინე.

როზეტამ აღარაფერი თქვა, მხოლოდ უფრო მაგრა მომეკრა და რამდენიმე ხნის შემდეგ მომეჩვენა, რომ ჩაეძინა.

რა საშინელი ღამე იყო, ყოველ წუთს მეღვიძებოდა. ალბათ, როზეტასაც არ მოუხუჭავს თვალი, თუმცა მე რომ არ შეეწუხებინე, თავს იმძინარებდა. ხანდახან მეჩვენებოდა; თითქოს გავიღვიძე, ამ დროს კი მეძინა და სიზმარში ვხედავდი, რომ გამეღვიძა, ან პირიქით მეგონა, რომ მეძინა, სინამდვილეში კი მეღვიძა. დაღლილობისა და ნერვიულობისაგან მეჩვენებოდა ასე. ქრისტესაც კი ღამით, ბაღში იუდას მოლოდინში, ალბათ, იმდენი არ გადაუტანია, რამდენიც მე იმ ღამეს გადავიტანე. როგორც კი გამახსენდებოდა, რომ ვტოვებდი სახლ-კარს, სადაც ამდენ ხანს ვცხოვრობდი, გული მეკუმშებოდა. ხან მეშინოდა, რომ ჩვენს მატარებელს ტყვიამფრქვევს დაუშენდნენ, ან საერთოდ არ იქნებოდა მატარებელი. ამბობდნენ დღე-დღეზე რომის გზებს ჩაკეტავენო. ვღელავდი როზეტაზე, ვფიქრობდი, ეს რა უბედურებაა, რომ ჩემი ქმარი ასეთი უქნარა გამოდგა, მოკვდა და ორი ქალი უპატრონოდ დაგვტოვა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალები უმამაკაცებოდ, რომლებიც მათ ხელმძღვანელობენ და იცავენ, ბრმებს გვანან, ვერაფერს ხედავენ და არ ესმით სად იმყოფებიან.

ერთხელ (არ ვიცი რომელი საათი იყო), სროლა გავიგონე. ყოველ ღამე ისროდნენ, როგორც ტირში. როზეტამ გაიღვიძა და მკითხა: — რა მოხდა, დედა?

— არაფერი, არაფერი, ისევ ეგ მამაძაღლები ერთობიან. ნეტა დახოცავდნენ ერთმანეთს.

მეორედ, სწორედ ჩვენ სახლთან სატვირთო მანქანების მთელმა კოლონამ ჩაიარა. სახლი ზანზარებდა, სატვირთო მანქანებს კი ბოლო არ უჩანდა. როგორც იქნა ჩაიარეს. უცებ ისევ გაისმა წარმოუდგენელი გრუხუნი: თურმე ერთი სატვირთო მანქანა ჩამორჩა და ახლა ეწეოდა. მოვეხვიე როზეტას, იგი თავით გულზე მეკვროდა. გამახსენდა, როგორ ვაწოვებდი ძუძუს, როცა სულ პატარა იყო. რძე ბევრი მქონდა, როგორც ჩოჩარეთის ყველა ქალს, მთელს ლაციოში საუკეთესო ძიძებს. როზეტა სწოვდა ჩემს რძეს და დღითიდღე მშვენიერდებოდა, სანამ ნამდვილი მზეთუნახავი არ გახდა. ქუჩაში ხალხი ჩერდებოდა მის საცქერად. უეცრად გავიფიქრე, სჯობდა სრულიად არ გაჩენილიყო ქვეყანაზე, ვიდრე მუდამ ღელვაში, გაჭირვებაში და შიშში გაეტარებინა წუთისოფელი. მაგრამ მერე ვუთხარი ჩემს თავს, რომ ასეთი ფიქრები მხოლოდ ღამით მოუვა ადამიანს და ეს ცოდვაა. სიბნელეში პირჯვარი გადავიწერე, შევევედრე იესო ქრისტეს და მადონას დავეფარეთ. კედლის იქით, სადაც ცხოვრობდა ხალხი, რომელმაც საპირფარეშო საქათმედ აქცია, მამალმა დაიყივლა. ჩქარა გათენდება-მეთქი, გავიფიქრე და ჩამეძინა.

ზარის გაბმულმა ხმამ გამომაღვიძა, თითქოს ვიღაც დიდი ხანია რეკავდა. ავდექი სიბნელეში და დერეფანში გავედი: ეს ჯოვანი იყო, კარი გავუღე, ის შემოვიდა და მითხრა:

— გაგიგიათ ამდენი ძილი! მთელი საათია ვრეკავ.

პერანგის ამარა ვიყავი, უნდა გითხრათ, მკერდი ახლაც მკვრივი მაქვს, ლიფსაც კი არ ვატარებ, მაშინ კი უფრო უკეთესი მქონდა. მძიმე, მაგრამ მკვრივი. წამოშვერილი ძუძუს თავები პერანგს მაღლა სწევდნენ. მაშინვე შევამჩნიე, რომ იგი მკერდზე მიყურებდა და თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდა: მივხვდი, რომ მეძვერებოდა, უკან დავიხიე და ვუთხარი:

— არა, ჯოვანი, არა... ჩემთვის შენ უკვე აღარ არსებობ. უნდა დაივიწყო რაც მოხდა. ცოლიანი რომ არ იყო, წამოგყვებოდი, მაგრამ შენ ცოლიანი ხარ და ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია. მან არც „ჰო“ მიპასუხა და არც „არა“. მაგრამ ვხედავდი, რომ თავს ძალას ატანდა და ცდილობდა თავი შეეკავებინა. როგორც იყო მოახერხა და ჩვეულებრივი ხმით მითხრა:

— შენ მართალი ხარ... მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ის საზიზღარი, ჩემი ცოლი, მოკვდება ომის პერიოდში. შენ რომ დაბრუნდები, მე ქვრივი ვიქნები და შეგირთავ. ამდენი ხალხი იხოცება დაბომბვის დროს, რატომ არ შეიძლება, ისიც მოკვდეს?

მე კვლავ განმაცვიფრა მისმა სიტყვებმა. ყურებს არ დავუჯერე, მაშინდელივით, როცა ჩემს ქმარს არამზადა უწოდა, თუმცა ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. მე ვიცნობდი ჯოვანის ცოლს და ყოველთვის მეგონა, რომ ჯოვანის უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, თუ არ უყვარდა, შეჩვეული მაინც იყო, ისინი კარგა ხნის ცოლ-ქმარი იყვნენ და სამი ვაჟი ჰყავდათ. ის კი ახლა ასეთი ზიზღით ლაპარაკობდა ცოლზე და მის სიკვდილს ნატრობდა. ჯოვანის სიტყვებმა მიმახვედრა: ჩანს დიდი ხანია შესჯავრებია ცოლი, შეიძლება ოდესმე რაღაც სხვა გრძნობა ჰქონდა, მაგრამ ახლა სიძულვილის გარდა აღარაფერი დარჩენოდა. მართალი გითხრათ, კიდეც შემეშინდა, რომ ადამიანს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში მეგობარი და ქმარი იყო, შეეძლო ასეთი გაბრაზებით და გულცივად ეწოდებინა მეგობრისათვის არამზადა, ცოლისათვის კი — საზიზღარი. მაგრამ ჯოვანის არაფერი ვუთხარი — იგი შევიდა სამზარეულოში და გავიგონე როგორ ეხუმრებოდა როზეტას, რომელიც უკვე ამდგარიყო.

— აი, ნახავ, ორივენი გასუქებულები ჩამოხვალთ. ეს თქვენთვის ომის ერთადერთი შედეგი იქნება... სოფელში ყველაფერია: ყველი, კვერცხი, ბატკნები... იქ კარგი კვება გექნებათ და მშვენივრადაც იგრძნობთ თავს.

ყველაფერი მზად იყო. დერეფანში სამი ჩემოდანი და ფუთა გამოვიტანე. ჯოვანიმ ორი ჩემოდანი დაიჭირა, მე — ფუთა, როზეტას კი ყველაზე პატარა ჩემოდანი მივეცი. სანამ კიბეზე ჩადიოდნენ, მე ვითომ კარს ვკეტავდი, მაგრამ როგორც კი თვალს მიეფარნენ, დავბრუნდი ბინაში. შევედი საწოლ ოთახში, ავწიე იატაკის ფიცარი და ამოვიღე დამალული ფული. იმ დროისთვის ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო ათასიანი ასიგნაციებით. ფულის ამოღება როზეტას თანდასწრებით არ მინდოდა, რადგან გამოუცდელ გოგონას გაუფრთხილებლობით შეიძლება ეთქვა ის, რაც სხვებს არ უნდა სცოდნოდათ. კაბის კალთა ავიწიე და ფული წინდაწინ მიკერებულ ჯიბეში შევინახე. ამის შემდეგ დავეწიე ჯოვანის და როზეტას, რომლებიც უკვე ქუჩაში მიცდიდნენ.

სახლის წინ ეტლი იდგა. ჯოვანი არ ატარებდა თავის სატვირთო მანქანას, რომლითაც საერთოდ ნახშირი დაჰქონდა, ეშინოდა არ ჩამოერთმიათ. იგი მოგვეხმარა ეტლში ჩასხდომისას, თვითონაც დაჯდა და დავიძარით. მე უნებურად მოვბრუნდი, რომ კიდევ ერთხელ დამენახა გზაჯვარედინი, სახლი და დუქანი; საშინელმა წინაგრძნობამ შემიპყრო. ეფიქრობდი, რომ არასოდეს აღარ დავბრუნდებოდი. ღამე ილეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო. ჰაერს მტრედისფერი დაჰკრავდა და ამ მტრედისფერ ჰაერში, კუთხეში ჩვენი სახლი დავინახე. ფანჯრები დაკეტილი იყო, რკინის დარაბები დუქანში ჩაძოშვებული. ჩვენი სახლის პირდაპირ, კუთხის სახლს მეორე სართულის სიმაღლეზე მედალიონის ფორმის ნიში ჰქონდა დატანებული. იქ სიღრმეში შუშის ქვეშ მადონას გამოსახულება იდგა ოქროს დაშნებით გარშემორტყმული. მადონას წინ კი ჩაუქრობელი ლამპარი ენთო. ჩემი დაბრუნების იმედი ცოტათი ამ ლამპარს წააგავდა, რომელიც ომისა და გამეფებული შიმშილის მიუხედავად, მაინც ბჟუტავდა. ამან მხნეობა შემმატა. სახლ-კარს მოშორებულს დაბრუნების იმედი გამითბობს გულს. ბინდბუნდში ჩვენი გზაჯვარედინი მსახიობების წასვლის შემდეგ თეატრის დაცარიელებულ სცენას გავდა. მაშინვე შეამჩნევდით, რომ ამ სახლებში ღარიბები ცხოვრობდნენ: ეს სახლები კი არა, ქოხმახები იყო — ოდნავ გადაღრეცილი, ისინი თითქოს ერთმანეთს მხარში ედგნენ; განსაკუთრებით ქვედა სართულები იყო შემოძარცული, იქ, სადაც კედლებს მანქანები და ურიკები ეჯახებოდნენ. სწორედ ჩემი დუქნის გვერდით ჯოვანის სარდაფი იყო. შესასვლელთან სრულიად შავი კედელი ღუმელის ხვრელს წააგავდა. ახლა ეს სიშავე კარგად ჩანდა და რატომღაც სევდიან ფიქრებს იწვევდა ჩემში. უნებურად გამახსენდა, რომ ძველად, მშვიდობიანობის დროს, ამ გზაჯვარედინზე მუდამ ხალხი ირეოდა. კარების წინ, ჩალის სკამებზე ისხდნენ ქალები, ქვაფენილზე დახტოდნენ კატები, თოკზე ხტუნაობდნენ და კლასობანას თამაშობდნენ ბავშვები. ყმაწვილები სახელოსნოში მუშაობდნენ ან ტრატორიაში შედიოდნენ, რომელიც ყოველთვის ხალხით იყო სავსე. წარმოვიდგინე ეს სურათი და გული შემეკუმშა. ვიგრძენი, თუ რამდენად ძვირფასი იყო ჩემთვის ეს ქოხმახები, ეს გზაჯვარედინი. შეიძლება იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება აქ გავატარე. როცა ჩამოვედი, სრულიად ნორჩი გოგო ვიყავი. ახლა კი მომწიფებული ქალი ვარ და მოსწრებული შვილიც მყავს.

— ნუთუ არც კი შეხედავ ჩვენს სახლსა და დუქანს, — ეუთხარი როზეტას.

— დამშვიდდი, დედა, შენ თვითონ არ ამბობ, რომ ორ კვირაში დაებრუნდებით? — მიპასუხა მან.

ამოვიოხრე და აღარაფერი ვუპასუხე. ტიბრის მიმართულებით მივდიოდით. პირდაპირ ვიყურებოდი. აღარ ვიხედებოდი ჩვენი გზაჯვარედინისაკენ. ქუჩები ცარიელი იყო, ნაცრისფერი ჰაერი შორიდან ოხშივარს წააგავდა, რომელიც ძალიან ჭუჭყიან სარეცხს ასდის ხოლმე რეცხვის დროს. ქვაფენილი ნამისაგან ფოლადივით ბრწყინავდა. ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ძაღლები დაძრწოდნენ. მე შევამჩნიე ხუთი თუ ექვსი მახინჯი, მშიერი და ჭუჭყიანი ძაღლი, ისინი კუთხეებს სუნავდნენ და შარდავდნენ კედლებთან პირდაპირ ომის მომწოდებელ პლაკატების ნაგლეჯებზე. გარიბალდის ხიდით ტიბრზე გადავედით, გავიარეთ ვია არენულა, არგენტინისა და ვენეციის მოედნები. მუსოლინის სასახლის აივანზე ეკიდა ისეთივე შავი დროშა, როგორც რამდენიმე დღის წინ კოლონას მოედანზე ვნახე. შესასვლელთან ორი შეიარაღებული ფაშისტი იდგა. მოედანზე არავინ იყო და იგი ჩვეულებრივზე უფრო დიდი ჩანდა. ჯერ ვერ შევამჩნიე შავ დროშაზე ფაშისტური ოქროს ემბლემა და ვიფიქრე, ეს სამგლოვიარო დროშაა-მეთქი. ნიავი არ ქროდა, დროშა ჩამოშვებული იყო და შავ ძონძს წააგავდა, რომელსაც კარებთან ჰკიდებენ, როცა ოჯახში მიცვალებული ჰყავთ. მაგრამ მერე დროშის ნაოჭებში შევამჩნიე ფაშისტური ემბლემა და მივხვდი, რომ ეს მუსოლინის დროშა იყო.

— განა მუსოლინი დაბრუნდა? — ვკითხე ჯოვანის.

ჯოვანის პირიდან სიგარა არ გამოუღია, ისე მიპასუხა აღტაცებით:

— დაბრუნდა და იმედი მაქვს, რომ სამუდამოდ აქ დარჩება.

ასეთმა პასუხმა ძალიან გამაკვირვა. ვიცოდი, რომ ჯოვანის არ უყვარდა მუსოლინი, ყოველთვის მაკვირვებდა ჯოვანის ლაპარაკი და ვერასოდეს ვერ ვხვდებოდი რას ფიქრობდა: უცბად გვერდში მუჯლუგუნი ვიგრძენი და დავინახე, რომ მისი სიტყვები ჩემთვის კი არ იყო ნათქვამი, არამედ მეეტლისათვის. ასეთი სიფრთხილე ზედმეტად მომეჩვენა. მეეტლე კარგი მოხუცი ჩანდა, ჩაჩიდან გაწეწილი თმები მოუჩანდა, იგი ფაშისტების ჯაშუშს კი არა, ჩემს ბაბუას მაგონებდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

შევუხვიეთ ნაციონალეზე. ინათა, ნერონის კოშკის უკან მზემ

ამოჰყო თავი, მივუახლოვდით სადგურს და შიგ შეეედით. იქ ბნელოდა და ლამპები ენთო, თითქოს გარეთ ჯერ კიდევ ღამეაო. სადგური სავსე იყო უმეტესად ჩვენსავით უბრალო, ჩემოდნებითა და ფუთებით დატვირთული ხალხით, მაგრამ ბევრი გერმანელი ჯარისკაცი იყო თოფებითა და ზურგჩანთებით. ისინი ბნელ კუთხეში შეჯგუფულიყვნენ. ჯოვანი ბილეთების საყიდლად წავიდა, ჩვენ კი ჩემოდნებით სადგურის შუაგულში დაგვტოვა. სანამ ველოდებოდით, უეცრად საშინელი რახრახი გაისმა და პირდაპირ ბაქანზე მთლად შავებში გამოწყობილი ათიოდე მოტოციკლისტი შემოგრიალდა. ნამდვილი ქაჯები იყვნენ. შავი დროშა ვენეციის მოედანზე და შავებში გამოწყობილი ეს ხალხი ჭეშმარიტად საზარელი მეჩვენა. რად უნდოდათ ეს შავი ფერი? რატომ უნდა იყოს ყველაფერი შავი? ამ მამაძაღლებმა თავიანთი წყეული შავი ფერით უბედურება მოგვიტანეს — გავიფიქრე მე.

ისინი ჩამოქვეითდნენ, მოტოციკლეტები სვეტებიან შესასვლელთან მიაყუდეს და კარებთან ჩამწკრივდნენ, სახე შავი ტყავის პირსაბურავებით ჰქონდათ დაფარული, ხელები ქამრებში გარჭობილ დამბაჩებზე ეწყოთ. უცბად მომეჩვენა, მოტოციკლისტები ალბათ იმიტომ მოვიდნენ, რომ გასასვლელები ჩაეკეტათ და ყველა დაეპატიმრებინათ, როგორც ამას ხშირად სჩადიოდნენ ხოლმე. ხალხი მიჰყავდათ და მერე არავინ იცოდა სად აქრობდნენ. შიშისაგან სუნთქვა შემეკრა, გულისცემა ამიჩქარდა, მივიხედ-მოვიხედე, საით გავქცეულიყავი. ამ დროს დავინახე ბაქნიდან სადგურში შემოსული კაცების ჯგუფი. სხვები უყვიროდნენ ხალხს:

— დაიშალეთ, გზა, გზა!

მივხვდი, რომ მოტოციკლისტები მაღალი თანამდებობის პირს ხვდებოდნენ. ხალხი ჩამომეფარა და ვერ დავინახე ვინ იყო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გავიგონე ამ წყეული მოტოციკლეტების გრუხუნი და მივხვდი, რომ მაღალი თანამდებობის პირის მანქანას გაჰყვნენ უკან.

ბოლოს ჯოვანიც მოვიდა და თქვა, რომ ბილეთები ფონდიმდე იყიდა, საიდანაც ჩვენს სოფლამდე ერთი მთაღა იყო გადასავლელი. გამოვედი ვოგზლიდან ბაქანზე და გავემართეთ მატარებლისაკენ. ეზე კაშკაშებდა და ბაქანს ირიბ სხივებს აფენდა, როგორც ეს საავადმყოფოს პალატებსა ან ციხის ეზოებში ხდება ხოლმე. აქ კაცის ჭაჭანება არ იყო

და გრძელი მატარებელიც ცარიელი ჩანდა. მაგრამ როცა შიგ შევედით დავინახეთ, რომ ვაგონები სავსეა თავით ფეხებამდე შეიარაღებული გერმანელი ჯარისკაცებით, რომლებსაც ავალებზე ჩამოფხატული მუზარადები და ლაჯებში ამოჩრილი თოფები ჰქონდათ. არ ვიცი, რამდენი იყვნენ, ჩვენ ვაგონიდან ვაგონში გადავდიოდით და ყოველ კუპეში გვხვდებოდა რვა-რვა გერმანელი ჯარისკაცი მთელი ამუნიციით, უძრავი და მდუმარე, თითქოს ნაბრძანები ჰქონდათ არც განძრეულიყვნენ და არც ელაპარაკათ. ბოლოს მესამე კლასის ერთ ვაგონში იტალიელები ვნახეთ, კუპეში და დერეფანში ტევა აღარ იყო, თითქოს დასაკლავად გამზადებული პირუტყვი მიჰყავდათ, რომელზეც არავინ ფიქრობს, რადგან სულ ერთია, მაინც მალე დახოცავენ. იტალიელებიც ჩუმად ისხდნენ და არ ინძრეოდნენ, მაგრამ სჩანდა, რომ ისინი სასოწარკვეთილებისა და დაღლილობისაგან იყვნენ დადუმებულნი. გერმანელები კი ყოველ წუთს მზად იყვნენ გადმომხტარიყვნენ მატარებლიდან და ბრძოლა დაეწყოთ. როზეტას ვუთხარი:

— აი ნახავ, თუ ფეხზე არ მოგვიხდეს მგზავრობა...

ასეც მოხდა, მთელი ვაგონი შემოვიარეთ. ჭუჭყიან ფანჯრებში შემოსულმა მზის სხივებმა გაახურა ჰაერი. როგორც იქნა, ჩემოდნები საპირფარეშოსთან გასასვლელში დავდგით და ზედ დავსხედით. ჯოვანიმ, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენთან იყო, თქვა:

— უმჯობესია წავიდე, თორემ მატარებელი მალე დაიძრება.

მაგრამ ჩვენს გვერდით ჩემოდანზე მჯდომმა, მთლად შავებში გამოწყობილმა ვიღაც მოღუშულმა კაცმა, თავაუღებლად უპასუხა:

— მალე არა, ის არ გინდა! ჩვენ უკვე სამი საათია ვზივართ აქ.

ჯოვანი მაინც გამოგვემშვიდობა, როზეტას ორივე ლოყაზე აკოცა, მე კი პირის კუთხეში (შეიძლება მას ტუჩებში კოცნა უნდოდა, მაგრამ დროზე მოვტრიალდი).

ჯოვანი წავიდა, მე და როზეტა კი ჩემოდნებზე დავრჩით. მე დიდ ჩემოდანზე ვიჯექი, ის კი პატარაზე და თავი ჩემს მუხლებზე ედო. ნახევარი საათის შემდეგ როზეტამ მკითხა:

— როდის წავალთ, დედა?

— მე განა შენზე მეტი ვიცი, შვილო?

არ მახსოვს რამდენი ხანი ვიყავი ასე გაუნძრევლად და ჩემზე მოყრდნობილ როზეტას ვიხუტებდი. ხალხი დერეფანში ყვინთავდა, ზოგი ოხრავდა. მზე კი სულ უფრო და უფრო ახურებდა ჰაერს. ბაქნიდან

ჩამიჩუმი არ ისმოდა. გერმანელებიც არ იღებდნენ ხმას, თითქოს აქ არ იყვნენ. მაგრამ უცბად მეზობელ კუპეში სიმღერა გაისმა, ვერ ვიტყვი, რომ ცუდად მღეროდნენ, მართალია, ხმები დაბალი და ჩრინწიანი ჰქონდათ, მაგრამ შეწყობილი. ხშირად მომისმენია რა ხალისიანად მღერიან ჭგზავრობის დროს ჩვენი ჯარისკაცები, გერმანელების სიმღერამ კი დამანაღვლიანა. ეს სიმღერა (თუმცა მათი ენა არ მესმოდა) ძალიან სევდიანი მომეჩვენა. ისინი ნელა მღეროდნენ, თითქოს მაინც და მაინც არც ჭათ ეხალისებოდათ ომში წასვლა. მათმა სიმღერამ სევდა მომგვარა. ჩემს გვერდით მჯდომ შავებში გამოწყობილ მამაკაცს ვუთხარი:

— არც მათ მოსწონთ ომი, ბოლოს და ბოლოს ისინიც ხომ ადამიანები არიან... მოუსმინე, როგორ სევდიანად მღერიან.

მან კი ბუზღუნით მიპასუხა:

— შენ არ გესმის... ეს მათი ჰიმნია, როგორც ჩვენი „მეფის ჭარში", — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა: — ახლა ნამდვილად მარტო ჩვენ, იტალიელები თუ ვნაღვლობთ.

უცბად უნიშნოდ და უსაყვიროდ, თითქოს შემთხვევით მატარებელი დაიძრა. მინდოდა კიდევ ერთხელ მელოცა, მეთხოვა ჭადონასათვის ყველა მოსალოდნელი საფრთხისაგან ჩემი და როზეტას დაცვა, მაგრამ უცბად ისე მომერია ძილი, რომ ძალა აღარ მეყო სალოცავად. მხოლოდ გაფიქრება მოვასწარი „ეს ჭამაძაღლები"... არ ვიცი კი ვის ეხებოდა — ინგლისელებს, გერმანელებს, ფაშისტებს თუ იტალიელებს, იქნებ ცოტ-ცოტა ყველას ეხებოდა. ამ ფიქრებში ჩამეძინა.

თავი მეოთხე

ალბათ ერთ საათს მეძინა. როდესაც გავიღვიძე, მატარებელი იდგა და გარშემო სიჩუმე გამეფებულიყო, ვაგონში კი სიცხისაგან სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. როზეტას ფანჯარაში თავი გაეყო და რაღაცას უყურებდა. ვაგონის გასწვრივ ფანჯრებთან მგზავრები ჩამწკრივებულიყვნენ. ძილისაგან დაოსებული და გაოფლიანებული ვიყავი. ძლივს ავდექი და ფანჯარასთან მივედი. მზე კაშკაშებდა, ცა ლურჯი იყო, გარშემო ვენახებით დაფარული მწვანე ბორცვები გადაშლილიყო. ერთერთ ბორცვზე, მატარებლის პირდაპირ, ცეცხლში გახვეული თეთრი

სახლი იდგა. სახლის ფანჯრებიდან ცეცხლი და ბოლი სცემდა. გარშემო კი ყოველივე უძრავი და მდუმარეა, მშვენიერი ზაფხულის დღეა, ირგვლივ ადამიანიშვილი არა ჩანს. უცბად ვაგონში ვიღაცამ დაიყვირა:

— აგერ, აგერ ის!

ცაში ავიხედე და დავინახე შავი მწერი, რომელიც ჩქარა თვითმფრინავად იქცა და გაქრა. თითქმის იმ წამსვე მატარებლის თავზე მოტორის ხმაური და ლითონის გრუხუნი გაისმა, თითქოს საკერავი მანქანა კაკანებდა. გრუხუნი თანდათან მიყუჩდა და შეწყდა. მაშინვე, სულ ახლოს, ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. ვაგონში ჩემს გარდა, ყველანი იატაკზე გაწვნენ, მე ვერც კი მოვასწარი ამის გაფიქრება. დავინახე, რომ სახლი ნაცრისფერმა კვამლმა შთანთქა, რომელიც მთაზე მიიზლაზნებოდა და ბოლქვებად ეშვებოდა მატარებლისაკენ. ირგვლივ ისევ სიჩუმე გამეფდა. ხალხი დგებოდა იატაკიდან, არა სჯეროდათ, რომ ცოცხლები დარჩნენ. მაშინვე კვლავ ვივიდნენ ფანჯრებთან და ცქერა დაიწყეს. ჰაერში მტვერი იდგა, ფილტვებში ჩადიოდა და ხველას იწვევდა. ღრუბლები გაიფანტა და დავინახეთ, რომ თეთრი სახლი გაქრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა.

ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი იყო ჩვენი მგზავრობის დროს. მატარებელი ყოველ წუთს ჩერდებოდა, თანაც აუცილებლად გაშლილ ადგილას. ხანდახან მთელი საათი იდგა, მერე კი ისევ მიიწევდა წინ. ამიტომ მგზავრობა, რომელიც ჩვეულებრივ ორ საათს გრძელდებოდა, ექვსი საათი გაგრძელდა. თეთრი სახლის აფეთქების შემდეგ, როცა მატარებელი დაიძრა, როზეტამ, რომელსაც რომში სასტიკად ეშინოდა დაბომბვისა, თქვა:

— ქალაქგარეთ ისე არ მეშინია, როგორც რომში. აქ იმდენი ჰაერი და მზეა. რომში ძალიან მეშინოდა სახლი არ ჩამოგვენგრეს-მეთქი თავზე. აქ კი, თუ მოვკვდები, მზეს მაინც დავინახავ.

მაშინ ჩვენთან ერთად დერეფანში მყოფმა მგზავრმა თქვა:

— ნეაპოლში მინახავს მზეზე დახოცილები, ისინი დაბომბვის შემდეგ ტროტუარზე ეყარნენ ორ წყებად და ჭუჭყიანი ძონძების გროვას გავდნენ, თუმცა სიკვდილის წინ მზეს უყურებდნენ.

— როგორც ნეაპოლურ სიმღერაშია: — „მე ვიცნობ მზეს“, — ჩაიქირქილა მეორემ, მაგრამ მას მხარი არავინ დაუჭირა, ხუმრობის თავი არავის ჰქონდა და მთელი გზა ყველანი ვდუმდით.

მატარებლიდან ფონდიში უნდა ჩამოვსულიყავით და ტერაჩინის

მერე როზეტა გავაფრთხილე მზად ყოფილიყო. ჩემი მშობლების სოფელი მთებში, ვალეკორსის ახლო მდებარეობდა. ფონდიდან იქამდე მისვლას ავტომანქანით ერთი საათი უნდოდა, მაგრამ ბორცვთან, რომლის შემდეგაც ფონდის დაბლობი იწყება, ჩვენი მატარებელი სწორედ სოფელ მონტე-სან ბიაჯოს პირდაპირ გაჩერდა და დავინახე, რომ ყველანი ჩავიდნენ, გერმანელები ჯერ კიდევ ადრე, ტერაჩინიში გადავიდნენ და მატარებელში მხოლოდ იტალიელები დარჩნენ. ახლა კი ისინიც ჩავიდნენ და მარტო მე და როზეტა დავრჩით ცარიელ კუპეში. უცბად როგორღაც თავისუფლად ამოვისუნთქე. მშვენიერი დარი იდგა. ფონდიში მალე უნდა მივსულიყავით, იქიდან კი ჩემს მშობლებთან. მატარებელი იდგა, მაგრამ მე უკვე მივეჩვიე ამას და არ მიკვირდა, ოღონდ როზეტას ვუთხარი:

— აი ნახავ, სოფელში სულ სხვანაირად იგრძნობ თავს, იძინებ, სჭამ და ყველაფერი რიგზე იქნება. ველაპარაკებოდი, თუ რას გავაკეთებდით სოფელში, მატარებელი კი არ იძროდა. პირველი ან ორი საათი იქნებოდა, ხაშინელი სიცხე იდგა.

— მოდი ვისაუზმოთ, — შევთავაზე როზეტას. გავხსენი ჩემოდანი, რომელშიც პროდუქტები მქონდა და ორი ბუტერბროდი მოვამზადე.

თან ერთი ბოთლი ღვინოც წამოვიღე. პატარა ჭიქა როზეტას დავუსხი და მეც დავლიე. საშინლად ცხელოდა და გარშემო არაჩვეულებრივი სიჩუმე იდგა, ფანჯრიდან სადგურის გარშემო მტვრისგან გათეთრებული, მზით დახრუკული ჭადრები მოჩანდა. მათ ფოთლებში ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ თითქოს სექტემბერი კი არა, აგვისტო ჰდგარიყოს. ეს ნამდვილი სოფელი იყო, სოფელი, სადაც მე დავიბადე და 16 წლამდე ვცხოვრობდი. და იყო იგი ისეთივე, როგორიც მახსოვდა, გახურებული მტვრის, მშრალი ნეხვისა და შეტრუსული ბალახის სუნით სავსე.

შევაწყვე ფეხები სკამზე და უნებურად წამოვიძახე:

— რა კარგია! გესმის ეს სიჩუმე? ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომიდან რომ წამოვედით.

ამ დროს კუპეს კარი გაიღო და ვიღაცამ შემოიხედა.

ეს იყო მაღალი, შავგვრემანი, გაუპარსავი რკინიგზელი, შეხსნილი ქურთუკით და გვერდზე მოქცეული ქუდით. ის შემოვიდა და სერიოზულად, თითქოს გაჯავრებით გვითხრა:

— შეგერგოთ.

როგორც ყველანი იმ ხანებში, ისიც ᲐᲨიერი მეგონა, მივუთითე დაკრილ ძეხვზე და ვუთხარი:

— ხომ არა გნებავთ?

მაგრამ მან უფრო გაჯავრებით თქვა:

— ეშმაკს ნებავს! გადადით ახლავე!

— ჩვენ ფონდიში მივდივართ, — ვუთხარი მე და გავუწოდე ბილეთები, რომლებსაც მან არც კი შეხედა.

— თქვენ რა, ვერ ნახეთ, რომ ყველა ჩავიდა? მატარებელი აღარ წავა.

— როგორ, ფონდიმდე არ მივალთ?

— რა დროს ფონდია, გზა გადაკრილია. — და ცოტა უფრო თავაზიანად დაუმატა: — აქედან ფონდიმდე ნახევარი საათის სავალია, უნდა ჩამოხვიდეთ, მატარებელი მალე რომში დაბრუნდება.

ამ სიტყვებით იგი გავიდა და კარი გაიჯახუნა.

ჩვენ გავქვავდით, ვისხედით ბუტერბროდებით ხელში და ერთმანეთს შევყურებდით.

— ცუდადაა ჩვენი საქმე, — ვუთხარი როზეტას.

როზეტა თითქოს მიმიხვდა ფიქრს და მითხრა:

— არა უშავს, დედა, ᲐᲬოდი მატარებლიდან ჩავიდეთ და მანქანა მოვძებნოთ.

მე არ ვუსმენდი, ჩამოვიღე ჩემოდნები, გავაღე კარი და გადმოვედი ვაგონიდან.

არც ბაქანზე, არც სადგურში, არც სადგურის მოედანზე არავინ არ იყო. მოედნიდან მიდიოდა სწორი, მზისგან თვალისმომჭრელად თეთრი და ძალზე მტვრიანი შარა. გზის გაყოლებით მტვრით დაფარული მეჩხერი ხეების ცოცხალი ღობე იყო. სიცხისა და ღელვისაგან ხახა გამიშრა: მოედნის კუთხეში შადრევანი შევამჩნიე და წყლის დასალევად მივედი, მაგრამ შადრევანი გამშრალი აღმოჩნდა. როზეტა შეშინებული სახით იდგა ჩემს გვერდით.

— რა ვქნათ, დედა? — მკითხა მან.

ამ ადგილებს კარგად ვიცნობდი. ეს გზა პირდაპირ ფონდიში მიდიოდა.

— წავიდეთ, შვილო, მეტი რა გზაა.

— ჩემოდნები?

— წავიღოთ.

როზეტამ არაფერი მიპასუხა, მხოლოდ გაკვირვებით შეხედა ჩემოდნებს, ვერ გაეგო, როგორ უნდა წაგვეღო ისინი. გავაღე ერთი ჩემოდანი, ამოვიღე ორი ხელსახოცი, დავგრიხე და დავახვიე. ქალიშვილობაში ხშირად დამქონდა ტვირთი თავით, ხანდახან ორმოცდაათი კილოს ტარებაც კი მიხდებოდა. მოვამზადე თავზე დასადები და ვუთხარი:

— ახლა დედა გაჩვენებს როგორ კეთდება ეს.

როზეტა დამშვიდდა და გამიღიმა.

დახვეული ხელსახოცი თავზე დავიდე, შუბლზე ჩამოვიწიე და ვუთხარი როზეტას ასევე მოქცეულიყო. შემდეგ ფეხზე გავიხადეთ. ამ სამზადისის შემდეგ თავზე ყველაზე დიდი ჩემოდანი დავიდგი, მერე საშუალო, მერე კი საქმლის ბოხჩა, როზეტას ყველაზე პატარა ჩემოდანი მივეცი, ავუხსენი, რომ წელში გამართულს ევლო და ცალი ხელით ჩემოდნის კუთხე დაეჭირა. მან ყველაფერს უცბად აუღო ალღო და ჩემოდნით თავზე წინ წავიდა, მე კი გავიფიქრე: „მართალია, რომში დაიბადა, მაგრამ მის ძარღვებში ჩოჩარეთის ქალების სისხლი ჩქეფს“. ფეხშიშველები, თავზე დადგმული ჩემოდნებით მივყვებოდით აქა-იქ ბალახით დაფარულ გზის პირს.

გზა გრძელი და უკაცრიელი იყო. მინდვრებში არც ერთი სულიერი არ ჩანდა. ქალაქის მცხოვრები, რომელიც კარგად არ იცნობს სოფელს, ამ მინდვრებში ვერაფერს უჩვეულოს ვერ დაინახავდა. მაგრამ მე ქალაქში ჩასვლამდე გლეხის ქალი ვიყავი და თვალში მეცა ეს სიცარიელე. რთველობა დიდი ხანია გადასულიყო, გადამწიფებული, კალიებისა და ხვლიკებისაგან შეჭმული მტევნები კი გაყვითლებულ ფოთლებს შორის კვლავ მოსჩანდა. ზოგი მტევანი უკვე ჩამუქებულიყო და ლპობა დაეწყო. ჩაწოლილი და სარეველამოდებული სიმინდი ალაგ-ალაგ გადახლართულიყო, მწიფე ტაროები ყვითლად იჭყიტებოდნენ, ლეღვების გარშემო მიწა გადამწიფებული, დახეთქილი და ჩიტების ნაკენკი ნაყოფით იყო მოფენილი. მინდვრებში არავინ იყო, ეტყობა გლეხები გაქცეულიყვნენ. დარი კი მშვენიერი იდგა, წყნარი, თბილი; მოსავალი ხალხს ასაღებად უხმობდა. ასეთია ომი, — გავიფიქრე მე. — თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად არის, შიგნით კი ომის მატლი გაჩენილა, შეშინებული ხალხი გარბის, გულგრილი ბუნება კი

ძველებურად იძლევა თავის ნაყოფს — ხილს, პურს, ბალახს, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს.

ფონდის მივუახლოვდით დაღლილები, დაბნეულები, ყელგამშრალები, მტვერში ფეხებამოგანგლულები.

— სამიკიტნოში შევიდეთ, ვჭამოთ და დავლიოთ რამე, ცოტა დავისვენოთ, მერე კი მოვძებნოთ მანქანა ან ფორანი, რომელიც ბაბუასთან წაგვიყვანს.

მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ: ვერც სამიკიტნო, ვერც მანქანა, ვერც ფორანი. შევედით თუ არა ფონდიში, შევამჩნიეთ, რომ ქალაქი ცარიელია. მცხოვრებლებს მიეტოვებინათ იგი. ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მაღაზიების დაკეტილ კარებზე აქა-იქ ქაღალდის ნაგლეჯი მიეკრათ, რომელზეც ეწერა, რომ მაღაზიის პატრონი წასულია. სახლების კარები და ჭიშკრები დახშული იყო, ფანჯრები და სარკმლები დაგმანული, თითქოს ქალაქის მცხოვრებნი რაღაც მოარულ სენს გაეწყვიტა.

ამ დროს, ასეთ კარგ ამინდში, ფონდიში ყოველთვის ბევრი ხალხია ხოლმე. ქუჩაში ირევიან ქალები, კაცები, ბავშვები, კატები, ძაღლები, ვირები, ცხენები, ქათმები. ყველა თავის საქმეზე მიდის, ან სეირნობს, ან კაფეში შედის, სხედან სახლების წინ. მზის სხივებში, რომლებიც შენობების ფასადებსა და ქვაფენილს ეცემოდა, ზოგიერთ შესახვევს თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა, მაგრამ როცა დავაკვირდებოდით, ვხედავდით ისეთსავე დახშულ დარაბებს, ფანჯრებსა და ჩაკეტილ კარებს. ქვაფენილზე მოელვარე მზის სხივები გამოუცნობ შიშს გვგვრიდა, ხოლო ყველგან გამეფებული დუმილი და ჩვენივე ფეხის ხმა ცარიელ ქუჩებში აძლიერებდა ამ შიშს. მე ვჩერდებოდი, ვაბრახუნებდი კარზე, ვიძახოდი, მაგრამ არავინ მიღებდა, არავინ ეხმაურებოდა ჩემს ძახილს. ასე მივედით სამიკიტნო „მამლამდე". მის ხის აბრაზე დახატული იყო გახუნებული და გაპუტული მამალი. მწვანედ შეღებილი ძველი კარები ძველებური საკეტით და გასაღების დიდრონი ჭუჭრუტანით დაკეტილი აღმოჩნდა. მე შევიხედე ამ ჭუჭრუტანაში და ბნელი ოთახი დავინახე. ფანჯრიდან, რომელიც ეზოში გადიოდა, მზით განათებული ვენახი მოჩანდა. მწვანით შემოსილ ფანჩატურში შავი მტევნები ეკიდა. მაგიდის გარდა, რომელსაც მზის სხივი ეცემოდა, ოთახში არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. აქაც არავინ იყო. მიკიტანი სხვებთან ერთად გაქცეულიყო.

ეგეც შენი სოფელი, ეს ხომ რომზე უარესია! როგორ შევცდი, რომ ვოცნებობდი სოფელში მეპოვნა ის, რაც რომში არ იყო.

როზეტას ვუთხარი:

— იცი რა? ცოტა დავისვენოთ, მერე წავიდეთ ისევ სადგურში და რომში დავბრუნდეთ.

რა კარგი იქნებოდა, რომ ასე მოვქცეულიყავით, მაგრამ დავინახე თუ არა როზეტას შეშინებული სახე, რომელსაც მაშინვე გაახსენდა დაბომბვა, საჩქაროდ დავუმატე:

— მაგრამ ვიდრე ჩვენს გეგმებზე ვიტყოდეთ უარს, ერთი რამ კიდევ ვცადოთ. ჩვენ მხოლოდ ფონდი ვნახეთ. ახლა თავშესაფარი ნამდვილ სოფელში მოვძებნოთ. ეგებ რომელიმე გლეხმა ორი დღით შეგვინახოს, მერე კი ვნახოთ როგორ მოვიქცეთ.

დავსხედით ქვის გალავანზე და ცოტა დავისვენეთ. ლაპარაკის თავი არ გვქონდა, ჩვენივე ხმა გვაკრთობდა, რომელიც მიტოვებული ქალაქის მყუდროებას არღვევდა. როცა დავისვენეთ, კვლავ დავიდგით თავზე ჩემოდნები და გამოვედით ქალაქიდან იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რომლითაც მოვედით. ნახევარი საათი შარაგზაზე ვივდიოდით. მზე უწყალოდ აჭერდა. გზა, ისევე, როგორც ფონდიმდე, დაფარული იყო ფქვილივით თეთრი მტვრით. როგორც კი ფორთოხლის ბაღები დაიწყო, პირველივე ბილიკს დავადექი და ვიფიქრე, სადმე მიგვიყვანს-მეთქი, სოფელში ხომ ყველა ბილიკი სადმე მიგიყვანს. ფორთოხლის ხეები ძალიან მჭიდროდ იყო დარგული, ფოთლები სუფთა და უმტვერო, ხეების ქვეშ კი ეშვენიერი ჩრდილი იდგა. შარაგზის მომქანცველი სიცხისა და მტვრის შემდეგ აქ შესამჩნევად გავმხნევდით. ბილიკი ხეებს შორის მიიკლაკნებოდა და როზეტამ უეცრად მკითხა:

— დედა, ფორთოხალს როდის კრეფენ?

— კრეფას ნოემბერში იწყებენ, ნახავ, რა ტკბილი ნაყოფი აქვს.

ვთქვი ეს და ენა მოვიკვნიტე: სექტემბრის ბოლო იყო, მე კი როზეტას სულ იმას ვეუბნებოდი, მხოლოდ ათი დღით მივდივართ-მეთქი რომიდან, თუმცა გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ეს ასე არ იქნებოდა, და უცბად წამომცდა. საბედნიეროდ, როზეტამ ეს ვერ შეამჩნია და ჩვენ გზა განვაგრძეთ.

ბილიკმა ბოლოს მინდორში გაგვიყვანა, მის შუაგულში იდგა ოდესღაც ვარდისფერი, ახლა კი სიძველისა და წვიმებისაგან გაშა-

ვებული და შემოძარცული სახლი. ღია კიბე მეორე სართულის აივანზე ადიოდა, სადაც თაღის ქვეშ წიწაკის, ბადრიჯნისა და ხახვის კონები ეკიდა. სახლის წინ მზეზე ლეღვი ხმებოდა. ჩანდა, ამ სახლში გლეხები ცხოვრობდნენ. სახლის პატრონის დაძახება ვერ მოვასწარით, რომ ჩვენს შესახვედრად გამოვიდა გლეხი, რომელმაც ალბათ შეამჩნია, ბილიკზე ვიღაც მოდისო და ჩაგვისაფრდა. იგი ბებერი და ძალიან გამხდარი იყო. პატარა მელოტი თავი, ჩავარდნილი ლოყები, გრძელი ნისკარტისებური ცხვირი, ღრმად ჩამჯდარი თვალები და დაბალი შუბლი ძერას ამსგავსებდა. ხელში ნამგალი ეჭირა, რომლითაც თითქოს თავდაცვას ფიქრობდა.

— ვინ ხართ? რა გინდათ?

არ დავბნეულვარ, რადგან ჩემთან როზეტა იყო, ხოლო როდესაც სუსტი არსება გახლავს, რომელსაც დაცვა სჭირდება, ყოველთვის ძალა გემატება. ვუთხარი, რომ არაფერი არ გვინდა, თან დავუმატე ლენოლიდან ვართ-მეთქი. ამით დიდი ცოდვა არ ჩამიდენია, რადგან მართლაც ლენოლის ახლოს დავიბადე. მერე ვუთხარი — დიდი გზა გამოვიარეთ და ძალიან დავიღალეთ, თუ ოთახს მოგვაქირავებ, სასტუმროს ფასს გადაგიხდით-მეთქი. იგი ფეხებგაჩაჩხული იდგა და მისმენდა. დახეული შარვალი, დაკერებული ქურთუკი და ნამგალი ბოსტნის საფრთხობელას ამსგავსებდა. ვფიქრობ, ჩემი ნათქვამიდან მხოლოდ ის გაიგო, რომ ფულს არ დავიშურებ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მოისულელებდა და მოგების გარდა არაფერი არ აინტერესებდა. მაგრამ მოგების საკითხშიც ძლივს ერკვეოდა. დიდი დრო დამჭირდა, რომ გამეგებინებინა მისთვის რამე. ის სულ იმეორებდა:

— ოთახი არა გვაქვს. გადაიხდით? მაგრამ რით?

ვშიშობდი მასთან ფულის ამოღებას ქვედატანის ჯიბიდან. ხომ იცით, ომის დროს ყველა ქურდი და კაცისმკვლელი ხდება. ხოლო ეს კაცი ისედაც წააგავდა ქურდსა და კაცისმკვლელს. ამიტომ ვუმეორებდი, რომ აუცილებლად გადავუხდიდი ფულს, რათა დამშვიდებულიყო. მაგრამ მას არაფერი არ ეყურებოდა. როზეტა სახელოზე მეწეოდა, რომ წავსულიყავით. საბედნიეროდ, ამ დროს მისი ცოლიც მოვიდა, მასზე ბევრად ახალგაზრდა, ტანდაბალი, გამხდარი ქალი გაკვირვებული და აღფრთოვანებული სახით და ელვარე თვალებით. იგი უცბად მიხვდა, თუ რა გვინდოდა, თითქმის მომეხვია და წამოიძახა:

— რასაკვირველია, თქვენ ოთახი გჭირდებათ, რასაკვირველია!

ჩვენ აივანზე ან საბძელში დავიძინებთ, შენ კი ჩვენს ოთახს დაგითმობთ. სანოვაგე გვაქვს, ერთად ვისადილებთ, რასაკვირველია, საჭმელი უბრალო, სოფლური იქნება, მაგრამ ერთად ვჭამოთ.

ქმარი განზე გადგა და ჰოღუშული გვიყურებდა. ”იგი ავადმყოფ ინდაურს გავდა, როცა ის თვალებს ატრიალებს, არ კენკავს და უკმაყოფილოდ იფხორება ხოლმე. ცოლმა ხელი მომკიდა და გაუთავებლად ქაქანებდა:

— წამოდი, გაჩვენებ ოთახს, რაღას უყურებ, წამოდი, ჩემს ლოგინს დაგითმობ; მე და ჩემი ქმარი კი აივანზე დავიძინებთ, — და ჭან კიბით მეორე სართულზე აგვიყვანა.

ასე დაიწყო ჩვენი ცხოვრება კონჩიტასთან. ამ ქალს კონჩიტა ერქვა, ქმარს კი ვინჩენცო და ცოლზე ოცი წლით უფროსი იყო. ისინი კომერსანტ ფესტას მონახევრენი იყვნენ, რომელიც სხვებთან ერთად გაქცეულიყო ქალაქიდან და ახლა ერთ-ერთ მთაზე, ქოხში ცხოვრობდა. მათ ორი შვილი ჰყავდათ — როზარიო და ჯუზეპე; ორივენი შავგვრემანები იყვნენ, უხეში ნაკვთები, ვიწრო შუბლი და პატარა თვალები ჰქონდათ. ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ და საერთოდ იშვიათად ჰოდიოდნენ შინ, თურმე იმალებოდნენ, რადგან ომიდან იტალიის გამოსვლის შემდეგ ორივენი ჯარიდან გამოქცეულიყვნენ და აღარ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ნაწილში, როცა ამის ბრძანება გამოსულა. ახლა კი ფაშისტთა პატრულებისა ეშინოდათ, რომლებიც მამაკაცებს გერმანიაში სამუშაოდ გასაგზავნად ეძებდნენ. ისინი ფორთოხლის ბაღებში იმალებოდნენ, შინ მხოლოდ სადილად და ვახშმად მოდიოდნენ, ჩქარ-ჩქარა ჭამდნენ, თითქმის არ ლაპარაკობდნენ და ისევ ჩუმად, ღმერთმა იცის სად, ქრებოდნენ. ჩვენ ზრდილობიანად გვექცეოდნენ მაგრამ მე, რატომღაც, მაინც არ მომწონდა ისინი და რაკი საამისო მიზეზი არ მქონდა, ჩემს თავს უსამართლობისათვის ვკიცხავდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ ინსტინქტი არ მატყუებდა. ისინი მართლაც არამზადები აღმოჩნდნენ.

სახლის ახლო, ფორთოხლის ხეებს შორის რკინის სახურავიანი დიდი მწვანე ფარდული იდგა. კონჩიტამ მითხრა, ამ ფარდულში ფორთოხალს ვინახავთ, როცა მოსავლის აღების დრო დგებაო. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ კრეფის დრო ჯერ არ დამდგარიყო, ხეები ნაყოფით დახუნძლული იდგნენ. მე კი შევამჩნიე, რომ ვინჩენცო კონჩიტასთან და ორივე ვაჟთან ერთად ხშირად რაღაცას აკეთებდნენ ფარდულის

ახლო. ცნობისმოყვარე არა ვარ, მაგრამ როდესაც ქალიშვილთან ერთად ცხოვრობ უცხო ხალხის სახლში და სიმართლე რომ ვთქვათ, მაინც და მაინც არ ენდობი მათ, ცნობისმოყვარეობა აუცილებლობით არის გამოწვეული. ამიტომ, ერთხელ, როდესაც მთელი ოჯახი ფარდულში წავიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ, მეც ფარულად გავყევი უკან. ფარდული მინდორში იდგა, მაგრამ ეს მინდორი გაცილებით პატარა იყო, ვიდრე ის, რომელზეც სახლი ედგათ. ფარდული ძალიან ძველი იყო, არც კი ეტყობოდა რა ფერის იქნებოდა ოდესღაც. ჩავარდნილი სახურავი და ფარღალალა კედლები ჰქონდა. მინდვრის შუაგულში ვინჩენცოს ჯორშებმული ურემი იდგა. ურემზე კი ბევრი სხვადასხვა ნივთი ეწყო: საწოლის ბადეები, ლეიბები, სკამები, პატარა კარადები, რაღაც ბოხჩები. ფარდულის განიერი კარი ფართოდ იყო გაღებული. ვინჩენცოს ვაჟები ხსნიდნენ თოკებს, რომლებითაც ნივთები ურემზე იყო მიკრული. ვინჩენცო, როგორც ყოველთვის, გამოშტერებული სახით განზე, ჯირკზე იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. კონჩეტა ფარდულში იყო, მე ვერ ვხედავდი, მაგრამ მისი ხმა მესმოდა:

— გაინძერით, იჩქარეთ, უკვე გვიანაა.

მუდამ ჩუმი, მოუქნელი და დაშინებული ბიჭები ახლა სრულიად გამოცვლილიყვნენ. მარჯვე, მარდი, საქმიანი და ენერგიულები გამხდარიყვნენ. მე უნებურად გავიფიქრე, რომ ყველა კაცი თავის საქმიანობაში იჩენს თავს. გლეხი — მინდორში, მუშა — ქარხანაში, ვაჭარი — მაღაზიაში, ხოლო, რაღა დასამალია, ქურდი — ნაქურდალის დამალვაში, იმიტომ, რომ ეს ბადეები, სკამები, კარადები, ლეიბები, ბოხჩები — ყველაფერი მოპარული იყო. ამას მაშინვე გუმანით მივხვდი. საღამოს კი კონჩეტამაც დამიდასტურა, როცა მისი ვაჟების წასვლის შემდეგ მხნეობა მოვიკრიბე და უეცრად ვკითხე, ვისი ნივთები გადმოტვირთეთ დღეს ფარდულის წინ-მეთქი? ერთი წუთით იგი დაიბნა, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს და, როგორც ყოველთვის, აღგზნებულად და მხიარულად მიპასუხა:

— მაშ, შენ დაგვინახე? მერე რატომ არ მოხვედი და არ მოგვეხმარე? ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს, სრულიად არაფერი. ეს ნივთები ჩვენ ფონდიდან, ერთი სახლიდან წამოვიღეთ. საბრალო სახლის პატრონი მთებში გაიქცა და, ღმერთმა იცის, როდის ჩამოვა. ნივთები სახლში დატოვა. პირველივე დაბომბვის დროს დაიღუპებოდა, სჯობია ჩვენ გვქონდეს, რაც არ უნდა იყოს, გამოგვადგება. ახლა ომია და

უნდა იცოდე როგორ მოიქცე. რასაც იპოვი, თუ არ აიღებ, დაკარგავ. ასეა, ნათლიდედ. როცა ომი გათავდება, ამ ნივთების პატრონი სახელმწიფოსაგან დანაკარგს აინაზღაურებს და თავისთვის ახალ, უკეთეს ნივთებს იყიდის.

მართალი გითხრათ, განცვიფრებული და შეშინებული ვიყავი. ალბათ გავფითრდი კიდეც, რადგან როზეტამ შემომხედა თუ არა მკითხა:

— რა დაგემართა, დედა?

მე, იმიტომ შემეშინდა, რომ, როგორც ყოველ კომერსანტს, ძალიან განვითარებული მაქვს საკუთრების გრძნობა, გარდა ამისა, ყოველთვის პატიოსნად ვიქცეოდი და ვთვლიდი, რომ ჩემი — ჩემია, შენი კი შენი. ამ ორ ცნებას შორის გაუგებრობა დაუშვებელია, თორემ მთელი ქვეყანა ყირაზე დადგება. ახლა კი ქურდების სახლში მოვხვდი. და რაც ყველაფერზე უარესია, ამ ქურდებს არავისი არ ეშინიათ, რადგან აქ არც კანონია და არც კარაბინერები. უფრო მეტიც, ისინი ტრაბახობენ კიდეც ქურდობით. კონჩეტას არაფერი ვუთხარი, მაგრამ, ეტყობა, შეამჩნია, რომ რაღაც დავფარე და დაუმატა:

— გამიგონე: ჩვენ ეს ნივთები იმიტომ წამოვიღეთ, რომ ისინი, ასე ვთქვათ, არავის არ ეკუთვნის. ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, ჩეზირა, ამას ახლავე დაგიმტკიცებ. აბა დააკაკუნე.

კონჩეტა წამოდგა და დაიწყო კერიის მარცხენა მხარეს სამზარეულოს კედელზე კაკუნი. მეც დავაკაკუნე, კედელი ღრუ აღმოჩნდა. მე ვკითხე:

— რა არის ამ კედელში?

კონჩეტამ აღგზნებულად მიპასუხა:

— იქ ფესტას ავლადიდებაა, ჰთელი განძია, მისი ქალიშვილის მზითევი და ყოველგვარი ნივთები: ზეწრები, საბნები, სელის ტილოს თეთრეული, ვერცხლეული, ჭურჭელი და სხვა ძვირფასი ნივთები.

მე გაკვირვებული დავრჩი, რადგან ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო. კონჩეტა კი იმ უცნაური აღგზნებით, რომლითაც გამსჭვალული იყო ყოველი მისი სიტყვა და მოქმედება, მიხსნიდა: ვინჩენცო და ფილიპო ფესტა, როგორც ჩვენში ამბობენ, ჯოვანის წმინდანები არიან — ფესტამ ვინჩენცოს შვილი მონათლა, ვინჩენცომ კი ფესტას ქალიშვილი. ამრიგად, წმინდა ჯოვანის მიერ შეკავშირებულნი, ისინი თითქოს ნათესავები გახდნენ. ფესტას სწამდა წმინდა ჯოვანი და სანამ მთებში გაიქცეოდა, მთელი თავისი ქონება

ვინჩენცოს სამზარეულოს კედელში დამალა. ვინჩენცოს კი ფიცი მოსთხოვა ომის დამთავრების შემდეგ ყველა ნივთი დაებრუნებინა. ვინჩენცომაც შეჰფიცა.

— ფესტას ნივთები ხელშეუხებელია, — დაამთავრა თავისი ახსნა კონჩეტამ, თითქოს ლაპარაკი წმინდა ნაწილებს შეეხებოდა. — მირჩევნია მოკვდე, ვიდრე ამ ნივთებს ხელი ვახლო. უკვე ერთი თვეა, რაც ისინი კედელშია და ომის დამთავრებამდე იქ დარჩებიან.

მე მაშინვე ეჭვი შემეპარა ამაში. ვერ დამარწმუნა აქამდე გაჩუმებული ვინჩენცოს სიტყვებმაც. მან გამოიღო ჩიბუხი პირიდან და სამარისეული ხმით თქვა:

— სწორედ ასეა, ეს ნივთები ხელშეუხებელია. გინდა გერმანელები იყვნენ, გინდა იტალიელები, ცოცხალი თავით არ დავანებებ ამ ნივთებს.

კონჩეტა უსმენდა ქმარს და აღგზნებული თვალებით მიყურებდა. მისი თვალები ამბობდნენ: „ხედავ? რას იტყვი ამაზე? განა ჩვენ პატიოსანი ხალხი არა ვართ?“.

გამახსენდა, როგორ გადმოჰქონდათ ურმიდან მის ვაჟებს ნივთები და გავიფიქრე: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია-მეთქი. მაგრამ ენა აღარ მომიბრუნდა, რომ კონჩეტასათვის რაიმე მეპასუხა.

ჩემი მასპინძლების ქურდბაცაცობა იყო სწორედ მთავარი მიზეზი, რამაც აქედან წასვლა მაფიქრებინა. ქვედატანის ჯიბეში ბევრი ფული მქონდა. ჩვენზე თავდასხმა და გაძარცვა კი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ვინ დაგვიცავდა ორ უპატრონო ქალს, როდესაც აქ არც კანონები და არც კარაბინერები არ იყვნენ. არასოდეს არ მიჩვენებია კონჩეტასთვის ჩემი ჯიბე, მაგრამ დრო და დრო ფულს ვუხდიდი საჭმელსა და ოთახში, გარდა ამისა, ვპირდებოდი ყველაფერში ფულის გადახდას და ის, რასაკვირველია, მიხვდა, რომ მე სადღაც ფული მქონდა შენახული. ჯერჯერობით ისინი უპატრონო ნივთებს იპარავენ, მერე კი ჩემი ფულის მოპარვაც და ჩემი მოკვლაც არ გაუჭირდებოდათ. ვაჟები ნამდვილი ყაჩაღები იყვნენ, ქმარი — გამოჩერჩეტებული, თვითონ კონჩეტა კი მთლად ნორმალური არ უნდა ყოფილიყო. ისე რომ, ამ ოჯახისაგან არაფერს კარგს არ მოველოდი. თუმცა მათი სახლი ფონდისთან ახლოს იყო, მაგრამ ფორთოხლის ბაღში ჩამალული და ძალიან განცალკევებული. აქ ისე შეიძლებოდა ადამიანის მოკვლა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. მართალია, ეს კარგი თავშესაფარიც

იყო, მაგრამ ამ თავშესაფარში უარესი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, ვიდრე ღია ცის ქვეშ დაბომბვის დროს. იმავე საღამოს, დაწოლისას, როზეტას ვუთხარი:

— ეს ყაჩაღების ბუდეა. შეიძლება მათ ცუდი არაფერი გვიყონ, მაგრამ შეიძლება ორივენი მოგვკლან და სასუქის მაგივრად ფორთოხლის ხეების ქვეშ ჩაგვფლან, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მე ეს გულის მოსაოხებლად ვთქვი, მაგრამ ვთქვი თუ არა, მივხვდი, რომ შევცდი, რადგან როზეტა ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო რომში დაბომბვის დროს გადატანილი შიშისაგან, მაშინვე ატირდა და აჩურჩულდა, თან მეხუტებოდა:

— მეშინია, დედა, მოდი ახლავე წავიდეთ აქედან!

მე ავუხსენი, რომ ეს მხოლოდ ჩემი აზრია. ყველაფერში ომია დამნაშავე. ვინჩენცო, კონჩეტა და მათი ვაჟები, რასაკვირველია, პატიოსანი ხალხია. ჩემმა სიტყვებმა იგი ვერ დაამშვიდეს და მითხრა:

— სულ ერთია, მაინც წავიდეთ, დედა, აქ ცუდია.

და მეც დავპირდი, რომ ჩქარა წავიდოდით აქედან, რადგან აქ მართლაც ძალიან ცუდად ვგრძნობდით თავს, ისე ცუდად, რომ, როცა იმ დროს ვიგონებ, თამამად შემიძლია ვთქვა, არსად, არასოდეს, ისე ცუდად არ ვყოფილვართ, როგორც კონჩეტასთან. მან თავისი საწოლი დაგვითმო, რომელშიც ქმართან ერთად იწვა მათი შეუღლების პირველი დღიდანვე. მე კონჩეტასავით გლეხის ქალი ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასეთი სიბინძურე არ მინახავს. ოთახში საშინელი სუნი იდგა, სუნთქვა არ შეიძლებოდა, თუმცა ფანჯრები სულ ღია იყო. ჩვენ ვიხრჩობოდით ამ აშმორებული ჭუჭყის, ხოჭოებისა და შარდის მჟავე სუნისაგან. ვეძებდი ამ სუნის მიზეზს და კარადაში ვარდისფერყვავილიანი თეთრი ფაიფურის ორი ღამის ქოთანი აღმოვაჩინე. ისინი ვიწრო და მაღალ უყურო ვაზებს წააგავდნენ. სწორედ ეს ქოთნები, რომლებიც არასოდეს არ იწმინდებოდა და შიგნით საშინლად ჭუჭყიანი იყო, აყენებდნენ ამ სიმყრალეს. გარეთ გავდგი ისინი, ამაზე კონჩეტა ისე გაბრაზდა, რომ კინაღამ მცემა. მითხრა, ეს ქოთნები დედაჩემის ნაჩუქარია, ჩვენი საგვარეულო ნივთია და ვერ გამიგია, რატომ არ გინდა ოთახში მათი გაჩერებაო. პირველსავე ღამეს საშინელმა ქავილმა არ დაგვაძინა. ამ ორსაწოლიან ლოგინზე ეგო შეთელილი თივის მთლად ოღრო-ჩოღრო ლეიბი, რომელიც შრიალებდა და იჩხვლიტებოდა. მასზე გადაკრული ნაჭერი კი ისეთი თხე-

ლი იყო, რომ ჩვენს პირველსავე მოძრაობაზე შეიძლებოდა გახეულიყო. როზეტა მოუსვენრად ტრიალებდა. ბოლოს და ბოლოს სანთელი ავანთე და დავიხარე ლოგინზე. სანთლის მოფარფატე შუქზე ერთი ან ორი კი არა, ბაღლინჯოების მთელი ურდო დავინახე, რომლებიც აქეთ-იქით გარბოდნენ. ისინი უკვე რამდენიმე საათს სწოვდნენ ჩვენს სისხლს, ამიტომ გამაძღრები და გაბერილები იყვნენ. ლოგინი გაშავებული იყო ბაღლინჯოებისაგან. გეფიცებით, არასოდეს არ მინახავს ამდენი ბაღლინჯო. რომში ძალიან იშვიათად თუ ვნახავდი თითო-ოროლა ბაღლინჯოს, მაშინვე გავაახლებდი ლეიბს და ბაღლინჯოები ისპობოდნენ. აქ კი ათასობით ბაღლინჯო იყო და ისინი არა მარტო ლეიბში, არამედ ხის საწოლში და მთელ ოთახში ბინადრობდნენ.

დილით მე და როზეტამ შიფონერის სარკეში ჩავიხედეთ: მთელი ტანი ბაღლინჯოებისაგან გვქონდა დაკბენილი და დაფუთქული. კანის ავი სენით დაავადებულებს ვგავდით. კონჩეტას დავუძახე და ვაჩვენე როზეტა, რომელიც საწოლზე იჯდა და ტიროდა. ვუსაყვედურე, ასეთ ბაღლინჯოიან ლოგინში რათ დაგვაწვინე-მეთქი. მან, როგორც ყოველთვის, აღგზნებულად მიპასუხა:

— შენ მართალი ხარ, ვიცი, რომ საწოლში ბაღლინჯოებია და ეს სირცხვილია, საძაგლობაა, მაგრამ ჩვენ სოფლელი ღარიბები ვართ, შენ კი ქალაქელი სენიორა. ჩვენ — ბაღლინჯოები შეგვფერის, შენ კი — აბრეშუმის ზეწრები.

იგი მეთანხმებოდა, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ ამას ისე ამბობდა, თითქოს, დამცინოდა. ჯერ დამეთანხმა, მერე კი უცბად გააკეთა დასკვნა, რომ ბაღლინჯოც ღვთის გაჩენილია და რაკი ღმერთმა გააჩინა, ალბათ, ისიც რისთვისმე არსებობს. ბოლოს თქვა, საბძელში დაგაძინეზთ, სადაც ჯორისათვის თივა მაქვს შენახულიო. თივა იჩხვლიტებოდა, ალბათ, იქაც იყო მწერები, რომლებიც ჩვენს სხეულზე დაცოცავდნენ და გვიღუტუნებდნენ, მაგრამ ეს სუფთა მწერები იყო, ჩვენს სისხლს მაინც არ სწოვდნენ.

მშვენივრად მესმოდა, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ამ სახლში ყველაფერი საზიზღარი იყო: ლოგინიცა და საჭმელიც. კონჩეტა საშინლად ბინძური იყო. ყველაფერს აჩქარებულად, დაუდევრად აკეთებდა. სამზარეულო გაშავებული ჰქონდა ჭუჭყისაგან, რომელიც წლების განმავლობაში ეკვროდა ქვაბებს და თეფშებს. სამზარეულოში წყალი არ იყო და დიასახლისი არასოდეს არაფერს არ რეცხავდა. ფაცხა-

ფუცხით, როგორც მოხვდებოდა ისე, აკეთებდა საჭმელს. კონჩიტა ყოველ დღე ერთსა და იმავე კერძს ამზადებდა, რომელსაც ჩოჩარეთში „მინესტრინას“ ეძახიან. სჭრიდა თხელ ნაჭრებად შინ გამომცხვარ პურს, აწყობდა თიხის ქოთანში და ასხამდა ლობიოს ნახარშს. ამ საჭმელს ცივად ჭამენ, როცა პური წვნით გაიჟღინთება და ფაფად იქცევა. არასოდეს არ მიყვარდა მინესტრინა, აქ კი ცალკე ჭუჭყისაგან (ყოველთვის ბუზებსა და სხვა მწერებს ეპოულობდით შიგ), ცალკე იმიტომ, რომ კონჩიტამ ამ უბრალო კერძის ხეირიანად მომზადებაც კი არ იცოდა, სულ შემჯავრდა. ყველანი ერთი ჯამიდან ვჭამდით, გლეხურად. თვითეული ლოკავდა თავის კოვზს და მერე ისევ ჯამში ყოფდა. წარმოგიდგენიათ, ერთხელ, როცა შემჩნევა მივეცი კონჩიტას, საჭმელში მუდამ მკვდარი ბუზები გვხვდება-მეთქი, ამ ხეპრემ მიპასუხა:

— ჭამე, ჭამე, დიდი ამბავი თუ ბუზს ჩაყლაპავ, მაგასაც ისეთივე ხორცი აქვს, როგორც დეკეულს.

ბოლოს, როცა დავინახე, რომ როზეტა სრულებით ვერ ჭამდა ამ საძაგლობას, კონჩიტასთან ერთად შარაგზაზე დავიწყე სიარული, რომელიც მათი ბაღის წინ გადიოდა. ახლა აქ ქალაქიდან პირდაპირ გზაზე იყო გადმოტანილი ბაზარი. ქალაქში ცხოვრება საშიში იყო საპაერო განგაშების, აგრეთვე ფაშისტების გამო, რომლებიც ყველაფერს ართმევდნენ გლეხებს. გზაზე ახალი კვერცხით, ხილით, ხორცით და ზოგჯერ თევზით მოვაჭრე გლეხის ქალები გვხვდებოდნენ. ისინი საარაკო ფასს თხოულობდნენ, ხოლო როცა შევაჭრებას ვცდილობდი, ძიპასუხებდნენ:

— ჰოდა, ჭამე შენი ფული, მე კი კვერცხებს შევჭამ.

მათ იცოდნენ, რომ შიმშილობა იყო და ფული შიმშილობის დროს კარგავს თავის ფასს, ამიტომ სამჯერ მეტს გვართმევდნენ. რაღაც-რაღაცეების ყიდვას მაინც ვახერხებდი, მაგრამ კონჩიტას ოჯახის გამასპინძლება მიხდებოდა და ფული წყალივით მიმდიოდა ხელიდან. მე სერიოზულად შევფიქრიანდი.

ჩვენ წასვლა გვინდოდა აქედან, მაგრამ სად? ინგლისელები ჯერ არ მოდიოდნენ და მე კონჩიტას ვუთხარი დაგვხმარებოდა ურმის შოვნაში, ან ეგებ ფეხით ჰიგველწია ჩემი მშობლების სოფლამდე. იგი მაშინვე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩემს სიტყვებს:

— ცხადია, ასე უკეთესი იქნება. მხოლოდ საკუთარ სახლში გრძნობს თავს ადამიანი თავისუფლად, განა დედის მაგივრობას ვინმე

გასწევს? შენ მართალი ხარ. აქ არაფერი არ მოგწონს, შენი მშობლების სახლში კი იგივე ბაღლინჯოები და ასეთივე მინესტრინა სამოთხედ მოგეჩვენება. რატომაც არა! ხვალ როზარიო წაგიყვანთ ურჰით. მშვენივრად გაისეირნებთ.

ძალიან გაგვიხარდა და გულუბრყვილოდ ველოდით მეორე დღის გათენებას და როზარიოს, რომელიც საიდანღაც უნდა დაბრუნებულიყო. ჩამოვიდა როზარიო და აუარებელი ცუდი ამბავი ჩამოიტანა. გერმანელები იჭერდნენ მამაკაცებს, ფაშისტები აპატიმრებდნენ ყველას, ვინც გზაზე სიარულს გაბედავდა, ინგლისელები ყუმბარებს ისროდნენ, ამერიკელები პარაშუტებით ეშვებოდნენ, ყველგან შიმშილი, გაჭირვება და არეულობა მეფობდა. როზარიოს თქმით ინგლისელებსა და გერმანელებს შორის დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი სწორედ ჩემს მშობლიურ სოფელთან. გერმანელების კომენდანტურაში ეთქვათ, მთელი მოსახლეობა სოფლიდან გაიყვანეს და ფროზინონეს ახლოს საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსესო. გზაზე სიარულიც სახიფათოა თვითმფრინავების გამო, რომლებიც დაბლა ეშვებიან და ტყვიამფრქვევებს უშენენ ხალხს. მთის ბილიკებზეც სახიფათოა სიარული დეზერტირებისა და ყაჩაღების გამო, რომლებიც ტყუილუბრალოდ კლავენ ხალხსო. ერთი სიტყვით, ინგლისელების მოსვლამდე თქვენთვის აქ დარჩენა სჯობს, ცდა დიდხანს არ მოგიხდებათ, რადგან მოკავშირეთა არმია წინ მიიწევს და დღე-დღეზე აქ იქნებაო. როზარიოს ნათქვამში ბევრი ტყუილი იყო, მაგრამ სიმართლეც ერია, რომელიც მას ისე ოსტატურად გადაეხლართა ტყუილში, რომ ტყუილიც სიმართლედ გვეჩვენებოდა. დაბომბვა და ტყვიამფრქვევის დაშენა სიმართლე იყო, ხოლო ჩემს მშობლიურ სოფელთან რომ ბრძოლა უნდა მომხდარიყო და სოფლიდან ყველა გაასახლესო — ეს კი ტყუილი იყო. ჩვენ ძალიან შეშინებულები და მარტოხელები ვიყავით. როზარიოს მიერ მოტანილი ცნობების გარდა არაფერი ვიცოდით. ვერ მივხვდით, რომ მან ჩვენს დასაყოვნებლად მოიგონა ეს ამბები, რათა მოგება ჰქონოდათ. მართლაც ძალიან მძიმე დრო იყო, მე ქალიშვილი მყავდა და ამ ხიფათთაგან ერთიც რომ ყოფილიყო მოსალოდნელი, მაინც ვერ გავბედავდი გავდგომოდი გზას. ამიტომ ჩემს სოფელში წასვლა უფრო მშვიდობიანი დროისათვის გადავდე.

კონჩეტას სახლიდან კი რაც შეიძლება მალე უნდა წავსულიყავით, თუგინდ მარტო იმიტომ, რომ როგორც უკვე ვთქვი, მათი სახლი გან-

ცალკეებულ ადგილას, ფორთოხლის ბაღებში იდგა და აქ ჩვენ უპატრონოდ ვიყავით. კონჩეტას ვაჟებმ კი სულ უფრო ნაკლებად ვენდობოდი. უკვე ვთქვი, რომ ისინი სიტყვაძუნწები იყვნენ, მაგრამ როცა ლაპარაკს დაიწყებდნენ, სჩანდა რასაც წარმოადგენდნენ, აშკარავდებოდა მათი ხასიათი, რომელიც მე სრულიად არ მომწონდა. ერთმა მათგანმა უბრალოდ, ხუმრობით, ასეთი რამ გვიამბო: ალბანეთის ერთ სოფელში ტყვია დაგვიშინეს და ორი კაცი დაგვიჭრესო. იცით, ჩვენ რითი გადავუხადეთ სამაგიერო? რადგან მამაკაცები ყველანი გაიქცნენ, ქალები დავიჭირეთ, რასაკვირველია, ყველაზე ლამაზები და ერთი მაგრად დავაუთოეთო. ზოგიერთები თვითონ დათანხმდნენ ამას, კახპები, გახარებულებიც კი იყვნენ თავიანთ ქმრებს რქებს რომ ადგამდნენ. სხვები კი ვაიძულეთ. ზოგ მათგანს იმდენ მამაკაცთან მოუხდა წოლა, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ და მიცვალებულებს ჰგვანდნენო.

ასეთი ამბების გაგონება სასტიკად მაშინებდა, კონჩეტა კი იცინოდა და ამბობდა:

— აი, ყმაწვილებიც ასეთი უნდა. ყველამ იცის, რომ ახალგაზრდებს ქალიშვილები მოსწონთ, ჩვენს ბიჭებს კი სისხლი უდუღთ.

როზეტაზე ეს ამბები კიდევ უფრო მოქმედებდა, ვიდრე ჩემზე. იგი ფითრდებოდა და მთელი ტანით თრთოდა. ერთხელ მე კონჩეტას ვაჟებს ვუთხარი:

— ჩემს შვილთან ნუ ლაპარაკობთ ამაზე. ასეთ რამეებზე ქალიშვილებთან საერთოდ არ ლაპარაკობენ.

მერჩივნა რაიმე საწინააღმდეგო ეთქვათ, გაველანძღე კიდეც, მაგრამ არაფერი თქვეს, მხოლოდ ნაკვერჩხლებივით მოელვარე თვალებით უყურებდნენ როზეტას, რაც შიშის ზარსა მცემდა, მათი დედა კი სულ იმეორებდა:

— ბიჭებს, მართალია, სისხლი უდუღთ, მაგრამ შენ, ჩეზირა, ნუ ღელავ; ჩემი ბიჭები არაფრის გულისთვის არ ახლებენ ხელს შენს გოგოს. თქვენ ხომ ჩვენი სტუმრები ხართ, სტუმარი კი ღვთისაა. შენი ქალი აქ ისევე უშიშრადაა, როგორც ეკლესიაში.

მაგრამ ვაჟების დუმილი და დედის აღფრთოვანება უფრო მიძლიერებდა შიშს. ერთ გლეხს დასაკეცი დანა გამოვართვი და ყოველი შემთხვევისათვის მუდამ ჯიბით დამქონდა ფულთან ერთად. თუ ისინი რამეს იფიქრებენ, პირველ ყოულისა, ჩემთან ექნებათ საქმე. მე კი

საკმაო ძალას ვგრძნობდი, რომ ყელი გამომეჭრა მათთვის, თუ ეს საჭირო გახდებოდა.

უკანასკნელი ბიძგი, რამაც გვაიძულა ამ სახლის დატოვება, ჩვენი ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ მომხდარი ამბავი იყო. მე და როზეტა დილით სახლის წინ მდელოზე ვიჯექით და დროის მოსაკლავად სიმინდს ვარჩევდით. უცბად ბილიკზე ორი კაცი გამოჩნდა. მაშინვე მივხვდი ვინც იყვნენ. მარტო მათი თოფებისა და შავი ხალათების გამო კი არა, იმიტომაც, რომ კონჩეტას ვაჟმა როზარიომ, რომელიც ჩვენს ახლოს პურსა და ხახვს შეექცეოდა, დაინახა თუ არა ისინი, მაშინვე ფორთოხლის ხეებს ამოეფარა. მე როზეტას წავჩურჩულე:

— ესენი ფაშისტები არიან, ჩუმად იყავი. მე თვითონ გავცემ პასუხს.

ვიცოდი რას წარმოადგენდნენ 25 ივლისის შემდეგ გამოჩეკილი ეს ახალი ფაშისტები. მათ ჯერ კიდევ რომში ვიცნობდი. ისინი ნამდვილი ყაჩაღები და მაწანწალები იყვნენ, რომლებმაც შავი ხალათი მდგომარეობის გულისთვის ჩაიცვეს, მაშინ როცა პატიოსანი ხალხი მას ზედაც არ უყურებდა.* მაგრამ ფაშისტები, რომლებიც ტრასტეევერეში და პონტეში მინახავს, ახმახი და ზორბა ბიჭები იყვნენ. ესენი კი გარეგნობით ნამდვილი ნაბიჭვრები და გველის წიწილები ჩანდნენ. თვითონ უფრო ეშინოდათ თავიანთი თოფებისა, ვიდრე იმათ, ვისაც ამ თოფებით აშინებდნენ. ერთი მათგანი ბრუციანი იყო, მელოტი, დანაოჭებული სახით, რომელიც გამხმარ წაბლს უგავდა. მისი ვიწრო, აწურული ბეჭების ყურება, საცოდაობა იყო. ჩავარდნილი თვალები, პაჭუა ცხვირი და გაუპარსავი ლოყები კი უფრო საზიზღარს ხდიდნენ. მეორე ძალიან დაბალი ტანისა იყო, ნამდვილი ქონდრის კაცი, პროფესორივით დიდთვალა, სათვალიანი, სერიოზული და მსუქანი. კონჩეტა მაშინვე მიუახლოვდა მათ, მიესალმა პირველს და მიმართა საოცრად სწორად შერჩეული მეტსახელით:

— რა გინდა აქ, მაიმუნო?

მელოტმა და გამხდარმა, რომელსაც მაიმუნი უწოდეს, ფეხი მოინაცვლა, ხელი თოფის კონდახს დაადო და ყოყოჩურად უპასუხა:

---

* ჩეზირა აქ ცდება: ახალი ფაშისტური პარტია, ეგრეთწოდებული „რესპუბლიკური ფაშისტური პარტია“, შეიქმნა 1943 წლის 8 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც იტალიაში აღდგენილ იქნა ფაშისტური რეჟიმი, დამხობილი 25 ივლისს.

— ჩვენ მშვენივრად გვესმის ერთმანეთისა, ნათლიდედ. შენ კარგად იცი, რასაც ვეძებთ. სწორედ რომ კარგად იცი.

— სინდისს გეფიცები, არ მესმის რაზე ლაპარაკობ. დალევა გინდა? პური და ღვინო გამოგიტანო? პური ცოტა მაქვს, მაგრამ ორ ლიტრა ღვინოს და ცოტაოდენ ლეღვის ჩირს მოგცემ. სხვა არაფერი არ იშოვება სოფელში.

— შენ ეშმაკი ხარ, ნათლიდედ, მაგრამ მე უფრო ეშმაკი ვარ.

— რას ამბობ, მაიმუნო, განა მე ეშმაკი ვარ?

— ჰო, ეშმაკი ხარ, შენი ქმარიც ეშმაკია, მაგრამ ყველაზე დიდი ეშმაკები შენი შვილები არიან.

— ჩემი შვილები? სად არიან ახლა ნეტავ ჩემი ბიჭები? დიდი ხანია აღარ მინახავს. ისინი ხომ ორთავენი ალბანეთში არიან და, საწყლები, მეფისა და მუსოლინისათვის იბრძვიან. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ორთავეს.

— რომელი მეფე? ჩვენ ახლა რესპუბლიკა გვაქვს, კონჩეტა.

— მაშ გაუმარჯოს რესპუბლიკას!

— შენი შვილები ალბანეთში კი არა, აქ არიან.

— ნეტავ ასე იყოს.

— დიახ, აქ არიან და სწორედ გუშინ უნახავთ კოკურუცოს მახლობლად, სადაც სპეკულაციას ეწეოდნენ.

— რას მიედ-მოედები, მაიმუნო? ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი ბიჭები რომ აქ მყავდნენ და მათი გულში ჩაკვრა შემეძლოს, ვიცოდე, რომ მათ საფრთხე არ მოელით. მე კი მთელი ღამეები ვტირი და მწუხარე მადონაზე ვეტად ვიტანჯები.

— კარგი, გეყოფა, გვითხარი სად არიან ისინი და მორჩი წუწუნს.

— მე რა ვიცი? თუ გინდა ღვინოს მოგცემ, ლეღვის ჩირს, ცოტაოდენ სიმინდის ფქვილსაც, თუმცა ცოტაღა მაქვს, მაგრამ ჩემი შვილები საიდან მოგიყვანო, თუკი აქ არ არიან.

— კარგი, ჯერ ღვინო გაგვასინჯე.

ისინი მდელოზე, სკამებზე დასხდნენ. კონჩეტამ, როგორც ყოველთვის აღფრთოვანებულმა, მოიტანა ღვინო, ორი ჭიქა და პატარა კალათით ლეღვის ჩირი. მაიმუნი სკამს გადააჯდა, დალია ღვინო და თქვა:

— შენი შვილები დეზერტირები არიან. ხომ იცი რა სწერია ბრძანებაში დეზერტირებზე? თუ დავიჭირეთ ისინი, აუცილებლად დახვრეტენ. ასეთია კანონი.

ქალმა კი კმაყოფილი სახით უთხრა:

— სწორია, დეზერტირები უნდა დაიხვრიტონ... ეგ არამზადები, ეგენი... ყველანი დასახვრეტია. ჩემი ბიჭები კი დეზერტირები არ არიან, მაიმუნო.

— მაშ ვინ არიან?

— ჯარისკაცები. ისინი მუსოლინისათვის იბრძვიან. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს.

— როგორ არა... იბრძვიან, ოღონდ შავ ბაზარზე.

— კიდევ დაგისხა?

კონჩეტა გრძნობდა, რომ ჩიხში მოემწყვდა და ღვინოს სთავაზობდა. ესენი კი, უმთავრესად დასალევად მოსულნი, უცბად თანხმდებოდნენ და ივსებდნენ ჭიქებს.

მე და როზეტა განზე ვიჯექით, კიბეზე. მაიმუნი სვამდა და თვალს არ აშორებდა როზეტას. მაგრამ ისე კი არ ათვალიერებდა, როგორც პოლიციელი, რომელსაც მისი საბუთები აეჭვებს, არამედ როგორც მამაკაცი, რომელსაც ლამაზმა ქალმა ვნება აღუძრა. იგი დაჟინებით უყურებდა როზეტას მკერდსა და ფეხებს.

ბოლოს კონჩეტას ჰკითხა:

— ეს ქალები ვინღა არიან?

მე არ მინდოდა, ფაშისტებს სცოდნოდათ, რომ ჩვენ რომიდან ჩამოვედით, ამიტომ კონჩეტას მაგივრად საჩქაროდ ვუპასუხე:

— ჩვენ კონჩეტას ბიძაშვილები ვართ და აქ ვალეკორსიდან ჩამოვედით.

კონჩეტა მაშინვე აგვყვა: — ჰო, ჰო, ესენი ჩემი ბიძაშვილები არიან. ჩეზირა ჩემი ბიძის შვილია. ჩვენ სისხლით ნათესავები ვართ. ისინი ჩვენთან საცხოვრებლად ჩამოვიდნენ. ეს მიღებულია, სისხლი წყალი ხომ არ არის.

მაგრამ ამან ვერ დაარწმუნა მაიმუნი, რომელიც ალბათ უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

— არ ვიცოდი, რომ ვალეკორსაში ნათესავები გყავდა. შენ ყოველთვის ამბობდი, რომ მინტურნოში დაიბადე. ამ ლამაზ ქალიშვილს რა ჰქვია?

— როზეტა, — ვუპასუხე მე.

მან გამოსცალა ჭიქა, წამოდგა და მოგვიახლოვდა:

— მე შენ მომწონხარ, როზეტა. ჩვენ ახლა სწორედ მოსამსახურე

გვჭირდება, რომელმაც საჭმლის გაკეთება და ლოგინების დალაგება იცის. გინდა ჩვენთან წამოსვლა, როზეტა? ამას რომ ამბობდა, ხელი გაიშვირა და როზეტას ნიკაპზე მოუთათუნა. მე მაშინვე ავუკარი ხელი და შევუტიე:

— ხელი გასწი!

მან გადმოკარკლა თვალები, ვითომ ძალიან გაუკვირდა:

— რამ მოგიარა?

— იმან მომიარა, რომ ჩემ ქალთან შენ ხელი არა გაქვს!

ამან ჩამოიხსნა თოფი, დამიმიზნა და თავხედურად წამოიძახა:

— შენ რა, არ იცი ვისთანა გაქვს საქმე? ხელები მაღლა!

სრულიად მშვიდად მოვიშორე თოფის ლულა, თითქოს ეს თოფი კი არა, ღომის ციცხვი ყოფილიყოს და ზიზღით ვუთხარი:

— როგორ არა, შენ დაგიჯერებ სწორედ, გგონია შენი თოფის მეშინია? ვიცი რისთვისაც დაგაქვს: ღვინო და ლეღვის ჩირი რომ დასცანცლო ხალხს, ბრმაც კი ხედავს, რომ შენ მაწანწალა, მათხოვარი ხარ და სხვა არაფერი.

გაბრაზების მაგივრად იგი უცბად დამშვიდდა და სიცილით უთხრა მეორე ფაშისტს:

— შენ როგორ ფიქრობ, ეს ახლა დახვრეტის ღირსია, არა?

მაგრამ იმან მხრები აიჩეჩა და ჩაიბურტყუნა:

— თავი დაანებე ამ აშარ დედაკაცს.

მაშინ მაიმუნმა დაუშვა თოფი და დიდმნიშვნელოვანი კილოთი მითხრა:

— ამჯერად მიპატიებია, მაგრამ იცოდე, სიკვდილმა სულ ახლოს ჩაგიარა. აწყენინებ მილიციას — მიიღებ ტყვიას.

ეს ფრაზა მაშინ ყველა კედელზე ეწერა — რომშიც და ფონდიშიც. და ამ საძაგელმა, რასაკვირველია, ისწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაუმატა:

— შენ შვილს კი ჩვენთან კოკურუცოში გამოგზავნი. იგი ჩვენ მოგვემსახურება, კრინტი!

მე ვუპასუხე:

— ჩემს ქალიშვილს მხოლოდ სიზმარში ნახავ, ცხადში კი ვერასოდეს.

მაშინ იგი კონჩეტას მიუბრუნდა:

— მოდი მოვილაპარაკოთ, კონჩეტა, ჩვენ თავს დავანებებთ შენს

შვილებს, რომლებიც აქ იმალებიან, შენ მშვენივრად იცი, რომ მათ პატიმრობა არ ასცდებათ, თუკი სერიოზულად მოვკიდეთ ხელი მათ ძებნას. სამაგიეროდ კი შენი ბიძაშვილი გამოგვიგზავნე. მოვრიგდით?

ავაზე ამ არამზადამ, რომელიც ყოველგვარ წარმოუდგენელ და დანაშაულებრივ წინადადებებზე თანხმდებოდა, ჩვეულებრივი აღტაცებით უპასუხა:

— რასაკვირველია, როზეტა ხვალ დილითვე თქვენთან იქნება, მე თვითონ მოვიყვან, დამშვიდდით. როზეტა მოვა თქვენთან და იქნება მზარეული, მოსამსახურე, ყველაფერი, რაც კი გსურთ... ხვალ დილითვე მე თვითონ მოვიყვან თქვენთან.

სიფრთხილის გამო გავჩუმდი, მაგრამ სისხლი ამიდუღდა ძარღვებში. ეს ორი არამზადა კიდევ დარჩა ცოტახანს, დალიეს. მერე კალათით წაიღეს ერთი ბოთლი ღვინო, ლეღვის ჩირი და იმავე ბილიკით წავიდნენ, რომლითაც მოვიდნენ.

როგორც კი თვალს მიეფარნენ, კონჩეტას ვუთხარი:

— შენ რა, გაგიჟდი? მე მირჩევნია, მოვკლა ჩემი შვილი, ვიდრე ფაშისტებთან გავგზავნო მოსამსახურედ.

ეს საკმარისად მშვიდად ვთქვი, რადგან გულის სიღრმეში დარწმუნებული ვიყავი, რომ კონჩეტა მოსაჩვენებლად დასთანხმდა, რათა მათთვის წინააღმდეგობა არ გაეწია და არ გაებრაზებინა. მაგრამ ჩემდა გასაკვირად იგი სრულებით არ იყო აღშფოთებული მათი მოთხოვნით.

— არ შესჭამენ შენს როზეტას. ფაშისტებს კი, ჩემო კარგო, ყველაფერი აქვთ: ღვინოც, თეთრი ფქვილიც, ხორციც და ლობიოც, საღილად ყოველდღე შინაური მაკარონს და ძროხის ხორცს ჭამენ, როზეტა იქ დედოფალივით იცხოვრებს.

— რას ლაპარაკობ, სულ გაგიჟდი?

— ახლა ომია, ომის დროს კი მთავარია არ წაეჩხუბო შენზე ძლიერს. ახლა ძალაუფლება ფაშისტების ხელშია, ამიტომ ფაშისტებს უნდა ვემსახუროთ. ხვალ შეიძლება ინგლისელები მოვიდნენ და ჩვენც ინგლისელებს მოვემსახურებით.

— შენ რა, არ გესმის, რომ მათ როზეტა სულ სხვა მიზნით უნდათ. ვერ დაინახე, ეს არამზადა როგორ უყურებდა მკერდზე?

— მერე რა, სულ ერთი არ არის ვინ იქნება მისთვის პირველი? მამაკაცები კი ყველანი ერთნაირები არიან. ამაში საშიში არაფერია. ახლა ომია, ომის დროს კი ქალები არ უნდა იყვნენ მეტისმეტად აზი-

ზები და არ უნდა მოითხოვდნენ პატივისცემას, როგორც მშვიდობიან დროს. კიდევ გეტყვი: ნუ გეშინია ძაღლისა, რომელიც ყეფს, გეშინოდეს იმისა, რომელიც იკბინება. ასეა, ჩემო კარგო. მაიმუნს კი მე კარგად ვიცნობ, მისი ერთადერთი საზრუნავი სტომაქის ამოყორვაა.

ცხადი იყო, რომ კონჩეტას სრულიად სერიოზულად მიეღო მაიმუნის წინადადება ეყიდა თავისი შვილების უშიშროება და მათთვის როზეტა დაეთმო. მე ვერც კი ვიტყვი, რომ მტყუანი იყო. თუ როზეტა ფაშისტების მოსამსახურე ან უარესიც გახდებოდა, ორ არამზადას — კონჩეტას ვაჟებს შეეძლებოდათ მშვიდად დაეძინათ შინ, მათ აღარავინ მოსძებნიდა. თავისი შვილების სიმშვიდისათვის იგი მზად იყო ჩემი შვილი გაეწირა. მე დედა ვარ და მესმოდა, რომ შვილების სიყვარულით შეეძლო მეორე დღესვე დაეძახა ფაშისტებისათვის და მიეცა მათთვის ჩემი როზეტა. არავითარი ჩხუბი აქ არ მიშველიდა. უნდა გავქცეულიყავით აქედან, ამიტომ კილო შევიცვალე და მშვიდად ვუთხარი:

— თუ ასეა, მოვიფიქრებ. მართალია, როზეტას ფაშისტებთან მეფური ცხოვრება ექნება, მაგრამ, ჰაინც...

— არაფერია, ჩემო კარგო. უნდა ყოველთვის ძლიერს მიემხრო. ომი — ომია.

— ამაღამ ვიფიქრებ და გადავწყვეტ.

— იფიქრე, იფიქრე, ეს საჩქარო არ არის. მე ამ ფაშისტებს ვიცნობ, ვეტყვი, რომ როზეტა ორი დღის შემდეგ მივა, მოიცდიან. შენ კი ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნები. ფაშისტებს ყველაფერი აქვთ: ზეითუნის ზეთი, ღვინო, ღორის ხორცი, ფქვილი, ისინი მთელ დღეებს ჭამა-სმაში ატარებენ. იქ მოიკეთებთ და კარგად იქნებით.

— რასაკვირველია, რასაკვირველია.

— სწორედ განგებამ მოგვივლინა ეს ფაშისტები, ჩეზირა! მართალი გითხრა, მე უკვე აღარ შემეძლო თქვენი გაჩერება. რასაკვირველია, შენ ფულს იხდი, მაგრამ შიმშილობის დროს საჭელი ყოველგვარ ფულზე ძვირია. გარდა ამისა, ჩემს ვაჟებს აღარ შეუძლიათ მუდამ ბოშებივით წანწალი. ახლა კი ისინი მშვიდად იცხოვრებენ, დაიძინებენ და იმუშავებენ. სწორედ განგებამ მოგვივლინა ეს ფაშისტები.

ერთი სიტყვით, იგი მზად იყო როზეტა მსხვერპლად შეეწირა. მე კი გადავწყვიტე იმ ღამესვე გავცლოდით აქაურობას. ჩვეულებრივად ოთხმა ვისადილეთ: მე, როზეტამ, კონჩეტამ და ვინჩენცომ, მათი შვი-

ლები ფონდიში იყვნენ. როგორც კი საბძელში მარტონი დავრჩით, როზეტას ვუთხარი:

— არ გეგონოს, რომ მართლა დავეთანხმე კონჩეტას. უბრალოდ თავი მოვაჩვენე იმიტომ, რომ ასეთი ხალხის ნდობა არ შეიძლება. ახლა კი მოვამზადოთ ჩემოდნები და გათენებისას წავიდეთ აქედან.

— სად უნდა წავიდეთ, დედა? — მკითხა მან ცრემლმორეული ხმით.

— უნდა წავიდეთ ამ ბოროტმოქმედთა სახლიდან, სამუდამოდ წავიდეთ, წავიდეთ საითაც შევძლებთ.

— საით?

უკვე დიდი ხანია ვფიქრობდი გაქცევაზე და გეგმა მქონდა შემუშავებული. მე ვუთხარი:

— ბებიასთან და ბაბუასთან ვერ წავალთ. მათი სოფლიდან ყველანი გაუსახლებიათ და არ ვიცი ახლა სად არიან. უწინარეს ყოვლისა, ტომაზინოსთან უნდა წავიდეთ და ვკითხოთ. ჩემის აზრით ის წესიერი კაცია. ხშირად უთქვამს, რომ მისი ძმა ოჯახით მთებში ცხოვრობს და კარგად არის. ტომაზინოს შეუძლია იქ გაგვგზავნოს. ნურაფრისა ნუ გეშინია, შვილო, შენ გყავს დედა, რომელსაც უყვარხარ, თან ფულიც გვაქვს, ის კი საუკეთესო მეგობარია, მისი ნდობა ყოველთვის შეიძლება, მოვძებნით აქედან წასასვლელ ადგილს.

ასე ვამშვიდებდი როზეტას. ისიც იცნობდა ტომაზინოს, ვინჩენცოს მიერ იჯარით აღებული მიწის პატრონის ფესტას ნახევარძმას. ტომაზინო კომერსანტი იყო, ახლა კი სპეკულაციას ეწეოდა. ქვეყანაზე ყველაფერს ყიდულობდა და ყიდდა. მოგების წყურვილი უფრო ძლიერი ჰქონდა, ვიდრე შიში და ეს აჩერებდა ბარად, თუმცა მისი ნათესავები ყველანი მთაში გახიზნულიყვნენ. ტომაზინო ვინდვრის ბოლოს, მთის ძირში ცხოვრობდა. დიდძალ ფულს შოულობდა, რადგან დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს არ ერიდებოდა და სპეკულაციას ეწეოდა, გაურბოდა ფაშისტებს და ემალებოდა გერმანელებს, რომლებიც რეკვიზიციას ახდენდნენ. ახალი ამბავი როდია, რომ ფული მხდალსაც გმირად აქცევს. ტომაზინოც ერთი ასეთი მხდალთაგანი იყო.

სანთლის შუქზე ჩემოდნებში ჩავალაგეთ ის მცირეოდენი ნივთები, რითაც აქ ვსარგებლობდით და გაუხდელად მივწექით თივაზე. მხოლოდ ოთხი საათი გვეძინა. როზეტა კიდევ იძინებდა სიამოვნებით.

ახალგაზრდებს ისე ღრმად სძინავთ, ყურთან რომ მთელი სასულე ორკესტრი უკრავდეს, მაინც ვერ გააღვიძებს. მე კი მასზე უფროსი ვიყავი და ასე ღრმად აღარ მეძინა, მას შემდეგ კი, რაც ლტოლვილნი გავხდით, ღელვამ და საზრუნავმა სულ დამიკარგა ძილი. მამლებმა რომ იყივლეს, ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ მამლები გრძნობენ განთიადს. მათი ყივილი ჯერ შორიდან, ბარის ბოლოდან მოისმა, მერე უფრო ახლოს, ბოლოს კი სულ გვერდით, ვინჩენცოს საქათმიდან. ავდექი და შევანჯღრიე როზეტა, რომელიც არ იღვიძებდა და ტირილით ამბობდა:

— რა ამბავია, რა გინდა? — თითქოს დაავიწყდა, რომ ჩვენ ფონდიში კონჩეტასთან ვიყავით და არა რომში, ჩვენს სახლში, სადაც შვიდ საათზე ადრე არასოდეს არ ავმდგარვართ.

ბოლოს, როგორც იქნა, გაიღვიძა, მაგრამ მაინც წუწუნებდა, ისე რომ, იძულებული ვიყავი მეთქვა:

— ეგებ გირჩევნია შუადღემდე იძინო, სანამ შავხალათიანი კაცი მოვა და გაგაღვიძებს?

სანამ გამოვიდოდით, კარებიდან გავიხედე და სახლის წინ მდელო დავათვალიერე, სადაც მიწაზე ლეღვი იყო გასახმობად გაფენილი და სკამი იდგა, რომელზეც კონჩეტას სიმინდიანი კალათი დარჩენოდა. მდელოს მეორე მხარეს სახლის შემოძარცული ვარდისფერი კედელი ჩანდა. არსად არავინ იყო. მე და როზეტამ დავიდგით თავზე ჩემოდნები, როგორც ეს მონტე სან ბიაჯოში ჩამოსვლისას ვქენით, გამოვედით საბძლიდან და ფორთოხლის ხეებს შორის მიმავალი ბილიკით გავიქეცით.

მე ვიცოდი საით უნდა წავსულიყავით. გამოვედით ფორთოხლის ბაღიდან შარაგზაზე და მთებისაკენ გავუხვიეთ, რომლებიც ჩრდილოეთიდან ფონდის ერტყმის. თენდებოდა. მომაგონდა მეორე განთიადი, როდესაც ჩვენ რომიდან გამოვიქეცით და გავიფიქრე: „რამდენ ასეთ განთიადს შევხვდებით კიდევ, სანამ შინ დაბრუნდებით“.

ჰაერი მტრედისფერი და რაღაც ჭოჩვენებითი იყო, ცა თეთრი, ყვითელი ვარსკვლავებით მეჩხრად მოფენილი, თითქოს დღე კი არა, მეორე, ოღონდ უფრო ნათელი ღამე იწყებოდა. გაშეშებული სევდიანი ხეები და ღორღიანი გზა დაცვარულიყო და შიშველ ფეხებს გვიგრილებდა. გარშემო არც მოძრაობა, არც ჩამი-ჩუმი. მაგრამ ეს როდი იყო ღამის მყუდროება მშრალი ტკაცუნით, შარიშურითა და ფრთების შრიალით. ბუნება თანდათან იღვიძებდა. მე წინ მივდიოდი და ვუყუ-

რებდი მთებს, რომლებიც ჰორიზონტს ერტყმოდნენ ჩვენს გარშემო. ეს იყო კლდოვანი მოტიტვლებული მთები, იშვიათი მოშავო-მოწითალო ლაქებით დაფარული. თითქოს აქ არავინ ცხოვრობდა, მაგრამ მე მთაში დავიბადე და ვიცოდი, საკმარისია იქ ახვიდე, რომ დაინახო დამუშავებული ყანები, ტყე, შამბნარი, ქოხები, სახლები, გლეხები და ლტოლვილები. და კიდევ ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მოგველოდა მთაში და ვიმედოვნებდი, რომ მხოლოდ კარგი რამ. იქ კარგი ხალხი შეგვხვდებოდა, კონჩეტასა და მისი ოჯახისთანა ყაჩაღები კი არა. ყველაზე უფრო კი ის მინდოდა, რომ აქ დიდხანს არ დავყოვნებულიყავით. ჩქარა მოსულიყვნენ ინგლისელები და რომში ჩემს სახლ-კარს და დუქანს დავბრუნებოდი. ამ ფიქრებში მზე ამოვიდა. ის ჯერ არ ჩანდა მთების გადაღმა, მაგრამ მთის წვერი და ცა ნელ-ნელა ვარდისფრად შეიღება. გაქრა უკანასკნელი ვარსკვლავებიც. ინათა და უცბად ზეთის ხილის ჭალის ნაცრისფერ ტოტებში ოქროსფრად გაიელვა მზის სხივმა, გაუბედავად გაწვა გზაზე და, მაშინვე ღორღი ფეხქვეშ ისეთი ცივი აღარ მეჩვენა. ძალიან გამახარა მზემ და როზეტას ვუთხარი:

— ძნელი წარმოსადგენია, რომ სადღაც ომობენ. აქ ომი სრულებით არ იგრძნობა.

როზეტამ ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ ზღვის მხრიდან საშინელი სიჩქარით მომავალი თვითმფრინავი გამოჩნდა. გავიგონე მოტორის გუგუნი და იმწამსვე დავინახე, რომ იგი პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა. ძლივს მოვასწარი მეტაცნა როზეტასათვის ხელი და თხრილის მიღმა სიმინდის ყანაში გადავმხტარიყავით, სიმინდში მიწაზე გავწექით. თვითმფრინავი კი დასტრიალებდა გზას, მის ყოველ მოსახვევს, გვაყრუებდა თავისი მოტორის გუგუნით. ჩემის აზრით, გააფთრებული და გაავებული სწორედ ჩვენზე ნადირობდა. მერე გზის ბოლოში მიფრინდა, მოტრიალდა, ავარდა ვერხვების თავზე და მთისაკენ წავიდა. ახლა იგი მზის სხივში მოფარფატე ბუზს წააგავდა. ვიწექი მიწაზე, ერთი ხელით როზეტას ვეხვეოდი და ვუყურებდი გზას, პატარა ჩემოდანს, რომელიც როზეტას დაუვარდა სიმინდის ყანაში გადახტომისას. როდესაც თვითმფრინავი გზას დასტრიალებდა, შევამჩნიე, რომ ღორღს მტვრის პატარ-პატარა ღრუბლები ასდიოდა მთისკენ მიმავალი თვითმფრინავის მიმართულებით. როცა თვითმფრინავის ხმაური სრულიად მიწყდა, გამოვედი ყანიდან გზაზე და დავინახე, რომ ჩემოდანი მთლად დაცხრილულია, მის გარშემო გზაზე კი ჩემი ნეკისტოლა

თითბრის მასრები ყრია. მივხვდი, რომ თვითმფრინავი სწორედ ჩვენ გვიმიზნებდა, გზაზე ჩვენს გარდა არავინ იყო.

„ეგრემც დამიწებულხარ“ — გავიფიქრე ვე და ომისადმი საშინელი სიძულვილით ამევსო გული. ეს მფრინავი ხომ სულ არ გვიცნობდა, შეიძლება როზეტას ტოლი კარგი ყმაწვილიც იყო. ის კი ჩვენს მოკვლას ცდილობდა მხოლოდ იმიტომ, რომ ომია, ხოლო ჩვენი მოკვლა კი ისე ტყუილად, გასართობად სურდა, მონადირესავით, რომელიც ძაღლით შამბნარში დახეტიალობს, ალალბედზე ესვრის ხის ფოთლებს და ფიქრობს, ბეღურას მაინც მოვკლავ ამ ხეზეო.

მე და როზეტა ბეღურებს ვგავდით, რომლებსაც სანადიროდ გამოსული უსაქმური უმიზნებს, მას კი ისინი სრულებით არა სჭირდება და არც ყურადღებას აქცევს. გზა განვაგრძეთ. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ როზეტამ მითხრა:

— დედა, შენ არ მეუბნებოდი, სოფელში ომი არ არისო, ეს მფრინავი კი ჩვენ მოკვლას ცდილობდა.

მე ვუპასუხე:

— შევცდი, შვილო, ომი ყველგან ყოფილა: სოფელშიც და ქალაქშიც.

თავი მესამე

ნახევარი საათის შემდეგ გზის განშტოებას მივუახლოვდით: მარჯვნივ წყალზე ხიდი იყო, იმის იქით კი თეთრი სახლი, სადაც, როგორც ვიცოდი, ტომაზინო ცხოვრობდა. მდინარის ქვიან ნაპირზე დავინახე ქალი, რომელიც დაჩოქილი გუბეში თეთრეულს რეცხავდა. მე დავუძახე:

— ტომაზინო აქ ცხოვრობს?

მან გაწურა გარეცხილი სარეცხი და მიპასუხა:

— კი, აქ, მაგრამ შინ არ არის, დილით ადრე ფონდიში წავიდა.

— დაბრუნდება?

— ჰო, დაბრუნდება.

სხვა გზა არ გვქონდა, უნდა მოგვეცადა. ასეც მოვიქეცით. ხიდთან ქვის სკამზე ჩამოვჯექით. რამდენიმე ხანს ჩუმად ვისხედით მზეზე, რომელიც სულ უფრო კაშკაშებდა და აჭერდა. ბოლოს როზეტამ მკითხა:

— როგორ ფიქრობ, ანინა მიხედავს პალინოს? ცოცხალი დამხვდება, როცა შინ დავბრუნდები?

მე სულ სხვაზე ვფიქრობდი და პირველად ვერც კი მივხვდი, ვისზე ლაპარაკობდა როზეტა. მერე გამახსენდა, რომ ანინა მეზობელი სახლის მეეზოვე იყო რომში, პალინო კი როზეტას ფისო, რომელიც მას ძალიან უყვარდა და წამოსვლისას ანინას დაუტოვა. დავამშვიდე, ვუთხარი, რომ პალინო გასუქებული და გალამაზებული დახვდება, ანინას ძმა ყასაბია, ამიტომ რანაირი შიმშილობაც უნდა იყოს, მათ ხორცი არ გამოელევათ. ჩემმა სიტყვებმა, როგორც ჩანს, დაამშვიდეს როზეტა. იგი გაჩუმდა და მზეზე გაინაბა. ეს უმნიშვნელო ეპიზოდი იმიტომ მოვყევი, რომ გიჩვენოთ რა ბავშვი იყო როზეტა თავისი 18 წლის მიუხედავად. ჩვენთვის ასეთ კრიტიკულ მომენტში, როცა არც კი ვიცოდით, გვექნებოდა თუ არა საღამოს თავშესაფარი და რაივე საჭმელი, მას კატის ბედი აწუხებდა.

ბოლოს და ბოლოს გზაზე ფორთოხლის ჭამა-ჭამით მომავალი კაცი დავინახეთ. მაშინვე ვიცანი ტომაზინო, მთელი კვირის გაუპარსავი გრძელი სახე, კეხიანი ცხვირი, გადმოკარკლული თვალები, ნელი ნაბიჯი და ჩაჩაჩული წინდები ებრაელს ამსგავსებდნენ. ტომაზინომაც მიცნო. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ჩვენ მუდმივი მუშტარი ვიყავი, მისგან ბევრი სანოვაგე მქონდა ნაყიდი; მაგრამ უნდო კაცი იყო და სალამზე არ მიპასუხა.

ტომაზინო ფორთოხლის ჭამა-ჭამით მოდიოდა თავდახრილი. როგორც კი მოგვიახლოვდა, მაშინვე ვუთხარი:

— ტომაზინო, ჩვენ კონჩეტასაგან წამოვედით, უნდა დაგვეხმარო, რადგან არ ვიცით, სად წავიდეთ.

იგი ხიდის მოაჯირს დაეყრდნო, შედგა ფეხი ქვაზე, ამოიღო ჯიბიდან მეორე ფორთოხალი, მოკბიჩა, კანი პირდაპირ სახეში მომაფურთხა და მითხრა:

— შენ გგონია, ეს ასე ადვილია? ახლანდელ დროში ყველამ თავის თავზე უნდა იფიქროს, ღმერთმა კი ყველაზე. მე რითი უნდა დაგეხმაროთ?

— ეგებ იცნობ მთაში ვინმე გლეხს, რომელიც ინგლისელების მოსვლამდე შეგვიფარებს?

— არავის არ ვიცნობ და რამდენადაც ვიცი, ყველა სახლი დაკავებულია, მაგრამ თუ მთაში წახვალ, რამე საბძელს ან ფაცხას მაინც ეშოვნი.

— არა, მარტო მე იქ არ წავალ. შენი ძმა მთაში ცხოვრობს, თანაც გლეხებს იცნობ, სწორედ შენ უნდა გამაგზავნო რომელიმე მათგანთან.

ამის პასუხად მან კიდევ მომაფურთხა სახეში ფორთოხლის კანი და მითხრა:

— იცი, შენ ადგილას რას ვიზამდი?

— რას?

— რომში დავბრუნდებოდი, აი რას ვიზამდი.

მას ეგონა, რომ ჩვენ ფული არა გვქონდა, იმიტომ არ უნდოდა დაგვხმარებოდა. ის მხოლოდ ფულზე ფიქრობდა, უფულოდ თითსაც არ გაანძრევდა ვინმეს დასახმარებლად. არასოდეს არ მითქვამს მისთვის, რომ თან ბევრი ფული მქონდა წამოღებული, მაგრამ ახლა ვივხვდი, რომ ეს უნდა მეთქვა. ტომაზინოს ვენდობოდი, რადგან იგი ჩემი ჯურის კაცი იყო. მას ფონდიში სასურსათო მაღაზია ჰქონდა, ე. ი. ჩემსავით მედუქნე იყო. ახლა კი სპეკულაციას ეწეოდა, როგორც მე რომში. ერთი სიტყვით: ფერი ფერს, მადლი ღმერთსო. ამიტომ ზედმეტი სიტყვები არ დამიხარჯავს, ვუთხარი უბრალოდ:

— რომში მე ვერ წავალ. იქ დაბომბვა და შიმშილია. თანაც მატარებლები აღარ დადის; ჩემი შვილი კი,—აი ეს, როზეტა,—ჯერაც ვერ მოსულა გონს დაბომბვის შემდეგ. მთებში წასვლა და იქ თავშესაფრის პოვნა გადავწყვიტე. ქირას გადავიხდი, ამის გარდა სურსათი ვინდა მოვიმარაგო — ზეითუნის ზეთი, ლობიო, ფორთოხალი, ყველი, ფქვილი. ერთი სიტყვით, ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა ვიყიდო, ყველაფერში ნაღდს გადავიხდი. ფული მაქვს, 100.000 ლირა წამოვიღე. გინდა მოგვეხმარო? თუ არა და ვინმე სხვას მივმართავ. მარტო შენ ხომ არა ხარ ფონდიში. აქ კიდევ ესპოზიტოა, სკალიზეა და ბევრი სხვა. წავიდეთ, როზეტა.

ყველაფერი ეს უკმეხად ვთქვი, დავიდგი ჩემოდანი თავზე, როზეტაც ასევე მოიქცა და გავწიეთ მონტე სან ბიაჯოს მიმართულებით. გაიგო თუ არა, რომ მე 100.000 ლირა მქონდა, ტომაზინოს თვალები გაუშტერდა და ფორთოხალი ყელში გაეჩხირა. მაგრამ მალე მოვიდა გონს, გადმოაფურთხა ფორთოხალი და დამედევნა. ჩემოდანი მიშლიდა თავის მობრუნებას, მაგრამ უკნიდან მესმოდა მისი ხრინწიანი, აქოშინებული, მუდარით სავსე ხმა:

— დაიცა, დაიცა, გამიგონე, რა მოგივიდა? შეჩერდი, მოვილაპარაკოთ, მოვიფიქროთ.

გავიარე რამდენიმე ნაბიჯი და გავჩერდი, ცრტა ხანს გავჯიუტდი, მერე კი დავთანხმდი დავბრუნებულიყავი და შევსულიყავი მის სახლში. ტომაზინომ შეგვიყვანა დაბლა სართულში. ცარიელი თეთრი ოთახის მოწყობილობას შეადგენდა ერთი საწოლი და ლეიბი, რომელზეც დაშმუშნული ზეწრები ეფინა. ორივენი ამ ლოგინზე დავსხედით. ტომაზინომ თითქმის თავაზიანად მითხრა:

— მაშ შევადგინოთ საჭირო პროდუქტების სია. მე ვერაფერს დაგპირდები, ძალიან ცუდი დრო დადგა, გლეხები კი საზრიანები გახდნენ. ფასებში უნდა მენდო და არ მევაჭრო. მშვიდობიანი დრო ხომ არ არის. გახსოვდეს, შენ ფრნდიში ხარ და ახლა ომია. რაც შეეხება სახლს მთებში, მართალი გითხრა, არც კი ვიცი რა ვქნა. დაბომბვამდე ასეთი სახლები ბევრი იყო, ახლა კი ყველამ გააქირავა. ამ დილით მაინც უნდა წავსულიყავი ძმასთან, თქვენც წამოდით ჩემთან ერთად. იქ კი როგორმე მოგაწყობთ. რაიმეს ვიპოვით, მით უმეტეს, რომ შენ თანახმა ხარ წინდაწინ გადაიხადო ქირა. რაც შეეხება პროდუქტებს, საამისოდ ერთი კვირა დამჭირდება, მაგრამ თუ იქ, მთაში მოეწყობი, ჩემი ძმა ან ვინმე სხვა ლტოლვილი გასესხებს ან მოგყიდის რამეს.

ყველაფერი ეს ტომაზინომ გამოცდილი კაცის დამაჯერებელი კილოთი თქვა. ამოათრია ჯიბიდან გაქონილი და დაგლეჯილი წიგნაკი, მოძებნა შიგ სუფთა ფურცელი, დაასველა ენით ქიმიური ფანქარი, ფოემზადა ჩასაწერად და მკითხა:

— აბა, ვთქვათ! რამდენი ფქვილი გჭირდება?

ჩვენ შევადგინეთ სია: ამდენი პურის ფქვილი, ამდენი და ამდენი სიმინდისა; ზეითუნის ზეთი, ლობიო, ცხვრის ყველი, ღორის ქონი, ძეხვი, ფორთოხალი და ა. შ. მან ჩაწერა ყველაფერი ჩემი კარნახით, ჩაიდო წიგნაკი ჯიბეში, გავიდა ოთახიდან, შემდეგ ისევ შემობრუნდა და თან მოიტანა პური და ძეხვი.

— დასაწყისისათვის ეს მოვიტანე. ისაუზმეთ და ჯერჯერობით აქ დამელოდეთ. ასე, ერთ საათში წავიდეთ მთაში... კარგი იქნება, თუ ახლავე გადამიხდი ამ პურისა და ძეხვის ფულს, მერე რომ არ ამერიოს. ამოვიღე 100 ლირა და მივეცი. მან ფულს სინათლეზე გახედა. ხურდა ისეთი ჭუჭყიანი და დახეული ფულით დამიბრუნა, რომ არასოდეს არ მენახა. ჩვეულებრივად სოფელში, სადაც ხალხს ფული

ცოტა აქვს, სულ ერთი და იგივე ქაღალდი ტრიალებს და არასოდეს ახლით არ იცვლება. გლეხები არ ენდობიან ბანკებს და ფულს შინ ინახავენ. ვე რამდენიმე ქაღალდი უკან დავუბრუნე, რადგან საშინლად ჭუჭყიანი იყო. ტომაზინომ გამომიცვალა ფული და მითხრა:

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ერთი ურემი ასეთი ფული მქონდეს.

ტომაზინომ გაგვაფრთხილა, მალე დაებრუნდები და წავიდეთო. ჩვენ შევჭამეთ პური, ძეხვი და დამშვიდებულნი ვისხედით საწოლზე, რადგან ვიცოდით, რომ მალე სახლიც გვექნებოდა და საჭმელიც. უცბად ჩემდა უნებურად, ალბათ, ფიქრი ხმამაღლა გავაგრძელე, ვთქვი:

— ხედავ, როზეტა, რას ნიშნავს ფული?

— მადონა დაგვეხმარა, დედა, და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის დაგვეხმარება, — მიპასუხა მან.

აღარ შევეკამათე, როზეტა ძალიან მორწმუნე იყო და მუდამდღე დილა-საღამოს ლოცულობდა. ვე თვითონ მივაჩვიე ამას. ჩვენთან ასეა მიღებული. თუ მადონამ გვიშველა, — უნებურად გავიფიქრე მე, — მისი დახმარება მაინცდამაინც ჩვეულებრივი არ არის. ტომაზინო ხომ ფულის გულისთვის დაგვეხმარა, ეს ფული კი სპეკულაციითა მაქვს ნაშოვნი ომისა და შიმშილობის დროს. ეგებ მადონას ომი და შიმშილობა სურდა? რატომ? ეგებ ჩვენი ცოდვებისათვის გვსჯიდა?

პური და ძეხვი რომ შევჭამეთ, ტომაზინოს ჭუჭყიან ლოგინზე მივწექით. გათენებისას მოგვიხდა ადგომა და ახლა ისე გვერეოდა ძილი, თითქოს მშიერ კუჭზე ღვინო დაგველიოს. როცა ტომაზინო დაბრუნდა, ჩვენ გვეძინა. იგი გვაღვიძებდა და მხიარულად გვეუბნებოდა:

— ადექით, დროა წავიდეთ, ადექით.

ტომაზინო კმაყოფილი იყო, რადგან ჩვენში მოგების წყაროს ხედავდა. ავდექით და გავყევით მას. მდელოზე, ხიდთან ერთიბეწო ვირი დავინახეთ, რომელსაც ჩვენში სარდინიულს უწოდებენ. ტომაზინოს ამ საცოდავისათვის ბეთელი მთა აეკიდა, სულ ზევით კი ჩვენი ჩემოდნები მიემაგრებინა. დავადექით გზას. ტომაზინოს ვირი აღვირით მიჰყავდა, თავისუფალ ხელში ჯოხი ეჭირა. მას ქალაქურად ეცვა — შავი ქუდი, შავი პიჯაკი და შავი ზოლებიანი შარვალი, მაგრამ უყელსახვევოდ კი იყო. ფეხზე ძველი, ჭუჭყიანი, ყვითელი ტყავის ჯარისკაცული ფეხსაცმელი ეცვა. მე და როზეტა უკან მივდევდით.

ჯერ გზაზე მვიდიოდით, რომელიც მთის ძირს მიჰყვებოდა. მერე მთის მტვრიან და ეკლიან ბილიკზე გადავუხვიეთ, რომელიც გზას გამოეყო. მივბობღავდით ზევით და მალე ძაბრისებური ფორმის ვიწრო ხეობაში აღმოვჩნდით, რომელიც ორ კლდოვან მწვერვალს შუა მდებარე უღელტეხილით თავდებოდა. გამოგიტყდებით, როგორც კი საქონლის ნაკელითა და ქვით მოფენილ მთის ბილიკს. დავადექით, სიხარულმა ამიტანა. მე გლეხის ქალი ვარ, მთაში დავიბადე და 16 წლამდე სულ ასეთი ბილიკებით მივლია; ის, რომელზეც ახლა მივაბიჯებდი, ნაცნობი და მშობლიური მეჩვენა. მართალია, ჩემი მშობლები ვერ ვიპოვე, მაგრამ ვნახე ადგილები, სადაც ბავშვობა გავატარე. აქამდე ბარში მატყუარებთან, ქურდებთან, ბინძურ ხალხთან და გამცემლებთან მქონდა საქმე. ახლა კი ვირის ჩონჩორიკით დაფარული მშობლიური ბილიკი მთაში მიმიყვანს, სადაც ჩემთვის მახლობელი ხალხი ცხოვრობს. ტომაზინოსათვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ებრაული სიფათის პატრონი კაცი ვერ გამიგებდა, მეორე კი იმიტომ, რომ ბარელი იყო. როცა ცოცხალ ღობეს ჩავუარეთ, რომლის ჩრდილშიც ყოჩივარდა ამოსულიყო, როზეტას ვუთხარი:

— დაკრიფე ყოჩივარდა და თმებში ჩაიწანი, ძალიან მოგიხდება. ეს იმიტომ ვუთხარი, რომ უცბად გამახსენდა ჯერ კიდევ ქალიშვილობაში როგორ ვკრეფდი ყოჩივარდას თაიგულებს. ჩვენ, ჩოჩარები მას რატომღაც აბეზარ ყვავილს ვეძახდით, თმებში ვიწნავდი და მეგონა, რომ ძალიან მალამაზებდა. როზეტამ დამიჯერა და როდესაც დასასვენებლად შევჩერდით, ორი თაიგული დაკრიფა: ერთი თავისთვის, მეორე ჩემთვის. ჩვენ ყვავილები თმებში ჩავიწანით. ტომაზინომ გაკვირვებით შემოგვხედა. მე სიცილით ვუთხარი:

— ახალ სახლში შესვლისას ლამაზები გვინდა ვიყოთ.

მან არც კი გაიღიმა. წინ იყურებოდა, გუნებაში ითვლიდა ჩვენთვის საყიდელი სანოვაგის ფასს და ანგარიშობდა რაძდენს მოიგებდა ამით. ეს ნამდვილი სპეკულანტი იყო, თანაც ბარელი.

ბილიკმა ხეობის პირას ჩამწკრივებულ სახლებთან ჩიგვიყვანა; მერე მარჯვნივ გაუხვია და მთის ქედს ბუჩქნარში ზიგზაგებად გაჰყვა. აღმართი თითქმის შეუმჩნეველი იყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ ბილიკი ციცაბოდ ადიოდა ზევით, მაგრამ მე სრულებით არ ვგრძნობდი დაღლას, იმიტომ რომ ჩემი ფეხები, შეიძლება ითქვას დაბადებიდანვე

შეეჩვივნენ ციცაბო აღმართებს. ახლაც ჩემდაუნებურად მივიწევდი ზევით მთიელის აუჩქარებელი და თანაბარი ნაბიჯით. ციცაბო აღმართზეც კი არ მიჭირდა სუნთქვა. რომში გაზრდილ როზეტას და ბარის მცხოვრებ ტომაზინოს კი წამდაუწუმ უხდებოდათ გაჩერება სულის მოსათქმელად. ბილიკი სულ უფრო ზევით მიიწევდა. ჩემს თვალწინ თანდათან იშლებოდა ველი, უფრო სწორად, ველი კი არა, ვიწრო ხეობა, რომელიც საფეხურებად ადიოდა ზევით და უზარმაზარ კიბეს წააგავდა, მისი საფეხურები ქვევითკენ თანდათან ვიწროვდებოდა. ეს საფეხურები, რომლებსაც ჩოჩარები მაჩერებს ვეძახით, მოხნული მიწის გრძელი და ვიწრო ზოლებისაგან შედგება, ქვის კედელს ებჯინება და სახლის ბანს წააგავს. მიწის ამ ნაკვეთზე ცოტ-ცოტა ყველაფერი მოდის: პური, კარტოფილი, სიმინდი, ბოსტნეული, სელი. აქა-იქ ხეხილიც კი უდგათ პატარა მინდორზე. ასეთ მაჩერებს კარგად ვიცნობ. ჯერ კიდევ პატარაობაში, მაჩერების შემაერთებელ ციცაბო ბილიკებზე და კიბეებზე წელს ვიწყვეტავდი კედლების გასამაგრებელი ქვების თრევით. მიწის დამუშავება მთის ფერდობზე დიდ ჯაფას მოითხოვს — გლეხებმა მიწა ბუჩქნარისა და ქვებისაგან უნდა გაწმინდონ, ნიადაგის შესამაგრებლად კი, ქვების გარდა, ზევით მიწაც ამოიტანონ. სამაგიეროდ, როგორც კი ეს მინდორი — მაჩერა მზად არის, გლეხი მისგან იღებს ყველაფერს, რაც კი არსებობისათვის სჭირდება, ისე რომ ბაზარზე არაფრის ყიდვა არ უხდება.

არ მახსოვს რამდენ ხანს მივდიოდით მთის ბილიკით, რომელიც ხეობის ხან მარცხენა მხარეზე ეიცოცავდა, ხან კი სჭრიდა მას და მარჯვენა მხარეს მიჰყვებოდა. აქედან უკვე მთელი ხეობა მოჩანდა, რომელიც ცას უერთდებოდა: ჯერ მაჩერების გიგანტური კიბე ადიოდა, მერე თანდათანობით — შეთხელებული ბუჩქნარის მუქი ზოლი. უფრო ზევით, ტიტველ ქედზე აქა-იქ ხეები ჩანდა. ბოლოს ისინიც ქრებოდა და ხეობა იქ, პირდაპირ ლურჯ ცასთან, კლდოვანი უღელტეხილით თავდებოდა. მთის წვერზე, მწვანე ფცენარეებს შორის წითელი კლდეები მოჩანდა. ტომაზინომ გვიამბო, რომ ამ კლდეებში მოზრდილი გამოქვაბულია, რომელშიც დიდ ხანს იმალებოდა განთქმული ფონდელი მწყემსი. ამ მწყემსმა თავისი საცოლე ქოხში ჩაკეტა და ცოცხლად დაწვა, მერე კი მთებზე გადავიდა და იქ შეირთო ცოლი. როცა ბოლოს და ბოლოს მიაგნეს, მას უკვე ვაჟიშვილები და ქალიშვილები ჰყავდა, ის თეთრწვერა მოხუცი — მამა, მამამთილი

და ბაბუა იყო, ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. ტომაზინომ თქვა, ამ ქედის გადაღმა ჩოჩარეთის მთები იწყება და ერთ-ერთ მთას ფერიის მთა ჰქვიაო. გამახსენდა, ბავშვობაში ამ მთის სახელი ღრმა მნიშვნელობისა მეგონა, ხშირად ვეკითხებოდი დედას, ვართლა ცხოვრობდნენ თუ არა მთაზე ფერიები, ის კი მეუბნებოდა, იქ არ არის და არც არასოდეს არ ყოფილან ფერიები, ხოლო არავინ იცის მთას რატომა ჰქვია ასეთი სახელიო. მაგრამ მე არ ვუჯერებდი. ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, როცა გაზრდილი ქალიშვილის დედა ვიყავი, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეკითხა ტომაზინოსათვის — რატომ ჰქვია ამ მთას ფერიის მთა-მეთქი და ცხოვრობდნენ თუ არა იქ ოდესმე ფერიები? მაგრამ კმარა ამაზე. ერთ-ერთ მოსახვევში, პატარა მინდორზე დავინახეთ თეთრი ხარი, რომელიც გუთანში ება. გუთანს გლეხი ჰიჰყვებოდა და ხარს მიერეკებოდა მიწის ვიწრო და გრძელ ნაკვეთზე. ტომაზინომ ხელები პირთან მიიტანა და დაიყვირა:

— ჰაი, პარიდე!

გლეხმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეაჩერა ხარი და აუჩქარებლად წამოვიდა ჩვენკენ.

ის მაღალი არ იყო, მაგრამ როგორც ყველა ჩოჩარელს, ჰქონდა კარგად ჩამოსხმული ტანი, მრგვალი თავი, დაბალი შუბლი, პატარა მოკაუჭებული ცხვირი, მძიმე ყბები და ვიწრო ტუჩები, რომლებიც, ალბათ, არასოდეს არ იღიმებოდნენ. ტომაზინომ მიუთითა ჩვენზე და უთხრა:

— ეს სენიორები, პარიდე, რომიდან ჩამოვიდნენ და სურთ სახლი იქირაონ მთაში, რასაკვირველია, ინგლისელების მოსვლამდე, ცოტა ხნით.

პარიდემ მოიძრო თავიდან შავი ქუდი და მოგვაშტერდა უაზრო, მზისგან დაბნელებული თვალებით — ასე იყურებიან ხოლმე გლეხები. რომლებმაც მთელი დღე მინდორში კამეჩთან და გუთანთან გაატარეს. მერე ნელა, უგულოდ გვითხრა, თავისუფალი სახლები არ არის, რაც იყო, სულ გააქირავესო. ერთი სიტყვით, არც კი იცის სად შეიძლება ჩვენი დაბინავება. როზეტას სახე უცებ მოეღრუბლა, მე კი მშვიდად ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ ჯიბეში ბევრი ფული ჰქონდა, ფულით კი ადრე თუ გვიან ყველაფერი მოგვარდებოდა; ასეც მოხდა.

— ჰაი, პარიდევ, სენიორები, რა თქმა უნდა, ფულს გადაგიხდი-

ან. მოწყალებას კი არ თხოულობენ, ნაღდს იძლევიან, — უთხრა ტომაზინომ ცოტა უხეშად.

პარიდემ კეფა მოიფხანა, თავი ჩაქინდრა და თქვა, მაქვს სახლზე მიშენებული რაღაც ფარდულის თუ ქოხის მსგავსი, იქ საქსოვი დაზგა მიდგას, მაგრამ ცხოვრება შეიძლება, თუკი მართლა გჭირდებათ ცოტა ხნით თავშესაფარიო.

ტომაზინომ მაშინვე მიუგო:

— ხომ ხედავ, ბინაც მოინახა... მხოლოდ ცოტა დაფიქრება იყო საჭირო... შენ იმუშავე, პარიდე, მე თვითონ გავაცნობ ამ სენიორებს შენს ცოლს.

მათ ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს, მერე პარიდე გუთანს მიუბრუნდა, ჩვენ კი ისევ შევუდექით აღმართს.

შორს არ მოგვიხდა წასვლა. თხუთმეტი წუთის შემდეგ სამი პატარა სახლი დავინახეთ, რომლებიც მთის ფერდობზე წრეს ქმნიდნენ. სახლები ძალიან პატარები იყო, დიდი-დიდი ოროთახიანი. მათი უკანა კედლები მთის ფერდობს ებჯინებოდა. გლეხები ასეთ სახლებს თითქმის ყოველთვის თვითონ, კალატოზის დაუხმარებლად აშენებენ. ამ სახლებში მხოლოდ იძინებენ, დღისით მინდორში მუშაობენ, ხოლო ქოხებში პურსა სჭამენ და ავდარს აფარებენ თავს. ასეთი ქოხი სახლზე უფრო ადვილი ასაშენებელია: ერთ ღამეში შეიძლება ქვის კედლის ამოყვანა და თივით მისი გადახურვა. აქ ბევრი იყო ასეთი ქოხი. სახლებთან ერთად ისინი პაწაწინა სოფელს ქმნიდნენ. ზოგიერთი ქოხიდან ბოლი ამოდიოდა — ეტყობა, იქ საჭმელს ამზადებდნენ. სხვებში ალბათ საბძელი ან გომური ჰქონდათ. ვიწრო მაჩერებზე სახლებს შორის ხალხი დადიოდა, როცა მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ ეს ხალხი მაჩერის კიდესთან, ღია ცის ქვეშ გაშლილი დიდი მაგიდის გარშემო ტრიალებდა. ლეღვის ძირში დადგმულ მაგიდაზე უკვე სუფრა გაეშალათ და თეფშები და ჭიქები ეწყო. ხალხი ჯირკებს მოათრევდა და მაგიდის გარშემო სკამების მაგივრად დგამდა. დაგვინახა თუ არა, ერთი მათგანი, ჩვენკენ წამოვიდა:

— სწორედ დროზე მოხვედით, აბა, სუფრასთან მობრძანდით.

ეს ტომაზინოს ძმა, ფილიპო იყო. გამოგიტყდებით, არასოდეს არ მენახა, რომ ძმები ასე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ტომაზინო ჩუმი, გულდახურული, თითქმის კუშტი კაცი სულ ფრჩხილებს იკვნეტდა და ძირს იყურებოდა, ალბათ მოგებას ანგარიშობდა. ფილიპო კი

პირიქით, ექსპანსიური და გულღია კაცი, თავის ძმასავით ვაჭარი იყო, ოღონდ ტომაზინოს სასურსათო დუქანი ჰქონდა, ფილიპოს კი — უნივერსალური მაღაზია, რომელშიც ცოტ-ცოტა ყველაფრით ვაჭრობდა. ეს იყო პატარა ტანის კაცუნა, მოკლე კისრით, ფართო მხრებზე სწორად დადგმული თავით, რომელიც გადმოპირქვავებულ დოქს წააგავდა, როცა ვიწრო ნაწილი ზევითაა, განიერი კი ქვევით. ცხვირი, რომელიც დოქის ტუჩს გავდა, უფრო აძლიერებდა ამ მსგავსებას. ოკლე ფეხებს ეყრდნობოდა ტანი წინ წამოწეული მკერდითა და მუცლით. ქამარი ფილიპოს მუცლის ქვეშ მოქცეოდა და ყოველ მოძრაობაზე თითქოს შარვალი სძვრებაო.

როცა გაიგო, რომ ჩვენ ლტოლვილები ვართ, მათთან ცხოვრებას ვაპირებთ, თან ფულიცა გვაქვს, რომ მეც დუქნის მეპატრონე ვარ (ყველაფერი ეს მოკლედ და კუშტად, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ტომაზინომ აცნობა), ფილიპო კინაღამ გადაგვეხვია:

— მობრძანდით ჩვენთან სუფრაზე, ატრიისა და ლობიოს კერძი გვაქვს გაკეთებული. სანამ სანოვაგეს მიიღებდეთ, ჩვენთან ისადილეთ, ჩვენი პროდუქტები ჭამეთ... სულ ერთია, ინგლისელები მოვლენ და ყველაფერს მოიტანენ, ყველაფერი თავსაყრელი იქნება, ახლა კი ისა სჯობია ვჭამოთ და ვიმხიარულოთ.

ფილიპო ბაგიდის გარშემო ტრიალებდა, ამასობაში გაგვაცნო თავისი ქალიშვილი, ნაზი და ოდნავ სევდიანი შავგვრემანი გოგონა და ვაჟი, რომელიც დაბალი ტანისა და განიერი მოხრილი მხრების გამო კუზიანს გავდა. მას ძალიან შავი თმა ჰქონდა, ბეც თვალებზე კი სქელშუშიანი სათვალე ეკეთა. იგი დოქტორი იყო, ყოველ შემთხვევაში მამამისი ასე ამბობდა.

— გაიცანით ჩემი შვილი მიქელე, დოქტორი.

მერე ფილიპომ გაგვაცნო ცოლი, რომელსაც მეტად თეთრი სახე, ჩალურჯებული თვალები და უზარმაზარი მკერდი ჰქონდა. იგი გულის მანკით იყო ავად და ძალიან შეშინებული ჩანდა. როცა ფილიპომ გაიგო, რომ მე რომში დუქანი მაქვს, იგი მეგობრულად, შეიძლება ითქვას, ძმურად მომექცა. მაშინვე დაინტერესდა — მაქვს თუ არა ფული და როცა გაიგო, რომ მქონდა, მითხრა — მეცა მაქვს შარვლის ჯიბეში დიდი თანხა, რომელიც მეყოფა, თუგინდ ინგლისელები, თუმცა კი ეს შეუძლებელია, ერთი წლის შემდეგაც მოვიდნენო. მელაპარაკებოდა საიდუმლოდ, როგორც ტოლი ტოლს, ე. ი. როგორც კომერ-

სანტი კომერსანტს და უფრო თამამად ვიგრძენი თავი. არც მე და არც იმან არ ვიცოდით მაშინ, რომ ფული ომის დროს თანდათან გაუფასურდება ხოლმე. ფული, რომელიც ოჯახს ერთ წელს ყოფნიდა, ახლა ერთ თვეს ძლივს ეყოფოდა.

— ჩვენ აქ ინგლისელების მოსვლამდე დავრჩებით, ვჭამთ, ვსვამთ, არაფერზე არ ვიფიქრებთ... როცა ინგლისელები მოვლენ, ისინი თან ღვინოს, ზეითუნის ზეთს, ფქვილს, ლობიოს მოიტანენ. ისევ უხვად იქნება ყველაფერი და ვაჭრები ისევ ვივაჭრებთ ჩვენს მაღაზიებში, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, — მითხრა ფილიპომ.

იმისათვის, რომ საუბარში მონაწილეობა მიმეღო, ვუთხარი: ინგლისელები შეიძლება სულაც არ მოვიდნენ და ომი გერმანელებმა მოიგონ-მეთქი.

— მერე ჩვენ რა? გინდ გერმანელები იყვნენ, გინდ ინგლისელები, სულ ერთი არ არის? ნეტავი ბოლოს და ბოლოს ვინმემ მოიგოს ომი... მთავარია, ჩვენი საქმე გავაკეთოთ.

მან ეს სიტყვები ხმამაღლა და დიდად დამაჯერებლად თქვა, მაგრამ მისი ვაჟი, რომელიც მაჩერის პირას განმარტოებით იდგა და მის წინ გადაშლილ ფონდის პანორამას გასცქეროდა, გველნაკბენივით შემოტრიალდა და წამოიძახა:

— შენთვის შეიძლება სულერთია, მაგრამ რაც შემეხება მე... თუ ომს გერმანელები მოიგებენ, თავს მოვიკლავ.

მან ეს ისე სერიოზულად და მტკიცედ თქვა, გაკვირვებით შეეკითხე:

— რა დაგიშავეს ასეთი გერმანელებმა?

მან ალმაცერად შემომხედა და მითხრა:

— პირადად მე არაფერი... მაგრამ მითხარი, შენ რომ ვინმემ გიბრძანოს: აიყვანე შხამიანი გველი და მოუარეო, რას იზამდი?

— რასაკვირველია, გველს სახლში არ გავაჩერებდი, — ვუპასუხე გაკვირვებით.

— რატომ? ამ გველს ხომ შენთვის ჯერჯერობით არაფერი დაუშავებია? ასე არ არის, განა?

— ასეა, მაგრამ ყველამ იცის, რომ შხამიანი გველი ადრე თუ გვიან გიკბენს.

— განა ეს იგივე არ არის? მე ვიცი, რომ გერმანელები, უფრო

სწორად ნაცისტები, თუმცა მათ პირადად ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ, დღეს თუ ხვალ, გველებივით დაიწყებენ კბენას.

მაგრამ ფილიპომ, რომელიც ჩვენს საუბარს სულ უფრო მეტი მოუთმენლობით უგდებდა ყურს, დაიძახა:

— დავსხდეთ, დავსხდეთ, გვეყოფა გერმანელებზე და ინგლისელებზე ლაპარაკი, კმარა. წვნიანი უკვე მოიტანეს.

მისმა ვაჟმა, რომელმაც ალბათ უბრალო გლეხის ქალად ჩამთვალა, იფიქრა, არ ღირს მასთან ტყუილ-უბრალოდ ლაპარაკიო და სხვებთან ერთად მაგიდისაკენ გაემართა.

რომ იცოდეთ რა ქეიფი იყო! არასოდეს არ დამავიწყდება. აქ ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო. უჩვეულო იყო გრძელი ვიწრო მაგიდა გრძელ და ვიწრო მაჩერაზე. პირდაპირ ჩვენს წინ, ფონდის დაბლობისაკენ მაჩერების გიგანტური კიბე ეშვებოდა, გარშემო მთები აზიდულიყო, თავზე ჯერ კიდევ მცხუნვარე მზიანი სექტემბრის ლაჟვარდი ცა დაგვყურებდა. მაგიდაზე კი — რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ ყოფილიყო! თეფშებზე ძეხვი და ლორი, ცხვრის ყველი, შინ გამომცხვარი ახალი, ხრამუნა პური, მჟავე კიტრი და ყოველგვარი მწვანილი, მოხარშული კვერცხები, კარაქი, ატრიისა და ლობიოს კერძით სავსე მათლაფები, რომლებიც ფილიპოს ქალიშვილს, ცოლს და დედას მოჰქონდათ სამზადი ქოხიდან და მაგიდაზე დგამდნენ. დიდი ბოთლებით იდგა ღვინო და ერთი ბოთლი კონიაკიც კი. დაუჯერებელი იყო, რომ ბარში არაფერი არ იშოვებოდა, ერთი კვერცხი 8 ლირა ღირდა, ხოლო რომში ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ფილიპო ხელების ფშვნეტით გარს უვლიდა მაგიდას და მის სახეზე კმაყოფილება აღბეჭდილიყო.

— ვჭამოთ და ვსვათ, სულ ერთია, ინგლისელები მოვლენ და დოვლათი დაგვიბრუნდება, — გაუთავებლად იმეორებდა ის.

არ ვიცი რატომ იყო ასე დარწმუნებული, რომ ინგლისელები დოვლათს მოიტანდნენ. აქ მთაში ყველა დარწმუნებული იყო ამაში და სულ ამას იმეორებდნენ. ალბათ ამ რწმენას რადიოც განამტკიცებდა. მიამბეს, რომ რადიოთი გამოდიოდა ინგლისელი, რომელიც იტალიურად ნამდვილი იტალიელივით ლაპარაკობდა და ყოველდღე იტყობინებოდა: მოვლენ თუ არა ინგლისელები, ყველას ყველაფერი ექნებაო.

მაგრამ კმარა ამაზე. როგორც კი წვენი ჩამოგვირიგეს, მაგიდას

მივუჯექით, ბევრნი ვიყავით: უპირველეს ყოვლისა, ფილიპო ცოლით, ქალიშვილითა და ვაჟიშვილით, პარიდე თავისი ცოლით ლუიზათი, პატარა, ცისფერთვალება, ქერათმიანი ქალით, რომელსაც ეშმაკური სახე ჰქონდა, მათთან ერთად იყო შვილი დონატო. ტომაზინო იყო ცოლით, მაღალი, გამხდარი, ულვაშა, ცხენთავა ქალით და ქალიშვილით, რომელსაც დედასავით ცხენის სახე ჰქონდა, მაგრამ უფრო მშვიდი, შავი კეთილი თვალები. იყო აგრეთვე 4 — 5 ჩამოგლეჯილი და გაუპარსავი კაცი, როგორც მერე გავიგე — ლტოლვილები ფონდიდან. ისინი ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდნენ ფილიპოს, თავიანთ აღიარებულ ბელადს. ფილიპოს სტუმრები თავისი ქორწინების წლისთავის აღსანიშნავად მოეწვია. მაგრამ ეს მოგვიანებით გავიგე. მაშინ კი მეგონა, ფილიპოს საქმლის იმოდენა მარაგი ჰქონდა, რომ არ იცოდა სად წაეღო და ყოველდღე უმასპინძლდებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ქეიფი, რომ არ გადავაჭარბო, თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ჯერ ლობიოთი და ატრიით შეზავებული წვენი ვჭამეთ, ძალიან გემრიელი იყო კვერცხით მოზელილი ოქროსფერი ატრია, საუკეთესო ხარისხის თეთრი, დიდრონი და რბილი ლობიოც კარაქივით დნებოდა პირში, წვენი ისეთი გემრიელი იყო, რომ ყველამ ორ-ორი, ზოგმა კი სამი პირამდე სავსე მათლაფა შეჭამა. წვენის შემდეგ ვჭამეთ საუზმეული: სახლში გაკეთებული ოდნავ მლაშე, მაგრამ მადის აღმძვრელი შაშხი, შინაური ძეხვი, მოხარშული კვერცხები, სხვადასხვანაირი ყველი. საუზმეულის შემდეგ ქალები გაიქცნენ და სამზადი ქოხიდან მოარბენინეს თითომ თითო სინი, რომლებზეც ელაგა შემწვარი დეკეულის ხორცის დიდრონი ნაჭრები; ხორცი უმაღლესი ხარისხისა იყო — თეთრი და ნაზი: სწორედ წინა დღეს ვიღაცას დაეკლა დეკეული და ფილიპოს რამდენიმე კილო ხორცი ეყიდა. მერე მოიტანეს პატარა ნაჭრებად დაკუწული ბატკნის ხორცი, ძალიან გემრიელი, მომჟავო-მოტკბო საწებლით შეკაზმული; მერე ვჭამეთ ქვასავით მაგარი მლაშე ცხვრის ყველი, რომელიც ადამიანს წყურვილს ჰგვრის, წყურვილს ღვინით ვიკლავდით, ყველის მერე მოგვართვეს ფორთოხალი, ყურძენი, ჩირი. წარმოიდგინეთ ტკბილეულიც კი იყო: აქვე ღუმელში გამომცხვარი ვანილიანი შაქარმოყრილი ფხვიერი ცომის ნამცხვარი. ბოლოს კონიაკთან ერთად ფილიპოს ქალიშვილმა ნამდვილი ქალაქური ნამცხვარიც გამოიტანა. რამდენი დავლიეთ? ვფიქრობ თითოეულს თითო ლიტრზე

ნაკლები არ დაულევია, ზოგიერთებმა, ალბათ ლიტრაზე მეტიც დალიეს, მაგრამ ზოგს მეოთხედიც არ დაულევია, როზეტასავით, რომელიც არასოდეს არ სვამდა ღვინოს. სუფრაზე მხიარულება გაჰეფდა. ყველა ჭამდა, სვამდა და ლაპარაკობდა მხოლოდ საჭმელ-სასმელზე, იმაზე, თუ რას ჭამდნენ ახლა, რისი ჭამა ან დალევა სურდათ შემდეგში, ან იმაზე, თუ რა უჭამიათ ან დაულევიათ ოდესმე. ფონდის მცხოვრებისათვის, ისევე, როგორც ჩემი მშობლიური სოფლის მცხოვრებისათვის, საჭმელ-სასმელს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც რომის მცხოვრებისათვის საკუთარ მანქანას და ბინას პარიოლიში*. სოფელში დაცინვით უყურებენ ადამიანს, რომელიც ცოტას ჭამს და სვამს. თუ გინდა პატივს გცემდნენ, ანგარიშს გიწევდნენ და სენიორს გეძახოდნენ, რაც შეიძლება მეტი უნდა ჭამო და სვა — მხოლოდ ამით შეიძლება საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურო. მე ვიჯექი ფილიპოს ცოლის გვერდით, რომელსაც ძალიან ფერმკრთალი სახე და უზარმაზარი ჭკერდი ჰქონდა. როგორც უკვე ვთქვი, იგი ავადმყოფს გავდა. მას, საწყალს, მხიარულების თავი არა ჰქონდა, ჩანდა, რომ ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ, მაინც ტრაბახობდა თავისი მარაგით, რომელიც ყოველთვის თავსაყრელი ჰქონდათ.

— ჩვენ ოჯახში არასოდეს არა გვქონია 40 ახალ კვერცხზე ნაკლები, ექვსიოდე შებოლილი ფეხი, ამდენივე ძეხვი, ყველი კი არანაკლებ 12 თავისა... ქონს იმდენს ვჭამდით, რომ ერთხელ, სადილის შემდეგ დავაბოყინე და ქონის ნაჭერი კუჭიდან პირში უკანვე დამიბრუნდა ისე, რომ პირში ორი ენა გამიჩნდა, ოღონდ მეორე თეთრი იყო.

ეს მან ისე მითხრა, ჩემზე შთაბეჭდილება რომ მოეხდინა. ერთი სიტყვით, ეს უბრალო სოფლის ხალხი იყო, რომელმაც არ იცოდა, რომ ნამდვილი ქალაქელი სენიორები, განსაკუთრებით ქალები, სულ ცოტას ჭამენ, ფულს ბინის მოწყობაში, ძვირფას ტანსაცმელსა და მოსართავებში ხარჯავენ. აქაური ხალხი კი ჩამოგლეჯილი დადიოდა, მაგრამ თავისი ძეხვითა და ქონით ამაყობდა, ისევე როგორც რომაელი სენიორები ამაყობენ საღამოს ტუალეტებით.

ფილიპო ყველაზე მეტსა სვამდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც მან გვაცნობა, მისი ქორწინების წლისთავი იყო, მეორე კი იმი-

---

* პ ა რ ი ო ლ ი — არისტოკრატიული უბანია რომში.

ტომ, რომ საერთოდ უყვარდა სმა. შემდეგში მე ხშირად ვხედავდი, დილაადრიან როგორ უბრწყინავდა ხოლმე თვალები და უწითლდებოდა ცხვირი. შუა ქეიფის დროს, შეიძლება იმიტომ, რომ უკვე მთვრალი იყო, ფილიპო უცებ მეტისმეტად გულახდილი გახდა.

— მომისმინეთ, რა გითხრათ, — თქვა მან უცებ, — ომი მხოლოდ სულელებისათვის არის ცუდი, ჭკვიანებისთვის კი — პირიქით. იცით, რა უნდა დავაწერო ჩემი მაღაზიის სალაროს: „აქ სულელები არა გვყავს". ასე ამბობენ ნეაპოლში და ჩვენთანაც ასე ამბობენ, ეს სრული ჭეშმარიტებაა. მე არა ვარ სულელი და არც არასოდეს ვიქნები. იმიტომ, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ ორი კატეგორიის ადამიანები არსებობს: სულელები და ჭკვიანები, და ყველანი, ვისაც ეს არ ესმის, არ ეკუთვნიან პირველ კატეგორიას. ზოგი რამ უნდა იცოდე და არ გაიბრიყვო თავი. სულელებს სჯერათ, რასაც გაზეთები წერენ, იხდიან გადასახადს, მიდიან ომში და იხოცებიან კიდეც. ჭკვიანები კი... ერთი სიტყვით, ჭკვიანები პირიქით იქცევიან, მორჩა და გათავდა. ჩვენს დროში სულელები იღუპებიან, ჭკვიანები რჩებიან, სულელები თავისდაუნებურად ჩვეულებრივზე უფრო სულელდებიან, ხოლო ჭკვიანებს მეტი ჭკუა სჭირდებათ. გაგიგონიათ, ალბათ, ანდაზა: ცოცხალი ვირი მკვდარ ექიმსა სჯობიაო, ანდა მეორე: დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს მირჩევნიაო; აი ერთიც: პირობას მხოლოდ მხდალები ასრულებენო. კიდევ მეტს გეტყვით: ისეთი დრო დადგა, რომ სულელებისთვის ქვეყნად ადგილი აღარ არის. არავის არა აქვს უფლება სულელი იყოს, თუნდ ერთი დღეც. უნდა ჭკვიანი, ძალიან ჭკვიანი, უჭკვიანესი იყო, რადგან მეტად საშიშ დროში ვცხოვრობთ. აბა სცადე და ჩაუდე ვინმეს პირში თითი—მაშინვე მთელ ხელს მოგაჭამს. ხომ ხედავთ, რა მოუვიდა საცოდავ მუსოლინის, რომელიც ფიქრობდა მხოლოდ პაწაწინა, თითისოდენა ომზე საფრანგეთში, მთელი ხელის მოცემა კი მოუხდა, როცა მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ დაიწყო ომი, ახლა კი სულ აღარაფერი აქვს და ძალაუნებურად სულელად გამოიყურება, ის კი მუდამ ცდილობდა ჭკვიანი ყოფილიყო. დამიჯერეთ, მთავრობები მიდიან და მოდიან, ერთმანეთს ეომებიან, უბრალო ხალხს ტყავს აძრობენ, მერე რიგდებიან და საერთოდ რასაც უნდათ, იმას სჩადიან. მაგრამ ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს და მუდამ უცვლელია, ეს არის ვაჭრობის საქმე. სულ ერთია ვინ მოვა: ინგლისელები, გერმანელები თუ რუსები, ჩვენთვის,

კომერსანტებისათვის, მთავარია ვაჭრობა. თუკი ვაჭრობის საქმე კარგად მიდის — ყველაფერი რიგზეა.

ამ სიტყვის თქმა ფილიპოს ეტყობა დიდად გაუჭირდა, რადგან შუბლსა და საფეთქლებზე მსხვილმა ოფლმა დაასხა. მან სულმოუთქმელად გადაჰკრა ღვინო და სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა. ფილიპოს გარშემო შეგროვილმა ლტოლვილებმა ფარისევლურად კვერი დაუკრეს, გასაგებიც იყო, ეს თაღლითი და ქლესა ხალხი ხომ მის ხარჯზე ცხოვრობდა.

— გაუმარჯოს ფილიპოს, გაუმარჯოს ვაჭრობას! — დაიყვირა ერთმა მათგანმა. მეორემ სიცილით შენიშნა:

— შენ თამამად შეგიძლია თქვა, რომ ვაჭრობა უცვლელი რჩება. რამდენი რამ მოხდა უკანასკნელ დროს, მაგრამ ვაჭრობა გრძელდება და შენი საქმე კარგად მიდის, ხომ ასეა, ფილიპო?

მესამემ, ყოვლისმცოდნის სახით, გაკვირვებით თქვა:

— გერმანელების ან ინგლისელების მოსვლაში გეთანხმები, მაგრამ შენ სერიოზულად გინდა რუსების მოსვლა, ფილიპო?

— რატომაც არ უნდა მინდოდეს? — იკითხა ფილიპომ. მე ის იმდენად მთვრალი მომეჩვენა, აღარაფერი ესმის-მეთქი.

— იმიტომ, რომ რუსები ვაჭრობის ნებას არ მოგცემენ, განა არ იცი, ფილიპო, რომ რუსებს ყველაზე უფრო ვაჭრები ეჯავრებათ?

— იდიოტები, — ჩუმად, დაფიქრებით თქვა ფილიპომ. შეივსო ჭიქა და სიყვარულით გაჰხედა ღვინოს.

ბოლოს მეოთხემ წამოიძახა:

— შენ დიდი კაცი ხარ, ფილიპო, სიმართლესაც ბრძანებ: სულელები აქ არა გვყავს, სრული ჭეშმარიტებაა!

ეს ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ ყველას გაეცინა. მაგრამ ფილიპოს შვილი უცბად წამოხტა და მოღუშულმა თქვა: „ჩემს გარდა აქ ყველა ჭკვიანია, მარტო მე ვყოფილვარ სულელი“. ყველანი გაჩუმდნენ და გაკვირვებით დაუწყეს ყურება. მცირე დუმილის შემდეგ მან განაგრძო: — და რადგან აქ, ჭკვიანთა საზოგადოებაში, სულელებისათვის ადგილი არ არის, მაპატიეთ, მე წავალ, გავიცლი.

— რატომ გეწყინა, შენ არავისაც არა ჰგონიხარ სულელი, — იძახოდნენ ყოველი მხრიდან, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია ამ შეძახილებს, გასწია სკამი და ნელი ნაბიჯით გაჰყვა მაჩერას. ყველამ

თვალი გააყოლა. ფილიპო ძალიან მთვრალი იყო იმისთვის, რომ ეს წყენოდა. მან ასწია ჭიქა, გახედა მიმავალ შვილს და თქვა:

— შენი სადღეგრძელო იყოს... ყველა ოჯახს უნდა ყავდეს თითო სულელი მაინც, ამით არაფერი დაშავდება.

ყველას გაეცინა, რადგან მამა, რომელსაც თავისთავი ძალიან ჭკვიანი ეგონა, სვამდა შვილის სადღეგრძელოს, რომელმაც თავი სულელად გამოაცხადა. სიცილი უფრო გაძლიერდა, როცა ფილიპომ ხმას აუწია და დაუძახა:

— შენ შეგიძლია თავი გაისულელო, რადგან ჩვენს ოჯახში მე ვალდებული ვარ ჭკვიანი ვიყო.

— სწორედ ასეა. ფილიპო მუშაობს, ფულს შოულობს, შვილი კი წიგნებს კითხულობს, დროს ატარებს და თავი მოაქვს, დიდი ვინმე ვარო.

ფილიპო გულში ამაყობდა თავისი ვაჟით, რომელიც ასე განსხვავდებოდა მისგან და ასეთი განათლებული იყო. მან ჭიქა გადადგა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა:

— გაითვალისწინეთ, რომ ჩემი შვილი, სიმართლე რომ ვთქვა, იდეალისტია... იცით, რას ნიშნავს ჩვენ-დროში იდეალისტობა? სისულელეს. იგი არ არის დამნაშავე, გარემოება აიძულებს, მაგრამ ის მაინც სულელია.

მზე ჰორიზონტისკენ იხრებოდა და ბოლოს სულ მიეფარა მთებს. სტუმრები აიშალნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდ-წამოვიდნენ. კაცები ფილიპოს გაჰყვნენ ბანქოს სათამაშოდ. გლეხებმა კვლავ თავის სამუშაოს მიაშურეს, ქალები მაგიდის ალაგებას შეუდგნენ. ჭურჭელი ჭასთან ტაშტში დავრეცხეთ, მოვაგროვეთ ყველა თეფში და მე შუათანა სახლში შევიტანე, რომელშიც ფილიპოს და მის ოჯახს ოთახი ეჭირათ. კიბით მეორე სართულზე ავედი, ოთახში შევედი და გაკვირვებით მივიხედ-მოვიხედე. ფილიპო და მისი მეგობრები ქუდებით შუა ოთახში იატაკზე ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ. ოთახში არავითარი ავეჯი არ იყო. კუთხეში შევამჩნიე აკეცილი ლეიბები და დიდძალი ტომრები. ტომრები ძალიან ბევრი იყო. უნდა გითხრათ, მომარაგების მხრივ ფილიპო ჭკვიანად მოქცეულა. აქ იყო თეთრი მტვრით დაფარული პურის ფქვილით სავსე ტომრები, ყვითელი მტვრით დაფარული სიმინდისფქვილიანი ტომრები, უფრო პატარა ტომრებში ლობიო, ცერცვი, უგრეხელი ეყარა. იქვე ეწყო

კონსერვის ქილები, განსაკუთრებით ბევრი იყო ტომატიანი ქილა. ფანჯარაზე ორი ლორი ეკიდა, ტომრებზე კი ორი თავი ყველი იდო. შევამჩნიე აგრეთვე რამდენიმე ღორისქონიანი თავმოკრული ქილა, ზეითუნის ზეთის და ღვინის ბოთლები. ჭერიდან შინაური წვრილი ძეხვის აკიდოები ეშვებოდა. ერთი სიტყვით, ეს კარგი სასურსათო ბაზა იყო. და რა გინდ ცუდად არ დატრიალდეს საქმე, თუკი გაქვს ფქვილი, ცხიმი და ტომატი, ყოველთვის შესძლებ გაიკეთო ერთი მათლაფა ატრია ტომატის საწებლით. როგორც ვთქვი, ფილიპო და მისი მეგობრები შუა ოთახში ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ, ხოლო მისი ცოლი და ქალიშვილი ნახევრად შიშვლები, საჭმლისა და სიცხისაგან დაოსებულნი ერთ-ერთ ლეიბზე წამოწოლილიყვნენ. დამინახა თუ არა, ფილიპომ მიანება თავი თამაშს და მითხრა:

— ხედავ, როგორ კარგად მოვეწყვეთ აქ, ჩეზირა? უთხარი პარიდეს, გაჩვენოს თქვენი ოთახი. იქ ისე იქნები, როგორც პაპის სასახლეში.

მე არაფერი ვუპასუხე. დავდგი თეფშები იატაკზე და გამოვედი, რომ მომეძებნა პარიდე და ოთახის შესახებ მოვლაპარაკებოდი.

პარიდე ქოხთან შეშას აპობდა. ვთხოვე ეჩვენებინა ოთახი, რომელშიც უნდა გვეცხოვრა. მას კუნძზე ედგა ფეხი, რომელზეც ტყავისძირიანი წინდა, ეგრეთწოდებული „ჩოჩი“ ეცვა, ჩამოფხატული ქუდის ფარფლების ქვემოდან მიყურებდა, ცულისათვის ხელი არ გაუშვია, ისე მისმენდა. როცა გავათავე, მითხრა:

— ტომაზინომ ისე გასცა განკარგულება, თითქოს ბატონ-პატრონი ყოფილიყოს, ნამდვილი პატრონი კი აქ მე ვარ... მართალია, თავიდან დაგთანხმდით, მაგრამ ახლა გადავიფიქრე; ოთახს ვერ მოგცემთ... იქ საქსოვი დაზგა დგას, რომელზეც ლუიზა მუშაობს, რას იზამთ, როცა ის იმუშავებს, მთელი დღე მინდორში ხომ ვერ იხეტიალებთ?

მივხვდი, რომ იგი ნამდვილი გლეხი იყო და არ მენდობოდა. მაშინ ჯიბიდან ხუთასი ლირა ამოვიღე და მივეცი:

— გეშინია, რომ მოგატყუებ და არ გადავიხდი? აი, ხუთასი ლირა, შეინახე, წასვლის წინ კი ვიანგარიშოთ რამდენი მემართება შენი.

პარიდე გაკვირვებისაგან სახტად დარჩა და უხმოდ გამომართვა ფული. მინდა აგიწეროთ როგორ გააკეთა ეს, რადგან მთიელი გლეხობის დამოკიდებულება ფულისადმი მათს გონებრივ განვითარებას გვიჩვენებს. პარიდემ ორივე ხელით გამომართვა ფული, მუცელთან

ახლოს მიიტანა და დიდხანს მოღუშული უნდობლად ატრიალებდა ხელში და ათვალიერებდა, თითქოს ეს მისთვის სრულიად უცნობი საგანი ყოფილიყოს. შემდეგში ხშირად მინახავს, როგორ იმეორებდა მუდამ იგივე ჟესტს, როდესაც ხელში ფული ეჭირა. მაშინ მივხვდი, რომ ამ მხარის გლეხებს ფული არასოდეს არა აქვთ. ყველაფერს, რაც სჭირდებათ, ტანსაცმელსაც კი, თვითონ აკეთებენ, ხოლო ფულს ზამთარში ქალაქში გასაყიდად ჩატანილ თითო-ოროლა კონა ფიჩხში თუ იღებენ. ამიტომ ფული მათთვის იშვიათი და ძვირფასი ნივთია, ის ფულზე მეტია, თითქმის ღვთაებაა. მე დიდხანს მიცხოვრია გლეხებთან მთაში და დავრწმუნდი, რომ ისინი არა თუ მორწმუნენი, ცრუმორწმუნენიც კი არ არიან. მათთვის ცხოვრებაში მთავარია ფული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფული მათ არასოდეს არა აქვთ და თითქმის ვერც ხედავენ, მეორე კი იმიტომ, რომ ფულით ყოველგვარი სიკეთის მიღება შეუძლიათ, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ. და მე, როგორც მედუქნე, ვეთანხმები მათ.

პარიდე გაძღა ფულის ცქერით და მითხრა:

— კარგი, თუ საქსოვი დაზგის ხმაური არ შეგაწუხებთ, შედით იმ ოთახში. ამ სიტყვებით იგი გამიძღვა მთის ციცაბო ფერდობზე მდგარი უკანასკნელი სახლისაკენ. ორსართულიანი შემოძარცული სახლის გვერდით პატარა კრამიტით დახურული მინაშენი იდგა, მისი უკანა კედლის მაგივრობას ქვით ნაგები მაჩერის კედელი სწევდა, წინა კედელში კი გამოჭრილი იყო უჩარჩოო და უმინო კარ-ფანჯარა. შევედით ოთახში. მისი ნახევარი, როგორც პარიდემ თქვა, ძველი ყაიდის მთლად ხის საქსოვ დაზგას ეჭირა. მეორე ნახევარში იდგა საწოლი — რკინის ხარაჩოზე დამაგრებული ფიცრები. ფიცრებზე სიმინდის ფუჩეჩით გატენილი თხელი ნაჭრის ტომარა იდო. ჭერი დაქანებული და ისეთი დაბალი იყო, რომ თავის დახრა გვიხდებოდა, კედლებს აბლაბუდა და ობი მოჰკიდებოდა. (ერთ კედელს შიშველი კლდე წარმოადგენდა). დავიხედე ძირს... არც ქვა და არც ფილაქანი არ ეგო. ეს სოხანე იყო, როგორც ბოსელშია ხოლმე. პარიდემ თავის ქექვით თქვა:

— ესეც ოთახი... თქვენ თვითონ ნახეთ, შესძლებთ თუ არა აქ ცხოვრებას?

როზეტამ, რომელიც უკან მომყვებოდა, შეშინებული ხმით თქვა:

— აქ უნდა დავიძინოთ, დედა?

მაგრამ მე მაშინვე დავტუქსე:

— როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, ნათქვამია, — მივუბრუნდი პარიდეს და ვკითხე: — ჩვენ ზეწრები არა გვაქვს, თქვენ შეგიძლიათ მოგვცეთ?

ამაზე შეკამათება მოგვიხდა. პარიდეს არ უნდოდა ზეწრების მოცემა. ამბობდა, რომ ზეწრები მისი ცოლის მზითევია. მხოლოდ მაშინ დათანხმდა, როცა ვუთხარი, ზეწრებში ფულს ცალკე გადაგიხდი-მეთქი. საბანი არა ჰქონდა, მაგრამ თავისი ნაბდის მოცემას დაგვპირდა. ამაშიც ცალკე უნდა მიმეცა ფული. ყოველ ნივთზე მევაჭრებოდა. ამრიგად, მივიღეთ სპილენძის თუნგი წყლისათვის, პირსახოცები, ჭურჭელი, სკამიც კი, რომელზეც რიგრიგობით მაინც დავჯდებოდით. ყველაფერი ეს პირდაპირ კბილებით გამოვგლიჯე. ყოველ ნივთში ცალკე უნდა მეხადა გარკვეული თანხა. ბოლოს ვკითხე, სად შეიძლებოდა საჭმლის მომზადება და მან მიპასუხა, რომ იქ, სადაც თვითონ ამზადებენ.

— მაშ კარგი, ვნახოთ ეს სამზარეულოც, წარმოდგენა რომ მქონდეს მასზე, — ვუთხარი მე. სამზარეულო ქვემო მაჩერაზე მდგარ ქოხში იყო მოთავსებული. ქოხს სიპი ქვით ნაშენი კედლები ჰქონდა, ჩალის სახურავი კი გადმოპირქვავებულ ნავს ჰგავდა, ჩვენს სოფელში მინახავს ასეთი ქოხები. შიგ სამუშაო იარაღს ინახავენ და საქონელს აყენებენ. თუკი ბეჯითად იმუშავებ, ასეთი ქოხის აგება ერთ დღეში შეიძლება. ჯერ ერთმანეთზე დაწყობილი ქვებით აგებენ კედელს, უკიროდ, ოვალური ფორმის შემოღობილ სივრცეს ორი მხრიდან განშტოებული ორი ფინი ედგმება, მათზე ჰორიზონტალურად კიდევ იდება ერთი ფინი. ორივე მხარეს აწყობენ ჩალიჩით შეკრულ ჩალის ძნებს და ამრიგად კეთდება სახურავი. ფანჯრები შენობას არა აქვს. კარის მაგივრობას სწევს ხვრელი, რომელსაც აქეთ-იქით ზღურბლის მაგივრად ორი ქვა უდგას. კარი ისეთი დაბალი გამოდის, რომ შიგ შესვლა მხოლოდ მოხრილს შეგიძლია. ეს ისეთივე ქოხი იყო, როგორც ჩემს სოფელში. კართან კაუჭზე წყლიანი კასრი ეკიდა, რომელშიც ჩამჩა ტივტივებდა. შიგ შესვლამდე პარიდემ ჩამჩით წყალი ამოიღო, დალია, მერე მე მომაწოდა. მეც დავლიე. როცა შევედით, პირველად ვერაფერი დავინახე. ფანჯრები, როგორც ვთქვი, ქოხს არ ჰქონდა, პარიდემ კი შესვლისას კარი მოიხურა, მაგრამ მაშინვე აანთო ჭრაქი და მე თანდათან გავარჩიე ჩემს ირგვლივ მყოფი ნივთები. იატაკი დატკეპნილი მიწისა იყო, ქოხის შუა ზედადგარზე,

რომლის ქვეშ ოდნავ ბჟუტავდა ცეცხლი, მურიანი ქვაბი იდგა. ჭერიდან შესაბოლად დაკიდებული ძეხვის აკიდოები და ჭვარტლის ფოჩები ეშვებოდა, ისინი ნაძვის ხის მოსართავს გავდნენ, ოღონდ სამგლოვიაროს. ცეცხლის გარშემო ჯირკები იყო ჩამწკრივებული. ძალიან გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ ერთ მათგანზე მოხუცი ქალი იჯდა. სახე მილეულ მთვარეს უგავდა და ცხვირისა და ნიკაპისაგან შედგებოდა. მოხუცი მარტოდმარტო იჯდა სრულ სიბნელეში და ძაფს ართავდა. ეს პარიდეს დედა იყო, იგი ასეთი სიტყვებით შემხვდა:

— კარგი ჰქენი, რომ მოხვედი. მე მითხრეს, შენ რომიდან ჩამოსული სენიორა ხარ. ეს სამზარეულო, რასაკვირველია, რომის სასტუმრო ოთახს არ ჰგავს, მაგრამ უნდა მიეჩვიო აქაურობას. მოდი, გვერდით მომიჯექი.

მართალი გითხრათ, სრულებით არ მინდოდა ამ ვიწრო ჯირკზე დაჯდომა და კინაღამ სკამი მოვითხოვე, მაგრამ დროზე შევიკავე თავი. მერე გავიგე, რომ ქოხებში სკამებს არა ხმარობენ. სკამები სახლებში აქვთ და ფუფუნების საგნად ითვლება. ამიტომ სკამებს მხოლოდ დიდი ზეიმის და ცერემონიის, მაგალითად, ქორწილის, დასაფლავების ან სხვა ამგვარი ამბის დროს ხმარობენ. სკამებს უფრთხილდებიან და შაშხივით ჭერზე ჰკიდებენ. ერთხელ პარიდესთან შესვლისას თავი მივარტყი ასე ჩამოკიდებულ სკამს და გავიფიქრე, ძალიან ბნელ ხალხში მოვხვდი-მეთქი.

მაგრამ კმარა ამაზე. ჭრაქმა გაანათა ოთახი და მე დავინახე, რომ ეს ქოხი ნამდვილი ბოსელი იყო — ცივი, ბნელი, ჭუჭყიანი იატაკით. ქვის კედლები და სახურავის ჩალა ჭვარტლის სქელი ფენით იყო დაფარული. მიმქრალი ცეცხლი ბოლავდა, ალბათ შეშა ნედლი იყო. ქოხს ფანჯრები არა ჰქონდა, ბოლი ჰაერში იდგა და ძალიან ნელა გადიოდა ჩალის სახურავში. რამდენიმე წუთში მე და როზეტას თვალები აგვიცრემლდა და ყელი აგვეწვა ბოლისაგან. უცბად შევამჩნიე, რომ მოხუცის გვერდით, მისი ქვედატანის კალთებში მახინჯი ძაღლი და გაქუცული კატა იმალებოდნენ. თუმცა ეს თითქოს შეუძლებელია, მაგრამ საბრალონი, ისინიც ადამიანებივით ტიროდნენ ამ მწვავე და მწარე ბოლისაგან. ისინი გაუნძრეველად ისხდნენ ფართოდ გახელილი თვალებით. უყურებდნენ ცეცხლს და ტიროდნენ. ჩანდა, რომ მიეჩვივნენ ასე ჯდომას და ტირილს. ყოველთვის მეჯავრებოდა ჭუჭყი, რომში, თუმცა ძალიან უბრალო ბინა მქონდა, მაგრამ სარეცხავით ბრწყინავდა.

გული შემეკუმშა, როცა გავიფიქრე რომ მე და როზეტას აქ მოგვიხდებოდა საჭმლის გაკეთება, ჭამა და ცხოვრება, თითქოს ჩვენ ხალხი კი არა, თხები ან ცხვრები ვყოფილიყოთ. უნებურად ხმამაღლა გავაგრძელე ფიქრი და ვთქვი:

— რა ბედნიერებაა, რომ აქ მხოლოდ ინგლისელების მოსვლამდე რამდენიმე დღით მოგვიხდება ცხოვრება, რაზედაც პარიდემ მომიგო:

— რა, არ მოგწონს ჩვენი ქოხი?

მე კი ვუპასუხე:

— ასეთ ფაცხაში ჩვენს სოფელში პირუტყვს ამწყვდევენ.

პარიდე უცნაური კაცი იყო, როგორც ეს შემდეგ შევამჩნიე, უგრძნობელი და უთავმოყვარეო. მან მიპასუხა რაღაც უცნაური ღიმილით:

— აქ კი ხალხი ცხოვრობს.

მოხუცმა ჭრიჭინას ხმით დაუმატა:

— არ მოგწონს ჩვენი ქოხი? აქ მაინც უკეთესია, ვიდრე ღია ცის ქვეშ. ჩვენი საცოდავი ჯარისკაცები, რომლებიც რუსეთში გაგზავნეს, — მათი ცოლები აქ, ჩვენთან ცხოვრობენ, — თანახმა იქნებოდნენ მთელი სიცოცხლე ასეთ ფაცხაში გაეტარებინათ, ოღონდ დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ისინი არ დაბრუნდებიან. მათ ყველას დახოცავენ და არც კი დამარხავენ ქრისტიანულად, რადგან რუსეთში აღარც ქრისტე სწამთ და აღარც მადონა.

მე გამაკვირვა მოხუცის შავბნელმა წინასწარმეტყველებამ; პარიდემ ჩაიცინა და თქვა:

— დედაჩემი ბებერი და ყრუა, ყველაფერს შავ ფერებში ხედავს, — ვინ გითხრა, რომ ისინი აღარ დაბრუნდებიან? — ხმამაღლა ჰკითხა მან დედას. — ისინი უთუოდ დაბრუნდებიან და ლოდინი დიდხანს აღარ მოგვიხდება.

მოხუცმა ჩაილაპარაკა:

— არც ისინი დაბრუნდებიან და ჩვენც დაგვხოცავენ თვითმფრინავებიდან.

პარიდემ ისევ ჩაიცინა, თითქოს დედამისმა რაღაც სასაცილო თქვა. მე კი შემაშინა მოხუცის ყორანივით ჩხავილმა და საჩქაროდ ვთქვი:

— ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ახლა კი მშვიდობით.

მან კი თავისი მჩხავანა ხმით მომაძახა:

— შევხვდებით და ბევრჯერაც. რომში, სულ ერთია, მალე ვერ დაბრუნდები, შეიძლება სულაც ვერ დაბრუნდე.

პარიდემ გადაიხარხარა, მე კი გავიფიქრე, რომ სასაცილო აქ არაფერია და გუნებაში წყევლის წინააღმდეგ საჩქაროდ შელოცვა ჩავიკითხე.

დღის ბოლო ოთახის დალაგებას მოვანდომე, რომელშიც დიდხანს მოგვიხდა ცხოვრება, თუმცა მაშინ ეს არ ვიცოდი. დავგავე იატაკი, მოვფხიკე მრავალი წლის ჭუჭყი, მოვაგროვე ყველა კუთხეში მიყრილ-მოყრილი თოხები, ნიჩბები და მივეცი პარიდეს, რომ სხვა ადგილას შეენახა. ჩამოვწმინდე კედლებიდან აბლაბუდა. მერე საწოლი კუთხეში გადავიტანე და მაჩერის კედელთან დავდგი. გავასწორე ფიცრები, გავბერტყე სიმინდის ფუჩეჩის ლეიბი, გადავაფარე ძალიან ლამაზი, შინ ნაქსოვი სელის სრულიად ახალი ზეწრები, ზევიდან კი პარიდეს ნაბადი დავაგე. პარიდეს ცოლი ლუიზა, ეშმაკური სახის, ცისფერთვალება და ხუჭუჭთმიანი ქერა ქალი დაჯდა ოთახის სიღრმეში დაზგასთან და დაიწყო მისი გაწევ-გამოწევა თავისი ძლიერი, დაკუნთული ხელებით. დაზგა ისე ხმაურობდა, რომ მე ვუთხარი:

— შენ რა, ყოველთვის ასე იხმაურებ?

— ჰო, ჯერ კიდევ რამდენიმე ხანს მომიხდება აქ მუშაობა, ტილო უნდა მოვქსოვო, რომ პარიდეს და ბალღებს შარვლები შევუკერო, — მიპასუხა მან სიცილით.

— ვაი ჩვენი ბრალი, აქ სულ დავყრუვდებით, — ვთქვი მე.

— მე ხომ არ დავყრუვდი... შენც მიეჩვევი.

ლუიზამ ორ საათს იმუშავა. სწევდა აქეთ-იქით დაზგას ხის მშრალი და წკრიალა ხმაურით. ჩვენ კი დავალაგეთ ოთახი და იქვე დავსხედით, როზეტა პარიდესაგან ნაქირავებ სკამზე, მე კი საწოლზე. ასე ვისხედით სულელებივით პირდაღებულნი, შევყურებდით ლუიზას და არაფერს არ ვაკეთებდით. ლუიზა არ იყო მაინც და მაინც მოლაპარაკე ქალი, მაგრამ სიამოვნებით გვაძლევდა პასუხს შეკითხვებზე. ამრიგად, გავიგეთ, რომ ომამდე აქ მცხოვრები ყველა მამაკაციდან მხოლოდ პარიდეღა დარჩა: ომში იმიტომ არ წაიყვანეს, რომ მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლდა. დანარჩენი მამაკაცები გაიწვიეს და თითქმის ყველანი რუსეთში იმყოფებოდნენ.

— აქ ყველა ქალი ჩემს გარდა, — თქვა ლუიზამ ორაზროვანი, თითქმის კმაყოფილი ღიმილით, — უკვე ქვრივივითაა.

მე გამიკვირდა, რომ ლუიზაც ისევე შავ ფერებში ხედავდა ყველაფერს, როგორც მისი დედამთილი, და ვუთხარი:

— რატომ გგონია, რომ ყველანი დაიხოცებიან, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დაბრუნდებიან.

მაგრამ ლუიზამ ღიმილით გააქნია თავი.

— შენ ვერ გამიგე; ისინი განა იმიტომ არ დაბრუნდებიან, რომ მათ აუცილებლად დახოცავენ, არამედ იმიტომ, რომ რუს ქალებს მოსწონთ ჩვენი კაცები. ყველას მოსწონს უცხოელი. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ქალებმა ომის შემდეგ აღარ გამოუშვან ისინი და ვერავინ ვერასოდეს აქ მათ ვეღარ ნახავს.

ლუიზა ომს ქალისა და კაცის ურთიერთობის თვალსაზრისით უყურებდა. ისე ჩანდა, თითქოს ძალიან კმაყოფილიც იყო, რომ მის ქმარს ორი თითი აკლდა და მასთან დარჩა, სხვა გლეხის ქალები კი დაკარგავდნენ ქმრებს, რომლებსაც რუსის ქალები წაართმევდნენ. ჩვენი საუბარი ფესტას ოჯახს შეეხო. ლუიზამ თქვა, ფილიპომ შვილი სამხედრო სამსახურიდან ნაცნობობით და ქრთამით გაათავისუფლა, გლეხები კი, რომლებსაც არც ფული და არც ნაცნობობა არ ჰქონდათ, იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ომში და დახოცილიყვნენო. მე გამახსენდა ფილიპოს სიტყვები, როცა ამბობდა, რომ ქვეყანა, მისი აზრით, სულელებისა და ჭკვიანებისგან შედგება და მივხვდი, რომ ამ შემთხვევაში ფილიპო ჭკვიანურად მოქცეულა. ბოლოს, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, დაღამდა. ლუიზამ გაათავა ხრიალა დაზგაზე მუშაობა და წავიდა ვახშმის მოსამზადებლად. მე და როზეტა ისე დავიღალეთ, რომ მთელი საათი კიდევ გაუნძრევლად და ჩუმად ვისხედით, მე საწოლზე, ის კი სასთუმალთან სკამზე. ქონის ჭრაქი ძლივს ბჟუტავდა და მის მკრთალ შუქზე ოთახი ნამდვილ გამოქვაბულს ჰგავდა. მე და როზეტა ვუყურებდით ერთმანეთს და ყოველთვის ჩვენი მზერა რაღაც ახალს გვატყობინებდა. ჩვენ არ ვლაპარაკობდით, ყველაფერზე თვალები მეტყველებდნენ. სიტყვები ზედმეტი იყო, ისინი ვერაფერს მიუმატებდნენ იმას, რასაც ჩვენ ერთმანეთს თვალებით ვეუბნებოდით. როზეტას თვალები ამბობდნენ: „რა ვქნათ დედა? მეშინია, სად მოვხვდით?“ და ა. შ.

ჩემი თვალები უპასუხებდნენ: „დამშვიდდი, ჩემო ოქრო, შენი დედა შენთანაა, ნურაფრისა ნუ გეშინია“ და ა. შ.

ასე ვლაპარაკობდით უსიტყვოდ, სანამ ბოლოს როზეტამ არ მოს-

წია თავისი სკამი ლოგინთან, დამადო თავი მუხლებზე და მომეხვია. მე ჩუმად ვუსვამდი თავზე ხელს. ასე ვიჯექით კიდევ ნახევარ საათს. მერე კარი გაიღო, რომელსაც ვილაცამ გარედან ხელი ჰკრა და ქვემოდან ბავშვის თავი გამოჩნდა. ეს პარიდეს შვილი დონატო იყო.

— მამა ვახშმად გეძახით.

მსუყე სადილის შემდეგ, რომლითაც ფილიპო გაგვიმასპინძლდა, ჩვენ სრულებით არა გვშიოდა, მაგრამ სიამოვნებით დავთანხმდი პარიდეს მიწვევას, რადგან სევდა არ მშორდებოდა და არ მინდოდა მთელი საღამო როზეტასთან ერთად გამეტარებინა ამ ბნელ ოთახში.

ჩვენ გავყევით დონატოს, რომელიც წინ მირბოდა, სიბნელეში კატასავით არჩევდა გზას და მალე შემდეგ მაჩერაზე გაშენებულ ქოხთან აღმოვჩნდით. ოთახში პარიდე და ოთხი ქალი ისხდნენ: დედა, ცოლი, და და რძალი. დას და რძალს სამ-სამი შვილი ჰყავდათ, მათი ქმრები ომში იყვნენ. ისინი რუსეთში გაეგზავნათ. პარიდეს და, ჯაჩინტა, ძმასავით შავგრემანი იყო, მსხვილნაკვთიანი ფართო სახე ჰქონდა და თვალები ბნედიანივით უბრწყინავდა. იგი სავსებით ნორმალურს არა ჰგავდა, უსიამოვნო ხმა ჰქონდა, სულ ბავშვებს უჯავრდებოდა, რომლებიც კაბის კალთაზე ლეკვებივით ებღაუჭებოდნენ და განუწყვეტლივ წკმუტუნებდნენ. ხანდახან ის ჩუმად და გამეტებით მუშტს ჩაჰკრავდა თავში. პარიდეს რძალს, მისი ძმის ცოლს, ანიტა ერქვა. იგი ომამდე სადღაც ჩისტერნის ახლოს ცხოვრობდა. ანიტა გამხდარი და უფერული შავგრემანი ქალი იყო არწივისებური ცხვირით და მშვიდი, ფიქრიანი თვალებით. ჯაჩინტასთან შედარებით, რომლის შეხედვა შიშს ჰგვრიდა ადამიანს, ანიტა ჩუმი და წყნარი ქალის შთაბეჭდილებას ახდენდა. მისი შვილებიც აქ იყვნენ, მაგრამ არ ეკიდებოდნენ დედის კალთას, ჩუმად ისხდნენ და მოთმინებით ელოდნენ ვახშამს. როგორც კი შევედით, პარიდემ თავისი უცნაური, ერთდროულად დარცხვენილი და ეშმაკური ღიმილით გვითხრა:

— ჩვენ ვიფიქრეთ, რომ თქვენ იქ მარტონი სხედხართ და გადავწყვიტეთ თქვენი დაპატიჟება. იგი შეჩერდა და მერე დაუმატა — სანამ თქვენს სანოვაგეს მიიღებდეთ, ჩვენთან ისადილეთ. მერე ერთად ვიანგარიშოთ რამდენი გმართებთ ჩემი.

ამით მან გამაგებინა, რომ საჭმელში ფული უნდა მეხადა. მაგრამ მე მადლობელი დავრჩი მისი, რადგან ვიცოდი, რომ ღარიბი იყო. ამ შიმშილობის დროს კი ფულითაც ძნელი იყო სანოვაგის შოვნა. ვისაც

შარაგი ჰქონდა, თავისთვის ინახავდა და ფულითაც არ უთმობდა არავის.

ჩვენ დავსხედით. პარიდემ აანთო აცეტილენის ლამპა. მკაფიო თეთრმა სინათლემ გაანათა ქოხი და ზედადგარის გარშემო ჯირკებზე მსხდომნი. ზედადგარზე პატარა ქვაბი იდგა. აქ მხოლოდ ქალები და ბავშვები იყვნენ. პარიდე ერთადერთი მამაკაცი იყო და მისმა რძალმა ანიტამ, რომლის ქმარიც, როგორც უკვე ვთქვი, რუსეთში ომობდა, უნებური სევდით იხუმრა:

— შენ კმაყოფილი უნდა იყო, პარიდე, ამდენ ქალებში რომ მარტო ხარ, რომელიც გინდა, ამოირჩიე.

— დიდხანს არ გაგრძელდება ეს ბედნიერება, — ჩაიცინა პარიდემ.

მაგრამ ლაპარაკში მაშინვე მოხუცი დედა ჩაერია მისთვის დამახასიათებელი შავბნელი აზრებით:

— დიდხანს არ გაგრძელდება? ჩვენ უფრო ადრე მოგვეღება ბოლო, ვიდრე ომს.

ამასობაში ლუიზამ ყანყალა მაგიდაზე თიხის მოზრდილი ჯამი დადგა, მერე აიღო პური, გულზე მიიკრა და ჩქარ-ჩქარა დაიწყო თხელ ნაჭრებად თლა. მალე ჯამი პირამდე აივსო. მაშინ ქვაბი გადმოდგა და წვენი პურის ნაჭრებს გადაასხა. გამოვიდა იგივე მინესტრინა, ლობიოს წვენში დამბალი პური, — რომელსაც ჩვენ კონჩეტასთან ვჭამდით. სანამ პური კარგად გაიეღინთებოდა ლობიოს წვენით, ლუიზამ ქოხის შუაგულში იატაკზე დიდი გობი დადგა, ჩაასხა შიგ წყალი ზედადგრის გვერდით ნაცარში მდგარი თუნგიდან. ყველამ გაიხადა ჩოჩები ისეთი სერიოზულობით, თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ დიდმნიშვნელოვან საქმეს აკეთებდნენ, უცბად ვერც კი მივხვდი რას შვრებოდნენ. მაგრამ მერე დავინახე, რომ პარიდემ გაიშვირა ძალიან ჭუჭყიანი ფეხები და გობში ჩადო. მე მივხვდი: ქალაქის მცხოვრებნი ჭამის წინ ხელებს იბანენ, ეს საცოდავები კი, რომლებიც მთელ დღეს ტალახიან მინდორში ატარებენ, ფეხებს იბანენ. ფეხებს ყველა ერთად იბანდა, წყლის გამოუცვლელად, ამიტომ, ხომ წარმოგიდგენიათ, ბავშვებიანად, ამდენი ფეხის დაბანის შემდეგ წყალი შოკოლადის ფერისა გახდა! მარტო მე და როზეტას არ დაგვიბანია ფეხები და რომელიღაც ბავშვმა ბალღური გულუბრყვილობით იკითხა:

— რატომ თქვენ არ იბანთ?

ამაზე ბებიამ, რომელიც აგრეთვე არ იბანდა ფეხებს. უპასუხა:

— ეს სენიორები რომიდან ჩამოვიდნენ; ისინი ჩვენსავით მიწაზე როდი მუშაობენ.

ამასობაში მინესტრინა მზად იყო. ლუიზამ გაიტანა გობი ჭუჭყიანი წყლით და მის ადგილას პატარა მაგიდა დადგა. ყველანი ერთი ჯამიდან ჭამდნენ და შიგ თავიანთ კოვზებს ყოფდნენ. მე და როზეტამ მხოლოდ ორი-სამი კოვზი შევჭამეთ, მაგრამ დანარჩენები, განსაკუთრებით ბავშვები, ეცნენ საჭმელს და ჯამი მალე დაცარიელდა. ეუყურებდი მათ ხარბ და იმედგაცრუებულ სახეებს და მივხვდი, რომ უმეტესობა მშიერი დარჩა. პარიდემ ყველას თითო მუჭა ლეღვის ჩირი ჩამოურიგა, მერე განჯინიდან ერთი ბოთლი ღვინო გამოიღო და ბავშვების ჩათვლით ყველას თითო-თითო ჭიქა დაუსხა. სულყველას ერთსა და იმავე ჭიქაში უსხამდა, ხოლო როცა ჭიქა დაიცლებოდა, მის კიდეს სახელოთი წმენდდა. ყველანი ჩუმად სვამდნენ. პარიდე ასხამდა ღვინოს და ცდილობდა არც ერთი წვეთი არ დაეკარგა, ასახელებდა თვითეულს და აწვდიდა ღვინოს, ასე რომ თავი ეკლესიაში მეგონა. ღვინო ძმარივით მჟავე იყო, ისეთი, როგორსაც მხოლოდ მთაში სვამენ, მაგრამ უთუოდ წმინდა ყურძნის ღვინო კი იყო. საჭმლის შემდეგ ქალები თავის თითისტრებს მიუსხდნენ, პარიდე კი აცეტილენის ლამპის შუქზე თავისი შვილის დონატოს არითმეტიკული მაგალითების გასწორებას შეუდგა. პარიდე წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ანგარიში კი იცოდა და უნდოდა, რომ შვილსაც სცოდნოდა. მაგრამ, ეტყობოდა, ბიჭი წაიჩერჩეტებდა — მას დიდი თავი და უაზრო სახე ჰქონდა და ვერაფრით ვერ იგებდა ახსნა-განმარტებას. პარიდე რამდენიმე ხანს ეწვალა, მერე გაბრაზდა და მუშტი ჩასცხო თავში.

— შტერო!

მუშტის ჩარტყმის ხმა ისე გაისმა, თითქოს ბავშვს ხის თავი ჰქონოდა. მაგრამ მან ვერც კი შეამჩნია ეს და ჩუმად დაიწყო კატასთან იატაკზე თამაში. პარიდეს ეკითხე რად უნდოდა, რომ მის შვილს, რომელმაც მამასავით წერა-კითხვა არ იცოდა, არითმეტიკა ესწავლა. პარიდეს პასუხიდან შევიტყვე, რომ მისთვის ციფრებს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ასოებს, რადგან თუ ანგარიში ეცოდინებოდა, ფულის დათვლას შესძლებდა, ასოები კი, მისი აზრით, სრულიად უსარგებლო იყო.

მორონეს (ეს პარიდეს გვარი იყო) ოჯახთან გატარებული პირველი საღამო ჯერ ერთი იმიტომ აღვწერე, რომ დანარჩენი საღამოები

გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ პირველს, მეორე კი იმიტომ, რომ ერთ დღეში ლტოლვილებთან ვისადილე, მერე კი გლეხებთან ვივახშე, ამიტომ შემეძლო მათ შორის არსებული განსხვავება შემემჩნია. სიმართლე უნდა ითქვას, ლტოლვილები უფრო მდიდრები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი მაინც, გლეხებზე უკეთ იკვებებოდნენ, იცოდნენ წერა-კითხვა, არ ატარებდნენ ჩოჩებს, მათი ცოლები ქალაქელი სენიორებივით იცვამდნენ. მიუხედავად ამისა, პირველივე დღიდან გლეხები მერჩივნა. შეიძლება იმიტომ, რომ მე თვითონ სანამ ვაჭრობას დავიწყებდი, გლეხის ქალი ვიყავი. მთავარი კი ის იყო, რომ რაღაც უცნაური გრძნობა მქონდა, როდესაც ლტოლვილებს ვხვდებოდი და მათ გლეხებს ვადარებდი. ჩემის აზრით, ცოტაოდენ განათლებას, რომელიც მიეღოთ, გაეფუჭებინა ისინი. ასე ემართება ცუღლუტ ბიჭებს, როცა სკოლაში იწყებენ სიარულს. ისწავლიან თუ არა წერა-კითხვას, კედლებს უწმაწური წარწერებით, აჭრელებენ. ვფიქრობ, სრულიად არ არის საკმარისი ადამიანს განათლება მიაღებინო. ამას გარდა უნდა ასწავლო, თუ როგორ გამოიყენოს ეს განათლება.

ყველანი ყვინთავდნენ, აქა-იქ ბავშვებსაც ჩასძინებოდათ. პარიდე ადგა და თქვა, დასაძინებლად მივდივართო. ყველანი ერთად გამოვედით ქოხიდან და „ძილი ნებისა“ ვუსურვეთ ერთმანეთს. მე და როზეტა მარტონი დავრჩით მაჩერაზე. ჩვენ ღამის სივრცეს გავცქეროდით, საითაც ფონდი გვეგულებოდა. მაგრამ არსად სინათლე არ ჩანდა, გარშემო მდუმარება და წყვდიადი სუფევდა. მხოლოდ უამრავი ოქროს თვალის მსგავსი ვარსკვლავი ბრწყინავდა და ცოცხალივით თვალს გვიკრავდა შავი ზეციდან. ისინი გვიყურებდნენ და თითქოს ყველაფერი იცოდნენ ჩვენზე, ჩვენ კი მათ შესახებ არაფერი ვიცოდით. როზეტამ ჩუმად მითხრა:

— რა მშვენიერი ღამეა, დედა!

მე ვკითხე — კმაყოფილი იყო თუ არა აქ მოსვლით და მან მიპასუხა, რომ ყოველთვის კმაყოფილია, როდესაც ჩემთან არის. რამდენიმე ხანს კიდევ შევყურებდით ღამის ცას, მერე როზეტამ სახელოზე ჩამომწია და წამჩურჩულა. მას ლოცვა უნდოდა, რომ მადლობა გადაეხადა მადონასათვის, რომელმაც ცოცხლები და ჯანმრთელები მოგვიყვანა აქამდე. მან ეს ისე ჩუმად მითხრა, თითქოს ეშინოდა არავის გაეგონა. მე ცოტა გამიკვირდა და ვკითხე:

— აქ?

მან თავი დამიქნია, მერე ნელა დაიჩოქა იქვე, სადაც იდგა, პირდაპირ ბალახში, მაჩერის კიდესთან და მეც დამწია კაბის კალთაზე. მესმოდა როზეტას გულისთქმა, რომელიც თითქოს ჩემს საკუთარ გრძნობებს ეხმაურებოდა. ამდენი უბედურებისა და განსაცდელის შემდეგ მადლობის გრძნობა დამეუფლა ვიღაცისადმი, თუ რაღაცისადმი, რამაც ჩვენ გვიშველა და დაგვიფარა. ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი, დავიკრიფე ხელები და ჩქარ-ჩქარა ჩავიკითხე ლოცვა, რომელსაც ჩვეულებრივ ძილის წინ ამბობენ. ეს დიდი ხანია აღარ მილოცნია, იმ დღიდან, რაც ჯოვანის დავნებდი. ერთი მხრივ ვგრძნობდი, რომ შეეცოდე, მეორე მხრივ კი არ მინდოდა ამის აღიარება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს პატიება ვთხოვე ჩემსა და ჯოვანის შორის მომხდარი ამბის, გამო, დავპირდი, რომ ეს არასოდეს აღარ განმეორდებოდა. მერე, შეიძლება ამ უსაზღვრო და შავი ღამის ზეგავლენით, რომელიც ამდენ ცოცხალ არსებას და ამდენ ჩვენთვის უხილავ ამბავს იფარავდა, მე ყველასთვის ვილოცე, ჩემთვის და როზეტასთვის, ფესტას ოჯახისა და პარიდეს ოჯახისათვის, მერე ყველა ადამიანისათვის, ვინც ამჟამად მთებში იყო, ინგლისელებისათვის, რომლებიც ჩვენს გასათავისუფლებლად უნდა მოსულიყვნენ, ტანჯული იტალიელებისათვის, ბოლოს გერმანელებისა და ფაშისტებისათვისაც კი ვილოცე, რომლებიც ჩვენი წამების მიზეზი იყვნენ, იმიტომ, რომ ისინიც ხომ ადამიანები იყვნენ. გამოგიტყდებით, ჩემი ლოცვა, ჩემდა უნებურად, რაც უფრო მეტ ხალხს ეხებოდა, გულს უფრო მიჩუყებდა, თვალები ცრემლით ამევსო; მესმოდა, რომ ჩემი ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ დაღლილობით იყო გამოწვეული, მიუხედავად ამისა, ვარწმუნებდი თავს, რომ ეს კეთილი გრძნობაა და კმაყოფილი ვიყავი, რომ ასეთი გრძნობები მქონდა. როზეტა ჩემს გვერდით თავდახრილი ლოცულობდა. უცბად მან ხელი მტაცა და წამოიძახა.

— შეხედე, შეხედე!

ავიხედე და შორს, ბნელ სივრცეში განათებული ზოლი დავინახე, რომელიც ზევით მიიწევდა, ავიდა დიდ სიმაღლეზე, მერე გადაიქცა მწვანე ყვავილად, გაანათა ერთი წუთით ხეობის გარშემო მთები, ტყე, მგონი ფონდის სახლებიც და ნელ-ნელა დაეშვა ძირს.

მერე გავიგე, რომ ეს ლამაზი მწვანე სხივები რაკეტები იყო, რომელთაც ფრონტის დასათვალიერებლად და ადგილის ამოსარჩევად უშვებდნენ, ამ ადგილებს კი მერე ქვემეხებსა და თვითმფრინავებიდან

ყუმბარებს უშენდნენ. მაგრამ მაშინ ეს კეთილის მომასწავებელ ნიშ-ნად მეჩვენა, რომელსაც მადონა ჩვენი ლოცვა-ვედრებისათვის გვიგზავნიდა და აღსრულებას გვპირდებოდა.

ამ ლოცვის შესახებ იმიტომ გიამბეთ, რომ მეჩვენებინა, თუ რო-გორი ხასიათი ჰქონდა მაშინ როზეტას. აქამდე ბევრი არაფერი მით-ქვამს ჩემი შვილის ხასიათზე, რომელიც შემდეგში ძირფესვიანად შე-იცვალა. მინდა გითხრათ, როგორი იყო ის მთაში მოსვლის დროს, ან ყოველ შემთხვევაში, როგორი მეჩვენებოდა. დედები, როგორც ცნო-ბილია, არ იცნობენ თავიანთ შვილებს, მაგრამ მგონია, როზეტა სწორედ ასეთი იყო. ახლაც კი, როდესაც იგი წინანდელი როზეტასა-გან ისე განსხვავდება, როგორც ცა დედამიწისაგან, დარწმუნებული ვარ, რომ არ შევმცდარვარ მის ხასიათში. მე ძალიან ვზრუნავდი რო-ზეტას აღზრდაზე და იგი ბატონიშვილივით იზრდებოდა, არაფერი იცოდა ცხოვრების უკუღმართობაზე და რამდენადაც შესაძლებელი იყო, ვიფარავდი ყოველივე ავისაგან. მე არასოდეს არ ვყოფილვარ მაინც და მაინც მორწმუნე, თუმცა რელიგიით დაკანონებულ ყველა წესს ვასრულებდი. რელიგიის მიმართ მოქცევა და უკუქცევა მახა-სიათებს. მაგალითად, იმ ღამით მაჩერაზე მეჩვენებოდა, რომ მწამდა, მაგრამ იყო დღეები, მაგალითად მაშინ, როცა იძულებული ვიყავით დაგვეტოვებინა რომი, სრულიად არ მწამდა. ყოველ შემთხვევა-ში, რელიგია ვერ დამავიწყებს რეალურ სამყაროს, რომელიც ხშირად ყირამალა აყენებს მღვდლების მტკიცებას და ეწინააღმდეგება ყველა ახსნა-განმარტებას. მაგრამ როზეტასათვის ყველაფერი სხვაგვარად იყო. როზეტას ისე უყოყმანოდ, სულის სიღრმემდე სწამდა რელიგი-ური დოგმები, რომ არასოდეს არ ლაპარაკობდა და შეიძლება არც ფიქრობდა მათზე. მისთვის რელიგია იყო ჰაერი, რომელიც შეუმჩნევ-ლად და ჩვენგან დამოუკიდებლად შედის და გამოდის ჩვენს ფილტ-ვებში. შეიძლება იმიტომ იყო ასეთი, რომ თორმეტ წლამდე მონას-ტერში იზრდებოდა, მთელ დღეს მონაზვნებთან ატარებდა და შინ მხოლოდ ღამით მოდიოდა დასაძინებლად, მაგრამ, შესაძლებელია, ეს მისი ხასიათის მიდრეკილება იყო. როზეტა იმდენად გამოიცვალა, რომ ახლა ძალიან მიჭირს თქმა, როგორი იყო ის რომიდან ჩვენი გამოქცე-ვის დროს. გამოგიტყდებით, ხადახან იგი უნაკლოც მეგონა. როზეტა ერთი იმათგანი იყო, ვისზედაც ძალიან ბოროტი ადამიანიც კი ცუდს ვერაფერს იტყვის. რგი კეთილი, ალალი, გულახდილი და პატიოსანი იყო. მე ხშირად ვარ ცუდ გუნებაზე, მოთმინებას ვკარგავ, ვუვირი,

ხანდახან, ცხელ გულზე, შემიძლია ვცემო კიდეც ადამიანს. მაგრამ როზეტას არასოდეს ჩემთვის უხეშად არ უპასუხია, არასოდეს არ ყოფილა ჩემზე ნაწყენი და ყოველთვის კარგ შვილობას მიწევდა. მაგრამ მისი სრულყოფილობა მარტო ამით როდი ვლინდებოდა. ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა და აკეთებდა, ყოველთვის სწორი იყო. ათასი რამიდან იგი გამოარჩევდა ერთადერთ სწორს, რაც უნდა თქმულიყო ან გაკეთებულიყო. ხანდახან მეშინოდა კიდეც, ვფიქრობდი, რომ ჩემი შვილი წმინდანია, რადგან მხოლოდ წმინდანებს შეუძლიათ ასე კარგად და სწორად მოქცევა. უნდა გითხრათ, რომ მას არავითარი ცხოვრებისეული გამოცდილება არ ჰქონდა, ჯერ კიდევ ნამდვილი ბავშვი იყო. მთელი თავისი ცხოვრება მონასტრის შემდეგ ჩემს გვერდით გაატარა, არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რომ ოჯახში და ხანდახან დუქანში მეხმარებოდა. მაგრამ მაინც ისე იქცეოდა, თითქოს ყველაფერი იცოდა. ახლა ვფიქრობ, რომ მისი უნაკლობა, რომელიც ვერაფრით ვერ გამეგო, მისი გამოუცდელობიდან და მონასტერში მიღებული აღზრდიდან გამომდინარეობდა. ეს უნაკლობა, რომელიც გამოუცდელობისა და რელიგიის ნაერთი იყო და ქვის კოშკივით ურღვევი მეგონა, ბოლოს და ბოლოს ხუხულასავით დაინგრა. არ ვიცოდი მაშინ, რომ ჭეშმარიტი სიწმინდე ეყრდნობა ცოდნას და გამოცდილებას, ოღონდ სულ სხვა თვისებისაა, და არა უცოდინარობას და გამოუცდელობას, როგორც ეს როზეტას დაემართა. მაგრამ განა დამნაშავე ვარ ამაში? მე იგი მიყვარდა და როგორც ყველა დედა, ვცდილობდი დამეცვა ცხოვრების უკუღმართობისაგან, არაფერი სცოდნოდა მასზე, ვფიქრობდი, როცა გათხოვდებოდა და ჩემგან წავიდოდა, მალე გაეცნობოდა ცხოვრების ამ ბნელ მხარეს. მაგრამ ვერ გავითვალისწინე ომი, რომელიც აშიშვლებს ყოველივე ავს, და გვაიძულებს ხშირად არაჩვეულებრივი და მკაცრი გზით უდროოდ გამოვცადოთ ეს სიავე. როზეტას უნაკლობა მშვიდობიანი დროის უნაკლობა იყო. როდესაც დუქანში ვაჭრობა კარგად მიდიოდა, ფულის მოგროვებას ვცდილობდი მისი მზითვისათვის, რომ ის კარგ კაცს გაჰყოლოდა, რომელსაც ეყვარებოდა, გაეჩინა მისთვის შვილები და ყოფილიყო ისეთივე უნაკლო ცოლი, როგორი უნაკლოც ბავშვობაში და ქალიშვილობაში იყო. მაგრამ მისი უნაკლობა გამოუსადეგარი იყო ომის დროს, რომელიც ადამიანისაგან სულ სხვა თვისებებს მოითხოვს, არ ვიცი როგორს, მაგრამ არა ისეთს, როგორიც როზეტას ჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს წამოვდექით და სიბნელეში გავყევით მაჩერას ჩვენი ოთახისაკენ. როდესაც პარიდეს ფანჯარასთან გავიარეთ, სახლიდან ხმაური მოგვესმა. ისინი ჯერ არ დაწოლილიყვნენ, დადიოდნენ ოთახში და ჩუმად ლაპარაკობდნენ, ქათმებს გავდნენ, რომლებიც ყოველთვის ჩუმად კრიახობენ საქათმეში, სანამ დასაძინებლად მოეწყობიან. აი, სახლსა და მაჩერაზე მიბჯენილ ფიცრისკარიანი ოთახიც, დაქანებული კრამიტის სახურავით და უშუშო ფანჯრებით, გავაღე კარი და სრულ სიბნელეში აღმოვჩნდით. თან ასანთი მქონდა, მოვუკიდე სანთლის ნამწვს, მერე გავხიე ცხვირსახოცი და ჭრაქისათვის პატრუქი გავაკეთე. ჭრაქმა ჩვენი ოთახი საკმაოდ ნათელი, მაგრამ სევდიანი შუქით გაანათა. ლოგინზე ჩამოვჯექით და როზეტას ვუთხარი:

— მარტო კაბები გავიხადოთ. ზეწრებისა და ნაბდის გარდა არაფერი გვაქვს. ყველაფერი რომ გავიხადოთ, ღამე გავიყინებით.

ასეც მოვიქეცით, მხოლოდ კაბები გავიხადეთ, ქვედატანები დავიტოვეთ და დავწექით. ერთადერთი ნორმალური ამ საწოლში, თუკი შეიძლება მას საწოლი ვუწოდო, მძიმე და სუფთა სელის ტილოს ზეწრები იყო. მაგრამ როგორც კი გადავბრუნდებოდით, ფუჩეჩი შრიალებდა და ერთ ადგილას გროვდებოდა, ისე, რომ ზურგსა და ფიცრებს შორის თხელი ტილოღა რჩებოდა. სოფლად, ბავშვობაშიც კი არ მძინებია ასეთ ლოგინში. ჩვენს ოჯახში ჩვეულებრივი ბადიანი საწოლები და ლეიბები გვქონდა. ერთხელ გადაბრუნებისას ფუჩეჩთან ერთად ფიცრებიც გაიწია, ვიგრძენი, რომ სადღაც ვვარდები და ტანით მიწას ვეხები. ავდექი, სიბნელეში გავასწორე ფიცრები, ლეიბი, მერე ისევ დავწექი და მივეკარი კედელთან მოკუნტულ როზეტას, რომელიც ჩემკენ ზურგით იწვა. ძალიან მოუსვენარი ღამე იყო. არ ვიცი რომელ საათზე, შეიძლება შუაღამის შემდეგ, გამეღვიძა და გავიგონე წრიპინი. იგი ბარტყის წრიპინზე უფრო სუსტი იყო და საწოლის ქვევიდან ისმოდა. გავაღვიძე როზეტა და ვკითხე, ესმოდა თუ არა მას ეს ხმა. მან მიპასუხა, რომ ესმოდა. ავანთე ჭრაქი და შევიხედე ლოგინის ქვეშ, სადაც ყუთი ვნახე, რომელშიც გვირილებისა და მინდვრის პიტნის მეტი თითქოს არაფერი იყო. მაგრამ წრიპინი იქიდან მოდიოდა. ავურიე ხელი გვირილებში და თივისა და მატყლისაგან გაკეთებული მრგვალი ბუდე ვიპოვე. შიგ კი ათიოდე თითისოდენა ვარდისფერი, შიშველი, თითქმის გამჭვირვალე ახალდაბადებული წრუწუნა იჯდა. როზეტამ მაშინვე მითხრა, რომ მათი ხელის ხლება არ

შეიძლებოდა. თუ ჩვენ პირველივე ღამეს მოვკლავდით მათ, ეს უბედურებას მოგვიტანდა. ისევ დავწექით და ძლივს დავიძინეთ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვიგრძენი, რომ რაღაც რბილი და მძიმე დასეირნობდა ჩემს გულზე და სახეზე, შემეშინდა და დავიყვირე. როზეტას გამოეღვიძა, ავანთე ჭრაქი და დავინახეთ, რომ ამჯერად თაგვები კი არა, კატის კნუტი იყო. მას შავი, მბზინავი ბეწვი და მწვანე თვალები ჰქონდა. ძალიან გამხდარი, მაგრამ ახალგაზრდა და ლამაზი იყო. იგი მოგვჩერებოდა და მზად იყო გადამხტარიყო იმავე ფანჯარაში, რომლიდანაც შემოვიდა. როზეტამ ალერსიანად დაუძახა. მას ძალიან უყვარდა კატები და იცოდა მათთან მოპყრობა. კნუტი მაშინვე მივიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ჩვენთან იწვა ზეწრის ქვეშ და კრუტუნებდა. სანამ სანტ ეუფემიაში ვცხოვრობდით ამ ფიცოს ჩვენთან ეძინა, მას ჯიჯი ერქვა. შეგვეჩვია და ყოველთვის ნაშუაღამევს მოდიოდა, წვებოდა ჩემსა და როზეტას შუა და დილამდე ეძინა. ჯიჯი ძალიან მიეჩვია როზეტას. როცა ჩვენთან იწვა ხოლმე ვერ ვინძრეოდით, რადგანაც მაშინვე იღვიძებდა და ბუზღუნს იწყებდა, თითქოს ამბობდა, რა უბედურებაა, ძილს აღარ მაცლიანო.

იმ ღამეს რამდენჯერმე გამომეღვიძა. ამაში მარტო თაგვები და კატები როდი იყვნენ დამნაშავე. მეღვიძებოდა და მიჭირდა გამოვრკვეულიყავი, სად ვიყავი. ერთხელ თვითმფრინავის გუგუნი გავიგონე, იგი ძალიან დაბლა მოფრინავდა. მოტორის ხმა ისეთი მკვეთრი, თანაც ისეთი ნაზი იყო, ვითომ ჰაერის მაგივრად წყალში ტრიალებდა. თვითმფრინავი თითქოს მელაპარაკებოდა და მამშვიდებდა. მერე ამიხსნეს, რომ ამ თვითმფრინავებს ყარყატებს ეძახდნენ, ისინი მიდამოს ზვერავდნენ და ამიტომ დაფრინავდნენ ასე ნელა. ბოლოს მე ისე მივეჩვიე მათ, რომ სანამ ნაცნობ ხმას არ გავიგონებდი, თითქოს იმედგაცრუებული ვიყავი. ეს ყარყატები ინგლისური თვითმფრინავები იყო. ვიცოდი, რომ ინგლისელები ბოლოს უთუოდ მოვიდოდნენ, თავისუფლებასა და შინ დაბრუნების საშუალებას მოგვიტანდნენ.

თავი მეოთხე

ასე დაიწყო ჩვენი ცხოვრება სანტ ეუფემიაში. თავიდან გვეგონა, რომ ორ კვირაზე მეტს არ დავრჩებოდით. სინამდვილეში კი ცხრა თვეს მოგვიხდა აქ ცხოვრება. დილით ვცდილობდით რაც შეიძლება

გვიან ავმდგარიყავით, რადგან სრულიად არავითარი საქმე არ გვქონდა. თანაც ისე შეშინებული და დატანჯული ვიყავით რომში გადატანილი გაჭირვებით, რომ მთელი პირველი კვირა დღე-ღამეში თორმეტ საათს გვეძინა. ძალიან ადრე ვწვებოდით, ღამე ვიღვიძებდით, მერე ისევ ვიძინებდით, გათენებისას კვლავ ვიღვიძებდით და ისევ ვიძინებდით, ხოლო როდესაც კარგად გათენდებოდა, საკმარისი იყო გადავბრუნებულიყავით კედლისაკენ და ზურგი შეგვექცია ფანჯრიდან შემომავალი სინათლისათვის, რომ ძილი გაგვეგრძელებინა და მხოლოდ ნაშუადღევს გაგვეღვიძა. ჩემს სიცოცხლეში არ მძინებია ამდენი, თან ასეთი კარგი, ღრმა, ახალგამომცხვარი შინაური პურივით სურნელოვანი ძილით, უსიზმროდ და უზრუნველად. ვგრძნობდი, რომ ვისვენებ და კვლავ ვიკრებ სამგზავრო სამზადისითა და კონჩიტასთან გატარებული დღეებით გამოლეულ ძალ-ღონეს. ეს ღრმა, მშვიდი ძილი გვაჯანმრთელებდა და ერთი კვირის შემდეგ ორივენი სულ შევიცვალეთ. თვალების უპეებში ჩამდგარი სილურჯე გაქრა, თვალებში დაღლაც აღარ გვეტყობოდა, ლოყები დაგვიმრგვალდა, სახე დაგვეწმინდა და დაგვიმშვიდდა, აზრი გაგვინათდა. ძილში მეგონა, რომ მიწა, სადაც დავიბადე და ამდენი ხნის წინათ მივატოვე, კვლავ ხელგაშლილი მეგებებოდა, ძალას მმატებდა, როგორც ეს ნიადაგიდან ამოგლეჯილ და კვლავ მიწაში ჩარგულ მცენარეებს ემართებათ ხოლმე. ისინი კვლავ იკრებენ ძალას, იმოსებიან ფოთლებითა და ყვავილებით, სწორედ ასეა! ჩვენ ხომ ადამიანები არა ვართ, არამედ მცენარეები, ან უკეთ რომ ვთქვათ, უფრო მეტად მცენარეები, ვიდრე ადამიანები და მთელი ჩვენი ძალა იმ მიწიდან მოდის, რომელზეც დავიბადეთ. ხოლო როცა ამ მიწას ვტოვებთ, აღარც ადამიანები ვართ და აღარც მცენარეები, არამედ ნაგავი, რომელსაც ქარი ქვეყნად ფანტავს.

ჩვენ გვეძინა იმდენი და ისეთი სიამოვნებით, რომ ცხოვრების ყოველგვარი სიძნელეები აქ, მთაში, უმნიშვნელოდ გვეჩვენებოდა და მხიარულად ვძლევდით მათ, თითქმის ვერც ვამჩნევდით. ასე ემართება ხოლმე ნაქერალ, დასვენებულ ჯორს, შეუსვენებლივ რომ ათრევს მთაზე მძიმე ურემს და კიდევ რჩება ძალა, რათა ჩვეულებრივად იძუნძულოს სწორ გზაზე. ჩვენი ცხოვრება კი აქ ძალიან მძიმე იყო, ამაში მალე დავრწმუნდით. გაჭირვება დილიდანვე ეწყებოდა: ლოგინიდან ძალიან ფრთხილად უნდა ავმდგარიყავით, რომ ფეხები არ დაგვესვარა, დაიწყო წვიმები და მიწური იატაკი ტალახის ტბად იქცა. ამის გამო

იატაკზე ბრტყელი ქვები დავაწყე. მერე ჭიდან, რომელიც ჩვენი სახლის პირდაპირ იყო, წყალი უნდა ამოგვეღო. შემოდგომაზე ეს არ იყო მაინცდამაინც ძნელი, მაგრამ ჩვენ მთაში ვცხოვრობდით თითქმის ათასი მეტრის სიმაღლეზე და ზამთრობით ჭაში წყალი იყინებოდა. როცა ჭიდან ვედრო ამომქონდა, ხელები სიცივით მიშეშდებოდა, წყალი ყინულივით ცივი იყო. მე საბინელი მცივანა ვარ და დილაობით მხოლოდ ხელ-პირს ვიბანდი, როზეტა კი სიცივეს უფრო ადვილად იტანდა ვიდრე პუჭყს, ამიტომ ყოველ დღე ერთ ვედრო ყინულოვან წყალს ივლებდა მთლად შიშველ ტანზე. ჩემი როზეტა ძალიან ღონიერი და ჯანმრთელი იყო, წყალი ისე ჩამოსდიოდა ტანზე, თითქოს კანი ერბოთი ჰქონოდა დაფარული, მხოლოდ რამდენიმე წვეთი რჩებოდა მკერდზე, მხრებზე, მუცელზე და დუნდულებზე. მოვრჩებოდით დილის ტუალეტს თუ არა, გამოვდიოდით ოთახიდან და ვიწყებდით საჭმლის მომზადებას. სანამ ზამთარი დადგებოდა და კარგი დარები იყო, საჭმლის მომზადება საკმაოდ გვიადვილდებოდა, მაგრამ ზამთართან ერთად დაიწყო ჩვენი ტანჯვა. ბუჩქნარში სიარული და ფიჩხის მოგროვება წვიმაში გვიხდებოდა. მერე ფიჩხი ქოხში მოგვქონდა და ახლა აქ უნდა გვეწვალა. ნედლ ტოტებს ცეცხლი არ ეკიდებოდა, ლერწამი შავ, სქელ ბოლს უშვებდა. ჩვენ იატაკზე ვწვებოდით, ლოყით პირდაპირ ტალახს ვეხებოდით და დიდხანს ვუბერავდით, სანამ ცეცხლი დაინთებოდა. ერთი ქვაბი ლობიოს გასაცხელებლად ან ერთი კვერცხის შესაწვავად თავიდან ფეხებამდე უნდა გავტალახიანებულიყავით. თვალები ბოლისაგან გვეცრემლებოდა და საშინლად ვიქანცებოდით. ჩვენც გლეხებივით ვიკვებებოდით, ვსაუზმობდით 11 საათზე. საუზმეზე ძალიან ცოტას ვჭამდით, მერე კი საღამოს 7 საათზე ვსადილობდით. დილით ვჭამდით ცოტაოდენ ღომს პომიდორის საწებლით, რომელშიც ჩავჭრიდი ხოლმე ერთ სოსისს, ანდა ცარიელ პურსა და ხახვს ან კიდევ ერთ მუჭა ძირტკბილას. საღამოს ვჭამდით მინესტრინას, რომელიც უკვე ვახსენე და ცოტაოდენ ხორცს, თითქმის ყოველთვის თხისას. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ხან დედალი თხა იყო, ხან მამალი, ხან კი ციკანი. საუზმის მერე ჩვენ არავითარი საქმე არ გვქონდა და სადილს ველოდებოდით. თუ კარგი დარი იყო, სასეირნოდ მივდიოდით, მივყვებოდით მაჩერას ტყემდე. იქ ხის ქვეშ ჩრდილში ვისვენებდით. ვწვებოდით ბალახზე და საღამომდე ვუყურებდით ჩვენს წინ გადაშლილ პა-

ნორამას. მაგრამ დადგა მკაცრი ზამთარი, ამინდი გაფუჭდა და სულ ოთახში გვიხდებოდა ყოფნა. როზეტა სკამზე იჯდა, მე კი საწოლზე. არაფერს არ ვაკეთებდით და შევყურებდით ლუიზას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, გამაყრუებელი ხმაურით მუშაობდა თავის დაზგაზე. ოთახში გატარებული ეს საათები მე სიკვდილამდე არ დამავიწყდება. გაუთავებლად წვიმდა, მონოტონურად, გულისწამღლებად. ყურს ვუგდებდი კრამიტის სახურავზე წვიმის ხმაურს და ჭაში გაყვანილ მილებში წყლის ჩხრიალს. ზეითუნის ზეთს ვუფრთხილდებოდით, ამიტომ სიბნელეში ვისხედით, თუ არ ჩავთვლით წვიმიანი დღის სინათლეს, რომელიც ფანჯრიდან შემოდიოდა. ფანჯარა ისეთი პატარა იყო, რომ სათოფურს წააგავდა. ჩვენ ვდუმდით იმიტომ, რომ უკვე მოგვბეზრდა ერთსა და იმავეზე ლაპარაკი. სალაპარაკო კი ორი რამ გვქონდა: შიმშილი და ინგლისელების მოსვლა. დღეები ნელა, ნელა მიიზლაზნებოდა. სრულიად დავკარგე დროის შეგრძნება. არც კი ვიცოდი რომელი თვე და რომელი რიცხვი იყო. მეჩვენებოდა, რომ სულ გამოვსულელდი, რადგან საფიქრალი არა მქონდა და თავი არ მუშაობდა. ხანდახან მეგონა, ვგიჟდები-მეთქი. მე რომ როზეტა არ მყოლოდა, რომლისთვისაც როგორც დედას მაგალითი უნდა მიმეცა, არ ვიცი რას ვიზამდი! შეიძლება გამოვვარდნილიყავი ოთახიდან საშინელი ღრიალით ან სილა გამეწნა ლუიზასთვის, რომელიც განგებ გვაყრუებდა თავისი საზიზღარი დაზგით. ამას იგი ეშმაკური ღიმილით აკეთებდა, თითქოს გვეუბნებოდა: „ასეთია ჩვენი გლეხური ცხოვრება... ახლა კი თქვენც, რომაელმა სენიორებმაც იცხოვრეთ ასე... რას იტყვით ამაზე, მოგწონთ?“

მაგრამ ერთი რამ ჩვენი იქ ცხოვრების მთელ პერიოდში კიდევ უფრო მაგიჟებდა. ეს იყო სივიწროვე, რომელიც ჩვენს ქვემოთ გადაშლილი ფონდის ვრცელ პანორამასთან შედარებით, თითქოს უფრო აუტანელი ხდებოდა. სანტ ეუფემიიდან შესანიშნავად ჩანდა ფონდის ველი, დაფარული ფორთოხლის ხეების მუქი ზურმუხტით, რომელშიც აქა-იქ თეთრი სახლები იყო გაბნეული; მარჯვნივ, სადაც სპერლონგა მდებარეობდა, ზღვის ზოლი მოჩანდა, და ჩვენ ვიცოდით, რომ ზღვაში იყო კუნძული პონცა, კარგ ამინდში იგი ხანდახან ჩანდა, ამ კუნძულზე კი ინგლისელები იყვნენ, ესე იგი ჩვენი თავისუფლებაც იქ იყო. მაგრამ ამ ფართო პანორამის მიუხედავად, განვაგრძობდით ცხოვრებას მთის ისეთ ვიწრო ქიმზე, რომ რამდენიმე ნაბიჯის განზე გადად-

გმისას შეგვეძლო მეორე ასეთსავე ქიმზე გადავვარდნილიყავით. წყალ-დიდობის გამო ხის ტოტს შეფარებულ ჩიტებს ვგავდით, რომლებიც მშრალ მხარეში გასაფრენ დროს ელოდებიან. მაგრამ ეს დრო არ დგებოდა.

სადილზე პირველი მიპატიჟების შემდეგ, სანტ ეუფემიაში ჩვენი ჩასვლის პირველ დღეებში, კიდევ რამდენჯერმე მიგვიპატიჟეს, მაგრამ ფესტები თანდათან სულ უფრო ცივად გვხვდებოდნენ, ბოლოს კი სულ აღარ გვეპატიჟებოდნენ. ფილიპომ განაცხადა, რომ მას ოჯახი ჰყავს და უპირველეს ყოვლისა იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ გამოკვებოს ამ ოჯახის წევრები. საბედნიეროდ, რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ტომაზინო, რომელსაც აღვირით მოჰყავდა უამრავი ჩემოდნებითა და ფუთებით მართლა ვირივით დატვირთული თავისი სახედარი. მთელი ეს სანოვაგე მან ნელ-ნელა შეიძინა ფონდის ველის სხვადასხვა ადგილებში ჩვენს მიერ შედგენილი სიის მიხედვით. ვისაც არასოდეს არ გამოუცდია ასეთი მდგომარეობა — თითქმის სრულიად ფასდაკარგული ფულით, მთის კენწეროზე, უცხო ხალხში მარტოდმარტო ყოფნა, ვისაც არ გამოუცდია რას ნიშნავს ომის დროს ულუკმაპუროდ დარჩენა, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს ტომაზინოს დანახვით გამოწვეულ ჩვენს სიხარულს. ასეთი რამ ძნელი გასაგებია. კარგია, როცა თქვენ ქალაქში ხართ, სადაც დუქნები სანოვაგით არის სავსე და რაც გინდათ, ყველაფრის ყიდვა შეგიძლიათ. ამიტომ გგონიათ, რომ სასურსათო მაღაზიები ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც წლის დროის ცვალებადობა, როგორც მზე, წვიმა, დღე და დამე, მაგრამ ეს ასე როდია. სურსათი შეიძლება უეცრად გაქრეს, როგორც ეს იმ წელს მოხდა და მთელი მსოფლიოს მილიონებით ვერ იყიდი ერთი ბეწო პურის ნაჭერს. უპუროდ კი ხალხი იხოცება.

აქოშინებულმა ტომაზინომ ამოათრია თავისი ვირი მაჩერაზე. დაღლილობისაგან იგი ძლივს იდგა ფეხზე.

— აი, ნათლიდედ, აქ ნახევარი წლის მარაგია, — მითხრა მან. ამის შემდეგ გადმომცა სურსათი. იგი ამოწმებდა მას სიით, რომელშიც ჩაწერილი იყო ყველაფერი, რაც მჭირდებოდა. ზეპირად მახსოვს ეს სია და აქ მომყავს, რომ წარმოიდგინოთ, როგორ ცხოვრობდა ხალხი 1943 წლის შემოდგომაზე. ჩემი და როზეტას ცხოვრება უზრუნველყოფილი იყო: ჩვენ მივიღეთ ერთი ტომარა ფქვილი — ორმოცდაათი კილოგრამი, რომლისგანაც შეგვეძლო პურის ცხობა და ატრიის მომ-

ზადება, მეორე უფრო მომცრო ტომრით სიმინდის ფქვილი ღომისათვის, დაახლოებით ოცკილოგრამიანი პარკი მეტად დაბალი ხარისხის ლობიოთი, რომელსაც „თვალადს“ ეძახიან, რამდენიმე კილო მუხუდო, ცერცვი და უგრეხელი, ორმოცდაათი კილო ფორთოხალი, ორი კილო ღორის ქონი და ორი კილო ძეხვი. ამის გარდა ტომაზინომ მოგვიტანა ერთი პარკი ლეღვის ჩირი, ნიგოზი და ნუში, აგრეთვე დიდი რაოდენობით ძირტკბილა, რომლითაც ჩვეულებრივ, ცხენებს კვებავენ, მაგრამ ახლა მისი ნაყოფი, როგორც ვთქვი, ადამიანებისთვისაც ვარგოდა. მთელი ეს სურსათი ჩვენს ოთახში დავაწყვეთ, უმთავრესად საწოლის ქვეშ და მე გავუსწორდი ტომაზინოს. გამოირკვა, რომ ერთ კვირაში ფასები ფითქმის ოცდაათი პროცენტით გაზრდილიყო. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ტომაზინომ, რომელიც ფულის გულისათვის ბევრ რამეს იკადრებდა, თვითონ მოუმატა ფასებს, მაგრამ მეც მედუქნე ვარ და როცა მითხრა, ფასებმა აიწიაო, მაშინვე დავუჯერე, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ ასეც უნდა მომხდარიყო — ინგლისელები გარილიანოსთან იდგნენ და ადგილიდან არ იძვროდნენ, გერმანელები იტაცებდნენ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა, აშინებდნენ ხალხს და მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. სრულიად ბუნებრივია, რომ ფასები გაიზარდა და სულ მაღლა იწევდა. თუ ასე გაგრძელდებოდა, ისინი შეიძლება ცაშიც ავარდნილიყო. შიმშილობის დროს ასე იცის: ბაზარში პროდუქტების რაოდენობა თანდათან კლებულობს, ყოველდღე მცირდება ფულიანი ხალხის რიცხვი, სანამ ბოლოს და ბოლოს არავინ აღარაფერს არც გაყიდის და არც იყიდის და ფულიანი თუ უფულო ყველა შიმშილით დაიხოცება. ამიტომ, როცა ტომაზინომ მითხრა ფასებმა აიწიაო, არც შევეჯრებივარ, ისე გადავუხადე საფასური. ვიფიქრე, უმჯობესია არ ვეჩხუბო, რადგან ადამიანი, რომელიც ომის დროს სიცოცხლეს წირავს, თუნდაც მოგების გულისათვის, ნამდვილი განძია. მე გადავუხადე ფული, თანაც ვაჩვენე ასიგნაციების მთელი შეკვრა, რომელიც ქვედატანის ჯიბეში მედო. იგი ისე დააშტერდა ფულს, როგორც ძერა წიწილას და მითხრა, ჩვენ საერთო ენას ყოველთვის გამოვძებნით, ყოველთვის გიშოვი სურსათს ახლანდელ ფასებში და სოლდოსაც არ გამოგართმევ ზედმეტსო.

მაშინ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, თუ რა პატივისცემით ეკიდებიან ირგვლივ მყოფნი ფულიან, ამ შემთხვევაში, სურსათის მქონე ადა-

მიანს. უკანასკნელ დღეებში, როცა დაინახეს, რომ ჩვენი სანოვაგე არა ჩანს და იძულებული ვართ პარიდესთან ვისადილოთ, რომელსაც ეს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, მაგრამ მაინც გვაძლევდა უფლებას მის ოჯახთან ერთად გვეჭამა, რასაკვირველია ფასით, ფესტები ცდილობდნენ იშვიათად ყოფილიყვნენ ჩვენთან, ხოლო როცა სადილობის დრო ახლოვდებოდა, ისინი, თითქოს დარცხვენით, ჩუმად მიიპარებოდნენ. მაგრამ, როგორც კი მოვიდა ტომაზინო თავისი ვირით, მათი ქცევა სრულიად შეიცვალა. ჩვენ გვიღიმოდნენ, გვესალმებოდნენ, სადილზე გვპატიჟებდნენ, — ახლა, როცა ეს სრულიად აღარ გვჭირდებოდა. ისინი მოვიდნენ კიდევაც, რომ ჩვენი მარაგის ცქერით დამტკბარიყვნენ. ფილიპო ჭეშმარიტად გულწრფელად გახარებული იყო, რადგან ჩემდამი სიმპათიას გრძნობდა, შეიძლება იმდენად არა, რომ გამოვეკვები, მაგრამ იმდენად კი, რომ ჩემთან ერთად გაეხარა, როცა ჩემი მარაგი ნახა.

— მე და შენ, ჩეზირა, ორად-ორი კაცი ვართ, რომლებსაც არ უნდა ეშინოდეს მომავლის, რადგან მარტო ჩვენ გვაქვს ფული, — მითხრა მან. მამის ამ სიტყვებზე მიქელე უფრო მოიღუშა და კბილებში გამოსცრა:

— შენ მართლა დარწმუნებული ხარ ამაში?

მამამ გადაიხარხარა და მხარზე დაჰკრა ხელი:

— დარწმუნებული ვარ? ეს ერთადერთი რამ არის, რაშიც ვარ დარწმუნებული... განა არ იცი, რომ ფული ადამიანის ყველაზე ერთგული და უცვლელი მეგობარია.

მე ჩუმად ვუგდებდი ყურს მათ ლაპარაკს და ვფიქრობდი ჩემთვის, რომ ფილიპო არ არის მაინცდამაინც მართალი. დღეს ამ ჩემი ერთგული მეგობრის მყიდველობითი ღირებულება 30 პროცენტით შემცირდა. დღეს, როცა ას ლირად მხოლოდ ერთი ნაჭერი პურის ყიდვა შეიძლება, მაშინ როცა ომამდე ამ ფულით სულ ცოტა ორ კვირას იცხოვრებდი, მე სრულიად სამართლიანად შემიძლია ვთქვა, რომ ომის დროს ვერ ენდობი ვერც ადამიანს, ვერც ფულს, საერთოდ ვერაფერს. ომი ყირაზე აყენებს და სპობს ყველაფერს — არა მარტო იმას, რასაც ვხედავთ, არამედ იმასაც, რასაც ვერა ვხედავთ, თუმცა იგი არსებობს.

იმ დღიდან, როცა სანოვაგე მივიღეთ, ჩვენი ცხოვრება გარკვეულ კალაპოტში ჩადგა. გვეძინა, ვდგებოდით, ვაგროვებდით ფიჩხს და შეშას ქოხში ცეცხლის დასანთებად, მერე ვსეირნობდით და ვმასლაათობ-

დით სხვა ლტოლვილებთან, ვსაუბრობდით, ისევ ვსეირნობდით, ვამზადებდით სადილს, ვეამდით და, რომ არ დაგვეხარჯა ზედმეტი ჭრაქის ქონი, ქათმებთან ერთად ვწვებოდით. კარგი დარი იდგა, თბილი და მშვიდი. არ წვიმდა და ქარი არ ქროდა. შემოდგომა იმ წელს არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. ტყე, რომლითაც დაფარული იყო გარშემო მთები, წითელ-ყვითელ ფერებად ელვარებდა. ყველა ამბობდა, ამინდი ხელს უწყობს მოკავშირეთა სწრაფ წინსვლასო. მოკავშირეებს უნდა გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე და რომამდე მაინც მისულიყვნენ. ამიტომ არავის ესმოდა, რატომ იდგნენ ისინი ნეაპოლთან, თუ უფრო ჩრდილოეთით. ასეთი საუბარი სანტ ეუფემიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, უფრო სწორად, ერთადერთი სასაუბრო თემა. ყველანი მოკავშირეებზე ლაპარაკობდნენ: როდის მოვიდოდნენ, რატომ არ მოდიოდნენ, როგორ მოხდებოდა ეს. ყველაზე უფრო ეს საკითხი ლტოლვილებს აღელვებდა, რომლებსაც სურდათ, რაც შეიძლება მალე დაბრუნებოდნენ ჩვეულ ცხოვრებას ფონდიში; გლეხები ნაკლებად ლაპარაკობდნენ, შეიძლება იმიტომ, რომ ომი, ბოლოსდაბოლოს, მათთვის სახეირო იყო. მათ მიაქირავეს თავიანთი სახლები ლტოლვილებს, ამასთან ლტოლვილებისაგან სხვა პატარა მოგებაც ჰქონდათ. გარდა ამისა, გლეხები ისევ ისე ცხოვრობდნენ, როგორც მშვიდობიან დროს და მოკავშირეთა მოსვლით მათი ცხოვრება არ შეიცვლებოდა.

მეც ბევრს ვლაპარაკობდი მოკავშირეებზე. ვლაპარაკობდი სეირნობის დროს, როცა ფონდის პანორამისა და შორეული ზღვის ცქერით ვტკბებოდი, ვლაპარაკობდი საღამოს პარიდეესთან ფაცხაში, როცა აცრემლებული ვიჯექი კვამლის ბინდბუნდში, მიმჭრალ ცეცხლთან, ვლაპარაკობდი ღამით ლოგინში, როცა როზეტას ვეხუტებოდი. მე იმდენს ვლაპარაკობდი მოკავშირეებზე, რომ თანდათან ისინი ჩემს ცხოვრებაში რაღაც სოფლის მფარველ ანგელოზებად იქცნენ, რომლებზეც დამოკიდებულია ხოლმე კარგი და ცუდი ამინდი, რომლებზეც ხალხი ხან ლოცულობს, ხან კი ლანძღავს, მაგრამ ყოველთვის რაღაცას მოელის მათგან. მოკავშირეებისაგან, როგორც წმინდანებისაგან, ხალხი რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდა. ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი მოსვლით ცხოვრება არათუ ნორმალური გახდებოდა, არამედ წინანდელთან შედარებით ბევრად უკეთესი იქნებოდა. განსაკუთრებით ფილიპომ გამოიდო თავი. ჩემის აზრით, მოკავშირეთა ჯარი მას წარმოედგინა, როგორც დაუსრულებელი კოლონა ყოველგვარი დოვ-

ლათით დატვირთული სატვირთო მანქანებისა, რომლებშიც ისხდნენ ჯარისკაცები და ამ დოვლათს იტალიელებს ურიგებდნენ. თუმცა იგი ხანში შესული კაცი იყო, კომერსანტი, ეგონა; რომ ჭკვიანი ხალხის კატეგორიას ეკუთვნოდა, მაინც ფიქრობდა, რომ მოკავშირენი იმდენად სულელები იყვნენ, სიკეთეს გვიზამდნენ ჩვენ, იტალიელებს, რომლებიც მათ წინააღმდეგ ვიბრძოდით, ვკლავდით მათს შვილებს და ვაიძულებდით ფული ეხარჯათ.

ამ დალოცვილი მოკავშირეების მოძრაობის შესახებ უტყუარი ცნობები ძალიან ცოტა გვქონდა, უფრო სწორად, სრულიად არა გვქონდა. სანტ ეუფემიაში ხანდახან ტომაზინო ამოდიოდა, მაგრამ მას შავი ბაზრისა და ფულის მეტი არაფერი აინტერესებდა, ძალიან ძნელი იყო მისგან რაიმე კონკრეტულის გაგება. ხანდახან მოდიოდნენ გლეხები, მაგრამ გლეხებს ჩვეულებად აქვთ ისეთი რაღაცის თქმა, რასაც ბავშვიც კი არ დაიჯერებს. იშვიათად გვეწვეოდნენ ხოლმე ყმაწვილები პონტეკორვოდან, რომლებსაც ზურგზე მოკიდებულ პარკებში ჰქონდათ მარილი და თუთუნი — ორი რამ, რისი უქონლობაც ყველაზე უფრო იგრძნობოდა. ნედლსა და მწვანე თამბაქოს ფოთოლს ლტოლვილები ფშვნიდნენ და გაზეთის ქაღალდში ახვევდნენ. მარილი ძალიან დაბალი ხარისხისა იყო, სწორედ ისეთი, როგორსაც საქონელს აძლევენ. ამ ყმაწვილებსაც მოჰქონდათ ახალი ამბები, მაგრამ ტყუილი მათს ნათქვამში იმდენივე იყო, რამდენიც წყალი მარილში. ცნობებში იმდენი მოჭორილ-მონაგონი იყო, რომ სიმართლე გეგონებოდათ, მაგრამ როცა ვუკვირდებოდით, ჭორი ქრებოდა და ვამჩნევდით, რომ მართალი იქ ძალიან ცოტაა. ისინი გვიამბობდნენ, რომ სადღაც დიდი ბრძოლა მიმდინარეობს; ერთნი ამტკიცებდნენ, ეს ბრძოლა ნეაპოლის ჩრდილოეთით, კაზერტის ახლო მიდისო, მეორენი ამბობდნენ, ბრძოლის ადგილი კასინოა, ხოლო მესამენი, რომ ბრძოლა ჩვენთან სულ ახლოს, იტრიშია. ყოველივე ეს ტყუილი იყო. ყველაზე უფრო ეს ბიჭები დაინტერესებული იყვნენ მარილის და თამბაქოს გასაღებით, ხოლო რაც შეეხებოდა ახალ ამბებს, სწორედ იმას ყვებოდნენ, რაც მოსაუბრეებს მოსწონდათ.

პირველ დღეებში ერთადერთი, რაც ომს გვაგონებდა, იყო რაღაც აფეთქებები, რომლებიც გავიგონეთ ერთხელ დილით ზღვის მხრიდან, იქიდან, სადაც სპერლონგა მდებარეობდა. აფეთქება ძალიან გარკვევით ისმოდა, მერე მოვიდა ქალი, რომელსაც ფორთოხალი

მოჰქონდა ხოლმე, და თქვა, გერმანელები ინგლისელების შესაჩერებლად ჭაობებთან ჯებირებს და მელიორაციულ არხებს აფეთქებენო. ახლა წყალი მალე წალეკავს მინდვრებს და გააჩანაგებს ბევრ ოჯახს, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე შრომობდნენ მიწის ნაგლეჯზე, წყალი გაანადგურებს ნათესებს, ნიადაგის გაშრობას და მის განოყიერებას კი მრავალი წელი დასჭირდება. აფეთქებები ერთიმეორეს მოსდევდა და სოფლის დღეობაში ფუჭ გასროლას ჰგავდა. ჩემზე ეს აფეთქებები უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, რადგან მათში რაღაც საზეიმო იყო, თუმცა ვიცოდი, რომ სიღატაკეს და სასოწარკვეთილებას მოასწავებდნენ იმათთვის, ვინც ქვემოთ ამოშრობილ მიწებზე ცხოვრობდა. შესანიშნავი დარი იდგა, წყნარ და ნათელ ცაზე არც ერთი ღრუბელი არ ჩანდა. ჩვენს წინ მწვანე აყვავებული ფონდის ველი გადაშლილიყო, რომელიც ჰორიზონტთან ზღვის ლურჯად მოკამკამე ბუნდოვან ზოლს უერთდებოდა. და კვლავ ვუგდებდი ყურს ამ აფეთქებებს, ვტკბებოდი ამ ხედით და ვფიქრობდი, რომ ადამიანებსა და ბუნებას შორის არ არის თანხმობა; ხდება ხოლმე — ბუნება ბობოქრობს, ზეცა ჩამოიქცევა დედამიწაზე, ადამიანები კი თავიანთ სახლებში ბედნიერად გრძნობენ თავს; და პირიქით, — ბუნება იცინის, მთელი თავისი არსებით ადამიანებს ბედნიერებას ჰპირდება, ისინი კი ამ დროს სასოწარკვეთილებას ეძლევიან და სიკვდილს ნატრობენ.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, ზუსტი ცნობები ომის შესახებ არ გვქონდა, სანტ ეუფემიაში ბარიდან მოსული ხალხი კვლავ გვარწმუნებდა, რომ ინგლისელების დიდი არმია რომისაკენ მიიწევდა. მაგრამ, ჩანს, ეს დიდი არმია კუს ნაბიჯით მიდიოდა. ძალიან ნელაც რომ ევლოთ ფეხით და ხშირად გაჩერებულიყვნენ სულის მოსათქმელად, ინგლისელები უკვე დიდი ხანია უნდა ყოფილიყვნენ აქ, ისინი კი არ ჩანდნენ. ისე მომბეზრდა ინგლისელებზე, მათ მოსვლაზე და მათ მიერ მოტანილ დოვლათზე ლაპარაკი, რომ რაიმე საქმის ძებნა დავიწყე და გადავწყვიტე ჩემთვის და როზეტასათვის თბილი ტანსაცმელი მომექსოვა. ვიყიდე პარიდესაგან ცოტა შალის ძაფი და დავიწყე ჩხირებზე სათბურის ქსოვა. რადგან ვფიქრობდი, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს დავრჩებით აქ, ზამთრისთვის კი არაფერი თბილი არ გვქონდა. ძაფი ჭუჭყიანი და ქონიანი იყო, ბოსლის სუნი ასდიოდა; პარიდეს რამდენიმე ცხვარი ჰყავდა, რომლებსაც ყოველ წელს კრეჭავდა, მატყლს ძველებურად თითისტარზე და ჯარაზე ართავდნენ და მისგან წინდებს და

სათბურებს ქსოვდნენ. ცხოვრების მთელი წყობა ისეთივე იყო, როგორიც ადამის ჟამს. პარიდეს ოჯახს ჰქონდა ყველაფერი არა მარტო გამოსაკვებად, არამედ ჩასაცმელადაც: ჰქონდა სელი, მატყლი. ტყავი. ეს კი ძალიან კარგი იყო, რადგან ფული, როგორც უკვე ვთქვი, თითქმის სულ არ მოეპოვებოდათ, ამიტომ თვითონ რომ არ დაეშზადებინათ თავიანთი ტანსაცმელი, ტიტვლებს უნდა ევლოთ; ისინი თესდნენ სელს, კრეჭდნენ ცხვრებს, ხოლო როცა ძროხას კლავდნენ, მისი ტყავისაგან ჩოჩებს და ქურთუკებს იკეთებდნენ. ქალები ართავდნენ სელს და მატყლს, მერე კი ჩვენს ოთახში დაზგაზე ქსოვდნენ. ამას ხან ლუიზა აკეთებდა, ხან კი პარიდეს და, ან რძალი. უნდა გითხრათ, რომ არც ერთმა არ იცოდა არც თითისტრის, არც ჯარასი და არც დაზგის ხეირიანად ხმარება. თავიანთი ხელით გაკეთებულ ქსოვილს ისინი ცუდი ხარისხის ლურჯ საღებავში ღებავდნენ და მერე მისგან შარვლებს და ხალათებს კერავდნენ. (არასდროს არ მინახავს ამაზე უარესად გამოჭრილი ტანსაცმელი, თითქოს მას მაკრატლით კი არა, ნაჯახითა სჭრიდნენ). მაგრამ უკვე ერთ კვირაში ეს ტანსაცმელი მუხლებზე და ნიდაყვებზე იხეოდა. დაგლეჯილ ადგილებს საკერებლებს ადებდნენ, ორი კვირის შემდეგ კი მთელი ოჯახი ისევ დაკონკილი დადიოდა. ერთი სიტყვით, თუმცა ისინი ყველაფერს თავისი ხელით ამზადებდნენ და არაფერს არა ყიდულობდნენ, ამას ძალიან ცუდად აკეთებდნენ. როცა ჩემი დაკვირვების შესახებ ფილიპოს შვილს მიქელეს ვუთხარი, მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია და სერიოზულად მიპასუხა:

— ვინღა ქსოვს ახლა, მანქანების საუკუნეში, ქსოვილებს ხელით? მხოლოდ ასეთი ღატაკები, მხოლოდ ასეთი ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყნის გლეხები, როგორიც იტალიაა.

ნუ განსჯით ამ სიტყვებით და ნუ იფიქრებთ, რომ მიქელე აბუჩად იგდებდა გლეხებს, უბრალოდ, მას აზრის გამოთქმის ასეთი ჩვეულება ჰქონდა. მის სიტყვებში ნაღველი იგრძნობოდა, იგი ლაპარაკობდა მკვახე, წინააღმდეგობის დაუშვებელი კილოთი, თუმცა ამ სიტყვებს, და სწორედ ეს ახდენდა ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას, იგი მშვიდად, ბუნებრივი ხმით წარმოთქვამდა, თითქოს ეს ყველასათვის ცნობილი, უდავო ჭეშმარიტება ყოფილიყოს, რაც ასაღელვებლად არ ღირდა; ამას ისე იტყოდა, თითქოს ამბობს — მზე ანათებს ან წვიმა მოდისო.

მიქელე უცნაური კაცი იყო. რადგან ჩვენ ძალიან დავმეგობრდით

და მალე შვილივით შემიყვარდა, მინდა აგიწეროთ, თუნდაც იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ თვალწინ წარმოვიდგინო. მიქელე არ იყო მაღალი, უფრო სწორად დაბალი ტანისა იყო, განიერი და მოხრილი მხრებით, დიდთავა, ძალიან მაღალი შუბლით. მიქელე სათვალეს ატარებდა და ისე ამაყად ეჭირა თავი, თითქოს არავისი არ ეშინოდა და არავის ანგარიშს არ უწევდა. მას ძალიან უყვარდა მეცნიერება და მამამისმა მითხრა, რომ ამ წელიწადს მიიღო, თუ უნდა მიეღო დიპლომი, კარგად არ მახსოვს. იგი დაახლოებით ოცდახუთი წლისა იქნებოდა, მაგრამ სათვალე და სერიოზულობა აბერებდნენ და შეიძლება ოცდაათი წლისა გგონებოდათ. მაგრამ განსაკუთრებით უცნაური ხასიათი ჰქონდა, რომელიც განსხვავდებოდა არა მარტო ყველა ლტოლვილის ხასიათისაგან, არამედ ყველა ადამიანის ხასიათისაგან, ვინც მანამდე შემხვედრია. როგორც ვთქვი, იგი თავის აზრს გამოსთქვამდა აბსოლუტურად დარწმუნებული კაცის კილოთი, რომელსაც სჯერა, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ მან, ერთადერთმა, იცის და ამბობს სიმართლეს. ალბათ, ამიტომ ლაპარაკობდა ასე მშვიდად და გონივრულად უსაშინელეს ამბებზე, როგორც შემთხვევითსა და ყველასათვის დიდი ხანია ცნობილზე, რაზედაც კამათიც კი არ ღირს. თუმცა, მე თუ მკითხავთ, ეს სრულებით არ იყო ასე. მაგალითად, როდესაც ის ფაშიზმზე და ფაშისტებზე ლაპარაკობდა, ყოველთვის ვიბნეოდი. უკვე მთელი ოცი წელი, ე. ი. იმ დროიდან, რაც აზროვნება დავიწყე, მთავრობაზე მხოლოდ კარგი მესმოდა და ვფიქრობდი, რომ ზოგიერთი რამის მიუხედავად, რაც არ მომწონდა, განსაკუთრებით კი, რაც ჩემს დუქანს შეეხებოდა, რადგან პოლიტიკა არასოდეს არ მაინტერესებდა, — ჩვენ კარგი მთავრობა გვყავდა, რაკი გაზეთები უჭერდნენ მხარს, რომლებსაც ჩვენზე უკეთ, უვიც და უბრალო ხალხზე უკეთ, არაფერი რომ არ ვიცით და არ გაგვეგება, შეუძლიათ ყოველივეს განსჯა. და უცებ მიქელე უარყოფს ყველაფერს, ამბობს, რომ შავია ის, რასაც გაზეთები მუდამ თეთრს უწოდებდნენ, ამტკიცებს, რომ ამ ოცი წლის მანძილზე იტალიაში კარგი არაფერი მომხდარა, ყოველივე, რაც ამ წლებში გაკეთებულა, ცუდია და სწორი არ არის. ერთი სიტყვით, მიქელეს აზრით, მუსოლინი თავისი მინისტრებით, პოლიტიკური მოღვაწეებით და მაღალი წოდების პირებით — ბანდიტები არიან, მან სწორედ ასე თქვა: ბანდიტებიო. მე სახტად დავრჩი, როცა გავიგონე, თუ როგორ დარწმუნებით, გულგრილად და მშვიდად ლაპარაკობდა ამაზე. ყო-

ველთვის გამეგონა, რომ მუსოლინი ნამდვილი გენიოსია, მისი მინისტრები — დიდი ადამიანები, ფაშისტური ორგანიზაციის მდივნები, ყველაზე მოკრძალებული შეფასებით რომ ვიმსჯელოთ, ჭკვიანი და წესიერი ხალხი, ხოლო სხვა უფრო პატარა თანამდებობის ფაშისტებს შეგიძლია თვალდახუჭული ენდო. და უეცრად, მიქელე აყირავებს ამ მწყობრ სისტემას და აცხადებს, ისინი ყველანი გამოუკლებლივ ბანდიტები არიანო. მე ვეკითხები ჩემს თავს, როგორ დაებადა ჰას ასეთი აზრები. იმის შემდეგ, რაც იტალიამ ომის წაგება დაიწყო, ბევრს შეეცვალა აზრი მთავრობაზე. მაგრამ ჩემი წარმოდგენით მიქელე მუდამ ასე ფიქრობდა. იგი თითქოს ამ აზრებით დაიბადა და ეს მისთვის ისევე ბუნებრივი იყო, როგორც ბავშვებისათვის, რომლებიც ადამიანებს, ცხოველებს და მცენარეებს თავისებურ სახელებს არქმევენ. მასში იყო უძველესი, ურყევი, ფესვგადგმული ურწმენობა ყველაფრისა და ყველასადმი. მე ეს ძალიან მაკვირვებდა. იგი მხოლოდ ოცდახუთი წლისა იყო, ე. ი. თავის სიცოცხლეში, ასე ვთქვათ, ფაშიზმზე მეტი არაფერი ენახა. ფაშისტებმა აღზარდეს იგი და თუ აღზრდას რაიმე მნიშვნელობა აქვს, ლოგიკური იქნებოდა, ისიც ფაშისტი გამხდარიყო, ან უკიდურეს შემთხვევაში ერთი იმათგანი, ვინც აკრიტიკებს ფაშიზმს, მაგრამ დარწმუნებული არ არის თავის სიმართლეში. ასეთები ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ. მაგრამ მიქელეს, რომელიც ფაშიზმის დროს აღიზარდა, მაინც სძულდა ფაშიზმი. უნდა ვიფიქროთ, რომ მის აღზრდაში ყველაფერი რიგზე ვერ იყო. სხვაგვარად მიქელე არ იტყოდა ასეთ რამეს.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ მიქელეს პირადი ანგარიშები ჰქონდა ფაშიზმთან; საუკეთესო მთავრობამაც კი შეიძლება აწყენინოს ადამიანს, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაფერს თავისი წყენის თვალსაზრისით ხედავს და ჰგონია, რომ გარშემო ყველაფერი ცუდია და სწორი არ არის. მაგრამ მე ხშირად ვხვდებოდი მიქელეს და დავრწმუნდი, რომ მის ცხოვრებაში არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა და ისევე ცხოვრობდა, როგორც ჩვეულებრივად მისი ხნისა და სოციალური მდგომარეობის ყმაწვილები. იგი ფონდიში გაიზარდა, სადაც მისი ოჯახი ბინადრობდა. სწავლობდა სკოლაში და სხვა ბიჭებივით იყო ჯერ ბალილა *, შემდეგ ავანგარდისტი **. მერე მიქელე რომის უნივერსი-

* ბალილა — ბავშვთა ფაშისტური ორგანიზაციის წევრი.
** ავანგარდისტი — მოზარდთა ფაშისტური ორგანიზაციის წევრი.

ტეტში შევიდა, სადაც რამდენიმე წელს სწავლობდა და თავისი ბიძის — მაგისტრატის სახლში ცხოვრობდა. ეს იყო და ეს. იგი არასოდეს არ ყოფილა საზღვარგარეთ, იტალიაშიც რომისა და ფონდის გარდა მხოლოდ რამდენიმე დიდ ქალაქში თუ იყო ნამყოფი. ერთი სიტყვით, არაფერი არაჩვეულებრივი მას არ გადახდენია და თუ იყო რაიმე არაჩვეულებრივი, ეს მის ცხოვრებაში კი არა, უფრო მის თავში ხდებოდა. მე ვფიქრობ, ის ჯერ კიდევ არ იცნობდა ქალს, და ის გამოცდილებაც კი არ ჰქონდა, რომელიც სხვა გამოცდილების უქონლობის გამო, ხშირად ყმაწვილებს ცხოვრებაზე თვალს უხელს. მიქელე თვითონ ამბობდა, რომ არასოდეს არ ყოფილა შეყვარებული, არ ჰყოლია საცოლე და არასოდეს არ გაარშიყებია ქალს. დიდი-დიდი, როგორც მიეხვდი, შესაძლოა იშვიათად დადიოდა ქუჩის ქალებთან, როგორც მისნაირი ახალგაზრდები სჩადიან, რომელთაც არც ფული და არც ნაცნობობა არ გააჩნიათ. ამრიგად, დავასკვენი, რომ ეს აზრები მას თავისთავად, მისდაუნებურად დაებადა, შეიძლება უბრალო წინააღმდეგობის ეინის გავლენით. ოცი წლის განმავლობაში ფაშისტებმა ყურები გამოგვიყრუეს იმის ძახილით, რომ მუსოლინი გენიოსია, მისი მინისტრები კი დიდი ადამიანები არიან. და აი მიქელემაც, დაიწყო თუ არა აზროვნება, ისევე ბუნებრივად, როგორც მცენარე იშვერს ტოტებს მზისაკენ, იფიქრა სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რასაც ფაშისტები გაჰყვიროდნენ. ვიცი, ამაში რაღაც საიდუმლოება იმალება, რომელსაც ვერ გაიგებს და ვერც ახსნის ჩემისთანა საწყალი და უცოდინარი ქალი, მაგრამ ხშირად დავკვირვებივარ, რომ ბავშვები აკეთებენ სწორედ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მშობლები ასწავლიან, ანდა სჩადიან. ამას ისინი იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ დარწმუნებული არიან მშობლების შეცდომაში, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ჰქონდეთ მშობლების ცხოვრებისაგან განსხვავებული ცხოვრება. თუკი მშობლები ცხოვრობდნენ ისე, როგორც მათ სურდათ, შვილებსაც უნდათ იცხოვრონ ისე, როგორც მათ მოსწონთ. ვფიქრობ, მიქელესაც იგივე მოუვიდა. იგი ფაშისტმა გაზარდა, რათა ფაშისტი გამოსულიყო, მაგრამ ის ცოცხალი ადამიანი იყო, უნდოდა თავისებურად ეცხოვრა და სწორედ ამიტომ გახდა ანტიფაშისტი.

სანტ ეუფემიაში ჩვენი ყოფნის პირველი დღეებიდანვე მიქელე სულ ჩვენთან იყო. არ ვიცი რა იზიდავდა: ჩვენ უბრალო ქალები ვართ და თითქმის არ განსხვავდებოდით მისი დისა და დედისაგან; როზეტაც არ იზიდავდა მაინცდამაინც, მაგრამ ამაზე უფრო გვიან ვილაპა-

რაკებ. ეტყობა სხვა ლტოლვილებს და თავის ოჯახსაც კი ჩვენი საზოგადოება ერჩია, იმიტომ, რომ ჩვენ რომიდან ვიყავით, სხვებივით ადგილობრივ დიალექტზე არ ვლაპარაკობდით და არ ვლაყბობდით მთელი დღე ფონდიზე, რომელიც სულ არ აინტერესებდა, და როგორც თვითონ რამდენჯერმე გვითხრა, მობეზრდა კიდეც. მიქელე დილიდანვე მოდიოდა ჩვენთან, როგორც კი ავდგებოდით, და მთელ დღეს ჩვენთან ატარებდა, მხოლოდ საუზმის და სადილის დროს მიდიოდა. იგი დღემდე ცოცხალივით მიდგას თვალწინ, — დადგებოდა ოთახის ზღურბლზე, შემოიხედავდა და მხიარულად გვეტყოდა:

— ხომ არ გინდათ ცოტა გავიაროთ?

მე და როზეტას არავითარი საქმე არ გვქონდა, მთელი დღე უნდა ვმსხდარიყავით: მე საწოლზე, ის კი სკამზე, ამიტომ სიამოვნებით ვთანხმდებოდით, თუმცა ეს სეირნობა მუდამ ერთნაირი იყო: ჩვენ ან მაჩერას მივყვებოდით, შემოვუვლიდით მთას და გავდიოდით მეზობელ მინდორზე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა სანტ ეუფემიის მინდორს, ან კიდეკ კლდოვანი ბილიკით, მუხნარის გავლით უღელტეხილამდე ავდიოდით, ანდა ერთ-ერთი ბილიკით ჩავივაკებდით. თითქმის ყოველთვის ნაკლებად მომქანცველ სწორ გზას ვირჩევდით, გავდიოდით მთის კალთასთან, რომელიც დამრეცად ეშვებოდა ბარისაკენ, აქ ბუჩქნარით შემოვლებული და მუდამ განათებული დიდი ხე იდგა, მიწა კი ბალიშივით რბილი ხავსით იყო დაფარული. ჩვენ სწორედ ხეობაზე გადმოკიდებულ კლდის საფეხურზე ვსხდებოდით, ცისფერი კლდის ახლო, საიდანაც ჩვენს ქვემოთ მდებარე ფონდი ხელის გულივით ჩანდა და აქ საათობით ვისხედით. თუ რას ვაკეთებდით, მეძნელება ამაზე პასუხის გაცემა. როზეტა და მიქელე ხანდახან შამბნარში დაჭეტიალობდნენ და ყოჩივარდას ეძებდნენ, რომელიც შემოდგომაზე აქ ძალიან ბევრი იცის, იზრდება მჭიდროდ, დიდრონი და ლამაზი. როზეტა თაიგულს ჰკრავდა, ჩემთან მოჰქონდა, მე კი შინ დაბრუნებისას ყვავილებს ჭიქით მაგიდაზე ვდგამდი; ხანდახან ჩვენ ვისხედით და არაფერს არ ვაკეთებდით, შევყურებდით ცას, ზღვას, ბარსა და მთებს. მართალი გითხრათ, ვერაფერი გამიხსენებია ამ სეირნობებზე, რადგან მათში მნიშვნელოვანი არაფერი იყო, რასაკვირველია, მიქელეს მსჯელობის გარდა. მისი ხმა ისევე კარგად მახსოვს, როგორც თვითონ, რადგან ამ მსჯელობაში ჩემთვის ბევრი რამ იყო ახალი, და თვითონაც ახალ ადამიანად მეჩვენებოდა, ასეთებს ცხოვრებაში არასოდეს არ შევხვედრივარ.

ჩვენ გაუნათლებელი ხალხი ვიყავით, მას კი ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული და ბევრი რამ იცოდა, მაგრამ მე ცხოვრების გამოცდილება მქონდა, რომელიც მას აკლდა. და ახლა ვფიქრობ, რომ იგი თავისი წიგნებითა და ცოდნით მაინც ძალიან გულუბრყვილო იყო და ბევრ რამეზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა. მახსოვს, მაგალითად, მისი მსჯელობა ჩვენი გაცნობის პირველ დღეებში.

— შენ, ჩეზირა (მიქელე ორივეს შენობით მოგვმართავდა ისევე, როგორც ჩვენ მას), მედუქნე ხარ და მხოლოდ დუქანზე ფიქრობ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეაჭრობას არ გაუფუჭებიხარ და ისეთივე დარჩი, როგორიც ბავშვობაში იყავი...

— როგორი დავრჩი? — ვკითხე მე.

— გლეხის ქალი, — მიპასუხა მან.

მე ვუთხარი:

— გამახარე რაღა... გლეხებმა მიწის გარდა არაფერი იციან, არაფერი გაეგებათ და პირუტყვებივით ცხოვრობენ.

მან გაიცინა და მიპასუხა:

— ამჟამად ეს ქათინაურია. დღეს ვინც წერა-კითხვა იცის, ვინც ქალაქში ცხოვრობს და სენიორებს ეძახიან, სწორედ ისინი არიან უვიცები, ველურები, უკულტურო ხალხი... მათთან უკვე ვერაფერს გახდები, თქვენთან კი, გლეხებთან, ყველაფერი თავიდან შეიძლება დაიწყო.

მე ვერაფერი ვერ გავიგე და ვკითხე:

— რას ნიშნავს თავიდან დაწყება?

— ერთი სიტყვით, თქვენ შეიძლება ახალ ადამიანებად გაქციოთ.

მე წამოვიძახე:

— აშკარად ჩანს, რომ შენ გლეხებს არ იცნობ, ჩემო კარგო. სწორედ გლეხებთან ვერაფერს გახდები. ვინ არიან გლეხები? დედამიწაზე ყველაზე ძველი ადამიანები. როგორ აპირებენ მათ განახლებას? ისინი ჯერ კიდევ მანამდე იყვნენ გლეხები, სანამ ქალაქებში ხალხი გაჩნდებოდა. როგორი გლეხებიც არიან, ისეთივე გლეხებად დარჩებიან.

მიქელემ სინანულით გადააქნია თავი და არაფერი თქვა, მე კი ვფიქრობდი, რომ გლეხები არ იყვნენ ისეთები, როგორიც მიქელეს უნდოდა და ვერც ვერასოდეს გახდებოდნენ. მას გლეხები ისე ჰყავდა წარმოდგენილი, როგორიც სურდა რომ ყოფილიყვნენ, მხოლოდ მის-

თვის ცნობილი მიზეზების გამო, და არა ისეთები, როგორიც სინამდვილეში იყვნენ.

კარგად მიქელე მხოლოდ გლეხებზე და მუშებზე ლაპარაკობდა, მაგრამ ჩემის აზრით, იგი არც იმათ იცნობდა და არც ამათ ერთხელ ვუთხარი:

— აი, მიქელე, შენ ლაპარაკობ მუშებზე, თვითონ კი არ იცნობ მათ!

— შენ კი იცნობ? — მკითხა მან.

— რასაკვირველია, — ვუპასუხე მე, — ჩემთან დუქანში ბევრი მუშა შემოდის.

— როგორი მუშა?

— ყოველნაირი — შინამრეწველი, მკალავი, ქვის მთლელი, ელექტრომონტიორი, დურგალი — ყველა ჯურის მშრომელი ხალხი.

— მერე, შენის აზრით, როგორი მუშები არიან ისინი? — მკითხა მან დაცინვით, თითქოს ჩემგან სულელურ პასუხს მოელოდა.

— არ ვიცი როგორები არიან, ჩემო კარგო, ჩემთვის განსხვავება არ არის!... ისეთივე ხალხია, როგორც ყველა, მათ შორის კარგიც არის და ცუდიც... ზოგიერთი მათგანი ზარმაცია, ზოგი ბეჯითი, ზოგს თავისი ცოლი უყვარს, ზოგი ქუჩის ქალებს დასდევს, ზოგი სვამს, ზოგი ბანქოს თამაშობს, ერთი სიტყვით, მათ შორის ყოველნაირი ხალხია ისევე, როგორც სენიორებსა და გლეხებში, მოსამსახურე ხალხში და ყველა დანარჩენში.

მაშინ მან მითხრა:

— შეიძლება შენ მართალიც იყო... შენ ისინი ადამიანებად მიგაჩნია, როგორც სხვები და სწორი ხარ, რომ ასე ფიქრობ. ყველანი რომ ასე ფიქრობდნენ, ე. ი. ისინი ადამიანებად მიაჩნდეთ და ადამიანებივით ექცეოდნენ, მაშინ ზოგიერთი რამ არ მოხდებოდა და ჩვენ ახლა სანტ ეუფემიაში არ ვიქნებოდით.

მე ვკითხე:

— კი მაგრამ, როგორ უყურებენ მათ სხვები?

— არა როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ მხოლოდ როგორც მუშებს.

— შენ როგორღა უყურებ?

— მე ისევე ეუყურებ, როგორც მუშებს.

— ესე იგი, — ვუთხარი მე, — შენც დამნაშავე ხარ იმაში, რომ ჩვენ აქა ვართ... მე მხოლოდ შენს სიტყვებს ვიმეორებ, რომ ისინი მხოლოდ მუშებად მიგაჩნია და არა ჩვეულებრივ ადამიანებად, მაგრამ მე ეს არ მესმის.

ის კი მეუბნება:

-- მართალია, მე მათ ვუყურებ როგორც მუშებს, მაგრამ უნდა იცოდე რატომ. ზოგს ისინი მიაჩნია არა ადამიანებად, არამედ მხოლოდ მუშებად, რათა უფრო მეტი ექსპლოატაცია გაუწიონ, მე კი მუშებად იმიტომ მიმაჩნია, რომ მინდა დავეხმარო.

— ერთი სიტყვით, — მომივიდა უცბად აზრი, — შენ მეამბოხე ხარ.

იგი დაიბნა და მკითხა:

— რატომ ფიქრობ ასე?

— ერთმა პოლიციელმა ჩემს დუქანში თქვა, მეამბოხეები მუშებში აგიტაციას ეწევიანო.

ცოტახნის დუმილის შემდეგ მიქელემ თქვა:

— ვთქვათ, მეამბოხე ვარ.

მე კი ჩემსას ვუჩიჩინებ:

— როდესმე გაგიწევია მუშებისათვის აგიტაცია?

მან მხრები აიჩეჩა და უგულოდ მითხრა — არასოდესო.

მე კვლავ გამოვიჭირე:

— ხომ გეუბნები, მუშებს არ იცნობ-მეთქი.

ამაზე აღარაფერი მიპასუხა.

მიუხედავად მიქელასთან ასეთი სერიოზული საუბრისა, რომლის აზრი ჩვენ ზოგჯერ არც კი გვესმოდა, მე და როზეტას მასთან უფრო გვიყვარდა ყოფნა, ვიდრე სხვა მამაკაცებთან. ის აქ ყველაზე თავაზიანი იყო და ერთადერთი, ვინც არ ფიქრობდა არც ფულზე და არც მოგებაზე. ამიტომ მასთან ისე არ გვწყინდებოდა, როგორც სხვებთან. საქმე და ფული ცხოვრებაში, რასაკვირველია, დიდ როლს თამაშობს, მაგრამ როცა ხალხი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს, მათი ყურისგდება ძალიან მოსაწყენია. ფილიპო და სხვა ლტოლვილები მხოლოდ საქმეზე ლაპარაკობდნენ, იმაზე, თუ რისი ყიდვა და გაყიდვა შეიძლება, ფასებზე და მოგებაზე, რომელიც ომამდე იყო და რომელიც ომის შემდეგ იქნებოდა. დანარჩენ დროს, როცა ამაზე არ ლაპარაკობდნენ, ფილიპო და ლტოლვილები, ბანქოს თამაშს ანდომებდნენ. ქუდებით,

პირში სიგარაგაჩრილები, ფეხმორთხმულნი სხდებოდნენ პირდაპირ იატაკზე ფილიპოს ოთახში, მიეყრდნობოდნენ ფქვილისა და ლობიოს ტომრებს და ბოლით „გაჟღენთილი ოთახიდან ისმოდა ბანქოს ტკაცუნი, ყვირილი და ლანძღვა-გინება. გეგონებოდათ, ერთმანეთს ხოცავენო. ოთხი მოთამაშის გარშემო ოთხი მაყურებელი მაინც იდგა, როგორც ეს სოფლის ტრატორიებში იციან. მე ყოველთვის მეჯავრებოდა ბანქო, არ მესმის როგორ შეიძლება მთელი დღე ითამაშო ამ ჭუჭყიანი, გაქონილი, დაგლეჯილი ქაღალდით, რომელზეც სურათებიც კი აღარ ჩანს. მაგრამ როცა ფილიპოს მეგობრები არ ლაპარაკობდნენ თავიანთ საქმეებზე და ქაღალდს არ თამაშობდნენ, ეს უარესი იყო. მე ბნელი ქალი ვარ და ჩემს სიცოცხლეში დუქნისა და მიწის გარდა არაფერი მინახავს, მაგრამ მესმოდა, რომ ეს წვერიანი ხანშიშესული კაცები, როგორც კი სხვა რამეზე იწყებდნენ ლაპარაკს, რაც მათ საქმეს არ შეეხებოდა, საშინელ სისულელეებს როშავდნენ. ჩემთვის ეს ცხადი იყო, რადგან საშუალება მქონდა შემედარებინა ისინი მიქელესთან, განათლებულ ადამიანთან; და თუმცა ხშირად არ მესმოდა, რას გვეუბნებოდა მიქელე, ვგრძნობდი, რომ სიმართლეს ამბობდა. ეს ადამიანები კი, ვიმეორებ, სულელებივით, ან რაც უარესია, ნადირებივით მსჯელობდნენ, ცხადია, ნადირებს მსჯელობა რომ შეეძლოთ. ხოლო როცა სისულელეებს არ როშავდნენ, უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდნენ. მახსოვს, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, ანტონიო, პურის მცხობელი, ტანდაბალი, შავგვრემანი, ცალთვალა კაცი. ეს თვალი მეორეზე პატარა ჩანდა, ქუთუთო კი სულ უთრთოდა, თითქოს თვალში რაღაც ჩაუვარდაო. ერთხელ ოთხი-ხუთი ლტოლვილი, რომლებშიც ანტონიოც იყო, მაჩერის ქვებზე ისხდნენ; ომზე ლაპარაკობდნენ, თუ რა არა ხდება ხოლმე ომის დროს. მე და როზეტა ვუსმენდით მათს საუბარს. ანტონიოს, როცა ოცი წლისა ყოფილა, მონაწილეობა მიუღია ლიბიის ომში და უყვარდა ამაზე ლაპარაკი, რადგან ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი იყო მის ცხოვრებაში. სხვათა შორის, სწორედ ამ ომში დაუკარგავს თვალი. არ ვიცი როგორ მოხდა, რომ მე და როზეტამ გავიგონეთ მისი ნათქვამი:

— მათ სამი კაცი მოგვიკლეს, მაგრამ ეს ცოტაა რომ მოკლეს... თვალები დასთხარეს, ენა მოაჭრეს, ფრჩხილები დააძრეს. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ დამსჯელი რაზმი გაგვეგზავნა; დილით ადრე გავეშურეთ ერთ-ერთი სოფლისაკენ, გადავწვით ერთიანად მათი ქოხები,

დავხოცეთ მცხოვრებლები — კაცები, ქალები და ბავშვები, გოგოებს კი, ამ კახპების შვილებს, ხიშტები ჩავურჭეთ სასირცხვო ადგილას, ხოლო მერე სხვებთან ერთად დავყარეთ... ჩვენ მათ ვაჩვენეთ, როგორ უნდა ჩვენი ჯარისკაცის წვალება.

ამ დროს ვიღაცამ ჩაახველა, რათა ეცნობებინა ანტონიოსათვის ჩვენი იქ ყოფნა. მან, ეტყობა, ვერ შეგვაძჩნია, რადგან ხეს ვიყავით ამოფარებულნი. მე გავიგონე როგორ მოიბოდიშა ანტონიომ და თქვა:

— ომში უარესიც ხდება.

როზეტა მაშინვე წავიდა, მე უკან დავედევნე. იგი თავჩაღუნული მიდიოდა. როცა შეჩერდა, დავინახე, რომ თვალები ცრემლებით აქვს სავსე. სახე კი ქაღალდივით გასთეთრებია. ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი.

— გაიგონე რა თქვა ანტონიომ? — მიპასუხა მან.

დავიბენი, არ ვიცოდი რა მეპასუხა და ანტონიოს სიტყვები გავიმეორე:

— ომში უარესიც ხდება, შვილო.

იგი ცოტა ხანს დუმდა, მერე კი, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, თქვა:

— მე ვისურვებდი ყოველთვის ვყოფილიყავი იმათთან, ვისაც კლავენ და არა იმათთან, ვინც კლავს.

ამ დღიდან ჩვენ უფრო ჩამოვშორდით ლტოლვილებს, რადგან როზეტას არაფრის გულისათვის არ უნდოდა ანტონიოსთან შეხვედრა და მასთან ლაპარაკი.

მაგრამ არც მიქელეს ეთანხმებოდა როზეტა ყველაფერში; რაც შეეხება რელიგიას, მათი შეხედულებანი ძირფესვიანად განსხვავდებოდა: მიქელეს, როგორც ვთქვი, ეჯავრებოდა ფაშისტები, ფაშისტების მერე კი — პატრები; ძნელი სათქმელი იყო, ვინ უფრო ეჯავრებოდა. იგი ხშირად ამბობდა, ფაშისტები და პატრები ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფაშისტებმა შავი ანაფორისაგან ხალათები შეიკერეს, პატრები კი ისევ ისე, კოჭებამდე ჩათრეულს ატარებენო. პირადად მე არ მადარდებდა, როცა რელიგიას, უფრო სწორად პატრებს ესხმოდნენ თავს. მუდამ მიმაჩნდა, რომ რელიგიის საკითხებში ყოველი კაცი საკუთარი თავის ბატონ-პატრონია. მე თვითონ მორწმუნე ვარ, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩემი რელიგია სხვას თავს მოვახვიო.

გარდა ამისა მესმოდა, რომ გარეგნული სისასტიკის მიუხედავად, მიქელე არ იყო ბოროტი. ხანდახან ვფიქრობდი კიდეც, მიქელე იმიტომ კი არ ლანძღავს პატრებს, რომ ეჯავრება ისინი, არამედ სწყინს, რომ ჭეშმარიტი ღვთისმსახურები არ არიან და ყოველთვის როდი იქცევიან თავიანთი წოდების შესაფერისად. ერთი სიტყვით, იგი შეიძლება მორწმუნეც იყო, მაგრამ იმედგაცრუებული მორწმუნე. ძალიან ხშირად ასეთ ხალხს, როგორიც მიქელეა, რომლებიც შეიძლება სხვებზე უფრო მორწმუნენი იყვნენ, გული გაუტყდებათ ხოლმე და იწყებენ პატრების გინებას. მაგრამ როზეტას სხვაგვარი ხასიათი ჰქონდა. იგი მორწმუნე იყო და უნდოდა, რომ სხვებიც ყოფილიყვნენ მორწმუნენი. ვერ იტანდა რელიგიის კრიტიკას იმ შემთხვევაშიც კი, როცა სრულიად გულწრფელად, სიძულვილის გარეშე აკრიტიკებდნენ, როგორც ამას მიქელე შვრებოდა. ამიტომ, თავიდანვე, როგორც კი გაიგონა, რომ მიქელე ცუდად იხსენიებს პატრებს, პირდაპირ, უყოყმანოდ უთხრა:

— თუ ჩვენთან ყოფნა გსურს, თავი უნდა დაანებო ასეთ ლაპარაკს.

მეგონა მიქელე მტკიცებას დაიწყებდა ან გაჯავრდებოდა, როგორც ემართებოდა ხოლმე, როცა ეწინააღმდეგებოდნენ: მაგრამ მან კამათი არ დაიწყო და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

— რამდენიმე წლის წინ მეც შენნაირი ვიყავი. პატრად გახდომასაც კი ვფიქრობდი... მერე ამ სურვილმა გამიარა.

მისმა ნათქვამმა ძალიან გამაკვირვა, ვერც კი წარმომედგინა, რომ ოდესმე ასეთი განზრახვა ჰქონოდა და ვკითხე:

— მართლა ფიქრობდი პატრად გახდომას?

მან მიპასუხა:

— რასაკვირველია, თუ არ გჯერა, შეგიძლია მამაჩემს ჰკითხო.

— მერე რატომ არ შეასრულე შენი განზრახვა?

— მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, მერე მივხვდი, რომ ამის მოწოდება არ მქონდა, უფრო სწორად, — დაუმატა მან ღიმილით, — მივხვდი, რომ მოწოდება მქონდა და სწორედ ამიტომ არ უნდა გავმხდარიყავი პატრი.

როზეტამ არაფერი თქვა და საუბარი ამაზე შეწყდა.

დრო გადიოდა და ზოგი რამ ნელ-ნელა მაინც იცვლებოდა ჩვენს

ცხოვრებაში, სამწუხაროდ, უარესობისაკენ. მრავალი სხვადასხვა ჭორის შემდეგ ნამდვილად გავიგეთ, რომ ფონდის ველზე გერმანული დივიზია დაბანაკდა და ფრონტის ხაზი მდინარე გარილიანოსთან გადის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ინგლისელები წინ აღარ მოიწევდნენ და გერმანელები აქ აპირებდნენ დაზამთრებას. ბარიდან ამოსული ხალხი ამბობდა, გერმანელები ყველგან არიან, მაგრამ უმთავრესად ფორთოხლის ბაღებში იმალებიანო. აქ მათი ტანკები და მწვანე, ლურჯი და ყვითელი ლაქებით აჭრელებული კარვები იდგა. ამას კამუფლაჟი ეწოდებოდა. მაგრამ ეს ჯერჯერობით მაინც მხოლოდ ჭორი იყო. მთაში მცხოვრებ არც ერთ ჩვენთაგანს გერმანელი არ ენახა, რადგან ჯერ არც ერთი გერმანელი არ ამოსულიყო სანტ ეუფემიაში. მალე ისეთი რამ მოხდა, რომ ჩვენ პირისპირ შევხვდით გერმანელებს და მივხვდით, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი. გიამბობთ ამ შემთხვევას, რადგან იმ დღიდან ყველაფერი შეიცვალა, შეიძლება ითქვას, სწორედ მაშინ მოაღწია ომმა სანტ ეუფემიას და იმის შემდეგ ჩვენთვის თავი აღარ დაუნებებია.

ფილიპოსთან ბანქოს მოთამაშე ლტოლვილთა შორის იყო მკერავი, სახელად სეევერინო, მათში ყველაზე ახალგაზრდა. ეს იყო ყვითელი სახისა და შავი ულვაშების პატრონი ჩია, გამხდარი კაცი, ცალ თვალს მუდამ ჭუტავდა, თითქოს ვიღაცას თვალს უკრავსო. სინამდვილეში კი ეს მისი პროფესიული ჩვეულება იყო, რადგან როცა თავის დუქანში სკამზე იჯდა და კერავდა, ცალი თვალი მუდამ მოჭუტული ჰქონდა. როგორც კი დაბომბვა დაიწყო, სეევერინო სხვებთან ერთად გამოიქცა ფონდიდან და ახლა ცოლ-შვილით ჩვენს ახლოს ნაქირავებ სახლში ცხოვრობდა. ცოლი მასავით ტანმორჩილი, და მოკრძალებული ქალი იყო. ლტოლვილებიდან ყველაზე მოუსვენარი სეევერინო იყო, რადგან ომის დროს მთელი თავისი ფული ინგლისურ და იტალიურ ფართლეულში დაეხარჯა და ფართლის თოფები საიმედო ადგილას შეენახა. მაგრამ, ეტყობა, ეს ადგილი არც ისე საიმედო იყო და მას ძალიან აწუხებდა თავისი ქონების ბედი. როგორც კი სეევერინოს ფიქრი გერმანელებზე, ფაშისტებზე, ომსა და დაბომბვაზე მომავლის ფიქრით შეიცვლებოდა, მის მოუსვენრობას მაშინვე იმედი ცვლიდა. ყველას, ვინც კი თანახმა იყო მისთვის ყური დაეგდო, სეევერინო თავის გეგმებს აცნობდა, რომლის შემწეობით ომის შემდეგ გამდიდრებას აპირებდა. გეგმა ასეთი იყო: მას სურდა ესარგებლა მოკლე დროით — შეიძლება ექვსი

თვით, შეიძლება ერთი წლით — ომის დამთავრებიდან ნორმალური ცხოვრების დაწყებამდე. ამ ექვს თვეში ან ერთ წელიწადში ყველაფრის ნაკლებობა გამეფდება: არ იქნება არც ტრანსპორტი, არც საქონელი. იტალიის მთავარი საზრუნავი იქნება ჯარი, ვაჭრობა კი გაძნელდება, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც გახდება. და აი ამ ექვს თვეში ან ერთ წელიწადში სევერინო დააწყობს თავის ფართალს მანქანაზე, წაიღებს რომში და იქ ძალიან ძვირად გაყიდის ცალობით (თვითონ კი ბითუმად ეყიდა). ამრიგად, გამდიდრდება. მისი გეგმა, როგორც ამაში შემდეგ ყველანი დავრწმუნდით, სავსებით სწორი იყო. ამ გეგმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ მყოფი ხალხიდან მხოლოდ სევერინო მიხვდა ფასების მექანიკას, რომლებიც ბაზრიდან საქონლის გაქრობასთან ერთად, თანდათან სულ უფრო უნდა გაზრდილიყო, ხოლო გერმანელები, მოკავშირეები და იტალიელები დაბეჭდავდნენ ქაღალდის ფულს განუსაზღვრელი რაოდენობით. ვიმეორებ, ეს სწორი გეგმა იყო, მაგრამ სამწუხაროდ, სწორი გეგმები არასოდეს არ სრულდება, განსაკუთრებით კი ომის დროს.

ერთ მშვენიერ დღეს ბარიდან მოირბინა აქოშინებულმა ბიჭმა, რომელიც სევერინოსთან მუშაობდა, — ის ჯერ მაჩერასთან არც კი იყო მისული, როცა დაინახა კლდეზე მოუთმენლად გადმომდგარი მკერავი და იყვირა:

— სევერინო, ყველაფერი მოგპარეს... იპოვეს სამალავი და მთელი შენი თოფები წაიღეს.

მე ამ დროს სევერინოს გვერდით ვიდექი და დავინახე, როგორ დაბარბაცდა, თითქოს ვიღაცამ უკნიდან ჯოხი ჩაარტყა თავშიო. ამასობაში ბიჭი მაჩერაზე ამოცოცდა, სევერინომ სტაცა ხელი და თვალებდაჭყეტილი, ჩახლეჩილი ხმით ალუღლუღდა:

— ეს შეუძლებელია... რას ამბობ? თოფები? მთელი ჩემი ფართლეული მომპარეს? ვინ მომპარა?

— მე რა ვიცი, — უპასუხა ბიჭმა.

ლტოლვილები შემოეხვივნენ სევერინოს. იგი თვალებდაჭყეტილი, გიჟივით აქნევდა ხელებს, თავში იცემდა და თმებს იგლეჯდა. ფილიპო შეეცადა დაემშვიდებინა:

— იმედს ნუ დაჰკარგავ, შეიძლება ჭორი იყოს.

— რისი ჭორი? — თქვა გულუბრყვილოდ ბიჭმა. — ჩემი თვალით ვნახე გამონგრეული კედელი და ცარიელი სამალავი.

ამის გაგონებაზე სევერინომ სასოწარკვეთილებით გაასავსავა ხელები, თითქოს ცას ემუქრებაო, დაეშვა ბილიკზე და მალე თვალს მიეფარა. ამ ამბავმა ჩვენზე ძალიან იმოქმედა: ჩანს ომი გრძელდებოდა, მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, ხალხმა სულ დაკარგა სინდისი და ახლა თუ ქურდობდნენ, მალე ხალხის ხოცვასაც დაიწყებდნენ. ფილიპო ყველაზე მეტად იქნევდა ხელებს და ლანძღავდა სევერინოს მისი წინდაუხედაობისათვის, სანამ ერთმა ლტოლვილმა არ უთხრა:

— შენც ხომ გადამალე შენი ქონება. განა გლეხის სახლის კედელში არ ჩაატანე? უფრთხილდი, ასეთი რამ შენც არ დაგემართოს.

გამახსენდა კონჩეტასა და ვინჩენცოს ნათქვამი და გავიფიქრე, რომ ეს ლტოლვილი მართალს ამბობდა: კედელი, რომელშიც ფილიპოს ქონება დაემალა, ისევე ადვილი დასანგრევი იყო, როგორც სევერინოს სამალავი. მაგრამ ფილიპომ თავი გააქნია და თავდაჯერებით უპასუხა:

— მე და ეს გლეხი ჯოვანის წმინდანები ვართ. მე მისი ვაჟი მოვნათლე, მან კი ჩემი ქალი. განა არ იცი, რომ წმინდა ჯოვანი არასოდეს არ გიღალატებს?

გავიგონე ფილიპოს ნათქვამი და ვიფიქრე, რაც უნდა ჭკვიანი იყოს კაცი, — ფილიპოს კი თავისი თავი ძალიან ჭკვიანი ეგონა,—ადრე თუ გვიან მაინც შეცდება.—ჩემის აზრით, როცა საქმე კონჩეტასა და ვინჩენცოსთანა ხალხთან გაქვს, წმინდა ჯოვანის ნდობა დიდი გულუბრყვილობაა, უფრო სწორად, სისულელეა. მაგრამ გაჩუმება ვარჩიე. ერთმა ჩვენთაგანმა ხომ უკვე სცადა მისი გაფრთხილება, მაგრამ უშედეგოდ.

იმ საღამოსვე დაბრუნდა სევერინო ბარიდან, მტვერში ამოგანგლული, დაღონებული და სასოწარკვეთილი. გვიამბო, რომ იყო ქალაქში, ნახა გამონგრეული კედელი და ცარიელი სამალავი. მას აბსოლუტურად ყველაფერი მოჰპარეს. აწი მისი საქმე წასულია. ამას ან გერმანელები ჩაიდენდნენ ან იტალიელები. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ეს იტალიელების საქმეა. სევერინო ელაპარაკა ქალაქში დარჩენილ რამდენიმე კაცს და დაასკვნა, რომ ეს იტალიელმა ფაშისტებმა ჩაიდინეს. გვითხრა თუ არა ყოველივე ეს, იგი დადუმდა. გაუნძრევლად იჯდა ფილიპოს სახლის წინ და ეხვეოდა სკამის ზურგს. უფრო მეტად გაშავებული და გაყვითლებული ჩანდა. ცალი თვალით გასცქეროდა ფონდის, სადაც მთელი ქონება მოჰპარეს, მეორე კი უთამაშებ-

და. და ეს მხიარული თვალის ჩაპაჭუნება იმ მომენტში, როცა ისეთ სასოწარკვეთას მისცემოდა, რომ შესაძლოა თვითმკვლელობაზეც კი ეფიქრა, რაღაც ტრაგიკულ შოაბეჭდილებას ახდენდა. დრო და დრო სეევერინო აქნევდა თავს და ჩუმად ამბობდა: — ჩემი თოფები... მე უკვე აღარაფერი გამაჩნია... ყველაფერი მომპარეს, — და შუბლზე ისვამდა ხელს, თითქოს ამ ფიქრების მოშორებას ცდილობდა. ბოლოს თქვა: — ერთ დღეში დავბერდი. — და გასწია თავისი სახლისაკენ ისე, რომ ფილიპოს მიპატიჟებაზე არც უპასუხია.

მეორე დღეს სეევერინო სულ თავის თოფებზე და მათ დაბრუნებაზე ფიქრობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ქურდები ადგილობრიკი მცხოვრებლები იყვნენ, კერძოდ ფაშისტები, ან უფრო სწორად, ისინი, ვისაც ახლა ფაშისტებს უწოდებენ, ხოლო ფაშიზმის დამხობამდე ბანდიტებად და მაწანწალებად თვლიდნენ. როგორც კი იტალიაში ფაშიზმი აღადგინეს, ეს ბანდიტები მილიციაში ჩაეწერნენ. მათ ერთადერთ მიზანს უზრუნველი ცხოვრება და მცხოვრებთა ხარჯზე გამდიდრება შეადგენდა, რასაც სრულიად დაუსჯელად სჩადიოდნენ, რადგან ომი იყო, მთავრობის ხალხი კი ფრონტიდან რაც შეიძლებოდა შორს გაიქცა. ახლა სეევერინომ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოეძებნა თავისი თოფები. ის ყოველდღე დადიოდა ბარში, საღამოს კი ბრუნდებოდა არაქათგამოლეული, გატანჯული, მტვრიანი, ხელცარიელი, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით აღსავსე. სიმტკიცე მთელ მის მოქმედებაში იგრძნობოდა: სულ ერთთავად სდუმდა, თვალები უბრწყინავდა, მთლად რაღაც მიზანსწრაფვით იყო შეპყრობილი, ხოლო ღაწვზე მაგრად დაჭიმული კანის ქვეშ ფეთქავდა და ხტოდა ნერვი. როცა ვინმე ეკითხებოდა, თუ რატომ დადიოდა ყოველ დღე ბარში, სეევერინო პასუხობდა: — სანადიროდ დავდივარო, — რითაც უნდოდა ეთქვა, რომ თავის ფართალზე და მის წამღებ ქურდებზე ნადირობდა.

სეევერინოსა და ფილიპოს საუბრიდან თანდათან გავიგე, რომ ფაშისტებს, რომლებზეც სეევერინოს ეჭვი ჰქონდა, თავიანთი ბუნაგი იმ ადგილას მოეწყოთ, რომელსაც მკვდარი კაცის ადგილს უწოდებდნენ. სულ თორმეტიოდე კაცი ყოფილიყო. ამ ბუნაგში უამრავი სანოვაგე მოეგროვებინათ, რაც იარაღით წაერთმიათ გლეხებისათვის და დროს ჭამა-სმაში ატარებდნენ რამდენიმე კახპა დედაკაცის საზოგადოებაში, რომლებიც წინათ ხელზე მოსამსახურეები ან მუშები იყვნენ. ღამით ეს ფაშისტები გამოდიოდნენ სახლიდან, მიდიოდნენ ქალაქში და რიგ-

რიგობით ათვალიერებდნენ ლტოლვილთა მიერ მიტოვებულ სახლებს, იპარავდნენ რაც კი ხელში მოხვდებოდათ და აკაკუნებდნენ კედლებზე თოფის კონდახებით იმ ადგილებში, სადაც კი შეიძლებოდა სამალავი ყოფილიყო. ყველანი ავტომატებით, ყუმბარებით, ხანჯლებით იყვნენ შეიარაღებულნი და თავს ძალიან თამამად გრძნობდნენ, რადგან მთელ დაბლობში, როგორც უკვე ვთქვი, არც ჟანდარმები, რომლებიც ან გაიქცნენ ან გერმანელებმა დაიჭირეს, არც პოლიციელები და არც სხვა მთავრობის ხალხი აღარ იყო. დარჩა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ერთი ჩამოგლეჯილი, მშიერი დარაჯი, რომელიც კარდაკარ დადიოდა, რადგან მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა და ღვთის გულისათვის გლეხებს თითო ნაჭერ პურს ან თითო კვერცხს სთხოვდა. ერთი სიტყვით, სრული უკანონობა და თვითნებობა სუფევდა. წესრიგის ერთადერთი დამცველნი გერმანელი ჟანდარმები იყვნენ, რომლებიც გერმანული არმიის სხვა ჯარისკაცებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ გულზე ორდენის ჯაჭვის მაგვარ რაღაცას ატარებდნენ. მაგრამ მათი კანონი გერმანული იყო და არა ჩვენებური, იტალიური. ეს კი მეტად უცნაური კანონი იყო, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის; იგი თითქოს სპეციალურად ხალხის დასაჭერად, ჯიბგირობის, ქურდობისა და ძალმომრეობისათვის იყო შექმნილი. წარმოდგენა რომ გქონდეთ რა დრო იყო მაშინ, ერთ შემთხვევას გიამბობთ. ერთხელ დილით გლეხმა, რომელიც სანტ ეუფემიასთან ახლოს ცხოვრობდა, თავისი თვრამეტი წლის ძმისწულს დანა დაარტყა და ვენახში ღვთის ანაბარა დააგდო, სადაც ბიჭი სისხლისაგან დაიცალა. ეს მოხდა დილის 10 საათზე, საღამოს ხუთ საათზე კი მკვლელი სასაკლაოზე მივიდა ნახევარი კილო ხორცის საყიდლად. უკვე ყველამ იცოდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაგრამ ხმის ამოღება ვერავინ გაბედა, ყველა ფიქრობდა, ჩემი საქმე არ არისო, თანაც ცოტა ეშინოდათ კიდეც. მხოლოდ ერთმა დედაკაცმა უთხრა:

— ეგ რა გული გქონია? ძმისწული მოჰკალი, ახლა კი არხეინად ხორცის საყიდლად მოსულხარ!

მან კი უპასუხა:

—ჩანს, ასეთი ბედი ჰქონია. მე კი ვერავინ დამიჭერს, რადგან ახლა კანონები აღარ არის და ყველა ისე იქცევა, როგორც სურს.

და მართალი გამოდგა. არავის დაუჭერია, მან კი ძმისწული ლელვის ძირში დამარხა, ხოლო თვითონ თავისუფლად დასეირნობდა აქეთ-იქით.

ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი სამსჯავრო არ არსებობდა და სე-

ვერინომ გადაწყვიტა თვითონ მოეძებნა და დაესაჯა ქურდები. ჩვენ არ ვიცოდით, რას აკეთებდა იგი ფონდიში, მაგრამ ერთხელ დილით მოირბინა გლეხის ბიჭმა და სირბილისაგან აქოშინებულმა გვითხრა, სევერინოს გერმანელები მოჰყავს, მოელაპარაკა და ისინი დახმარებას და მისი ფართლის დაბრუნებას დაჰპირდნენო. სანტ ეუფემიაში ოცამდე ლტოლვილი ცხოვრობდა, ყველანი გარეთ გამოეფინენ და მაჩერის პირას მოიყარეს თავი, რათა თვალ-ყური ედევნებინათ ბილიკისათვის, რომლითაც სევერინო და გერმანელები უნდა მოსულიყვნენ. მე და როზეტაც იქ ვიყავით. ყველა ამბობდა, სევერინო ძალიან გონიერი კაცია, ახლა ძალა-უფლება ხომ გერმანელების ხელშია, ხოლო გერმანელები ისეთი ბანდიტები და ბოროტმოქმედნი არ არიან, როგორც იტალიელი ფაშისტები და არა მარტო დაეხმარებიან სევერინოს თოფეის დაბრუნებაში, არამედ დასჯიან კიდეც ფაშისტებსო. ფილიპო სხვებზე მეტად აქებდა გერმანელებს:

— სერიოზული ხალხია, ყველაფერს საფუძვლიანად უდგებიან: ომსაც, მშვიდობასაც, კომერციასაც... სევერინო კარგად მოიქცა, რომ სწორედ მათ მიმართა... გერმანელები ჩვენსავით, იტალიელებივით ანარქისტები და ცუღლუტები კი არ არიან... მათ მტკიცე დისციპლინა აქვთ და რადგან ომის დროს ქურდობა კანონით ისჯება, დარწმუნებული ვარ, დაეხმარებიან სევერინოს და დასჯიან ამ არამზადა ფაშისტებს... ყოჩაღ სევერინო! იგი უცბად მიხვდა, ვისთვის უნდა მიემართა. ვის ხელშია ახლა ძალაუფლება აქ, იტალიაში? გერმანელების ხელში. და სწორედ მათ უნდა მიმართო.

ფილიპო ხმამაღლა წარმოთქვამდა თავის აზრებს და თავმომწონედ ისვამდა ულვაშებზე ხელს. ცხადი იყო, რომ თავისი მონახევრის კედელში შენახულ ნივთებზე ფიქრობდა. ფილიპო კმაყოფილი იყო, რომ სევერინო დაიბრუნებდა თავის ფართლეულს, რადგან თვითონაც დიდი სიმდიდრე ჰქონდა გადამალული და ეშინოდა ისიც არ გაექურდათ.

გავცქეროდით ბილიკს, რომლითაც სევერინო უნდა მოსულიყო, მაგრამ შეიარაღებული რაზმის მაგივრად, რომელსაც ველოდებოდით, დავინახეთ, რომ სევერინოს მოჰყვებოდა ერთი გერმანელი, თანაც უბრალო ჯარისკაცი და არა სამხედრო პოლიციელი. როგორც კი მაჩერაზე ამოვიდნენ, გაამაყებულმა და ბედნიერმა სევერინომ გაგვაცნო ეს გერმანელი, რომელსაც ჰანსი ერქვა, რაც იტალიურად ჯოვანის ნიშნავს. ყველანი ჰანსის გარშემო ტრიალებდნენ, ცდილობდნენ ხელი ჩამოერთ-

მიათ, მაგრამ მან ხელი არავის არ ჩამოართვა, მხოლოდ მხედრულად ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და ხელი ქუდთან მიიტანა, რითაც გვიჩვენა, რომ აპირებდა ჩვენთან მეგობრული კავშირის დამყარებას. ჰანსი პატარა ტანისა იყო, ქერათმიანი, ქალივით განიერი თეძოები და თეთრი, შეშუპებული სახე ჰქონდა. ლოყაზე ორი თუ სამი ღრმა ჭრილობა აჩნდა; კითხვაზე, სად დაიჭრა, ჰანსმა ძალიან მოკლედ გვიპასუხა:

— სტალინგრადში.

ამ ჭრილობის გამო მისი რბილი, უსწორმასწორო და თითქმის დაშმუჭნული სახე ხიდან ჩამოვარდნილ ატამს ან ვაშლს დამსგავსებოდა, რომელსაც კანზე ჩამოვარდნის კვალი დარჩენია. როცა ასეთ ვაშლს გაჭრი, ხშირად გული დამპალი აქვს. თვალები ცისფერი ჰქონდა, მაგრამ ულამაზო, როგორღაც გამორეცხილი, მეტყველებას მოკლებული, მეტისმეტად ღია ფერის, თითქოს შუშისა. სევერინო, ამაყი სახით გვიხსნიდა, რომ ჰანსი სამშობლოში, მშვიდობიან დროს, სევერინოსავით მკერავი ყოფილა და ამიტომ დამეგობრდნენ. მათ შესანიშნავად გაუგეს ერთმანეთს. სევერინომ უამბო ჰანსს ქურდობის შესახებ და ჰანსი დახმარებას დაჰპირდა. ჰანსიც ხომ მკერავი იყო და სხვებზე უფრო ესმოდა სევერინოს დარდი და საზრუნავი, ერთი სიტყვით, ჰანსი პოლიციას არ ეკუთვნოდა, მისი ჩარევა არ ატარებდა ოფიციალურ ხასიათს, ეს მისი და სევერინოს კერძო საქმე იყო. ისინი ორივენი მკერავები, ე. ი. პროფესიით ამხანაგები იყვნენ. მაგრამ ამ გერმანელს მუნდირი ეცვა, კისერზე ავტომატი ეკიდა და გერმანელი ჯარისკაცივით იქცეოდა, ამიტომ ყველანი გარს ეხვეოდნენ და თავს უქონავდნენ. ერთს აინტერესებდა — რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ომი, მეორე რუსეთზე ეკითხებოდა, სადაც ჰანსი ნამყოფი იყო, მესამეს უნდოდა გაეგო, დაიწყებდნენ თუ არა ინგლისელები ბრძოლას, მეოთხე — დაიწყებდნენ თუ არა ბრძოლას გერმანელები. მაგრამ რაც უფრო მეტ შეკითხვას აძლევდნენ, ჰანსი უფრო ყოყოჩობდა და ჰაერის ბუშტივით იბერებოდა. მან თქვა, ომი მალე გათავდება, რადგან გერმანელებს საიდუმლო იარაღი გვაქვსო, რუსები კარგად იბრძვიან, მაგრამ გერმანელები უკეთესადო. ჩქარა გერმანელები ომს დაიწყებენ ინგლისელებთან და მათ ზღვაში გადაყრიანო. ჰანსი პატივისცემას იმსახურებდა და ფილიპომ სევერინოსთან ერთად იგი სადილად მიიწვია.

მეც წავედი ამ სადილზე, თუმცა უკვე ნასადილევი ვიყავი. მინდო-

და გერმანელი ახლო მენახა. ეს პირველი გერმანელი იყო, რომელიც ჩვენთან მოვიდა. მე მაშინ შევედი, როცა ისინი სადილს ათავებდნენ და ხილს შეექცეოდნენ. ფილიპოს მთელი ოჯახი იქ იყო, მიქელეს გარდა, რომელსაც ეზიზღებოდა გერმანელები. როდესაც ჰანსი ყოყლოჩინობდა და დიდ გამარჯვებებზე ლაპარაკობდა, რაც გერმანელებს ინგლისელებზე უნდა მოეპოვებინათ, მიქელე ისეთი გაბრაზებული თვალებით უყურებდა, თითქოს ახლა უნდა ეცეს და სცემოსო. გერმანელი შეთვრა და გულახდილი ლაპარაკი დაიწყო. იგი სევერინოს მხარზე ხელს არტყამდა და იმეორებდა, რომ ისინი ორივენი მკერავები არიან და სამარის კარამდე მეგობრები დარჩებიან, რომ იგი უთუოდ დაუბრუნებს სევერინოს ფართალს. მერე ჯიბიდან საფულე ამოიღო, გახსნა და გვიჩვენა კეთილი სახის ქალის სურათი, რომელიც მასზე ერთიორად მაინც უფროსი იყო და გვითხრა, ეს ჩემი ცოლიაო. საუბარი ომს შეეხო. ჰანსი ერთთავად იმეორებდა:

— ჩვენ გაკეთება შეტევას და ინგლისელებს ზღვაში ჩაყრა.

ფილიპო ყველაფერზე კვერს უკრავდა გერმანელს:

— რასაკვირველია, უსათუოდ... ამ კაცისმკვლელებს ყველას წყალში ჩავყრით. მაგრამ გერმანელმა უპასუხა:

— არა, მკვლელები არა, კარგი ჯარისკაცები.

ფილიპო მაშინვე:

— ჰო, რასაკვირველია, კარგი ჯარისკაცები არიან, ყველამ იცის, რომ კარგი ჯარისკაცები არიან.

გერმანელმა კი მიუგო:

— შენ ინგლისელები გიყვარს, შენ მოღალატე ხარ.

ფილიპოს შეეშინდა:

— როგორ თუ მიყვარს?... მე თვითონ არა ვთქვი, რომ კაცისმკვლელები არიან? — მაგრამ გერმანელი კვლავ უკმაყოფილო დარჩა.

— კაცისმკვლელი არა, კარგი ჯარისკაცი, მაგრამ მოღალატე, როგორც შენ, რომელსაც უყვარს ინგლისელები, კაპუტ, — და მან ხელით ანიშნა თითქოს ყელსა სჭრისო.

ერთი სიტყვით, ვერაფრით მისი გული ვერ მოვიგეთ, ყველაფრით უკმაყოფილო იყო. მერე ძალიან შეგვეშინდა, რადგან გერმანელი გაბრაზდა და ეცა სევერინოს.

— შენ რატომ არა ხარ ფრონტზე? — ჩვენ გერმანელები — ომში, თქვენ იტალიელები — აქ ყოფნა... შენ — ფრონტზე!

სევერინოს შეეშინდა და უთხრა:

— მე განთავისუფლებული ვარ ჯარიდან, სუსტი ფილტვები მაქვს, — და მკერდში მჯიღი დაიშინა.

ეს სრული სიმართლე იყო. იგი ხშირად ავადმყოფობდა და ამბობდნენ, რომ მხოლოდ ერთი ფილტვი ჰქონდა. მაგრამ გერმანელი უფრო გაცოფდა, წაავლო ხელი და უყვიროდა:

— ახლავე წამოდი ჩემთან ფრონტზე, — და ისეთ მოძრაობას აკეთებდა, თითქოს ახლავე მიჰყავდა სევერინო.

მკერავი გაფითრდა და გაღიმებას ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებდა ამას, დამსწრენი გაშეშდნენ გაკვირვებისა და შიშისაგან. მე კი ისეთმა შიშმა ამიტანა, რომ გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა. გერმანელი სევერინოს სახელოზე ეწეოდა, სევერინო უძალიანდებოდა და ფილიპოს ეჭიდებოდა, რომელიც თავის მხრივ ძალიან შეშინებული ჩანდა. მაგრამ უცბად გერმანელმა გადაიხარხარა და თქვა:

— მეგობრები... მეგობრები... შენ მკერავი, მეც მკერავი. შენ მიიღებ შენ ფართალს და მდიდარი იქნები, მე კი წავალ ფრონტზე და მოვკვდები.

ჰანსი იცინოდა და ისევ არტყამდა სევერინოს მხარზე ხელს. ამ სცენამ ჩემზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ჩემს წინ ადამიანი კი არა, მხეცი ყოფილიყოს, რომელიც ხან კრუტუნებდა და ხან კბილებს აჩენდა, ვინ იცის როდის რას იზამდა და როგორ უნდა მოქცეოდი. ჩემის აზრით, სევერინო ისევე ცდებოდა, როგორც ის ადამიანები, ვინც ამბობდა:

— ეს ცხოველი მიცნობს... ის არასოდეს არ მიკბენს.

შემდეგში დავრწმუნდი, რომ მართალი ვყოფილვარ.

ამ სცენის შემდეგ გერმანელი ისევ თავაზიანი გახდა, ბევრს სვამდა და ისე ხშირად არტყამდა სევერინოს მხარზე ხელს, რომ მალე სევერინოს სულ აღარ ეშინოდა მისი. მან ისარგებლა ჰანსის უყურადღებობით და ფილიპოს ჩასჩურჩულა:

— აი ნახავ, მე დღესვე დავიბრუნებ ჩემს ფართალს.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანელი წამოდგა სუფრიდან, შემოირტყა ქამარი, რომელიც სადილის წინ მოიხსნა და გაიხუმრა კიდეც, ასეთი ნოყიერი სადილის შემდეგ ქამარი აღარ მწვდებაო. მერე უთხრა სევერინოს:

— ჩვენ ქვევით წახვალ, მერე შენ ისევ მოხვალ, ძოიტანე შენი მატერია.

სევერინოც წამოდგა. გერმანელმა კვლავ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და გაბღენძილი გაჰყვა ბილიკს, რომელიც მაჩერებიდან დაბლობში ეშვებოდა. სევერინო უკან მიჰყვა. ფილიპომ, რომელიც სხვებთან ერთად გამოვიდა და მიმავალ სევერინოს უყურებდა, ჩვენი საერთო აზრი გამოთქვა:

— სევერინო მეტისმეტად გულუბრყვილოა, მის ადგილზე მე არ ვენდობოდი ამ გერმანელს.

გვიანობამდე ველოდებოდით სევერინოს, მაგრამ იგი არ დაბრუნებულა. მეორე დღეს მივედით სახლში, სადაც იგი თავისი ოჯახით ცხოვრობდა და ვნახეთ, რომ სიბნელეში მჯდომი სევერინოს ცოლი ბავშვს გულში იკრავდა და ტიროდა. მასთან მოხუცი გლეხის ქალი იჯდა, რომელიც თითისტარზე ძაფს ართავდა. იგი ატრიალებდა ჯარას და იმეორებდა:

— ნუ ტირი, შვილო... სევერინო დაბრუნდება და ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ სევერინოს ცოლი თავს აქნევდა და იმეორებდა:

— მე ვგრძნობ, რომ იგი აღარ დაბრუნდება... მე ეს მაშინვე ვიგრძენი, როცა წავიდა.

ჩვენ ვცდილობდით მის დამშვიდებას, ის კი ტიროდა და იმეორებდა, რომ ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე, რადგან სევერინომ ეს მისი და მათი შვილის გულისათვის გააკეთა, რათა უკეთ ეცხოვრათ და გამდიდრებულიყვნენ. მას კი, როგორც ცოლს წინააღმდეგობა უნდა გაეწია და არ დაენებებინა ამ გასატიალებელი თოფების ყიდვა. ჩვენმა სიტყვებმა ვერ დაამშვიდეს, რადგან სევერინო არსად ჩანდა: ეს ფაქტი იყო, ხოლო ყოველ კარგ სიტყვას ფაქტის წინაშე ჩალის ფასი აქვს. მთელი დღე მასთან გავატარეთ, ვამშვიდებდით და სევერინოს დაკარგვის ათასნაირ საბაბს ვიგონებდით. მაგრამ იგი არ მშვიდდებოდა და დაეჩემებინა, რომ მისი ქმარი აღარ დაბრუნდებოდა. სევერინოს დაკარგვის მეორე დღეს ქოხში არც ბავშვი, არც ქალი აღარ დაგვხვედრია. მან აიყვანა ბავშვი და დაბლობში ჩავიდა, რათა გაეგო ქმრის ამბავი.

გავიდა რამდენიმე დღე, ჩვენ არაფერი ვიცოდით სევერინოსა და მისი ცოლის შესახებ. ბოლოს ფილიპომ, რომელსაც თავისებურად

უყვარდა სევერინო, გადაწყვიტა გაეგო, თუ რა მოუვიდა მას. მან დაუძახა ნიკოლას, მოხუც გლეხს, რომელიც მიწას ველარ ამუშავებდა და მთელ დღეებს ბავშვებთან მაჩერაზე ატარებდა. ფილიპომ სთხოვა გაეგო სევერინოს ამბავი. ნიკოლა უნდა წასულიყო მკვდარი კაცის მიდამოებში, სადაც ფაშისტები ცხოვრობდნენ, რომლებმაც სევერინოს ფართალი მოიპარეს. მოხუცმა ჯერ უარი თქვა, მაგრამ როცა ფილიპო 300 ლირის მიცემას დაპირდა, ნიკოლა, რომელიც ფულის გულისთვის ცხელ თონეში ჩავარდებოდა, ულაპარაკოდ წავიდა სახედრის შესაკაზმავად. ნიკოლამ გვითხრა, რომ ღამეს ბარში თავის ნათესავებთან გაატარებდა და მეორე დღეს დაბრუნდებოდა. მან ჩაიდო აბგაში პურის ყუა, ცოტაოდენი ყველი, შეჯდა სახედარზე და წავიდა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ და ვუყურებდით როგორ მიემგზავრებოდა. პირში ჩიბუხგაჩრილი ის გამართული იჯდა უნაგირზე, თავზე შავი ჩაჩი ეხურა, ხოლო თეთრპაჭიებიანი და შავჩოჩიანი ფეხები, რომლებსაც მუხლებში ვერ ღუნავდა, სახედრის ორივე მხარეს გაშეშებული ეკიდა. ფილიპომ უთხრა ერთი კაცისთვის მიემართა, რომელსაც ტონტო ერქვა და სხვა ფაშისტებზეც ცოტათი უკეთესი იყო. მოხუცი დაჰპირდა, რომ სწორედ ასე მოიქცეოდა.

გავიდა მთელი ეს დღე და მეორე დღის ნახევარი, და აი ბინდბუნდში გამოჩნდა ნიკოლა, რომელსაც სახედარი აღვირით მოჰყავდა, ვირზე კი ტონტო იჯდა. ვირი შეჩერდა მაჩერაზე: ტონტო დაქვეითდა, მას გამხდარი, შავი, გაუპარსავი სახე ჰქონდა, ღრმად ჩამჯდარი ნაღვლიანი თვალები, გრძელი ცხვირი კი ნიკაპამდე სწვდებოდა. ყველანი შემოვეხვიეთ, მაგრამ იგი სდუმდა და დარცხვენილი ჩანდა. მოხუცმა ნიკოლამ აღვირი მოსწია და წარმოთქვა:

— გერმანელმა ფართალი თვითონ წაიღო. სევერინო კი სამუშაოდ გაგზავნეს ფრონტზე, სანგრების სათხრელად. აი, რა მოხდა.

მოხუცმა თქვა ეს და წაიყვანა თავისი სახედარი.

ყველანი სახტად დავრჩით. ტონტო დარცხვენილი განზე იდგა. ჯავრმორეულმა ფილიპომ დაუყვირა:

— შენ რისთვისღა მოსულხარ?

ტონტომ წადგა წინ ნაბიჯი და თავდამცირებით თქვა:

— ნუ იფიქრებთ ჩემზე ცუდს, ფილიპო... მე მოვედი, რომ გიამბოთ როგორ მოხდა ეს, არ გეგონოთ, რომ ჩვენ ვიყოთ დამნაშავენი.

ყველანი ზიზღით უყურებდნენ მას, თანაც ყველას სურდა დაწვრი-

ლებით სცოდნოდა რა მოუვიდა სევერინოს. ბოლოს ფილიპომ უგულოდ, მაგრამ მაინც მიიწვია ტონტო თავისთან თითო ჭიქის გადასაკრავად. ტონტო ფილიპოს სახლისკენ გაემართა, ჩვენ უკან გავყევით. ტონტო სახლში შევიდა და ლობიოს ტომარაზე ჩამოჯდა. ფილიპომ დაუსხა ღვინო, მაგრამ თვითონ არ დაჯდა. იგი ტონტოს წინ ფეხზე იდგა. ჩვენ ყველანი კართან შევჯგუფდით. ტონტომ მშვიდად დალია ღვინო და დაიწყო:

— არ ღირს იმის დამალვა, რომ სევერინოს თოფები ჩვენ წავიღეთ... ახლა ისეთი დროა, ფილიპო, რომ თითოეულმა თავის თავზე უნდა იფიქროს, ღმერთმა კი—ყველაზე. სევერინო ფიქრობდა, რომ არავინ იცოდა სად დამალა მან ფართლეული. მაგრამ იგი ცდებოდა. ეს ბევრმა იცოდა. ჰოდა, ვიფიქრეთ, თუ ჩვენ არ წამოვიღებთ ამ ფართალს, ვინმე უთუოდ დააბეზღებს და სულ ერთია გერმანელები წაიღებენ-თქო, უკეთესი იყო ჩვენ დაგვრჩენოდა. რა ვქნათ, ფილიპო?—ტონტომ მუდარით დაიკრიფა ხელები და თვალი ყველას მოგვავლო,—ჩვენ ხომ ოჯახები გვყავს, ახლა კი ისეთი დრო დადგა, რომ ყველამ საკუთარ ოჯახზე უნდა იფიქროს, მერე კი სხვაზე. მე არ ვამბობ, რომ კარგად მოვიქეცით, ოღონდ იმის თქმა მინდა, რომ აუცილებლობამ გვაიძულა. თქვენ, ფილიპო, ვაჭრობთ, სევერინო მკერავია, ჩვენ კი... როგორც ვახერხებთ, ისე ვცხოვრობთ. ერთი კი უნდა ვთქვა, სევერინო შეცდა, როცა გერმანელებს მიმართა, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამ საქმესთან. გერმანელებთან ჩვენი დასმენის მაგივრად, სევერინო ჩვენთან უნდა მოსულიყო... ჩვენ მოვრიგდებოდით, ასე არ არის, ფილიპო? შეიძლებოდა ამ ქსოვილის გაყიდვა და ფულის გაყოფა. ან ჩვენ ვაჩუქებდით იქიდან რამეს. ერთი სიტყვით, შეიძლებოდა ამ საქმის როგორმე მოგვარება... მაგრამ სევერინომ სხვანაირად იფიქრა. და აი მოხდა ის, რაც მოხდა. ის მოვიდა ჩვენთან ამ წყეულ გერმანელთან ერთად, გაგვლანძღა უკანასკნელი სიტყვებით, გერმანელმა კი ავტომატი დაგვიმიზნა და გვითხრა, უნდა გაგჩხრიკოთო, ჩვენ ხომ გერმანელებს ვექვემდებარებით, ამიტომაც ვერ გავუწიეთ წინააღმდეგობა. თოფები, რასაკვირველია, იპოვეს. გერმანელმა დააწყო ისინი მანქანაზე, რომლითაც ისინი მოვიდნენ და სევერინოსთან ერთად წავიდა. წასვლისას სევერინომ კიდევაც დაგვიძახა: „ყოფილა მაინც სამართალი ამ ქვეყნად“. კარგი სამართალია! იცით, რა ქნა გერმანელმა? რამდენიმე კილომეტრის შემდეგ მათ შეხვდათ გერმანელების მიერ დაჭერილი ტყვე იტალიელებით სავ-

სე სატვირთო მანქანა, მათ ფრონტზე სანგრების სათხრელად მიერეკებოდნენ. მაშინ გერმანელმა გააჩერა მანქანა, ძალით გადმოსვა სევერინო, ავტომატით დაემუქრა და უბრძანა ასულიყო ტყვე იტალიელების მანქანაში. აი ასე მოხდა, რომ სევერინო, იმის მაგივრად, რომ თავისი ფართალი დაებრუნებინა, ფრონტზე მოხვდა. გერმანელი კი, ისიც ხომ მკერავია, გადაგზავნის ფართალს გერმანიაში და იქ სამკერვალოს გახსნის სევერინოსა და ყველა ჩვენგანის ჯინაზე. ამიტომ ვამბობ, ფილიპო, რა საჭირო იყო ამ საქმეში გერმანელების ჩარევა? როცა ორი ჩხუბობს, მესამე ხეირშია. ასე მოხდა ახლაც, გეფიცებით, რომ ყველაფერი ასე იყო.

ტონტოს ნათქვამმა ყველანი ჩაგვაფიქრა, განსაკუთრებით ერთმა ამბავმა, კერძოთ იმან, რომ გერმანელები კიდევ იჭერენ იტალიელებს და ფრონტზე გზავნიან. ჩვენ, რასაკვირველია, ეს გაგონილი გვქონდა, მაგრამ მხოლოდ ბუნდოვანი ხმები გვეგონა. ტონტო კი ამაზე სრულიად მშვიდად, როგორც ჩვეულებრივ ამბავზე, ისე ლაპარაკობდა. ბოლოს ფილიპო გამოერკვა და ჰკითხა ტონტოს, რას ნიშნავს ეს და რატომ იჭერენ გერმანელები იტალიელებსო. ტონტომ გულგრილად უპასუხა:

— გერმანელები მანქანებით დაძრწიან ქალაქის მიდამოებში, იჭერენ ყველა შრომისუნარიან მამაკაცს და ფრონტის ხაზზე კასინოსა და გაეტესთან გზავნიან სანგრების სათხრელად.

— როგორ ექცევიან იქ?

ტონტომ მხრები აიჩეჩა:

— გასაგებია, როგორ: ბევრი სამუშაო, ბარაკები და ცოტა საჭმელი. საყოველთაოდ ცნობილია როგორ ექცევიან გერმანელები იმათ, ვინც გერმანელი არ არის.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ფილიპომ ისევ ჰკითხა:

— მაგრამ იტალიელებს ხომ მარტო ბარში იჭერენ? ნუთუ მთებშიც დადიან ლტოლვილების საძებნელად?

ტონტომ ისევ აიჩეჩა მხრები:

— ნუ უჯერებთ მაგ გერმანელებს... ისინი ისე გვექცევიან, თითქოს ოქროფხალა ვიყოთ, თითო-თითო ფოთოლს გვაცლიან და სათითაოდ გვჭამენ. ხალხს ახლა ბარში იჭერენ, მერე კი თქვენი ჯერიც დადგება.

ყველანი შეშინებულები იყვნენ და თითქოს დაავიწყდათ სევერინო, თითოეული მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა. ფილიპომ ჰკითხა:

— შენ საიდან იცი ყველაფერი ეს?

— მე იქიდან ვიცი, რომ გერმანელებთან მიხდება შეხვედრა... თქვენ კი აი რას გეტყვით: ან მილიციაში ჩაეწერეთ, როგორც ჩვენ მოვიქეცით, ან კი წესიერად დაიმალეთ, ოღონდ მართლაც წესიერად, თუ არ გინდათ, რომ გერმანელებმა სათითაოდ გამოგიჭირონ.

ტონტომ გვიამბო, თუ როგორ ხდებოდა დაჭერები. პირველად გერმანელები ხალხს ბარში იჭერდნენ. ყრიდნენ მანქანებში და ფრონტზე გზავნიდნენ. მორჩნენ თუ არა ბარს, ახლა მთაში დაიწყეს ხალხზე ნადირობა. ამას ასეთნაირად აკეთებდნენ: დილით ადრე, გათენებამდე, გერმანელი ჯარისკაცების ჯგუფი ადიოდა მთის წვერზე. ალყის შემორტყმის შემდეგ დაახლოებით შუადღისათვის, გერმანელები ეშვებოდნენ ბირს, ცხრილავდნენ მთის ფერდობს და იჭერდნენ ჩვენსავით მაჩერებზე მცხოვრებ ხალხს.

— ისე იჭერენ ხალხს, როგორც თევზებს ბადით, — თქვა ტონტომ.

— რას არ გამოიგონებენ! — გაისმა ვიღაცის შეშინებული ხმა.

ტონტო ახლა თავს უფრო გულდამშვიდებით გრძნობდა, მას დაუბრუნდა ჩვეული თავხედობა, იგი შეეცადა კიდეც ფილიპოსაგან ქრთამი აეშვლიპა, რადგან იცოდა, რომ ფილიპო ლტოლვილებში ყველაზე მდიდარი იყო.

— მე შემიძლია ერთი-ორი სიტყვა შევაწიო შენ შვილს გერმანელ კაპიტანთან, რომელსაც კარგად ვიცნობ, რასაკვირველია, თუ მთხოვ ამას. ფილიპოს, რომელიც ძალიან შეშინებული სჩანდა, შესაძლოა დაეწყო კიდეც მოლაპარაკება ტონტოსთან, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად წინ გამოვიდა მიქელე და მკვახედ მიმართა ტონტოს:

— რაღა გინდა აქ, აბა მოუსვი!

ყველას ძალიან შეგვეშინდა, რადგან ტონტოს ხელყუმბარები და თოფი ჰქონდა. მიქელე კი უიარაღო იყო. მაგრამ ტონტო უსიტყვოდ დაემორჩილა მიქელეს.

— თუ ასეა, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით... მე მივდივარ,—თქვა მან, ადგა და გავიდა სახლიდან. ჩვენ გავყევით. მიქელემ, სანამ ტონტო თვალს მიეფარებოდა, დაუძახა:

— ისა სჯობს, ჩვენზე ზრუნვას მოეშვა და შენს თავს მიხედო. დღეს თუ ხვალ გერმანელები წაგართმევენ თოფს და სევერინოსავით სანგრების სათხრელად გაგგზავნიან.

ტონტო მოტრიალდა და რქებივით მოღუნული ორი თითი უჩვენა

მიქელეს. ეს ნიშნავდა: „გაგიხმეს ენაო“. ამის მერე ჩვენ აღარასოდეს გვინახავს იგი.

ტონტოს წასვლის შემდეგ მიქელე ჩვენ წამოგვყვა. მე და როზეტა კვლავ მომხდარ ამბავზე ვლაპარაკობდით, გვეცოდებოდა საწყალი სევერინო, რომელმაც სიმდიდრესთან ერთად თავისუფლებაც დაკარგა. მიქელე თავჩაღუნული და მოღუშული ჩუმად მოდიოდა. უცბად მხრები აიჩეჩა და თქვა:

— ახია მაგაზე!

მე შევესიტყვე:

— რას ამბობ? საცოდავი ჯერ გაქურდეს, ახლა კი შეიძლება დაიღუპოს კიდეც.

მიქელე ცოტა ხანს სდუმდა და მერე დაიყვირა:

— ესენი ვერაფერს გაიგებენ მანამ, სანამ ყველაფერს არ დაჰკარგავენ! და მხოლოდ მაშინ მომწიფდებიან, როცა სულ ყველაფერს დაჰკარგავენ, დაიტანჯებიან და სისხლის ცრემლებით ატირდებიან.

— ჰო, მაგრამ, — კვლავ შევესიტყვე მე, — ის ამას ხომ ოჯახის გულისთვის აკეთებდა და არა მოგებისათვის.

მიქელემ უსიამოვნოდ გაიცინა.

— ოჯახი! ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ყოველგვარი საზიზღრობის უდიდესი გამართლება. რას იზამ, მით უარესი ოჯახისათვის.

რადგან მიქელეზე ჩამოვაგდე ლაპარაკი კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ მას ჭეშმარიტად უცნაური ხასიათი ჰქონდა.

სევერინოს დაკარგვის ორი დღის შემდეგ, ლაპარაკში ვიღაც ჩვენგანმა თქვა, რომ ზამთრის გრძელი ღამეები საშინლად ნელა გადის, გასაკეთებელი კი არაფერია. ამაზე მიქელემ გვითხრა, თუ თანახმანი იქნებით სიამოვნებით წაგიკითხავთ რამესო, როგორც მგონი უკვე ვთქვი, ჩვენ არ ვიყავით წიგნს შეჩვეულნი, მაგრამ სიხარულით დავთანხმდით. წიგნები ცოტათი მაინც გაგვიქარვებდა ნაღვლიან ფიქრებს. მეგონა, მიქელე რაიმე რომანს წაგვიკითხავდა და ვკითხე:

— რას წაგვიკითხავ, რაიმე სასიყვარულო ამბავს?

მან ღიმილით მიპასუხა:

— შენ გამოიცანი, მე სწორედ სიყვარულზე წაგიკითხავთ.

გადავწყვიტეთ, რომ ვახშმის შემდეგ მიქელე ხმამაღლა წაგვიკითხავდა. ხოლმე, საღამოობით სრულიად უსაქმოდ ვიყავით და აღარ ვიცოდით დრო როგორ გაგვეყვანა. ეს სცენა, არ ვიცი რატომ, სამუდა-

მოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. შეიძლება იმიტომ, რომ მიქელეს ხასიათის ისეთი მხარე შევამჩნიე, რაც მანამდე არ შემიმჩნევია. მახსოვს, როგორ ვიჯექით მე, როზეტა და პარიდეს ოჯახი სიბნელეში, მიმქრალი ცეცხლის გარშემო. მიქელეს უკან ქონის ლამფა ეკიდა, რომლის სინათლეზეც უნდა წაეკითხა. ქოხი მეტად სევდიანად გამოიყურებოდა. ჭერიდან ჭვარტლის შავი ფანტელები ეშვებოდა, ისეთი მსუბუქი, რომ სულის შებერვით მოძრაობდნენ. ქოხის სიღრმეში, სიბნელეში, ძლივს ჩანდა პარიდეს დედა, რომელიც შეუჩერებლივ ართავდა ძაფს. იგი ისეთი ბებერი და დამანჭული იყო, რომ კუდიანი გეგონებოდათ. მე და როზეტას გვიხაროდა, რომ მიქელე წაგვიკითხავდა რამეს, მაგრამ პარიდეს ოჯახი მაინც და მაინც კმაყოფილი არ იყო. მთელი დღის მუშაობის შემდეგ მეტისმეტად იღლებოდნენ და ეძინებოდათ. ჩვეულებრივად ისინი ძალიან ადრე წვებოდნენ. ბავშვებმა დედების გვერდით მოიკალათეს და უკვე ეძინათ. სანამ კითხვას დაიწყებდა, მიქელემ ამოიღო ჯიბიდან პატარა წიგნი და თქვა:

— ჩეზირას უნდოდა სიყვარულის ამბავი მოესმინა. მე სწორედ ამაზე წაგიკითხავთ.

ერთმა ქალმა, უფრო ზრდილობის გულისათვის, ვიდრე ცნობისმოყვარეობით, ჰკითხა ნამდვილი ამბავი იყო, თუ მოგონილი. მიქელემ უპასუხა, მოგონილია, მაგრამ ისე, რომ ნამდვილს ჰგავსო: ამ ლაპარაკში მან წიგნი გადაშალა და სათვალე გაიკეთა. ბოლოს გვითხრა, რომ წაიკითხავდა სახარებაში აღწერილ რამდენიმე ეპიზოდს ქრისტეს ცხოვრებიდან. ყველანი იმედგაცრუებულნი დავრჩით, რადგან ნამდვილი რომანის მოსმენას მოველოდით, გარდა ამისა, ყველაფერი, რაც რელიგიას შეეხება, მოსაწყენად მიგვაჩნია, შეიძლება იმიტომ, რომ რელიგიას ვუყურებთ როგორც ვალდებულებას და არა როგორც სიამოვნებას. პარიდემ ჩვენი საერთო გრძნობა გამოხატა როცა თქვა, რომ ქრისტეს ცხოვრებას ყველანი ვიცნობთ და ამგვარი ამბებით ვერაფერ ახალს ვერ გავიგებთ. როზეტამ არაფერი თქვა, მაგრამ მოგვიანებით, როცა ჩვენს ოთახში დავბრუნდით, მითხრა:

— თუ ქრისტე არა სწამს, რატომ თავს არ დაანებებს?

როზეტა გაჯავრებული ჩანდა, მაგრამ მის ხმაში სიძულვილი არ ისმოდა; როგორც სხვებს, მასაც ხშირად არ ესმოდა მიქელესი, მაგრამ მაინც სიმპატიით ეპყრობოდა.

პარიდეს სიტყვებზე მიქელეს გაეღიმა:

— შენ დარწმუნებული ხარ ამაში? — მერე თქვა, — წაგიკითხავთ ეპიზოდს, რომელიც ლაზარეს ეხება, გახსოვთ იგი?

ყველას გაგონილი გვქონდა ლაზარეს სახელი, მაგრამ მიქელეს შეკითხვამ ჩაგვაფიქრა; არ ვიცოდით ვინ იყო ლაზარე და რას აკეთებდა. შეიძლება როზეტამ იცოდა, მაგრამ ამჯერად მასაც ხმა არ ამოუღია.

— ხომ ხედავთ, — თქვა მაშინ მიქელემ მშვიდი, მაგრამ გამარჯვებული ხმით. — ამბობთ, რომ იცნობთ ქრისტეს ცხოვრებას და არც კი იცით ვინ იყო ლაზარე, თუმცა ეს ეპიზოდი ეკლესიებში ხატებზეა გამოსახული. ასეთი ხატი ფონდის ეკლესიაშიც არის.

პარიდემ იფიქრა, რომ მიქელე მას ამტყუნებს და თქვა:

— შენ ხომ იცი, ბარში რომ ჩახვიდე მთელი დღე უნდა დაკარგო, ჩვენ კი ვმუშაობთ და ეკლესიაში წასასვლელადაც არა გვცალია.

მიქელემ არაფერი უპასუხა და კითხვა დაიწყო.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველამ, ვინც ამ ჩემს მოგონებებს წაიკითხავს, იცის, თუ რა სწერია ლაზარეს იგავში და ამის თაობაზე არ ვილაპარაკებ, მით უმეტეს, რომ მიქელემ ის ყოველგვარი განმარტების გარეშე წაგვიკითხა. ვისაც არ წაუკითხავს ეს იგავი, სახარებაში წაიკითხოს. უნდა აღვნიშნო, რომ კითხვის დროს გლეხებს სახეზე მოწყენილობა თუ არა, ყოველ შემთხვევაში გულგრილობა და იმედგაცრუება ეტყობოდათ. მათ სამიჯნურო ამბის მოსმენა სურდათ, მიქელე კი სასწაულის შესახებ უკითხავდა და ჩემის აზრით არც გლეხებს და არც თვითონ მიქელეს არ სჯეროდათ ამ სასწაულისა. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იყო, რომ გლეხებს მოწყინდათ, ორმა ქალმა ხმადაბლა ლაპარაკი გააბა, მესამეს მთქნარება აუტყდა, ხოლო პარიდე, რომელიც თითქოს ყველაზე ყურადღებით უსმენდა, იჯდა მხრებში მოხრილი, სრულიად უაზრო და უგონო სახით. მიქელე კი, რაც უფრო მეტს კითხულობდა, უფრო გულაჩუყებული ჩანდა იმ სასწაულით, რომელიც თვითონაც არა სჯეროდა. როცა მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ნათქვამია „ქრისტემ უთხრა: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“ — მიქელეს ენა დაება და ყველამ დავინახეთ, რომ იგი ტირის. მიეხვდი, წაკითხულის გამო ტიროდა და ამ იგავს რაღაცნაირად ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას უკავშირებდა. შემდეგში დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი. ერთ-ერთმა ქალმა, რომელსაც ძალიან მოსწყინდა კითხვის მოსმენა და ვერ წარმოედგინა, რომ მიქელეს ლაზარეს გულისათვის შეეძლო ეტირა, უცებ მზრუნველად უთხრა:

— ალბათ ბოლი გიშლის, მიქელე? აქ ყოველთვის ისეთი ბოლია... ეს ხომ ქოხია.

მგონი უკვე ვთქვი, რომ ქოხში არც საკვამლე მილი იყო, არც რაიმე ხვრელი სახურავში და ბოლი ძალიან ნელა გადიოდა გამხმარ ტოტებში, ამიტომ ქოხი ყოველთვის ბოლით იყო სავსე. ხშირად ქოხში მყოფნი ყველანი ტიროდნენ და მათთან ერთად ტიროდა ორი ძაღლი და კატა კნუტებიანად. ქალმა ბოდიშის მოსახდელად დაიწყო მიქელესთან ბოლზე ლაპარაკი, მაგრამ იგი უცებ წამოვარდა და ყველასათვის მოულოდნელად დაიყვირა:

— რა ბოლი, რის ბოლი! აღარ წაგიკითხავთ იმიტომ, რომ მაინც არაფერი გესმით... უშედეგოა განუმარტო იმათ, ვინც სულ ერთია, ვერაფერს გაიგებს. მაგრამ გახსოვდეთ, ყოველი ჩვენგანი ლაზარეა... როდესაც ლაზარეს ამბავს გიკითხავდით, მე ვლაპარაკობდი თქვენზე: შენზე პარიდე, და შენზე ლუიზა, შენზე ჩეზირა და შენზე როზეტა, პირადად ჩემზედაც და მამაჩემზედაც, იმ არამზადა ტონტოზე და სეევერინოზეც მისი ფართლით, ლტოლვილებზე, რომლებიც აქ მთაში ცხოვრობენ, გერმანელებსა და ფაშისტებზეც, იქ, ბარში, ერთი სიტყვით ყველაზე... თქვენ ყველანი მკვდრები ხართ, ჩვენ ყველანი ვართ მკვდრები, თუმცა ვფიქრობთ, რომ ვცოცხლობთ და სანამ გვეგონება, რომ ცოცხლები ვართ, რადგან გაგვაჩნია ჩვენი ფართალი, ჩვენი შიში, ჩვენი პატარა საქმეები, ჩვენი ოჯახი, ჩვენი ბავშვები, მკვდრები ვიქნებით... მხოლოდ იმ დღეს, როცა მივხვდებით, რომ დავიხოცეთ, დიდი ხანია დავიხოცეთ, დავლპით, გავიხრწენით და მთელ კილომეტრზე ვყარვართ. მხოლოდ მაშინ დავიწყებთ აღდგომას მკვდრეთით... ღამე მშვიდობისა!

მიქელემ თქვა ეს, წამოდგა, გადააყირავა ლამპა, რომელიც მაშინვე ჩაქრა, გავიდა ქოხიდან და კარი გაიჯახუნა. ჩვენ სრულ სიბნელეში დავრჩით და გაოცებისაგან სიტყვას ვერა ვძრავდით. ბოლოს პარიდემ მოძებნა ლამპა და აანთო. არავის უნდოდა მიქელეს საქციელზე ლაპარაკი, მხოლოდ პარიდემ ყოვლისმცოდნე კაცის გამომეტყველებით თქვა:

— მიქელესთვის ადვილია ლაპარაკი, იგი ხომ გლეხის შვილი არ არის, სენიორის შვილია.

მგონი ქალებიც ამავე აზრისა იყვნენ: ასეთი რამეებისათვის დრო აქვთ მხოლოდ სენიორებს, რომლებიც არ ამუშავებენ მიწას და ოფლს

არა ღვრიან. მალე ვუსურვეთ ერთმანეთს „ღამე ნებისა“ და დავიშალეთ. მეორე დღეს მიქელემ არაფერი თქვა თავის გუშინდელ საქციელზე, მაგრამ კითხვაც აღარ შემოუთავაზებია.

მიქელეს ახირებულმა ქცევამ კიდევ უფრო განმიმტკიცა მასზე ადრე შექმნილი აზრი. იმ დღეს, როცა გვითხრა, ბიჭობაში სერიოზულად ვფიქრობდი პატრად გახდომასო, გავიფიქრე, მიუხედავად რელიგიის წინააღმდეგ გამოთქმული აზრებისა, მიქელე ღვთის მსახურს უფრო გავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს, როგორც ფილიპო ან სხვა ლტოლვილები. გაბრაზებული მიქელე, როცა შეამჩნია, რომ გლეხები არ უსმენდნენ და მოსწყინდათ, ძალიან გავდა სოფლის მღვდელს, რომელმაც საკვირაო წირვის დროს შეამჩნია, სამწყსო ყურს არ მიგდებსო; ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ სოფლის მღვდელი ალბათ სხვა სიტყვებსა და გამოთქმებს იხმარდა. მიქელეს ახირებული მოქმედება ჰგავდა არა ჩვეულებრივი ადამიანის, არამედ ღვთის მსახურის მოქმედებას, რომელსაც ყველა ადამიანი ცოდვილი ჰგონია.

რათა უკეთ დაგანახოთ მიქელეს ხასიათი, მინდა გავიხსენო ერთი უმნიშვნელო შემთხვევა, რომელიც ჩემს დაკვირვებას ეთანხმება. როგორც უკვე ვთქვი, მიქელე არასოდეს არ ეხებოდა ქალისა და სიყვარულის საკითხს. ჩემის აზრით, იგი სულ არ იცნობდა ქალებს, იმიტომ კი არა, რომ მათთან დაახლოების შესაძლებლობა არ ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ სრულებით არ ჰგავდა თავისი ასაკის ყმაწვილებს. ერთმა უმნიშვნელო შემთხვევამ, რომელიც მინდა გიამბოთ, დაამტკიცა, რომ ეს სწორედ ასე იყო. როზეტა დაეჩვია ყოველ დილით ადგომისას ცივი წყლით ბანაობას. მე გამოვდიოდი ოთახიდან, მივდიოდი ჭასთან, ამომქონდა ვედროთი წყალი და ვაწვდიდი როზეტას. როზეტა გადაივლებდა ნახევარ ვედროს, მერე გაისაპნებოდა და ახლა მეორე ნახევარს ივლებდა. როზეტა სისუფთავის დიდი მოყვარული იყო; როგორც კი სანტ ეუფემიაში მოვედით, მთხოვა მეყიდა გლეხებისაგან შინ გაკეთებული საპონი. ასე იბანდა მაშინაც, როცა ზამთარი დადგა. მთაში ძალიან ცივდა, წყალი გაყინული იყო და იმისათვის, რომ ჭიდან ამოგვეღო, ყინულის ჩამტვრევა გვიხდებოდა. ხელები გათოშილი მქონდა და თოკისაგან გადაყვლეფილი. რამდენჯერმე ვცადე როზეტასავით მებანავა, მაგრამ სუნთქვა შემეკრა და კინაღამ გული შემიღონდა. ერთხელ დილით, როზეტამ ჩვეულებრივად იბანავა, გადაივლო ყინულივით ცივი წყალი, დადგა საწოლთან პატარა ფიცარზე, ფეხები

რომ არ დაესვარა და ტანის შემშრალება დაიწყო. როზეტა მოსული ქალიშვილი იყო, რასაც ვერაფრით ვერ შეატყობდით მისი ნაზი მშვიდი სახისათვის რომ შეგეხედათ. მას დიდრონი თვალები, ოდნავ მოგრძო ცხვირი და მსუქანი ტუჩები ჰქონდა, ქვედა ტუჩი ცოტათი ჩამოწეული, რაც კრავს ამსგავსებდა. ჰქონდა პატარა, მაგრამ დედაქალივით კარგად განვითარებული მკერდი, ათქვირებული და ქათქათა, თითქოს შიგ რძე ყოფილიყოს ჩამდგარი. აპრეხილი ძუძუს თავები კი თითქოს ჩვილის ტუჩებს ელოდნენ. მაგრამ მუცელი ნამდვილად ქალიშვილისა ჰქონდა, კრიალა, თან გამობერილი კი არა, ოდნავ შეზნექილი ისე, რომ ღონიერ და დაკუნთულ ფეხებს შუა ხშირი და ხვეული თმა წინ წამოწეული ჰქონდა და ქინძისთავების პატარა ბალიშს მიაგავდა. უკნიდან როზეტა რომის პარკებში დადგმულ თეთრ ქანდაკებებს ჰგავდა. მხრები მსუქანი და მრგვალი ჰქონდა, წელი მოგრძო, ხოლო ქვემოთ კვიცსავით ღრმად შეზნექილი, უფრო ქვემოთ — ორი თეთრი, მრგვალი და მკვრივი დუნდული, ისეთი ლამაზი და კრიალა, როგორც ორი წლის ბავშვსა აქვს ხოლმე, სულ რომ გინდა დაუკოცნო. ყოველთვის ვფიქრობდი, მამაკაცი, რომელიც ჩემს როზეტას დაინახავდა, როცა იგი მთლად შიშველი, პირსახოცით ზურგს იმშრალებდა და მისი ლამაზი, დამდგარი და მკვრივი ძუძუები ყოველ მოძრაობაზე თრთოდნენ, უთუოდ უნდა აღელვებულიყო, გაწითლებულიყო ან გაფითრებულიყო — გააჩნია, რა ტემპერამენტი ჰქონდა. რაზედაც უნდა ფიქრობდეს მამაკაცი, შიშველი ქალის დანახვაზე ყველაფერი თავიდან გაუფრინდება, როგორც მონადირის ნასროლზე გაფრინდებიან ხოლმე ბეღურები ხიდან, და მასში რჩება მხოლოდ აღელვება ხვადისა, რომელმაც ძუ დაინახა. და აი ერთხელ მოხდა, რომ მიქელე მოვიდა ჩვენთან დილით, სწორედ იმ დროს, როცა როზეტა ჩემს მიერ აღწერილ პოზაში დედიშობილა იდგა ოთახის კუთხეში და სველ ტანს პირსახოცით იმშრალებდა. მიქელეს არ დაუკაკუნებია, ისე შეაღო კარი. მე ზღურბლთან ვიჯექი და შემეძლო გამეფრთხილებინა: „ნუ შედიხარ, როზეტა იბანს.“

მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, იგი არ შევაჩერე იმიტომ, რომ დედა ყოველთვის ამაყობს თავისი შვილით და ამ დროს დედის სიამაყე ჩემში მეტი იყო, ვიდრე მოკრძალება და ვიფიქრე: „იგი შიშველს დაინახავს... მერე რა, განგებ ხომ არა შვრება ამას... ნახოს რა ლამაზია ჩემი როზეტა“. გავიფიქრე და გავჩუმდი. მიქელემ კი მშვიდად შეაღო

კარი და აღმოჩნდა როზეტას წინ, რომელიც ამაოდ ცდილობდა პირსახოცით დაეფარა ტანი. მე ვაკვირდებოდი მას: მიქელე შედგა ზღურბლზე, შერცხვა შიშველი ქალიშვილი რომ დაინახა, მაგრამ მაშინვე მობრუნდა ჩემკენ და ბოდიში მოიხადა ადრე მოსვლისათვის. მან მნიშვნელოვანი ახალი ამბავი მოიტანა, რომელიც პონტეკორვოდან თამბაქოს გასაყიდად მოსული ყმაწვილებისაგან გაეგო: რუსებმა გერმანელებს ძალიან შეუტიეს, ისინი უკან იხევენ ყველა ფრონტზე. მიქელემ დაუმატა, ახლა მეჩქარება, მაგრამ მოგვიანებით გინახულებთო. ამ სიტყვებით იგი წავიდა. იმ დღესვე შევარჩიე დრო, როცა მარტონი დავრჩით და ღიმილით ვუთხარი:

— იცი, მიქელე, შენ სრულებით არ გავხარ შენი ხნის ყმაწვილებს. იგი მოიღუშა და მკითხა:

— რატომ?

— შენს წინ ისეთი ლამაზი ქალიშვილი იდგა სულ შიშველი. შენ კი ვერ შეამჩნიე და მხოლოდ რუსებზე, გერმანელებზე და ომზე ფიქრობდი.

მიქელეს შერცხვა, მერე გაჯავრდა და მიპასუხა:

— რა სისულელეა? მიკვირს, შენ დედა ხარ და ასეთ რამეებს ამბობ. მაშინ მე ვუთხარი:

— თავისი შვილი ხოჭოსაც ლამაზი ჰგონია. შენ ეს არ იცოდი, მიქელე? მე რა შუაში ვარ? განა გთხოვე გაუფრთხილებლად შემოსულიყავი? შეიძლება კიდეც გავბრაზებულიყავი, რომ ნამეტანი მისჩერებოდი როზეტას, მაგრამ გულის სიღრმეში მესიამოვნებოდა, რადგან მისი დედა ვარ. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, შენ ვერც კი შეამჩნიე იგი.

მიქელემ ნაძალადევად გაიღიმა და თქვა:

— ჩემთვის ასეთი რამეები არ არსებობს.

ამ თემაზე ეს ჩვენი პირველი და უკანასკნელი საუბარი იყო.

თავი მეხუთე

იმის შემდეგ, რაც ტონტომ გვინახულა და გვიამბო მეტად საშიში ამბები იტალიელებზე გერმანელების თავდასხმის შესახებ, წვიმები დაიწყო. მთელი ოქტომბერი შესანიშნავი დარი იდგა, ცა მოკრიალებული იყო, ჰაერი გრილი, გამჭვირვალე, ნიავიც კი არ ქროდა. ასეთ დღეებში

სეირნობით ან უბრალოდ ჰაერზე ყოფნით და ფონდის ხედის ცქერით მაინც ვერთობოდით, მაგრამ ერთხელ დილით დარი უეცრად შეიცვალა, ჰაერი დაიხუთა, შორს ზღვაზე ნისლი ჩამოწვა, შავი დაბერილი ღრუბლები ისე ირეოდნენ რუხი ზღვის თავზე, როგორც ოხშივარი მდუღარე ქვაბზე. ზღვის მხრიდან ოდნავ ქროდა ნესტიანი ქარი, ღრუბლები მოჰქონდა და ცას ქუფრავდა. შუადღისთვის უკვე ეთელი ცა მოფენილი იყო ღრუბლებით. ამ მხარეში დაბადებულმა და გაზრდილმა ლტოლვილებმა თქვეს, ეს წვიმის ღრუბლებია და მანამ იწვიმებს, სანამ ქარი არ გამოიცვლება: ზღვის თბილი ქარის სიროკოს ნაცვლად მთებიდან ცივი ქარი — ტრამონტანა დაუბერავსო. ასეც მოხდა: შუადღისას წვიმის წვეთი დაეცა მიწას. ჩვენ სახლს შევაფარეთ თავი, გვეგონა, წვიმა მალე გადაიღებდა, მაგრამ ამაოდ. მთელი დღე და ღამე წვიმდა. მეორე დღეს კი ზღვაზე უფრო მეტი ღრუბლები ირეოდა, მთელი ცა მოქუფრული იყო შავი ღრუბლებით. მთის მწვერვალები ნისლში იძირებოდა, ხოლო ქვენა ქარს ბარიდან სულ ახალ-ახალი წყლით გაჟღენთილი ღრუბელი მოჰქონდა. ცოტა ხნით გადაიღო, მერე კი ისევ დაუშვა და მთელი თვე დღე და ღამ გაუთავებლად წვიმდა.

ქალაქის მცხოვრებლებს არ ეშინოდათ წვიმისა. სახლებში ისინი ხის ან მარმარილოს იატაკზე დადიან, ხოლო ქუჩებში ასფალტზე, თან ქოლგით. აქ კი, სანტ ეუფემიაში წვიმა ნამდვილი ღვთის რისხვა იყო. ჩვენ მთელი დღეები ქოხში ვისხედით, ბნელ, პატარა, ირიბჭერიან ოთახში, რომელსაც ფანჯრები არა ჰქონდა და ღია კარიდან ვუყურებდით წვიმის ნისლიან ფარდას. მე საწოლზე ვიჯექი, როზეტა კი პარიდესაგან ნაქირავებ სკამზე. გაუთავებელმა წვიმებმა მთლად გამოგვათაყვანა. მთელი დღე ჩუმად გავყურებდით წვიმას ან ვლაპარაკობდით ისევ ამ წვიმაზე და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე. სახლიდან გასვლა არაფრით არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც გამოვდიოდით შეშის მოსაგროვებლად ან ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს, რასაკვირველია, მაინც და მაინც სასიამოვნო საუბარი ვერ არის, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ხალხს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ქალაქში გაუტარებია, სადაც ყოველ სახლში საპირფარეშო და ხშირად აბაზანაც არის, ვერ წარმოუდგენია იქ ცხოვრება, სადაც საპირფარეშოები საერთოდ არ არსებობს. დღეში ორჯერ-სამჯერ მაინც უნდა გამოვსულიყავით სახლიდან, გადავმძვრალიყავით ღობეზე, წამოგვეხადა კაბა და ცხოველებივით ჩავცუცქებულიყავით პირდაპირ ღობის ძირში.

რასაკვირველია, ქაღალდი, გაზეთიც კი, არ იყო, ამიტომ ვწყვეტდით ლეღვის ფოთლებს, რომელიც ჩვენი სახლის ახლოს იდგა და ქაღალდის მაგივრად ვხმარობდით. როცა ხშირი წვიმები დაიწყო, ეს პროცედურა უფრო ძნელი და არასასიამოვნო გახდა. უნდა გვეევლო მაჩერაზე კოჭებამდე ტალახში, თავსხმაში წამოგვეხადა კაბა და გვეგრძნო როგორ ჩამოგვდიოდა ტანზე წვეთები, მერე კი ლეღვის სველი და სრიალა ფოთლით შეგვეხოცა. არავის, ჩემს მოსისხლე მტერსაც კი არ ვუსურვებდი ამას. მაგრამ საქმე ის იყო, რომ წვიმამ ჩვენს ოთახშიც შემოაღწია და ბევრ უსიამოვნებას გვაყენებდა: მიწური ატალახდა და დილით, ადგომისას, ბაყაყებივით დავხტოდით ქვიდან ქვაზე, რომლებიც ძირს დავაწყვე, რათა ფეხები არ დაგვსველებოდა. ერთი სიტყვით, წვიმა ყველგან აღწევდა, საშინელი ნესტი იდგა და რაც უნდა გაგვეკეთებინა, უბრალო მოძრაობაც კი, ფეხებზე, კაბაზე ან სხვა ადგილას ტალახის შხეფები გვაჩნდებოდა. ზევიდან ასხამდა, ქვევით ტალახი იდგა. პარიდე და მისი ოჯახი შეჩვეული იყვნენ ამას და მშვიდად გრძნობდნენ თავს, რადგან ბუნებრივ, თანაც აუცილებელ მოვლენად თვლიდნენ. ყოველ წელიწადს იცის ასეთი წვიმები და სხვა არაფერი დაგვრჩენია, ვუცადოთ როდის გამოიდარებსო. მაგრამ ჩემთვის და როზეტასათვის ეს ნამდვილი ტანჯვა იყო, აქამდე ამაზე უარესი არაფერი გამოგვიცდია.

ყველაზე საშინელი კი მაინც ის იყო, რომ ამ წვიმებისა და უამინდობის შედეგად, როგორც ეს მალე გავიგეთ, ინგლისელები გარილიანოში შეჩერდნენ და არ აპირებდნენ შეტევის გაგრძელებას. ბუნებრივია, გერმანელებმაც გადაწყვიტეს აღარ დაეხიათ და დაკავებული პოზიციები გაემაგრებინათ. მე სრულიად ვერ ვერკვევი მთელ ამ ომებსა და ბრძოლებში, მაგრამ ერთხელ წვიმიან დილით მოირბინა აქოშინებულმა გლეხმა და მოიტანა ქაღალდი, რომელშიც რაღაც ეწერა ნაბეჭდი ასოებით: ეს იყო გერმანელების მიერ ქალაქებსა და სოფლებში გაკრული ბრძანება. მიქელემ წაიკითხა ბრძანება და აგვიხსნა მისი შინაარსი: გერმანულმა სარდლობამ გადაწყვიტა ზღვისა და მთის შუა მდებარე მთელი ზონის ევაკუაცია, მათ შორის იმ ადგილისა, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით (მისი სახელწოდებაც აღნიშნული იყო ამ ქაღალდში). ყოველი პუნქტისათვის დანიშნული იყო ევაკუაციის დღე. ხალხს უნდა მიეტოვებინა ნაჩვევი ადგილები, თან წაეღო მხოლოდ ცოტაოდენი სურსათი, ჩემოდნები და ტომრები აკრძალული იყო, ერთი სიტყ-

ვით, დაეგდოთ. სახლები, ქოხები, საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ავეჯი და დანარჩენი ქონება, აეყვანათ ბავშვები და წარმოუდგენელი ბილიკებით ევლოთ მთებში. ჩრდილოეთისაკენ რომის მიმართულებით. რასაკვირველია, გერმანელები, ეს ძაღლიშვილები, ბრძანების დარღვევისათვის, ჩვეულებისამებრ დასჯით, დაჭერით, ქონების კონფისკაციით, გადასახლებითა და დახვრეტით გვემუქრებოდნენ. ჩვენი ზონის მთლიანი ევაკუაცია დანიშნული იყო ორი დღის შემდეგ. ოთხი დღის განმავლობაში მთელი მიდამოები უნდა გაეთავისუფლებინათ, რათა გერმანელებსა და ინგლისელებს მეტი ადგილი დარჩენოდათ ერთმანეთის დასახოცად.

ლტოლვილები და გლეხები უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ გერმანელები იტალიაში დარჩენილი ერთადერთი ხელისუფლებაა, ამიტომ პირველად აზრადაც არ მოსვლიათ არ დამორჩილებოდნენ ამ ბრძანებას, და სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. გერმანელები შეუძლებელს მოითხოვდნენ, მაგრამ ძალაუფლება მათ ხელში იყო, სხვა ხელისუფლება კი არ არსებობდა, ამიტომ უნდა დამორჩილებოდნენ ან... თვითონაც არ იცოდნენ რაღაც უნდა ექნათ. ლტოლვილებმა უკვე გამოსცადეს რას ნიშნავს სახლ-კარის დატოვება, ამიტომ ფიქრი მთის ბილიკებით ახალ გაქცევაზე, ზამთარში, კოკისპირულ წვიმაში, რომელიც არც დღე და არც ღამე არ ცხრებოდა, მუხლამდე ტალახში, რაც ისე აძნელებდა მოძრაობას, რომ არა თუ რომამდე, მეზობელ მაჩერამდეც კი შეუძლებელს ხდიდა მისვლას, უგამყოლოდ, უგზოუკვლოდ, — ეს ფიქრი აგიჟებდათ. ქალები ტიროდნენ, კაცები ილანძღებოდნენ, ან მდუმარე უიმედობას მისცემოდნენ. გლეხებს, — პარიდეს და სხვა ოჯახებს, რომლებიც მთელი სიცოცხლე შრომობდნენ, რათა თავიანთი ხელით მაჩერები შეექმნათ და დაემუშავებინათ, სახლები და ქოხები აეგოთ—უბრალოდ არცა სჯეროდათ, რომ ეს ყველაფერი უნდა მიეტოვებინათ. ისინი სასოწარკვეთილნი კი არა, უფრო თავზარდაცემულნი ჩანდნენ. ერთნი იმეორებდნენ:

— სად უნდა წავიდეთ?

მეორენი თხოულობდნენ კიდევ ერთხელ წაეკითხათ მათთვის ბრძანება სიტყვა-სიტყვით. ბოლომდე უსმენდნენ და ამბობდნენ:

— არა, ეს შეუძლებელია!

უბედურებს არ ესმოდათ, რომ გერმანელებისთვის შეუძლებელი არა იყო რა, მით უმეტეს, რომ ეს შეუძლებელი სხვებს უნდა ექნა და

არა თვითონ მათ. პარიდეს რძალმა ანიტამ, რომელსაც სამი ბავშვი ჰყავდა (მისი ქმარი რუსეთში იყო), სრულიად მშვიდად წარმოთქვა:

— სანამ წავიდოდეთ, ჯერ ჩემს შვილებს დავხოცავ, მერე კი თვითონ თავს მოვიკლავ.

მივხვდი, მას მხოლოდ სასოწარკვეთილება კი არ ალაპარაკებდა, არამედ ესმოდა, რომ სამი პატარა ბავშვით, ზამთარში, მთის ბილიკებით სადღაც წანწალი, მათს გარდუვალ სიკვდილს ნიშნავდა და ტყუილად რომ არ გაეწამებინა, სჯობდა ერთბაშად დაეხოცა. ალბათ, ბევრი ფიქრობდა ანიტასავით.

ერთადერთი ადამიანი ჩვენს შორის, რომელსაც გონება არ დაუკარგავს, მიქელე იყო. იგი არასოდეს არ ცნობდა გერმანელების ხელისუფლებას და ამბობდა, ეგენი ყველანი ბანდიტები, ყაჩაღები და დამნაშავენი არიან და ძალაუფლება მხოლოდ დროებით არის მათს ხელში, რადგან იარაღი აქვთ და ამით სარგებლობენო. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ შეინარჩუნა მიქელემ სიმშვიდე. წაიკითხა გერმანული სარდლობის ბრძანება და დამცინავი ღიმილით თქვა:

— ვინ იყო, რომ ამტკიცებდა, გერმანელები და ინგლისელები სულ ერთიაო, მონახოს ახლა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

ყველანი დუმდნენ, ჩუმად იჯდა მიქელეს მამა ფილიპოც, სწორედ მას გადაჰკრა შვილმა. საღამო ჟამს ცეცხლის გარშემო ვისხედით ქოხში. პარიდემ თქვა:

— შენ დაგვცინი, მაგარამ ჩვენთვის ეს სიკვდილს ნიშნავს... აქ ჩვენი სახლ-კარია, პირუტყვი, ქონება, ყველაფერი, რაც გაგვაჩნია. თუ წავალთ რაღა ეშველება ყოველივე ამას?

როგორც უკვე გიამბეთ, მიქელე უცნაური კაცი იყო — კეთილი, მაგრამ მკვახე ხასიათისა, კეთილშობილიც და მკაცრიც. მან გაიცინა და თქვა:

— რას იზამ, დაჰკარგავთ ყვალაფერს, მერე კი ალბათ დაიხოცებით კიდეც, რა არის ამაში გასაკვირი? განა ყველაფერი არ დაკარგეს და არ დაიხოცნენ პოლონელები, ფრანგები, ჩეხები — ერთი სიტყვით, ყველა, ვინც გერმანელების ოკუპაციაში მოჰყვა... ახლა ჩვენი ჯერი დადგა, ჩვენი — იტალიელებისა... ვიდრე ეს სხვას ეხებოდა, თქვენ არ აცხადებდით პროტესტს... ახლა კი ეს ჩვენ გვეხება... დღეს მე, ხვალ შენ...

ყველანი შეაშფოთა მიქელეს სიტყვებმა, მაგრამ ყველაზე მეტად

თავზარდაცემული ფილიპო ჩანდა, იგი მთელი ტანით ცახცახებდა, შიშისაგან თითქოს აღარაფერი ესმოდა. ფილიპომ თქვა:

— შენ სულ ხუმრობ... მაგრამ ახლა სახუმაროდ არა გვაქვს საქმე.

— შენთვის განა სულ ერთი არ არის? შენ ხომ ამბობდი, სულ-ერთია გერმანელები მოვლენ თუ ინგლისელები — ირონიულად მიუგო მიქელემ.

— ახლა რაღა ვქნათ, ახლა? — იკითხა ფილიპომ.

პირველად შევამჩნიე, რომ მთელი მისი სიბრძნე, რომელიც ეყრდნობოდა მეცნიერებას: „სულელები აქ არა გვყვანან“ გახვრეტილ შაურად არ ღირდა. არა მარტო ჩვენთვის, არამედ პირადად მისთვისაც. მიქელემ მხრები აიჩეჩა:

— განა აქ გერმანელები არ ბატონობენ? წადით მათთან და ჰკითხეთ, თუ რა უნდა ვქნათ. ისინი კი გეტყვიან, უნდა ქნათ ის, რაც ამ ქაღალდში სწერიაო.

პარიდეს წამოსცდა მსგავსი სიტყვები, რაც ანიტამ თქვა თავის შვილებზე:

— ავიღებ თოფს და როგორც კი დავინახავ გერმანელს, მოვკლავ, მერე, რასაკვირველია, მეც მომკლავენ, მაგრამ ჯანდაბას... მარტო მაინც არ წავალ საიქიოს.

მიქელემ გაიცინა და თქვა:

— ყოჩაღ, ახლა შენ უკვე სწორად მსჯელობ.

ჩვენ ვერ მივხვდით რისი თქმა უნდოდა მიქელეს. ის იღიმებოდა, სხვები კი გამოთაყვანებული სახეებით მისჩერებოდნენ მიმქრალ ცეცხლს. ბოლოს მიქელემ შეწყვიტა სიცილი და თქვა:

— იცით, რა უნდა ქნათ? — ყველამ იმედით შეხედა, მიქელემ განაგრძო:

— არაფერი არ უნდა ქნათ, მორჩა და გათავდა. ვითომ თვალითაც არ გინახავთ ეს ბრძანება. დარჩით თქვენს სახლებში, იცხოვრეთ ისე, როგორც ცხოვრობდით, ნუ მიაქცევთ ყურადღებას გერმანელებს, მათ ბრძანებებს და მუქარას. თუკი მართლა უნდათ მთელი ამ მხარის ევაკუირება, გააკეთონ ეს არა ქაღალდის ბრძანებებით, რომლებსაც არავითარი ფასი არა აქვთ, არამედ ძალით. ინგლისელებიც ძლიერები არიან, მაგრამ უამინდობამ შეუშალათ ხელი გამოეჩინათ თავიანთი ძალა და შეჩერდნენ. იგივე მოუვათ გერმანელებსაც. თუ აქედან არ წახვალთ, ჯერ კიდევ საკითხავია გამოგზავნიან კი თავიანთ ჯარის-

კაცებს აქ, მთაში, ამ ბილიკებით. ხოლო თუ ეს ჯარისკაცები მაინც მოვლენ, ფეხი არ მოიცვალოთ. ნურაფერს ნუ დაუგდებთ ყურს, ნურაფერს ნუ შეისმენთ. მერე ვნახოთ! განა არ იცით, რომ გერმანელებიც და იტალიელი ფაშისტებიც წინააღმდეგობისათვის მუდამ სიკვდილით იმუქრებიან? მეც ვიყავი ჯარში 25 ივლისს და გამოვიქეცი, მერე ბრძანება გამოვიდა, სიკვდილით დაისჯება ის, ვინც თავის ნაწილში არ დაბრუნდებაო. მე კი, იმის მაგივრად, რომ ჩემს ნაწილში დავბრუნებულიყავი, აქ მოვედი. გირჩევთ, თქვენც ასე მოიქცეთ. არ წახვიდეთ აქედან.

ეს ყველაზე იოლი და სწორი გამოსავალი იყო. მაგრამ ვერავინ მოიფიქრა, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ყველას ეგონა, ძალაუფლება გერმანელების ხელშია, ხოლო რაღაც ხელისუფლება მაინც საჭირო არისო. გარდა ამისა, თუ ქაღალდზე დაბეჭდილია რაიმე, ყველას ჰგონია, წინააღმდეგობა შეუძლებელიაო. მიუხედავად ამისა, საღამოს თითქმის ყველანი დამშვიდებულნი წავიდნენ დასაძინებლად, მომავლის მეტი იმედი მიეცათ, ვიდრე დილით ჰქონდათ. მეორე დღეს კი სასწაული მოხდა. აღარავინ ლაპარაკობდა აღარც გერმანელებზე, აღარც ბრძანებაზე ევაკუაციის შესახებ. თითქოს ერთმანეთში მოილაპარაკეს კრინტი არ დაეძრათ ამაზე და ისე მოქცეულიყვნენ, ვითომ არავითარი ბრძანება არ ყოფილა. გავიდა რამდენიმე დღე და ჩვენ დავრწმუნდით, რომ მიქელე მართალი იყო, რადგან არც სანტ ეუფემიიდან და არც სხვა ადგილებიდან არავინ არ მოიცვალა ფეხი; ვფიქრობ, გერმანელებმა გადაწყვიტეს მაინც და მაინც აღარ ჩაგვციებოდნენ ევაკუაციით, ყოველ შემთხვევაში, ამის ბრძანება თვალით აღარ გვინახავს.

რამდენი დღე წვიმდა? ვფიქრობ, წვიმა 40 დღეს მაინც გაგრძელდა, როგორც წარღვნის დროს. ამის გარდა, აცივდა კიდეც, ზამთარი დადგა, ზღვიდან ნისლი და სინესტე მოჰქონდა, ღრუბლები წვიმის გარდა თოვლს და ხორხოშელას გვაყრიდნენ. ეს ყინულნარევი წვიმა ნემსებივით ჩხვლეტდა სხეულს. ჩვენს განკარგულებაში იყო ნაღვერდლით სავსე მაყალი, მაგრამ იგი ვერ ათბობდა ოთახს და უმეტეს დროს ლოგინში ვატარებდით ერთმანეთს ჩახუტებულნი, ან მივდიოდით სამზად ქოხში და იქ ვიჯექით სიბნელეში ცეცხლთან, რომელიც ახლა მთელ დღეს ენთო. დილდილობით გადაუღებლად წვიმდა, შუადღისას ცოტა გადაიღებდა ხოლმე, მაგრამ ღრუბლები

არ იფანტებოდნენ, მხოლოდ დროებით ისვენებდნენ... შორს ზღვაზე ისევ ნისლი ტრიალებდა, ნაშუადღევს წვიმა კვლავ წამოიწყებდა და უკვე შეუსვენებლივ მოდიოდა საღამომდე, მთელ საღამოს და ღამით. მიქელე ერთთავად ჩვენთან იყო. ის ლაპარაკობდა, ჩვენ კი ვუსმენდით. რაზე გვესაუბრებოდა? ცოტა-ცოტა ყველაფერზე. მიქელეს უყვარდა ლაპარაკი და ამას პროფესორივით, ან მქადაგებელივით აკეთებდა. მე ხშირად ვეუბნებოდი: „დასანანია, რომ შენ მაინც არ გახდი პატრი, რა მშვენივრად უქადაგებდი კვირაობით მრევლს!“

მაგრამ მიქელეს ვერაფრით ვერ დაუძახებდით ყბედს. იგი მუდამ რაიმე საინტერესოს ყვებოდა, ყბედები კი მოსაბეზრებელი არიან და ბოლოს მათ აღარც უგდებ ყურს. მიქელე ისეთ საინტერესო ამბებს გვიამბობდა, რომ ხშირად ქსოვას თავს ვანებებდი და სმენად ვიქცეოდი. როცა მიქელე ლაპარაკობდა, ყველაფერი ავიწყდებოდა, ვერ ამჩნევდა რა დრო გავიდა, რომ ლამპა ჩაქრა ან მე და როზეტას რაიმე მიზეზით რამდენიმე წუთით მარტო დარჩენა გვსურს; ის ლაპარაკობდა მგზნებარედ, თუმცა მონოტონურად, თან ყოველთვის გულწრფელად და მუდამ გაკვირვებული და ნაწყენი რჩებოდა, როცა ვაწყვეტინებდი და ვეუბნებოდი:

— უკვე ძილის დროა; ანდა — წამოდით, ვისადილოთ!

მისი სახის გამომეტყველება მაშინ ამბობდა: „აი რას ნიშნავს ელაპარაკო ასეთ სულელ და ქარაფშუტა დედაკაცებს — დროის ფუჭი დაკარგვაა“.

40 წვიმიანი დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა ერთი შემთხვევის გარდა, რომელიც ფილიპოს და მის მეგობარ ვინჩენცოს ეხებოდა. სწორედ ეს ამბავი მინდა გიამბოთ. ეს მოხდა დილით; წვიმა ცრიდა, ცა ზღვიდან გაუთავებლად მომავალი ღრუბლებით იყო დაფარული. მე და როზეტა ვუყურებდით, როგორ კლავდნენ თხას, რომელიც ფილიპომ პარიდესაგან იყიდა და მის ნაწილ-ნაწილ გაყიდვას აპირებდა, რასაკვირველია, იმის შემდეგ, რაც თავისთვის საუკეთესო ნაჭრებს დაიტოვებდა. შავ-თეთრა თხა ბოძზე იყო მიბმული, გარშემო კი ლტოლვილები ირეოდნენ და კამათობდნენ, თუ რამდენი იყო მისი ცოცხალი წონა და რამდენი ხორცი დარჩებოდა გატყავებისა და გამოშიგვნის შემდეგ. წვიმა გვასველებდა, ფეხები ტალახში გვეფლობოდა; უცბად როზეტამ ყურში წამჩურჩულა:

— მებრალება ეს საცოდავი თხა, დედა. აი ის ჯერ კიდევ ცოცხალია, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მოკლავენ... ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, არ მოვკლავდი.

— აბა მაშინ რას ჭამდი?

— პურსა და ბოსტნეულს, განა აუცილებელია ხორცის ჭამა? მე თვითონაც ხორცი ვარ და ჩემი ხორცი მაინც და მაინც არ განსხვავდება თხის ხორცისაგან... განა მისი ბრალია, რომ პირუტყვია და არც მსჯელობა და არც თავის დაცვა არ შეუძლია?

უმთავრესად იმიტომ გადმოგცემთ როზეტას სიტყვებს, რომ გიჩვენოთ, როგორ მსჯელობდა იგი, როცა გარშემო ომი და შიმშილი მძვინვარებდა. შეიძლება მისი სიტყვები გულუბრყვილო და არც თუ ძალიან ჭკვიანური იყო, მაგრამ ეს მის განსაკუთრებულ სრულყოფას ამტკიცებდა, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. წმინდანივით ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვიდით და თუ ეს სრულყოფა გამოუცდელობით და უცოდინარობით აიხსნებოდა, მისი სიტყვები მაინც გულწრფელი იყო და გულით იყო ნათქვამი. შემდეგში, როგორც გითხარით, შევამჩნიე, რომ როზეტას სრულყოფა მეტისმეტად ნაზი და არაბუნებრივი იყო, როგორც სათბურში გაზრდილი ყვავილისა, რომელიც ჭკხება და ხმება სუფთა ჰაერზე. მაგრამ იმ წუთში როზეტას სიტყვებმა გული ამიჩუყა და უნებურად გავიფიქრე, არა ვარ ასეთი კეთილი და ნაზი ქალიშვილის ღირსი-მეთქი.

ამასობაში ყასაბმა, ვინმე ინიაციომ, ყასაბს სრულებით რომ არ ჰგავდა, ნაღვლიანმა და გულგრილმა კაცმა, რომელსაც ხშირი ჭაღარა თმა, გრძელი წვერი და ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალები ჰქონდა, გაიხადა პიჯაკი და ჟილეტის ამარა დარჩა. ბოძთან, რომელზეც თხა იყო მიბმული, პატარა მაგიდაზე უკვე მოემზადებინათ ორი სამზარეულო დანა და თასი, როგორც ამას საავადმყოფოში ოპერაციის წინ აკეთებენ. ინიაციომ აიღო ერთი დანა, პირი მოუსინჯა ხელისგულით, მიუახლოვდა თხას, წაავლო რქებში ხელი და თავი გადაუწია. თხამ თვალები გადმოკარკლა, ვითომ ესმოდა რას უპირებდნენ, თვალებს ატრიალებდა და საცოდავად ბღაოდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: შემიბრალეთ, ნუ მომკლავთო.

მაგრამ ინიაციომ, რომელსაც რქებით ეჭირა თხა, ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და ერთი დარტყმით დანა ტარამდე ყელში ჩაურჭო. ფილიპომ, რომელიც ეხმარებოდა, სწრაფად შეუდგა თასი, ჭრილობიდან შად-

რევანიევით ამოხეთქა ცხელმა სისხლმა, მუქმა და სქელმა, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა. თხა შეკრთა და თვალები მინაბა, ისინი მაშინვე უაზრო გაუხდა, თითქოს სისხლთან ერთად, რომელიც თასში იღვრებოდა, სიცოცხლეც ეცლებოდა. ბოლოს მუხლები მოეკვეთა და გულდანდობით დაეცა იმის მკლავებზე, ვინც მოკლა. როზეტა მოგვშორდა და წავიდა წვიმაში, მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ უნდა მომეცადა, ხორცი ცოტა იყო, ყველას არ ეყოფოდა, ამის გარდა ფილიპო ნაწლავების მოცემას დამპირდა, რომლებიც ძალიან გემრიელია ნაკვერჩხალზე შემწვარი. ინიაციომ ასწია თხა უკანა ფეხებით, გაათრია ტალახში ორი ბოძისაკენ, რომლებზეც დაოთხილი ჩამოჰკიდა თავდაყირა. ჩვენ ყველანი გარს შემოვხვეოდით და ვუყურებდით, როგორ ატყავებდა ინიაციო თხას.

უპირველეს ყოვლისა, ინიაციომ თხას წინა ფეხებში სტაცა ხელი და წინა ფეხის ჩლიქები წასჭრა ისე, თითქოს მაჯა წააგდებინაო. მერე აიღო წვრილი მაგარი ჯოხი და შეუყარა თხას ფეხებში ხორცსა და ტყავს შუა. ტყავი თხას ხორცთან ბოჭკოებით აქვს დაკავშირებული, ამიტომ ძალიან ადვილად ეცლება, ცუდად დაწებებული ქაღალდივით. ინიაციომ შეუყარა ჯოხი და მიაბრუნ-მოაბრუნა, რათა ნახვრეტი გაეკეთებინა, მერე გამოაძრო, თხის ფეხი სტვირივით პირში ჩაიდო და ჩაჰბერა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე, რომ ყელზე ძარღვები დაეჭიმა, ლოყები კი გაულურჯდა. სანამ ინიაციო უბერავდა, თხა ჰაერით ივსებოდა, იბერებოდა, რადგან ინიაციო ჰაერს ტყავსა და ხორცს შუა უშვებდა. ინიაციო კი სულ უბერავდა და უბერავდა, თხა ორ ბოძს შუა ტიკივით ეკიდა, წინანდელთან შედარებით ორჯერ მაინც გაიზარდა. მაშინ ყასაბმა გამოიღო თხის ფეხი პირიდან, მოიწმინდა სისხლით დასვრილი ტუჩები, აიღო დანა, გაუჭრა კანი მუცელზე, მთელ სიგრძეზე, საზარდულიდან ყელამდე და გატყავება დაიწყო. ტყავი სულ იოლად, ხელთათმანივით ძვრებოდა. ინიაციო ეწეოდა მას და მხოლოდ ალაგ-ალაგ აჭრიდა ბოჭკოებს, რომლებიც ჯერ კიდევ აერთებდნენ ტყავს ხორცთან. ასე ნელ-ნელა შემოაცალა მთელი ტყავი, რომელიც ბანჯგვლიან, სისხლით მოსვრილ ძველ კაბას ჰგავდა, და მიწაზე დააგდო. თხა შიშველი დარჩა — გაწითლებული, მოთეთრო-მოლურჯო ლაქებით. წვიმა ისევ ცრიდა, მაგრამ ხალხი არ იშლებოდა. ინიაციომ კვლავ აიღო დანა, გაუჭრა მუცელი, შეჰყო შიგ თითები და დამიყვირა:

— ჩეზირა, ხელი შეუშვირე!

მე მივირბინე, მან კი გამოათრია მუცლიდან ნაწლავები. და დაიწყო მათი რიგრიგობით გამოშლა. ინიაციო ჭრიდა ნაწლავებს და ხელზე მიფენდა, ნაწლავები ცხელი იყო, საშინლად ყარდა და ხელებს განავლით მისვრიდა, ინიაციო კი თითქოს თავისთვის ბუტბუტებდა:

— აქედან ნამდვილი სამეფო კერძი გამოვა, მაგრამ რადგან თქვენ ორივენი ქალები ხართ — სადედოფლო, ოღონდ კარგად გაასუფთავეთ, მერე კი ნელ ცეცხლზე შეწვით.

ამ დროს გავიგონეთ ძახილი:

— ფილიპო! ფილიპო!

ყველანი შევტრიალდით და მაჩერის კიდეზე დავინახეთ ჯერ თავი, მერე მხრები და ბოლოს მთლიანად ვინჩენცო — ფილიპოს მონახევრე, რომელთანაც სანტ ეუფემიაში მოსვლამდე ვცხოვრობდით. ვინჩენცო თავისი მოკაუჭებული ცხვირით, ღრმად ჩამჯდარი თვალებით, აქოშინებული, ტალახიანი და გაოფლიანებული, უფრო მეტად ვიდრე სხვა დროს, წაგავდა გაბურძგნულ ფრინველს. ის ჯერ ამოსულიც არ იყო მაჩერაზე, ქვევიდან მორთო ყვირილი:

— ფილიპო, ფილიპო, უბედურება მოხდა, უბედურება!

ფილიპო, რომელიც ჩვენსავით თვალყურს ადევნებდა ინიაციოს მუშაობას, მისკენ გაქანდა.

— რა მოხდა? თქვი! რა მოხდა?

მაგრამ ეშმაკი ვინჩენცო თითქოს სულს ვერ იბრუნებდა, გულზე ხელს იდებდა და ყრუ ხმით იმეორებდა:

— საშინელი უბედურება.

ინიაციო და მისი თხა ყველას დაავიწყდა. ხალხი ფილიპოს და მის მონახევრეს შემოეხვია; ფილიპოს სახლში გაიღო ფანჯარა და შიგ ორი ქალი გამოჩნდა: ფილიპოს ცოლი და ქალიშვილი. ბოლოს ვინჩენცომ თქვა:

— მოხდა ის, რომ მოვიდნენ გერმანელები და იტალიელი ფაშისტები, დააკაკუნეს კედლებზე, იპოვნეს სამალავი და გახსნეს იგი.

ფილიპომ საშინელი ღრიალით შეაწყვეტინა:

— და ჩემი ნივთები წაიღეს!

— სწორედ ასეა, — უპასუხა ვინჩენცომ შედარებით მშვიდი ხმით, შეიძლება იმიტომ, რომ ყველაზე საშინელი უკვე ითქვა, — მათ ყველაფერი წაიღეს, არაფერი არ დაუტოვებიათ!

მან ეს ისე ხმამაღლა თქვა, რომ ფილიპოს ცოლმა და ქალიშვილმაც გაიგონეს და იმავე წუთს მორთეს წივილ-კივილი, ფანჯრიდან გადმოეკიდნენ, ხელებს იმტვრევდნენ, მაგრამ ფილიპომ აღარ დააცადა ვინჩენცოს და დაუღრიალა:

— ტყუილია, ტყუილია! ეგ შენ თვითონ მოიპარე, შენა ხარ ქურდი, შენა ხარ გერმანელი და ფაშისტი, შენ და შენი კუდიანი ცოლი და შენი არამზადა შვილები! თქვენ ყველა გიცნობთ. თქვენ ბანდიტები და ყაჩაღები ხართ, წმინდა ჯოვანისაც კი არა სცემთ პატივს! — ფილიპო დამთხვეულივით ყვიროდა, მერე უეცრად სტაცა ხელი ინიაციოს დანას და ეცა ვინჩენცოს. საბედნიეროდ, ლტოლვილებმა მოასწრეს მისი შეჩერება. იგი ოთხ კაცს ეჭირა, ის-კი ხელიდან უსხლტებოდა, წინ მიიწევდა თავითა და მკერდით და ცოფმორეული ყვიროდა:

— გამიშვით, უნდა მოვკლა, გამიშვით, უნდა მოვკლა!

ღია ფანჯარაში ყვიროდნენ და ხელებს იმტვრევდნენ ქალები:

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ!

წვიმა კი სცრიდა, გულისწამღებად, გაუთავებლად და ძვალრბილში ატანდა.

მიქელე, რომელიც ამ სცენას უცნაური კმაყოფილებით უმზერდა, თითქოს გახარებული იყო, რომ მის დას მზითევი და მის დედას მთელი ძვირფასი ნივთები მოპარეს. იგი უეცრად მიუახლოვდა ვინჩენცოს, რომელიც თავის მართლებას განაგრძობდა: — ვინ მოიპარა? გერმანელებმა მოიპარეს, ფაშისტებმა მოიპარეს! ჩვენ აქ არაფერ შუაში არა ვართ, — მიქელემ ჩაუყო პიჯაკის ჯიბეში ხელი, თითქოს წინდაწინვე იცოდა, თუ რა ედო შიგ, ამოიღო პატარა კოლოფი და მშვიდი ხმით თქვა:

— აი ვინ მოიპარა... ეს ჩემი დის ბეჭედია.

მან გახსნა კოლოფი და აჩვენა ყველას ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც როგორც მერე გავიგე, ფილიპომ თავის ქალიშვილს დაბადების დღეზე აჩუქა. ფილიპომ დაინახა თუ არა ბეჭედი, საშინელი ღრიალით მიმოფანტა ხალხი და ვინჩენცოს ეძგერა დანით. მაგრამ მონახევრე საოცრად მოხერხებულად გაძვრა გარშემორტყმულ ხალხში და ქვევით დაეშვა. ფილიპოს უნდოდა გამოჰკიდებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ვერ დაეწეოდა. ფილიპოს მოკლე ფეხები ჰქონდა, სქელი

და ღიპიანი იყო, ვინჩენცო კი მაღალი და გამხდარი, სირაქლემასავით გრძელფეხა. მაშინ იგი ქვას დასწვდა და მიაყოლა ვინჩენცოს ყვირილით:

— ქურდო, ქურდო!

მაგრამ თუ ვინჩენცოს ფილიპო არ გამოეკიდა, სამაგიეროდ გამოეკიდნენ ლტოლვილები, იმიტომ კი არა, რომ ფილიპოს ბედი აწუხებდათ მაინცდამაინც, არამედ იმიტომ, რომ ჩხუბმა ააღელვა ისინი და მუშტი-კრივი მოუნდათ. შედარებით ახალგაზრდა ორი-სამი კაცი გამოეკიდა ბებერ ვინჩენცოს, რომელიც კურდღელივით გარბოდა. დაეწივნენ, სტაცეს ხელი და ისევ უკან მოიყვანეს. ფილიპო, რომელიც ამასობაში ქვევითკენ უზარმაზარ ქვებს აგორებდა, რითაც თავისუფლად შეიძლებოდა ადამიანის მოკვლა, ახლა დაიქანცა, ძლივს სუნთქავდა და ინიაციოს სისხლიანი დანით ხელში მაჩერის კიდეზე ელოდებოდა თავის მონახევრეს. მაშინ მიქელე მივიდა მამასთან და უთხრა:

— გირჩევ სახლში წახვიდე.

— მე მოვკლავ მას.

— შენ სახლში წახვალ.

— მაგრამ მე ის უნდა მოვკლა, ვალდებული ვარ მოვკლა.

— მომეცი დანა და წადი სახლში.

ჩემდა გასაკვირად, შვილის სიმშვიდემ იმოქმედა მამაზე. ფილიპოც დამშვიდდა, დადო დანა მაგიდაზე და სახლისკენ წავიდა, საიდანაც ჯოჯოხეთური წივილ-კივილი ისმოდა. მაჩერის შუა გულში დარჩა მხოლოდ ორ ბოძზე ჩამოკიდებული თხა გამოფატრული მუცლით.

წვიმა კი მოდიოდა და მოდიოდა.

ამასობაში ვინჩენცო და მისი მდევრები მაჩერაზე დაბრუნდნენ. გლეხები და ლტოლვილები მაშინვე შემოეხვივნენ მათ და ცნობისმოყვარეობის გამო ვინჩენცოს შეკითხვებს აძლევდნენ. ვინჩენცომ ბევრი არ ახვეწნინა.

— მე არ მინდოდა, — თქვა მან სამარისეული ხმით, — ჩვენ არც ერთს არ გვინდოდა ეს... რაც უნდა იყოს, წმინდა ჯოვანი... მან ჩემი ბიჭი მონათლა, მე კი მისი ქალიშვილი... სისხლი წყალი ხომ არ არის, ასე არაა, განა? გეფიცებით, მერჩივნა საკუთარი ხელი მომეჭრა, ვიდრე მომეპარა, აი ამ ადგილზევე გამისკდეს მიწა, თუ ვტყუოდე.

— ჩვენ გვჯერა თქვენი, გვჯერა, მაგრამ როგორ მოხდა, რომ თქვენ მაინც მოიპარეთ?

— ეს სულ ვიღაცის ხმაა დამნაშავე... მთელი დღეები რაღაც ხმა ჩამჩიჩინებდა: აიღე ჩაქუჩი და გამოანგრიე კედელი... აიღე ჩაქუჩი და კედელი გამოანგრიე... ეს ხმა არც დღითა და არც ღამით არ მასვენებდა.

— და თქვენ, ვინჩენცო, ბოლოს და ბოლოს აიღეთ ჩაქუჩი და კედელი გამოანგრიეთ, არა?

— დიახ, სწორედ ასეა.

ლტოლვილებმა და გლეხებმა ხმამაღლა გადაიხარხარეს, მისცეს ვინჩენცოს კიდევ რამდენიმე შეკითხვა და თავი დაანებეს. ისინი კვლავ ინიაციოს და მის თხას დაუბრუნდნენ, მაგრამ ვინჩენცო მალე არ წასულა. დადიოდა კარდაკარ, ჯერ ღვინოს თხოულობდა, მერე კი იდუმალი ხმით ამბავს ყვებოდა: ყველანი იცინოდნენ, ის კი არ იცინოდა, მგონი ვერც ხვდებოდა, რატომ დასცინოდნენ. გაპუტულ, დაღონებულ ფრინველს ჰგავდა. მხოლოდ საღამოს ბარბაცით წავიდა ვინჩენცო აქედან ისეთი სახით, თითქოს ფილიპო კი არა, თვითონ გაექურდათ. იმ საღამოსვე მიქელე მოვიდა ქოხში, სადაც მე თხის ნაწლავებს ვხრაკავდი, პარიდეს ოჯახი კი ცეცხლს შემოსხდომოდა და თქვა:

— მამაჩემი არ არის ცუდი კაცი... მაგრამ რამდენიმე ზეწრისა და ოქროს ნივთის გულისათვის კინაღამ კაცი მოკლა... ჩვენ კი იდეის გულისათვის ერთ წიწილასაც ვერ მოვკლავთ.

პარიდემ, რომელიც ცეცხლს ჩაშტერებოდა, ნელა თქვა:

— განა არ იცი, მიქელე, რომ ადამიანებისათვის ქონება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ეგ შენი იდეები? ავიღოთ, მაგალითად, პატრი. თუ შენ აღსარებაზე ეტყვი, რომ მოიპარე, იგი ეპიტიმიას დაგადებს, წაგაკითხებს წმინდა ჯუზეპესთვის რამდენიმე ლოცვას, მერე კი მოგიტევებს ცოდვას. მაგრამ თუ მის სახლში მიხვალ და ერთ ვერცხლის კოვზს მაინც მოიპარავ, აურზაურს ატეხს, დაუძახებს კარაბინერებს და ციხეში ჩაგსვამს. ჰოდა, თუკი პატრი, ღვთის მსახური, ასე იქცევა, რა მოგვეთხოვება ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს?

ეს იყო და ეს, რაც ამ წვიმიანობის დროს მოხდა. სხვა მხრივ, ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული წესით მიდიოდა: ლაპარაკი წვიმაზე და საერთოდ ამინდზე, იმაზე, თუ რას გავაკეთებთ, როცა ინგლისელები მოვლენ, გაუთავებელი წოლა ლოგინში დღე-

ღამეში 12-14 საათს. ჩვენ გვეძინა, ვიღვიძებდით, ერთხანს ყურს ვუგდებდით წვიმას, რომელიც სახურავზე შხაპუნებდა და წყლის მილებში ჩხრიალებდა, მერე ისევ ვიძინებდით ერთმანეთს ჩახუტებულნი ღრმა, მშვიდი ძილით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეშ სიმინდის ფუჩეჩით გატენილი ტომარა გვეგო, ხოლო ფიცრები ზოგჯერ ერთმანეთს ცილდებოდნენ და ყოველ წუთს შეიძლებოდა იატაკზე ბრახვანი მოგვედინა. ფილიპოსა და სხვა ლტოლვილებისათვის ერთადერთი მნიშვნელოვანი საქმე ჭამა იყო. შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ ისინი დილიდან საღამომდე ქეიფის მეტს არაფერს აკეთებდნენ, მათი სიტყვით, ჭამაში დრო უფრო მალე გადიოდა და საქმელი ერთადერთი საშუალება იყო სევდის გასაქარვებლად; ამბობდნენ, რომ ინგლისელების მოსვლამდე მთელი სურსათი უნდა შეიჭამოს, რადგან ისინი თან ყველაფერს მოიტანენ, უცბად დაიკლებს ფასები, მთელი მათი სურსათი გაუფასურდება და აღარავის არ დასჭირდებაო, მაგრამ მე გულში ვამბობდი: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა!“ მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ინგლისელები მოვიდოდნენ, მაგრამ როდის? საკმარისი იყო რაიმე მიზეზით მათ ერთ-ორ თვეს დაეგვიანათ, რომ შიმშილით ამოვმწყდარიყავით. დაე სხვები გასკდნენ ჭამით, მე კი ჩვენთვის მკაცრი ეკონომია დავაწესე. ჩვენ დღეში ერთხელ ვჭამდით დაახლოებით შვიდ საათზე. ერთ პატარა ქვაბ ლობიოს, ერთი ბეწო ხორცის ნაჭერს, უმეტესად თხისას, ცოტაოდენ პურს, ყოველთვის ერთი და იმავე რაოდენობით, რამდენიმე ლეღვის ჩირს. ხანდახან ღომს ვაკეთებდი, ხან ლობიოს მაგივრად ცერცვს ან უგრეხელს ვხარშავდი. თხის ხორცის ნაცვლად კი — ძროხის ხორცს, დილაობით ჩემთვის და როზეტასათვის თითო ნაჭერ პურს მოვიტეხავდი და ხახვს ვატანდით. ხანდახან სრულებით არ ვჭამდით პურს და ძირტკბილას ვღეჭავდით, რომლითაც ჩვეულებრივად ცხენებს კვებავენ, მაგრამ შიმშილობის დროს ხალხისთვისაც გამოსადეგია. როზეტა ხშირად უჩიოდა შიმშილს, იგი ახალგაზრდა იყო; მე ვურჩევდი დაეძინა, რადგან ვიცოდი, რომ ძილი საჭმლის მაგივრობას სწევს. ძილში ორგანიზმი ისვენებს და ძალას იკრებს. ერთი სიტყვით, მე გლეხებივით ვიქცეოდი, რომლებიც ლტოლვილებისაგან განსხვავებით ძალიან მომჭირნედ, თითქმის ძუნწად ცხოვრობდნენ და. თავიანთ მარაგს მისხალ-მისხალ ხარჯავდნენ. ისინი ნაძდვილად მიეჩვივნენ შიმშილს და უხსოვარი დროიდან იცოდნენ, რომ ვინც უნდა მოსული-

ყო, — გერმანელები იქნებოდნენ თუ ინგლისელები, საჭმელი სულ ერთია არ ეყოფოდათ, რადგან ფული არ ჰქონდათ, ხოლო სურსათი მოსავლიდან მოსავლამდე არასოდეს ყოფნიდათ. თავს გლეხის ქალად უფრო ეთვლიდი, ვიდრე ლტოლვილად, და ლტოლვილებისადმი, რომლებიც უმეტესად მედუქნეები იყვნენ, ანტიპათიას ვგრძნობდი, ისინი ხომ სხვების ძარცვით გამდიდრდნენ და ინგლისელების მოსვლის შემდეგაც ასევე აპირებდნენ ცხოვრებას. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ მეც მედუქნე ვიყავი; ეს, რასაკვირველია, ასეა, მაგრამ მე გლეხის ქალად დავიბადე და სოფელში დაბრუნებისთანავე თავი ისევ ისეთ გლეხის ქალად ვიგრძენი, როგორიც მაშინ ვიყავი, როცა გავთხოვდი და სოფლიდან რომში გადავსახლდი.

მაგრამ კმარა ამაზე. თითქმის 40 დღეს ასე ვცხოვრობდით, სანამ ერთხელ დეკემბრის ბოლოს, დილით არ გამოვიღვიძე და არ შევამჩნიე, რომ ღამით ქარს მიმართულება შეეცვალა. ცა იყო ისეთი ლურჯი, გამტკიცული გეგონებოდათ, მაგრამ ამავე დროს ღრმა და მოციმციმე. ალიონი ჯერ კიდევ ვარდისფრად კიაფობდა, ჰორიზონტზე კი გამალებით გარბოდნენ ნაცრისფერი და ვარდისფერი ღრუბლები, რომლებსაც თან მიჰქონდათ მოგონებები გაუთავებელ წვიმაზე. შორს, იქ, სადაც პონცა იყო, პირველად დიდი ხნის განმავლობაში, მოჩანდა ელვარება ზღვისა, რომელიც მოლურჯო, თითქმის შავი გეგონებოდათ. მომწვანო-მონაცრისფერო ფონდის დაბლობს, რომელსაც უკვე ზამთრის ტანსაცმელი ჩაეცვა, დილის ნისლი ასდიოდა. ასე იცის ხოლმე, როცა დილას მშრალი, უღრუბლო დღე მოჰყვება. მთებიდან გამყინავი მკვეთრი ქარი — ტრამონტანა უბერავდა და ხის შიშველი ტოტები ჩვენი ქოხის ახლოს რაღაც მინისებურად წკრიალებდნენ. გამოვედი თუ არა სახლიდან შევამჩნიე, რომ ტალახი გამაგრებულა, მკვრივი გამხდარა და ალაგ-ალაგ ბრჭყვიალებს, თითქოს დაფშვნილი შუშა მოუყრიათო. ღამით მოეყინა. ამინდის შეცვლამ ლტოლვილებში კვლავ იმედი გააღვიძა, ისინი გარეთ გამოეფინენ და მიუხედავად ყინვისა, სახლებში არ შედიოდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ულოცავდნენ, ამბობდნენ, ინგლისელები დაიწყებენ შეტევას და ყოველგვარ ტანჯვას ბოლო მოეღებაო. ინგლისელები მართლაც ძალიან პუნქტუალურნი აღმოჩნდნენ, მაგრამ სულ სხვაგვარად მოვიდნენ, ვიდრე ლტოლვილები ელოდნენ. იმავე დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, ყველანი მაჩერაზე გავედით და გათოშილი ხვლიკებივით

მზეზე ვთბებოდით; უეცრად შორეული ხმაური მოგვესმა, ის გვიახ-ლოვდებოდა და სულ უფრო მოგუგუნე და საზეიმო ხდებოდა. ეს გუგუნი თითქოს ცასა და დედამიწას შორის მთელ სივრცეს ავსებდა. ლტოლვილები მაშინვე მიხვდნენ, რა ხმაური იყო ეს, მეც მივხვდი, რადგან ხშირად გამიგონია რომში დღისითაც და ღამითაც.

— ინგლისელები! თვითმფრინავები! ინგლისური თვითმფრინავები!

და აი მთის მხრიდან გამოჩნდა თვითმფრინავების პირველი ოთ-ხეული. ისინი კარგად ჩანდნენ კრიალა ცაში და ვერცხლის ფილიგ-რანის ვენეციურ გულქანდებს გავდნენ. მათ შემდეგ კიდევ ოთხი, შემდეგ კიდევ ოთხი თვითმფრინავი გამოჩნდა. სულ თორმეტი თვით-მფრინავი ზუსტად და გარკვევით მიჰყვებოდა თავის უხილავ გეზს. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, და თუმცა ეს ხმა რომის თავშესა-ფარში გატარებულ ბევრ უსიამოვნო საათს მაგონებდა, ახლა ის მრისხანე, მაგრამ ჩვენთვის, იტალიელებისათვის სიკეთის მომტან ხმად მომეჩვენა, რომელიც უბრძანებდა გერმანელებს და იტალიელ ფაშისტებს წათრეულიყვნენ აქედან. გულის ფანცქალით და იმედით შევყურებდი, როგორ მოფრინავდნენ ეს თვითმფრინავები ფონდისა-კენ, რომლის თეთრი სახლები ფორთოხლის მუქმწვანე ბაღებში იყო მიმობნეული. უცბად ცაში თვითმფრინავების გარშემო პატარ-პატარა ღრუბლები გაჩნდა. მაშინვე გაისმა გერმანელთა საზენიტო ქვემე-ხების მუახე, აჩქარებული გრუხუნი. ლტოლვილები აღელდნენ:

— ესროლეთ, სულელებო, ესროლეთ, სულ ერთია, ვერ მოარ-ტყამთ. ისროლეთ ჰაერში... ფეხებზე ჰკიდიათ მაგათ თქვენი ტყვიები.

და მართლაც, საზენიტო ჭურვები თვითმფრინავებს ვერაფერს აკლებდნენ, ისინი მაინც წინ მოიწევდნენ. უცბად ძლიერი აფეთქე-ბის ხმა გავიგონეთ, უფრო ძლიერი, ვიდრე საზენიტო ქვემეხების სროლა და თეთრი ღრუბელი უკვე ცაზე კი არა, მიწაზე, ფონდის სახ-ლებსა და ბაღებს შორის გამოჩნდა. თვითმფრინავები ბომბავდნენ ქალაქს.

არასოდეს არ დამავიწყდება, თუ რა მოხდა ამ პირველი აფეთქე-ბის შემდეგ; არ დამავიწყდება თუნდაც იმიტომ, რომ არასოდეს არ მინახავს ამდენი ხალხის სიხარული ერთ წუთში სასოწარკვეთილებად ქცეულიყოს. ყუმბარები მიჯრით ეცემოდნენ ქალაქს, თეთრი ღრუბ-ლები ახლო- მახლო ჩნდებოდნენ და ყველა ეს ლტოლვილი, რომე-ლიც ერთი წუთის წინ გახარებული იყო თვითმფრინავების მოსვლით,

ეხლა ტიროდა და ყვიროდა, როგორც ფილიპოს ცოლ-შვილი, როცა ვინჩენცომ უთხრა — გერმანელებმა თქვენი მზითევი წაიღესო. ყველანი ყვიროდნენ, დარბოდნენ მაჩერაზე და ხელებს იქნევდნენ, თითქოს თვითმფრინავების გაჩერებას ლამობდნენ.

— ჩემი სახლი, ჩემი სახლი! მკვლელები! ისინი სახლებს უშენენ ბომბებს, სახლებს, სახლებს!

ყუმბარები ამასობაში მწიფე ხილივით ცვივოდა მიწაზე, საზენიტო ქვემეხები ბრაზიანად და თავგამეტებით ისროდნენ, აყრუებდნენ ცასა და აზანზარებდნენ დედამიწას. თვითმფრინავებმა გადაუფრინეს მთელ დაბლობს. ზღვის მიმართულებით და იქ, მოკაძკაძე ზღვასთან, კვლავ მობრუნდნენ, რათა ფონდისათვის ახალი ყუმბარები დაეშინათ. ლტოლვილებმა, რომლებმაც იფიქრეს, თვითმფრინავები წავიდნენო, წინანდელზე უარესი ყვირილი და ტირილი ატეხეს. მაგრამ, როდესაც თავის მიუწვდომლობაში დარწმუნებული თვითმფრინავთა ესკადრილია უკვე მიფრინავდა იმ მიმართულებით, საიდანაც მოვიდა, ბოლოდან მეორე თვითმფრინავმა უეცრად იფეთქა, წითელი ალი მოედო, რომელიც მანდილივით ფრიალებდა მოწმენდილ ცაზე. ერთ-ერთმა საზენიტო ქვემეხმა მიზანში მოახვედრა, დაზიანებული თვითმფრინავი ესკადრილიას ჩამორჩა, პატარა თეთრი მანქანა ცეცხლსა და ბოლში გაეხვია. ცეცხლის ეს კუდი სულ უფრო იზრდებოდა და წითლდებოდა. ახლა ლტოლვილები ყვიროდნენ:

— ყოჩაღ, გერმანელებო, ასე უნდა მაგათ! ჩამოყარეთ ეგ მკვლელები! დაწვით მათი თვითმფრინავები!

უეცრად როზეტამ დაიძახა:

— შეხედე, დედა, შეხედე პარაშუტისტები!

და მართლაც, იმ დროს, როცა ცეცხლმოდებული თვითმფრინავი ზღვის მიმართულებით მიფრინავდა, ცაში ზედიზედ იხსნებოდა პარაშუტების თეთრი ქოლგები, ყოველი ქოლგის ქვეშ კი ეკიდა და მოძრაობდა პაწაწინა შავი მწერი-მფრინავი. ცაში სულ შვიდი თუ რვა ასეთი თეთრი პარაშუტი მოჩანდა და ძალიან ნელა ეშვებოდა ძირს. საზენიტო ქვემეხები უკვე აღარ ისროდნენ. აღმოდებული თვითმფრინავი უსწორმასწოროდ ეშვებოდა და ბოლოს მთას მოეფარა, საიდანაც მალე ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა და მეტი არაფერი. გარშემო კვლავ სიმშვიდე გამეფდა, მხოლოდ შორიდან, იქიდან, საიდაც თვითმფრინავები მიიმალნენ, ოდნავ ისმოდა რაღაც ლითონისებ-

რი ბზუილი. მაჩერაზე ლტოლვილები ვიშვიშებდნენ, ვერცხლისფერი პარაშუტები ნელ-ნელა ეშვებოდნენ ძირს, ფონდის მთელი დაბლობი კი კვამლში იყო გახვეული, რომელშიც აქა-იქ ხანძრის ენები ფეთქავდნენ.

ბოლოს და ბოლოს ინგლისელები მოვიდნენ, მაგრამ იმისათვის, რომ დაენგრიათ ლტოლვილთა სახლები; ამჯერად მიქელეს უცნაური გულცივობა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად დამტკიცდა. იმ საღამოს, როცა ქოხში ვისხედით და დაბომბვაზე ვლაპარაკობდით, მიქელემ უცბად თქვა:

— როცა გაზეთები გვატყობინებდნენ, ჩვენმა თვითმფრინავებმა ესა და ეს ქალაქი დაბომბესო, იცით, რას ამბობდნენ სწორედ ეს ლტოლვილები, რომლებიც ახლა თავის სახლებზე წუწუნებენ? ჩემი ყურით მომისმენია როგორ ამბობდნენ, თუ ამ ქალაქს ბომბები დაუშინეს, ალბათ ამის ღირსიაო.

მე ვკითხე:

— განა არ გეცოდება ეს უბედურები, რომლებმაც თავიანთი სახლები დაკარგეს, ცარიელ-ტარიელები დარჩნენ და ახლა ბოშებივით უნდა იწანწალონ ქვეყნიერების ზურგზე?

— მეცოდებიან, მაგრამ იმათზე მეტად არა, ვინც უფრო ადრე დაკარგა სახლ-კარი. უკვე გითხარი, ჩეზირა, დღეს მე, ხვალ შენ. ისინი ტაშს უკრავდნენ, როცა ინგლისელების, ფრანგების, რუსების სახლებს ბომბავდნენ, ახლა კი მათ სახლებს ბომბავენ, განა ეს სამართლიანი არ არის? შენ, როზეტა, შენ ხომ გწამს ღმერთი, მაშ მითხარი, ეს ხომ ღვთის რისხვის ნიშანია?

მაგრამ როზეტამ, როგორც ყოველთვის, როცა ლაპარაკი რელიგიას ეხებოდა, არაფერი უპასუხა და საუბარი ამით დამთავრდა.

პირველი დაბომბვის შემდეგ ლტოლვილები ჯგროდ დაეშვნენ ბარში, რომ საკუთარი თვალით ენახათ, თუ რა მოუვიდა მათ სახლებს. თითქმის ყველანი გახარებულნი დაბრუნდნენ, მათი სახლები გადარჩა, დაბომბვა ისეთი საშინელი როდი ყოფილა, როგორც აქედან, ზევიდან ჩანდა. მართალია, იყო რამდენიმე მსხვერპლი: ბებერი მათხოვარი, რომელსაც ნახევრად დანგრეულ სახლში ეძინა ქალაქის განაპირას, და, ჰოი საკვირველებავ, სწორედ ის ფაშისტი-მაიმუნი, რომელიც კონჩეტასთან ჩვენი ყოფნის დროს თოფით გვემუქრებოდა. მაიმუნი ისევე დაიღუპა, როგორც ცხოვრობდა: დილით მან ისარგებ-

ლა კარგი ამინდით, წავიდა ფონდიში და გატეხა საგალანტერიო მაღაზია. ყუმბარა პირდაპირ ამ მაღაზიას დაეცა და მისი გვამი ღილებსა და თასმებს შორის იპოვეს, ხელში მოპარული საქონელი ჰქონდა ჩაბღუჯული. როზეტას ვუთხარი:

— სანამ მისნაირი ხალხი იხოცება, დაილოცოს ეს ომი.

ჩემდა გასაკვირად, მას ცრემლები წამოსცვივდა და უეცრად გამომიცხადა:

— ნუ ლაპარაკობ ასე, დედა... ისიც საწყალი კაცი იყო.

საღამოს კი ილოცა მისი სულის მოსახსენებლად, რომელიც იმის შავ პერანგზე უფრო შავი იყო.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ამ დღეებში გარდაიცვალა კიდევ ერთი კაცი — ტომაზინო. კარგად ვიცი, როგორ და რატომ მოკვდა იგი, რადგან მის გვერდით ვიყავი, როცა ის შემთხვევა მოხდა. ვერც წვიმამ, ვერც სიცივემ და ვერც ტალახმა ვერ აიძულეს ტომაზინო დაენებებინა თავი ვაჭრობისათვის. იგი ყიდულობდა სანოვაგეს გლეხებისაგან, გერმანელებისაგან, იტალიელი ფაშისტებისაგან და ჰყიდდა ლტოლვილებში. მაშინ პროდუქტები ძალიან ნაკლებად იშოვებოდა, მაგრამ ის მაინც ეწეოდა სპეკულაციას მარილით, თუთუნით, ფორთოხლით, კვერცხით. ამას ყველაფერს ძალიან ძვირად ჰყიდდა და საკმაო მოგებას ნახულობდა. მთელ დღეს დადიოდა ბარში, არაფრად აგდებდა ხიფათს, იმიტომ კი არა, რომ გულადი იყო, არამედ იმიტომ, ფული სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. გაუპარსავი, აკეცილი დახეული შარვლით, ჭუჭყიანი ფეხსაცმლით იგი ძალიან წააგავდა მარადიულ ურიას. მისი ოჯახი უკვე დიდი ხანია პარიდეს ახლოს გლეხის სახლში ცხოვრობდა. როცა ვინმე ჰკითხავდა, რატომ არ ცხოვრობ ოჯახთან ერთადო, ტომაზინო უპასუხებდა:

— საქმეები მაქვს, უკანასკნელ წუთამდე უნდა ვაკეთო საქმეები.

უკანასკნელ წუთად იგი ომის უკანასკნელ დღეს თვლიდა, არ კი იცოდა, უბედურმა, რომ საქმეებს ომის უკანასკნელ დღემდე კი არა, მხოლოდ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გააკეთებდა.

ერთხელ ჩავაწყვე კალათში 8 კვერცხი და როზეტასთან ერთად ქვემოთ წავედი. ამ კვერცხების ჯარისკაცულ პურზე გადაცვლას ვაპირებდი გერმანელებთან, რომლებიც ბარში ფორთოხლის ბაღებში იყვნენ დაბანაკებულნი. ტომაზინო სრულიად შემთხვევით სანტ ეუფემიაში იმყოფებოდა საქმეზე და ერთად წასვლა შემოგვთავაზა. ეს

იყო დაბომბვის შემდეგ მეხუთე დღეს: შესანიშნავი დარი იდგა. როგორც ყოველთვის, ტომაზინო წინ მიდიოდა ოღრო-ჩოღრო ბილიკზე და სდუმდა თავის ანგარიშებში ჩაფლული. ჩვენც ჩუმად მივყვებოდით. ბილიკი ზიგზაგებად ეშვებოდა მთის მარცხენა მხარეზე, მიჰყვებოდა მის გასწვრივ მდებარე კლდემდე და ხეობით მარჯვნივ უხვევდა, ერთ ხანს ჩაივაკებდა, მერე კი ქვემოთ ჩადიოდა, ოღონდ ახლა უკვე მეზობელი მთის მარჯვენა მხარეზე. ამ მთის ფერდობი რაღაც უცნაური იყო: მთლიანად დაფარული საკვირველი ფორმის მაღალი შიშველი კლდეებით, რომლებიც სპილოს კანის მაგვარ, რუხი ფერის შაქრის თავებსა ჰგვანდნენ უამრავი დიდი და პატარა გამოქვაბულით; ამ კლდეებს შორის ბევრი კაკტუსი იზრდებოდა, რომლის მწვანე, ხორციანი ფოთლები ნემსჩარჭობილ ბალიშებს მაგონებდნენ. ბილიკი ციკლაკნებოდა კაკტუსებს შორის ძალიან ლამაზი წყაროს გასწვრივ, მისი ანკარა წყალი მწვანე ხავსში ბროლივით ბრწყინავდა. ბილიკზე მიმავალმა ტომაზინომ ოცდაათამდე მეტრით გაგვისწრო. უეცრად თვითმფრინავების ესკადრილიის გუგუნი გავიგონეთ. ჩვენ ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან უკვე მივეჩვიეთ, რომ ფრონტის ხაზისკენ მიმავალი თვითმფრინავები ხშირად გადაგვიფრენდნენ ხოლმე და დარწმუნებული ვიყავით, თვითმფრინავები მთების დაბომბვას არ დაიწყებდნენ, ყუმბარები ძვირი ღირდა და არავითარი აზრი არა ჰქონდა მაჩერის ქვებზე მათს ჩამოყრას. ამიტომ ძშვიდად ვუთხარი როზეტას:

— გესმის, თვითმფრინავები?

მოწმენდილ ცაზე უკვე მოჩანდა მოთეთრო-მოვერცხლისფრო ესკადრილია, სამ-სამ თვითმფრინავად ჩამწკრივებული, წინ ერთი თვითმფრინავი მიუძღოდათ, თითქოს სხვებს გზას უჩვენებდა. ვუყურებდი ამ თვითმფრინავს და უეცრად დავინახე, რომ მან პატარა წითელი დროშა გადმოჰკიდა. გამახსენდა, მიქელემ აგვიხსნა, რომ ეს დროშა ნიშანი იყო ყუმბარების ჩამოსაყრელად. ვერც კი მოვასწარი ამის გაფიქრება, რომ თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაგვიშინეს, დიდი სიჩქარით ჩამოვარდნილ ამ ყუმბარებს კი ვერა ვხედავდით, მაგრამ, მაშინვე, ძალიან ახლოს ისეთი ძლიერი აფეთქება გავიგონე, რომ მთელი მიწა შეზანზარდა, როგორც მიწისძვრის დროს. სინამდვილეში მიწა კი არ იძრა, გარშემო მთებიდან მოგლეჯილი ქვები ხტოდნენ, ქვებზე კი რკინის წვეტიანი, დაგრეხილი ნაჭრები, თვითეუ-

ლი ჩემი ნეკისოდენა, მათგან ერთი რომელიმე რომ მოგვხვედროდა, იქვე სულს გაგვაფრთხობინებდა. ჩვენს გარშემო მტვრის მწვავე სუნი დადგა, რომლისგანაც ხველა ამივარდა. ამ მტვრის ღრუბელში არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ძალიან შემეშინდა და ხმამაღლა დავუწყე როზეტას ძახილი. როცა მტვერი ცოტათი გაიფანტა, მიწაზე დავინახე ყუმბარების უამრავი ნამსხვრევი და კაკტუსის დამახინჯებული, დაგლეჯილი ფოთლები. უცბად როზეტას ხმა გავიგონე:

— აქა ვარ, დედა.

არასოდეს არ მწამდა სასწაულები, მაგრამ ახლა რკინის ამ ნამსხვრევების სეტყვის შემდეგ, რომლებიც აფეთქების დროს ჰაერში დაფრინავდნენ და ჩვენს გარშემო ხტოდნენ, ვეხვეოდი უვნებლად გადარჩენილ როზეტას და ვფიქრობდი, რომ მხოლოდ სასწაულმა გადაგვარჩინა სიკვდილს. ვეფერებოდი, ვკოცნიდი ჩემს როზეტას, ვუსინჯავდი ტანსა და არა მჯეროდა, რომ ცოცხალი და უვნებელი გადარჩა. მერე გამახსენდა ტომაზინო, რომელმაც, როგორც ვთქვი, ოცდაათიოდე ნაბიჯით გაგვასწრო და მისი ძებნა დავიწყე. ტომაზინო არსად ჩანდა. ჩვენს გარშემო მხოლოდ დამტვრეული კაკტუსები ეყარა, მაგრამ უეცრად საიდანღაც გავიგონე ხმა, რომელიც მონოტონურად იმეორებდა:

— ღმერთო ჩემო, ჩემო მადონა, ღმერთო ჩემო, ჩემო მადონა!

მეგონა, დაჭრილია და სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, რომ ასეთი ბედნიერი ვარ როზეტას პოვნით და არც კი გამახსენდა, რომ ჩემს გვერდით შესაძლოა კაცი კვდება, თუმცა არც ძალიან სიმპათიური, მაგრამ მაინც ადამიანი. ბევრ რამეში რომ დაგვეხმარა, შეიძლება ანგარებითაც კი, მაგრამ მაინც. გავეშურე იმ ადგილისაკენ, საიდანაც კვნესა ისმოდა, ვფიქრობდი, ტომაზინოს სისხლში მცურავს დავინახავ-მეთქი, მაგრამ იგი გამოქვაბულში, უფრო სწორად გამოქვაბულში კი არა, კლდის ნაპრალში ვიპოვე, სადაც ლოკოკინასავით შემძვრალიყო, თავი ხელებში ჩაერგო და გაბმულად კვნესოდა. მაშინვე დავინახე, რომ დაჭრილი არ არის, მხოლოდ ძალიან შეშინებულია და ვუთხარი:

— ტომაზინო, უკვე ყველაფერი გათავდა, რას აკეთებ ამ ორმოში? მადლობა ღმერთს, ყველანი მშვიდობით გადავრჩით.

პასუხის მაგივრად მან კვლავ წამოიწყო:

— ღმერთო ჩემო, ჩემო მადონავ...

მე გამიკვირდა და მკაცრად ვუთხარი:

— გამოდი მანდედან, ტომაზინო, ხომ უნდა ჩავიდეთ ბარში. მერე გვიანღა იქნება.

ის კი მეუბნება:

— არსადაც არ წავალ.

— შენ რა, აქ გინდა დარჩე?

— არ წამოვალ ქვემოთ... მთის წვერზე ავალ, ყველაზე მაღალ მთის წვერზე, შევძვრები ყველაზე ღრმა გამოქვაბულში მიწის ქვეშ და იქ დავრჩები... ჩემთვის ყველაფერი გათავდა.

— საქმეებს რას უპირებ, ტომაზინო?

— ჯანდაბას საქმეები.

გავიგონე თუ არა, რომ ჯანდაბაში გზავნის თავის საქმეებს, რომლის გულისთვისაც ამდენ განსაცდელში იგდებდა თავს, მივხვდი სრულიად სერიოზულად ლაპარაკობდა და ძალდატანებას აზრი აღარა ჰქონდა.

მაინც ვუთხარი:

— ჩაგვაცილე მაინც... დარწმუნებული იყავი, რომ თვითმფრინავები დღეს აღარ დაბრუნდებიან.

მან მიპასუხა:

— თქვენ თვითონ წადით... მე აქ დავრჩები.

ისევ მთელი ტანით აცახცახდა და მადონას შველას ეხვეწებოდა. მაშინ გამოვემშვიდობეთ და ბილიკით ბარისაკენ დავეშვით.

ბარში ფორთოხლის ჭალის პირას უეცრად დავინახეთ ტოტებით დაფარული გერმანული ტანკი და კარავი ცისფერი, მწვანე და ყავისფერი ლაქებით. ექვსი თუ შვიდი გერმანელი ვახშამს ამზადებდა, ერთი კი ხის ქვეშ გარმონს უკრავდა. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, თავგადაპარსულები, დაკაწრული და ნაჭრილობევი ფერმკრთალი სახეებით. ისინი ფონდიში რუსეთიდან გადმოეგზავნათ და გვეუბნებოდნენ, რუსეთში ომი ასჯერ უარესი იყო, ვიდრე იტალიაშიო. მე ვიცნობდი მათ, რადგან პირველად როდი ვცვლიდი კვერცხებს პურზე. შორიდანვე ავწიე და დავანახვე კვერცხებიანი კალათა. ჯარისკაცმა თავი მიანება დაკვრას, შევიდა კარავში და გამოიტანა აგურის ფორმის პური, რომელიც ერთ კილოგრამს იწონიდა. ჩვენ მივუახლოვდით, მან არც კი შემოგვხედა, იღლიაში ამოიჩარა პური, თითქოს ეშინოდა არ წაგვერთმია, ასწია ფოთლები, რომლებიც კვერცხებს ეფარა და გერმანულად დაითვალა. მაგრამ ეს არ იკმარა, აიღო ერთი კვერცხი, მიიტანა ყურთან და შეანჯღრია.

მე ვუთხარი:

— ფიქრი ნუ გაქვს, ახალი კვერცხებია, კინაღამ დავიღუპეთ, ეს კვერცხები თქვენთან რომ მოგვქონდა, ამიტომ ერთი პურის მაგივრად ორი უნდა მოგვცე.

მან ვერ გაიგო რა ვუთხარი და გაკვირვებით შემომხედა. მაშინ ცაზე მივუთითე და ყუმბარის ჩამოვარდნას მივბაძე.

— ბუმ, ბუმ, — ვთქვი მე.

ბოლოს მიხვდა და რაღაც თქვა. მე გავიგე მხოლოდ ერთი სიტყვა: „კაპუტ“. ამ სიტყვას გერმანელები ხშირად იმეორებდნენ და როგორც მიქელემ ამიხსნა, მგონი „სიკვდილს“ თუ „მოკლულს“ ნიშნავდა. მივხვდი, რომ ჩამოგდებულ თვითმფრინავზე ლაპარაკობს და ვუთხარი:

— ერთი ჩამოგდებული თვითმფრინავის ნაცვლად ისინი ასს გამოგზავნიან. თქვენს ადგილას თავს დავანებებდი ომს და გერმანიაში დავბრუნდებოდი. ასე უკეთესი იქნებოდა ყველასათვის — თქვენთვისაც და ჩვენთვისაც.

მან არაფერი მიპასუხა, რადგან კვლავ ვერაფერი გაიგო, გამომიწოდა პური და კალათა გამომართვა, თანაც მანიშნა, კიდევ მომეტანა გასაცვლელად კვერცხები. ჩვენ გამოვემშვიდობეთ და იმავე ბილიკით დავბრუნდით სანტ ეუფემიაში.

ტომაზინო იმ დღესვე წასულიყო მაღლა მთებში. მეორე დილით მან ბარში გაგზავნა გლეხი ორი ჯორით, რომ იქიდან საწოლი, ბადეები და ლეიბებიც კი გადმოეტანა მთის მწვერვალზე. სახლი, რომელშიც მისი ოჯახი ცხოვრობდა, საკმაოდ საიმედო თავშესაფრად არ ეჩვენა და რამდენიმე დღის შემდეგ ტომაზინო ცოლ-შვილით მთის წვერზე გამოქვაბულში გადასახლდა. ამ დიდი, ღრმა გამოქვაბულის შესასვლელი კარგად იყო შენიღბული ხეებითა და კლდეებით. გამოქვაბულზე ისეთი უზარმაზარი, ნაცრისფერი, შაქრის თავის ფორმის კლდე აზიდულიყო, რომ ბარიდანაც კარგად ჩანდა. ამრიგად, გამოქვაბულის ჭერი კლდის ქვეშ ათეული მეტრის სიღრმეზე იმყოფებოდა, და ტომაზინო ოჯახითურთ ამ გამოქვაბულში დასახლდა, რომელიც ოდესღაც ყაჩაღების თავშესაფარი ყოფილა. აქ თითქოს სამშვიდობოს უნდა ეგრძნო თავი და დაბომბვის დარდი არ ჰქონოდა, მაგრამ ისე იყო დაშინებული, თითქოს შიში ციებ-ცხელებასავით ძველ-რბილში გასჯდომოდა და ამ საიმედო თავშესაფარშიც კი მთელ დღეს კანკალებდა, კუთხეში იმალებოდა და თავს საბანში მალავდა.

— ძალიან ცუდად ვარ, ძალიან ცუდად, — გაუთავებლად იმეორებდა იგი სუსტი, საცოდავი ხმით, არაფერს არ ჭამდა, არ ეძინა, საშინლად გახდა და დღითიდღე სანთელივით დნებოდა.

ერთხელ მივედი მის სანახავად. ისეთი გამხდარი და საცოდავი ჩანდა, რომ ვერ იცნობდით. საბანში გახვეული გამოქვაბულის კედელს მიყრდნობოდა და მთელი ტანით კანკალებდა. უცბად ვერ მივხვდი, რომ სერიოზულად იყო ავად და ცოტა დავცინე კიდეც:

— რისი გეშინია, ტომაზინო? ამ გამოქვაბულში ყუმბარა ვერაფერს დაგაკლებს, მაშ რისი გეშინია? ეგებ ბგონია, ყუმბარები გველებივით დაცოცავენ, გამოქვაბულში შემოვლენ და ლოგინში შემოგიძვრებიან? ის კი უაზრო თვალებით მიყურებდა და იმეორებდა:

— ძალიან ცუდად ვარ. ძალიან ცუდად.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ ტომაზინო გარდაიცვალა. მას შიშმა მოუღო ბოლო. არც ჭრილობა ჰქონდა, არც რაიმე ავადმყოფობა. მხოლოდ ყუმბარების ეშინოდა. არ წავსულვარ მის დასაფლავებაზე, ეს ძალიან დამამწუხრებდა და ამის გარდაც ბევრი სადარდებელი გვქონდა. დასაფლავებაზე მხოლოდ ტომაზინოს ოჯახი და მისი ძმის ფილიპოს ოჯახი იყო. რადგან ვერც ფიცრები და ვერც დურგალი ვერ იშოვეს, მიცვალებული კუბოს მაგივრად ორ ტოტზე დაასვენეს. მესაფლავე, მაღალი ქერა კაცი, ისიც ფონდელი ლტოლვილი, ახლა უმთავრესად სპეკულაციას ეწეოდა, დადიოდა თავისი შავი ცხენით მთის სოფლებში და ცოტ-ცოტას ყველაფერს ყიდულობდა და ყიდდა. მან ტომაზინო უნაგირს მიაკრა და ნელა გაჰყვა მთის ბილიკს ბარის სასაფლაოსაკენ. მერე მიამბეს, პატრი ვერ უპოვნიათ, რადგან ყველანი გაქცეულიყვნენ და საცოდავი ტომაზინო თავისი ახლობლების ლოცვებით უნდა დაკმაყოფილებულიყო, დასაფლავების დროს სამჯერ ატყდა საჰაერო განგაში; რადგან სხვა ვერაფერი მონახეს, ტომაზინოს საფლავზე ტყვია-წამლის ყუთის ორი ფიცრისაგან გაკეთებული ჯვარი დაადგეს. უფრო მოგვიანებით გავიგე, ტომაზინოს თავისი ცოლისთვის ბევრი ფული დაუტოვებია, მაგრამ არავითარი სურსათი, ვაჭრობასა და საქმეების კეთებაში მან ყველაფერი, უკანასკნელი კილოგრამი ფქვილი და მარილიც კი გაყიდა, მისი ცოლი, რომელსაც არავითარი მარაგი არ დარჩა, იძულებული გახდა ყველაფერი მაღალ ფასებში ეყიდა. იგი სურსათში ახლა ორჯერ მეტს იხდიდა, ვიდრე მისი ქმარი მას ჰყიდდა. ასე რომ, ომის ბოლოს ტომაზინოს მიერ

დატოვებული ფულიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, განსაკუთრებით როცა ინფლაცია დაიწყო. იცით, რა თქვა მიქელემ თავის ბიძაზე?

— მე ის მეცოდება იმიტომ, რომ კარგი კაცი იყო, ძაგრამ მოკვდა ისე, როგორც ხვალ შეიძლება სხვა მისი მსგავსნი დაიხოცებიან. მოგებით გატაცებულს ეგონა, ცხოვრებაში უმთავრესი ფულიაო. უეცრად კი დაინახა ის, რაც ფულის უკან იდგა და შიშისაგან ელდა ეცა.

თავი მეექვსე

კარგ ამინდს ორი უბედურება მოჰყვა: ინგლისური ყუმბარები და გერმანელთა ალყა. ტონტომ უკვე გვიამბო ამ თავდასხმების შესახებ, მაგრამ მაშინ არავინ არაფრად ჩაგდო მისი ნათქვამი. ახლა კი ჩვენთან, მთაში რამდენიმე გლეხი ამოცევიდა და გვიამბო, გერმანელებმა დაბლობს ალყა შემოარტყეს, ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი დაიჭირეს, მანქანებზე დასხეს და სადღაც სამუშაოდ გაგზავნესო. ზოგი ამბობდა, სანგრების სათხრელად ფრონტის ხაზზე გაგზავნესო, ზოგი ამტკიცებდა, პირდაპირ გერმანიაში წაიყვანესო. მალე კიდევ ერთი ცუდი ამბავი გავიგეთ: ღამით გერმანელებმა ალყა შემოარტყეს მეზობელ სეობას, მთის წვერზე ავიდნენ და მთელი არემარე გაცხრილეს. ხალხს ისე იჭერდნენ, როგორც თევზებს ბადით, და მანქანებით სადღაც მიჰყავდათ. ლტოლვილები შიშის ზარმა მოიცვა, მათ შორის იყო ოთხი-ხუთი კაცი, რომლებიც ფაშიზმის დამხობის დროს სამხედრო სამსახურში იყვნენ და ჯარიდან გამოიპარნენ. ასეთ ხალხს გერმანელები მოღალატეებად თვლიდნენ, განსაკუთრებით გულმოდგინედ ეძებდნენ და იძულებით სამუშაოზე გზავნიდნენ, ვინ იცის სად და როგორ პირობებში, რათა მათ მონური შრომით გამოესყიდათ თავიანთი „ღალატი“. განსაკუთრებით ამ ახალგაზრდების მშობლები იყვნენ შეშინებულნი, ყველაზე უფრო კი ფილიპო, თავისი შვილის მიქელეს გამო, რომელიც ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა მამას, მაგრამ მაინც ძალიან ეამაყებოდა ასეთი შვილი. ფილიპოს სახლში გაიმართა კრება და ლტოლვილებმა გადაწყვიტეს: უახლოეს დღეებიდანვე, თავდასხმების შეწყვეტამდე ახალგაზრდები გათენებისას წასულიყვნენ მწვერვალზე და მხოლოდ შებინდებისას დაბრუნებულიყვნენ. თუ გერმანელები მთაშიც ავიდოდნენ, იქ კიდევ ბილიკები

იყო, რომლებითაც შეიძლებოდა მეორე მთაზე გადასვლა, ან მეზობელ ხეობაში ჩასვლა. გერმანელებიც ხომ ადამიანები არიან და ბოლოს და ბოლოს მათაც მობეზრდებათ მთებზე წოწიალი და ერთი-ორი კაცის დასაჭერად ამდენი კილომეტრის გავლაო. სიმართლე რომ ვთქვა, მიქელეს მთაში გაქცევა არ უნდოდა, იმიტომ კი არა, რომ თავისი მამაცობის გამოჩენა სურდა, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ არ უყვარდა იმის გაკეთება, რასაც სხვები აკეთებდნენ. მაგრამ დედა ტირილით ემუდარებოდა მისი ხათრით მაინც ექნა და ბოლოს იგი დათანხმდა.

მე და როზეტამ გადავწყვიტეთ მათთან ერთად გვევლო, იმიტომ კი არა, რომ თავდასხმისა გვეშინოდა, — ქალები არ მიჰყავდათ, — არამედ იმიტომ, რომ რაიმე საქმე გაგვეჩინა. მაჩერაზე უსაქმურობისაგან სული გვხდებოდა, — და კიდევ იმიტომ, რომ ვყოფილიყავით მიქელესთან, ერთადერთ ადამიანთან, რომელსაც აქ შევეჩვიეთ. ასე დაიწყო ეს უცნაური ცხოვრება, რომელიც სიკვდილამდე არ დამავიწყდება. პარიდე გათენებამდე დგებოდა და მოდიოდა ჩვენს გასაღვიძებლად. ჭრაქის სუსტ შუქზე სწრაფად ვიცვამდით და ცივ წყვდიადში მაჩერაზე გავდიოდით, სადაც უკვე მოფუსფუსე ადამიანთა ჩრდილები ირეოდა. ფანჯრებში ზედიზედ ინთებოდა სინათლე, ჩვენ ვპოულობდით მიქელეს, — ტანმორჩილი, უთვალავ სათბურში გახვეული, სახრით ხელში იგი ზღაპრულ ქონდრის კაცსა ჰგავდა, გამოქვაბულებში რომ ცხოვრობენ და იქ დამალულ სიმდიდრეს დარაჯობენ. იგი წინ მიგვიძღოდა, ჩვენ კი ხმაამოუღებლივ მივყვებოდით.

უკუნ ღამეში, ხშირ მაღალ ბუჩქნარში, რომელიც მკერდამდე გვწვდებოდა, მოლიპული ბილიკით ავდიოდით მთაზე. ძალიან ბნელოდა, მაგრამ მიქელეს პატარა ფარანი მოჰქონდა, რომლითაც დრო და დრო გზას გვინათებდა და ჩვენც ჩუმად მივყვებოდით. ვიდრე ბექობზე ავდიოდით, მთის გადაღმა ცა ფითრდებოდა, მერე მტრედისფერი ხდებოდა, მაგრამ ვარსკვლავები ჯერ კიდევ კიაფობდნენ, განსაკუთრებით ძლიერად განთიადის წინ. ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ფონზე მთები ჯერ შავად მოსჩანდნენ, მერე თანდათან ბაცდებოდნენ და იძენდნენ თავიანთ ნამდვილ ფერს: მწვანეს, ტყეების და ბუჩქნარის მუქი ლაქებით. ვარსკვლავები ქრებოდნენ, ცა თითქმის სულ თეთრდებოდა და ჩვენს თვალწინ ჩნდებოდა გამხმარი, მოყინული, პირქუშად მთვლემარე ბუჩქნარი; მერე ცა ჰორიზონტზე ვარდისფრად იღებე-

ბოდა, ჩვენს თავზე კი ლურჯდებოდა და მთიდან წამომდგარი მზის პირველი სხივი, ოქროს ისარივით მკვეთრი და მოელვარე, აცოცხლებდა ამ სევდიან სურათს. აქა-იქ თვალს აჭყეტდა წითელი კენკრა, ხავსის ხასხასა სიმწვანეე, ლერწმის მოთეთრო-მონაცრისფრო ფოჩები, შავი დამპალი ტოტები. ბუჩქნარი უკან გერჩებოდა და ბილიკი ბუჩქნარში შედიოდა, რომელიც მთას მწვერვალამდე ფარავდა. ეს უზარმაზარი მძლავრი მუხები შორი-შორ იდგნენ და ამაოდ იშვერდნენ ტოტებს შესაერთებლად, რომ ქარიშხლის დროს ერთმანეთს დახმარებოდნენ და ციცაბო მთიდან არ გადაცვივნულიყვნენ. ტყე ძალიან მეჩხერი იყო და თეთრი ქვებით დაფარული მთის კალთა კარგად ჩანდა მწვერვალამდე, რომელიც მკვეთრად ისახებოდა ლურჯი ცის ფონზე. ბილიკი ამ ტყეზე გადიოდა თითქმის უაღმართოდ. მზის სხივები ხეებზე დაბუდებულ ჩიტებს აღვიძებდნენ; მათი ჟრიამული და ალიაქოთი გაფიქრებინებდათ, რომ ძალიან ბევრნი იყვნენ, მაგრამ ჯერ არ ჩანდნენ. მიქელე წინ მიაბიჯებდა ხოლმე, და ვინ იცის რისგან, ძალიან ბედნიერი ჩანდა; ის ჩქარა მიდიოდა, სახრეს იქნევდა, რომელიც ჯოხის მაგივრობასაც უწევდა და რაღაც სამხედრო მარშის მაგვარ ჰანგს უსტვენდა. ჩვენ კიდევ დიდხანს მივდიოდით, მუხები უფრო იშვიათად გვხვდებოდა, ისინი ახლა ტანდაბალი და მსხვილი იყო, მერე კი სულ ქრებოდა და რჩებოდა მხოლოდ თეთრი ქვა-ღორღით მოფენილი ბილიკი, რომელიც მთის ფერდობზე ადიოდა. ცოტა ზემოთ უკვე მთის მწვერვალი იყო, ან უფრო სწორად — უღელტეხილი ორ მწვერვალს შუა, რომლისკენაც ჩვენ მივდიოდით. ბილიკს რომ ავაყოლებდით, მუდამ გაოცების გრძნობა გვიპყრობდა: ჩვენს წინ იშლებოდა ხასხასა, რბილი ბალახით დაფარული მინდორი, მეტისმეტად მოულოდნელი მთელი ამ კლდე-ღრეების შემდეგ; აქა-იქ თეთრი მრგვალი ლოდები აღმართულიყო. შუა მინდორში ძველი ჭა იყო ქვით, მაგრამ უკიროდ ნაშენი. აქედან უმშვენიერესი ხედი იშლებოდა. მე მაინცდამაინც არ მაკვირვებს ბუნების სილამაზე, იქნებ იმიტომ, რომ მთაში დავიბადე და ამ სილამაზეს ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, მაგრამ თავად მეც, როცა აქ პირველად ამოვედი, პირდაღებული და თვალდაჭყეტილი დავრჩი. ერთ მხარეს, ჩვენს წინ ქვემოთ დიდებულად ეშვებოდა მთის ფრიალო, ბარისკენ ჩამავალი მაჩერების გიგანტური საფეხურებით. ჰორიზონტზე ელვარებდა ზღვის ლურჯი ზოლი, მეორე მხარეს კი აზიდულიყო მხოლოდ მთები, ჩოჩარეთის მთები, ზოგი მათგანი თოვლის

ლაქებით დაფარული, ან თოვლისაგან სულ თეთრი, სხვები კი — შიშველი და რუხი. აქ ციოდა, მაგრამ არც იმდენად, მზე კაშკაშებდა და გვათბობდა, ქარი არ ჰქროდა; ასეთი ამინდი იდგა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ მთაში დავდიოდით, ესე იგი თითქმის ორ კვირას.

ამ უღელტეხილზე მთელ დღეს ვატარებდით; ბალახზე საბახს ვფენდით და ცოტას ვისვენებდით, მაგრამ მალე მოუსვენრობა გვიპყრობდა და ხეტიალს ვიწყებდით. მიქელე და როზეტა უფრო შორს მიდიოდნენ, ყვავილებს კრეფდნენ ან უბრალოდ ლაპარაკობდნენ, უფრო სწორად ის ლაპარაკობდა, როზეტა კი ყურს უგდებდა; ძე უმეტესად მდელოზე ვრჩებოდი. მომწონდა მარტოობა; რომში, რამდენ ხანსაც მინდოდა ვიყავი ხოლმე მარტო, სანტ ეუფემიაში კი ეს შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ ღამე როზეტასთან ერთად მეძინა, დღისით კი ყველგან ლტოლვილები იყვნენ. მარტოობა ისეთ ილუზიას მიქმნიდა, თითქოს ცხოვრება შეჩერდაო და საშუალება მაქვს ირგვლივ მივიხედ-მოვიხედო; სინამდვილეში დრო ძველებურად მიდიოდა, მაგრამ მე ამას ვერ ვამჩნევდი. აქ, მაღლა, აბსოლუტური სიწყნარე სუფევდა; მხოლოდ ხანდახან მეზობელი ხეობიდან მობალახე საქონლის ეკვნების ხმა მოისმოდა; ეს ერთადერთი ხმა იყო, რომელიც აქამდე აღწევდა და უფრო ხაზგასმით ავლენდა ამ ადგილის სიმშვიდესა და სიწყნარეს. მიყვარდა ხანდახან ჭასთან მისვლა; გადავეკიდებოდი მის კედელზე და დიდხანს ჩავცქეროდი, ეს ჭა ღრმა იყო, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა, კედლის ქვები მშრალი, სიღრმეში კი ძლივს მოჩანდა წყალი. ქვებს შორის ნაპრალებში იზრდებოდა ძალიან ლამაზი, შავღეროიანი, მწვანე ფაფუკფოთლიანი გვიმრა. გვიმრა ჭის კედლებს მთლად ფარავდა და წყალში ირეკლებოდა. ჩავცქეროდი წყალს და ვიხსენებდი იმ შორეულ დროს, როცა პატარა გოგო ვიყავი და მიყვარდა ჭებში ცქერა, რაც კიდეც მაშინებდა და კიდეც მიზიდავდა; მაშინ მეგონა, რომ ჭები ფერიებითა და ქონდრის კაცებით დასახლებულ სხვა მიწისქვეშა ქვეყანაში გასასვლელები იყო და მინდოდა შიგ ჩავმხტარიყავი, რომ ამ ქვეყნიდან მეორეში გადავსულიყავი. ხანდახან იმდენ ხანს ჩავჩერებოდი ჭას, რომ თვალი ეჩვეოდა სიბნელეს და წყალში არეკლილ ჩემს სახეს ვარჩევდი; მაშინ ვიღებდი ქვას, წყალში ვაგდებდი და ვხედავდი, როგორ იმსხვრეოდა ჩემი გამოსახულება, წყალში კი მოლივლივე წრეები ჩნდებოდა. მომწონდა ამ უც-

ნაურ თეთრ მრგვალ ლოდებს შორის ზეგანზე აღმავალ მწვანე მინდორზე სეირნობა. მაშინ კვლავ მეჩვენებოდა, რომ ჩემს ბავშვობას დავუბრუნდი; თითქმის მჯეროდა, რომ ბალახში რაიმე ძვირფას ნივთს ვიპოვიდი, შეიძლება იმიტომ, რომ ზურმუხტისფერი ბალახი თავისთავად ძვირფას სამკაულს ჰგავდა და კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ასეთ ადგილებში იცოდნენ განძების ჩაფვლა, როგორც ამას ბავშვობაში მიამბობდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ბალახი იყო, რომელიც არაფრად არ ღირს და რომლითაც საქონელს კვებავენ; მარტო ერთხელ ვიპოვე ოთხფოთლიანი სამყურა და მიქელეს ვაჩუქე; მან ის საფულეში შეინახა, ჩემთვის რომ ესიამოვნებინა, იმიტომ, რომ ასეთი რამეები არ სწამდა. დრო ნელა გადიოდა; მზე მაღლა იწევდა და სულ უფრო კაშკაშებდა, ასე რომ, ხანდახან საკინძეს ვიხსნიდი და მზეზე ეწვებოდი, როგორც ამას ზღვაზე აკეთებენ. მიქელე და როზეტა სეირნობიდან საუზმის დროს ბრუნდებოდნენ, ჩვენ ბალახზე ვსხდებოდით და ცოტაოდენ პურსა და ყველს შევექცეოდით. მანამდე და მერეც მიჭამია ბევრი გემრიელი საჭმელი, მაგრამ როცა მაგონდება ეს შავი, სიმინდქატონარევი გაქვავებული პური და ქვადქცეული ცხვრის ყველი, რომელიც ნაჯახით უნდა გეჩეხა, ვფიქრობ, ჩემს სიცოცხლეში იმაზე გემრიელი არაფერი მიჭამია. საკმაზის მაგივრობას სეირნობითა და მთის ჰაერით გაღვიძებული მადა სწევდა, ან შეიძლება საფრთხეზე ფიქრიც გვიგემრიელებდა საჭმელს; ჩემს სიცოცხლეში პირველად ვჭამდი ასეთი ხალისით და ვატყობდი რა სასიამოვნო განცდაა — ჭამა, გაძღომა, გამოლეული ძალღონის ჭამით აღდგენა და გრძნობა, რომ საჭმელი სასარგებლო და აუცილებელია ადამიანისათვის. ახლა მინდა გითხრათ, რომ სანტ ეუფემიაში ჩემს სიცოცხლეში პირველად მივაქციე ყურადღება ზოგიერთ რამეს, რასაც აქამდე ისე ვაკეთებდი, რომ არცა ვფიქრობდი მათზე. მაგალითად, აქამდე არასოდეს არ შემიდარებია ძილი მადისათვის, რომლის დაკმაყოფილება სიამოვნებას და ძალას გგვრის. სხეულის სისუფთავის დაცვა ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო, ამიტომ ბანაობის პროცესი თითქმის ვნებითს კმაყოფილებას მანიჭებდა. ასეთსავე სიამოვნებას იწვევდა სხეულის ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. რაც ქალაქში არავითარ დროს არ გართმევს და ხალხი მექანიკურად, დაუფიქრებლად ასრულებს. ჩემის აზრით, მთაში რომ შემხვედროდა მამაკაცი, რომელიც მომეწონებოდა და შემოყვარდებოდა, აქ სიყვარულიც სხვა-

გვარი, უფრო ღრმა და ძლიერი იქნებოდა. ერთი სიტყვით, მე ცხოველად ვგრძნობდი თავს; ალბათ ცხოველებს, რომლებსაც თავისი სხეულის გარდა არავითარი საზრუნავი არა აქვთ, ასეთივე განცდები აქვთ, როგორიც მე მქონდა, როცა გარემოება მაიძულებდა ვყოფილიყავი მხოლოდ ხორცის ნაჭერი, მხრლოდ სხეული და სხვა არაფერი, რომელიც იკვებება, ძინავს, იწმინდება, რათა უკეთესად იგრძნოს თავი და ამაში სიამოვნებას პოულობს.

მზე ნელა უვლიდა ზეცას და ზღვისკენ ეშვებოდა. როცა ზღვა მუქდებოდა და ჩამავალ მზის სხივებში მეწამულისფრად იღებებოდა, შინ ვბრუნდებოდით, მაგრამ უკვე ბილიკით კი არ მოვდიოდით, პირდაპირ ფერდობზე სირბილით ვეშვებოდით, ვსრიალებდით ბალახზე, ვძვრებოდით ბუჩქებში და ნახევარ საათში ვფარავდით მანძილს, რომელსაც დილით თითქმის ორ საათს ვანდომებდით. სწორედ ვახშმის დროს ვბრუნდებოდით, მტვრიან ტანსაცმელზე აკრული გვქონდა ფოთლები და ეკლები, და მაშინვე ქოხში სავახშმოდ ვეშურებოდით. ადრე ვწვებოდით და გათენებამდე ისევ ფეხზე ვიყავით.

მაგრამ ზეგანზე ყოველთვის როდი იყო ასეთი სიწყნარე, რაც ომს გვაშორებდა. არაფერს ვიტყვი თვითმფრინავებზე, რომლებიც ხან თითო-თითოდ და ხან ესკადრილიებად გადაგვიფრენდნენ ხოლმე და არც აფეთქებებზე, რომელთა გამოძახილი ყრუდ აღწევდა ბარიდან და გვახსენებდა, რომ ტიალი გერმანელები განაგრძობდნენ არხების აფეთქებას, მინდვრების დატბორვას და, ამრიგად, მალარიას ავრცელებდნენ. ომი თავს გვახსენებდა უღელტეხილზე მიმავალ ხალხთან ხშირი შეხვედრებითაც. ამ უკაცრიელ უღელტეხილზე იმათი გზა გადიოდა, ვინც მთებში იკვლევდა გზას, გვერდს უვლიდა ბარს და რომიდან ან გერმანელების მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ იტალიიდან გამოქცეული სამხრეთ იტალიაში ინგლისელებთან მიდიოდა. ეს უმთავრესად ან ჯარიდან გამოქცეული ჯარისკაცები იყვნენ, ან საცოდავი გლეხები, რომლებიც თავიანთ სოფლებში ბრუნდებოდნენ, საიდანაც ომმა გამორეკა, ან საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოქცეული პატიმრები. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა. ჩვეულებრივად პურსა და ყველს შევექცეოდით. უცბად დავინახე, რომ ორი ჯოხიანი კაცი გვიახლოვდება, რომლებიც ნამდვილ ველურებსა გვანან. ტანსაცმელი ნაფლეთებად ეკიდათ, მაგრამ ამან კი არ იმოქმედა ჩემზე, ძონძები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. შემაშინა მათმა უზარმაზარმა მხრებმა და სახეებმა, რომლებიც სულ არ ჰგავდ-

ნენ ჩვენსას — იტალიელებისას. შიშისაგან გავქვავდი, გადამავიწყდა პური და ყველი, რომელიც ხელში მეჭირა, და ველოდი მათ მოახლოებას. მიქელე, რომელსაც არაფრისა და არავისი არ ეშინოდა, იმიტომ კი არა, რომ ძალიან გულადი იყო, უბრალოდ იმიტომ, რომ ყველას ნდობით ეკიდებოდა, ადგა, მივიდა მათთან და ხელებით დაუწყო ლაპარაკი. როცა შიშმა ოდნავ გაგვიარა, მე და როზეტაც მივედით მათთან. ამ ხალხს ჰქონდა ყვითელი და ბრტყელი უწვერულვაშო სახეები, ლოყების გადატკეცილ კანზე განივი ნაოჭები აჩნდათ; თმა შავი და ხშირი, თვალები — პატარა, საფეთქლებთან აზიდული კუთხეებით, ჩაჭყლეტილი ცხვირები, მკვდრის ტუჩები, კბილები კი ჩაშავებული და სულ ჩამტვრეული. მიქელემ გვითხრა, ეს რუსი ტყვეებიაო, ოღონდ რუსები კი არა, მონღოლები, როგორ აგიხსნათ ჩინელებიო. ეტყობა საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულიყვნენ, სადაც გერმანელებს ტყვეები ჰყავდათ. თვალს ვერ ვაშორებდი მათ განიერ მხარ-ბეჭს და ვფიქრობდი — გაუფრთხილებლად ვიქცევით, მათთან რომ ვრჩებით, უკეთესი იქნებოდა დავმალულიყავით, ან გავქცეულიყავით; ესენი ისეთი ახმახი და ძლიერი მამაკაცები იყვნენ, მე და როზეტას რომ გვცემოდნენ ვერაფერს გავაწყობდით. მაგრამ ეს მონღოლები ძალიან წესიერად იქცეოდნენ; ისინი ცოტა ხანს დარჩნენ ჩვენთან, ასე, — ერთ თუ ორ საათს და სულ ხელებით გველაპარაკებოდნენ. მიქელე პურითა და ყველით გაუმასპინძლდა, ისინი დაუხარბებლად ჭამდნენ და, როგორც ეტყობა, მადლობაც გადაგვიხადეს. სულ ეროთავად იცინოდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ მათი არ გვესმოდა, მათ კი ჩვენი. ჩანს, ამ სიცილით უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ არაფერს დაგვიშავებდნენ. მიქელემ ხელებით ანიშნა რომელი გზით უნდა წასულიყვნენ და ცოტა ხნის შემდეგ გზას გაუდგნენ. შორიდან ორ დიდ მაიმუნს ჰგავდნენ, უკანა ფეხებზე რომ დადიან და ჯოხს იშველიებენ.

მეორედ უღელტეხილზე ფრონტის ხაზიდან გამოქცეულმა იტალიელმა მუშამ გაიარა. იგი სანგრების სათხრელად გაეგზავნათ, არ მახსოვს ზუსტად რომელ ფრონტზე იყო, მაგრამ გამოიქცა, რადგან იტალიელ მუშებს ძაღლებივით იქცეოდნენ და კატორღელებივით ამუშავებდნენ. ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი იყო, შავგვრემანი, სახე კალმით დახატულს უგავდა, მაგრამ საოცრად გამხდარი. ყვრიმალის ძვლები ამოჩრილი ჰქონდა, სევდიანი თვალები ჩაცვენილი, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. სისუსტისაგან ფეხზე ძლივს იდგა. მან გვითხ-

რა, ჩემი ოჯახი აპულიაში ცხოვრობს და იმედი მაქვს მთის ბილიკებით მიეაღწიო იქამდეო. უკვე მთელი კვირა გზაში ყოფილიყო, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შემოგლეჯოდა. ისე იყო დასუსტებული, რომ ძლივს ლაპარაკობდა. იტყოდა რამდენიმე სიტყვას და გაჩერდებოდა სულის მოსათქმელად, მან გვითხრა, ხმები დადის, რომში აჯანყებაა. რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი მოუკლავთ, სამაგიეროდ გერმანელებს დამსჯელი რაზმი შეუდგენიათო; სად და როდის მოხდა ეს, მან დაწვრილებით არ იცოდა. გერმანელების ხსენებაზე თქვა:

— ეს ხალხი კი არა, მხეცებია, მათ მშვენივრად იციან, რომ წააგეს ომი, მაგრამ უყვართ ბრძოლა და უკანასკნელ ჯარისკაცამდე იომებენ, მით უმეტეს, რომ ჩვენ ხარჯზე ცხოვრობენ და საზრუნავი არაფერი აქვთ. და თუ ომი მალე არ დამთავრდა, ჩვენ ყველანი შიმშილით დავიხოცებით. ორში ერთი: ან ომი დამთავრდება, ან ჩვენ ყველას ბოლო მოგვეღება.

მიქელემ მისცა ცოტაოდენი პური, ყველი და თუთუნი. მან ნახევარი საათი შეისვენა უღელტეხილზე და გზა განაგრძო. მიდიოდა ლასლასით, გეგონებოდათ, აგერ ახლა წაიქცევა და ვეღარ ადგებაო.

ერთხელ დილით მზეზე ვისხედით. უცბად სტვენა მოგვესმა. საძინენი მაშინვე კლდეს ამოვეფარეთ, რომ იქიდან გვეთვალთვალა, თუ ვინ უსტვენდა. ჩვენ ყოველთვის მზადყოფნა გვიხდებოდა იმიტომ, რომ გერმანელების თავდასხმისა გვეშინოდა. ცოტა ხნის მერე მიქელემ ჩუმად გაიხედა და დაინახა კაცი, რომელიც საჩქაროდ ამოეფარა მეზობელ კლდეს. კარგა ხანს ვუთვალთვალებდით ერთმანეთს, სანამ არ დავრწმუნდით, რომ არც ჩვენ და არც ისინი გერმანელები არ ვიყავით. მხოლოდ მაშინ გამოვედით. ჩვენი თავშესაფრიდან. ესენი სამხრეთ იტალიელები იყვნენ და, როგორც გვითხრეს, სამხედროები — უფროსი და უმცროსი ლეიტენანტები, თუმცა სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ, რადგან ბევრ სხვასავით გამოქცეულიყვნენ ჯარიდან და მთებით სამხრეთისაკენ მიდიოდნენ; მათ განზრახული ჰქონდათ ფრონტი გადაელახათ და მშობლიური მხარისათვის მიეღწიათ, სადაც მათი ოჯახები ცხოვრობდნენ. ერთ მათგანს შავგვრემანსა და მაღალს, ჰქონდა მრგვალი სახე, ნახშირივით შავი თვალები და თეთრი კბილები, ტუჩები კი მთლად ლურჯი. მეორე ქერა იყო, ჰქონდა გრძელი სახე, ცისფერი თვალები და წვეტიანი ცხვირი. შავგვრემანს კარმელო ერქვა, ქერას — ლუიჯი. მთელი იმ ხალხიდან, რომელიც აქ, მთებში

შეგვხვედრია, ესენი ყველაზე უსიმპათიო ჩანდნენ, იმიტომ კი არა, რომ ძალიან ცუდები იყვნენ, შეიძლება მშვიდობიან დროს, ჩვეულებრივ პირობებში, არასასიამოვნო ვერაფერი შემემჩნია. ნათთვის, მაგრამ ომმა მათში როგორც ბევრ სხვაში, ნასიათის ისეთი მხარეები გამოამეღავნა, რაც მშვიდობიან დროს შეუმჩნეველი დარჩებოდა. აქ მინდა აღვნიშნო, რომ ომი ყველასათვის სერიოზული გამოცდაა: იმისათვის, რომ ადამიანები გაიცნო, ისინი ომის დროს უნდა ნახო და არა მშვიდობიანობის დროს, მაშინ, როცა არსებობს კანონები, ადამიანის პატივისცემა და ღვთის შიში, არამედ მაშინ, როცა არაფერი ეს აღარ არსებობს და ყოველი კაცი თავის მიდრეკილებას ამეღავნებს, მას შემაკავებელი აღარაფერი დარჩენია და არაფრის პატივისცემა აღარა აქვა.

ეს ორნი დროებითი დაზავების მომენტში თავიანთ ნაწილთან ერთად რომში ყოფილან, ჯერ ქალაქში დამალულან, მერე კი რომიდან გამოქცეულან და ახლა სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ერთი თვის განმავლობაში ისინი ფერიის მთის ფერდობზე მცხოვრებ გლეხთან იმალებოდნენ. მე მაშინვე არ მომეწონა, თუ როგორ იხსენებდნენ ისინი ამ გლეხს, რომელმაც თავშესაფარი მისცა: ლაპარაკობდნენ მასზე დაცინვით, ხეპრეს, უზრდელსა და გაუნათლებელს უწოდებდნენ, ხოლო მისი სახლი, მათი სიტყვებით, ნამდვილი ბოსელი იყო. ერთ-ერთმა სიცილით თქვა:

— რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.

მერე გვიამბეს, რომ ფერიის მთიდან წამოსვლა მოუხდათ, გლეხმა აგრძნობინა, მეტს ვეღარ შეგინახავო, რადგან საჭმელი აღარა მაქვსო. შავგვრემანმა თქვა, ეს ტყუილიაო, ჩვენ რომ ფული გვქონოდა, საჭმელი, რასაკვირველია, მოიძებნებოდა, იმიტომ, რომ გლეხები ხარბი და ანგარებიანი ხალხიაო. ერთი სიტყვით, ისინი სამხრეთისაკენ მიდიოდნენ და ფრონტის ხაზზე გადასვლის იმედი ჰქონდათ.

საუზმის დრომ მოაღწია. მიქელემ უგულოდ შესთავაზა გაეტეხათ ჩვენთან პური, შავგვრემანმა თქვა, რომ პურს სიამოვნებით გამოგვართმევს, ყველი კი თვითონა აქვთ, მთელი თავი, რომელიც ხარბ გლეხს მოპარეს წამოსვლისას. თქვა ეს და ტომრიდან ერთი თავი ყველი ამოიღო და გვაჩვენა. მე უსიამო გრძნობამ შემიპყრო, არა იმდენად იმის გამო, რომ მან მოიპარა — მაშინ ყველანი ქურდობდნენ და ქურდობა უკვე დანაშაულად აღარ ითვლებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას ასეთი კილოთი ამბობდა. ჩემის აზრით, ამნაირი გულახდილობა

უწმაწურობა იყო ადამიანისათვის, რომელსაც უფროსი ლეიტენანტის წოდება ჰქონდა და მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, რომ სენიორი იყო. ამას გარდა, — გავიფიქრე მე, — ეს ძალიან ულამაზო საქციელია. მასპინძლობისთვის ვლეხს წაართვა ის მცირედიც, რაც გააჩნია, მაგრამ არაფერი მითქვამს. ჩვენ ღაესხედით მდელოზე და ჭამა დავიწყეთ. ჭამის დროს განუწყვეტლივ ვლაპარაკობდით, უფრო სწორად, ყურს ვუგდებდით შავგვრემანის ლაპარაკს, რომელიც გაუჩერებლად ლაყბობდა, თანაც სულ თავის თავზე. მისი ნათქვამიდან გავიგეთ, რომ სამშობლოში მსხვილი მემამულეა და რომში, როგორც ოფიცერმა, თავი ისახელა. ქერა ყურს უგდებდა, მზეზე თვალებს ჭუტავდა და დრო და დრო ეკამათებოდა. ამას საკმაოდ გესლიანად აკეთებდა, მაგრამ იმას არა რცხვენოდა და ტრაბახს განაგრძობდა. შავგვრემანი, მაგალითად, ამბობდა, მამული მაქვსო.

ქერა კი ჩაურთავდა:

— უკეთესია თქვა, რომ ორი-სამი მიწის ნაგლეჯი გაქვს, თითო ცხვირსახოცის ოდენა.

— არა. ჩემს მამულს მხოლოდ ცხენით თუ შემოივლი.

— ფეხითაც რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა საკმარისია მთელი შენი მამულის შემოსავლელად.

ან კიდევ:

— წავედი ტყეში, თან პატრული წავიყვანე, იქ კი ასამდე ჯარისკაცი დაგვხვდა ჩასაფრებული.

— გაჩუმდი ერთი, მეც იქ არ ვიყავი და ვნახე, რომ ხუთი-ექვსი კაცის მეტი არა ყოფილა?

— გეუბნები, რომ ასზე ნაკლები არ იქნებოდა. როცა ისინი ბუჩქებიდან გამოძვრნენ, მათი თვლის თავი არა მქონდა. ასეთ დროს სხვა საქმეს აკეთებენ, მტერს კი არ ითვლიან, მაგრამ იქ, რა თქმა უნდა, მეტი თუ არა, მთელი ასეული მაინც იქნებოდა.

— ცოტა დაუკელი. გეუბნები ხუთი-ექვსი კაცის მეტი არ იყო.

და ასე შემდეგ. შავგვრემანი უნამუსოდ, თავხედურად და შეუპოვრად ტყუოდა, ქერა კი უგუნებოდ და უხალისოდ ეკამათებოდა. ბოლოს შავგვრემანმა გვიამბო, თუ რას აკეთებდა ზავის დადების დღეს, როცა იტალიელთა ჯარი აქეთ-იქით გაიფანტა.

— ჩვენს სოფელში საინტენდანტოსთან ვიყავი მიმაგრებული; სამხედრო მაღაზია გატენილი იყო რამერუმეებით. როგორც კი შე-

ვიტყვე ომის დამთავრების ამბავი, ერთი წუთიც ერ დამიკარგავს, ისე დავტვირთე საბარგო მანქანა ყველაფრით, რითაც კი შეიძლებოდა: კონსერვებით, ყველით, ფქვილით, სხვა პროდუქტებით და პირდაპირ ჩემს სახლში, დედაჩემს წავუღე.

ის იცინოდა, აჩენდა თავის თეთრ, სწორ კბილებს და ძალიან კმაყოფილი იყო თავის მოხერხებულობით; მაშინ მიქელემ, რომელიც აქამდე გაჩუმებული იჯდა, მკვახედ უთხრა:

— მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ მოიპარეთ.

— რა გინდათ ამით თქვათ?

— მინდა ვთქვა, რომ ერთი წუთის წინ თქვენ იტალიის არმიის ოფიცერი იყავით, მეორე წუთში კი ქურდი გახდით.

— ძვირფასო სენიორ, მე თქვენ არ გიცნობთ და არც თქვენი სახელი ვიცი, მაგრამ შემეძლო...

— რა?

— ვინ თქვა, რომ მოვიპარე?.. მე მხოლოდ ის ვქენი, რასაც ყველა შვრებოდა. ეს სანოვაგე მე რომ არ წამომეღო, ვინმე სხვა წაიღებდა.

— შესაძლებელია, მაგრამ მოპარვით კი, თქვენ მოიპარეთ.

— ენა გააჩერეთ, თორემ...

— აბა ვნახოთ, რა შეგიძლიათ...

ქერამ ჩაიქირქილა და შავგვრემანს უთხრა:

— ძალიან მწყინს, კარმელო, მაგრამ შენ თვითონ უნდა აღიარო, რომ ამ სენიორმა ბეჭებზე დაგდო.

შავგვრემანმა მხრები აიჩეჩა და მიქელეს უთხრა:

— მე თქვენ უბრალოდ მეცოდებით, თქვენისთანა კაცთან კამათით დროს დაკარგვაც არ მინდა.

— მერე რა, — დამრიგებლური კილოთი დაიწყო მიქელემ, — მე თვითონ გეტყვით, რატომ მოიქეცით ქურდივით და რატომ არის, რომ არა მარტო მოიპარეთ, არამედ ტრაბახობთ კიდეც ამით... თქვენ გგონიათ, რომ ძალიან ჭკვიანური საქმე ჩაიდინეთ... თქვენ რომ საკუთარი საქციელისა გრცხვენოდეთ, შეიძლებოდა გვეფიქრა, გაჭირვებამ გაიძულათ... ან -ბრბოს აღგზნებამ გაგიტაცათ... მაგრამ თქვენ ტრაბახობთ და ამით ამტკიცებთ, რომ არ გესმით თქვენი საქციელი და მზადა ხართ გაიმეოროთ იგი.

მიქელეს კილომ შავგვრემანი მოთმინებიდან გამოიყვანა. იგი წამოხტა, დაავლო ხელი მსხვილ ტოტს, მოიქნია და დაიყვირა:

— ან გაჩუმდებით, ან...

მიქელემ ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ ქერამ უკვე დააშოშმინა თავისი მეგობარი. მზაკვრული ღიმილით მან უთხრა:

— ხედავ, ისევ მოგცხო, არა?

კარმელომ ბრაზი ლუიჯიზე გადაიტანა:

— შენ რაღა გალაპარაკებს, შენც ხომ წამოიღე პროდუქტები, განა ჩვენ ერთად არ ვიყავით?

— მე არ ვიყავი თანახმა, მაგრამ ძალაუნებურად დაგემორჩილე... შენ ხომ ჩემი უფროსი იყავი. რა იყო, ისევ მოგხვდა?

საუზმე ჩუმად დავამთავრეთ, შავგვრემანი ძალიან გაჯავრებული ჩანდა, ქერა კი ულვაშებში იღიმებოდა.

საუზმის შემდეგ ცოტახანს კიდევ ჩუმად ვიყავით. მაგრამ კარმელოს ვერ მოენელებინა, რომ ქურდი უწოდეს და გამომწვევად მიმართა მიქელეს:

— ნება მიბოძეთ გავიგო, ვინ ბრძანდებით, ასე ადვილად რომ მსჯელობთ და ქურდს უწოდებთ თქვენზე ბევრად მაღლა მდგომ ადამიანს? შემიძლია გაგაცნოთ ჩემი ვინაობა: მე გახლავართ კარმელო ალი, ოფიცერი, მემამულე, მაქვს იურისტის დიპლომი და მედალი მამაცობისათვის, ვარ იტალიის სამეფო გვირგვინის კავალერი. თქვენ ვინღა ბრძანდებით?

ქერამ ღიმილით შენიშნა:

— გავიწყდება თქვა, რომ შენ ჩვენი სოფლის ფაშისტური ორგანიზაციის მდივანიცა ხარ. რატომ არ ამბობ ამას?

კარმელომ უკმაყოფილოდ უპასუხა:

— ფაშისტური ორგანიზაცია აღარ არსებობს, იმიტომაც არა ვთქვი... მაგრამ შენ იცი, რომ ფაშისტური ორგანიზაციის მდივნის თანამდებობაზეც უმწიკვლოდ ვიქცეოდი.

ქერამ სიცილით შეუსწორა:

— რასაკვირველია, სარგებლობდი მდგომარეობით და მიათრევდი ყველა ლამაზ გლეხის ქალს, ვინც რაიმე თხოვნით მოგმართავდა... შენ ხომ ცნობილი დონჟუანი ხარ.

კარმელო კმაყოფილი იყო ამ ბრალდებით და არაფერი უპასუხა, მხოლოდ ოდნავ გაიღიმა; მერე ისევ მიქელეს ჩააცივდა:

— ერთი სიტყვით, ძვირფასო სენიორ, მიბრძანეთ თქვენი ტიტული, დიპლომი, ჯილდოები და ორდენები ან სხვა რაიმე, ეგებ მივხვდე, რა უფლებით აკრიტიკებთ სხვებს.

მიქელემ დაკვირვებით შეხედა სათვალეების სქელი შუშიდან და ბოლოს ჰკითხა:

— რაში გჭირდებათ ჩემი სახელი?

— დიპლომი გაქვთ?

— მაქვს, მაგრამ თუნდაც უმაღლესი განათლებაც არა მქონოდა, ეს არაფერს არა ცვლის.

— როგორ?

— ისე, ჩვენ ორივენი — თქვენც და მეც — ადამიანები ვართ, და ჩვენ, როგორც ადამიანები, ჩვენი მოქმედების მიხედვით უნდა შეგვაფასონ და არა დიპლომებითა და ჯილდოებით... თქვენი სიტყვები და მოქმედება კი ამჟღავნებს, რომ ძალიან ქარაფშუტა კაცი ხართ, ხოლო თქვენი სინდისი ძალიან ელასტიურია... მორჩა და გათავდა.

— აი ესეც შენ, ერთხელაც მოგხვდა, — კვლავ ღიმილით უთხრა ქერამ.

შავგვრემანმა ამჯერად გადაწყვიტა მისთვის ყურადღება არ მიექცია, უეცრად წამოხტა და თქვა:

— სისულელეა თქვენთან ლაპარაკი და თავის დამცირება. წამო, ლუიჯი, უკვე გვიანაა, ჩვენ კი დღეს საკმაო მანძილი გვაქვს გასავლელი. გმადლობთ პურისათვის და დარწმუნებული იყავით, რომ თუ ჩემთან მოხვალთ ერთი ასად გადაგიხდით.

მეტისმეტად სინდისიერმა მიქელემ მშვიდად უპასუხა:

— ოღონდ ეს პური არ უნდა იყოს გამომცხვარი იმ ფქვილიდან, რომელიც იტალიის არმიას მოპარეთ.

კარმელო უკვე გაგვშორდა და მხოლოდ მხრები აიჩეჩა:

— ეშმაკსაც წაუღიხართ თქვენცა და იტალიის არმიაც.

საბოლოოდ გავიგონეთ, თუ როგორ ეუბნებოდა ქერა სიცილით.

— მოგხვდა?

მერე მათ კლდეს შემოუარეს და თვალს მიეფარნენ.

ერთხელ შორიდან დავინახეთ, რომ მთის ბილიკით გვიახლოვდებოდა მწკრივად მომავალ ადამიანთა მთელი პროცესია. მათ უღელტეხილი გადაიარეს, ოცდაათ კაცამდე იქნებოდნენ; კაცებს საგარეო

კოსტუმები ეცვათ, უმთავრესად შავი. ქალები ეროვნულ ტანსაცმელში — გრძელ ქვედა კაბებში, კოფთებსა და შალებში იყვნენ გამოწყობილნი. ქალებს თავზე შედგმული ჰქონდათ ბოხჩები და კალათები, ხელში კი პატარა ბავშვები ეჭირათ, ცოტა მოზრდილები ხელჩაკიდებულნი კაცებს მოჰყავდათ. საცოდავებმა გვიამბეს, რომ პატარა სოფელში ცხოვრობდნენ, რომელიც პირდაპირ ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა. ერთხელ, განთიადზე, როცა ჯერ კიდევ ეძინათ, გერმანელებმა გააღვიძეს და მხოლოდ ნახევარი საათი მისცეს აუცილებელი ნივთების მოსაგროვებლად. მერე ყველანი მანქანებზე დასვეს და ფროზინონეს ახლო მდებარე საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მათ ბანაკიდან გამოქცევა მოახერხეს და ახლა მთებით თავიანთი სოფლისაკენ მიდიოდნენ, რომ ისევ ჩასახლებულიყვნენ მიტოვებულ სახლებში და ჩვეულებრივი ცხოვრება განეგრძოთ. მიქელე ელაპარაკებოდა მათ წინამძღოლს, ლამაზ, ხანში შესულ მამაკაცს, რომელსაც გრძელი შეეერცხლილი ულვაშები ჰქონდა, და ამ კაცმა გულუბრყვილოდ თქვა:

— საქონლის გულისათვის მაინც უნდა დავბრუნდეთ. ვინ მიხედავს უჩვენოდ საქონელს? იქნება გერმანელები?

მიქელეს მხნეობა არ ეყო ეთქვა მათთვის, რომ დაბრუნებისას არც სახლები, არც საქონელი და საერთოდ არაფერი არ დახვდებოდათ. მათ ცოტა შეისვენეს და ისევ განაგრძეს გზა. მე დიდი სიმპათიით განვიმსჭვალე ამ უბედურებისადმი, რომლებიც ასეთი მშვიდნი და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულნი იყვნენ: ეს სიმპათია შეიძლება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ ხალხის ბედი ნაწილობრივ ჩვენს, ჩემსა და როზეტას ბედს გავდა — ომმა ისინიც მოწყვიტა ადგილიდან და მათაც ჩვენსავით მოუხდათ ბოშებივით ხეტიალი მთებში უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ გერმანელებმა ისინი კვლავ დაიჭირეს და ისევ ფროზინონეს ახლო საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს. მეტი მათზე არაფერი გამიგია.

ორი კვირის განმავლობაში ჩვენ ყოველ დილით ავდიოდით უღელტეხილზე და საღამო ხანს შინ ვბრუნდებოდით. მერე ცხადი გახდა, რომ გერმანელებმა შეწყვიტეს თავდასხმები, ყოველ შემთხვევაში მთის აქეთა მხარეში მაინც. ჩვენ თავი დავანებეთ უღელტეხილზე სიარულს და ჩვეულებრივ საქმიანობას დავუბრუნდით. გულში კი

სევდა დამრჩა, რომ აღარასოდეს არ განმეორდება მთის მწვერვალზე ბუნებასთან მარტოდმარტო გატარებული ეს მშვენიერი დღეები. იქ, ბაღლა, არ იყვნენ არც ლტოლვილები, არც გლეხები, რომლებიც გაუთავებლად ლაპარაკობდნენ ომზე, ინგლისელებზე, გერმანელებზე და შიმშილზე, არ უნდა გვეწვალა უგემური, ღარიბული საჭმლის მომზადებაზე ბნელ ქოხში, ცეცხლზე, რომელსაც ნედლ ტოტებს ვუკეთებდით. რამდენიმე შეხვედრის გარდა, რომლის შესახებაც გიამბეთ, იქ არაფერი მომხდარა ისეთი, რაც მე და როზეტას ჩვენს მძიმე მდგომარეობას გაგვახსენებდა. შეიძლებოდა წარმოგვედგინა, რომ მე, როზეტა და მიქელე ყოველდღე უბრალოდ ექსკურსიაზე დავდიოდით, ეგ იყო და ეგ. ზამთრის მზე ისე ძლიერად აცხუნებდა, თითქოს მაისი დამდგარიყოს და ეს მწვანე მინდორი, საიდანაც ერთ მხარეს თოვლით დაფარული ჩოჩარეთის მთები მოჩანდა, მეორე მხარეს კი, ფონდის ველს იქით, ზღვა ბრწყინავდა, მართლაც ნათილისმარ ადგილს გავდა, სადაც შეიძლებოდა ჩამარხული ყოფილიყო განძი, როგორც ამას ბავშვობაში მიამბობდნენ. მაგრამ ვიცოდი, რომ მიწაში განძი არ არის. და უცებ, ჩემდა გასაკვირად, ვიპოვე ეს განძი, საკუთარი ხელით ამოვთხარე ჩემსავე გულში: ეს საუნჯე იყო ღრმა სიმშვიდე, როცა არავითარ შიშსა და ღელვას არა გრძნობ, ეს იყო ღრმა რწმენა საკუთარი თავისა და ყველა იმისადმი, ვინც ჩემს გარშემო იყო. ყოველივე ეს ჩემს გულში იმ დღეებში მომწიფდა და აღმოცენდა, როცა მარტოდმარტო ნათილისმარ მინდორზე ვსეირნობდი. შემდეგში, მრავალი წლის მანძილზე ვიგონებდი ამ დროს, როგორც უბედნიერესს ჩემს ცხოვრებაში, თუმცა არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ღარიბი, აუცილებელიც კი არ გამაჩნდა: ჩემი საჭელი იყო პური და ყველი, ლოგინის მაგივრობას მინდვრის ბალახი მიწევდა, ქოხიც კი არა მქონდა, ავდრის დროს რომ თავი შემეფარებინა და გარეულ ნადირს უფრო ვგავდი, ვიდრე ადამიანს.

დეკემბრის ბოლო ახლოვდებოდა და ინგლისელები სწორედ საშობაოდ მოვიდნენ ჩვენთან. ეს ის ინგლისელები კი არ იყვნენ, რომლებსაც გარილიანოსთან ფრონტის ხაზი ეკავათ, არამედ ბევრ სხვებსავით გამოქცეული ორი სამხედრო. მათ მთებით ევლოთ და სწორედ 25 დეკემბერს სანტ ეუფემიაში აღმოჩნდნენ. შესანიშნავი დარი იდგა — ცივი, მშრალი და კრიალა. დილით გამოვედი ჩემი ქოხიდან და დავინახე, რომ გლეხები და ლტოლვილები ორ ახალგაზრდა

უცხოელს შემოხვეოდნენ. ერთი მათგანი ტანმორჩილი ქერა კაცი იყო, ჰქონდა ცისფერი თვალები, სწორი თხელი ცხვირი, წითელი ტუჩები და ქერა წვერი. მეორე მაღალ-მაღალი და გამხდარი, ლურჯ-ღვალა და შავთმიანი იყო. ქერათმიანმა ცოტა იცოდა იტალიური და გვიამბო, — ინგლისელები ვართ, მე—ოფიცერი, ეს კი—უბრალო მეზ-ღვაურია. რომის ახლოს ოსტიასთან გადმოუსხიათ რაღაც ნაგებობის ასაფეთქებლად, რომელიც ჩვენ, ღატაკ იტალიელებს გვეკუთვნოდა. მათ შეუსრულებიათ დავალება, მაგრამ როცა დაბრუნებულან გემი აღარ დახვედრიათ და ისევე როგორც ბევრ სხვას, გაქცევა და და-მალვა მოუხდათ. წვიმიანი დღეები მათ სერმონეტოს ახლოს, გლეხის სახლში გაუტარებიათ, ახლა კი კარგ ამინდში, სურდათ ფრონტის ხა-ზის გადალახვა და ნეაპოლამდე მისვლა, სადაც მათი სარდლობა იმყოფებოდა. ამ ახსნა-განმარტების მოჰყვა გაუთავებელი კითხვა-პა-სუხი. ლტოლვილებსაც და გლეხებსაც უნდოდათ გაეგოთ, როგორ მიდიოდა ომი და მალე გათავდებოდა თუ არა. მაგრამ ამ ხალხმაც ჩვენზე მეტი როდი იცოდა: რამდენიმე თვე მთებში უწიგნურ გლე-ხებთან გაეტარებინათ, რომლებსაც შეიძლება გაგონილიც კი არა ჰქონდათ, რომ სადღაც ომი იყო. როცა ლტოლვილები დარწმუნდნენ, რომ მათ არაფერი იცოდნენ და დახმარებაც სჭირდებოდათ, ნელ-ნელა დაიშალნენ. ისინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ესენი ინგლისელე-ბი არიან, მათთან საქმის დაჭერა სახიფათოა, ვინმემ შეიძლება დაგ-ვაბეზღოს და გერმანელებმა რომ გაიგონ ინგლისელების აქ ყოფნა, ცუდი დღე დაგვადგებაო. ბოლოს ინგლისელები მარტონი დარჩნენ მაჩერაზე, მზით განათებულნი, დაგლეჯილ-დაფლეთილები, დაბნეული სახეებით.

უნდა გამოვტყდე, მეც მეშინოდა მათთან ურთიერთობა — არა იმ-დენად ჩემი გულისთვის, რამდენადაც როზეტასათვის, მაგრამ სწორედ როზეტამ შემარცხვინა, როცა მითხრა:

— ამ საცოდავებს ისეთი დაბნეული სახეები აქვთ, დედა... დღეს შობაა, მათ კი საჭმელიც არ მოეპოვებათ. ალბათ ეს დღე ოჯახში უნ-დოდათ გაეტარებინათ, მაგრამ ამის შესაძლებლობა არა აქვთ... მო-დი, სადილად დავპატიჟოთ.

მე შემრცხვა და ვიფიქრე, რომ როზეტა მართალი იყო: რა უფლე-ბით მეზიზღებოდა ლტოლვილები, თუკი მათსავით ვიქცეოდი. ამიტომ

ავუხსენი ინგლისელებს, რომ საშობაო სადილზე ვეპატიჟებოდით. მათ დიდი სიხარულით მიიღეს ჩვენი მიპატიჟება.

ძალიან მინდოდა შობა კარგად გაგვეტარებინა, უმთავრესად როზეტას გულისთვის. მანამდე იგი სენიორის შვილზე უკეთ ზეიმობდა ხოლმე ამ დღეს, და ამ საზეიმო სადილისთვის მთელი ჩემი რესურსები გამოვიყენე: პარიდესაგან ქათამი ვიყიდე და ღუმელში კარტოფილთან ერთად შევწვი. მერე, თუმცა ძალიან ცოტა ფქვილი მქონდა, მაინც მოვზილე ცომი და ხინკალი გავაკეთე. რამდენიმე პატარა ძეხვი მქონდა დარჩენილი, დავჭერი თხლად და მაგრად მოხარშული კვერცხით შევკაზმე. ტკბილეულიც დავამზადე: რადგან უკეთესი არაფერი იყო, ძირტკბილა დავნაყე, ფქვილში ავურიე, მივუმატე ქიშმიში, კედარის თხილი, შაქარი და ღუმელში კვერი გამოვაცხვე, რომელიც თუმცა ხმელი, მაგრამ გემრიელი გამოვიდა. ღვინოც პარიდესაგან ვიყიდე, ერთი ბოთლი მარსალაც მქონდა, ერთმა ლტოლვილმა მომყიდა. ხილი კი თავსაყრელი იყო: ფონდიში ფორთოხლის ნაყოფით დახუნძლულ ხეებს ტოტები ემტვრეოდათ, ამიტომ იაფი ღირდა. შობამდე რამდენიმე დღით ადრე ორმოცდაათი კილოგრამი ფორთოხალი ვიყიდე და დილიდან საღამომდე ფორთოხალს ვჭამდით. მიქელეს დაპატიჟებაც გადავწყვიტე და როცა სახლისკენ მიდიოდა, ვუთხარი. ის მაშინვე დამთანხმდა. მომეჩვენა, რომ ეს უმთავრესად თავისი ოჯახის ჯიბრით გააკეთა, მაგრამ მიქელემ მითხრა:

— ძვირფასო ჩეზირა, დღეს შენ ძალიან კარგად მოიქეცი... ეს ორი ინგლისელი რომ არ დაგეპატიჟებინა, შენდამი პატივისცემას დავკარგავდი.

მიქელემ ქვემოდან დაუძახა მამას და როცა მან ფანჯრიდან გადმოიხედა, უთხრა, სადილად დამპატიჟეს და მათთან მივდივარო. ფილიპომ ხმას დაუწია, ინგლისელებს რომ არ გაეგონათ, და მიქელეს ხვეწნა დაუწყო, ეს არა ქნაო:

— ნუ წახვალ, ეგ ინგლისელები ხომ გამოქცეულები არიან, გერმანელებმა რომ გაიგონ, ცუდი დღე დაგვადგება.

მიქელემ მხრები აიჩეჩა, ყური არ ათხოვა მამის ჩიჩინს და ჩვენი სახლისკენ წამოვიდა.

საშობაო მაგიდას გლეხებისაგან ნასესხები მძიმე სელის სუფრა გადავაფარეთ, როზეტამ მწვანე ფოთლებითა და წითელი კენკრით მორთო, რომელსაც რომში დღესასწაულებზე ყიდიან. ერთ თეფშზე

ქათამი იდო, რაც მაინცდამაინც ბევრი კი არ არის ხუთი კაცისთვის, სხვა თეფშებზე — ძეხვი, კვერცხი, ყველი, ფორთოხალი და ტკბილეული. ამ დღისათვის პურიც გამოვაცხვე, ამიტომ ის სულ ახალი, ჯერ კიდევ ცხელი იყო; პურებს ხუთ-ხუთ ნაწილად ვყოფდი და ყველას თითო ნაჭერს ვურიგებდი, სადილის დროს კარი ღია დავტოვეთ, რადგან ქოხს ფანჯრები არა ჰქონდა და სინათლე მხოლოდ კარიდან შემოდიოდა. გარეთ უღრუბლო დღე კაშკაშებდა, მოჩანდა მზით განათებული ფონდი და მთელი დაბლობი ზღვამდე, რომელიც მზეზე ელვარებდა. ხინკალს რომ მორჩა, მიქელემ ,ინგლისელებს ომზე ჩამოუგდო ლაპარაკი. მან სავსებით გულახდილად გამოთქვა თავისი აზრი და მათ ტოლივით ელაპარაკებოდა; ინგლისელები ოდნავ გაკვირვებული იყვნენ: შეიძლება ასეთ ადგილას ამგვარ ლაპარაკს არ მოელოდნენ, მით უმეტეს ისეთი კონკიასაგან, როგორც მიქელე ჩანდა. მიქელემ უთხრა, შეცდომა დაუშვით, რომ სიცილიაში გადმოსხით ჯარი და არა რომის ახლოსო. ეს შეცდომა რომ არ დაგეშვათ, ახლა რომი და რომის სამხრეთით მთელი იტალია უკვე თქვენს ხელში იქნებოდაო. კუს ნაბიჯით იტალიაში მოძრაობის დროს კი მოკავშირენი გზაზე ყველაფერს ანგრევენ და საშინელ ტანჯვას აყენებენ მოსახლეობას, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, გრდემლსა და ურუოს შუა მოექცა. გრდემლი მოკავშირეები არიან, ურო კი — გერმანელებიო. ინგლისელებმა უპასუხეს, ამის შესახებ არაფერი ვიცით, ჩვენ ჯარისკაცები ვართ და ბრძანებას ვემორჩილებითო. მაშინ მიქელე მათ ახლა სხვა მხრიდან ეძგერა: რისთვის ან რა მიზნით ომობთო? ინგლისელებმა უპასუხეს, გერმანელებისაგან თავის დასაცავად ვიბრძვით, რომლებსაც ყველასი. მათ შორის ინგლისელების, დამორჩილება სურთო. მიქელემ უთხრა, ეს საკმარისი არ არისო. ხალხი თქვენგან ომის შემდეგ ახალი სამყაროს შექმნას მოელის, რომელიც ძველზე უფრო სამართლიანი, უფრო თავისუფალი და ბედნიერი იქნებაო. თუკი ასეთი სამყაროს შექმნას ვერ შეძლებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ომი წააგეთ, თუნდაც სინამდვილეში კიდეც მოიგოთო. ქერათმიანი ოფიცერი მიქელეს უნდობლად უგდებდა ყურს და მოკლედ პასუხობდა. მეზღვაური კი, ეტყობოდა, მთლიანად თანაუგრძნობდა მიქელეს, მაგრამ თავისი უფროსის პატივისცემით ამას არ ამჟღავნებდა. ბოლოს ოფიცერმა კამათი იმით შეწყვიტა, რომ განაცხადა, ახლა უმთავრესი საზრუნავი ომში გამარჯვებაა, დანარჩენში კი მთლიანად ჩემს მთავრობას ვენდობიო, რომელსაც ალბათ უკვე

შემუშავებული აქვს იმ ახალი სამყაროს შექმნის გეგმა, რომელზეც მიქელე ლაპარაკობსო. ჩვენ მივხვდით, რომ მას არ უნდოდა ამ ლაპარაკში მონაწილეობით თავისი თავის კომპრომეტირება. მიქელე მიხვდა ამას და არ ესიამოვნა, მაგრამ მაშინვე ახალი სამყაროს სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ჩვენც შევავსეთ ჭიქები მარსალით და მომაელის სადღეგრძელო შევსვით. მიქელე გულაჩუყებული იყო, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა. მან ახლა ყველა მოკავშირე ადღეგრძელა, რუსების ჩათვლით, რომლებსაც, როგორც გაგებული გექონდა, სწორედ ამ დღეებში გერმანელებზე დიდი გამარჯვება მოეპოვებინათ. ყველანი ძალიან მხიარულად ვიყავით, როგორც ეს შობას შეეფერება, ერთი წუთით მომეჩვენა კიდეც, რომ ჩვენს შორის გაქრა ენითა და აღზრდით გამოწვეული განსხვავება, რომ ყველანი მოყვასნი ვართ და ეს დღე, როდესაც მრავალი საუკუნის წინათ მაცხოვარი დაიბადა, რაღაც მაცხოვრის მაგვარი ახლისა და კეთილის დაბადების მომასწავებელია, რის წყალობითაც ადამიანები უკეთესნი გახდებიან. სადილის დასასრულს ორივე ინგლისელის სადღეგრძელო შევსვით, რის შემდეგ ერთმანეთი გადავკოცნეთ: მე ვაკოცე როზეტას, მიქელეს და ორივე ინგლისელს, მათ კი ჩვენ გადაგვკოცნეს და ერთმანეთს ვეუბნებოდით:

— მოგილოცავთ შობასა და ახალ წელს!

პირველად სანტ ეუფემიაში ჭეშმარიტად ბედნიერად ვიგრძენი თავი. ცოტა ხნის შემდეგ მიქელემ აგრძნობინა სტუმრებს, ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ჩვენი სტუმართმოყვარეობა განუსაზღვრელი როდიაო. მან აუხსნა ინგლისელებს, რომ მათ მხოლოდ ერთი ღამე შეეძლოთ გაეტარებინათ აქ. უფრო მეტ ხანს დარჩენა მათთვისაც და ჩვენთვისაც სახიფათო იქნებოდა: გერმანელებს შეეძლოთ გაეგოთ მათი აქ ყოფნა და მაშინ შავი დღე დაგვადგებოდა. ინგლისელებმა უპასუხეს, რომ ეს შესანიშნავად ესმით და დაგვარწმუნეს, ხვალვე წავალთო.

მთელი ის დღე მათ ჩვენთან გაატარეს და მიქელესთან ბევრი ისაუბრეს. ჩემდა უნებურად შევამჩნიე, რომ მიქელემ თითქოს მათს სამშობლოზე იმათზე მეტიც იცოდა, მაშინ როცა ინგლისელებმა ძალიან ცოტა, თითქმის არაფერი არ იცოდნენ იტალიაზე, სადაც ახლა იმყოფებოდნენ და რომელსაც ეომებოდნენ. ოფიცერმა თქვა, უნივერსიტეტში ვსწავლობდიო, ესე იგი განათლებული კაცი იყო. მაგრამ მიქელემ თავისი ჩვეულებრივი ჩაცივებით აღმოაჩინა, რომ მან არც კი

იცოდა ვინ იყო დანტე. მე გაუნათლებელი დედაკაცი ვარ და არასოდეს არ წამიკითხავს ის, რაც დანტეს დაუწერია, მაგრამ მისი სახელი მაინც გამიგონია, ხოლო როზეტამ მითხრა, მონასტრის სკოლაში არათუ გვასწავლიდნენ დანტეს, არამედ ვალდებულიც ვიყავით წაგვეკითხა ზოგი რამ, რაც მას დაუწერიაო. მიქელემ წაგვჩურჩულა, ინგლისელებმა დანტეს ვინაობა არ იციანო, მერე ისარგებლა წუთით, როცა ისინი არ გვისმენდნენ და ასევე ჩუმად დაუმატა, სწორედ მათი უვიცობით აიხსნება ბევრი რამ, მაგალითად, ჩვენი ქალაქების დანგრევაო. მფრინავებმა, რომლებიც ყუმბარებს გვიშენდნენ, არაფერი იცოდნენ არც ჩვენზე, არც ჩვენს ძეგლებზე და თავისი უმეცრების წყალობით მშვიდად და შეუბრალებლად ანადგურებდნენ ყველაფერსო. მიქელემ კიდევ დაუმატა, შეიძლება სწორედ უმეცრება იყოს როგორც ჩვენი, ისე სხვა ხალხების მთელი უბედურების მიზეზი, იმიტომ, რომ დამნაშავეობა მხოლოდ უმეცრების ერთ-ერთი სახეობაა. მცოდნე ადამიანს ბოროტების ჩადენა არ შეუძლიაო.

ინგლისელებმა ღამე საბძელში გაატარეს და დილით ძალიან ადრე წავიდნენ, ისე რომ არც კი გამოგვემშვიდობნენ. მე და როზეტა ძალიან დაღლილები ვიყავით, რადგან გვიან დავწექით, ამას კი უკვე გადავეჩვიეთ; ჩვეულებრივად ქათმებთან ერთად ეწვებოდით, ამიტომ იმ დილით შუადღემდე ღრმა ძილით გვეძინა; უცბად ჩვენი ქოხის კარზე საშინელმა ბრახუნმა და უცხო ენაზე ხმამაღალმა ლაპარაკმა გამოგვაღვიძა.

— ღმერთო ჩემო, დედა! — წამოიძახა როზეტამ და მომეკრა. — რა მოხდა?

მე გაკვირვებისაგან გავქვავდი, მაგრამ ამ დროს კარს კვლავ საშინელი ძალით დაუშინეს, თან რაღაც გაუგებარი სიტყვები მოგვესმა. როზეტას ვუთხარი, წავალ, გავიგებ-მეთქი. საწოლიდან გადმოვხტი და როგორც ვიყავი — ქვედა კაბის ამარამ, გაწეწილმა და ფეხშიშველმა გავაღე კარი და გარეთ გავიხედე. კარს უკან ორი გერმანელი ჯარისკაცი იდგა: ერთი მათგანი ალბათ სერჟანტი იყო, მეორე უბრალო ჯარისკაცი. სერჟანტი უფრო ახალგაზრდა ჩანდა, ქერა თმები მთლად მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, სახე — ქაღალდივით თეთრი, უწმაწური მღვრიე ცისფერი თვალები კი უსიცოცხლო, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული; ცხვირი ერთ მხარეზე ჰქონდა მოღრეცილი, პირი — მეორეზე, ლოყაზე ორი გრძელი ნაჭრილობევი აჩნდა, რაც

უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა, თითქოს პირის დაკლაკნილი ხაზი ყურებამდე სწვდებოდა. მეორე გერმანელი დაბალი ტანისა იყო, შავგვრემანი, ჰქონდა უზარმაზარი შუბლი, ჩალურჯებული სევდიანი ცისფერი თვალები და ბულდოგის ყბა. მე შემეშინდა, სიმართლე გითხრათ, ყველაზე უფრო სერჟანტის გაყინულმა უაზრო თვალებმა შემაშინა, რომლებიც ისეთი საზიზღარი, გამორეცხილი ფერისა ჰქონდა, რომ მხეცისას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას. მაგრამ შიში არ შევიმჩნიე და რაც ძალი და ღონე მქონდა შევყვირე:

— შენ ხომ არ გაგიჟებულხარ? კარს რას ამტვრევ! ვერა ხედავ, აქ ორი ქალი ვცხოვრობთ და გვძინავს? თუ ახლა ძილიც აკრძალულია?

სერჟანტმა ხელი ამიქნია და დამტვრეული იტალიურით მითხრა:

— გეყო, გეყო, — ჯარისკაცს ანიშნა გაჰყოლოდა და ქოხში შევიდა.

როზეტა ლოგინზე იჯდა, ზეწარი ნიკაპამდე აეწია და გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა მათ. გერმანელებმა მთელი ოთახი გადაქექეს, ლოგინის ქვეშ შეიხედეს, ხოლო სერჟანტმა როზეტას ზეწარიც კი ასწია, თითქოს ის, რასაც ეძებდა, შეიძლებოდა მის ზეწრის ქვეშ ყოფილიყო. მერე ისინი გარეთ გავიდნენ. ჩვენს სახლთან ლტოლვილები მოგროვილიყვნენ; პირდაპირ სასწაული იყო, რომ გერმანელებმა ლტოლვილებს ინგლისელების შესახებ არაფერი ჰკითხეს. ვინმე უბუოდ დაფქვავდა ყველაფერს. სიბოროტითაც კი არა, უბრალოდ სიშტერის გამო და მაშინ მე და როზეტას შავი დღე დაგვადგებოდა. მარტო იმ ფაქტმა, რომ გერმანელები ინგლისელების შემდეგ მეორე დღესვე მოვიდნენ, მაფიქრებინა, ან ვინმემ დაგვაბეზღა, ან ვინმეს რაიმე წამოცდა-მეთქი. ჩემის აზრით, გერმანელებს საერთოდ, ეზარებოდათ ამ საქმის დაწყება, ამიტომ ზერელედ დაათვალიერეს იქაურობა და არც არავინ დაუკითხავთ.

მაგრამ ლტოლვილებს, რომლებიც შეჩვეული არ იყვნენ გერმანელების ნახვას, უნდოდათ მათთვის ომის ამბავი ეკითხათ, გაეგოთ როდის გათავდებოდა. ვიღაც მიქელეს მოსაყვანად წავიდა, რადგან მან ცოტათი იცოდა გერმანული, მიქელეს არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ უკანასკნელ წამს, როდესაც გერმანელები უკვე წასვლას აპირებდნენ, ვიღაცამ წინ გამოაგდო:

— ჰკითხე, როდის გათავდება ომი.

მიქელეს სახეზე ნათლად ეტყობოდა, რომ გერმანელებთან ლაპარაკი არ სურდა, მაგრამ მერე თავს ძალა დაატანა და რაღაც ჰკითხა. აი რაზე ლაპარაკობდნენ მიქელე და გერმანელები, — მათი საუბრის ერთი ნაწილი მიქელემ მაშინვე გადაუთარგმნა ლტოლვილებს, დანარჩენი კი გერმანელების წასვლის შემდეგ მიამბო; მიქელემ ჰკითხა, როდის გათავდება ომიო, სერჟანტმა უპასუხა, ომი მალე გათავდება ჰიტლერის გამარჯვებითო, დაუმატა აგრეთვე, რომ გერმანელებს საიდუმლო იარაღი აქვთ და ამ საიდუმლო იარაღის საშუალებით ინგლისელებს ზღვაში გადაჰყრიან არა უგვიანეს მომავალი გაზაფხულისა. ერთ-ერთმა მათმა განცხადებამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა:

— ჩვენ მალე შეტევას დავიწყებთ და ინგლისელებს ზღვაში გადავყრით. ამისათვის ყველა მატარებელმა საბრძოლო მასალა უნდა ზიდოს, ხოლო სურსათს იტალიელებს წავართმევთ, ისინი კი, მოღალატეები, შიმშილით უნდა დაიხოცონ.

მან სწორედ ასე თქვა, გულდაჯერებით, მშვიდად, შეუბრალებლად, თითქოს იტალიელებზე კი არა, ესე იგი ადამიანებზე, არამედ ბუზებსა და ხოჭოებზე ლაპარაკობდა. ამ სიტყვების გაგონებაზე ლტოლვილები სახტად დარჩნენ. ისინი გერმანელებისაგან ამას არ მოელოდნენ, რატომღაც ეგონათ, რომ გერმანელები იტალიელებისადმი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი. მაგრამ მიქელეს, ეტყობა, მოსწონდა ეს ლაპარაკი და გერმანელებს ჰკითხა — ვინ იყვნენ ისინი ომამდე. სერჟანტმა თქვა, მე ბერლინის მცხოვრები ვარ და ომამდე მუყაოს კოლოფების პატარა ქარხანა მქონდა, ახლა ეს ქარხანა დანგრეულია და ისღა დამრჩენია, რაც შეიძლება კარგად ვიომოო; ჯარისკაცი ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე კი ნაცემი ძაღლივით განზე გაიხედა და სევდიანად თქვა, რომ ისიც ბერლინელია და მასაც ომის მეტი არაფერი დარჩენია, რადგან ცოლი და ერთადერთი ქალიშვილი დაბომბვის დროს დაეღუპა. მაო თითქმის ერთნაირი პასუხი გაგვცეს, კერძოდ ის, რომ დაბომბვის შედეგად ყველაფერი დაკარგეს და ომის მეტი არაფერი დარჩენიათ, მაგრამ ცხადი იყო, რომ სერჟანტი ხალისით, სიამოვნებით, თითქმის გაბოროტებით ომობდა, ხოლო სევდიანი ჯარისკაცი, რომელსაც მაღალი ნაღვლიანი შუბლი ჰქონდა, უმთავრესად იმიტომ იბრძოდა, რომ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და იცოდა, სახლში არავინ ელის. ჩემის აზრით ეს ჯარისკაცი ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ცოლ-შვილის

სიკვდილმა გააბოროტა; და ღმერთმა დაგვიფარა, თორემ ჩვენ რომ დავეპატიმრეთ, უყოყმანოდ შეეძლო მოეკლა როზეტა, როცა გაახსენდებოდა თავისი შვილი, როზეტას ხნისა რომ იყო.

ვიდრე ამაზე ვფიქრობდი, სერჟანტმა, რომელიც ეტყობა ძალიან გაბრაზებული იყო იტალიელებზე, უცბად იკითხა, თუ რატომ არის ლტოლვილებს შორის ამდენი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც არაფერს აკეთებენ, მაშინ როცა გერმანელები ფრონტზე იბრძვიან. მიქელემ უეცრად აიმაღლა ხმა და პირდაპირ სახეში შეჰყვირა, რომ თვითონაც, და ყველა. დანარჩენიც, ჰიტლერისა და გერმანელებისათვის იბრძოდნენ საბერძნეთში, აფრიკასა და ალბანეთში, ისინი ახლაც მზად არიან იბრძოლონ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მოუთმენლად ელიან, როდის მოიგებს ომს დიდებული, სახელოვანი ჰიტლერი და ამ მამაძაღლ ინგლისელებსა და ამერიკელებს ზღვაში ჩაჰყრის. სერჟანტი ცოტა არ იყოს გაკვირვებული დარჩა ამ განცხადებით და უნდობლად, წარბებშეკრულმა შეხედა მიქელეს; ეტყობოდა მაინც და მაინც არ სჯეროდა მისი, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდა. გერმანელებმა კიდევ ცოტა ხანს იბორიალეს მაჩერაზე, შევიდნენ რამდენიმე სახლში, სადაც კუთხეებში იქექებოდნენ, მაგრამ უკვე სრულიად უხალისოდ, ენთუზიაზმის გარეშე და ბოლოს ბარისაკენ დაეშვნენ. ამის შემდეგ ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

მე განცვიფრებული დავრჩი მიქელეს საქციელით. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ შავი სიტყვებით უნდა გაელანძღა გერმანელები, მაგრამ უბრალოდ გამაკვირვა მის მიერ შეთხზულმა ამბებმა, რომლებიც ასე უტიფრად მიახალა პირში გერმანელებს. ეს ვუთხარი, მან კი მხრები აიჩეჩა და მიპასუხა:

— ნაცისტების მიმართ ყველაფერი დასაშვებია, მათი მოტყუებაც, ღალატიც, და თუ ეს შესაძლებელია, მათი მოკვლაც. რას უზამდი შხამიან გველს, ვეფხვს ან ცოფიან მგელს? რასაკვირველია, ეცდებოდი ან ძალით ანდა რაიმე ხერხით მათს უვნებელყოფას. ჩემის აზრით, მათთან ლაპარაკს და მათზე ზემოქმედებას არ ეცდებოდი თუ წინასწარ გეცოდინებოდა, რომ ეს უშედეგო იქნება. ასევეა ნაცისტების მიმართაც, მათ თვითონვე გარეული მხეცებივით თავიანთი თავი ყოველგვარი ადამიანური კანონის გარეშე დააყენეს, ამიტომ, მათ მიმართ ყველაფერი დასაშვებია. შენ არასოდეს არ წაგიკითხავს დანტე, როგორც, სხვათა შორის არ წაუკითხავს იმ განათლებულ ინგლისელ

ოფიცერსაც. მაგრამ რომ წაგეკითხა, გეცოდინებოდა, რა თქვა დანტემ: „და იყო მამაცობა ყოფილიყავი ვერაგი მის მიმართ“.

ვთხოვე აეხსნა ჩემთვის დანტეს ეს სიტყვები და მან მითხრა, რომ ნაცისტებისთანა ხალხის მოტყუება და ღალატი, მათ მიმართ მეტისმეტი თავაზიანობაცაა, სწორედ ამის თქმა უნდოდაო დანტეს. ნაცისტები ამის ღირსიც არ არიან. მე შევეკამათე და ვუთხარი, თუმცა, რასაც ვამბობდი თვითონაც არა მჯეროდა, რომ ნაცისტებშიც, როგორც ეს მუდამ ხდება, შეიძლება იყვნენ კარგი და ცუდი ადამიანები; მაშ საიდან იცის, რომ ეს ორნი ცუდები არიან? მიქელემ გაიცინა:

— საქმე ის კი არ არის, ცუდი თუ კარგი ადამიანები არიან. ისინი შეიძლება კეთილებიც იყვნენ თავიანთი ცოლ-შვილის მიმართ, ისევე, როგორც მგლები და გველები თავიანთი ნაშიერების მიმართ, მაგრამ კაცობრიობისადმი, და სწორედ ეს არის უმთავრესი, — ესე იგი შენდამი, ჩემდამი, როზეტასადმი, ამ ლტოლვილებისა და გლეხებისადმი,— ისინი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ცუდები.

— რატომ?

— რატომ? — გაიმეორა მან წუთიერი ფიქრის შემდეგ. — იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან, ბოროტება სიკეთეს ნიშნავსო. ისინიც ამ ბოროტებას სჩადიან და ჰგონიათ, სიკეთეს ჩავდივართო, ესე იგი თავიანთ მოვალეობას ასრულებენ.

მე შევყოყმანდი, რადგან კარგად ვერ გავიგე მისი ნათქვამი, მაგრამ მიქელე უკვე აღარ მისმენდა და განაგრძობდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

— დიახ, სწორედ ასეა. ნაციზმი — ეს ბოროტებისა და მოვალეობის გრძნობის შეხამებაა.

ჩემთვის კი გასაკვირი ის იყო, რომ მიქელეს ჰქონდა უსაზღვრო გულკეთილობისა და ასეთი სიმტკიცის შეხამების უნარი. მახსოვს კიდევ ერთი შეხვედრა გერმანელებთან, მაგრამ უკვე სრულიად სხვაგვარ ვითარებაში. ჩვენ ძალიან ცოტა ფქვილი გვქონდა და კარგა ხანია პურის ცომში ქატოს ვურევდი. ამიტომ გადავწყვიტე. ქვემოთ ჩავსულიყავი და კვერცხები ფქვილზე გადამეცვალა. პარიდესაგან 16 კვერცხი ვიყიდე და ცოტა ფულის დამატებით ვაპირებდი რამდენიმე კილო ფქვილის შოვნას. დაბომბვის შემდეგ, რომელმაც ასე შეაშინა საწყალი ტომაზინო, ბარში აღარა ვყოფილვართ, და ახლა იქ ძალიან უხალისოდ მივდიოდი. ამის შესახებ მიქელეს ვუთხარი, მან კი მითხრა

გაგაცილებთო. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან მასთან უფრო მშვიდად ვგრძნობდი თავს და კიდევ იმიტომ, რომ ის ერთადერთი ადამიანი იყო სანტ ეუფემიაში, რომელსაც ვენდობოდი და რომელიც მხნეობას მმატებდა. ჩავაწყვე კვერცხები კალათში და დილით ადრე გამოვედით სახლიდან. იანვრის პირველი რიცხვები იყო — შუა ზამთარი, და მე რატომღაც ვფიქრობდი, რომ ეს ომის ყველაზე დაძაბული პერიოდია, იმ წარმოუდგენელი სასოწარკვეთილების უსაშინელესი ჟამი; რაც უკვე წლობით გრძელდებოდა და რასაც ხალხი ომს უწოდებდა. როცა ტომაზინოსთან ერთად ბარში უკანასკნელად ვიყავი — ხეებს ჯერ კიდევ ესხა ფოთლები, თუმცა კი გაყვითლებული, მინდვრებში ბიბინებდა ბალახი, აქა-იქ თვალებს აჭყეტდნენ ყვავილები, შემოდგომის უკანასკნელი ყვავილები: ყოჩივარდები და ტყის იები. მაგრამ ახლა მივდიოდით ქვევით და ვხედავდით, რომ ჩვენს გარშემო ყველაფერი გაშიშვლებული, გამხმარი, რუხი და გაყინული იყო. მზე არ ანათებდა, ნისლიანი და უფერული ჩანდა, ციოდა, სახლიდან საკმაოდ მხიარულ გუნებაზე გამოვედით. მაგრამ ჩქარა მოვიწყინეთ; დღე იყო წყნარი, ისეთი, როგორიც მხოლოდ ზამთარში იცის ხოლმე, უხმო; და ეს მდუმარება გულზე გვაწვა, ხელს გვიშლიდა მხიარულ საუბარში. ბილიკით მთის მარცხენა ფერდობზე დავეშვით, გადავედით მარჯვენა მხარეზე. სადაც კლდეები იყო გამოშვერილი და კაკტუსები იზრდებოდა. იმ დღეს, როცა ჩვენ ტომაზინოსთან ერთად მივდიოდით, სწორედ აქ დაეცა ყუმბარა. მერე მარჯვენა ფერდობს ჩავყევით. ნახევარი საათი მაინც ჩუმად მივდიოდით, ბოლოს მივუახლოვდით ხეობის დასაწყისს, ესე იგი იმ ადგილს, სადაც იყო ხიდი, გზაჯვარედინი და პატარა სახლი, რომელშიც ტომაზინო მისთვის საბედისწერო დაბომბვამდე ცხოვრობდა. მე მახსოვდა, რომ მაშინ ეს ლამაზი, მხიარული, გაშლილი ადგილი იყო და ძალიან გამიკვირდა, როცა ახლა სევდიანი, რუხი, შიშველი და უსახო მომეჩვენა. არასოდეს არ გინახავთ უთმო ქალი? ჩვენ სოფელში ერთი გოგო ტიფით იყო ავად და თმების ნაწილი გასცვივდა, დანარჩენი სამართებლით გადაპარსეს. მე წინათ მენახა ეს გოგო, მერე კი სულ სხვანაირი მეჩვენა, სახის გამომეტყველებაც კი შეცვლოდა, ხოლო თავი დიდ, მახინჯ კვერცხს უგავდა, შიშველსა და გლუვს, — ასეთი თავი ქალებს არასოდეს არა აქვთ ხოლმე, ხოლო სახე, რომელსაც თმების ჩარჩო აღარა ჰქონდა, ზედმეტად მკაფიოდ განათებული ჩანდა. იგივე მოუვიდა ამ ადგილსაც. ჭადრები,

რომელთა ჩრდილშიც ტომაზინოს სახლი იდგა, გაშიშვლებულიყო, ქვები ჩანჩქერის პირას აღარ იმალებოდნენ ბალახში, გზისპირა თხრილებში მცენარეულობა აღარ იყო, მაშინ ვერ შევამჩნიე იქ რა იზრდებოდა, მაგრამ ახლა კი თვალში მეცა სიცარიელე, მაშასადამე, იქ წინათ მცენარეები ყოფილა, და მთელმა ამ მიდამომ დაკარგა თავისი მომხიბვლელობა ისევე, როგორც უთმოდ დარჩენილმა ქალმა. როცა ეს ადგილი აგრერიგად დაუშნოებული დავინახე, გული შემეკუმშა, მომეჩვენა, რომ ის ჩვენს ცხოვრებას დაემსგავსა, რომელსაც გაუთავებელმა ომმა ყველა პირსაბური ჩამოგლიჯა და ის შიშველი და უშნო გახდა.

მაგრამ კმარა ამაზე. ჩვენ შარაგზაზე გადავუხვიეთ და მალე იმ დღის პირველი შეხვედრა მოხდა. ვიღაც კაცს გზაზე ორი ცხენი მოჰყავდა: წაბლისფერი ნაქერალი ცხენები, ეტყობა ჯიშიანები იყვნენ. ეს გერმანული ცხენები იყო, მაგრამ კაცს ისეთი მუნდირი ეცვა, რომელიც ჯერ არასოდეს არ მენახა. როგორც კი გავუსწორდით, შემოგვხედა, მოგვესალმა და რადგან ერთი გზა გექონდა, შემოგვიერთდა და კარგა ხანს ერთად ვიარეთ; იტალიურად ძალიან ცუდად ლაპარაკობდა. იგი ახალგაზრდა, ასე 25 წლისა იქნებოდა, არაჩვეულებრივად ლამაზი და წარმოსადეგი — მაღალი, მხარბეჭიანი, ქალივით წელწვრილი; გრძელ ფეხებზე ყვითელი ჩექმები ეცვა, თმა ოქროსავით უბზინავდა, თვალები მომწვანო-ლურჯი ფერისა, მოგრძო, ნუშისებური, უცნაური და მეოცნებე ჰქონდა, ცხვირი სწორი, დიდრონი და თხელი, ტუჩები წითელი, ლამაზად მოყვანილი, როცა იღიმებოდა, მშვენიერი თეთრი და ჩაწკრიალებული კბილები უჩანდა, — მისი ყურება ნამდვილი სიამოვნება იყო. მან გვითხრა, რომ გერმანელი კი არა, რუსია, ძალიან შორეული სოფლიდან, გვითხრა კიდეც საიდან, მაგრამ დამავიწყდა. მან სრულიად მშვიდად გვიამბო, რომ უღალატა რუსებს და გერმანელების მხარეზე გადმოვიდა, ივიტომ, რომ რუსები არ მოსწონდა, თუმცა არც გერმანელები უყვარდა. გვითხრა კიდევ, რომ სხვა მოღალატე რუსებთან ერთად იძულებულია გერმანელებს ემსახუროს. ის დარწმუნებული იყო, რომ გერმანელები ომს წააგებდნენ, რადგან თავიანთი მხეცობით მთელ მსოფლიოს თავი შეაძულეს. სულ რამდენიმე თვეში გერმანელებს საბოლოოდ დაამარცხებენ და მაშინ ჩემთვისაც ყველაფერი გათავდება — მან ხელით გვანიშნა — რუსები ყელს გამომჭრიანო. ამას ისე არხეინად ამბობდა, თითქოს საკუთარი

ბედი სრულიად არ აინტერესებდა, იღიმებოდა კიდეც არა მარტო ტუ-ჩებით, არამედ ამ თავისი უცნაური თვალებითაც, ღრმა ზღვას რომ უგავდა. ეტყობოდა, გერმანელები სძულდა, სძულდა რუსები, სძულ-და საკუთარი თავიც კი და. გულგრილად უყურებდა სიკვდილს. ის მიდიოდა გზაზე, მშვიდად მიჰყავდა ცხენები აღვირით, ნაცრისფერ დამზრალ მინდვრებში, უკაცრიელ გზაზე ისინი ერთადერთი ცოცხალი არსებანი იყვნენ და თითქოს დაუჯერებელიც იყო, რომ ეს კაცი, ასეთი ლამაზი, უკვე, ასე ვთქვათ, სიკვდილმისჯილია და უნდა მოკვდეს ძალიან მალე, შეიძლება ამ წლის ბოლომდეც კი. გზაჯვარედინზე გამომშვიდო-ბებისას მან ერთ-ერთ ცხენს ფაფარზე ხელი გადაუსვა და გვითხრა:

— ცხოვრებაში მარტო ეს ცხენებიღა დამრჩა და ისიც სხვისი.

გვითხრა ეს და ქალაქის მიმართულებით წავიდა. რამდენიმე წუთს ვუყურებდი მიმავალს და უნებურად ვიფიქრე, რომ ეს კაციც ომის მსხვერპლი იყო. ომი რომ არ დაწყებულიყო. ის იცხოვრებდა თავის სამშობლოში, ალბათ ცოლსაც შეირთავდა, იმუშავებდა და კარგი კაცი გახდებოდა ისევე, როგორც მრავალი სხვა. ომმა კი მოსწყვიტა სამ-შობლოს, აიძულა მოღალატე გამხდარიყო, ახლა კი ჰკლავდა, და იგი უკვე შეურიგდა სიკვდილზე ფიქრს, ეს კი ყველაზე საშინელი იყო, როგორც არაბუნებრივი და გაუგებარი.

ჩვენ გადავუხვიეთ მარცხნივ, ფორთოხლის ჭალებისაკენ მიმავალ გზაზე; გვეგონა, რომ იქ გერმანელ ტანკისტებს ვნახავდით და კვერ-ცხებს პურზე გადავცვლიდით. მაგრამ გზის პირას, ფორთოხლის ხე-ების ქვეშ, არავინ არ დაგვხვედრია, ტანკები წასულიყვნენ და აქ მხო-ლოდ გათელილი ბალახი დარჩენილიყო, იქ კი, სადაც ტანკისტების კარვები იდგა, შიშველი მიწა და აქა-იქ დამტვრეული ხეები იყო, მეტი არაფერი. არ ვიცოდით საით წავსულიყავით, მე შევთავაზე გაეყოლო-დით იმავე გზას, იქნებ ტანკისტები ან სხვა გერმანელი ჯარისკაცები მეზობელ ფორთოხლის ჭალებში იდგნენ ბანაკად. თხუთმეტი წუთის შემდეგ, როცა დაახლოებით ერთი კილომეტრი გვექნებოდა გავლილი, შემთხვევით წავაწყდით ქერათმიან ქალიშვილს, რომელიც მარტოდ-მარტო, ნელი ნაბიჯით მოდიოდა გზაზე, თითქოს სასეირნოდ გამოსუ-ლიყო და არსად არ ეჩქარებოდა. იგი მოდიოდა ძალიან ნელა, ცნო-ბისმოყვარეობით ათვალიერებდა შიშველ მინდვრებს და პურსა სჭამდა. მივუახლოვდი და ვკითხე:

— მითხარი, ამ გზით რომ ვიაროთ, ვნახავთ გერმანელებს?

იგი შეჩერდა და მომაშტერდა. მას თავშალი ეხურა, ლამაზი, ჯანსაღი და ღონიერი ქალიშვილი იყო, ფართო, ოდნავ მძიმე სახით, დიდრონი თაფლისფერი თვალებით. მან საჩქაროდ მიპასუხა:

— გერმანელებს?.. რასაკვირველია... აბა, მაშ სად იქნებიან?

მე ისევ ვკითხე:

— საით არიან?

იგი ისევ ისე მიყურებდა, ეტყობოდა რაღაცით შეშინებული იყო; უეცრად მოტრიალდა, არაფერი მიპასუხა და წასვლა დააპირა. ხელი ვტაცე და კითხვა გავუმეორე, მან ჩურჩულით მიპასუხა:

— რომ გითხრა სადა მაქვს სანოვაგე შენახული, არავის არ ეტყვი?

გამიკვირდა, თუმცა მის სიტყვებში არაფერი იყო უცნაური და შესაძლოა სინამდვილეს შეესაბამებოდნენ. მე ვუთხარი:

— რას ამბობ? რა სანოვაგე?

ის კი თავის ქნევით იმეორებდა:

— ისინი მოვლენ და ყველაფერს წაიღებენ... მოვლენ და წაიღებენ... ისინი ხომ გერმანელები არიან. იცი, რა ვუთხარი, როცა უკანასკნელად მოვიდნენ? არაფერი მაქვს-მეთქი, არც ფქვილი, არც ლობიო, არც ღორის ქონი, მარტო რძე მაქვს ჩემი შვილისათვის, თუ გინდათ წაიღეთ...

იგი დაჟინებით მიყურებდა თავისი გაკვირვებული თვალებით და საკინძის შეხსნა დაიწყო. მე გაოცებული ვიყავი, არც მიქელეს და როზეტას ესმოდათ რამე. ის კი გვიყურებდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო და ღილებს იხსნიდა. მან საკინძე ბოლომდე ჩაიხსნა, მერე თითები გაშალა, როგორც ამას დედა აკეთებს ხოლმე, როცა ბავშვს აწოვებს და ცალი ძუძუ ამოიღო.

— სხვა არაფერი მაქვს... წაიღეთ ეს, — იმეორებდა იგი ჩურჩულით, თითქოს სიზმარშიაო.

ეტყობოდა მართლა აწოვებდა ბავშვს: მრგვალი და სავსე ძუძუდან, რომელიც გამჭვირვალე კანით ჰქონდა დაფარული, თითქოს რძე ჟონავდა. უეცრად მოტრიალდა და წავიდა დაბნეული ღიღინით, საკინძე ჩახსნილი, ძუძუგადმოგდებული. ამ ქალთან შეხვედრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაღეღილი გულმკერდით მიდიოდა იგი გზაზე და პურს ღრღნიდა. მისი ძუძუ კი, რომელსაც ზამთრის ცივი ქარი უბერავდა, ერთადერთი ცოცხალი, კაშკაშა თეთრი ლაქა იყო ამ მოღუშული, ბურუსიანი, შიშველი და ცივი დღის ფონზე.

— ის გიჟია, — თქვა როზეტამ.

მიქელემ ცივად დაუდასტურა:

— რა თქმა უნდა.

სრულ სიჩუმეში გზა განვაგრძეთ.

გერმანელები ვერსად ვერ ვნახეთ და მიქელემ შემოგვთავაზა მის ნაცნობებთან წავსულიყავით, რომლებიც ამ ფორთოხლის ჭალებში დასახლებულიყვნენ. მან გვითხრა, ისინი კარგი ხალხია და ალბათ მიგვასწავლიან სად შეიძლება იმ გერმანელების ნახვა, რომლებიც პურს კვერცხებზე გადაგვიცვლიანო. გავიარეთ კიდევ ცოტა მანძილი და შარაგზიდან ფორთოხლის ბაღებში მიმავალ ბილიკზე გადავუხვიეთ. მიქელემ გვითხრა, მთელი ეს ბაღები იმ ნაცნობს ეკუთვნის, რომელთანაც მივდივართო, იგი ვექილია, უცოლო და თავის მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობსო. ათიოდე წუთის შემდეგ პატარა მდელოზე გავედით, სადაც იდგა აგურით ნაშენი უხეირო ქოხი გოფრირებული რკინის სახურავით; ქოხს კარი და ორი ფანჯარა ჰქონდა. მიქელემ შეიხედა ერთ-ერთ ფანჯარაში: მასპინძლები სახლში იყვნენ, —მან ორჯერ დააკაკუნა. საკმაოდ დიდხანს მოგვიხდა ცდა, ბოლოს კარი ნელა, თითქოს უხალისოდ გაიღო და ქოხიდან ვექილი გამოვიდა. ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, ჩასკვნილი, მელოტი, ჰქონდა სპილოს ძვლისფერი, მკრთალი, მოლაპლაპე შუბლი, უფერული, ცოტათი გადმოკარკლული თვალები. მოკაუჭუბული ცხვირი, რბილი, გადმობრუნებული ტუჩები. მას ეცვა ქალაქური პალტო, ისეთი, როგორსაც საღამოობით ატარებენ ხოლმე, ლურჯი მაუდის, შავი ხავერდის საყელოთი. მაგრამ ამ ელეგანტური პალტოს ქვეშ დატრეტილი შარვალი და ლურსმნით დაჭედილი ჯარისკაცული ფეხსაცმელი მოუჩანდა. მაშინვე შევატყვე, რომ ვექილს ჩვენი მისვლა არ ესიამოვნა, მაგრამ შეეცადა დაეფარა ეს და გადაჭარბებული თავაზიანობით გადაეხვია მიქელეს:

— მიქელინო... ყოჩაღ... რომელმა ბედნიერმა ქარმა გადმოგაგდო აქეთ?

მიქელემ წარუდგინა ჩვენი თავი, ვექილი შორიდან, თითქოს დარცხვენით და ოდნავ ცივად მოგვესალმა. ჩვენ კართან ვიდექით, ვექილი კი შინ არ გვეპატიჟებოდა. მაშინ მიქელემ უთხრა:

— აქეთ-ვიყავით და გადავწყვიტეთ თქვენც გვენახეთ.

ვექილი თითქოს გონს მოვიდა და უპასუხა:

— საუცხოოა... სწორედ სადილად ვსხდებოდით, მობრძანდით, წაისაუზმეთ ჩვენთან ერთად.

მერე ცოტა შეყოყმანდა და დაუმატა:

— მიქელე, გაფრთხილდ, რადგან ვიცი შენი აზრები, მეც ხომ შენსავით ვფიქრობ... მაგრამ... მე გერმანელი ლეიტენანტი დავპატიჟე, საზენიტო ბატარეის უფროსი, რომელიც ჩვენს გვერდით დაბანაკდა. იძულებული ვიყავი ეს გამეკეთებინა... საუბედუროდ, ახლა ისეთი დროა...

ბოდიშებითა და ოხვრით იგი ქოხში შეგვიძღვა. ფანჯარასთან მრგვალ მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი, ეს ერთადერთი სუფრა და დალაგებული ადგილი იყო ოთახში. გარშემო ყოველგვარი ხარახურა ეყარა, კუთხეში გროვად ეწყო ძონძები, წიგნები, ჩემოდნები და ყუთები, მაგიდასთან უკვე ისხდნენ — ვექილის დედა, მთლად შავებში ჩაცმული, ტანმორჩილი, ხანშიშესული სენიორა, დანაოჭებული სახით, რომელიც ერთი ბეწო შეშინებულ მაიმუნს გავდა, და ნაცისტი ლეიტენანტი, ხმელ-ხმელი, ქერა, ფიცარივით ბრტყელი კაცი, რომელსაც მაგიდის ქვეშ დარდიმანდულად გაეშოტა გრძელი ფეხები. ტანზე შემოტკეცილი მუნდირი, მხედრული შარვალი და ჩექმები ეცვა. ის ძაღლს გავდა, სახეც ძაღლისა ჰქონდა: უზარმაზარი ცხვირი, ახლოს მჯდარი, უწამწამო მოყვითალო თვალები, დაგეშილი, ავი გამოხედვა და ცხვირის ქვეშ დამალული დიდი პირი. ლეიტენანტი თავაზიანად წამოდგა, მოგვესალმა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, მაგრამ ხელი არავის არ ჩამოგვართვა და მაშინვე დაჯდა, თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომ ეს ჩვენთვის კი არ გააკეთა, არამედ იმიტომ, რომ თავაზიანი და ზრდილობიანი კაცია. ვექილმა აგვიხსნა, თან იგივე გაიმეორა, რაც გარეთ გვითხრა, რომ ლეიტენანტი საზენიტო ბატარეის უფროსია, მან ის სადილად დაპატიჟა, რათა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინა მასთან.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ომი მალე დამთავრდება, — თქვა ვექილმა, — და ლეიტენანტი გერმანიაში დაგვპატიჟებს.

ლეიტენანტმა არაფერი უპასუხა, არც კი გაიღიმა. ვიფიქრე, ალბათ ჩვენი ენა არ ესმის და ვერ გაიგო რა უთხრეს-მეთქი, მაგრამ, როცა ვექილის დედამ ვერმუტი შესთავაზა, მან წმინდა იტალიურით უპასუხა:

— გმადლობთ, აპერიტივებს არ ვსვამ.

და მაშინ უეცრად მივხვდი, ლეიტენანტი იმიტომ არ იღიმებოდა, რომ ვინ იცის რისთვის, გაჯავრებული იყო ვექილზე. მიქელემ მათ გიჟთან ჩვენი შეხვედრა უამბო. ვექილმა გულგრილად უპასუხა:

— ეს ლენაა. იგი ყოველთვის არანორმალური იყო. შარშან, როცა

ეს არეულობა მოხდა, ერთი ჯარი მოდიოდა, მეორე მიდიოდა, ვიღაც ჯარისკაცმა დაიჭირა, როცა ის ჩვეულებრივად მინდორში მარტოდმარტო დახეტიალობდა; და მას ბავშვი გაუჩნდა.

— მერე სად არის ახლა ბავშვი?

— ბავშვი მისმა ოჯახმა აიყვანა და ძალიან კარგად უვლის. მაგრამ ლენა არანორმალურია და დაუჩემებია, ბავშვს მართმევენ იმიტომ, რომ მის გამოსაკვებად რძე არა მყოფნისო. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ რეგულარულად აწოვებს ბავშვს; გარკვეულ საათებში დედამისი აძლევს ბავშვს და ლენა აკეთებს ყველაფერს, რასაც დედა ეუბნება. მაინც ვერ მოიშორა ფიქრი, რომ ბავშვს საჭმელი არ ყოფნის. ვექილმა ეს სრულიად გულგრილად გვიამბო, მაგრამ საცოდავი ლენას ამბავმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ის არასოდეს არ დამავიწყდება. ეს შიშველი ძუძუ, რომელსაც საბრალო ლენა შარაგზაზე ყველა გამვლელ-გამომვლელს სთავაზობდა, იმის სიმბოლოდ მეჩვენებოდა, თუ როგორ მდგომარეობაში აღმოვჩნდით იტალიელები 1944 წლის ზამთარში: შიშველ-ტიტველნი, მშივრები, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ; ჩვენ ცხოველებს ვგავდით, რომლებსაც შვილის გამოსაკვები რძის მეტი არაფერი გააჩნდათ.

ამასობაში ვექილის დედას, შეძრწუნებულს, აკანკალებულს, შიშით აღსავსეს, სამზარეულოდან საჭმელები შემოჰქონდა. თეფშები ორივე ხელით ისე ფრთხილად ეჭირა, თითქოს წმინდა ზიარება ყოფილიყოს. მან სუფრაზე დააწყო ძეხვი, ლორი, აგურის ფორმის გერმანული პური, სწორედ ისეთი, როგორსაც ჩვენ კვერცხებზე გადასაცვლელად ვეძებდით. მერე მოიტანა წვენი, ნამდვილი, ხორციანი, შინაური ვერმიშელით და ბოლოს მოხარშული ქათამი, რომელსაც გარშემო მჟავე პომიდორი და კიტრი ჰქონდა შემოწყობილი. გამოიტანა აგრეთვე ერთი ბოთლი კარგი წითელი ღვინო. ეტყობოდა, ვექილმა და მისმა დედამ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ კარგად გამასპინძლებოდნენ ამ გერმანელ ლაწირაკს, რომელიც თავისი ბატარეით მათ ახლოს დაბანაკებულიყო და მასთან პირფერობა უხდებოდათ. მაგრამ ლეიტენანტს ეტყობოდა ახირებული ხასიათი ჰქონდა იმიტომ, რომ მაშინვე პურზე მიუთითა და თქვა:

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, სენიორო ვექილო, სად იშოვეთ თქვენ ეს პური?

ვექილი სიცხიანი ავადმყოფივით აიბურძგლა და ყოყმანით. ხუმრობის კილოთი უპასუხა:

— საჩუქრად მივიღეთ... ერთძა ჯარისკაცმა გვაჩუქა, ჩვენ კი სხვა რამე ვაჩუქეთ... ხომ იცით, ომის დროს...

— მაშასადამე, გაცვლა-გამოცვლას ეწევით, — შეუბრალებლად თქვა გერმანელმა, — ეს კი აკრძალულია. ვინ იყო ის ჯარისკაცი?

— ამას კი ვერ გეტყვით, ლეიტენანტო, ცოდვის აღიარება შეიძლება, მაგრამ ცოდვის ჩამდენის დასახელება კი არა... უმჯობესია ეს შაშხი გასინჯოთ, ის გერმანული როდია, შინ გაკეთებული გახლავთ.

ლეიტენანტმა არაფერი უპასუხა და ხმაამოუღებლივ დაიწყო ლორის ჭამა.

ვექილს რომ თავი დაანება, ახლა ყურადღება მიქელეზე გადაიტანა. ყოველგვარი შესავლის გარეშე ჰკითხა, რა პროფესია ჰქონდა, მიქელემ უყოყმანოდ უპასუხა, სკოლის მასწავლებელი ვარო.. .

— რას ასწავლით?

— იტალიურ ლიტერატურას.

ვექილის გასაკვირად ლეიტენანტმა მშვიდად განაცხადა:

— მე ვიცნობ თქვენს ლიტერატურას... გერმანულ ენაზე ერთი იტალიური რომანიც კი ვთარგმნე.

— რომელი?

ლეიტენანტმა დაასახელა ავტორის გვარი და წიგნის სათაური; მე ვერ დავიმახსოვრე ვერც ერთი და ვერც მეორე. შევამჩნიე, რომ მიქელე, რომელიც მანამდე ლეიტენანტს ყურადღებას არ აქცევდა, ახლა დაინტერესებული ჩანდა. ვექილმა დაინახა თუ არა, რომ ლეიტენანტი მიქელეს პატივისცემით ელაპარაკება, როგორც ტოლი ტოლს. მანაც კილო შეცვალა და თითქოს კმაყოფილიც იყო, რომ მიქელე მის სუფრაზე იჯდა. მან უთხრა ლეიტენანტს.

— ჩვენი ფესტა — ნასწავლი კაცია, დიდად ნასწავლი, — და მიქელეს მხარზე ხელი დაჰკრა.

მაგრამ ლეიტენანტი, რომელიც ღირსების საქმედ თვლიდა ვექილისათვის ყურადღება არ მიექცია, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი იყო და სადილად დაჰპატიჟა, კვლავ მიქელეს მიუბრუნდა:

— ორი წელი ვცხოვრობდი რომში, სადაც თქვენს ენას ვეუფლებოდი, მე ფილოსოფიას მივყავი ხელი.

ვექილი ცდილობდა საუბარში მონაწილეობა მიეღო და ხუმრობის კილოთი თქვა:

— მაშინ მიხვდებით, რატომ ვიტანთ ჩვენ, იტალიელები, ფილოსოფიურად ყოველივე იმას, რაც გვჭირს ამ დროში... დიახ, სწორედ ფილოსოფიურად...

მაგრამ ლეიტენანტმა არც კი შეხედა და მიქელესთან გაცხოველებულ საუბარს განაგრძობდა; იგი ზედიზედ ასახელებდა მწერლებსა და წიგნებს, ეტყობოდა, კარგად იცნობდა ლიტერატურას; არ გამომპარვია, რომ თუმცა უხალისოდ და ძუნწად, მაგრამ თანდათან მიქელეც პატივისცემის გრძნობამ თუ არა, ცნობისმოყვარეობამ მაინც შეიპყრო. რამდენიმე ხანს საუბარი ლიტერატურის გარშემო ტრიალებდა, მერე კი, არ ვიცი როგორ, ომზე გადავიდა: თუ რას წარმოადგენს ომი ლიტერატურისა და ფილოსოფიისათვის; ლეიტენანტმა აღნიშნა, რომ ომი ძვირფას, სავსებით აუცილებელ გამოცდილებას იძლევა და უცბად ასეთი ფრაზა წარმოთქვა:

— მაგრამ ჩემთვის სრულიად ახალი ესთეტიკური გრძნობა (მან სწორედ ასე თქვა „ესთეტიკურიო", მე მაშინ ვერც კი გავიგე ეს სიტყვა, მაგრამ მთელი ფრაზა, თითქოს ცხელი შანთით. ამომწვარი, სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში) განვიცადე ბალკანეთში ომის დროს, და იცით, როგორ, სენიორ პროფესორო? როცა მოწინააღმდეგის ჯარისკაცებით სავსე გამოქვაბულს ცეცხლსატყორცნით ვასუფთავებდი.

ამის გაგონებაზე ჩვენ ოთხივე — როზეტა, მე, ვექილი და მისი დედა — თავზარდაცემულნი გავქვავდით. მოგვიანებით ვიფიქრე, ლეიტენანტი უბრალოდ ტრაბახობდა, მას არასოდეს არ ჩაუდენია ეს და მისი ნათქვამი ტყუილი იყო: მან რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია, სახე გაუწითლდა, თვალები აუელიცლიცდა, მაგრამ მაშინ გული ჩამწყდა, ტანში გამაცია, დამსწრეთ გადავხედე. როზეტა თვალდახრილი იჯდა; ვექილის დედა ნერვიულად ასწორებდა სუფრაზე ნაოჭს; ვექილს კუსავით ჩაერგო თავი აწეულ საყელოში. მარტო მიქელე შეჰყურებდა ლეიტენანტს ფართო გაღებული თვალებით. მან თქვა:

— საინტერესოა, უნდა გითხრათ. მეტად საინტერესო... მაგრამ კიდევ უფრო ახალი და საინტერესო, ჩემის აზრით, მფრინავის გრძნობაა, როცა ის სოფელს ყუმბარებს უშენს და გადაფრენის დროს ხედავს, რომ სახლების ადგილზე მხოლოდ მტვრისა და ღორღის გროვა რჩება.

ლეიტენანტი არც იმდენად სულელი იყო, რომ მიქელეს სიტყვებში ირონია ვერ შეემჩნია, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან თქვა:

— ომი ადამიანს ფასდაუდებელ გამოცდილებას ანიჭებს, ურომლისოდაც ადამიანი არ არის ადამიანი... მართლა, სენიორ პროფესორო, როგორ მოხდა, რომ თქვენ აქა ხართ და არა ფრონტზე?

მიქელემ ჰკითხა:

— რომელ ფრონტზე?

ჩემდა გასაკვირად, ლეიტენანტმა არაფერი უპასუხა, მტრულად შეხედა მიქელეს და თავის თეფშს მიუბრუნდა.

მაგრამ ლეიტენანტი ვერ დამშვიდდა, ცხადი იყო, რომ იგი აშკარა მტრობას თუ არა, ყოველ შემთხვევაში არამეგობრულ დამოკიდებულებას გრძნობდა. მან თავი დაანება მიქელეს, რომელიც მას საკმარისად დაშინებული არ ეჩვენა და კვლავ ვექილზე გადაინაცვლა.

— ძვირფასო სენიორო ვექილო, — თქვა მან უეცრად და მაგიდაზე მიუთითა. — თქვენ აქ დოვლათში იფლობით, გარშემო კი ყველანი შიმშილით იხოცებიან... საიდან იშოვეთ ამდენი გემრიელი რამეები?

ვექილმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა დედას. დედის თვალებში შიში იყო, ვექილის თვალებში კი — სიმშვიდე. ვექილმა უპასუხა:

— გარწმუნებთ, რომ სხვა დღეებში ჩვენ ასე არა ვჭამთ... ეს სადილი სპეციალურად თქვენთვის მოვამზადეთ.

ლეიტენანტი რამდენიმე წუთით გაჩუმდა, მერე ისევ ჰკითხა:

— თქვენ ამ დაბლობზე მიწები გაქვთ, არა?

— ასე ვთქვათ.

— როგორ თუ, ასე ვთქვათ? მითხრეს, რომ თქვენ ამ დაბლობის ნახევარი გეკუთვნით.

— ო არა, ძვირფასო ლეიტენანტო, ვინც ეს თქვა, ან მატყუარა, ან შურიანია, ან ორივე ერთად... მე აქ რამდენიმე ბაღი მაქვს... ბაღებს ჩვენ ამ ლამაზ ფორთოხლის ჭალებს ვეძახით.

— მე მგონია, რომ ეს ეგრეთწოდებული ბაღები დიდ შემოსავალს იძლევიან... თქვენ მდიდარი კაცი ხართ, ვექილო!

— რასა ბრძანებთ, სენიორო ლეიტენანტო, იმდენი არაფერი... მაგრამ საცხოვრებლად მყოფნის.

— და თქვენ იცით, როგორც ცხოვრობენ თქვენი გლეხები აქ, ამ მიდამოებში?

ვექილი მიხვდა საით უმიზნებდა ლეიტენანტი და ღირსეულად უპასუხა:

— კარგად ცხოვრობენ... ამ ხეობაში გლეხები უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე სხვაგან.

ლეიტენანტი ამ დროს ქათმის ბარკალს იჭრიდა, ვექილს დანის წვერი მიუშვირა და უთხრა:

— თუკი ეს გლეხები კარგად ცხოვრობენ, მაშ როგორღა არიან ისინი, ვინც ცუდად ცხოვრობს; მე ვნახე როგორა ცხოვრობენ თქვენი გლეხები: პირუტყვებივით. მათი სახლები ბოსლებს ჰგავს, იკვებებიან პირუტყვივით, ტანსაცმელი დაფლეთილი აცვიათ. გერმანელი გლეხები სხვანაირად ცხოვრობენ. ჩვენ, გერმანელებს, შეგვრცხვებოდა, ჩვენი გლეხები რომ თქვენი გლეხებივით ცხოვრობდნენ.

ვექილმა დაინახა დედის ვედრებით აღსავსე მზერა, რომელიც თითქოს ეუბნებოდა: „ნუ წამოეგები პროვოკაციას, ჩუმად იყავი!" — აიჩეჩა მხრები და არაფერი უპასუხა. მაგრამ ლეიტენანტი არ ეშვებოდა.

— რას იტყვით ამაზე, ძვირფასო ვექილო, რა პასუხს გამცემთ? ამჯერად ვექილი იძულებული იყო ეპასუხა:

— მათ თვითონა სურთ ასე ცხოვრება, გარწმუნებთ, ლეიტენანტო... თქვენ მათ არ იცნობთ.

მაგრამ ლეიტენანტმა მკვახედ უპასუხა:

— არა, ეს თქვენ, მიწათმფლობელებს, გსურთ, რომ გლეხები ასე ცხოვრობდნენ. ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული, — მან თავზე მოისვა ხელი, — თქვენ იტალიის თავი ხართ და სწორედ თქვენ ხართ დამნაშაგე იმაში, რომ გლეხები პირუტყვებივით ცხოვრობენ.

ვექილი, ეტყობა, ძალიან შეშინებული იყო, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ჭამდა, თან ყლაპვის დროს კისრით ისეთ მოძრაობას აკეთებდა, როგორც მამალი, როცა ჩქარობს რაიმე გადაყლაპოს. დედის სახე სასოწარკვეთილებას გამოხატავდა. მე დავინახე, რომ მაგიდის ქვეშ ჩუმად დაკრიფა ხელები და ლოცულობდა, ღმერთს შველას ევედრებოდა. ლეიტენანტი კი განაგრძობდა:

— წინათ მხოლოდ რამდენიმე იტალიურ ქალაქს ვიცნობდი, ყველაზე ლამაზს, ამ ქალაქებში კი — მხოლოდ ძეგლებს. მაგრამ ომის წყალობით კარგად შევისწავლე თქვენი ქვეყანა, როცა ის გარდიგარდმო გადავიარე და აი რას გეტყვით, პატივცემულო ვექილო: თქვენს ქვეყანაში კლასობრივი კონტრასტები პირდაპირ სასკანდალოა.

ვექილი დუმდა, მხოლოდ მსრები აიჩეჩა, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: მე აქ რა შუაში ვარო? ლეიტენანტმა შეამჩნია ეს და აღშფოთდა:

— არა, ძვირფასო სენიორ, ეს თქვენც გეხებათ, ისევე როგორც ყველა სხვა ინტელიგენტს — ვექილს, ინჟინერს, ექიმს და პროფესორს. ჩვენ, გერმანელები, მაგალითად, აღშფოთებულნი ვიყავით იტალიელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის არსებული განსხვავებით: ოფიცრები თავით ფეხამდე მოსირმულნი, სპეციალური ქსოვილისაგან შეკერილ მუნდირებში გამოწყობილნი, განსაკუთრებულ საჭმელს მიირთმევენ, მათთვის ყველაფერი ცალკე მზადდება, ყველაფერში პრივილეგიები აქვთ. ჯარისკაცები კი დაფლეთილ-დაგლეჯილნი დადიან, პრუტყვებივით იკვებებიან და მათ, როგორც პირუტყვს, ისე ექცევიან. რას იტყვით ამაზე, სენიორო ვექილო?

ამაზე ვექილმა უპასუხა:

— ვიტყოდი, რომ შეიძლება ასეც იყოს. მე პირველი ვწუხვარ ამაზე; მაგრამ მარტო მე რა შემიძლია?

ის კი ჩაციებით:

— არა, ძვირფასო სენიორ, თქვენ ასე არ უნდა ამბობდეთ: ეს პირადად თქვენ გეხებათ. თქვენ და თქვენისთანებმა რომ მართლა მოინდომოთ მდგომარეობის შეცვლა, იგი შეიცვლება. თქვენ იცით, რატომ წააგო იტალიამ ომი და რატომ ვართ ჩვენ, გერმანელები, იძულებული გიგზავნოთ ჩვენი ძვირფასი ჯარისკაცები და შევწიროთ ისინი იტალიურ ფრონტს? ეს მხოლოდ იმ განსხვავების გამო მოხდა, რომელიც ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის, ხალხსა და თქვენს, გაბატონებული კლასის სენიორებს შორის არსებობს. იტალიელ ჯარისკაცებს არ უნდათ ომი, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს თქვენი ომია და არა მათი. თავიანთი უარით ისინი თქვენდამი მტრობას ამჟღავნებენ. რას იტყვით ამაზე, პატივცემულო ვექილო?

ახლა კი ლეიტენანტმა იმდენად გააღიზიანა ვექილი, რომ მას დაავიწყდა ყოველგვარი სიფრთხილე და თქვა:

— ეს მართალია: ხალხს არ უნდოდა ომი, მაგრამ არც მე მინდოდა. ჩვენ ამ ომის დაწყება ფაშისტურმა მთავრობამ გვაიძულა. ფაშისტურ მთავრობას კი მე არასოდეს არ ვთვლიდი ჩემს მთავრობად, ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

ამის გაგონებაზე ლეიტენანტმა ხმას აუწია:

— არა, ძვირფასო სენიორ, ეს მეტისმეტად იოლი გამოსავალია: — ეს მთავრობა — თქვენი მთავრობაა.

— ჩემი მთავრობა? თქვენ მგონი ხუმრობთ, ლეიტენანტო?

აქ მათ კამათში დედა ჩაერია.

— ფრანჩესკო, თუ ღმერთი გწამს... გემუდარები...

ლეიტენანტი არა ცხრებოდა:

— დიახ, ეს თქვენი მთავრობაა, გინდათ დაგიმტკიცოთ?

— როგორ დამიმტკიცებთ?

— მე ყველაფერი ვიცი თქვენზე, ძვირფასო სენიორ, ვიცი, მაგალითად, რომ თქვენ ანტიფაშისტი და ლიბერალი ხართ, მაგრამ აქ გლეხებთან ან მუშებთან კი არ მეგობრობთ, არამედ ფაშისტური ორგანიზაციის მდივანთან... რას იტყვით ამაზე?

ვექილმა კვლავ მხრები აიჩეჩა:

— უპირველეს ყოვლისა მე ანტიფაშისტი და ლიბერალი არა ვარ. მე არ მაინტერესებს პოლიტიკა და სხვის საქმეში არ ვერევი. ან კიდევ რა შუაშია ფაშისტური ორგანიზაციის მდივანი? ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში, შორეული ნათესავებიც კი ვართ: ჩემი და მის ბიძაშვილს გაჰყვა ცოლად... თქვენ, გერმანელებს, არ გესმით ასეთი რამეები... და თქვენ საკმაოდ ვერ იცნობთ იტალიას.

— არა, ძვირფასო სენიორ, ეს საბუთია და კარგი საბუთიც... თქვენ ყველანი, ფაშისტები და ანტიფაშისტები, დაკავშირებული ხართ ერთმანეთთან იმიტომ, რომ ერთ კლასს ეკუთვნით და ეს მთავრობა თქვენი მთავრობაა, ფაშისტებისა და ანტიფაშისტების მთავრობაა, ყველანი ერთად, იმიტომ რომ ეს თქვენი კლასის მთავრობაა. სწორედ ასეა, ძვირფასო სენიორ, ეს ფაქტებია და ისინი თავისთავად მეტყველებენ, ყველაფერი დანარჩენი კი ლაყბობაა:

ვექილს შუბლზე ხშირმა ოფლმა დაასხა, თუმცა ქოხში ციოდა; დედამ აღარ იცოდა რა ექნა, ადგა და სამზარეულოში გავიდა, თან აკანკალებული ხმით ჩაილაპარაკა:

— წავალ, მაგარ ყავას მოვხარშავ.

ლეიტენანტი კი განაგრძობდა:

— მე არ ვგავარ ბევრ ჩემს თანამემამულეს, რომლებიც სულელურად იქცევიან თქვენს მიმართ, იტალიელების მიმართ... მათ უყვართ იტალია იმიტომ, რომ აქ ბევრი ლამაზი ძეგლია და მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პეიზაჟები... ან იპოვიან გერმანულად მოლაპარაკე რომელი-

მე იტალიელს და გული უჩუყდებათ მშობლიური ენის გაგონებაზე... ან, როცა კარგი სადილით უმასპინძლდებიან, როგორც თქვენ დღეს მე გამიმასპინძლდით, სახლის პატრონის მეგობრები და ძმაკაცები ხდებიან. მე არ ვგავარ ამ სულელ და გულუბრყვილო ადამიანებს, მე ყველაფერს ისე ვხედავ, როგორც სინამდვილეშია და ამას პირში გეუბნებით, ძვირფასო სენიორ.

მაშინ უეცრად, არც კი ვიცი რატომ, შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან შემეცოდა ის უბედური ვექილი, თითქმის დაუფიქრებლად ვუთხარი:

— თქვენ იცით, რატომ დაგპატიჟათ ამ სადილზე ვექილმა?

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენი, გერმანელებისა, ყველას ეშინია, ვექილს კი თქვენი მოთვინიერება უნდოდა, როგორც გარეულ მხეცს ათვინიერებენ ხოლმე, როცა რაიმე გემრიელს აჭმევენ.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ლეიტენანტს სახე უეცრად სევდიანი გაუხდა: არავის, გერმანელსაც კი არ სიამოვნებს, როცა ეუბნებიან, ადამიანები მხოლოდ იმიტომ გექცევიან თავაზიანად, რომ ეშინიათ შენიო. ვექილი საშინლად შეშფოთდა და შეეცადა ნათქვამის მიფუჩეჩებას.

— ყურს ნუ უგდებთ ამ დედაკაცს, ლეიტენანტო... ეს უბრალო დედაკაცია და მას ზოგი არ ესმის.

მაგრამ გერმანელმა ანიშნა გაჩუმებულიყო და მკითხა:

— რატომ ეშინიათ ჩვენი, გერმანელების, განა ისეთივე ხალხი არა ვართ, როგორც ყველა დანარჩენი?

რადგან ლაპარაკი დავიწყე, გაჩერება აღარ შემეძლო. მე მინდოდა მეთქვა მისთვის: „არა, ადამიანი, ნამდვილი ადამიანი, ადამიანი და არა ცხოველი ვერ პოვებს სიამოვნებას იმით, რომ, თქვენივე სიტყვებს თუ გავიმეორებ, ცეცხლსატყორცნით- ასუფთავებს გამოქვაბულს, სადაც ცოცხალი ჯარისკაცები იმყოფებიან“.

არ ვიცი სწორედ, რას იზამდა ლეიტენანტი, ეს რომ გაეგონა, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი, რადგან დაბლობიდან უცებ მოისმა ერთმანეთში არეული საზენიტო ქვემეხების მჭახე, ხშირი სროლის და ყუმბარების აფეთქების ხმა. ერთდროულად გაისმა ბზუილი, ჯერ შორი, მერე უფრო ახლო და მკაფიო, ისე რომ მთელი ჰაერი ამ ბზუილმა მოიცვა. ლეიტენანტი მაშინვე წამოხტა და წამოიძახა:

— თვითმფრინავები... ბატარეაზე უნდა გავიქცე, — გადააყირავა გზაზე მდგარი სკამები და ქოხიდან გავარდა.

ლეიტენანტის გაქცევის შემდეგ პირველი ვექილი მოვიდა გონს:

— ჩქარა, ჩქარა, მომყევით... თავშესაფარში გავიქცეთ! — დაიყვირა მან, სკამიდან წამოხტა და ქოხიდან გავარდა.

მინდვრის კიდეზე მოჩანდა თავშესაფარში ჩასასვლელი, რომლის თავზე აღმართულიყო მორებითა და სილიანი ტომრებით ნაშენი პატარა კოშკი. ვექილი გაეშურა მისკენ და კიბეზე ჩაირბინა, თან ბუტბუტებდა:

— ჩქარა, ჩქარა, ისინი ახლა ჩვენს თავზე იქნებიან.

მართლაც, ბზუილი სულ უფრო ძლიერდებოდა და საზენიტო ბატარეის სროლის ხმასაც ფარავდა; ის თითქოს მინდვრის გარშემო მდგარი ხეების უკან ისმოდა. ჩვენ შევჯგუფდით ბნელ მიწურში, რომელიც ალბათ სწორედ მინდვრის ქვეშ იყო. უეცრად ბზუილი შეწყდა.

— ეს თავშესაფარი, რასაკვირველია, ყუმბარებისაგან ვერ დაგვიცავს, — თქვა ვექილმა, მაგრამ აქ ტყვიები და ნამსხვრევები მაინც ვერ აღწევს. ჩვენს თავზე ერთი მეტრი მიწა და სილიანი ტომრებია.

-არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექით ბნელ თავშესაფარში და ხმას არ ვიღებდით; ხანდახან ჩვენამდე საზენიტო ქვემეხების ყრუ ხმა აღწევდა. მერე კი ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ბოლოს ვექილმა ოდნავ გამოაღო კარი, დარწმუნდა, რომ გარეთ სიწყნარე სუფევდა და ჩვენც გამოვედით, ვექილმა მიგვითითა სილიან ტომრებზე, ზოგიერთი მათგანი გაგლეჯილი იყო. მან მიწიდან თითის სიგრძე სპილენძის მასრა აიღო და თქვა:

— ამას შეუძლია საიქიოში გაგვისტუმროს. — მან თვალები ცას მიაპყრო. — ღმერთი გიშველით, თვითმფრინავებო, — რაც შეიძლება ხშირად მოფრინდით აქ. მინდა იმედი ვიქონიო, რომ თქვენ უკვე გაგვათავისუფლეთ ამ ლეიტენანტისაგან, რადგან ის ჭეშმარიტად მხეცი და ნადირია.

დედამ უსაყვედურა:

— ნუ ამბობ ასე, ფრანჩესკო, ისიც ხომ ადამიანია, ჩვენ კი არავისი სიკვდილი არ უნდა გვინდოდეს.

მაგრამ ვექილმა უპასუხა:

— განა ის ადამიანია? ღმერთმა დასწყევლოს თვითონაც, მისი ბატარეაც და მისი მოსვლის დღეც. თუ ის აქედან წაეთრევა, დღევანდელზე ათასჯერ უკეთეს სადილს გავმართავ და ყველას დაგპატიჟებთ.

ვექილი წყევლა-კრულვას უგზავნიდა გერმანელ ლეიტენანტს და მის ხმაში სიძულვილი ისმოდა. ბოლოს ქოხში შევედით, დავლიეთ ყავა, ვექილის დედამ გამოგვართვა კვერცხები, სამაგიეროდ კი ცოტაოდენი ფქვილი და ლობიო გაგვატანა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ და წამოვედით.

უკვე გვიან იყო, კვერცხები გადავცვალეთ და სანტ ეუფემიაში მინდოდა დაბრუნება. ბარში ჩვენ მხოლოდ უსიამოვნო შეხვედრები გვქონდა: ჯერ რუსთან, მისი ცხენებით, მერე იმ საცოდავ გიჟთან და ბოლოს ამ გერმანელ ლეიტენანტთან. გზაში მიქელემ თქვა:

— მის ნათქვამში განსაკუთრებით ერთი რამ მაბრაზებდა.

— მაინც რა?

— ის მართალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტია.

მე ვთქვი:

— მერე რა? განა არ შეიძლება ნაცისტიც ზოგჯერ მართალი იყოს?

მან თავი დახარა და მიპასუხა:

— არასოდეს.

მინდოდა მიქელესათვის მეკითხა, როგორ მოხდა, რომ ამ მძვინვარე ნაცისტს, რომელსაც ცეცხლსატყორცნით ადამიანების დაწვა სიამოვნებას ანიჭებდა, შეეძლო იმ უსამართლობის დანახვა, რაც იტალიაში ხდებოდა. მიქელე ყოველთვის გვეუბნებოდა, უსამართლობის დამნახველი ადამიანები კარგი ადამიანები არიან, საუკეთესონი, ერთადერთნი, რომლებიც მას არა სძაგს. და უცებ ეს ლეიტენანტი, თანაც ფილოსოფოსი, უსამართლობას გრძნობდა, ამავე დროს, ხალხის ხოცვა სიამოვნებას ანიჭებდა. როგორ მოხდა ეს? გამოდის, რომ სამართლიანობა არც ისე მშვენიერი რამ არის. მაგრამ ვხედავდი, რომ მიქელე ისედაც ძალიან დანაღვლიანებული იყო და არ მინდოდა ჩემი ფიქრების გაზიარებით შემეწუხებინა. გზა მთაში ადიოდა, და როცა სანტ ეუფემიაში დავბრუნდით, უკვე ბნელოდა.

თავი მეშვიდე

ტრამონტანა ისევ უბერავდა. ცა იყო სუფთა და ბროლივით გამჭვირვალე. და აი იანვრის ერთ-ერთ ასეთ დილას მე და როზეტა გაგვაღვიძა რაღაც შორეულმა, ზღვის მხრიდან მომავალმა ხმამ, რომელიც დრო და დრო მეორდებოდა. პირველი დარტყმა, სუსტი და ყრუ, გაისმა ისე, თითქოს ვიღაცამ ზეცას მუშტი შეუოჰკრაო, მას უპასუხა მეო-

რემ, მკაფიომ და ძლიერმა. ტუნფ, ტუნფ, ტუნფ — ისმოდა განუწყვეტლივ და მრისხანედ. და ეს ყრუ ხმა თითქოს უფრო მეტ მშვენებას ანიჭებდა დღეს, მზე უფრო კაშკაშებდა, ცა უფრო ლურჯი ჩანდა. ორი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა ეს გუგუნი არც დღით, არც ღამით; მესამე დღეს ჩვენთან მწყემსმა ბიჭმა მოირბინა და რაღაც დაბეჭდილი ფურცელი მოიტანა, რომელიც ბუჩქებში ეპოვნა. ეს იყო ინგლისელების მიერ გერმანელი ჯარისკაცებისათვის გერმანულ ენაზე გაძოცემული გაზეთი და რადგან გერმანულის ერთადერთი მცოდნე მიქელე იყო, გაზეთი მას მოუტანეს. მიქელემ წაიკითხა და გვითხრა, ინგლისელები რომის ახლოს, ანციოსთან გადმომსხდარან და იქ ზღვასა და ხმელეთზე დიდი ბრძოლა გაიმართაო. ინგლისელები რომისაკენ მოიწევენ და მგონი ვალეტრიმდე მისულანო. გაიგონეს თუ არა ეს, ლტოლვილები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ჰკოცნიდნენ, ულოცავდნენ ამ სასიხარულო ამბავს. საღამოს დიდხანს არ დაწოლილან, გადადიოდნენ ერთი ქოხიდან მეორეში, ლაპარაკობდნენ მოკავშირეთა გადმოსხდომაზე და უხაროდათ, რომ ის, როგორც იქნა, მოხდა.

მაგრამ შემდეგ დღეებში ახალი აღარაფერი გაგვიგია. ტერაჩინის მხრიდან კვლავ ქვემეხების სროლის ხმა ისმოდა, ჩვენ მაშინვე შევიტყვეთ, რომ გერმანელები წასვლას არ აპირებდნენ. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ პირველი ზუსტი ცნობები მივიღეთ: ინგლისელები, მართალია, გადმომსხდარიყვნენ, მაგრამ გერმანელები არ დაბნეულან და ინგლისელების შესაჩერებლად მაშინვე უთვალავი ჯარი გაუგზავნიათ; ამას სისხლისმღვრელი ბრძოლები მოჰყოლია და ინგლისელები შეუჩერებიათ. ისინი ახლა ზედ ნაპირზე, ერთ მტკაველ მიწაზე გამაგრებულიყვნენ, გერმანელები კი ამ ერთ მტკაველ მიწას უთვალავ ქვემეხს უშენდნენ და როგორც ნიშანში ისე ურტყამდნენ; ეტყობოდა ინგლისელებს მალე ისევ თავის გემებში ჩასხდომა მოუხდებოდათ, რომლებიც პლაჟის წინ ელოდნენ იმ შემთხვევისათვის, თუ გადმოსხდომა არ მოხერხდებოდა. ამ ამბების გაგონებაზე ყველანი დაღონდნენ; ლტოლვილები სანტ ეუფემიაში ახლა მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ ინგლისელებმა ხმელეთზე ბრძოლა არ იციან, რადგან ყველა მეზღვაურია, გერმანელები კი პირიქით ხმელეთზე საბრძოლველად არიანო დაბადებულნი. ამიტომ ინგლისელები ვერაფერს გახდებიან და გერმანელები ომს აუცილებლად მოიგებენო. მიქელემ სულ შეწყვიტა ლტოლვილებთან ლაპარაკი. რომ არ გავბრაზდეო, — გვითხრა მან, — ჩვენ კი

დაგვამშვიდა, გერმანელები ომს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიგებენო, და როცა ერთხელ ვკითხე, რატომ-მეთქი, მიპასუხა:

— გერმანელებმა ეს ომი დაწყებამდე წააგესო.

მინდა გიამბოთ ერთი პატარა შემთხვევა, რომელიც ნათელყოფს, თუ რა ცოტა ვიცოდით მაშინ საქმის ნამდვილი ვითარების გამო და როგორ ამახინჯებდნენ უმეტესად უწიგნური გლეხები იმ მცირეოდენსაც. რაც ჩვენამდე აღწევდა. ანციოში ინგლისელების გადმოსხდომის შესახებ დაზუსტებით არაფერი ვიცოდით და ფილიპომ, მეორე ლტოლვილთან, აგრეთვე კომერსანტთან ერთად, გადაწყვიტა პარიდესთვის ფული მიეცა, რომ ის ჩოჩარეთიდან კარგა მოშორებულ ადგილას წასულიყო; მათ გაგებული ჰქონდათ, რომ იქ ერთი მაზრის ექიმი ცხოვრობდა, რომელსაც სახლში რადიომიმღები ედგა. პარიდემ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ყურები ხომ ჰქონდა, და სხვებივით შეეძლო რადიოსათვის მოესმინა, ხოლო თუკი რამეს ვერ გაიგებდა, ექიმი აუხსნიდა, რომლის სახლშიც რადიო იდგა. გარდა ამისა, პარიდეს კიდევ ცოტაოდენი ფული მისცეს იმისათვის, რომ იქნებ გზაში რამე სანოვაგე ეყიდა: ფქვილი, ლობიო, ცხიმი, ერთი სიტყვით, რასაც იშოვიდა. ერთ მშვენიერ დღეს, ალიონზე პარიდემ შეკაზმა ვირი და წავიდა.

პარიდე სამი დღის შემდეგ შებინდებისას დაბრუნდა. ლტოლვილებმა როგორც კი დაინახეს ბილიკზე მომავალი პარიდე, რომელსაც აღვირით მოჰყავდა ვირი, ყველა მის შესახვედრად გაიქცა; ყველაზე წინ ფილიპო და მისი მეგობარი კომერსანტი მირბოდნენ, პარიდეს ფული რომ მისცეს და რადიოს მოსასმენად გაგზავნეს. უპირველეს ყოვლისა, პარიდემ გვითხრა, ვერაფერი, ან თითქმის ვერაფერი ვიშოვე იმიტომ, რომ ყველგან ისეთივე შიმშილია, როგორიც სანტ ეუფემიაში, ან კიდევ უარესიო. თქვა თუ არა ეს, პარიდემ ფაცისკენ გასწია, მას კი მთელი ხალხი უკან გაჰყვა. ფაცხაში პარიდე სკამზე ჩამოჯდა, მას გარშემო შემოუსხდნენ ოჯახის წევრები, მიქელე, ფილიპო და კიდევ ბევრი სხვა; ზოგი კი კართან იდგა, რადგან ყველას უნდოდა გაეგო, რა მოისმინა პარიდემ რადიოთი, ფაცხაში კი მეტი ადგილი აღარ იყო.

პარიდემ გვიამბო, რადიოს მოვუსმინე, მაგრამ ინგლისელების გადმოსხდომაზე ბევრი არაფერი უთქვამთო, მხოლოდ ისა თქვეს — გერმანელები და ინგლისელები თავის პოზიციებს იცავენ და ადგილიდან არ იძვრიანო. პარიდეს ულაპარაკია ექიმთან და ბევრ სხვასთან, ვისაც

მანამდეც უსმენიათ რადიოსათვის და გაუგია ამ გადმოსხდომის მარცხის მიზეზი. ფილიპომ იკითხა — რა მიზეზიაო. პარიდემ მშვიდად უპასუხა, დამნაშავე ერთი ქალი ყოფილაო. ჩვენ ყველას ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ პარიდემ თხრობა განაგრძო და გვამცნო: ამერიკელი ადმირალი, რომელიც გადმოსხდომას ხელმძღვანელობდა, სინამდვილეში გერმანელი ყოფილა, მაგრამ ეს არავის სცოდნია. ადმირალს მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყოლია, რომელიც ევროპაში მყოფი მთელი ამერიკული ჯარის გენერლის შვილის საცოლე ყოფილა. მაგრამ გენერლის შვილს, რომელიც ამავე დროს ვასალიც იყო, შეურაცხყოფა მიუყენებია ადმირალისათვის, მისი ქალიშვილი არ უთხოვია, მთელი საჩუქრები და ბეჭედი დაუბრუნებია და სხვა ქალიშვილი შეურთავს. მაშინ ადმირალს, დაწუნებული ქალიშვილის მამას, გერმანელი რომ იყო, შურისძიება მოუნდომებია და გერმანელებისათვის ჯარის გადმოსხდომის ამბავი საიდუმლოდ შეუტყობინებია. ამიტომ, როცა ინგლისელებმა ანციოში გადმოსხდომა დაიწყეს, გერმანელები თავისი ქვემეხებით უკვე იქ ელოდებოდნენ. მხოლოდ ახლა გამოირკვა, რომ ადმირალი გერმანელი ყოფილა, თუმცა ამერიკელად ასაღებდა თავს. იგი მაშინვე დაიჭირეს და მალე გაასამართლებენ, უკვე ყველამ იცის, რომ აუცილებლად დახვრეტენო.

პარიდეს მოტანილმა ამბავმა მსმენელები ორ ბანაკად გაყო; გულუბრყვილონი თავის ქნევით იმეორებდნენ:

— ყოველთვის ყველაფერში ქალია გარეული... ტყუილად კი არ იტყვიან, სადაც ეშმაკი ვერ მივა, იქ ქალს გაგზავნისო.

სხვები კი აღშფოთებულნი ამბობდნენ, რადიოთი ასეთ სისულელეს ვერ იტყოდნენო. მიქელემ ერთი-ღა ჰკითხა პარიდეს:

— შენ დარწმუნებული ხარ, რომ ეს ცნობები რადიოთი გადმოსცეს?

პარიდემ უპასუხა: ექიმმაც და სხვებმაც დამიდასტურეს, ეს ამბები „ლონდონის ხმამ“ გადმოსცაო. მიქელემ მიუგო:

— იქნებ შენ ეგ ბაზარში ვინმე მეზღაპრემ გიამბო?

— რომელმა მეზღაპრემ?

— ეს ისე ვთქვი. ერთი სიტყვით, ეს განო მაგანცელის თავგადასავლის ახალი ვერსიაა. მეტისმეტად საინტერესო ამბავია, რაღა მეთქმის.

პარიდე ირონიას ვერ მიხვდა და გაიმეორა, რომ მის მიერ მოტანილი ცნობები რადიოთი გადმოსცეს, ამის გარანტიას ვიძლევიო. ცოტა მოგვიანებით მიქელეს ვკითხე, ვინ იყო განო მაგანცელი-მეთქი და მან ამიხსნა, რომ ეს იყო გენერალი, რომელიც მრავალი საუკუნის წინათ

ცხოვრობდა და თურქებთან ბრძოლის დროს თავის იმპერატორს უღალატა. მაშინ ვუთხარი:

— ხომ ხედავ, თურმე ასეთი რამ ხდება ხოლმე. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ პარიდე მართალია, მაგრამ მთლად დაუჯერებელიც როდია. მიქელემ გაიცინა და მითხრა:

— ურიგო არ იქნებოდა ასეთი ამბები დღესაც ხდებოდეს.

იმის გამო, რომ ინგლისელების გადმოსხდომა ამა თუ იმ მიზეზით მარცხიანი აღმოჩნდა, ცდის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა. არის ასეთი ანდაზა: სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე დანაპირების ცდაო. ჩვენც სანტ ეუფემიაში მთელი იანვარი და თებერვალი ნელ-ნელა ვკვდებოდით. დღეები მიდიოდა ერთფეროვნად, ახალი არაფერი არ ხდებოდა, ყოველი დღე წინა დღეს გავდა. ვდგებოდით დილით, ვაპობდით შეშას, ვანთებდით ცეცხლს, ვამზადებდით საუზმეს, ვჭამდით და მერე ვახშმობამდე მაჩერაზე დავეხეტებოდით დროის გასაყვანად. გარდა ამისა, ყოველდღე მოდიოდნენ თვითმფრინავები და ყუმბარებს ყრიდნენ, აგრეთვე დილიდან საღამომდე, და საღამოდან დილამდე ანციოდან ისმოდა ქვემეხების შეუსვენებელი გრიალი; ჩანს ისინი ვერასოდეს ვერ აღწევდნენ მიზანს, რადგან, როგორც გაგებული გვქონდა, არც გერმანელები და არც ინგლისელები თავიანთი პოზიციებიდან ფეხს არ იცვლიდნენ. ერთი სიტყვით, დღეები ერთმანეთს გავდა, მაგრამ სულწასული იმედი მათ უფრო მტანჯველად, მოსაწყენად, დაუსრულებლად და მომქანცველად ხდიდა. იგივე დრო, რომელიც სანტ ეუფემიაში ჩამოსვლის პირველ დღეებში ასე სწრაფად გარბოდა, ახლა მიიზლაზნებოდა და ეს ნამდვილი ცოდვის კითხვა იყო.

მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც საჭმელზე გაუთავებელი ლაპარაკი იყო. რაც უფრო ნაკლები იყო საჭმელი, მით უფრო მეტს ლაპარაკობდნენ მასზე. ამ ლაპარაკში მოჩანდა უკვე არა იმ ადამიანთა სევდა, ვინც ცუდად იკვებებოდა, არამედ იმათი შიში, ვისაც საჭმელი არა ჰყოფნიდა. ახლა ყველანი მხოლოდ დღეში ერთხელ ჭამდნენ და მეგობრებს სადილად აღარ ეპატიჟებოდნენ.

— ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო, — ამბობდა ფილიპო.

ფულიანი ხალხი შედარებით ნაკლებად იტანჯებოდა, მაგრამ ასეთები ცოტანი ვიყავით — მე და როზეტა, ფილიპო ოჯახით და კიდევ ერთი ლტოლვილი, რომელსაც ჯერემია ერქვა. მაგრამ ჩვენც ვგრძნობდით,

რომ მალე დადგებოდა დღე, როცა ფულითაც ვერაფერს ვიშოვიდით, გლეხებმა კი, რომლებიც თავიდან ფულს ასე დახარბებული იყვნენ, რადგან მშვიდობიან დროს ფული თვალითაც არ ენახათ, ახლა ჭკუა ისწავლეს და შეიგნეს, რომ სურსათი ფულზე ძვირია. მოღუშულები, ნიშნის მოგებით, ისინი ამბობდნენ:

— ჩვენი დროც დადგა, ჩვენი, გლეხებისა... ახლა ძალა ჩვენს ხელშია, რადგან სურსათი ჩვენი გვაქვს... ფული კი არ იქმევა.

მაგრამ მე ვიცოდი, ისინი მხოლოდ ტრაბახობდნენ: პროდუქტები მათაც ცოტა ჰქონდათ. ესენი ხომ ღარიბი მთიელი გლეხები იყვნენ, რომლებსაც ახალ მოსავლამდე ძლივს გაჰქონდათ თავი. აპრილში და მაისში მათაც უხდებოდათ ქისის გახსნა და სურსათის ყიდვა, რომ ივლისამდე როგორმე გაეძლოთ.

როგორ ვიკვებებოდით? დღეში ერთხელ ვჭამდით წყალში მოხარშულ ცოტაოდენ ლობიოს, რომელსაც ერთ პატარა კოვზ ღორის ქონსა და ერთი ბეწო პომიდორის წვენს ვუშვრებოდით, პატარა ნაჭერ თხის ხორცსა და რამდენიმე ცალ ლეღვის ჩირს. დილაობით, როგორც უკვე ვთქვი, ერთ-ორ ძირტკბილას ან ერთ თავ ხახვსა და პაწაწინა პურის ნატეხსა ვჭამდით. უფრო ცუდად მარილის საქმე გვქონდა და ეს საგრძნობლად გვაწუხებდა, უმარილო საჭმელი ხომ ყელში არ გადადის, მისგან გული გერევა, უგემური და ტკბილი გეჩვენება, როგორც დამპალი ლეში. ზეითუნის ზეთი სრულებით აღარა მქონდა, ღორის ქონიც თითქმის გამომელია. მართალია, ხანდახან ბედი გვწყალობდა: ერთხელ ორი კილო კარტოფილის ყიდვა მოვახერხე, მეორედ მწყემსებისგან ქვასავით მაგარი, მაგრამ გემრიელი ცხვრის მლაშე ყველი ვიყიდე, რომელიც ოთხას გრამს იწონიდა. ეს ნამდვილი ბედნიერება იყო, რომელიც ძალიან იშვიათად ხდება და მას ვერ დაენდობი.

დადგა მარტი და ბუნებაში სულ უფრო იგრძნობოდა გაზაფხული. ერთხელ დილით, როცა მაჩერიდან ქვემოთ ვიყურებოდით, მთის ფერდობზე ნუშის პირველი თეთრი ყვავილები შევამჩნიეთ; ისინი ღამით გაშლილიყვნენ, თითქოს სიცივისაგან ეკანკალებდნენ და მტრედისფერ ნისლში თეთრ ლანდებსა ჰგავდნენ. ჩვენ, ლტოლვილებმა, ეს ბედნიერ წინასწარმეტყველებად მივიჩნიეთ: მოვიდა გაზაფხული, გზები მალე გაშრება და ინგლისელებიც ისევ შეტევაზე გადავლენ. მაგრამ გლეხები თავს აქნევდნენ, მათ იცოდნენ — გაზაფხულს შიმშილი მოჰყვება, — იცოდნენ თავიანთი მწარე გამოცდილებით, რომ მარაგი ახალ

მოსავლამდე არ ეყოფოდათ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი დაეზოგათ, რასაც შეხვდებოდნენ, იმას ჭამდნენ და ძირითად მარაგს ჯერჯერობით ხელს არ ახლებდნენ. პარიდე, მაგალითად, ბუჩქებში ხაფანგებს აგებდა გულწითელებისა და ტოროლების დასაჭერად. მაგრამ ეს ჩიტები ისეთი პატარები იყვნენ, რომ ოთხი ცალი მაინც უნდა შეგეჭამა, მათი გემო რომ გაგეგო. პარიდე ხაფანგით ამ მხარეში გავრცელებულ პატარა წითელი ფერის მელიების დაჭერასაც ცდილობდა. მათ ატყავებდნენ და რამდენიმე დღეს წყალში ალბობდნენ, რათა ხორცი დარბილებულიყო, მერე კი აშზადებდნენ ცხარე წვენით შეკაზმულს, რომელიც ნანადირევის გემოს უკარგავდა. მთავარი საკვები ამ დროს ფხალი იყო. მაგრამ ის ფხალი კი არა, რომელსაც რომში ჭამენ, აქ ფხალს ყოველგვარ საჭმელ ბალახს ეძახიან. მეც სულ უფრო ხშირად მივმართავდი ამ ეგრეთწოდებულ ფხალს, რომელსაც როზეტასთან და მიქელესთან ერთად მაჩერებზე ვკრეფდით. დილით ადრე ვდგებოდით, მიგვქონდა დანები და ჩანთები, მივყვებოდით მთის ფერდობს ზევით, ან ქვევით და სხვადასხვა ბალახს ვჭრიდით. ვერც კი წარმოიდგენთ რამდენი საჭმელი ბალახი არსებობს, თითქმის ყოველი ბალახი იჭმევა. მე ვიცნობდი ზოგიერთ ბალახს, რადგან ჯერ კიდევ ბავშვობაში მიკრეფია, მაგრამ მერე თითქმის სულ დამავიწყდა მათი სახელებიც და ისიც, თუ როგორ გამოიყურებოდნენ. პირველად პარიდეს ცოლი ლუიზა წაძყვა, რომ ეჩვენებინა ჩემთვის ეს ბალახები და ძალე გლეხებზე ნაკლებად როდი ვერკვეოდი, ვიცოდი ფხალის სხვადასხვა სახეობა, სახელი და შესახედავადაც ვიცნობდი მათ. ზოგიერთი აქამდე მახსოვს: მუქმწვანე, ძალიან ნაზღეროიანი და ნაზფოთლიანი კრისპინი, რომელსაც ქალაქცლები კრეშონს ეძახიან, მომწვანო-მოლურჯო ფერის კურდღლის ბალახი, გრძელი და ხორციანი ფოთლებით, რომელიც მაჩერებზე ქვებს შორის იზრდებოდა, ოროვანდის განსაკუთრებული ჯიში, რომელსაც ძირზე ოთხი-ხუთი ფოთოლი აქვს ხოლმე, მისი ბრტყელი, ბანჯგვლიანი ფოთლები მიწას ეკვრის, მას მომწვანო-ყვითელი ფერი აქვს, ნაძდვილი ფხალი — ვარდკაჭაჭა, გრძელღეროიანი, დაკბილული, წვეტიანი ფოთლებით, მრავალძარღვა, ტყის პიტნა და კიდევ მრავალი სხვა. ჩვენ, როგორც ვთქვი, მაჩერაზე ზევით-ქვევით დავდიოდით, ძალიან ბევრნი ვიყავით, რადგან ყველანი ფხალს კრეფდნენ. მთის ფერდობები მეტისმეტად უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა, ზედ ხალხი შესეოდა, მიწას ჩასცქეროდნენ და ნელ-ნელა მოძრაობდნენ, როგორც ძიცვალებულთა

სულები ჯოჯოხეთში. ეს ხალხი თითქოს რაღაც დაკარგულ ნივთს ეძებდა, სინამდვილეში კი შიმშილი აძებნინებდა იმას, რაც არასოდეს არ დაუკარგავთ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ იპოვნიდნენ. ფხალის კრეფა ბევრ დროს გვართმევდა — ორ-სამ საათსა და ზოგჯერ მეტსაც; ერთი თეფში საჭმლის გასაკეთებლად მთელი კალთა ბალახი უნდა დაგვეკრიფა; მაგრამ მალე ბალახიც გამოილია და ყველას ვეღარ ჰყოფნიდა, ამიტომ სახლიდან შორს წასვლა და ფხალეულის დიდხანს ძებნა გვიხდებოდა. ამ შრომის შედეგი კი სრულიად უმნიშვნელო იყო; ფხალს წყალში ვხარშავდით და რამდენიმე კალთა ბალახიდან მხოლოდ ორი-სამი ფორთოხლისხელა მწვანე გუნდა გამოდიოდა. მერე ქონწასმულ ტაფაზე ვშუშავდით. ასეთი საჭმელი ნოყიერი თუ არ იყო, სტომაქს მაინც გვივსებდა და შიმშილს გვიოკებდა. ფხალის კრეფა ისე გვღლიდა, რომ ფეხზე ძლივს ვიდექით და მთელი დღე ვეღარაფერს ვერ ვაკეთებდით. ღამე კი, როცა როზეტას გვერდით ფუჩეჩის ხმელ ლეიბზე ვწვებოდი, ისევ ფხალი მელანდებოდა, ფხალის უთვალავი ღეროები როკავდნენ ჩემს თვალწინ და არ მაძინებდნენ, სანამ ბოლოს ამ ვაგლახ ძილბურანში არ მეჩვენებოდა, რომ ფხალში გადავეშვი და ვიძინებდი.

მაგრამ ყველაზე უსიამო იმ დროს, როგორც უკვე აღვნიშნე, საჭმელზე გაუთავებელი ლაპარაკი იყო, რითაც ლტოლვილები კუჭის მოტყუებას ცდილობდნენ. კაი ჭამა-სმა მეც მიყვარს, ვაღიარებ, რომ ჭამა ძეტად მნიშვნელოვანი რამ არის: თუ არ ჭამე, ვერც ძუშაობას შეძლებ და ვერც თვით ამ საჭმლის შოვნას მოახერხებ. მაგრამ მაინც არის უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო სალაპარაკო თემები — ამას ყოველთვის მიქელეც გვიმეორებდა, და ესეც რომ არ იყოს, მშიერ კუჭზე საჭმელზე ლაპარაკი ორმაგი ტანჯვაა. ერთდროული ფიქრი შიმშილსა და მაძღრობაზე. საჭმლის შესახებ ყველაზე მეტს ფილიპო ლაპარაკობდა. ხანდახან მაჩერაზე რომ გავივლიდით, ვხედავდით, ლტოლვილებით გარშემორტყმულ ქვაზე ჩამომჯდარ ფილიპოს, და როცა ვუახლოვდებოდი, მესმოდა:

— გახსოვთ? საკმარისი იყო ტელეფონით დაგერეკა ნეაპოლში და რესტორანში სადილს შეუკვეთავდი. მერე ოთხი ან ხუთი კაი მჭამელი კაცი ვსხდებოდით მანქანაში და ნეაპოლში მივდიოდით. სუფრაზე პირველ საათზე ვსხდებოდით და მხოლოდ ხუთ საათზე ვდგებოდით. რასა ვჭამდით? მაკარონს თევზის წვენით, რომელიც წვრილად დაკეპი-

ლი თევზით, კიბორჩხლებითა და ხამანწკით იყო შეკაზმული; შემწვარ ან მოხარშულ ოქროს თევზს, ანდა კეფალს მაიონეზით; ტინუსებს ცერცვით, ან თხლად დაჭრილ და ნაკვერჩხალზე მოხრაკულ თევზძახვილას ან თევზზღარბას. ან სხვა რომელიმე თევზს; რვაფეხას, რომელიც ისეთი გემრიელია, თუ წესიერად მოამზადებ, ერთი სიტყვით, ორი-სამი საათის განმავლობაში ყოველგვარი ხარისხის, სხვადასხვანაირად მოამზადებულ თევზეულს ვჭამდით. სუფრასთან ვსხდებოდით კოხტად, რიგიანად ჩაცმულები, ხოლო ვდგებოდით გახსნილი ჟილეტებითა და შეხსნილი ქამრებით; ისე ვაბოყინებდით, რომ ფანჯრები ზანზარებდა. თითოეული ორ-სამ კილოს ვიმატებდით. ღვინოს კი ყოველი ჩვენგანი ორ-ორ ლიტრს მაინცა სვამდა. არ ვიცი, გვეღირსება კი ოდესმე ასეთი ჭამა-სმა?

მაშინ ვინმე იტყოდა:

— ინგლისელები მოვლენ და ისევ ყველაფერი გვექნება, ფილიპო.

ერთხელ, ჭამა-სმაზე ასეთი ლაპარაკის დროს, მიქელესა და ფილიპოს შორის კამათის მოწმე გავხდი. ფილიპო ამბობდა:

— ...ნეტავ ახლა კარგად გასუქებული ღორი მყავდეს, ახლავე დავკლავდი და მაშინვე სქელ-სქელ, მსუქან, თითის სიმსხო ბივშტექსებს გავაკეთებდი, თვითეული ნახევარ კილოს რომ იწონის... თქვენც კარგად იცით: ნახევარ კილო ღორის ხორცს შეუძლია ადამიანი გაკოცხლოს.

მიქელემ, რომელიც შემთხვევით ახლოს იყო, გაიგონა მამის ლაპარაკი და უეცრად თქვა:

— ეს ძალიან დაემსგავსებოდა კანიბალიზმს.

— რატომ?

— იმიტომ რომ, ამრიგად, ღორი ღორს შეჭამდა.

ფილიპოს, რასაკვირველია, არ მოეწონა, რომ შვილმა ღორი უწოდა, საშინლად გაწითლდა და სიტყვების ჩამარცვლით თქვა:

— შენ მშობლების პატივისცემა არა გაქვს.

მიქელემ კი მიუგო:

— არათუ პატივისცემა, მესირცხვილება კიდეც.

ფილიპო დააბნია შვილის მკაცრმა და მტკიცე კილომ. ცოტა რომ დამშვიდდა, უთხრა:

— შენ რომ მამა არა გყოლოდა, რომელიც შენს სწავლაში ფულს

იხდიდა, ვერც ისწავლიდი და აღარც შეგრცხვებოდა ასეთი მამის ჯოლა. ყველაფერში თვითონა ვარ დამნაშავე.

მიქელე ერთხანს დუმდა და მერე უთხრა:

— შენ მართალი ხარ. თქვენთვის ყური არ უნდა მეგდო. ვეცდები თქვენგან მოშორებით ვიყო. მაშინ შეგიძლიათ, რამდენიც გინდათ, იმდენი ილაპარაკოთ საქმელზე.

ჩვენი აქ ყოფნის დროს ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ შვილი მამის სიმართლეს აღიარებდა და გულაჩუყებულმა ფილიპომ შემრიგებლური კილოთი უთხრა:

— თუ გინდა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ... შენ მართალი ხარ, მუდამ მხოლოდ ჭამაზე რატომ უნდა ვლაპარაკობდეთ, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

მაგრამ მიქელე უეცრად გაბრაზდა, გველნაკბენივით წამოხტა და წამოიძახა:

— კარგი! მაგრამ რაზე ვილაპარაკებთ? იმაზე თუ რას გავაკეთებთ ინგლისელების მოსვლის შემდეგ? დოვლათზე? ვაჭრობაზე? მენახევრის მიერ მოპარულ ნივთებზე? რაზე ვილაპარაკებთ, რაზე?

ამაზე ფილიპომ არ იცოდა რა ეპასუხა, იმიტომ, რომ მას მხოლოდ ასეთ თემებზე შეეძლო ლაპარაკი. მიქელემ ყველა თემა ჩამოთვალა, მან კი სხვა ვერაფერი მოისაზრა. მიქელე წავიდა. როცა ფილიპო დარწმუნდა, რომ შვილი მას ვერა ხედავდა, ხელი ჩაიქხია.

„ ჩემი შვილი ორიგინალია და უნდა შეეგეგუოთ ამას“ — აი რას ნიშნავდა ეს ჟესტი. ლტოლვილები შეეცადნენ დაემშვიდებინათ იგი:

— შენმა შვილმა, ფილიპო, ძალიან ბევრი იცის... ფული, რომელიც მის განათლებაზე დაგიხარჯავს კარგი კაპიტალდაბანდებაა... ეს მთავარია. დანარჩენი კი ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

იმ დღესვე მიქელემ სინანულით გვითხრა:

— მამაჩემი მართალია, მე მას პატივს არა ვცემ. მაგრამ როცა იგი ჭამაზე ლაპარაკობს, გონება მიბნელდება და თავს ვეღარ ვიკავებ.

მე ვკითხე, რატომ ბრაზობდა ასე, როცა მამამისი საქმელზე ლაპარაკობდა. ის დაფიქრდა და მიპასუხა:

— თუკი იცი, რომ ხვალ მოკვდები, ილაპარაკებ საქმელზე?

— არა.

— ჩვენ კი სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვართ, ხვალ ან მრავალი

წლის შემდეგ უთუოდ მოვკვდებით. მაშ სიკვდილის მოლოდინში რატომ უნდა ვილაპარაკოთ ან ჩავიდინოთ სისულელეები?

მე კარგად ვერ გავიგე მისი აზრი და ჩაციებით შევეკითხე:

— მაშ რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

ის კიდევ ცოტახანს დაფიქრდა და მიპასუხა:

— ამჟამად ჩვენს მდგომარეობაში მყოფთ უნდა გველაპარაკა, მაგალითად, იმ მიზეზებზე, რომელთა გამო ჩვენ ამ მდგომარეობაში ჩავცვივდით.

— რა მიზეზებია ეს?

მან გაიცინა და მიპასუხა:

— თითოეულს საკუთრად, დამოუკიდებლად უნდა მოეძებნა ეს მიზეზები. — მე ვუთხარი კიდევ:

— იქნებ ეს ასეც იყოს, მაგრამ მამაშენი სწორედ იმიტომ ლაპარაკობს საჭმელზე, რომ ის არ მოიპოვება და ჩვენც ამიტომ იძულებული ვართ მასზე ვიფიქროთ.

მიქელემ მიპასუხა:

— შესაძლებელია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მამაჩემი ყოველთვის ლაპარაკობს საჭმელზე, მაშინაც კი, როცა საჭმელი ყველასა აქვს.

საჭმელი კი მართლაც არ იყო, მარაგი თავდებოდა და ყველანი ცდილობდნენ თავისთვის შეენახათ ის მცირედი, რაც კიდევ ჰქონდათ. ყველანი ისე იქცეოდნენ, თითქოს მეტი არაფერი არ გააჩნდათ. ფილიპო, მაგალითად, თითქმის ყოველდღე ეუბნებოდა მასზე ღარიბ ლტოლვილებს:

— ფქვილი და ლობიო ერთ კვირაზე მეტს არ მეყოფა, მერე კი ღმერთი მიშველის.

ეს ტყუილი იყო. ყველამ იცოდა, რომ მას ჯერ კიდევ ჰქონდა ერთი ტომარა ფქვილი და ერთი პარკი ლობიო. მას კი ეშინოდა, რომ მოპარავდნენ და შინ არავის არ ეპატიჟებოდა. დღისით კი კეტავდა კარს, გასაღებს ჯიბეში იდებდა და გასაღებიანად მაჩერაზე სახეტიალოდ მიდიოდა. გლეხებს ნამდვილად გაუთავდათ მარაგი, დადგა დრო, როცა ისინი მიდიოდნენ ხოლმე ტერაჩინაში და სანოვაგეს ყიდულობდნენ, რომ ანალ მოსავლამდე როგორმე გაეძლოთ. მაგრამ, ეტყობა, იმ წელს ტერაჩინაში უარესი შიმშილი იყო, ვიდრე სანტ ეუფემიაში. გარდა ამისა, ყველგან გერმანელები დაძრწოდნენ, რომლებსაც ყველაფერი

მიჰქონდათ, რაც კი ხელთ ხვდებოდათ, იმიტომ კი არა, რომ ყველა არამზადა და ქურდი იყო, არამედ იმიტომ, რომ ომი მძვინვარებდა და ისინი ომობდნენ, ხოლო ომში კიდეც კლავენ და კიდეც ქურდობენ. ერთხელ მოვიდა ჩვენთან გერმანელი ჯარისკაცი, ვითომ ისე, სასეირნოდ. გერმანელი მარტო იყო, თან უიარაღოდ. შავგვრემანი, მრგვალი, კეთილი სახისა და მოუსვენარი, ოდნავ სევდიანი ცისფერი თვალებით. იგი დიდხანს დახეტიალობდა ქოხებს შუა და ელაპარაკებოდა გლეხებსა და ლტოლვილებს. ეტყობოდა, მას არავითარი ცუდი განზრახვა არა ჰქონდა და სიმპათიითაც კი ეკიდებოდა მთელ ამ საწყალ ხალხს. მან გვიამბო, რომ მშვიდობიან დროს თავის სოფელში მჭედელი იყო და ძალიან კარგად უკრავდა გარმონს. მაშინ ერთმა ლტოლვილმა თავისი გარმონი გამოუტანა, გერმანელი ჩამოჯდა ქვაზე და პირდაღებული ბავშვებით გარშემორტყმული დიდხანს უკრავდა. იგი მართლაც კარგი დამკვრელი იყო, ბევრი სიმღერა დაგვიკრა, სხვათა შორის „ლილი მარლენიც“, რომელსაც მაშინ ყველა გერმანელი ჯარისკაცი მღეროდა. ეს ძალიან ნაღვლიანი სიმღერაა. ვუსმენდი და ვფიქრობდი, რომ გერმანელები, რომლებიც მიქელეს ასე ეჯავრებოდა და ადამიანებადაც კი არ თვლიდა, ისეთივე ხალხი იყო, როგორც ჩვენ. მათაც ჰყავდათ ცოლ-შვილი, მათაც ეჯავრებოდათ ომი, რომელმაც ისინი სახლ-კარს და ოჯახს მოწყვიტა. „ლილი მარლენის“ შემდეგ გერმანელმა კიდევ რამდენიმე სიმღერა დაგვიკრა, ისინი ყველა ნაღვლიანი, მაგრამ ამავე დროს საზეიმოც იყო, ზოგიერთი კი ისეთი რთული, რომ საკონცერტო მუსიკას ჰგავდა. იგი უკრავდა თავდახრილი, მსუბუქი თითები კლავიშებზე დაფრინავდნენ, მისი პოზა ამჟღავნებდა, რომ ის სერიოზული კაცი იყო და ესმოდა ცხოვრების ავ-კარგი. ჩანდა, რომ არავინ სძულდა, ხოლო მისი ნება რომ ყოფილიყო, ომს ახლავე თავს დაანებებდა. იგი ასე თითქმის მთელ საათს უკრავდა, ხოლო როცა მიდიოდა, ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა და დამტვრეული იტალიურით უთხრა:

— ნუ გეშინიათ, ომი მალე გათავდება.

ბილიკი, რომლითაც ის ქვევით დაეშვა, გადიოდა ქოხთან, სადაც ერთი ლტოლვილი ცხოვრობდა. ჰოდა, ამ ლტოლვილს ღობეზე თავისი ლამაზი, თეთრ-წითელი კუბოკრული ხალათი გაეფინა. ქვემოთ მიმავალი გერმანელი ღობესთან შეჩერდა, ხელით მოსინჯა ნაჭრის ხარისხი, თავი გადააქნია და გზა განაგრძო. მაგრამ ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ის კვლავ გამოჩნდა ქოხთან, აღმართზე სირბილისაგან აქოშინე-

ბული, სტაცა ხელი ხალათს, ამოიჩარა იღლიაში და მოჰკურცხლა. გესმით? ის გარმონზე უკრავდა, ბავშვებს ეფერებოდა და ჩანდა, რომ კარგი კაცი იყო. მაგრამ წასვლის დროს ხალათი დაინახა, რომელიც ძალიან მოეწონა, მასზე ფიქრი დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ მიდიოდა ქვევით მანამ, სანამ ცდუნებამ არ აჯობა სინდისს. მაშინ ის დაბრუნდა და ხალათი წაიღო. როცა გარმონზე უკრავდა, ის მშვიდობიანი დროის მშედელი იყო, ხოლო მერე ისევ ჯარისკაცი გახდა, რომელმაც არ იცის განსხვავება ჩემსა და შენს შორის, არავის და არაფერს პატივს არა სცემს, — აი მაშინ იქურდა, ერთი სიტყვით, როგორც უკვე ვთქვი, ომში არა მარტო კლავენ, არამედ ქურდობენ კიდეც; ადამიანს, რომელიც მშვიდობიან დროს არაფრის გულისთვის არც იქურდებს და არც მკვლელობას ჩაიდენს, ომის დროს, გულის სიღრმეში ყველა კაცისთვის დამახასიათებელი მკვლელობისა და ძარცვის ინსტინქტური სურვილი ებადება. ეს სურვილი იმიტომ ებადება, რომ აქეზებენ, არწმუნებენ, ეს კარგი ინსტინქტია და შენ უნდა დაემორჩილო მას, თორემ ნამდვილი ჯარისკაცი არ იქნებიო, და ადამიანი დაახლოებით ასეთ მსჯელობას იწყებს: „ახლა ომია... როცა კვლავ მშვიდობა დამყარდება, მე ისევ ისეთი გავხდები, როგორიც ვიყავი... ახლა კი ყველაფრის უფლება მაქვს“. სამწუხაროდ, ჩემის აზრით, ადამიანი, რომელმაც იქურდა ან მკვლელობა ჩაიდინა, თუნდაც ომის დროს, არასოდეს აღარ იქნება ისეთი, როგორიც წინათ იყო. ეს იმას გავს, რომ ქალწულმა ვინმეს უფლება მისცეს ქალწულობა წაართვას იმ იმედით, რომ იქნებ რაიმე სასწაულით მერე ისევ ქალწული გავხდეო, მაგრამ ასეთი სასწაულები არასოდეს არა ხდება. ის, ვინც ერთხელ მაინც ქურდი და მკვლელი გახდა, ქურდად და მკვლელად დარჩება სამუდამოდ, თუნდაც სამხედრო ფორმას ატარებდეს და მკერდი მედლებით ჰქონდეს დაფარული.

გლეხებმა იცოდნენ, რომ გერმანელებს ჩვეულებად ჰქონდათ ყველაფრის წაღება, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, ამიტომ პატარა ბიჭების საშუალებით გადამცემი საგუშაგოების მაგვარი რამ მოაწყვეს, რომლებიც სანტ ეუფემიიდან ბარამდე ხმის მისაწვდომ მანძილზე უნდა ყოფილიყო ერთმანეთს დაშორებული. როგორც კი მთის ბილიკზე გერმანელი გამოჩნდებოდა, პირველი ბიჭი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირებდა:

— მალარია!

მეორე, რომელიც უფრო ზემოთ იყო, იმეორებდა:

— მალარია! და ასე შემდეგ, სანამ ეს ნიშანი „მალარია“ სანტ ეუფემიამდე არ მოაღწევდა და იქ ალიაქოთი არ ატყდებოდა: ზოგი ფქვილის ტომარას მიარბენინებდა, ზოგი ლობიოს პარკს, ერთი ქონის ქილას, მეორე—ძეხვის ასხმულას. ყველაფერ ამას ბუჩქებში და გამოქვაბულებში მალავდნენ. ხანდახან გერმანელი მართლაც მოდიოდა — არავინ იცოდა, რისთვის დაეხეტებოდა ქოხებს შორის, ყველანი კი უკან დასდევდნენ, როგორც ნამდვილი პროცესიის დროს და მატრაბაზობდნენ. ხელები პირთან მიჰქონდათ, თითქოს ამბობდნენ — გვშიანო. მაგრამ უფრო ხშირად ეს ფუჭი განგაში იყო ხოლმე, არავინ მოდიოდა, ლტოლვილები დაახლოებით კიდევ ერთ საათს ლოდინში ატარებდნენ, მერე შვებით ამოისუნთქავდნენ და სამალავებიდან თავიანთი მარაგის გამოტანას იწყებდნენ.

ჩემი მარაგიც დასასრულს უახლოვდებოდა, პროდუქტები არსად არ იშოვებოდა და მე უკიდურეს საშუალებას მივმართე: გადავწყვიტე სურსათი სადმე სხვაგან მომეძებნა — ფული მქონდა, იქნებ სხვაგან მეშოვა რამე. და აი ერთ მშვენიერ დილას, ძალიან ადრე, ჩვენ — როზეტა, მიქელე და მე გზას გავუდექით. გეზი მთის სოფელ შავი ქვისკენ ავიღეთ, რომელიც ჩვენგან ოთხი საათის სავალზე იყო. განზრახული გვქონდა შუადღისათვის იქ მივსულიყავით. რასაც ვიშოვიდით გვეყიდა, გვესაუზმა და საღამოს სანტ ეუფემიაში დავბრუნებულიყავით.

სახლიდან გამოვედით, როცა მზე მთებიდან ჯერ არ ამოწვერილიყო, თუმცა დიდი ხანია ინათა. უბერავდა ცივი ეგრეთწოდებული „თოვლის“ ქარი, რომლისგანაც ცხვირები და ყურები მაშინვე გაგვეყინა; უღელტეხილზე მართლაც თოვლი იდო, თეთრი ლაქები ზურმუხტოვან ბალახზე დნებოდა. მაგრამ როგორც კი მზე ამოვიდა, უცებ დათბა. თეთრი ლაქებით დაფარული ჩოჩარეთის მთების პანორამა ისეთი ლამაზი იყო, რომ ჩვენ რამდენიმე წუთით შევჩერდით, რათა დავმტკბარიყავით სანახაობით. მახსოვს, მიქელემ უნებურად ამოიოხრა და თქვა:

— მაინც, რა კარგია იტალია!

მე სიცილით ვუთხარი:

— შენ ამას ისე ამბობ, მიქელე, თითქოს არ მოგწონს.

მან კი მითხრა:

— სწორედ ასეა, ეს მე ცოტათი მწყინს იმიტომ, რომ სილამაზე — ცდუნებაა.

გადავიარეთ უღელტეხილი და კლდეებს შორის ბილიკს გავყევით. პირველად ბილიკი ძლივს მოჩანდა, როგორც ბუნდოვანი კვალი ბალახზე, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა და მთის თხემს ისე მიჰყვებოდა, რომ მის ორივე მხარეს ხრამი იყო, ერთი პირდაპირ ფონდიში ჩადიოდა, მეორე, ნაკლებად ღრმა, ბუჩქნარით დაფარული უდაბურ ხეობაში ეშვებოდა. გველივით დაკლაკნილი ბილიკი დიდხანს მიჰყვებოდა მთების თხემებს, მერე თანდათან ქვევით, მუხნარით და ბუჩქნარით დაფარულ ამ უდაბურ ხეობაში ჩაგვიყვანა; ჩვენ პირდაპირ ხეობის ფსკერზე დავეშვით, რომელიც სრულიად უკაცრიელ ხრამს უფრო ჰგავდა და დიდხანს მივყვებოდით ნაკადულს, ბუჩქებში რომ მიიკლაკნებოდა და თავისი რაკრაკით ამ ადგილის მყუდროებას არღვევდა. ბილიკი ხრამის მეორე ფერდობს აჰყვა და მეორე უღელტეხილზე მიგვიყვანა, მერე ისევ ცოტათი ჩაივაკა და ახლა სხვა მთაზე აცოცდა. იგი სულ ზევით-ზევით მიიწევდა, სანამ შიშველ და კლდოვან მთის მწვერვალს არ მივაღწიეთ, რომელზეც ძველი გამავებული ჯვარი იდგა, ვინ იცის როდის, ან ვისი დადგმული. ჩვენ კვლავ მთის თხემს მივყვებოდით, სანამ ბოლოს მეტად უცნაურ ადგილს არ მივადექით, რომელიც იქ ჩასვლამდე შეგვეძლო ზევიდან კარგად დაგვეთვალიერებინა. ეს იყო ხელისგულივით გაშლილი პატარა ზეგანი, უზარმაზარი, პასკის ფორმის წითელი კლდის ქვეშ მოქცეული. ზეგანზე აქა-იქ მუხები იდგა და დიდი ქვებით იყო მოფენილი. მძლავრ ბებერ მუხებს თავიანთი შიშველი, კუდიანის თმებივით ნაცრისფერი ტოტები სულ ერთნაირი ფორმის დიდ და მცირე ქვის ლოდებისათვის გადაეფარებინათ, რომლებიც გლუვსა და შავ თლილ შაქრის თავებს ჰგავდნენ. მუხებსა და კლდეებს შორის ბევრი ქოხი მოჩანდა. გამავებული ჩალის სახურავებიდან ბოლი ამოდიოდა; ქალები ქოხების წინ ისხდნენ და კერავდნენ, ზოგი სარეცხს ფენდა, გარშემო ბავშვები თამაშობდნენ; მამაკაცები არ ჩანდნენ იმიტომ, რომ ეს მწყემსების სოფელი იყო, მწყემსები კი თავიანთი ფარებით მთელ დღეს მთაში ატარებენ. როცა ქოხებს მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ დიდი კლდის ქვეშ, რომელიც, როგორც ვთქვი, პასკასა ჰგავდა, მოჩანდა შავი ხვრელი — გამოქვაბულში შესასვლელი. ერთ-ერთმა დედაკაცმა გვითხრა, გამოქვაბულში ლტოლვილები ცხოვრობენო. მე ვკითხე, ხომ არაფერს

მოგვყიდიდა. მაგრამ მან, წარბშეკრულმა, მხოლოდ თავი გააქნია, მერე უხალისოდ დაუმატა, შეიძლება ლტოლვილებმა მოგყიდონ რამეო. ამან ძალიან გამაკვირვა, რადგან ჩვეულებრივად ლტოლვილები კი არ ყიდიან, ყიდულობენ.

ყოველი შემთხვევისათვის, გავწიეთ გამოქვაბულისაკენ, მარტო იმისათვის მაინც, რომ ეგებ იქ გაგვეგო რამე, რადგან ეს ველური, უნდო მწყემსის ცოლები ძალიან სიტყვაძუნწი გამოდგნენ. რაც უფრო ეუახლოვდებოდით გამოქვაბულს, მით უფრო ხშირად ვხვდებოდით მიწაზე დაყრილ და ქვა-ღორღში არეულ დიდსა და პატარა ძვლებს. ეტყობა, ეს ლტოლვილების მიერ შეჭმული თხებისა და ცხვრების ნარჩენები იყო; ძვლების გარდა მიწაზე ბევრი ხარახურაც ეყარა — ჟანგიანი კონსერვის ქილები, ძონძები, ძველი ფეხსაცმელი, ჭუჭყიანი ქაღალდები. ეს მიდამო რომის რომელიმე უშნო გარეუბანს ჰგავდა, სადაც ახლომახლო მცხოვრებნი ყოველგვარ ნაგავს ყრიან. ამ ხარახურაში ალაგ-ალაგ შავ ლაქებად მოჩანდა ნაცრით გარშემოვლებული ჩამქრალი ნაკვერჩხალი. ეტყობა, აქ ცეცხლს ანთებდნენ. გამოქვაბულში შესასვლელი ძალიან დიდი, ძალიან ჭუჭყიანი და გაჭვარტლული იყო. პირდაპირ კლდეში ჩაჭედილ ლურსმნებზე ეკიდა ქვაბები, ჩამჩები, ძონძები, ახლად დაკლული თხის მთელი ბარკალიც კი, როძლიდანაც სისხლი წვეთავდა. გამოქვაბულის დანახვამ, მართალი გითხრათ, განმაცვიფრა. ის ძალიან მაღალი იყო, გაჭვარტლული თაღებით და ისეთი ღრმა, რომ ბოლო არ უჩანდა, და მთელ ამ გამოქვაბულში, როგორც საავადმყოფოში ან ყაზარმაში, ერთი-მეორის გვერდით საწოლები იდგა. შიგნით საშინელი სუნი იყო — როგორც დავრდომილთა თავშესაფარში ან ღამის სათევში. საწოლებს, ჩემის აზრით, არასოდეს არ ალაგებდნენ. საშინლად ჭუჭყიანი, დაჭმუჭნული ზეწრები უწესრიგოდ ეყარა. ლტოლვილები აქ ძალიან ბევრი იყვნენ: ზოგი საწოლებზე იჯდა და თავს იქექავდა, ან სულ უსაქმურად იყო, ზოგი საბანში გახვეული იწვა, ზოგიც საწოლებს შორის ვიწრო გასასვლელში ბოლთასა სცემდა. რამდენიმე ლტოლვილი ორ საწოლზე იჯდა, შუაში პატარა მაგიდა ედგათ და სანტ ეუფემიის მამაკაცებივით ბაბქოს თამაშობდნენ. ყველას პალტო ეცვა და ქუდი ეხურა. ერთ-ერთ საწოლზე დავინახე ნახევრად შიშველი ქალი, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებდა; მეორეზე რამდენიმე ბავშვი იწვა, ისინი ერთმანეთს მიკვროდნენ და არ ინძრეოდნენ, თითქოს მკვდრები იყვნენ, მაგრამ,

ალბათ, ეძინათ. გამოქვაბულის სიღრმე სიბნელეში იკარგებოდა, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ იქ დაყრილი იყო ყოველგვარი ნივთი, რისი წამოღებაც ლტოლვილებმა სახლების მიტოვების დროს მოახერხეს.

გამოქვაბულის შესასვლელში შევამჩნიე სრულიად ულჩვეული ნივთი: ძველი ყუთებისაგან გაკეთებული, პატარა საკურთხეველი, რომელსაც ლამაზი მოქარგული სუფრა ეფარა. საკურთხეველზე ჯვარცმა და ორი ვერცხლის ლარნაკი იდგა, რომლებშიც ყვავილების მაგივრად ვიოლაცას მუხის ტოტები ჩაედგა. გამაოცა, რომ ჯვარცმის ქვეშ ხატებისა თუ სხვა რაიმე რელიგიური სიმბოლოების ნაცვლად დავინახე მწკრივად დაწყობილი თორმეტიოდე ყოველგვარი საათი, მაგრამ ყველანი ძველი ყაიდისა იყო, როგორსაც ჟილეტის ჯიბეში ატარებენ ხოლმე, უმეტესად ლითონისა, თუმცა ზოგი ოქროსას გავდა, საკურთხეველის გვერდით სკამზე პატრი იჯდა. ვთქვი, პატრი იყო-მეთქი, რადგან ტონზურით* ვიცანი, მაგრამ დანარჩენით ძნელი იყო მღვდელმსახურის ცნობა. ის ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, შავგვრემანი. გამხდარი და მკაცრი სახისა, მას, როგორც ყველა პატრს, შავები კი არ ეცვა, არამედ თეთრებში იყო გამოწყობილი: თეთრი სათბური თეთრი ქამრით, თეთრი შარვალი, უფრო სწორედ ნიფხავი, რომელიც შავ წინდებში ჰქონდა ჩატანებული, ფეხზე შავი ფეხსაცმელი ეცვა. ერთი სიტყვით, პატრს გაურკვეველი მიზეზის გამო გაეხადა თავისი ანაფორა და რაც ანაფორის ქვეშ ეცვა, იმის ამარა დარჩენილიყო. ის თავჩაქინდრული იჯდა. პატრი იჯდა გაუნძრევლად, ხელები მუხლებზე ეწყო და ჩქარ-ჩქარა აცმაცუნებდა ტუჩებს, თითქოს ლოცულობდა. საკურთხეველს მივუახლოვდი, პატრმა დამთხვეული თვალები მომაშტერა, გარშემო ვერაფერს ხედავდა.

როზეტას ჩუმად ვუთხარი:

— ეს ხომ გიჟია.

მაგრამ ჩემს ხმაში გაკვირვება არ იგრძნობოდა, რადგან ბევრ რამეს შევეჩვიე და აღარაფერი მაკვირვებდა. პატრი დამაშტერდა და თითქოს თანდათან მიცნო. უცბად წამოხტა, ხელი მტაცა და წამოიძახა:

— ყოჩაღ, რომ ბოლოს მაინც მოხვედი... აბა, მომიძართე ეს საათები.

დაბნეულად მიმოვიხედე. პატრის თითები ისეთი ძალით მიჭერ-

---

* კათოლიკეთა მღვდელმსახურნი კეფაზე მრგვალ სამელოტეს იპარსავენ, ამას ტონზურა ქვია, რაც იმის ნიშანია, რომ ადამიანმა რელიგიას შესწირა თავი.

დნენ, თითქოს ქორისა ან ძერის ბრჭყალები ყოფილიყოს, ერთ-ერთმა ლტოლვილმა, რომელიც ეტყობა ცალი თვალით უყურებდა ამ სცენას, არც მობრუნებულა, ისე დამიძახა:

— შეუსრულე რასაც გთხოვს, მოუმართე საათები, საყდარი და სახლი დაუნგრიეს, მან კი თავისი საათებით მოჰკურცხლა და ცოტათი შეირყა, მაგრამ სრულიად უვნებელი გიჟია, დარდი ნუ გაქვს.

როცა ცოტათი გონს მოვედით, მე და როზეტამ ავიღეთ რიგრიგობით ყველა საათი და მოვმართეთ, უფრო სწორედ, ვითომ მოვმართეთ, რადგან საათები უკვე მომართული იყო და მშვენივრად მუშაობდა. გიჟი პატრისათვის დამახასიათებელ პოზაში იდგა — ფეხებგაჩაჩხული, ზურგზე ხელდაწყობილი, მოღუშული და თავჩაქინდრული. როცა ჩვენს საქმიანობას მოვრჩით, ბოხი ხმით გვითხრა:

— ახლა საათები მომართულია და მე, როგორც იქნა, შემიძლია წირვა დავიწყო... კარგია, საუცხოოა, რომ თქვენ ბოლოს მაინც მოხვედით.

ამ დროს, საბედნიეროდ, მოგვიახლოვდა ამ გამოქვაბულის კიდევ ერთი მცხოვრები, ახალგაზრდა მონაზონი, რომლის გარეგნობამ მაშინვე დამამშვიდა. მას ფერმკრთალი, ლამაზი სახე ჰქონდა, შეერთებული შავი წარბები უფრო უმუქებდნენ ელვარე, მშვიდ თვალებს, რომლებიც ზაფხულის ცაზე მოციმციმე ორ ვარსკვლავს ჰგავდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად გამაკვირვა იმან, რომ გულისპირი და მონაზვნის ტანსაცმლის სხვა დეტალები თოვლივით ქათქათა და, რაც უფრო გასაკვირი იყო, იდეალურად გახამებული ჰქონდა, როგორ შეძლო მან ასე სუფთად და წესიერად ჩაცმა ამ ბინძურ გამოქვაბულში? მონაზონმა მღვდელს თანაგრძნობით, ალერსიანად მიმართა:

— მობრძანდით, ძიირთვით ჩვენთან ერთად, დონ მათეო... მაგრამ ჯერ ჩაიცვით რამე, არ ვარგა სუფრაზე საცვლების ამარა ჯდომა.

დონ მათეო გაჩაჩხული იდგა და უსმენდა პირდაღებული და თვალდაჭყეტილი. ბოლოს წაიდუდუნა:

— საათები! საათებს ვინღა მიხედავს?

მონაზონმა მშვიდად უპასუხა:

— ახლა ხომ მომართულია და კარგადაც მუშაობს, შეხედეთ, დონ მათეო, ყველა ერთსა და იმავე დროს უჩვენებს, ეს კი სწორედ სადილობის დროა.

ამ სიტყვებით მონაზონმა ჩამოხსნა ლურსმნიდან პატრის შავი ტანსაცმელი და ჩაცმაში დაეხმარა, როგორც ამას მოწყალების დები

აკეთებენ საგიჟეთში — ძშვიდად და ალერსიანად. დონ მათეომ ნება დართო ჩაეცვათ მისთვის დამტვერილი, ჭუჭყიანი ანაფორა, აბურძგნულ თმებზე ხელი გადაისვა და მონაზონთან ერთად, რომელსაც ხელგაყრილი მიჰყავდა, გამოქვაბულის სიღრმეში გაემართა, სადაც სამფეხაზე დიდი ქვაბი იდგა. მონაზონი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— თქვენც წამოდით, საჭმელი თქვენთვისაც სამყოფია.

მივედით ქვაბთან, რომლის გარშემო უკვე შეგროვილიყვნენ ლტოლვილები. მათ შორის ყურადღება მივაქციე დაბალ-დაბალ, მსუქან, გაბურძგნულ და გაუპარსავ დაკონკილ კაცს, რომელიც სულ ერთთავად წუწუნებდა, შარვალი ზედ საჯდომზე ჰქონდა გახეული, საიდანაც თეთრი პერანგი მოუჩანდა. იგი თეფშს აწვდიდა მონაზონს და საცოდავი ხმით იმეორებდა:

— თქვენ ყოველთვის სხვებზე ნაკლებს მაძლევთ, დაო ტერეზა, რატომ მაძლევთ ყველაზე ნაკლებს?

მონაზონმა არაფერი უპასუხა, რადგან წვნიანის დარიგებით იყო გართული: თითოეულმა მიიღო თითო ნაჭერი ხორცი და ორი ჩაშჩა ბულიონი. ერთმა შუახნის ლტოლვილმა, რომელსაც შავი ულვაშები და ღაჟღაჟა სახე ჰქონდა, გესლიანად თქვა:

— რატომ არ დააჯარიმებ დას, ტიკო? შენ ხომ პოლიციაში მსახურობ, ჰოდა, დააჯარიმე სხვებზე ნაკლებ წვენს რომ გაძლევს.

მერე, სიცილით მიქელეს მიუბრუნდა:

— ჩინებულმა საზოგადოებამ მოიყარა აქ თავი: პატრი გაგიქდა, კარაბინერები გერმანიაში წაიყვანეს, პოლიციელი შარვალში პერანგ-ამოჩრილი დაიარება, ქალაქის თავი კი, ეს მე გახლავართ, სხვებზე მეტად შიმშილობს. არავითარი ხელისუფლება არ არსებობს. სასწაულია, რომ ჯერ ერთმანეთი არ დავჭამეთ.

მონაზონს ქვაბიდან თავი არ აუღია ისე უპასუხა:

— ეს სასწაული კი არა, ღვთის ნებაა, ღმერთს სურს, რომ ადამიანები ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ტიკო კი ბურტყუნებდა:

— თქვენ ყოველთვის ხუმრობთ, დონ ლუიჯი... განა არ იცით, რომ უმუნდირო პოლიციელი ისეთივე საწყალი კაცია, როგორც ყველა დანარჩენი? მომეცით მუნდირი და მე თქვენ დაგიმყარებთ წესრიგს.

გავიფიქრე, რომ საზოგადოდ ის მართალი იყო: ზოგიერთ შემთხვევაში მუნდირი ყველაფერია. ეს კეთილი მონაზონიც კი, თავისი წყნარი

ხასიათითა და რელიგიით, ვერ დაიმსახურებდა აქ ასეთ ავტორიტეტს, მონაზვნის კაბის მაგივრად, ჩემსა და როზეტასავით ძოხძები რომ სცმოდა.

მაგრამ, კმარა ამაზე. ჩვენ ვეპამდით ქონიან, დასანახად შესაზიზღ თხის ხორცის წვენს; მას ისეთი საშინელი სუნი ასდიოდა, რომ ძლივს ვყლაპავდი, თუმცა მშიოდა, ჭამის დროს ყურს-ვუგდებდით ლტოლ-კილების საუბარს. ისინიც ისევ იმაზე ლაპარაკობდნენ, რაზეც ჩვენ სანტ ეუფემიაში: შიმშილზე, ინგლისელების მოსვლაზე, დაბომბვაზე, თავდასხმებზე. ბოლოს შევარჩიე დრო და ვიკითხე — ხომ არ შე-ეძლო რომელიმე მათგანს ჩემთვის ცოტაოდენი პროდუქტი მოეყიდა. ჩემმა შეკითხვამ ყველა გააკვირვა: სურსათი, როგორც ვფიქრობდი, მათ არ ჰქონდათ; ისინი ჩვენნაირ მდგომარეობაში იყვნენ — ათავებ-დნენ იმას, რაც თანა ჰქონდათ და ყიდულობდნენ, რაც ხელში მოხ-ვდებოდათ. მათ გვირჩიეს მწყემსებისათვის მიგვეძართა, რომლებიც გამოქვაბულთან ახლოს ქოხებში ცხოვრობდნენ.

— ჩვენ თვითონ ვყიდულობთ მათგან რასაც კი შევძლებთ: ყველს, თხის ხორცს... იქნებ თქვენც მოგყიდონ რამე.

მე ვუთხარი, ერთმა ქალმა აქეთკენ გამოგვგზავნა-მეთქი და გვით-ხრა; რომ მწყემსებს არაფერი ჰქონდათ გასაყიდი. ქალაქის თავმა მხრები აიჩეჩა:

— ისინი ამას იმიტომ ამბობენ, რომ მოსულებს არ ენდობიან, თანაც თავის პროდუქტებში დიდი ფულის აღება სურთ. ფარების პატრონები ისინი არიან და მხოლოდ მათგან შეიძლება რაიმეს ყიდვა მთელ ამ მიდამოებში.

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ მონაზონსა და ლტოლვილებს კერ-ძისათვის, კვლავ ჩავუარეთ შეშლილი პატრის საკურთხეველს მისი საათებით და გამოვედით გამოქვაბულიდან. სწორედ ამ დროს კლდე-ებსა და სახლებს შორის ცხვრის პატარა ფარა დავინახეთ, რომელსაც მაღალი კაცი მირეკავდა. მას თეთრი ჩოჩები, შავი შარვალი და შავი პიჯაკი ეცვა, წელზე ფართო ქამარი ერტყა, თავზე კი შავი ქუდი ეხურა. გამოქვაბულის შესასვლელთან მდგომმა ლტოლვილმა ქალმა, რომელიც პურს ჭამდა, გაიგონა, რომ ჩვენ ვეძებდით ვინმეს, ვინც რაიმე პროდუქტს მოგვყიდდა, მიგვითითა მწყემსზე და გვითხრა:

— აი ერთი ევანგელისტთაგანი, ის მოგყიდით ყველს, თუ კარგ ფასს მისცემთ.

მე გამოვეკიდე იმ კაცსა და დავუძახე:

— ხომ არ მოგვყიდი ცოტაოდენ ყველს?

მან არაფერი არ მიპასუხა, არც კი მობრუნებულა და გზა განაგრძო, თითქოს არაფერი გაეგონოს. მე კვლავ დავუძახე:

— სენიორო ევანგელისტო, მომყიდეთ ყველი.

ამაზე მან მითხრა:

— ევანგელისტი კი არა, დე სანტისი მქვია.

— მე მითხრეს, რომ შენ ევანგელისტი გქვია.

— ჩვენ სარწმუნოებით ვართ ევანგელისტები, მეტი არაფერი, — მიპასუხა მან

ბოლოს, თითქოს სხვათა შორის, გვითხრა, რომ შეიძლება კიდეც მოგვყიდოს ყველი; ჩვენ ქოხისკენ გავყევით. მან ჯერ მეზობელ ქოხში შეუშვა ცხვრები, თან ყოველ მათგანს სახელით მიმართავდა: „ბიანკა; პაჩოკა, ბატა, ჩელესტე“... მერე კარები დაკეტა და მხოლოდ მაშინ შეგვიძღვა ქოხში. ეს ქოხი პარიდეს ქოხს გავდა, ოღონდ ცოტა მოზრდილი იყო, მაგრამ, რატომღაც, უფრო ღარიბი, ცივი და ცარიელი მეჩვენა, შეიძლება სახლის პატრონის უხეში მოქცევის გამო. ცეცხლის გარშემო, ისევე როგორც პარიდესთან, ისეთსავე სკამებსა და ჯირკებზე ბლომად ისხდნენ ქალები და ბავშვები. ჩვენც დავსხედით, მან კი ხელები დაიკრიფა და ლოცვა დაიწყო. ყველამ, ბავშვებმაც კი, მას მიბაძეს. ძალიან გამიკვირდა, იმიტომ, რომ ჩვენს მხარეში გლეხები იშვიათად ლოცულობენ, ისიც მხოლოდ ეკლესიაში. მაგრამ გამახსენდა მისი პასუხი და მივხვდი, რომ ისინი სხვა სარწმუნოებისა იყვნენ. მიქელე ინტერესით ადევნებდა თვალყურს და როგორც კი ლოცვა გაათავეს, მაშინვე ჰკითხა, როგორ გახდნენ ისინი ევანგელისტები, ეტყობა, მან იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. მწყემსმა გვითხრა, რომ ის და მისი ძმა ამერიკაში იყვნენ სამუშაოდ. იქ შეხვდათ პროტესტანტების პასტორი, რომელმაც დაარწმუნა თავისი რელიგიის სისწორეში და მათაც ევანგელისტთა სარწმუნოება მიიღეს. მიქელემ ჰკითხა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ამერიკამ, მან უპასუხა:

— ჩვენ ნეაპოლში ჩავჯექით გემში და წყნარი ოკეანის სანაპიროზე რომელიღაც პატარა ქალაქში გადმოვედით, მერე მატარებლით ვიმგზავრეთ და უზარმაზარ ტყეში აღმოვჩნდით, სადაც ტყის მჭრელ-

ებად დაგვიქირავეს. იმით, რაცა ვნახე, შემიძლია დავასკვნა, რომ ამერიკაში დიდძალი ტყეებია.

— ქალაქები არ გინახავთ?

— მხოლოდ ის, სადაც გადმოვედით. ეს პატარა ქალაქი იყო... ორი წელი ტყეში გავატარეთ, მერე იმავე გზით იტალიაში დავბრუნდით.

მიქელე გაკვირვებული დარჩა. ეტყობოდა, ნაამბობი ძალიან საკაცილოდ მოეჩვენა; მოგვიანებით მითხრა, ამერიკაში უზარმაზარი ქალაქებიაო, მაგრამ ამ ხალხმა მხოლოდ ტყეები ნახა და ამიტომ ჰგონიათ, რომ მთელი ამერიკა ტყეებით არის დაფარულიო. ერთ ხანს ისინი ისევ ამერიკაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოსაღამოვდა და ჩვენი წასვლის დროც მოვიდა. ამიტომ ყველის ამბავი შევახსენე. კაცმა სიბნელეში სახურავის თივა მოქექა და გამოათრია ორი თავი ყველი — პატარა და ყვითელი, თან ფასი დაასახელა. მან ისეთი ფასი მოგვთხოვა, რომ ჩვენ ადგილზე შევხტით: ასეთი ფასი ამ შიმშილობის დროსაც კი არ გაგვიგონია.

— რა იყო, ოქროსგან ხომ არ არის გაკეთებული ეგ შენი ყველი?

მან კი სრული სერიოზულობით გვიპასუხა: — იმიტომ, რომ ყველია. ოქროს ვერ შესჭამ, ყველს კი შესჭამ.

მიქელემ ირონიით უთხრა:

— სახარება ხომ არ გასწავლით ასეთი ფასების დადებას?

მან არაფერი უპასუხა, მაგრამ მე არ მოვეშვი:

სწორედ ახლა გამოქვაბულში ტერეზამ გვითხრა, ღმერთს სურს, რომ ხალხი ერთმანეთს ეხმარებოდესო. თქვენ კი როგორ ეხმარებით ხალხს?

არც ერთი კუნთი არ შერხეულა მის სახეზე და სრულიად მშვიდად გვიპასუხა:

— და ტერეზა სხვა რელიგიას აღიარებს. ჩვენ კათოლიკები არა ვართ.

— თქვენ როგორა გგონიათ, რას ნიშნავს ევანგელისტობა? — ჩაერია ისევ მიქელე, — იმას ნიშნავს, რომ საქონელში კათოლიკებზე ორჯერ მეტი მოითხოვოთ?

ის კი ამბობს იმავე სერიოზულობით:

— ევანგელისტი რომ იყო, უნდა შეასრულო სახარების აღთქმა. ჩვენ ვასრულებთ.

მას ყველაფერზე მზად ჰქონდა პასუხი. მისი დარწმუნება შეუძლებელი იყო, ის კლდესავით ურყევი აღმოჩნდა. ბოლოს თქვა:

— თუ გინდათ, შემიძლია ბატკანი მოგყიდოთ. კარგი, მსუქანი ბატკანი აღდგომისათვის. მე მყავს ბატკნები, თითო 6 კილოს იწონის, თანაც იაფია.

ვიფიქრე, რომ აღდგომა კარზე მოგვდგომია და ბატკანი სააღდგომო სუფრისათვის ურიგო არ იქნებოდა, ამიტომ ვკითხე:—რას აფასებ-მეთქი ამ ბატკანს, მაგრამ მან ისეთი ფასი დაასახელა, რომ ამ ფულით მარტო ბატკანს კი არა, მის მშობელ ცხვარსაც იყიდდა კაცი.

აქ უკვე მიქელემ ვეღარ მოითმინა.

— იცით ვინა ხართ, თქვენ, ევანგელისტები? — ჰკითხა ძახ. — ნამდვილი მღლეტავები ხართ.

კაცმა კი მიუგო:

— წყნარად, ჩემო ძმაო, სახარება გვასწავლის, რომ ადამიანებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი.

ბოლოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ვუთხარი, რომ ვიყიდი ერთ თავ ყველს, თუკი ფასს ცოტათი დამიკლებდა. იცით, რა შიპასუხა?

— დაგიკლო? ამაზე ნაკლები ფასი არ არსებობს, მაგრამ ჩემო დაო, სჯობს ნუ იყიდი ამ ყველს იმიტომ, რომ თუ გადამიხდი იმდენს, რამდენსაც გთხოვ, მერე ჩემზე გაბრაზებული იქნები, ხოლო თუ უფრო იაფად მოგცემ, მე ვიქნები შენზე გაბრაზებული. სახარება კი გვასწავლის, რომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. ამიტომ თავი დაანებე ამ ყველს, დაე კვლავ გვიყვარდეს ერთმანეთი.

მე. ყურადღება არ მივაქციე მის ამ სიტყვებს და ვაჭრობა დავუწყე, მაგრამ იგი არაფერს მითმობდა; ვერაფრით ვერ დავარწმუნე, ხოლო როცა ჩიხში მოვიმწყვდევდი და ვუმტკიცებდი, რომ ასეთი ფასის მოთხოვნა ნამდვილი ყაჩაღობაა, მას თავის დასაძვრენად სახარებიდან რაიმე მცნება მოჰყავდა, მაგალითად: „გულისწყრომას ნუ მიეცემი, ჩემო დაო, გულისწყრომა მომაკვდინებელი ცოდვაა“. ბოლოს გადავუხადე ეს წარმოუდგენელი ფასი, მხოლოდ დამატებით ცოტა ხაჭო გამოვტყუე, რომელიც იქვე შევჭამეთ. წამოსვლისას ძალიან ცივად გამოვემშვიდობეთ, მაგრამ მან მაინც დაგვიძახა კარებიდან:

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ძმანო ჩემნო.

მე კი გავიფიქრე: „ეშმაკსაც წაუღიხარ ჯოჯოხეთში“. ეს ერთი

თავი ყველი მთებში ამდენი წოწიალის ერთადერთი შედეგი იყო, რომლის დროს თითო წყვილი ჩოჩიც გავცვითეთ. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, რამდენიმე დღის შემდეგ ბედმა დაგვაჯილდოვა, უზრუნველად და უშრომლად ვიყიდეთ მესაფლავისაგან, რომელიც მთებში დახეტიალობდა თავისი ქურანისათვის საკვების საშოვნელად, საკმაო რაოდენობით „თვალადი“ ლობიო. მესაფლავეს ეს ლობიო იუგოსლავებისაგან ეყიდა, რომლებიც კუნძულ პონცაზე იყვნენ გადასახლებულნი, ხოლო ზავის დადების დროს გამოიქცნენ ამ კუნძულიდან და ჩვენს ახლოს დაბლობში იძალებოდნენ, მაგრამ ახლა გერმანელების შიშმა აიძულა დაეტოვებინათ ეს ადგილი და გაეყიდათ თავიანთი მარაგის ნაწილი, რომელსაც თან ვერ წაიღებდნენ. მესაფლავემ — სულ ახალგაზრდა, წითურმა, ახმახმა და მარჯვე კაცმა, ზოგიერთი ახალი ამბავიც შეგვატყობინა, რაც იუგოსლავებისაგან გაეგო. მან გვიამბო, გერმანელებს დიდი დამარცხება განუცდიათ ქალაქში, რომელსაც სტალინგრადი ქვია და რუსეთში მდებარეობსო, რუსებს ტყვედ ჩაუგდიათ მთელი არმია ყველა გენერლით და ამ დამარცხებით შეწუხებულ ჰიტლერს უბრძანებია თავისი ჯარისათვის უკან დაეხია. მესაფლავემ აგრეთვე გვითხრა, ომი მალე დამთავრდება, იქნებ რამდენიმე დღეშიც, მაგრამ არა უგვიანეს რამდენიმე კვირისაო. ამ ამბებმა ძალიან გაახარა ლტოლვილები და დააღონა გლეხები იმიტომ, რომ სანტ ეუფემიიდან ჯარში გაწვეული მამაკაცების უმეტესი ნაწილი სწორედ სტალინგრადში იმყოფებოდა, ისინი იქიდან იწერებოდხენ და წერილებში ამ ქალაქს ახსენებდნენ; ახლა, რა თქმა უნდა, აქაური ქალები ღელავდნენ თავიანთი ქმრებისა და ძმებისათვის და თურმე მართლებიც იყვნენ: მოგვიანებით გავიგეთ, რომ არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გადარჩენილა.

დღე სულ უფრო იმატებდა, მთები ამწვანდა, დათბა, გარეთ უკვე მარტი იდგა და მთელი ამ თვის განმავლობაში გრძელდებოდა ერთი მხრივ ანციოს და მეორე მხრივ კასინოს დაბომბვა. ჩვენ სწორედ ანციოსა და კასინოს შუა ვიმყოფებოდით, ამიტომ დღე და ღამე გვესმოდა ქვემეხების გრიალი იქიდან და აქედან, თითქოს ქვემეხები გაუთავებლად ეჯიჩრებოდნენ ერთმანეთს. „ტუმ, ტუმ“, — ისმოდა ჯერ გასროლის ხმა, მერე ყუმბარის აფეთქება ანციოში, „ტუმ, ტუმ“, — უპასუხებდა ზარბაზანი კასინოდან, რომელიც მეორე მხარეს მდებარეობდა. ცა უზარმაზარ დოლს დაემსგავსა, და თითქოს ვიღაც ამ დოლს მუშტებს უბრაგუნებდა. ასეთ შესანიშნავ ამინდში ეს მკაცრი,

მუქარით აღსავსე ხმა უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა: მეჩვეხებოდა, თითქოს ომი ბუნების შემადგენელი ნაწილი გახდა, თითქოს სროლის ხმა დედამიწაზე იღვრება მზის სინათლესთან ერთად და გაზაფხულიც ომით არის დაავადებული ისევე, როგორც ადამიანები. ერთი სიტყვით, ზარბაზნების სროლა ჩვენს ცხოვრებაში ისევე დამკვიდრდა, როგორც ძონძები, შიმშილი და საფრთხე. მათი გრიალი განუწყვეტლივ ისმოდა, ამიტომ ჩვენთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რასაც ისე მივეჩვიეთ, რომ გაგვიკვირდა, როცა ეს ბათქა-ბუთქი შეწყდა. ეტყობა, ყველაფერს ეჩვევი, ომსაც კი, იმიტომ, რომ ადამიანები იცვლებიან არა რაიმე არაჩვეულებრივი მოვლენების გავლენით, რომლებიც არც ისე ხშირად ხდება, არამედ სწორედ შეძენილი ჩვევების გავლენით, რაც გვიჩვენებს მოვლენათა მსვლელობისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას.

აპრილის პირველი რიცხვებისათვის უკვე ყველა მთა აშწვანდა, ყვავილები გაიშალა. იმდენად დათბა, რომ მთელი დღე გარეთ შეიძლებოდა ყოფნა. მაგრამ ეს ყვავილები, ასეთი ლამაზი, ჩვენთვის, ლტოლვილებისათვის, შიმშილს ნიშნავდა, რადგან მცენარე მაშინ ყვავილობს, როცა უკვე სულ მაგარი და ბოჭკოვანი ხდება, ე. ი. აღარ იქმება. მოკლედ რომ ვთქვათ, გათავდა ჩვენი უკანასკნელი მარაგიც — ეგრეთწოდებული ფხალი, და მხოლოდ ინგლისელების მალე მოსვლა თუ გვიხსნიდა შიმშილით სიკვდილისაგან. ხეხილიც ყვავილებით შეიმოსა, ატმისა და ნუშის, ვაშლისა და მსხლის ხეები მთის ფერდობზე დაშვებულ თეთრ და ვარდისფერ ღრუბლებს ჰგავდნენ, რომლებიც გაუნძრევლად ეკიდნენ წყნარ ჰაერში. ჩვენ შევყურებდით ამ ლამაზ ყვავილებს და უნებურად ვფიქრობდით, რომ ისინი ნაყოფად იქცევიან, ნაყოფი კი იქმება, მაგრამ დამწიფდებიან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. გულდაწყვეტილები ვუყურებდით მიწიდან ოდნავ ამოწვერილ მწვანე, ხავერდივით ნაზ ჯეჯილსაც, რადგან ვიცოდით, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ის გაიზრდება, გაყვითლდება და შესაძლებელი გახდება მისი მომკა, წისქვილში დაფქვა, ფქვილიდან ცომის მოზელა და ღუმელში გემრიელი პურის გამოცხობა, თითოეული ერთ კილოს რომ იწონის. მშიერ კუჭზე სილამაზე ჭკუაში არ გვიჯდება იმიტომ, რომ შიმშილი გვაიძულებს მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქროთ და სილამაზე ამ დროს მოტყუებად გვეჩვენება ან, რაც უფრო უარესია, დაცინვად.

გავიხსენე ჯეჯილი და ერთი შემთხვევა მომაგონდა, რომელმაც გახსაკუთრებით მწვავედ მაგრძნობინა თუ რა არის შიმშილი. ერთხელ ნაშუადღევს, ფონდიში წავედი. უკანასკნელ დროს ხშირად მიხდებოდა იქ სიარული, რომ იქნებ როგორმე ცოტა პური მეყიდა. ჩვენ დაბლობში ჩავედით და ელდა გვეცა: აბიბინებულ პურის ყანაში მშვიდად ძოვდა გერმანელების სამი ცხენი. ჯარისკაცი, რომელსაც წარჩინების არავითარი ნიშნები არ ჰქონდა, შეიძლება ისეთივე მღღალატე რუსი იყო, როგორსაც ერთხელ შევხვდით, ღობეზე იჯდა, ბალახს კვნეტდა და ცხენებს თვალყურს ადევნებდა. აი მაშინ, ისე, როგორც არასდროს, ვიგრძენი, თუ რას ნიშნავს ომი: იგი ნიშნავს იმას, რომ გული აღარ გულობს, რომ სხვა ადამიანი აღარ არსებობს და ყოველივე დასაშვებია. იყო შესანიშნავი მზიანი დღე და ჩვენ ყველანი — მიქელე, მე და როზეტა ვიდექით ღობესთან, შევცქეროდით ამ სამ ლამაზ და მაძღარ ცხენს, რომლებსაც არ ესმოდათ, თუ რას სჩადიოდნენ, ისე როგორც ეს უნდა შეეგნოთ მათ პატრონებს, და მშვიდად ანადგურებდნენ ნაზ და ნორჩ თავთავს, რომლისგანაც, როცა იგი დამწიფდება, ხალხისთვის პურს აცხობენ. ჯერ კიდევ ბავშვობაში მშობლებისაგან გამეგონა, რომ პური წმიდათაწმიდა რამ არის, რომ ადამიანი, რომელიც აგდებს ან საჭმელად არ იყენებს პურს, მკრეხელობას ჩადის. პურის უკუღმა დადებაც კი ცოდვად ითვლებოდა; და უცებ ვხედავ, რომ სწორედ ამ წმიდა პურით პირუტყვს კვებავენ, ხალხი კი მთასა და ბარში შიმშილით იხოცება. ბოლოს მიქელემ ჩვენი საერთო აზრი გამოთქვა:

— მე რომ მორწმუნე კაცი ვიყო, ვიფიქრებდი ქვეყნის აღსასრული დამდგარა და ცხენები თავთავს ძოვენ, მაგრამ რადგან მორწმუნე არა ვარ, უბრალოდ ვიტყვი, ნაცისტები მოსულან, თუმცა, ალბათ, ეს იგივეა.

იმავე დღეს, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, კვლავ შევეჯახეთ ამ გერმანულ ხასიათს, რაღაც უცნაური რომ არის და სრულიად არა ჰგავს ჩვენებურ, იტალიურ ხასიათს. შეიძლება გერმანელებს ბევრი კარგი და მშვენიერი თვისება ჰქონდეთ, მაგრამ თითქოს მაინც რაღაც აკლიათ, რაღაცნაირად მოუმთავრებელნი არიან. ჩვენ ისევ იმ ვექილთან წავედით, სადაც ბოროტი გერმანელი ვნახეთ, რომელმაც გვიამბო ცეცხლსატყორცნით როგორ ყლეტდა გამოქვაბულში მყოფთ და ამით სიამოვნებას იღებდა. ვექილთან სტუმრად ისევ გერმანელი ოფიცერი იყო, ამჯერად კაპიტანი. ვექილმა გაგვაფრთხილა:

— ეს ოფიცერი ნამდვილად არა ჰგავს სხვებს, ის განათლებული

კაცია, ფრანგული იცის, პარიზში უცხოვრია და ომზე ისეთივე აზრისაა, როგორც ჩვენ.

შევედით ქოხში, კაპიტანი წამოდგა, როგორც ამას ყველა გერმანელი აკეთებს, გამოგვიწოდა ხელი და ქუსლი ქუსლს შემოჰკრა. იგი მართლაც ზრდილობიანი კაცი იყო, ნამდვილი სენიორი, ცოტათი მელოტი, ნაცრისფერი თვალებით, თხელი არისტოკრატიული ცხვირით, ლამაზი ამაყი ტუჩებით, ის თითქოს იტალიელსაც კი გავდა, ასეთი დონდლო, ამავე დროს დაძაბული რომ არ ყოფილიყო — იტალიელები ასეთები არ არიან. ის კარგად ლაპარაკობდა იტალიურად, ქებას ასხამდა იტალიას, ამბობდა, რომ ეს მისი მეორე სამშობლოა, რომ იგი ყოველ წელს ჩამოდის კაპრიზე და ომმა საშუალება მისცა ენახა ბევრი მშვენიერი ადგილი, სადაც მანამდე არ ყოფილა. იგი სიგარეტებით გაგვიმასპინძლდა, იყო თავაზიანი ჩემსა და როზეტას მიმართ, გვიამბო თავისი ოჯახის შესახებ და ბოლოს ცოლ-შვილის სურათიც კი გვაჩვენა — ლამაზი ქერათმიანი ქალის და სამი ბავშვისა, რომლებიც აგრეთვე ანგელოზებივით ლამაზები იყვნენ და დედასავით ქერა თმა ჰქონდათ.

მან სურათი შეინახა და თქვა:

— ამ წუთს ჩემი ბავშვები ძალიან ბედნიერები არიან.

ჩვენ ვკითხეთ მიზეზი და მან გვითხრა, ჩემი ბავშვები ყოველთვის ოცნებობდნენ პატარა ჩოჩორზე და ამ დღეებში მოვახერხე ფონდიში პაწაწინა ჩოჩორის ყიდვა და გერმანიაში ბავშვებისათვის საჩუქრად გაგზავნა. კაპიტანი ძალიან კმაყოფილი ჩანდა და დაწვრილებით გვიამბო: სწორედ ისეთი ჩოჩორი ვიშოვე, როგორიც მინდოდა, სარდინიული ჯიშისა და რადგან ეს ჩოჩორი ჯერ კიდევ ძუძუმწოვარაა, სამხედრო აღალს გავაყოლე და ერთ ჯარისკაცს დავავალე მთელი გზა რძით ეკვება: აღალს ძროხა მისდევსო. ის თავმომწონედ იცინოდა, მერე დაუმატა, ჩემი შვილები ახლა ალბათ დააჭენებენ თავიანთ ჩოჩორს, ამიტომ ვთქვი, ისინი ამჟამად ბედნიერები არიან-მეთქი. ჩვენ ყველანი — ვექილიც და მისი დედაც განცვიფრებული დავრჩით: გარშემო ასეთი შიმშილობაა, ხალხს ლუკმაპური ენატრება, ეს კაპიტანი კი გერმანიაში ჩოჩორსა გზავნის, თანაც ნაბრძანები აქვს მთელი გზა რძით კვებონ, რომელიც ასე სჭირდება იტალიელ ბავშვებს. მაშ სად არის, გეკითხებით, იტალიისა და იტალიელებისადმი მისი სიყვარული, თუ ასეთი უბრალო რამეც არ ესმის? მაგრამ, გავიფიქრე მე, ეს ბოროტებით არ მოსვლია, რაც გერმანელები შემხვედრია, მათ შორის ყველაზე უკეთესი იყო. იგი

ასე იმიტომ მოიქცა, რომ გერმანელი იყო, ხოლო გერმანელებს, როგორც უკვე ვთქვი, რაღაც აკლიათ. იქნებ კიდეც ჰქონდეთ კარგი თვისებები. მაგრამ მხოლოდ ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი მათ ეს თვისებები სულაც არა აქვთ, როგორც ხეებს, რომლებიც კედელთან იზრდებიან და ყველა ტოტი ერთი მხრისკენ აქვთ გაშვერილი.

სურსათის შოვნა სულ უფრო ძნელდებოდა; მიქელე ყოველნაირად ცდილობდა დაგვხმარებოდა, ამას ან აშკარად აკეთებდა — თავისი საუზმის ნაწილი მოჰქონდა, ყურადღებას არ აქცევდა თავისიანების უსიტყვო საყვედურს. — ან კი პირდაპირ პარავდა სურსათს თავის მამას. ერთხელ, როცა ჩვენთან მოვიდა, ერთი პატარა ხმიადი ვაჩვენე, რომელშიც სამი მეოთხედი სიმინდის ფქვილი ერია და ვუთხარი, ამის მეტი არაფერი გვაქვს-მეთქი. მიქელემ მითხრა, პურს გიშოვით ხოლმეო, დედაჩემს უჯრიდან ცოტა-ცოტას მოვპარავო. ასეც მოიქცა. მუდამდღე მოჰქონდა ჩვენთვის რამდენიმე ნაჭერი თეთრი პური, რომელშიც არც სიმინდი ერია და არც ქატო. იმ დროს სანტ ეუფემიაში უკვე აღარავინ აცხობდა ასეთ პურს. წარმოგიდგენიათ? ფილიპო კი გაუთავებლად წუწუნებდა და ყველას, ვისაც მისი ყურისგდების სურვილი ჰქონდა, უამბობდა, რომ ის და მისი ოჯახი შიმშილობენ. ერთხელ მიქელემ ჩვეულებრივი სამი-ოთხი ნაჭრის მაგივრად ორი ცალი პური მოგვიტანა. იმ დილით დედამისი პურს აცხობდა და მიქელემ იფიქრა, ვერავინ ვერაფერს შეამჩნევსო. მაგრამ მათ, რასაკვირველია, შეაჭმეს. ფილიპო გიჟივით ღრიალებდა, რომ მას მარაგსა პარავენ, თუმცა არ ამბობდა, რომ პური მოპარეს, რადგან უკვე დიდი ხანია გაიძახოდა, ფქვილი აღარა მაქვსო. ფილიპომ ნამდვილი პოლიციელივით დაიწყო საქმის გამოძიება: მან გაზომა ფანჯრის სიგრძე-სიგანე, კვალის საპოვნელად დაათვალიერა ბალახი ფანჯრის ქვეშ. გულმოდგინედ გასინჯა ჩარჩოები, გაფხაჭნილი ხომ არ არისო. გამოძიების შედეგად ფილიპომ დაასკვნა, რომ პატარა, თანაც მაღლა მდებარე ფანჯარაში მხოლოდ ბავშვს შეეძლო გაძრომა და ისიც უფროსის დახმარებით. მაშასადამე, გადაწყვიტა ფილიპომ. ეს ერთ-ერთი ლტოლვილის შვილმა მარიოლინომ ჩაიდინა, ხოლო ამაში მამა ეხმარებოდა. საქმე ამით დამთავრდებოდა, ფილიპოს თავისი აზრი ქალიშვილისა და ცოლისათვის რომ არ გაეზიარებინა. საკმარისი იყო მათ ეს გაეგოთ, რომ ფილიპოს ვარაუდი უტყუარ ფაქტად იქცა. ჯერ ქალებმა შეწყვიტეს ლტოლვილისა და მისი

ცოლისთვის სალმის მიცემა, ამაყი და ნაწყენი სახეებით ჩაუვლიდნენ ხოლმე; მერე გადაკრული ლაპარაკიც დაიწყეს:

— ნეტავ როგორი პური იყო დღეს?

ინდა:

— ყური უგდეთ მარიოლინოს... ის შეიძლება დაშავდეს ფანჯრებში ძრომით.

ბოლოს, ერთხელ პირდაპირ მიახალეს:

— გინდათ იცოდეთ, ვინა ხართ? მთელი თქვენი ოჯახი ავაზაკების ბუდეა.

რა თქმა უნდა, დიდი აურზაური ატყდა, ისე ყვიროდნენ, რომ გარშემო ყველას ესმოდა. ლტოლვილის ცოლი — ტანდაბალი, ავადმყოფი, ყოველთვის გაწეწილი და ჩამოგლეჯილი დედაკაცი, გაჰკიოდა:

— წადი, წადი!

არ ვიცი ამით რისი თქმა უნდოდა. ფილიპოს ცოლი კი პირდაპირ სახეში უყვიროდა, რომ ისინი ყველანი ქურდები არიან. დედაკაცები აფოფრილი კრუხებივით, პირისპირ დამდგარიყვნენ, ერთი გაუთავებლად იმეორებდა: „წადი, წადი!“ — ხოლო მეორე ყვიროდა, ყველანი ქურდები ხართო. ლტოლვილები შემოეხვივნენ მათ, ისინი კი წიოკობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ხელს არ ახლებდნენ. ამ დროს მე და როზეტა ჩვენს ოთახში ვიჯექით და სწორედ ფილიპოს პურს შევექცეოდით. ჩვენ, რასაკვირველია, სინდისი გვქენჯნიდა, მაგრამ ქალების ყოველ წამოკივლებაზე მაინც თითო ლუკმას ვიდებდით პირში და, უნდა გამოგიტყდეთ, მოპარული პური საკუთარზე ბევრად გემრიელი მეჩვენებოდა, სწორედ იმიტომ, რომ მოპარული იყო და ჩვენ მისი ჭამა მალულად გვიხდებოდა. ამ დღიდან მიქელე ცდილობდა პური ისე აეღო, რომ არავის შეემჩნია. ის თითო ნაჭერს იღებდა სხვადასხვა დროს, და მართლაც ვერავინ ვერაფერს ვერ ამჩნევდა; ამის შემდეგ ჩხუბი აღარ მომხდარა.

მაგრამ გავიდა აპრილიც თავისი ყვავილებითა და შიმშილისაგან მუდმივი გულგადალევით; დადგა მაისი, დაიწყო სიცხეები და შიმშილსა და სასოწარკვეთილებას ახლა კრაზანები და ბუზები დაერთო. ჩვენს ქოხში იმდენი ბუზი იყო, რომ მთელი დღეები მათი დევნის მეტს არაფერს ვაკეთებდით; ხოლო ღამე ბუზები სხდებოდნენ თოკებზე, რომლებზეც ტანსაცმელს ვკიდებდით და თოკი სულ შავი ხდებოდა. კრაზანები ჩვენს სახურავში ბუდობდნენ და გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ. მათი განდევნა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ საშინლად იკბინებოდ-

ნენ. არ ვიცი, ალბათ სისუსტისაგან საშინელი ოფლიანობა დაგვჩემდა, ხოლო როცა სიცხეები დაიწყო, შევამჩნიეთ, რომ ორ მაწანწალად ვიქეცით, შეიძლება იმიტომ, რომ წესიერი დაბანვისა და ტანსაცმლის გამოცვლის საშუალება არა გვქონდა. ნამდვილ მათხოვრებს დავემსგავსეთ, სქესი და წლოვანება რომ არ ეტყობათ და მონასტრების კარზე მოწყალებას თხოულობენ. ტანსაცმელი, რომელიც ძალიან ცოტა გვქონდა, მთლად მყრალ ძონძებად იქცა, ჩოჩები (ფეხსაცმელი დიდი ხანია აღარა გვქონდა) სავალალო მდგომარეობაში იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარიდემ მანქანის თვლის საბური რეზინი ამოაკერა, ბუზებითა და კრაზანებით სავსე ჩვენი სორო კი თავშესაფრად აღარ ვარგოდა და ნამდვილ ციხეს დაემსგავსა. როზეტა, მიუხედავად მთელი თავისი თვინიერებისა და მოთმინებისა, ამ მდგომარეობის გამო ჩემზე მეტად იტანჯებოდა, რადგან მე სოფელში დავიბადე, ის კი—ქალაქში და მუდამ იქ ცხოვრობდა. ერთხელ მითხრა:

— დედა, შენ ყოველთვის საჭმელზე ლაპარაკობ, მე კი თანახმა ვარ კიდევ ერთი წელი ვიშიმშილო, ოღონდ სუფთა კაბა მეცვას და სუფთა ოთახში ვცხოვრობდე.

საქმე ის იყო, რომ ორი თვე წვიმა არ მოსულა და წყალი არ გვყოფნიდა. როზეტა უკვე ველარ ივლებდა ტანზე ყოველ დილას მთელ ვედრო წყალს, როგორც ამას ზამთარში აკეთებდა, თუმცა მაშინ ეს ნაკლებად იყო საჭირო, ვიდრე ახლა.

მაისში ისეთი ამბავი გავიგე, რამაც მიმახვედრა, თუ რა სასოწარკვეთილებამდე მივიდნენ ლტოლვილები. მათ, მგონი ფილიპოს სახლში, მოეწვიათ კრება, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები დაესწრნენ. ამ კრებაზე გადაწყვიტეს, რომ თუ ინგლისელები მაისშიც არ მოვიდოდნენ, ყველა იარაღის პატრონი ლტოლვილი — ზოგს რევოლვერი ან სანადირო თოფი ჰქონდა, ზოგს დანა, — აიძულებდა გლეხებს, უნდოდათ თუ არა, გაენაწილებინათ თავიანთი მარაგი ლტოლვილებისათვის. მიქელემ — ამ კრებას ისიც ესწრებოდა — წინააღმდეგობა გაუწია ასეთ გადაწყვეტილებას და თქვა, გლეხების მხარეზე გადავალო. მაშინ ერთ-ერთმა ლტოლვილმა უთხრა:

— კარგი, ამ შემთხვევაში ჩვენ შენც გლეხად ჩაგთვლით და ისევე მოგექცევით, როგორც მათ.

შესაძლოა ამ კრებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონოდა, იმიტომ, რომ ლტოლვილები მაინც და მაინც ცუდი ხალხი არ იყო, და არა

მგონია, იარაღი ეხმარათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ცხადყოფდა, თუ რა სასოწარკვეთილებამდე მივიდნენ ისინი. მე შემთხვევით გავიგე, რომ ზოგიერთმა მათგანმა სანტ ეუფემიიდან წასვლა დააპირა — კიდევ კარგი, ამინდი ხელსაყრელი იდგა და ბილიკები გაშრა. ზოგი ფრონტის ხაზის გავლით სამხრეთისაკენ მიიწევდა. ზოგი ჩრდილოეთისაკენ, სადაც, როგორც ამბობდნენ, ნაკლები შიმშილი იყო. ზოგიერთების აზრით, საჭირო იყო, რომში ფეხით წასვლა, რადგან, სოფელში სულერთია შიმშილით სული გაგვძვრება, ქალაქში კი უთუოდ დაგვეხმარებიან, იმის შიშით მაინც, ხალხმა რევოლუცია არ მოახდინოსო. ერთი სიტყვით, მაისის მცხუნვარე მზემ ყველაფერი აამოძრავა. და ყველამ საკუთარ ტყავზე დაიწყო ფიქრი. ზოგიერთი მზად იყო სიცოცხლეც კი გაეწირა, რათა თავი დაეღწია ამ უმოძრაობისა და გაუთავებელი ლოდინისათვის.

და უეცრად, ერთ სრულიად ჩვეულებრივ დღეს, უდიდესი ახალი ამბავი გავიგეთ: ინგლისელებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ხაზები და შეტევა დაიწყეს, ახლა კი უკვე ნამდვილად. ძნელი იყო ლტოლვილთა სიხარულის აღწერა: მართალია, მათ ძველებურად საზეიმოდ ვერ აღნიშნეს ეს ახალი ამბავი, რადგან არც ღვინო ჰქონდათ არც საჭმელი. ისინი მხოლოდ ეხვეოდნენ ერთმანეთს და ქუდებს ჰაერში ისროდნენ. საკოდავებმა არ იცოდნენ, რომ ინგლისელების ეს შეტევა უფრო დიდ უბედურებას მოგვიტანდა. სიძნელეები ჩვენთვის მხოლოდ ახლა იწყებოდა. •

თავი მერვე

ჰატარაობისას ჩვენი სოფლის ერთ ვაჭართან მინახავს პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ჟურნალის „ილუსტრირებული კვირეულის“ ყველა ნომერი. ვაჭრის შვილებთან ერთად მიყვარდა ამ ჟურნალის დათვალიერება, შიგ ფერადი სურათები იყო, რომლებიც 1915 წლის ომს ასახავდნენ, შეიძლება ამიტომ მქონდა წარმოდგენილი ომი ისე, როგორც ეს სურათებზე იყო აღბეჭდილი: ქვემეხები, მტვერი, კვამლი და ცეცხლი; ჯარისკაცები იერიშზე გადადიან, ხელში ხიშტები უჭირავთ, წინ დროშა მიფრიალებს; ხელჩართული ბრძოლა, მკვდრები ეცემიან, ცოცხლები წინ გარბიან. მართალი გითხრათ, მომწონდა ეს სურათები და მეგონა, რომ ომი არცთუ ისე საშიში რამ იყო, როგორც

ამას ამბობდნენ, ან უფრო სწორად ომი, რასაკვირველია, საშინელებაა, მაგრამ ეგებ არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ სხვების ხოცვა ან თავისი მამაცობისა და გულადობის გამოჩენა, საფრთხეს არ ეპუებიან და ომი საშუალებას აძლევს ამ ხალხს გამოამჟღავნონ თავიანთი თვისებები. თან იმასაც ვფიქრობდი, რომ ყველას კი არ უყვარს მშვიდობიანი ცხოვრება. ბევრნი სწორედ ომის დროს გრძნობენ თავს კარგად, როცა მათს ბორიტ ინსტინქტებს გასაქანი ეძლევა. ასე ემსჯელობდი, სანამ საკუთარი ოვალით არ ვნახე ომი.

ერთხელ მიქელემ მითხრა, ფრონტის გასარღვევად მიმართული შეტევა თითქმის დამთავრებულიაო, მაგრამ არ დავუჯერე, რადგან რამდენსაც არ ვაკვირდებოდი, ბრძოლის ნიშნებს ვერსად ვპოულობდი. მშვენიერი, ნათელი დღე იდგა, მხოლოდ ჰორიზონტზე დაფარფატებდნენ პატარა ვარდისფერი ღრუბლები და თითქმის ეხებოდნენ მთის მწვერვალებს, რომელთა გადაღმაც იტრი, გარილიანო — ერთი სიტყვით, ფრონტი იყო. მარჯვნივ ბიბინებდა მზის ოქროსფერ სხივებში აღმართული დიდებული მთები, გაღმა ბრწყინავდა ლურჯი, მომღიმარი, გაზაფხულის ნათელი ზღვა. მაშ სად მიდიოდა ბრძოლა? მიქელემ ამიხსნა, რომ იტრის მთების გადაღმა ბრძოლა უკვე თითქმის ორი დღე გრძელდებაო. მე ეს არ მჯეროდა, რადგან, როგორც ვთქვი, ბრძოლა სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი; ამის შესახებ მიქელეს ვუთხარი. მან გაიცინა და მიპასუხა, ბრძოლა, რომელიც „კვირეულის“ ყდებზე გინახავს, ახლა სულ სხვანაირად მიმდინარეობსო. ზარბაზნები და თვითმფრინავები ჯარისკაცებს ფრონტის ხაზიდან მოშორებით ხოცავდნენ; ერთი სიტყვით, თანამედროვე ომი სულ ემსგავსება დიასახლისის მიერ ბუზების სასხურით ხოცვას, როცა იგი არც ეხება და არც ხელებს ისვრის. თანამედროვე ომში, — თქვა მიქელემ, — აღარ არის ხმარებაში შეტევები, იერიშები და ხელჩართული ბრძოლები. პირადი მამაცობა საჭირო არ არის. იმარჯვებს ის, ვისი თვითმფრინავებიც უფრო შორს და სწრაფად დაფრინავენ, ვისაც მეტი ზარბაზანი აქვს, თან ეს ზარბაზნები უფრო შორსმსროლელია.

— ომი მანქანების ომად იქცა, — თქვა მან ბოლოს, — ხოლო ჯარისკაცები კარგი მექანიკოსები არიან და სხვა არაფერი.

ეს უხილავი ბრძოლა გრძელდებოდა სადღაც იქ, ერთი თუ ორი დღის განმავლობაში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ზარბაზნებმა თითქოს

ნახტომი გააკეთეს და მათი ზალპები ისე ახლოს გაისმა, რომ ჩვენი ქოხის კედლებმა ზანზარი დაიწყეს.

— ბუმ, ბუმ, ბუმ!

მომეჩვენა, თითქოს ქვემეხები ისვრიან აი აქ, მთის მოსახვევში. მე წამოვხტი ლოგინიდან და გარეთ გავვარდი იმ ფიქრით, რომ ახლა მაინც ვნახავდი ისეთ ხელჩართულ ბრძოლას, როგორიც წარმოდგენილი მქონდა. მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვნახე, გარეთ ისეთივე მშვიდი, ნათელი, მზიანი დღე იდგა, მხოლოდ ჰორიზონტზე, ხეობის გარშემო მდებარე მთებს გადაღმა ჩანდა ცაში ატყორცნილი წვრილი წითელი ზოლები, რომლებიც სადღაც ცის სილაჟვარდეში იკარგებოდნენ, მეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც დანით ჭრიდა ცას. ამიხსნეს, რომ ეს ქვემეხების ყუმბარები იყო, რომელთა მოძრაობის გზა ატმოსფეროს განსაკუთრებული მდგომარეობის გამო შეუიარაღებელი თვალითაც შეგვეძლო დაგვენახა. ეს წითელი ზოლები სამართებლით მიყენებულ ჭრილობას ჰგავდა, საიდანაც ერთი წუთით გამოჟონავს ხოლმე სისხლი და მაშინვე ქრება. ჩვენ ჯერ აფეთქებას ვხედავდით, მერე ქვემეხის ზალპის ხმა ისმოდა, რომელსაც მოსდევდა გულისწამღები წივილი ზედ ჩვენს თავზე და თითქმის ერთდროულად მთების გადაღმიდან ჩვენამდე აღწევდა აფეთქების ძალიან ძლიერი ხმა, რომლისგანაც გარშემო ყველაფერი ქანაობდა და ზანზარებდა. ერთი სიტყვით, ისროდნენ ჩვენს თავზე და უმიზნებდნენ რაღაცას, რაც ჩვენს იქით იმყოფებოდა. მიქელემ აგვიხსნა, რომ ბრძოლამ ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა და ფონდის დაბლობი უკვე დაცლილია გერმანელებისაგან. მე ვკითხე, მაშ საით წავიდნენ გერმანელები-მეთქი, მან კი მიპასუხა, გერმანელები, ალბათ, უკვე რომის მიმართულებით გარბიანო. ბრძოლა ფრონტის გასარღვევად დამთავრებულია და მოკავშირეთა ქვემეხები, რომელთა ხმაც ჩვენამდე აღწევდა, გერმანელთა უკანდახეულ ჯარს ანადგურებენო. ამასობაში, არც ხელჩართული ბრძოლები და ხიშტით იერიშები, არც დახოცილები, არც დაჭრილები არ ჩანდნენ.

ღამით დავინახეთ, რომ ცა იტრის მხრიდან ცოტათი გაბაცდა და მხოლოდ დრო და დრო უეცარი აფეთქებები წითლად ღებავენ. საარტილერიო ცეცხლი კი შავი ვარსკვლავიანი ცის ფონზე ახლა უკვე ფოიერვერკს ჰგავდა. წითელი ზოლები გამრავლდა, იქაურობას მხოლოდ ცეცხლის ყვავილიღა აკლდა, რომელიც ბენგალიური ცეცხლის აფეთქებებს ამშვენებს ხოლმე, მაგრამ ზალპები სხვაგვარი, უფრო ყრუ და

მუქარით აღსავსე იყო და. არა ჰგავდა ფოიერვერკის მხიარულ ტკაცა-ტკუცს. ჩვენ დიდხანს შევყურებდით ცას და ბოლოს საშინლად დაქანცულები დავწექით, მაგრამ ცუდად გვეძინა იმიტომ, რომ ძალიან ცხელოდა, ხოლო როზეტა ვერაფრით ვერ დამშვიდებულიყო და შეუსვენებლივ ლაპარაკობდა. დილით ადრე საშინელმა აფეთქებამ გამოგვაღვიძა, რომელიც სულ ახლოს გაისმა. წამოვხტით ლოგინიდან და დავინახეთ, რომ ამჯერად ჩვენს სოფელს უშენდნენ. მაშინ პირველად მივხვდი, რომ ქვემეხები თვითმფრინავებზე ბევრად უარესია. თვითმფრინავებს ხედავ მაინც, შეიძლება გაექცე და დაეძალო, ყოველ შემთხვევაში იმედი მაინც გაქვს, რომ დაინახავ საით მიფრინავენ; ქვემეხები კი არ ჩანს, ისინი სადღაც იქ, ჰორიზონტის გადაღმა, დგანან, და თუმცა ვერ ხედავ, ისინი, ასე ვთქვათ, გამუდმებით გეძებენ და ვერ დაემალები, რადგან საჩვენებელი თითივით არიან შენკენ მომართული. აფეთქება ჩვენგან ძალიან ახლოს გაისმა და მალე გავიგეთ, რომ ყუმბარა ფილიპოს სახლის ახლოს გამსკდარიყო. მოირბინა მიქელემ მეტად კმაყოფილი სახით და გვითხრა, ახლა უკვე სულ ცოტა უნდა მოვითმინოთ, არა უმეტეს რამდენიმე საათისა; ამაზე შევნიშნე — სიკვდილი რამდენიმე წამშიც შეიძლება-მეთქი, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა და მიპასუხა, აწი შეგვიძლია ჩვენი თავი უკვდავად ჩავთვალოთო. მისი სიტყვების პასუხად პირდაპირ ჩვენს თავზე საშინელი აფეთქება გაისმა. ჩვენი ოთახის კედლები და ჭერი შეინძრა და თავზე მტვერი და ნაგავი დაგვეყარა, ისე ჩამობნელდა, ერთი წუთით მოგვეჩვენა კიდეც, რომ ყუმბარა მართლა ჩვენს სახლს დაეცა. გარეთ გამოვცვივდით და დავინახეთ, რომ ყუმბარა ჩვენს მახლობლად, მაჩერაზე გასკდა, რომლის ნაწილი ჩაინგრა, იმ ადგილას კი უზარმაზარი ორმო გაჩენილა, რომელიც ახალამობრუნებული მიწით და ძირფესვიანად მოთხრილი ბალახით არის სავსე. ახლა კი მიქელესაც, თუ არ შეეშინდა, მიხვდა მაინც, რომ მართალი ვიყავით — სიკვდილი რამდენიმე წამშიც შეიძლებოდა, ამიტომ წინადადება მოგვცა გავყოლოდით:

— საჭიროა, — თქვა მან,—ტყვიამიუწვდომელი კუთხე მოვნახოთ.

ჩვენ მაჩერის მეორე ბოლოსკენ გავიქეცით, სადაც კლდის გადმონაშვერის ქვეშ ხის ტოტებით აშენებული ქოხი იდგა, რომელიც ბოსლის მაგივრობას სწევდა.

— აი ეს არის ტყვიამიუწვდომელი ადგილი, — თქვა მიქელემ, ძალი-

ან კმაყოფილმა, რომ ჩვენთან თავისი სამხედრო ცოდნა გამოამჟღავნა, — ბალახზე დავსხდეთ... ყუმბარები აქამდე ვერ მოაღწევენ.

— მაშ არა და! — ამის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ გაისმა საშინელი აფეთქება და ჩვენ მტვერსა და ბოლში გავეხვიეთ; ამასობაში ძლივს გავარჩიეთ, რომ ქოხი სათამაშო ხუხულასავით გადაიხარა გვერდზე. ამჯერად მიქელემ აღარაფერი თქვა ტყვიამიუწვდომელ ადგილზე და ისე გვკრა ხელი, რომ იქვე წავიქეცით. მან დაიყვირა:

— მომყევით გამოქვაბულისაკენ... შიგ შევძვრეთ... არ ადგეთ, მომყევით!

გამოქვაბული სწორედ ქოხის უკან იმყოფებოდა, იგი პატარა იყო, დაბალი შესასვლელით, გლეხებს შიგ საქათმე მოეწყოთ. ჩვენ ხოხვით გავყევით მიქელეს, შევძვერით საქათმეში და ავაფორიაქეთ ქათმები, რომლებიც გამოქვაბულის სიღრმეში კრიახით შეიყუჟნენ. გამოქვაბული ისეთი დაბალი იყო, რომ არც დგომა, არც ჯდომა არ შეიძლებოდა და ჩვენ თითქმის ერთ საათს ვიწექით ქათმების სკინტლით მოსვრილ იატაკზე. ქათმები ძალიან მალე შეეჩვივნენ ჩვენს იქ ყოფნას, დასეირნობდნენ კიდეც ჩვენს თავზე და თმებს გვიკორტნიდნენ. ჩვენ გავიგონეთ ერთიმეორის მომდევნო აფეთქება ზედ გამოქვაბულთან და ვუთხარი მიქელეს:

— კიდევ კარგი, რომ ეს ტყვიამიუწვდომელი ადგილია.

ბოლოს გაისმა კიდევ რამდენიმე აფეთქება, ახლა უკვე ნაკლებად ხშირი. ამით ყველაფერი დამთავრდა. თუ არ ჩავთვლით შორეულ ზალპებს, ჩვენს თავზე გადაქროლილი ყუმბარების ზუზუნს და აფეთქებებს, სადღაც სანტ ეუფემიის უკან. მაშინ მიქელემ თქვა, ყუმბარები, რომლებიც ქოხს მოხვდა, ალბათ ინგლისური კი არა, გერმანული იყოო, თანაც გერმანელები მთის ნაღმსატყორცნებს ისროდნენ, რომლებსაც ირიბი ტრაექტორია აქვთო; ახლა უკვე შეგვიძლია გამოვძვრეთ გამოქვაბულიდან: გერმანელებმა სროლა შეწყვიტეს, ინგლისელები კი ჩვენ არ გვესვრიანო, ასეც მოვიქეცით: გამოვძვერით გამოქვაბულიდან და დავბრუნდით სახლში.

უკვე პირველი საათი იყო და ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა წაგვესაუზმა. თითო ლუკმა პური და ყველი გვეჭამა. სანამ ვისხედით და ვჭამდით, უცებ მოვარდა აქოშინებული პარიდეს ბიჭი და თქვა, გერმანელები მოვიდნენო. თავდაპირველად ვერაფერი გავიგეთ. ამ ბათქა-ბუთქის შემდეგ, როგორც ვფიქრობდით, ინგლისელები

უნდა ამოსულიყვნენ, — იქნება ბიჭს შეეშალა-მეთქი და ხელმეორედ ვკითხე:

— შენ ალბათ გინდა თქვა, რომ ინგლისელები მოვიდნენ.

— არა, გერმანელები.

— გერმანელები უკვე გაიქცნენ.

— მე კი გეუბნები, ისინი აქ არიან.

ამ დროს მოვიდა პარიდე და აგვიხსნა, რაშიც იყო საქმე: ეს მართლაც გერმანელები იყვნენ: გერმანელი ჯარისკაცების მთელი ჯგუფი, რომლებიც ინგლისელებს გაურბოდნენ; ისინი ფარდულთან თივაზე ისხდნენ და გლეხებს ვერ გაეგოთ, რა უნდოდათ.

მე ვთქვი:

— გერმანელებთან რა გვესაქმება?.. ჩვენ ინგლისელებს ველოდებით და არა გერმანელებს, გერმანელებმა რაც უნდათ ის ჰქნან.

საბედნიეროდ, მიქელემ არ დამიჯერა, თვალები უბრწყინავდა. გეგონებოდათ, ერთდროულად კიდეც ეზიზღებოდა გერმანელები და კიდეც იზიდავდა. როგორც ჩანს სურდა ენახა დამარცხებული და დაბეჩავებული გერმანელები მას შემდეგ, რაც ბევრჯერ ენახა გამარჯვებულნი და ამპარტავანნი. მან მოუსმინა პარიდეს და თქვა:

— წავიდეთ, ვნახოთ ეს გერმანელები,—და გაჰყვა პარიდეს. მე და როზეტაც ავედევნეთ.

გერმანელები ისხდნენ იქ, სადაც პარიდემ დატოვა, — საბძლის ჩრდილში. ისინი ხუთნი იყვნენ; ცხოვრებაში არასოდეს არ მინახავს ასეთი დატანჯული და დაღლილი ადამიანები. ისინი ჩალაზე ეყარნენ გაშხლართულნი და მკვდრებსა ჰგავდნენ. სამ მათგანს ეძინა, ყოველ შემთხვევაში თვალები დახუჭული ჰქონდათ, მეოთხე ზურგზე იწვა და ცას გასცქეროდა, მეხუთეც ზურგზე იწვა, ოღონდ ჩალისგან სასთუმალი გაეკეთებინა და პირდაპირ იყურებოდა. ყველაზე უფრო თვალში ეს უკანასკნელი მეცა: ქერა, წითური, გამქვირვალე კანით, სრულიად თეთრი წამწამებით შემოვლებული ცისფერი თვალებითა და ძალიან ღია ფერის თხელი და სწორი თმებით. ლოყებზე თითქოს ცრემლისგან დაღარული მტვრის სქელი ფენა ედო. ნესტოები მიწისგან თუ ჭუჭყისგან გაშავებოდა, ტუჩები დასკდომოდა. თვალები გაწითლებული და ჩაცვენილი ჰქონდა. მუდამ მინახავს, რომ გერმანელებს მშვენივრად მორგებული, თითქოს სკივრიდან ახლადამოღებული სუფთა და გაუთოებული მუნდირები ეცვათ, მაგრამ ამ ჯარისკა-

ცებს მუნდირები დაჭმუჭნული და დახეული ჰქონდათ, მეჩვენა, რომ ფერიც კი შეცვლოდათ, თითქოს მტვერსა ან ჭვარტლში იყვნენ ამოვლებული. გერმანელების გარშემო, ცოტა მოშორებით იდგნენ ლტოლვილები და გლეხები და ისე უყურებდნენ, ვითომ არნახული ურჩხულები ყოფილიყვნენ. გერმანელები ჩუმად და გაუნძრევლად იწვნენ. მიქელე მიუახლოვდა მათ და ჰკითხა, საიდან მოდიხართო. ისინი გერმანულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ქერამ თავმოუბრუნებლად, თითქოს ჩალის სასთუმალზე მიჭედილი ჰქონდა, ჩუმად თქვა:

— შეგიძლიათ იტალიურად ილაპარაკოთ... მე ვიცი იტალიური ენა.

მიქელემ გაიმეორა თავისი კითხვა იტალიურად და ქერამ უპასუხა, რომ ისინი ფრონტიდან მოდიან. მიქელემ ჰკითხა, რა მოხდაო. ქერა დამბლადაცემულივით იწვა, ლაპარაკობდა ძალიან ჩუმად და ნელა; რაღაც პირქუში, მუქარით აღსავსე, დაღლილი ხმით გვიამბო, რომ ისინი არტილერისტები არიან, ორი დღე შეუსვენებლივ თვითმფრინავები ბომბავდნენ, რომლებმაც არა მარტო ზარბაზნები დაულეწეს, არამედ გარშემო ყველაფერი ამოაბრუნეს, მათი ამხანაგების უმეტესობა დაიხოცა, ისინი კი გამოიქცნენ.

ფრონტი ახლა უკვე გარილიანოსთან კი აღარ არის, — მძიმედ დაასკვნა მან, — არამედ უფრო ჩრდილოეთით. ჩვენ იქით უნდა წავიდეთ... იქ მთებია და იქ გავმაგრდებით.

ისინი მკვდრებსა ჰგავდნენ, მაგრამ მაინც წინააღმდეგობასა და ომის გაგრძელებაზე ლაპარაკობდნენ.

მიქელემ ჰკითხა, ვინ გაარღვია ფრონტის ხაზი, ინგლისელებმა თუ ამერიკელებმაო; ეს წინდაუხედავი კითხვა იყო. ქერამ ჩაიცინა და თქვა:

— თქვენთვის სულ ერთი არ არის? საკმარისია იცოდეთ, ძვირფასო სენიორ, რომ თქვენი მეგობრები მალე აქ იქნებიან.

მიქელემ ვითომ ვერ შეამჩნია ირონიული, მუქარით აღსავსე კილო და ჰკითხა, რითი შეეძლო მათი დახმარება.

— რაიმე საჭმელი მოგვეცით, — უთხრა ქერამ.

ჩვენ მარაგის უკანასკნელ ნამცეცებს ვათავებდით. ფილიპოს გარდა, ყველა ლტოლვილს, ერთად აღებულს, ერთი მთელი პურიც არ შეგვიგროვდებოდა, ამიტომ ერთმანეთს გადავხედეთ, მე ჩვენი საერთო აზრი გამოვთქვი და წამოვიძახე:

— საჭმელი! თქვენ გგონიათ, ჩვენ გვაქვს საჭმელი? თუ ინგლისელები სურსათს არ მოგვიტანენ, თან ძალიან ჩქარა, აქ ყველანი შიმშილით ამოვწყდებით. მოუცადეთ ინგლისელებს და თქვენც გექნებათ საჭმელი.

დავინახე, რომ მიქელე რაღაცას მანიშნებდა და მივხვდი, რომ სისულელე წამოვროშე. გერმანელმა დაკვირვებით შემომხედა, თითქოს ჩემის სახის ნაკვთების დამახსოვრება უნდოდა და ნელა თქვა:

— შესანიშნავი რჩევაა: მოვუცადოთ ინგლისელებს.

რამდენიმე ხანს ის კვლავ გაუნძრევლად იწვა, მერე ძლივს ასწია ხელი და ქურთუკის შიგნით უბეში რაღაცას ძებნა დაუწყო.

— მე გითხარით, რომ ჩვენ საჭმელი გვჭირდება. — გაუნძრეველად და პოზის შეუცვლელად მან უბიდან უზარმაზარი შავი პისტოლეტი ამოიღო და დაგვიმიზნა.

მე შემეშინდა, — არა იმდენად პისტოლეტისა, რამდენადაც გერმანელის თვალების გამომეტყველებისა, რომლებიც მახეში გაბმული, მაგრამ ჯერ კიდევ კბილებდაკრეჭილი მხეცის თვალებს ჰგავდა. მიქელემ მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, უთხრა როზეტას:

— გაიქეცი მამაჩემთან და უთხარი გერმანელებისთვის ცოტა პური გამოგატანოს.

ეს სიტყვები მან ისეთი კილოთი თქვა, თითქოს უკარნახებდა როზეტას, ეამბნა მამამისისთვის, თუ როგორ მოითხოვდნენ გერმანელები პურს. როზეტა ფილიპოს სახლისაკენ გაიქცა.

პურის მოლოდინში ჩვენ უძრავად ვიდექით მწოლიარე გერმანელი ჯარისკაცების გარშემო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ქერამ თქვა:

— ჩვენ არა მარტო პური გვჭირდება... ჩვენ გვსურს, რომ ვინმე წამოგვყვეს და გვიჩვენოს ბილიკი ჩრდილოეთისაკენ, რომლითაც ჩვენს ჯარებს დავეწევით.

მიქელემ თქვა: — აი ეს ბილიკი, — და მიუთითა ზემოთ მთის ბილიკზე.

— ამას მე თვითონაც ვხედავ. მაგრამ ჩვენ ამ მთებს არ ვიცნობთ. ჩვენ გამყოლი გვჭირდება, აი, მაგალითად, ეს ქალიშვილი.

— რომელი ქალიშვილი?

— პურზე რომ წავიდა.

სისხლი გამეყინა ძარღვებში: ეხლა ომია და თუ ისინი როზეტას

წაიყვანენ, ვინ იცის, კვლავ როდისღა ვნახავ. მაგრამ მიქელეს სიმშვიდე არ დაუკარგავს, ისე უპასუხა მაშინვე:

— ეს ქალიშვილი აქაური არ არის. მთებს ის თქვენზე ცუდად იცნობს.

— მაშინ, — თქვა ქერამ, — თქვენ წამოგვყვებით, ძვირფასო სენიორ, თქვენ ხომ აქაური ხართ, არა?

მინდოდა დამეყვირა მიქელესათვის: „უთხარი, რომ შენც არა ხარ აქაური", — მაგრამ ვერ მოვასწარი. მიქელე მეტისმეტად პატიოსანი კაცი იყო იმისათვის, რომ ტყუილი ეთქვა. ამიტომ უპასუხა:

— მართალია, აქაური ვარ, მაგრამ არც მე ვიცნობ ამ მთებს. რადგან მუდამ ქალაქში ვცხოვრობდი.

ამაზე ქერამ კინაღამ გადაიხარხარა და თქვა:

— თქვენ რომ ყური გიგდოთ, გამოდის, ამ მთებს არავინ იცნობს. გამყოლად წამოგვყვებით და დარწმუნებული ვარ, მალე გამოირკვევა, რომ თქვენ შესანიშნავად იცნობთ ამ მთებს.

ამაზე მიქელემ არაფერი უპასუხა, მხოლოდ წარბები შეყარა. ამასობაში დაბრუნდა როზეტა და ორი მომცრო პური მოიტანა, რომელიც ფრთხილად დადო გერმანელების ახლოს ჩალაზე. იგი პურს შორიდან აწვდიდა, როგორც ამას აკეთებენ, როცა გარეულ მხეცებს აძლევენ ხოლმე საჭმელს და ისინი არავითარ ნდობას არ იმსახურებენ, გერმანელმა შეამჩნია ეს და უკმაყოფილოდ თქვა:

— ხელში მომეცი პური, ჩვენ ცოფიანი ძაღლები არა ვართ, არ გიკბენთ.

როზეტამ ისევ აიღო პური და მიაწოდა. გერმანელმა პისტოლეტი ჯიბეში ჩაიდო, გამოართვა პური და ჩალაზე წამოჯდა.

დანარჩენი გერმანელებიც წამოდგნენ და გვერდით მოუსხდნენ, ეტყობა მათ არ ეძინათ, უბრალოდ თვალდახუჭულნი იწვნენ და ესმოდათ ჩვენი ლაპარაკი. ქერამ ჯიბიდან დანა ამოიღო. დაჭრა პური ხუთ თანაბარ ნაწილად და ამხანაგებს დაურიგა. ისინი ჭამდნენ ძალიან ნელა და დიდხანს, არც ერთ ნამცეცს არ კარგავდნენ, ჩვენ კი მათ გარშემო ვიდექით და ხმას არ ვიღებდით. როცა ჭამა დაამთავრეს, ერთმა გლეხის ქალმა უხმოდ მიაწოდა ვედროთი წყალი და თითოეულმა ორ-ორი, ზოგმა კი ოთხი ჩამჩა დალია. ეტყობა მათ ძალიან შიოდათ და სწყუროდათ. მერე ქერამ ისევ ამოიღო პისტოლეტი.

— დროა წავიდეთ, უკვე გვიანაა.

ეს მან თავის ამხანაგებს უთხრა და მათ მაშინვე დაიწყეს წამოდგომა. მერე ისევ მიქელეს მიუბრუნდა:

— თქვენ კი ჩვენთან ერთად წამოხვალთ და გზას გვიჩვენებთ.

ყველანი გაოცებულნი დავრჩით, რადგან გვეგონა, რომ ქერა არასერიოზულად ამბობდა ამას, ახლა კი დავრწმუნდით, რომ აღარ ხუმრობდა. ფილიპოც მოვიდა და ჩვენთან ერთად ჩუმად უყურებდა გერმანელებს, სანამ ისინი ჭამდნენ, მაგრამ როცა დაინახა, რომ ქერა პისტოლეტით ემუქრებოდა მიქელეს, უცებ ამოიგმინა, ყველასათვის მოულოდნელი გამბედაობით აეფარა მიქელეს და დაიყვირა:

— ეს ჩემი შვილია, გესმით? ჩემი შვილი.

ქერამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ პისტოლეტი გაიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო, მაგრამ ფილიპომ ისევ დაიყვირა:

— სახარებას გეფიცებით, ჩემი შვილი არ იცნობს მთებს, ჩემი შვილი წიგნებს კითხულობს, წერს, სწავლობს, საიდან ეცოდინება მთის გზები.

ქერამ თქვა:

— კმარა, იგი ჩვენ წამოგვყვება!

ის წამოდგა, ერთ ხელში პისტოლეტი ეჭირა, მეორეთი ჭამარს ისწორებდა.

ფილიპო უყურებდა და თითქოს არ ესმოდა, რა სურდა მას. მერე ნერვიულად გადაყლაპა ნერწყვი და ენით ტუჩები გაილოკა: ეტყობა სული ეხუთებოდა. უცბად, არ ვიცი რატომ, გამახსენდა ფრაზა, რომლის გამეორებაც უყვარდა: „სულელები აქ არა გვყავს“. საცოდავი ახლა არც ჭკვიანი იყო და არც სულელი, უბრალოდ მამა იყო, რომელსაც შვილს ართმევდნენ, რამდენიმე წამს იგი ელდანაცემივით იდგა, მერე ისევ დაიყვირა:

— მე წამიყვანეთ! მე წამიყვანეთ ჩემი შვილის მაგივრად. მე კარგად ვიცნობ მთებს. სანამ დუქანს ვიყიდდი, მეწვრილმანე ვიყავი და ეს მთები მთლად შემოვლილი მაქვს. მე ხელჩაკიდებული მიგიყვანთ თქვენს შტაბამდე. ყველაზე მოხერხებული და საიდუმლო ბილიკები ვიცი. პირობას გაძლევთ, რომ მიგიყვანთ.

იგი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— მე წავალ. ნუ გეშინიათ, ხვალ საღამოს დაგბრუნდები. თქვა ეს, ჭამარი შეისწორა და გაღიმებაც კი სცადა საცოდავი ღიმილით.

მერე მივიდა გერმანელთან, მხარზე ხელი დაადო და ნაძალადევი სითამამით უთხრა:

— აბა, წავიდეთ, გზა შორი გვაქვს.

მაგრამ, ნურას უკაცრავად. გერმანელმა სრულიად მშვიდად განაცხადა:

— თქვენ ძალიან ბებერი ხართ. ჩვენ თქვენი შვილი წამოგვყვება, ეს მისი ვალია.

პისტოლეტით მან გზიდან ჩამოიცილა ფილიპო, მიუახლოვდა მიქელეს, პისტოლეტითვე ანიშნა წინ წასულიყო:

— იარეთ.

ვიღაცამ დაიყვირა:

— მიქელე გაიქეცი!

უნდა გენახათ იმ წუთს გერმანელი! მას დაავიწყდა დაღლილობა; მკვირცხლად მოტრიალდა იქით, საიდანაც ყვირილი გაისმა და გაისროლა. საბედნიეროდ, ტყვია მაჩერის ქვებში ჩაიკარგა; მაგრამ ამ გასროლით გერმანელმა მაინც მიაღწია მიზანს — შეაშინა ლტოლვილები და გლეხები და ხელი შეუშალა მათ რაიმე ეღონათ მიქელეს დასახმარებლად. ყველანი შეშინებული მიმოიფანტნენ და მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ, როცა გერმანელებისაგან კარგა მოშორებით იყვნენ. მდუმარედ შესცქეროდნენ ისინი როგორ უბიძგებდა გერმანელი მიქელეს პისტოლეტით. არასოდეს არ დამავიწყდება ეს სურათი, ის აქამდე თვალწინ მიდგას; გერმანელი პისტოლეტით ხელში და მის წინ მიმავალი მიქელე; ისიც მახსოვს, რომ მიქელეს შარვლის ერთი ტოტი გრძელი ჰქონდა, ისე რომ თითქმის ფეხს ადგამდა, მეორე კი მოკლე, კოჭი უჩანდა. მიქელე მიდიოდა ნელა, შეიძლება იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ ავუჯანყდებოდით გერმანელებს და გაქცევის საშუალებას მივცემდით; იგი ცოტათი მიითრევდა კიდეც ფეხებს, თითქოს უხილავი ბორკილი ედო. ხუთი გერმანელისა და მიქელესაგან შემდგარმა ჯგუფმა გაიარა ბილიკი და ბუჩქებში მიიმალა. როცა გერმანელმა გაისროლა, ფილიპო სხვებთან ერთად გაიქცა და მოშორებით დადგა. მაგრამ, დაინახა თუ არა, რომ მიქელე და ქერა ბუჩქებს მიეფარნენ, რაღაც ბღავილი აღმოხდა, რომელიც ნადირის ღრიალს ჰგავდა დ უნდოდა დადევნებოდა, მაგრამ გლეხებმა და ლტოლვილებმა არ გაუშვეს. ის ბღაოდა, მოთქმით ტიროდა და ცხარე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. მოირბინეს დედამ და

დამ; ჯერ ვერ გაეგოთ რა მოხდა და ყველას ეკითხებოდნენ, მაგრამ როცა გაიგეს, ტირილი დაიწყეს და მიქელეს სახელს მოსთქვამდნენ. მისი და ტირილით ამბობდა:

— რაღა ახლა მოხდა ეს, როცა ყველაფერი თავდება, რაღა სწორედ ახლა?

ჩვენ არ ვიცოდით, როგორ დაგვემშვიდებინა ისინი, სიტყვები უბედურებას არ შველის, საჭიროა უბედურების მიზეზი მოსპო, ეს კი ჩვენ არ შეგვეძლო. ბოლოს ფილიპო ცოტათი მოვიდა გონს, ცოლს მხარზე ხელი მოხვია და სახლისაკენ წაიყვანა, თან ეუბნებოდა:

— აი ნახავ, ის დაბრუნდება... აუცილებლად დაბრუნდება. არ შეიძლება არ დაბრუნდეს... აჩვენებს გზას და დაბრუნდება.

ქალიშვილმა ტირილით დაუჭირა მამას მხარი:

— ნახავ, დედა, ის საღამოს უთუოდ დაბრუნდება.

მაგრამ დედამ თქვა ის, რასაც დედები ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე და რაც თითქმის ყოველთვის მართლდება, რადგან დედის ინსტინქტი ყოველგვარ მსჯელობაზე ძლიერია.

— არა, მე ვიცი; რომ ის აღარ დაბრუნდება, ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ვერასოდეს ველარა ვნახავ.

უნდა გამოგიტყდეთ, მთელი ამ ორომტრიალის — ქვემეხების გრიალის, გერმანელთა ჯარების დარბევის, ფრონტის ხაზის გარღვევის, მთებში ჩვენი ყოფნის დასასრულის ჟამს — მიქელეს ამბავს ჩემსა და როზეტაზე ისე არ უმოქმედია, როგორც უნდა ემოქმედა. ჩვენც გვჯეროდა, ან გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ იგი დაბრუნდებოდა. შეიძლება ეს რწმენა იმისთვის გვჭირდებოდა, რათა დაგვეფარა, რომ ფესტების ოჯახის უბედურებას ვერ ვიზიარებდით, ვერ განვიცდიდით ისევე, როგორც ისინი, რადგან ჩვენი ფიქრები უკვე შორს იყო. ორივეს საოცრად გვიხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს ველირსეთ განთავისუფლებას. არკი გვესმოდა, რომ მიქელეს დაკარგვა, რომელიც ჩვენ მამობასა და ძმობას გვიწევდა, უფრო მნიშვნელოვანი ამბავი იყო, ვიდრე თვით განთავისუფლება, ყოველ შემთხვევაში, უნდა დაეჩრდილა მაინც ჩვენი სიხარული. საუბედუროდ, ეგოიზმმა, რომელიც დუმდა, სანამ განსაცდელში ვიყავით, გაიღვიძა, როგორც კი ამ განსაცდელმა გაიარა. მიქელეს წაყვანის შემდეგ, როცა ქოხში ვბრუნდებოდით, უნებურად გავიფიქრე, ბედი გვეწვია, რომ გერმანელებმა მიქელე წაიყვანეს და არა როზეტა, მიქელეს წაყვანა

ხომ, რაც უნდა იყოს, მის ოჯახს ეხებოდა და ჩვენ ბოლოს მაინც უნდა დავშორებულიყავით და არასოდეს აღარ შევხვდებოდით. ჩვენ დავუბრუნდებით რომს, წინანდელ ცხოვრებას და მთებში გატარებული დღეების შესახებ მოგონებაღა დაგვრჩება. მხოლოდ ხანდახან თუ ვეტყვით ერთმანეთს:

— გახსოვს მიქელე?.. საინტერესოა, შემდეგ რა დაემართა? ფილიპო და მისი ცოლ-შვილი გახსოვს? ნეტავ რას აკეთებენ ახლა?

ძალიან ცხელოდა, მაგრამ იმ ღამეს მე და როზეტას ჩახუტებულებს გვეძინა იმიტომ, რომ ზარბაზნები ისროდნენ, ყუმბარები სულ ახლოს სკდებოდნენ და ჩვენ ვიფიქრეთ, თუ ყუმბარა დაგვეცემა, ერთად მაინც დავიხოცებით. მაგრამ ხეირიანად მაინც არ დაგვეძინა, რადგან ყოველ ხუთ-ათ წუთში ძლიერი აფეთქება გვაღვიძებდა და ლოგინზე წამოგვასკუპებდა. ხანდახან აფეთქების გარეშეც გვეღვიძებოდა, ხომ გესმით, ასაღელვებლად საკმარისი მიზეზები გვქონდა. როზეტას მიქელეს ბედი აწუხებდა; ახლა მესმის, იგი ნამდვილად გრძნობდა, რომ მიქელეს დაკარგვა არ იყო ისეთი უმნიშვნელო ამბავი, როგორც მე ვარწმუნებდი. დრო და დრო სიბნელეში მესმოდა მისი ხმა:

— რას უშვრებიან ახლა მიქელეს, დედა?

ან:

— შენ ნამდვილად გჯერა, დედა, რომ მიქელე დაბრუნდება?

ან კიდევ:

— რა მოუვა ჩვენს საწყალ მიქელეს, დედა?

ერთი მხრივ ვგრძნობდი, როზეტა მართალი იყო, რომ მიქელეს ბედი აწუხებდა, მეორე მხრივ კი ეს მაბრაზებდა; როგორც ვთქვი, მეჩვენებოდა, რომ ვინაიდან სანტ ეუფემიიდან მალე მივდივართ, მხოლოდ ჩვენს თავზე უნდა ვიფიქროთ, ამიტომ როზეტას გულგარეშე ვუპასუხებდი და ვცდილობდი დამემშვიდებინა, სანამ მოთმინება არ დაეკარგე და არ ვუთხარი:

— დაიძინე, სულ ერთია უძილობით ვერაფერს უშველი, თანაც დარწმუნებული ვარ, მას არაფერი მოუვა და რასაკვირველია, უკვე მთის ბილიკით უკან ბრუნდება.

როზეტამ ერთხელაც თქვა, მაგრამ უკვე ძილბურანში:

— საწყალი მიქელე!

ამ სიტყვების შემდეგ მართლაც დაიძინა.

როცა დილით გავიღვიძე, დავინახე, რომ როზეტა ჩემს გვერდით არ არის და კარში გავვარდი; უკვე გვიან იყო, მზე მაღლა იდგა, არტილერიის ცეცხლი შეწყდა და ყველგან დიდი გამოცოცხლება სუფევდა. ლტოლვილები ქოხებს შორის დარბოდნენ და გლეხებს ემშვიდობებოდნენ, ნივთებს მიათრევდნენ, ზოგიერთი კი უკვე ფონდისკენ მიმავალ ბილიკს დასდგომოდა; უცებ შიშმა ამიტანა, რომ როზეტაც მიქელესავით დაიკარგა და მაჩერაზე აქეთ-იქით სირბილი დავიწყე, თან ხმამაღლა ვეძახდი. არავინ ყურადღებას არ მაქცევდა და უცებ გავიფიქრე, რომ ალბათ ღმერთმა დამსაჯა ცუდი აზრებისათვის, როზეტა დაიკარგა, ყველანი კი თავიანთი საქმით არიან გართულნი და არავის სურს შეჩერდეს მაინც და მომისმინოს. სასოწარკვეთილება სულ უფრო მიპყრობდა. მაგრამ ამ დროს, საბედნიეროდ, სამზადი ქოხიდან პარიდეს ცოლმა გამოიხედა და მითხრა:

— რა გაყვირებს, შე ქალო! — როზეტა ჩვენთანაა, ღომს ჭამს.

შვებით ამოვისუნთქე. ცოტათი შემრცხვა კიდეც, შევედი ქოხში და სხვებთან ერთად მივუჯექი მაგიდას, რომელზედაც ჯამით ღომი იდგა. ჩვეულებისამებრ, ყველა ჩუმად იყო; დღესაც კი, როცა ამდენი რამ მოხდა და კიდევ რამდენი მოხდებოდა, გლეხები ჭამის დროს მხოლოდ საჭმელზე ფიქრობდნენ. მარტო პარიდემ, თითქოს საერთო აზრს გამოთქვამდა, ჩვეულებრივი ხმით თქვა, ვითომ ამინდზე ლაპარაკობდა:

— მაშასადამე, თქვენ ქალაქში ბრუნდებით და ისევ სენიორებივით იცხოვრებთ, ჩვენ კი აქ დავრჩებით და ძველებურად უნდა ვიშრომოთ.

მან პირი მოიწმინდა, ჩამჩით წყალი დალია და ქოხიდან გავიდა ისე, რომ არ გამოგვემშვიდობა, როგორც ამას მუდამ აკეთებდა. პარიდეს ოჯახს ვუთხარი, როზეტა და მე წავალთ, ბარგს ჩავალაგებთ, მერე გამოსამშვიდობებლად გამოგივლით-მეთქი და წავედით.

მე მხოლოდ ერთი რამ მსურდა, სიხარულით და მოუთმენლად ველოდი იმ წუთს როდის წავიდოდით აქედან. მაგრამ მაინც, არც კი ვიცი რატომ, ვთქვი:

— უნდა ფესტებთან შევიაროთ, გავიგოთ, რა მოუვიდა მიქელეს.

ეს უხალისოდ ვთქვი, რადგან მიქელე შეიძლება დაბრუნებული არ იყო და ფესტების ოჯახის მწუხარება ჩემს სიხარულს დაჩრდილავდა. მაგრამ როზეტამ მშვიდად მიპასუხა:

— ფესტები უკვე წავიდნენ აქედან... ამ დილით, ალიონზე... მიქელე არ დაბრუნებულა. იმედი აქვთ, რომ ქალაქში ნახავენ.

გავიგონე თუ არა, რომ ფესტები უკვე წავიდნენ, თავისუფლად ამოვისუნთქე; ჩემი მხრიდან ეს უთუოდ ეგოიზმი იყო, ისევე, როგორც უხალისობა, რითაც ფესტები უნდა მენახა. როზეტას ვუთხარი.

— მაშინ სხვა არაფერი დაგვრჩენია, რომ ჩავალაგოთ ბარგი და საჩქაროდ წავიდეთ აქედან.

როზეტამ მიპასუხა:

— დღეს დილით, გათენებისას, სანამ შენ გეძინა, ფესტებთან ვიყავი გამოსამშვიდობებლად. პირდაპირ ნასოწარკვეთილებაში იყვნენ. ეს ბედნიერი დღე მათთვის მწუხარებით არის აღსავსე, რადგან მიქელე არ დაბრუნებულა.

ერთ ხანს ვდუმდი და ვფიქრობდი, თუ რამდენად უკეთესი იყო როზეტა ჩემზე. იგი ალიონზე ადგა, ფესტებთან წავიდა და არ ეშინოდა, რომ მათი მწუხარება მის სიხარულს ჩრდილს მიაყენებდა: შემრცხვა, მოვეხვიე როზეტას და ვუთხარი;

— ჩემო ოქრო გოგოვ, შენ ბევრად უკეთესი ხარ ჩემზე, იმიტომ რომ გააკეთე ის, რისთვისაც მე ძალა არ მეყო. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ გათავდა ჩვენი ტანჯვა, უბრალოდ შემეშინდა ფესტებთან წასვლა.

— ო, მე ძალა არ დამიტანებია ჩემი თავისთვის, ძალიან შემიყვარდა მიქელე და გამიძნელდებოდა არ წავსულიყავი მათთან. მთელი ღამე ვერ დავიძინე. სულ იმ უბედურზე ვფიქრობდი. სამწუხაროდ, დედამისი მართალი გამოდგა. ის არ დაბრუნებულა.

უკვე წასვლის დრო იყო: შევედით ჩვენს ოთახში, გამოვათრიეთ ჩემოდნები, რომიდან რომ წამოვიღეთ და დარჩენილი ძონძები შიგ ჩავალაგეთ. ერთი-ორი ქვედატანი, სათბურები, რომლებიც სანტ ეუფემიაში მოვქსოვე ქონიანი სოფლური მატყლის ძაფისაგან, რამდენიმე წყვილი წინდა, ცხვირსახოცები, ჩემოდანში ჩავალაგე აგრეთვე ჩვენი მარაგის ნარჩენები: ევანგელისტისაგან ნაყიდი ცხვრის ყველი, ერთ კილომდე „თვალადი“ ლობიო და პატარა შავი პური, რომელიც სიმინდის ფქვილისა და ქატოს ნარჩენებისაგან გამოვაცხვე. ვიფიქრე წამეღო თუ არა გლეხებისაგან ნაყიდი თეფშები და ჭიქები, მაგრამ მერე გადავწყვიტე ფანჯარაზე დამეტოვებინა. ეს იყო და ეს.

დავკეტე ჩემოდნები და ერთი წუთით ჩამოვჯექი საწოლზე, მივიხედ-მოვიხედე: ჩვენს ოთახს უკვე მიეღო სევდიანი იერი მიტოვებული სახლისა, რომლიდანაც ადამიანები სამუდამოდ წავიდნენ. მთელი ჩემი მოუთმენლობა და სიხარული უცბად გაქრა, გულზე რაღაც შიში შემომაწვა. ვფიქრობდი, რომ ამ ოთხ კედელს შუა, ამ მიწურ იატაკზე ჩემი ცხოვრების ყველაზე მწარე და საშინელი დღეები გავატარე. წასვლაც მინდოდა აქედან, თან მენანებოდა სანტ ეუფემიის დატოვება. ამ ოთახში ცხრა თვეს ვცხოვრობდი, ყოველ დღე, ყოველ წუთს იმედი სასოწარკვეთილებით მეცვლებოდა, შიში — სიმტკიცით, სიცოცხლის წყურვილი — სიკვდილის ნატვრით. მაგრამ ყველაზე მეტად ერთ რამეს — განთავისუფლებას ვნატრობდი. რადგან თავისუფლება არა მარტო მშვენიერია, არამედ სამართლიანიც არის, თუკი ყველა ადამიანი თავისუფლებას თანაბრად იძენს. და უეცრად მიეხვდი, რომ იმ ხალხის ცხოვრებას, რომლებიც ელოდებიან, რომლებსაც იმედი აქვთ განთავისუფლებისა, უფრო ღრმა აზრი აქვს, ვიდრე იმათ ცხოვრებას, ვინც არაფერს ელის და არაფრის იმედი არა აქვს. რადგან პირადიდან და პატარიდან საზოგადოებრივსა და დიდზე გადავედი, ვიფიქრე, იგივე შეიძლება ითქვას ადამიანებზე, ვინც უფრო მნიშვნელოვან ამბებს მოელიან, მაგალითად, დედამიწაზე ქრისტეს მეორედ მოსვლას ან ღარიბებისათვის სამართლიანობის დამყარებას. მივდიოდი ამ ოთახიდან სამუდამოდ და მართლაც ვგრძნობდი, თითქოს ტაძარს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, წმინდა ადგილს მაინც ვტოვებდი იმიტომ, რომ აქ ბევრი ტანჯვა განვიცადე და ძალიან დიდხანს ველოდი და იმედი მქონდა რაღაც კარგისა, არა მარტო ჩემთვის არამედ სხვებისთვისაც.

დავიდგით თავზე ჩემოდნები და გავეშურეთ ქოხისკენ, რათა გამოვმშვიდობებოდით გლეხებს, მაგრამ ამ დროს მაჩერაზე უცბად განგაში ატყდა, ამჯერად ხალხი ზარბაზნების ზალპებს კი არ გაურბოდა, რაც ახლა, გადავლილი ავდრის შემდეგ, შორი ჭექა-ქუხილივით ისმოდა, არამედ თანაბარ გააფთრებულ ტკაცანს, რომელიც პირდაპირ მთის ძირთან რომ ბარდები იყო, იქიდან ისმოდა. ერთი ლტოლვილთაგანი შეჩერდა და დაგვიყვირა:

— ტყვიამფრქვევები! გერმანელები ტყვიამფრქვევებს უშენენ ამერიკელებს.

ლტოლვილი მაშინვე გაიქცა. ყველანი მიმოიფანტნენ, გამოქვაბუ-

ლებსა და ყოველგვარ ხვრელებში შეძვრნენ, მხოლოდ მე და როზეტა ვიდექით მაჩერის შუაგულში, ტყვიამფრქვევის კაკანი კი სულ უფრო ძლიერდებოდა. მეც მინდოდა რომელიმე თავშესაფრისკენ გავქცეულიყავი, მაგრამ როცა გავიფიქრე, რომ უნდა დავბრუნებოდი შიშით აღსავსე ცხოვრებას, რომელსაც ცხრა თვის მანძილზე ვეწეოდი, დავბრუნებოდი ახლა, როცა განზრახული გვქონდა სამუდამოდ დაგვენებებინა თავი ამ ცხოვრებისათვის, ზიზღისაგან გამაჟრჟოლა და გაბრაზებით დავუყვირე როზეტას:

— ტყვიამფრქვევები? იცი რას გეტყვი: მიმიფურთხებია ტყვიამფრქვევებისათვის. მე მაინც წავალ ქვემოთ.

როზეტას წინააღმდეგობა არ გაუწევია: მოწყენილობამ და დაღლილობამ ისიც გაათამამა. გადავწყვიტეთ არ გამოვმშვიდობებოდით გლეხებს, რომლებიც ვინ იცის სად მიიმალნენ, არ მივაქციეთ ყურადღება ტყვიამფრქვევების კაკანს და აუჩქარებლად დავეშვით ბილიკით ბარისაკენ. გადავდიოდით ერთი მაჩერიდან მეორეზე და მალე დავრწმუნდით, რომ სწორედ მოვიქეცით სანტ ეუფემიიდან რომ წამოვედით: ტყვიამფრქვევების კაკანი აღარ ისმოდა, ირგვლივ ყველაფერი მშვიდად და ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მაისის მშვენიერი დღე იდგა, მზე ძალზე აცხუნებდა, გზის პირას ცოცხალ ღობეებს ტყის ვარდისა და მტვრის სუნი ასდიოდა, ყვავილებს ფუტკრები დაბზუოდნენ, ისე, თითქოს ომი არასოდეს არც ყოფილა.

მაგრამ ომი იყო და მალე მის კვალს წავაწყდით კიდეც. პირველ ყოვლისა ორი ჯარისკაცი შეგვხვდა, ამერიკელებად შევიცანი, რასაკვირველია, მათი ლაპარაკის მიხედვით, და არა მუნდირების მიხედვით, რომელიც არასოდეს მენახა. ორივენი ახალგაზრდები, შავგვრემანები და დაბლები იყვნენ: ისინი პირდაპირ ბუჩქებიდან გამოხტნენ და ჩვენ შეგვეფეთნენ: ერთმა თქვა: — „ჰელო“, თუ რაღაც ამგვარი, მეორემ ინგლისურად რამდენიმე სიტყვა გვითხრა, რაც ვერ გავიგეთ. ბილიკი გადასჭრეს და პირდაპირ ბარდებში განაგრძეს გზა; მოხრილები, თოფებით ხელში, ჩაჩქანის ქვემოდან გაჰყურებდნენ მთას, საიდანაც ისევ ტყვიამფრქვევის კაკანი ისმოდა. ეს პირველი ამერიკელები იყვნენ, რომლებსაც ჩვენ შევხვდით და ისიც შემთხვევით; მაგრამ ახლა როცა ომზე ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ომში ყველაფერი შემთხვევით, სრულიად უმიზეზოდ ხდება,

კაცი მიდის მარცხნივ და მას კლავენ, ხოლო მარჯვნივ რომ წასულიყო, არაფერი მოუვიდოდა. როზეტას ვუთხარი:

— დაინახე ის ჯარისკაცები?

მან კი მიპასუხა:

— მე მეგონა, ისინი ყველანი მაღალი და ქერა კაცები არიან, ესენი კი პატარები და შავგვრემანები იყვნენ. არ ვიცოდი რა მეპასუხა ამაზე, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამერიკულ არმიაში ყველა რასისა და ყოველგვარი კანის ფერის ხალხი იყო: ზანგები და თეთრკანიანები, ქერები და შავგვრემანები, მაღლები და დაბლები. ეს ორი ჯარისკაცი, როგორც მერე გავიგე, იტალიური წარმოშობის ამერიკელები ყოფილან. ასეთი იტალიელ-ამერიკელები ძალიან ბევრნი იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილებში მაინც, რომლებმაც დაიკავეს მხარე, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით.

ქვევითკენ გზას განვაგრძობდით და უცებ პირველი დახმარების წითელი ჯვრის პუნქტს წავაწყდით, რომელიც ბილიკის ახლო, დიდი ხის ქვეშ იყო მოწყობილი. პირდაპირ ხის ქვეშ გასაშლელი საწოლი და სამგზავრო აფთიაქი იდგა. იქვე რამდენიმე ჯარისკაცი ტრიალებდა; სწორედ ამ დროს კიდევ ორმა ჯარისკაცმა საკაცით დაჭრილი მოიყვანეს. ჩვენ შევჩერდით და ყურება დავუწყეთ, რა ვაივაგლახით მიათრევდნენ ჯარისკაცები საკაცეს წითელი ჯვრის პუნქტისაკენ. დაჭრილი თვალდახუჭული იწვა და მკვდარსა ჰგავდა, მაგრამ იგი ცოცხალი იყო, იმიტომ რომ ის ორნი ელაპარაკებოდნენ, ალბათ ამშვიდებდნენ, ეუბნებოდნენ, მოითმინე, მალე მივალთო, ის კი ოდნავ თავს უქნევდა, თითქოს უნდოდა ეთქვა — ყველაფერი გავიგე და ნუ შეწუხდებით. მოვითმენო. რაღაც შიშის მომგვრელი იყო ყოველივე ამის დანახვა მთის ფერდობზე, მაისის მცხუნვარე მზის ქვეშ, აყვავებულ ბუჩქებს შორის, რომლებიც წელამდე სწვდებოდა ადამიანებს, საკაცე რომ მოჰქონდათ. თავდაპირველად მომეჩვენა, რომ საკაცეზე მწოლარე დაჭრილი მოკვდა, ახლა კი ყველაფერი ამერია: თითქოს ჯარისკაცებიც ჯარისკაცები არ იყვნენ, წითელი ჯვრის პუნქტი არ იყო წითელი ჯვრის პუნქტი, ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი ეს სინამდვილე კი არა, რაღაც სიზმარივით უცნაური რამ იყო, როზეტას ვუთხარი:

— ეგ კაცი ტყვიამფრქვევმა დაჭრა... შეიძლებოდა ჩვენც დაჭრილიყავით.

ეს მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ დამერწმუნებინა საკუთარი

თავი — ტყვიამფრქვევი ნამდვილად არსებობს და არსებობს აგრეთვე საფრთხეც. მაგრამ ამანაც ვერ დამარწმუნა.

კარგი, კმარა ამაზე. გადავდიოდით მაჩერიდან მაჩერაზე და ბოლოს მივაღწიეთ გზის განშტოებას მდინარის პირას და სახლს, სადაც ოდესღაც განსვენებული ტომაზინო ცხოვრობდა. როცა უკანასკნელად აქ ვიყავით, ყოველივე უდაბური და უკაცრიელი მოგვეჩვენა, როგორც ყველა ის ადგილი, სადაც გერმანელები იმყოფებოდნენ, იმიტომ რომ გერმანელები თავის გარშემო უდაბნოსა ქმნიდნენ; არ ვიცი როგორ ახერხებდნენ ამას, მაგრამ ადამიანები მათ დანახვაზე მაშინვე იმალებოდნენ და ქრებოდნენ. ახლა კი აქ ბევრი ხალხი იყო. ლტოლვილები და გლეხები, რომლებიც ჩვენსავით მთებიდან ჩამოდიოდნენ, ვინ ფეხით, ვინ ბარგაკიდებული ვირით ან ჯორით, — ყველა თავის სახლში ბრუნდებოდა. ჩვენ ხალხს შევუერთდით, ყველანი ძალიან მხიარულად იყვნენ, ძველი ნაცნობებივით მასლაათობდნენ ერთმანეთში. ისინი ამბობდნენ:

— გათავდა ომი, გათავდა ჩვენი ტანჯვა, მოვიდნენ ინგლისელები, დაგვიბრუნდა დოვლათი.

ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ხალხს უკვე დაავიწყდა ტანჯვით აღსავსე უკანასკნელი წელიწადი. სხვებთან ერთად ჩვენც გზაჯვარედინამდე მივედით, სადაც გზას მთისკენ მიმავალი მეორე გზა ჰკვეთდა; ამ გზაჯვარედინზე ამერიკელების პირველ კოლონას შევხვდით. მწყობრში მოდიოდნენ და მე დავინახე, რომ ესენი მართლაც ამერიკელები არიან, იმიტომ რომ არც გერმანელებს ჰგვანდნენ და არც ჩვენ, იტალიელებს. მათ ყველას რაღაც უტიფარი იერი ჰქონდათ, თითქოს რაღაცით უკმაყოფილები იყვნენ; ჩაჩქანი ყველას სხვადასხვაგვარად ეხურა, ზოგს გვერდზე მოგდებული ან თვალებზე ჩამოფხატული, ზოგს კეფაზე მოქცეული; ბევრი მათგანი პერანგისამარა იყო და ყველანი რეზინს ღეჭავდნენ. მომეჩვენა, რომ ისინი უხალისოდ იბრძოდნენ, თუმცა უშიშრად, როგორც ხალხი, რომელიც გერმანელებივით ომისათვის დაბადებული როდია, მაგრამ იძულებულია იბრძოლოს. მათ არც კი შემოუხედავთ ჩვენთვის, მაშინვე ჩანდა, რომ დიდი ხანია მობეზრებული ჰქონდათ გზებიც, ბარგაკიდებული ღარიბი ხალხიც, მაისის ცხელი დღეებიც, რომ ყველაფერი ეს მრავალგზის აქვთ ნანახი მას შემდეგ, რაც იტალიაში ჩამოვიდნენ. კოლონა ძალიან დიდხანს მიდიოდა ჩვენს წინ, ჯარისკაცები ზლაზვნით, აგდებულად

მიაბიჯებდნენ, მაგრამ აი ჩაიარა უკანასკნელმა სამმა თუ ოთხმა, ყველაზე დაღლილმა და უკმაყოფილომ და ჩვენც შევძელით შარაგზაზე გადაგვეხვია.

ეს გზა ფონდის დაბლობის ჩრდილოეთით მთებში მდებარე მონტე სან ბიაჯოსკენ მიდიოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დიდ გზას, მგონი, ვია აპიას ჰკვეთდა. მივუახლოვდით თუ არა ამ გზას, პირდაღებულნი შევჩერდით, გზაზე ამერიკელთა შემტევი ჯარი მოდიოდა. იმის თქმა, რომ გზა ხალხით იყო გაჭედილიო, ტყუილი იქნებოდა იმიტომ, რომ ხალხი გზაზე ბევრი როდი იყო, იგი მწვანედ შეღებილი ყოველგვარი მანქანებით იყო გაჭედილი; მათ ყველას ეხატა ხუთქიმიანი თეთრი ვარსკვლავი, ამერიკული ვარსკვლავი, რომელიც სულ არა ჰგავს იტალიურ ვარსკვლავს. ამ უკანასკნელზე ამბობენ, ბედნიერება მოაქვსო, მხოლოდ ბედნიერება, მაშინ, როცა ამერიკული ვარსკვლავი ძალაუფლებას აძლევს იმათ, ვინც მას მიჰყვება. მე ვთქვი, გზა მანქანებით იყო გაჭედილი-მეთქი და არა ავტომობილებით: გზაზე ერთი მეორისაგან ძალიან ახლოს და მეტისმეტად ნელა მიდიოდნენ სულ სხვადასხვანაირი მანქანები: მთლად რკინისაგან გაკეთებული პატარა ღია ავტომობილები, რომლებიც ჯარისკაცებით იყო სავსე, მათ მუხლებს შუა თოფები ეყენათ, უზარმაზარი მუხლუხა ჯავშნიანი ტანკები, ზარბაზნები, რომლებსაც ედებოდა გზისპირა ჭადრების ტოტები; დიდი და პატარა სატვირთო მანქანები, ზოგი ღია და ზოგი გადახურული; პაწაწინა, თითქოს სათამაშო ტანკები, მაგრამ თვითეულზე ლულაალმართული ქვემეხი; უზარმაზარი ჯავშნოსნები, რომელთა კაბინებში ღილაკებიანი, ბერკეტიანი და ელექტრომავთულიანი მარმარილოს დაფების დანახვა შეიძლებოდა. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ვისაც გზაზე მიმავალი ამერიკული არმია არ უნახავს, მას წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა არის არმია. თეთრვარსკვლავიანი დიდი და პატარა მანქანების ნიაღვარი, რომელმაც ბოლოს თვალები აგვიჭრელა. ფეხოსანთა სიჩქარით ნელა მიიწევდა წინ, ჩერდებოდა და მერე კვლავ განაგრძობდა მოძრაობას. ვია აპია მოგაგონებდათ კორსოს პიკ საათებში. ყველა მანქანაში ჯარისკაცები იყვნენ: ისინი ტანკებზე, ავტომობილებზე, სატვირთო მანქანებზე ისხდნენ, და ყველას მოთმინება და გულგრილობა, თითქმის მოწყენილობა ეხატა სახეზე, თანაც ყველანი რეზინს ღეჭავდნენ, ხოლო ზოგიერთები პატარა დასურათებულ წიგნაკებსაც კი კითხულობდნენ. მანქანებს შორის დასრიალებდნენ მოტოციკლები, რომ-

ლებზეც თავით ფეხამდე ტყავით შემოსილი ერთი ან ორი მოტოციკლისტი იჯდა. მხოლოდ მოტოციკლებს შეეძლო სწრაფად მოძრაობა. ისინი მეცხვარის ძაღლებსა ჰგვანდნენ, რომლებიც ზანტად მიმავალი დიდი ფარის გარშემო დარბიან. ამ უთვალავი მანქანის შემყურეს, რომლებიც ერთმანეთთან ისე ახლოს მოძრაობდნენ, მათ შუა ნემსიც კი არ ჩავარდებოდა, ძალიან მიკვირდა — ნეტავ რატომ არ მოფრინდებიან გერმანელები და არ დაბომბავენ მანქანებს თვითმფრინავებიდან-მეთქი. და მაშინ მივხვდი, რომ გერმანელებმა უკვე წააგეს ომი, რომ ისინი ვერავის ვეღარასოდეს ვერ მიაყენებენ ზიანს, რადგან მათ დააჭრეს ბრჭყალები და დააძრეს კბილები, ხოლო ბრჭყალები და კბილები არმიისათვის თვითმფრინავები და ზარბაზნებია. მივხვდი აგრეთვე, თუ რას წარმოადგენდა თანამედროვე ომი. ეს უკვე ხელჩართული ბრძოლები კი არ იყო, რომლებსაც, 1915 წლის ჟურნალის სურათებზე აღბეჭდილებს, აღტაცებაში მოვყავდი, არამედ ეს იყო ბრძოლა დიდ მანძილზე, როცა მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ვერ ხედავენ: ჯერ თვითმფრინავები და ზარბაზნები ყუმბარებითა და ჭურვებით წვენდენ მიდამოს, მერე იწყებს მოძრაობას ჯარი, რომელიც ძალიან იშვიათად ეჯახება მოწინააღმდეგეს, უმთავრესად კი წინ მიდის მანქანებში მოხერხებულად მჯდომი, მუხლებს შუა ჩაყენებული თოფებით, თან რეზინს ღეჭავს, თან სურათებიდან წიგნებს ათვალიერებს. მერე მიამბეს, რომ ამ ჯარებშიც იყო ბევრი დაჭრილი და დახოცილი. მაგრამ ეს არა მოწინააღმდეგის ჯართან ბრძოლებში, არამედ არტილერიის ცეცხლით, რომლითაც გერმანელები მათ შეჩერებას ცდილობდნენ.

ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო გადაგვეჭრა ეს გზა ან გაგვევლო მასზე, რადგან კიდეც რომ ვცდილიყავით, ეს შეედრებოდა იმას, გაზაფხულზე ადიდებული მდინარე ყველაზე ღრმა ადგილას რომ გადაგვეცურა. ამიტომ სხვებთან ერთად დავბრუნდით უკან, მივედით შარაგზამდე და ქალაქისკენ გადავუხვიეთ. ათი წუთის შემდეგ უკვე ქალაქში ვიყავით, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ აქ ჩვენ არაფერი გვესაქმებოდა. ყველა სახლი დანგრეული იყო, გარშემო ნანგრევების მთები აღმართულიყო. იქ კი, სადაც ნანგრევები არ იყო, იდგა აშმორებული წყლის დიდი გუბეები; პატარა მოედანზე შეჯგუფულიყვნენ ერთმანეთში არეული ამერიკელი ჯარისკაცები, ლტოლვილები და გლეხები. ეს ბაზარს ჰგავდა, თუმცა არავინ არაფერს არც ყიდდა, არც ყიდულობდა უკეთესი მომავლის იმედის გარდა. მაგრამ ისინი, ვისაც შეეძლოთ გაეყიდათ ეს

იმედი, ესე იგი ამერიკელი ჯარისკაცები, გულგრილად და უცხოდ გამოიყურებოდნენ. ამ იმედის შესაყიდვა სურდათ ლტოლვილებს და გლეხებს, ხოლო მათ არც კი იცოდნენ, როგორ და ოითი დაეწყოთ. ისინი ამერიკელების გარშემო ტრიალებდნენ, აძლევდნენ შეკითხვებს იტალიურად, მაგრამ იმათ არ ესმოდათ და ინგლისურად უპასუხებდნენ; იმედგაცრუებული ლტოლვილები და გლეხები შორდებოდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერს თავიდან იწყებდნენ, და კვლავ უშედეგოდ.

სასწაულით გადარჩენილი ერთი სახლის წინ ხალხის ჯგუფი დავინახე და მივედი. რამდენიმე ამერიკელი მეორე სართულის აივანზე იდგა და იქიდან ლტოლვილებს და გლეხებს შაქარყინულსა და სიგარეტებს უყრიდა, ხალხი კი ესეოდა, ჩხუბობდა, მტვერში კოტრიალობდა, პირდაპირ სირცხვილი იყო ამის დანახვა. საკვებით ცხადი გახდა, რომ მათ არც ეს შაქარყინული და არც სიგარეტები არ სჭირდებოდათ და ისინი ჩხუბობდნენ მხოლოდ ამერიკელთა საამებლად, რომლებიც მათგან სწორედ ამას მოელოდნენ. ერთი სიტყვით, უკვე პირველი საათებიდან დამყარდა ასეთი დამოკიდებულება (მერე მე ხშირად შემინიშნავს ეს რომში მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ მოკავშირეთა ჯარების ოკუპაცია გრძელდებოდა): იტალიელები ამერიკელებისგან სხვადასხვა ნივთებს ღებულობდნენ, რათა ამერიკელებისათვის ეამებინათ, ამერიკელები კი აძლევდნენ ამ ნივთებს, რათა ესიამოვნებინათ იტალიელებისათვის და ვერც ერთნი და ვერც მეორენი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამაში არავისთვის არაფერი სასიამოვნო არ იყო. ჩემის აზრით, ამას განსაკუთრებით არავინ ცდილობდა და ეს თავისთავად, თითქოს ურთიერთ შეთანხმებით ხდებოდა. ამერიკელებმა გაიმარჯვეს, იტალიელები კი დამარცხდნენ, და ეს საკმარისი იყო.

მივუახლოვდი ხალხით შემორკალულ პატარა სამხედრო მანქანას, რომელშიც ორი ჯარისკაცი იჯდა, ერთი წითური, ჭორფლიანი, ცისფერთვალება, მეორე შავთმიანი, გაყვითლებული პირისახით, წაწვეტებული ცხვირით, თხელტუჩა. მე მათ მივმართე:

— მითხარით, რითი შეიძლება რომში წასვლა?

წითურმა არც შემოგვხედა, ის რეზინს ღეჭავდა და რაღაც წიგნაკს კითხულობდა; შავგვრემანმა ჯიბეები მოისინჯა და ერთი კოლოფი სიგარეტი ამოიღო.

მე ვუთხარი:

— არ გვინდა თქვენი სიგარეტები, ჩვენ არ ვეწევით, უკეთესია გვითხრათ, როგორ ჩავაღწიოთ რომში?

— რომი? — გაიმეორა, როგორც იქნა, შავგვრემანმა. — რომი არ არის.

— როგორ თუ არ არის?

— გერმანელები რომი.

მან კიდევ მოიქექა ჯიბეები და შაქარყინული ამოიღო. მე ამაზეც უარი ვთქვი და ვუთხარი:

— თუ რაიმეს მოცემა გინდა, პური მოგვეცი. თქვენი კამფეტები კი სრულიადაც არა გვჭირდება. ამით ვერ მოგვთაფლავ, ჯერ კიდევ დიდხანს ვიგრძნობთ სიმწარეს.

მან ვერაფერი ვერ გაიგო, გამოათრია საჯდომის ქვეშ შენახული ფოტოაპარატი და გვიჩვენა — სურათი უნდა გადაგიღოთო. აქ უკვე ველარ მოვითმინე და დავუყვირე:

— შენ გინდა სურათი გადაგვიღო ასეთ მდგომარეობაში — ჭუჭყიანებსა და დაბრანძულებს, როცა ველურებსა ვგავართ? დიდად გმადლობთ! იქით წაიღე შენი აპარატი.

მაგრამ იგი არ გვეშვებოდა. მე აპარატი გამოვართვი და მანქანის საჯდომზე დავდე: თავი დამანებე-მეთქი შენი აპარატით. ამჯერად მიხვდა, მიუბრუნდა წითურს და რაღაც უთხრა ინგლისურად. მან უხალისოდ უპასუხა ისე, რომ თავისი წიგნაკისთვის თვალი არ მოუშორებია. მაშინ შავგვრემანი მოგვიბრუნდა და ხელით გვანიშნა ჩავმჯდარიყავით მანქანაში; ჩვენ დავუჯერეთ. წითურმა თავი მიანება წიგნს, ჩააფრინდა საჭეს და მანქანა შურდულივით გაიჭრა დამფრთხალ და გაფანტულ ხალხში, პირდაპირ წუმპეებსა და ნანგრევებზე გაიარა და ქალაქში შევარდა. ეს, ეტყობა, სამხედრო მანქანა იყო, რომელსაც ყველგან გავლა შეუძლია. შავგვრემანი ამ დროს როზეტას ფეხებს ათვალიერებდა, რომელსაც ჩემსავით ჩოჩები ეცვა. ბოლოს იკითხა:

— ტუფლი? — დაიხარა, ხელი მოჰკიდა ჩოჩებს, მერე კი როზეტას წვივებს მისწვდა. მე თითებში ჩავცხე და ვუთხარი:

— ხელი გასწი... ეს ჩოჩია და მეტი არაფერი... ხელის ფათურის ნებას კი არ მოგცემ.

მან ამჯერადაც ისეთი სახე მიიღო, ვითომ ვერაფერი გაიგო, მიმითითა როზეტას ჩოჩებზე, კვლავ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და მითხრა

— ფოტოგრაფია?

მაშინ მე განვუცხადე:

— დიახ, ჩვენ ჩოჩები გვაცვია, მაგრამ მათი გადაღების უფლებას არ მოგცემ, იმიტომ, რომ მერე შენს ქვეყანაში წახვალ და მოყვები, იტალიელები ჩოჩებს ატარებენ და არც კი იციან რა არის ტუფლი, თქვენთან ამერიკაში წითელკანიანები ცხოვრობენ. საინტერესოა, რას იტყოდი, ამ წითელკანიანების სურათი რომ გადაგვეღო, მერე ეს გვეჩვენებინა ყველასათვის და გვეთქვა — ყველა ამერიკელს ფრანგი აქვს გაჩრილი თავში და ისე დაიარებაო. დიახ, მე ჩოჩარა ვარ და ვამაყობ ამით; მაგრამ შენთვის მე იტალიელი ვარ, რომაელი, გესმის? ჰოდა, დამეხსენი მაგ შენი ფოტოაპარატით.

მან, როგორც იქნა, შეიგნო, რომ ვერაფერს გახდებოდა და აპარატი შეინახა. ამასობაში ნჯღრევითა და ხტუნვით, ნანგრევთა მთებისა და უზარმაზარი წუმპეების გავლით, მანქანამ ქალაქის მთავარ მოედანს მიაღწია.

მოედანზე, როგორც ბაზარში, ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ ყველაზე მეტ ხალხს დიდ სახლთან მოეყარა თავი. ეტყობა, ეს მუნიციპალიტეტი იყო, რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩენილიყო, მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა ნატყვიარი. წითურმა, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა და არც გვიყურებდა, გვანიშნა მანქანიდან გადმოვსულიყავით. ჩვენ დავემორჩილეთ; შავგვრემანი გადმოვიდა ჩვენთან ერთად. გვითხრა, მომიცადეთო და ხალხს შეერია. რამდენიმე წუთის შემდეგ მან კიდევ ერთი ამერიკელი სამხედრო მოიყვანა, რომელიც მთლად იტალიელს ჰგავდა: თვალები. უბრწყინავდა, კბილები თეთრი და სწორი ჰქონდა.

— მე ვიცი იტალიური, — მაშინვე გვითხრა მან.

და განაგრძო საუბარი ენაზე, რომელსაც იტალიურს უწოდებდა, ჰეშმარიტად კი ეს ყოვლად ვულგარული ნეაპოლური დიალექტი იყო, რომელზეც ნეაპოლში ნავსადგურის მტვირთავები ლაპარაკობენ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას ჩვენი ესმოდა, ჩვენ კი მისი, მე ვუთხარი:

— ჩვენ რომიდან ვართ და რომში დაბრუნება გვინდა. შენ უნდა გვასწავლო როგორ მოვიქცეთ.

მან გაიცინა, გამოაჩინა თვალისმომჭრელად თეთრი კბილები და მიპასუხა:

— რომში თქვენი დაბრუნების ერთ-ერთი საშუალება ახლა ის

არის, თუ ჩაიცვამთ სამხედრო ფორმას, ჩაჯდებით ტანკში და მონაწილეობას მიიღებთ ბრძოლაში, რომელიც რომის მისადგომებთან მიმდინარეობს.

ამან ძალიან დამამწუხრა და ვკითხე:

— განა ჯერ არ აგიღიათ რომი?

მან კი მიპასუხა:

— არა, რომში გერმანელები არიან. მაგრამ ჩვენ კიდეც რომ შევსულიყავით რომში, შენ იქ მაინც ვერ დაბრუნდებოდი, სანამ ამის ბრძანება არ გამოვა. უნებართვოდ რომში ვერავინ შევა.

მე უფრო დავღონდი და დავიყვირე:

— თქვენ ამას ეძახით განთავისუფლებას? ეს არის უფლება — დავწყდეთ შიმშილით და ვიცხოვროთ წინანდელზე უარესად!

მან მხრები აიჩეჩა და მითხრა, ამას თავისი უმაღლესი მიზეზები, სამხედრო მიზეზები აქვსო. რაც შეეხება შიმშილს, შიმშილით არავინ დაიხოცება, უკვე მიღებულია ზომები, რომ ამერიკელების მიერ დაკავებულ ადგილებში არავინ არ მოკვდეს შიმშილით; ამის დასამტკიცებლად ახლავე რაიმე საჭმელს მოგცემთო. ის კვლავ იღიმებოდა და აჩენდა თავის შესანიშნავ კბილებს, თან მუნიციპალიტეტის შენობისკენ წაგვიყვანა. იქ რაღაც საშინელება ხდებოდა: ადამიანები ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, ყვიროდნენ, თავზე ახტებოდნენ და ცდილობდნენ მისვლას გრძელ დახლთან, რომელიც დიდი ცარიელი ოთახის შუაგულში იყო დადგმული. ამ დახლთან რამდენიმე ფონდელი კაცი იდგა. სახელოებზე სპეციალური ნიშნები ჰქონდათ გაკეთებული; დახლზე სხვადასხვა კონსერვის მთელი მთა აღმართულიყო.

იტალიელ-ამერიკელმა პირდაპირ დახლთან მიგვიყვანა და უბრძანა ჩვენთვის ბევრი კონსერვი მოეცათ. მახსოვს, ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვების ექვსი თუ შვიდი ქილა მოგვცა, რამდენიმე თევზის კონსერვი, ერთი დიდი მრგვალი ქილა ქლიავის ჯემი, რომელიც, ალბათ, თითქმის ერთ კილოგრამს იწონიდა. ჩავაწყვეთ ეს კონსერვები ჩემოდანში და დიდი გაჭირვებით გამოვაღწიეთ გარეთ. ამერიკელი სამხედროების მანქანა უკვე აღარ იყო, ოფიცერი მხედრულად გამოგვემშვიდობა და ისიც წავიდა.

ჩვენ უმიზნოდ დავხეტიალობდით ხალხში და ისევე ვიქცეოდით, როგორც სხვები. ჩემოდანში კონსერვები მეწყო, ამიტომ ცოტათი დავმშვიდდი, რადგან საჭმელი სიცოცხლის შესანარჩუნებლად მთავა-

რი რამ არის; ახლა შემეძლო მენახა, რას წარმოადგენდა ფონდი განთავისუფლების შემდეგ. მაშინ შევიტყვე ზოგი რამ ისეთი, რამაც დამარწმუნა, რომ საქმე არც ისე იყო, როგორც ჩვენ სანტ ეუფემიაში წარმოგვედგინა მოკავშირეთა მოლოდინში. უპირველეს ყოვლისა, ის დოვლათი, რომელზეც ყველანი ამდენს ლაპარაკობდნენ, სრულებითაც არ ჩანდა. ამერიკელები, მართალია, არიგებდნენ სიგარეტებსა და შაქარყინულს, რომლის დიდი მარაგი ჰქონდათ ალბათ, სხვაში კი მაინცდამაინც გულუხვნი არ ჩანდნენ, ხოლო ის, თუ როგორ იქცეოდნენ ეს ამერიკელები, სრულებით არ მომეწონა. თუმცა ძალიან თავაზიანები იყვნენ და მათთან უფრო სასიამოვნო იყო ურთიერთობა, ვიდრე გერმანელებთან, რომლებიც არასოდეს არ გამოირჩეოდნენ თავაზიანობით, მაგრამ ამერიკელთა თავაზიანობა რაღაც გულგრილი და ცივი იყო: ისინი ჩვენ გვექცეოდნენ, როგორც უფროსები აბეზარ ბავშვებს; რომელთაც დასაშოშმინებლად შაქარყინულით თაფლავენ. ხანდახან კი თავაზიანებიც არ იყვნენ. მაგალითად, გიამბობთ ერთ შემთხვევას, რომლის მოწმე გავხდი. იმისათვის, რომ ქალაქ ფონდიში შესულიყავით, უნდა გქონოდათ საშვი, ან აღდგენითს სამუშაოებში მიგეღოთ მონაწილეობა, რაც ამერიკელებმა იტალიელებთან ერთად დაიწყეს, რათა დაბომბვით დანგრეული ქალაქი ცოტათი მაინც მოეყვანათ წესრიგში. მე და როზეტა შემთხვევით მთავარ ქუჩაზე აღმოვჩნდით, სადაც საშვების გამცემი პუნქტი იყო მოთავსებული. იქ ორი ჯარისკაცი და სერჟანტი იდგა. მათ ორი - იტალიელი მიუახლოვდა. ქცევაზე ეტყობოდათ, რომ სენიორები იყვნენ, თუმცა ჩვენსავით ძონძები ეცვათ. ერთმა მათგანმა, ხანშიშესულმა ჭაღარა სენიორმა, სერჟანტს მიმართა:

— ჩვენ ორივენი ინჟინრები ვართ, მოკავშირეთა სარდლობაში გვითხრეს დღეს აქ მოვსულიყავით სამუშაოდ.

სერჟანტმა, უტიფარმა ტიპმა, რომელსაც სახე მუშტს მიუგავდა, უთხრა:

— სად არის თქვენი საშვი?

იტალიელებმა ერთმანეთს გადახედეს და უფროსმა თქვა:

— საშვი არა გვაქვს... ჩვენ გვითხრეს აქ მოვსულიყავით...

მაშინ სერჟანტმა მეტისმეტად უხეშად დაუწყო ყვირილი:

— მერე ასე გვიან მოხვედით? თქვენ აქ სხვა მუშებთან ერთად დილის 7 საათზე უნდა მოსულიყავით.

— ჩვენ მხოლოდ ახლახან გვითხრეს, — მიუგო უმცროსმა, გამხდარ-გამხდარმა, ორმოციოდე წლის კაცმა, რომელსაც კეთილშობილური ქცევა ჰქონდა, მაგრამ ძალიან ნერვიული ჩანდა და ტიკიც სჭირდა — თავი უკანკალებდა და კისერი ეღრიცებოდა.

— სტყუით!

— როგორ ბედავთ? — თქვა უფრო ახალგაზრდამ წყენით, ეს სენიორი და მე ორივენი ინჟინრები ვართ და...

სერჟანტმა სიტყვა გააწყვეტინა და ასეთი „ლამაზი" სიტყვებით მიმართა:

— გაჩუმდი, შე ბითურო, თორემ ისე მოგაფარებ სიფათში, მაგ შენ საფურთხელს დაგიგმანავ!

უმცროსი, ეტყობა, მართლაც გადარეული იყო, მასზე ისე იმოქმედა სერჟანტის სიტყვებმა, თითქოს ნამდვილად გააწნეს სილა. ის ქაღალდივით გათეთრდა, მეგონა აი ახლა მივარდება სერჟანტს და მოკლავს-მეთქი. ამ დროს, საბედნიეროდ, საქმეში მოხუცი ჩაერია, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა სერჟანტთან მოლაპარაკება და ისინი ქალაქში შეუშვეს. იმ დღეს ბევრი ასეთი შემთხვევის მოწმე გავხდი. მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო: ყველა ასეთი შემთხვევა ხდებოდა კერძო პირებსა და იმ ჯარისკაცებს შორის, რომლებიც ნამდვილი ამერიკელები კი არ იყვნენ, არამედ იტალიელ-ამერიკელები. მაღალი და გამხდარი ქერა კაცები, სხვაგვარად იქცეოდნენ და თუმცა ძალიან გულგრილნი, მაგრამ ზრდილობიანი და თავაზიანნი იყვნენ. იტალიელ-ამერიკელებისათვის კი პირდაპირ არ ვიცოდით რა მოგვეხერხებინა. შეიძლება ისინი იმიტომ იქცეოდნენ ასე, რომ ყველაფრით იტალიელებს ჰგავდნენ, მაგრამ უნდოდათ ეჩვენებინათ სხვანაირები, თქვენზე უკეთესები ვართო და ამიტომ გვეპყრობოდნენ ასე უდიერად; შეიძლება მათ რაიმე ძველი ანგარიშები ჰქონდათ იტალიასთან, საიდანაც შიშვლებსა და ტიტვლებს მოუხდათ ამერიკაში გაქცევა; ან იქნებ იმიტომ, რომ ამერიკაში მათ ცუდად ექცეოდნენ, არაფრად აგდებდნენ და ახლა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდოდათ თავისუფლად ემოქმედნათ; ასეა თუ ისე, ყველანი საშინელი ხეპრეები, უფრო რბილად რომ ვთქვათ, უზრდელები იყვნენ. ყოველთვის, როცა რაიმე თხოვნით უნდა მიგვემართა ამერიკელებისათვის, ღმერთს ვთხოვდი — ამერიკელი შემხვედროდა, თუგინდ ზანგიც, ოღონდ იტალიელი არ ყოფილიყო. გარდა ამისა, ძალიან ამაყობდნენ

იმით, რომ იტალიური იცოდნენ, თვითონ კი ნამდვილი იტალიურისა არაფერი გაეგებოდათ და საუბრეთ იტალიის დიალექტებზე ლაპარაკობდნენ ისე, როგორც კალაბრიაში, სიცილიაში, ან ნეაპოლის მიდამოებში ლაპარაკობენ. ამიტომ ხანდახან გვიჭირდა კიდეც მათი გაგება. თუმცა, როცა უფრო ახლო გავიცნობდით, ყოველთვის ირკვეოდა, რომ კაი ბიჭები იყვნენ და მხოლოდ პირველი შეხედვით ჩანდნენ ასეთი ცუდები.

რამდენიმე ხანს კიდევ დავხეტიალობდით ხალხში, ნანგრევებს შორის. მერე გავყევით მთავარ ქუჩას ქალაქის გარეუბნისკენ, რომელიც ნაკლებად იყო დანგრეული და სადაც გზა ფონდის დაბლობში კონცხად შეჭრილ მთას უვლიდა. უცბად შევამჩნიეთ პატარა სახლი, რომლის კარი ღია იყო. როზეტას ვუთხარი:

— ეგებ აქ შევძლოთ ღამის გათევა.

ავყევით კიბეს და შევედით ერთადერთ ოთახში, რომელიც ცარიელი აღმოჩნდა. ეს ოთახი ოდესღაც შეიძლება შეთეთრებული იყო, ახლა კი ბოსელზე ჭუჭყიანი ჩანდა. გაქვარტლული და დაფხაჭნილი კედლები ნახშირით იყო მოხატული: ვიღაცას დაეხატა შიშველი ქალები, ქალის სახეები და ყოველგვარი უწმაწურობა, რომლის ხსენებაც კი არ შეიძლება, ერთი სიტყვით ის, რასაც ჩვეულებრივად ჯარისკაცები კედლებზე ხატავენ. დამწვარი მუგუზლები, ნაცარი და ჭვარტლი იმაზე მეტყველებდა, რომ აქ ცეცხლს ანთებდნენ. ფანჯრებს შუშები არ ჰქონდა, ერთ მათგანს ნახევარი დარაბა ეკიდა. ხოლო მუგუზლები, ალბათ მეორე ნახევრის ნარჩენები იყო. როზეტას ვუთხარი, რომ ორ-სამ დღეს აქ შეგვეძლო ღამე გაგვეთია; სახლის ახლოს მინდორში თივის ბულული დავინახე, საიდანაც შეიძლებოდა ერთიორი იღლია თივა მოგვეტანა და საწოლი გაგვემართა. საბნები და ზეწრები არა გვქონდა, მაგრამ კარგი დარი იდგა და ჩაცმულებსაც შეგვეძლო დაგვეძინა.

რაც შეიძლებოდა გავწმინდეთ ოთახი. მერე წავედით მინდორში და საწოლისთვის თივა მოვიტანეთ. როზეტას ვუთხარი:

— საკვირველი კია, რომ ჩვენამდე აქ არავინ მოკალათდა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა სასეირნოდ გავედით გზაზე, რომელიც მთას გარშემო უვლიდა, ამის მიზეზს მივხვდით. სახლის ახლოს მთა ოდნავ შორდებოდა გზას და პატარა მინდორს ქმნიდა, რომელზეც რამდენიმე ხე იდგა და სწორედ ამ ხეების ქვეშ ამერიკე-

ლებს სამი ისეთი დიდი ზარბაზანი დაეყენებიათ, როგორიც მე არც მანამდე და არც შემდეგში არ მინახავს. ამ ზარბაზნების მწვანედ შეღებილი ლულები ძირში უზარმაზარი ხეების ტანებს გავდა, ბოლოში კი წვრილდებოდა და იმდენად გრძელები იყო, რომ ვეებერთელა ჭადრების ტოტებს წვდებოდა, რომელთა ქვეშაც ისინი იდგნენ. ზარბაზნებს დიდი მუხლუხა ბორბლები და უამრავი ხრახნები და სახელურები ჰქონდათ, ასე რომ, მათი მართვა, ეტყობა, ძალიან ძნელი იყო. ზარბაზნების გარშემო ჭურვებით სავსე უამრავი სატვირთო მანქანა და ჯავშნოსანი იდგა. ეს ჭურვებიც, ალბათ, უზარმაზარი იყო. ეს ჩვენსავით აქ საყურებლად მოსულმა გლეხებმა გვითხრეს. ჯარისკაცები, რომლებიც ამ ზარბაზნებს ემსახურებოდნენ, აქვე იყვნენ: ზოგიერთი მოლზე წამოწოლილიყო და მზეზე თბებოდა, ზოგნი ზედ ზარბაზნებზე ისხდნენ. ჯარისკაცები პერანგის ამარა იყვნენ, ყველანი ახალგაზრდები და უდარდელები ჩანდნენ, თითქოს აქ საომრად კი არა, ექსკურსიაზე მოსულიყვნენ. ზოგი თამბაქოს წევდა, ზოგი რეზინს ღეჭავდა, ზოგი კი იმ თავის წიგნაკებს კითხულობდა. ერთმა გლეხმა გვითხრა, რომ ამერიკელებმა გააფრთხილეს ყველა, ვინც ახლომახლო სახლებში დარჩენილიყო, რომ საფრთხე მოელოდათ, ხოლო, თუ დარჩებოდნენ, თავიანთი პასუხისმგებლობით დარჩენილიყვნენ, რადგან, შესაძლოა, აქ გერმანელთა თვითმფრინავები მოფრენილიყვნენ ქვეშეხების დასაბომბად, ხოლო თუ ყუმბარა ჭურვებს დაეცემოდა, ისინი აფეთქდებოდნენ და გარშემო ასი მეტრის მანძილზე ყველა დაიხოცებოდა. ახლა მივხვდი, თუ რატომ იყო, რომ, მიუხედავად საცხოვრებელი სახლების ნაკლებობისა, ჩვენი სახლი აქამდე თავისუფალი დარჩა. მე ვთქვი:

— ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე-თქო, ყოველ წუთს შეიძლება ამ ყმაწვილებთან ერთად ავფეთქდეთ.

მაგრამ მზე ისე ალერსიანად ანათებდა, პერანგის ამარა ჯარისკაცები მშვიდად და გულგრილად იწვნენ მდელოზე, გარშემო ყველაფერი ბიბინებდა, შესანიშნავი დარი იდგა და მომეჩვენა, რომ პირდაპირ შეუძლებელია ასეთ დღეს სიკვდილი, ამიტომ დავუმატე:

— ეჰ, რა ვქნათ, თუკი აქამდე არ დავხოცილვართ, არც ახლა დავიხოცებით, დავრჩეთ ამ სახლში.

როზეტამ, რომელიც ყოველთვის მიჯერებდა, თქვა, ჩემთვის სულ ერთიაო, მადონა ახლაც დაგვიფარავს, როგორც აქამდე გვფარავდაო.

ჩვენც განვაგრძეთ სეირნობა, ოღონდ უკვე გულდამშვიდებულებმა.

გზა, რომელზეც მე და როზეტა დავსეირნობდით, ისე გამოიყურებოდა, თითქოს საკვირაო ბაზრობის დღე ყოფილიყოს; ვლეხები და ჯარისკაცები, რომლებიც სარგებლობდნენ კარგი ამინდით, სვენებ-სვენებით დასეირნობდნენ, გლეხები ამერიკულ სიგარეტებს წევდნენ, ამერიკულ შაქარყინულს წუწნიდნენ და, ტკბებოდნენ მზითა და თავისუფლებით, თითქოს მზე და თავისუფლება განუყრელი იყვნენ — მზე თავისუფლების გარეშე ვერ გაანათებდა და ვერ გაგვათბობდა, ხოლო თავისუფლება ზამთარში ვერ მოვიდოდა, სანამ მზე ღრუბლებში იმალებოდა. საერთოდ ახლა ყველაფერი ბუნებრივი ჩანდა, თითქოს თვით ბუნებამ გაიმარჯვა ბოროტ ძალებზე. ჩვენ ბევრ ხალხს ვესაუბრეთ და ყველა გვეუბნებოდა, ამერიკელები მოსახლეობას სურსათს ურიგებენ და უკვე ხმები დადის, რომ ფონდის აღადგენენ და იგი უფრო ლამაზი იქნება, ვიდრე წინათ იყო. — მოკლედ, ყველაფერი ცუდი გათავდა და ახლა აღარაფრისა არ უნდა გვეშინოდესო. როზეტა მოსვენებას არ მაძლევდა, ჩამციებოდა გამეგო რამე მიქელეს შესახებ; მასზე ფიქრი ეკალივით ჩაერჭო გულში, მოსვენებასა და მხიარულების საშუალებას არ აძლევდა. ვეკითხებოდი ფონდის მცხოვრებლებს, მაგრამ მათ მიქელეზე არაფერი იცოდნენ. ახლა, გერმანელების წასვლის შემდეგ არავის აღარ უნდოდა სამწუხარო ამბებზე ფიქრი; მეც ხომ მეშინოდა ფილიპოსთან დამშვიდობება, როცა სანტ ეუფემიიდან მოვდიოდი, რადგან მას, ერთადერთს, არაფერი არ ახარებდა. ჩემს კითხვაზე ყველანი ასე მიპასუხებდნენ:

— ფილიპო? ო, მან ალბათ უკვე დაიწყო შავ ბაზარზე საქმეების გარიგება. ფილიპოს ვაეზე არავინ არაფერი არ იცოდა. მიქელეს ყველა სტუდენტს ეძახდა და რამდენადაც გავიგე, უსაქმურად და მოტუტუცოდაც თვლიდნენ.

იმ დღეს ერთი ჭილა ხორც-ბოსტნეულის კონსერვი შევჭამეთ, რომელიც ამერიკელებისაგან მივიღეთ, პური კი ერთმა გლეხმა მოგვცა. ცხელოდა, საქმე არაფერი გვქონდა, ძალიან დავიქანცეთ, სახლში დავბრუნდით, ჩავკეტეთ კარი და თივაზე დავწექით, რომ ცოტა მაინც დაგვეძინა: უკვე ბინდდებოდა, როცა საშინელმა აფეთქებამ გამოგვაღვიძა: ჩვენი ოთახის კედლები შეზანზარდა, თითქოს ქვისა კი არა ქაღალდისა ყოფილიყოს. ვერ მივხვდი ეს რა აფეთქება იყო, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ პირველს მეორე მოჰყვა, ისეთივე ძლიერი,

და მაშინ მივხვდი, რომ ამერიკული ზარბაზნები ისროდნენ, რომლებიც ჩვენგან ორმოცდაათ ნაბიჯზე იდგნენ. თუმცა რამდენიმე საათს გვეძინა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდ დაღლილობას ვგრძნობდით და ოთახის კუთხეში თივაზე მიგდებულები, ისეთი მოდუნებულნი ვიყავით, რომ ლაპარაკიც არ გვინდოდა. ზარბაზანი საღამომდე ისროდა. როცა ოდნავ შევეჩვიე სროლის ხმას, ისევ ჩავთვლიმე და თუმცა ზალპები ძალიან ძლიერი იყო, მაინც მეძინა; ძილში სროლა საოცრად ერთვოდა ჩემს ფიქრებს. ზარბაზანი დროის თანაბარ შუალედებში ისროდა და მალე ისე შევეჩვიე, რომ სროლა აღარ მიშლიდა. ჯერ უძლიერესი აფეთქება გვესმოდა: ღრმა, ხრინწიანი, გულგამგმირავი. მეჩვენებოდა, თითქოს თვით დედამიწა აბოყინებდა. კედლები ზანზარებდა და ჭერიდან კირი ცვივოდა. მერე ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მაგრამ მალე ისევ ახალი აფეთქების ხმა ისმოდა, ისევ ზანზარებდა კედლები და გვეყრებოდა კირი. როზეტა უხმოდ მეკვროდა, მე კი თვალდახუჭული ვიწექი და ვფიქრობდი. ძილი თავს მართმევდა, მაგრამ არ შემეძლო არ მეფიქრა. მართალი გითხრათ, თითოეული ეს გასროლა გულს სიხარულით მივსებდა და ყოველი ახალი აფეთქება აძლიერებდა ამ სიხარულს. ვფიქრობდი იმაზე, რომ ზარბაზნები გერმანელებს და იტალიელ ფაშისტებს ესროდნენ და პირველად ვგრძნობდი, ერთნიც და მეორენიც როგორ მეზიზღებოდა. მეჩვენებოდა, რომ ამ აფეთქებებს ქვემეხები კი არ ქმნიან, არამედ ბუნების ჩვეულებრივი მოვლენებია, როგორც ჭექა-ქუხილი ან ზვავი. ეს სროლა, ესოდენ მონოტონური და დაჟინებული, რომელიც დროის თანაბარ შუალედებში მეორდება, ვფიქრობდი მე, მირეკავს ზამთარს მთელი მისი ტანჯვითა და შიშით, მირეკავს ომს, შიმშილსა და ყველა დანარჩენ საშინელებას, რომლებსაც მრავალთმრავალი წლის მანძილზე თავს გვატეხდნენ გერმანელები და ფაშისტები. ჩემს გულში ვუწოდებდი „ჩემს ძვირფას ქვემეხებს“, ან კიდევ „ჩემს კარგებს“ ან „ჩემს ძვირფასებს.“ ყოველ გასროლას აღვიქვამდი სიხარულით, რომელიც მთელ ჩემს სხეულს ათრთოლებდა, ხოლო როცა გასროლებს შორის პაუზა ჩამოვარდებოდა, შიში მიპყრობდა: მეშინოდა, რომ ქვემეხები სროლას შეწყვეტდნენ. მელანდებოდა უზარმაზარი დარბაზი, ისეთი, როგორიც რამდენჯერმე მენახა ჟურნალებში, სვეტებითა და ჩუქურთმებით მორთული; ეს დარბაზი სავსე იყო შავხალათიანი ფაშისტებითა და ყავისფერხალათიანი ნაცისტებით. ისინი „სმენაზე“ ჩამწკრივებუ-

ლიყვნენ ისე, როგორც ამაზე გაზეთები წერდნენ ხოლმე. დიდ მაგიდასთან იდგა მუსოლინი, იმ თავისი გაბრტყელებული სახით, საძაგელი თვალებით, მსუქანი ტუჩებით, მედლებით მოფენილი წამოშვერილი მკერდით, თეთრი ფრთებით თავზე. ხოლო მის გვერდით იდგა შეორე არამზადა, ის მამაძაღლი, მისი მეგობარი — ჰიტლერი შავი ულვაშებით, კბილის სახეხ ჯაგრისს რომ მიუგავდა, მკედარი თევზის თვალებით, წვეტიანი ცხვირითა და შუბლზე გამომწვევად ჩამოშლილი თმით; მისი ერთი დანახვაც კი უბედურების მომასწავებელია. მე ვხედავდი ამ დარბაზს ისე, როგორც ბევრჯერ მინახავს სურათებზე, მთელი მისი წვრილმანებით, თითქოს თვითონაც იქ ვყოფილიყავი. მაგიდასთან ეს ორნი იდგნენ, მაგიდის ორივე მხარეს კი — ფაშისტები და ნაცისტები; მარჯვნივ ფაშისტები, ყველანი შავებში, ყოველთვის შავებში, მამაძაღლიშვილები, მათ შავ ბერეტებზე თეთრი თავის ქალა აქვთ გამოსახული, მარცხნივ ნაცისტები (მე ისინი რომში მინახავს) ყავისფერ ხალათებში გამოწყობილნი, სახელოზე წითელი ნიშნით, რომელზეც ოთხ ფეხზე მორბენალი მწერის მსგავსი შავი ჯვარი აკერიათ; მათ მსუქან სახეებს ქუდების ჩრდილი ეცემა, მათი მუცლები სამხედრო ფორმის შარვლებშია ჩატენილი. თვალს ვერ ვაშორებდი ამ არამზადების სახეებს, მომწონდა მათი ყურება იმიტომ, რომ მერე ჩემი ფიქრი ჭადრების ქვეშ დადგმულ ქვემეხებს უბრუნდებოდა და ვხედავდი ამერიკელ ჯარისკაცს — ის არ იდგა „სმენაზე", არ ეკეთა სვასტიკა, არ ეცვა შავი ან ყავისფერი ხალათი, ბერეტზე თავის ქალა არ ჰქონდა გამოხატული, ქამარში კი ხანჯალი გარჭობილი. მას არ ჰქონდა გაპრიალებული ჩექმები და ყოველგვარი ეღარუნები, რითაც გერმანელები და ფაშისტები ირთვებიან. მას ეცვა უბრალოდ, ხალათის სახელოები დაემკლავებინა, რადგან ცხელოდა, და და ეს ახალგაზრდა ამერიკელი ყმაწვილი მშვიდად, საღეჭი რეზინის პირიდან გამოუღებლად, იღებდა უზარმაზარ ყუმბარას, ქვემეხში სტენიდა, მერე რაღაც სახელურებს მოსწევდა და ქვემეხი ისროდა, შემდეგ კი ზანზარით უკან იხევდა; აქ ჩემს სიზმარში შემოიჭრებოდა ქვემეხის ზალპი და სიზმარი უკვე სინამდვილედ იქცეოდა. ჩემი ფიქრები წივილით გაჭრილ ყუმბარას მისდევდნენ და ვხედავდი, როგორ შევარდებოდა იგი დარბაზში და ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა მთელ ამ ფაშისტებსა და ნაცისტებს, ჰიტლერსა და მუსოლინის მთელი მათი სვასტიკებით, თავის ქალებით, ფრთებით, ხანჯლებითა და ჩექმებით.

ეს აფეთქება ჩემში უდიდეს სიხარულს იწვევდა, მესმოდა, რომ ეს ცუდი სიხარულია, რადგან მას ზიზღი ბადებს, მაგრამ ვერაფერს ვუ-ხერხებდი ჩემს თავს; ალბათ თვითონ არ ვიცოდი, როგორ მძულდა მუდამ ფაშისტები და ნაცისტები და ახლა კმაყოფილი ვიყავი, რომ მათ ყუმბარებს უშენდნენ. ასეთნაირად გადადიოდა ჩემი ფიქრი დარბა-ზიდან ქვემეხზე, მერე ისევ დარბაზზე, და სულ თვალწინ მედგა ჰიტ-ლერისა და მუსოლინის, ფაშისტებისა და ნაცისტების სიფათები, მერე კი ამერიკელი არტილერისტის სახე წარმომიდგებოდა და მიხა-როდა. მაგრამ ეს მაინც ცოტა იყო ჩემთვის. შემდეგში ბევრი მსმენია განთავისუფლების შესახებ და ვფიქრობდი, რომ სწორედ იმ დღეს გავიგე, რას ნიშნავს ეს სიტყვა. ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ თავი-სუფალი ვარ, როგორც ხელფეხშეკრული კაცი გრძნობს ხოლმე, როცა ხუნდებს ახსნიან, ან როგორც დიდი ხნის პატიმარი, როცა უეცრად უღებენ საკანის კარს. და ეს ქვემეხიც კი, რომელიც ნაცის-ტებს ესროდა, თუმცა ძალიან ჰგავდა ქვემეხებს, რითაც ნაცისტები ამერიკელებს ესროდნენ, ჩემთვის განთავისუფლებას ნიშნავდა; ეს დალოცვილი ქვემეხები ნაცისტების წყეულ ქვემეხებზე ძლიერნი იყვნენ და აიძულებდნენ ნაცისტებს შიშისაგან ეკანკალათ, მას შემ-დეგ, რაც ამდენ ხანს შიშის ზარსა სცემდნენ ყველას. ეს ქვემეხები სპობდნენ ნაცისტებს და ფაშისტებს მას შემდეგ, რაც მათ ამდენი ხალხი და ამდენი ქალაქი დაღუპეს. ქვემეხი ესროდა ფაშისტებს და ნაცისტებს და ყოველი მისი ყუმბარა ხვდებოდა სიცრუითა და შიშით ნაშენ საპყრობილეს, რომელიც მათ თავიანთი ბატონობის მრავალი წლის მანძილზე აეგოთ, სამყაროსავით დიდ საპყრობილეს, რომლის კედლები ახლა ინგრეოდა და ეცემოდა ამ ქვემეხის დარტყმებით, ასე რომ უკვე ყველას შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა, თვით ფა-შისტებსაც და ნაცისტებსაც კი, რომლებიც მალე, ალბათ, აღარ იქ-ნებიან ფაშისტები და ნაცისტები და დანარჩენი ადამიანებივით ჩვეუ-ლებრივი ადამიანები გახდებიან. დიახ, იმ საღამოს მე განთავისუფ-ლება სწორედ ამნაირად განვიცადე, და თუმცა შემდეგში ამ განთა-ვისუფლებას მრავალი სხვა ცვლილება უნდა მოჰყოლოდა, უკვე არცთუ ისე კარგი, ზოგჯერ კი მთლად ცუდი, მე მაინც სამუდამოდ დამამახსოვრდა. ეს დღე, ეს ქვემეხი და თავისუფლების ეს გრძნობა, რომელიც ბედნიერებასავით მომევლინა. მე სიკვდილსაც კი ვესალ-მებოდი, რომელიც ქვემეხების ყუმბარებს მოჰქონდა, პირველად და

უკანასკნელად ჩემს სიცოცხლეში ვგრძნობდი ისეთ სიძულვილს, რომ შემეძლო გამხარებოდა სხვა ადამიანების სიკვდილი, როგორც ხარობენ გაზაფხულის, ყვავილებისა და კარგი ამინდის დადგომის ჟამს.

ასე გავატარე ამ დღის ბოლო, ძილბურანში, ან უფრო სწორად, ძილფიზლობაში, ქვემეხთა საზარელი ნანას თანხლებით, რომელიც იმ. სიმღერაზე ტკბილი იყო, ბალღობაში დედაჩემი რომ მიმღეროდა. სახლი ყოველ აფეთქებაზე ზანზარებდა, ჭერიდან ჩამოცვენილი გაჯი თავსა და ტანზე გვეყრებოდა, თივა გვჩხვლეტდა, ვიწექით უხერხულად და მაინც ეს ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი საათები იყო ჩემს ცხოვრებაში. ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ: დროდადრო ვახელდი თვალებს და ვუყურებდი მაისის მზის სხივებით განათებულ ჭადრის ხასხასა ფოთლებს; მზე თანდათან ჰორიზონტისკენ გადაიხარა, ჭადრის ფოთლები გამუქდა და ისე აღარ ელვარებდა, ზარბაზანი კვლავ ისროდა, მე სულ უფრო ვეკვროდი როზეტას და ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ისეთი დაღლილი და გაბრუებული ვიყავი, რომ ქვემეხის გრიალის მიუხედავად, მთელ საათს მეძინა, უსიზმროდ, მძიმე ძილით. ხოლო როცა გავიღვიძე და კვლავ გავიგონე ქვემეხის ხმა, მივხვდი, რომ სანამ მეძინა, ქვემეხი შეუსვენებლივ ისროდა და კვლავ ბედნიერად ვიგრძენი თავი. ბოლოს, საღამო ჟამს, როცა ოთახში თითქმის სულ ჩამობნელდა, სროლა უეცრად შეწყდა და რაღაც გამაყრუებელი სიჩუმე ჩამოდგა მრავალსაათიანი საარტილერიო სროლის შემდეგ. ამ სიჩუმემ სწორედ გამაყრუა, მაგრამ მაშინვე შევამჩნიე, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი სიჩუმე იყო; სადღაც ეკლესიის ზარი რეკდა, ქუჩიდან ისმოდა ხალხის ხმა, ძაღლის ყეფა, ხარის ბღავილი. ჩვენ კიდევ ნახევარ საათს ვთვლემდით ერთმანეთს ჩახუტებულნი, მერე ავდექით და გარეთ გამოვედით. უკვე დაღამებულიყო. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ჰაერში კი ნედლი თივის სუნი ტრიალებდა. შორიახლოს, ვია აპიასთან რკინის რახარუხი და მოტორების გუგუნი ისმოდა. შეტევა გრძელდებოდა.

ჩვენ შევჭამეთ კიდევ ერთი ქილა კონსერვი პურით, ისევ დავწექით, ჩავეხუტეთ ერთმანეთს და მაშინვე დავიძინეთ. ზარბაზნები აღარ ისროდნენ. არ ვიცი რამდენ ხანს გვეძინა, შეიძლება ოთხ-ხუთ საათს, ან მეტსაც. ვიცი მხოლოდ, რომ უეცრად გავიღვიძე და შეშინებული წამოვჯექი თივაზე: ოთახი ბოფარფატე, თვალისმომჭრელი მწვანე სინათლით იყო განათებული, ამ სინათლეზე ყველაფერი მწვანედ მო-

მეჩვენა: კედლები, ჭერი, თივა, როზეტას სახე, კარი, იატაკი. სინათლე სულ უფრო მკაფიო ხდებოდა და ჰგავდა ფიზიკურ ტკივილს, რომელიც ყოველ წამს უფრო მწვავდება და თითქოს შეუძლებელია კიდევ უფრო გაძლიერდეს, რადგან უკვე ისედაც აუტანელია; უცებ, ასევე უეცრად, სინათლე ჩაქრა და სიბნელეში გავიგონე საყვირის ის გასატიალებელი წივილი, რომელიც საჰაერო განგაშს გვატყობინებდა. რომიდან წამოსვლის შემდეგ ეს ხმა აღარ გამიგონია; მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ თვითმფრინავებიდან დაბომბვას გვიპირებდნენ. ყოველივე ეს თვალის დახამხამებაში მოხდა, მე შევძახე როზეტას:

— ჩქარა გავიქცეთ!

და მაშინვე გავიგონე ყუმბარების მეტად ძლიერი აფეთქება. ისინი სულ ახლოს სკდებოდნენ. აფეთქებებს შუა კი თვითმფრინავების გაშმაგებული ხმაური და საზენიტო ქვემეხების მშრალი კაკანი ისმოდა.

როზეტას ხელი ვტაცე და სახლიდან გავვარდი. გარეთ ჯერ კიდევ ღამე იყო, მაგრამ დღესავით განათებული, რაღაც წითელი ფერი ეფინებოდა გარშემო ყველაფერს — სახლს, ხეებს, ცას. უცებ გაისმა უსაშინელესი აფეთქება, ყუმბარა სახლის უკან დაეცა და ჩვენ ჰაერის ტალღა დაგვეწია. მე ვიგრძენი, თითქოს ვიღაცამ საშინელი ძალით შემიბერა, კაბა ფეხებზე ამეკრა, ვიფიქრე, დაჭრილი ვარ-მეთქი ან შეიძლება უკვე მკვდარიც, მაგრამ ისევ გავრბოდი პურის ყანაში და როზეტას მივათრევდი, მერე უცებ ვიგრძენი, რომ ფეხი რაღაცას წამოეკარი და წყალში გადავვარდი. ეს წყლით სავსე არხი იყო. წყალი იყო ცივი და ამ სიცივემ ცოტათი მომიყვანა გონს. წყალი მუცლამდე მწვდებოდა, მე გაუნძრეველად ვიდექი და როზეტას გულში ვიხუტებდი, ჩვენს გარშემო კი წითელი სინათლე დაძრწოდა, ანათებდა ფონდის სახლებსა და ნანგრევებს, რომლებიც ისე ჩანდა, როგორც დღისით; აფეთქებები ჩვენს გარშემო მინდვრების მხრიდან ხან ძალიან ახლოს, ხან კი მოშორებით ისმოდა. ცა საზენიტო აფეთქებათა თეთრ ღრუბლებად გადაიფურჩქნა, და მთელ ამ საშინელებაში ისმოდა თვითმფრინავების ხრინწიანი, გაშმაგებული ხმაური, რომლებიც ძალიან დაბლა დაფრინავდნენ და ყუმბარებს გვესროდნენ. უკანასკნელი აფეთქება განსაკუთრებით საშინელი იყო, თითქოს ვიღაც გამოვიდა ოთახიდან და კარი მაგრად გაიჯახუნა; წითელი სინათლე თითქმის ჩაქრა, მხოლოდ სადღაც შორს ჰორიზონტზე რაღაც ბჟუტავდა,

ალბათ, ხანძარი თუ იყო, თვითმფრინავების ხმაურიც ნელ-ნელა მოგვშორდა და მიწყდა, საზენიტო ქვემეხებმა კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს, მერე ყველაფერი მიჩუმდა.

როგორც კი ღამე კვლავ შავი და მშვიდი გახდა და ჩვენს თავზე ვარსკვლავები გამოჩნდა, როზეტას ვუთხარი:

— უმჯობესია არ დავბრუნდეთ სახლში... თუ ეს მამაძაღლები ისევ მოფრინდნენ, შეიძლება მართლაც დაგვხოცონ. აქ დავრჩეთ, სახლი მაინც არ დაგვენგრევა თავზე.

ჩვენ ამოვედით წყლიდან და არხის პირას, პირდაპირ ყანაში ჩავწექით. აღარ დაგვეძინა, ისე ვთვლემდით, მაგრამ უკვე ისეთი ბედნიერები აღარ ვიყავით, როგორც სახლში, როცა ზარბაზანი ისროდა. ღამე სავსე იყო ხმებითა და შიშით; შორიდან ისმოდა ყვირილი, მოტორების ზრიალი, გუგუნი, თქარათქური და სხვა უცნაური და უჩვეულო ხმები; მე გავიფიქრე, ალბათ გერმანულმა ყუმბარებმა ბევრი ხალხი დაჭრა და მოკლა და ახლა ამერიკელები ეძებენ და აგროვებენ ამ დაჭრილებს და მოკლულებს. ბოლოს, როგორც იქნა, დაგვეძინა და როცა გავიღვიძეთ, უკვე თენდებოდა. ჩვენ პურის ყანაში ვიწექით, პირდაპირ ჩემს სახესთან იზრდებოდა ყვითელი მაღალი. ღეროები, რომელთა შორისაც ლამაზი წითელი ფერის ყაყაჩოები დავინახე; ცა ჩვენს თავზე თეთრი და ცივი იყო, მასზე კიდევ კიაფობდა რამდენიმე ღიაოქროსფერი ვარსკვლავი. შევხედე ჩემს გვერდით მწოლარე როზეტას, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა: სახეზე შავი ტალახი ჰქონდა შემხმარი, ფეხები და კაბაც წელამდე ტალახში ამოსვრილი. მეც ასევე ვიყავი, მაგრამ მაინც დასვენებულად ვგრძნობდი თავს, რადგან კარგა ხანს გვეძინა, თუმცა ბევრჯერ გაგვეღვიძა. წინა დღით ხომ ნაშუადღევს დავწექით. როზეტას ვუთხარი:

— მოდი, ავდგეთ!

მაგრამ მან რაღაც გაუგებარი წაიბურტყუნა, გადაბრუნდა მეორე გვერდზე, დამადო თავი მუხლებზე, ჩარგო შიგ სახე და ხელები მომხვია. მაშინ მეც ისევ დავწექი, თუმცა აღარ მეძინებოდა. ვიწექი პურის ყანაში თვალდახუჭული და ველოდებოდი როდის გამოიღვიძებდა როზეტა.

როზეტამ გაიღვიძა, როცა უკვე მზე მაღლა იდგა; მიწიდან ძლივს წამოვდექით და ჩვენი სახლისკენ გავიხედეთ, მაგრამ რამდენსაც არ ვაკვირდებოდით, სახლი არსად ჩანდა. ბოლოს, მინდვრის პირას, იქ,

ადაც სახლი უნდა ყოფილიყო, ნანგრევების გროვა დავინახე. როზეტას ვუთხარი:

— ხომ ხედავ, იქ რომ დავრჩენილიყავით, უთუოდ დავიხოცებოდით.

მან მიპასუხა სრულიად მშვიდად:

— იქნებ ასეც ჯობდა, დედა.

მე შევხედე და მის სახეზე ისეთი სასოწარკვეთილება ამოვიკითხე, რომ უეცარი სიმტკიცით ვუთხარი:

— ჩვენ დღესვე წავალთ აქედან, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

მან მკითხა:

— კი მაგრამ, როგორ?

მე კი ვუპასუხე:

— ჩვენ უნდა წავიდეთ აქედან, მაშასადამე, ვიპოვით საშუალებას.

წავედით, რათა გვენახა, თუ რა მოუვიდა ჩვენს სახლს. ყუმბარა სწორედ მის გვერდით გამსკდარიყო და სახლი გზაზე გადმოენგრია, გზა ნანგრევებით იყო მოფენილი. ყუმბარის წარმოქმნილი ორმო განიერი იყო, უსწორმასწორო კიდეებით, შიგ ახლადმობრუნებული შავი მიწა ჩანდა, ფსკერზე კი უკვე მოყვითალო წყლის გუბე ჩამდგარიყო. მაშასადამე, ჩვენ ისევ უსახლკაროდ დავრჩით და, რაც მთავარია, ჩემოდნები მთელი ჩვენი ავლადიდებით სახლის ნანგრევების ქვეშ იყო დამარხული. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. არ ვიცოდი რა მექნა ან რა მეღონა. ჩამოვჯექი ნანგრევებზე და დიდხანს ვუყურებდი გაშტერებული. გზა, როგორც წინა დღეს, სავსე იყო ჯარისკაცებითა და ლტოლვილებით, მაგრამ ყველანი გვერდს გვივლიდნენ და ყურადღებას არ გვაქცევდნენ არც ჩვენ და არც ჩვენი სახლის ნანგრევებს: უკვე ყველანი მიეჩვივნენ ამას და არავის ეს აღარ აღელვებდა. მხოლოდ ერთი გლეხი შეჩერდა და მოგვესალმა. მე იგი ფონდიში გავიცანი, როცა სანტ ეუფემიიდან სურსათის საძებნელად ჩამოვდიოდი ხოლმე. მან გვიამბო, რომ ღამის დაბომბვა გერმანელების საქმე იყო, რომ ფონდიში ორმოცდაათ კაცამდეა მოკლული, ოცდაათამდე ჯარისკაცი და ოცი იტალიელი. გვიამბო ერთი ოჯახის ამბავი, რომელმაც ჩვენსავით თითქმის მთელი წელი მთაში გაატარა და მხოლოდ მოკავშირეთა მოსვლის შემდეგ დაბრუნდა ფონდიში. ამ ოჯახს ჩვენი სახლის გვერდით დაუკავებია პატარა სახლი, მას ყუმ-

ბარა დასცემია და ყველანი დაუხოცია: ქმარი, ცოლი და ოთხი ბავშვი. მე და როზეტამ ეს ამბავი მდუმარედ მოვისმინეთ. სხვა დროს, ალბათ, ასეთი ამბავი რომ გაგვეგო, მთხრობელს სიტყვას შევაწყვეტინებდით და შეძახილებით: „წარმოგიდგენიათ?“ „როგორ?“ „საცოდავები!“ „რა ბედი ჰქონიათ!“ მაგრამ ახლა ხმის ამოღების თავიც არა გვქონდა. მართალი გითხრათ, პირადი უბედურება სხვისი უბედურებისადმი გულგრილს მხდიდა. შემდეგში ვფიქრობდი, სწორედ ეს გულგრილობა — ომის ერთ-ერთი უსაშინელესი შედეგია: ომი ადამიანებს უგრძნობელს ხდის, სიბრალულს უკლავს, გულს უქვავებს.

მთელი დილა სახლის ნანგრევებზე ვიჯექით, ქანცგამოლეულნი გამოთაყვანებულნი. ჩვენ ისე დაბეჩავებულად ვგრძნობდით თავს, თითქოს ვიღაცამ თავში ჩაგვცხო. პასუხსაც კი არ ვაძლევდით შეკითხვებზე ჯარისკაცებსა და გლეხებს, რომლებიც გზაზე მიმოდიოდნენ. მახსოვს, ერთმა ამერიკელმა ჯარისკაცმა დაინახა ქვაზე მჯდომი გაოგნებული როზეტა და გამოელაპარაკა. როზეტა უსიტყვოდ უყურებდა მას. იგი ჯერ ინგლისურად ელაპარაკებოდა, მერე იტალიურად, ბოლოს ამოიღო ჯიბიდან სიგარეტი, ჩაუდო როზეტას პირში და წავიდა. როზეტა კი ისევ გაუნძრევლად იჯდა, სახე მთლად ტალახით ჰქონდა მოსვრილი, პირში სიგარეტგაჩრილი, —ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ ყოფილიყო. შუადღემ მოატანა. თავს ძალა დავატანე და გადავწყვიტე, უთუოდ რამე გვეღონა, — რაც უნდა იყოს, ჭამა მაინც საჭიროა. როზეტას ვუთხარი, რომ ფონდიში დაბრუნება და იმ ამერიკელი ოფიცრის მოძებნა მოგვიხდებოდა, რომელიც ნეაპოლურ დიალექტზე ლაპარაკობდა. იგი თითქოს თანაგრძნობით მოგვეჭცა. ნელა და უხალისოდ გავწიეთ ქალაქისკენ. იქ კვლავ ჩოჩქოლი იდგა, როგორც ბაზარში: ხალხი ნანგრევებს, წუმპეებს, მანქანებსა და ჯავშნოსნებს შორის ირეოდა, ხოლო ამერიკელი პოლიციელები გზაჯვარედინებზე ამაოდ ცდილობდნენ ამ საცოდავი ხალხის კალაპოტში მოქცევას. ასე მივაღწიეთ მოედნამდე, მე მუნიციპალიტეტისაკენ გავეშურე. რომლის გარშემო, როგორც წინა დღეს, კვლავ უამრავი ხალხი ფუსფუსებდა. მუნიციპალიტეტში ისევ სურსათს არიგებდნენ. ამჯერად თითქოს უფრო მეტი წესრიგი იყო, პოლიციელები ხალხს სამ რიგად აყენებდნენ იმ ამერიკელთა რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ძაგიდასთან კონსერვებს არიგებდნენ. თითოეულ ამერიკელთან თეთრნიშნიანი იტალიელი იდგა. ისინი მუნი-

ციპალიტეტის მოსამსახურენი იყვნენ და სურსათის განაწილებაში ეხმარეობდნენ. სხვებთან ერთად დახლთან გუშინდელი ოფიცერიც დავინახე და ვუთხარი როზეტას, მასთან ჩავმდგარიყავით რიგში, რათა დავლაპარაკებოდით. სანამ დახლამდე მივაღწევდით, რიგში კარგა ხანს მოგვიხდა დგომა. ოფიცერმა გვიცნო, გაგვიღიმა და გამოაჩინა თავისი თვალისმომჭრელი კბილები:

— გამარჯობათ! ჯერ არ წასულხართ რომში?

მე მივუთითე ჩემზე და როზეტაზე:

— ხედავ რა მდგომარეობაში ვართ!

მან შემოგვხედა და მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე:

— წუხანდელი დაბომბვა?

— დიახ, და ახლა აღარაფერი გვაქვს. ყუმბარამ დაანგრია ჩვენი თავშესაფარი და ჩემოდნები კონსერვებით, შენ რომ მოგვეცი, ნანგრევების ქვეშ დარჩა.

იგი აღარ იღიმებოდა. როზეტას შეხედულება, მისი უწყინარი სახე მეტად საბრალო სანახავი იყო.

— პროდუქტები შემიძლია მოგცეთ ისევე, როგორც გუშინ, — გვითხრა მან, — ამის გარდა ცოტაოდენ ტანსაცმელსაც მიიღებთ, სამწუხაროდ სხვა არაფერი შემიძლია.

— დაგვეხმარე დავბრუნდეთ რომში, — ვუთხარი მე. — იქ ბინაცა გვაქვს, ნივთებიც, საერთოდ ყველაფერი.

მაგრამ მან ისევ ისე მიპასუხა, როგორც წინა დღეს:

— როგორ წახვალ რომში, თუკი ჯერ ჩვენ თვითონ ვერ მიგვიღწევია იქამდე.

ამაზე მე, რასაკვირველია, ვერაფერი ვუთხარი და გავჩუმდი. მან მოგვცა რამდენიმე ქილა კონსერვი და დაავალა თეთრნიშნიან იტალიელს სხვა შენობაში წავეყვანეთ, სადაც ტანსაცმელს არიგებდნენ. უკვე გამომშვიდობებისას, თვითონ არ ვიცი რატომ, უცებ ვუთხარი:

— ჩემი მშობლები ვალეკორსის ახლოს სოფელში ცხოვრობენ, ან უკეთ რომ ვთქვათ, ცხოვრობდნენ, იმიტომ, რომ მათ შესახებ ახლა არაფერი ვიცი. მოგვეხმარე როგორმე მივაღწიოთ მათ სოფლამდე. იქ ყველას ვიცნობ და თუ ჩემს მშობლებს ვერ ვიპოვი, მაინც მოვეწყობი როგორმე.

მან შემომხედა და თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ მიპასუხა:

— სამხედრო მანქანებით სამოქალაქო პირთა გადაყვანა, კატეგო-

რიულად აკრძალულია. მხოლოდ იტალიელებს, რომლებიც ამერიკული ჯარისთვის მუშაობენ, შეუძლიათ სამხედრო მანქანებით სარგებლობა და ისიც მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით.

მითხრა ეს და მიუბრუნდა ჩვენს უკან რიგში მდგომ ორ ქალს. მივხვდი, რომ მისგან მეტს ვერაფერს მივიღებდით და გავყევი იტალიელს, რომელსაც სახელოზე თეთრი ხელსახოცი ეკეთა. იტალიელს გაეგონა ჩვენი ლაპარაკი და, როგორც კი შენობიდან გამოვედით, გვითხრა:

— სწორედ გუშინ ორი ლტოლვილი ცოლ-ქმარი გაგზავნეს სოფელში სამხედრო მანქანით. ოღონდ მათ შესძლეს დაემტკიცებინათ, რომ ზამთარში თავიანთ სახლში ინგლისელი ტყვე შეიფარეს. მადლობის ნიშნად, გამონაკლისის სახით, ისინი მანქანით გაგზავნეს სოფელში. თქვენც რომ ასევე მოქცეულიყავით ულაპარაკოდ გაგგზავნიდნენ ვალეკორსაში.

აქამდე გაჩუმებულმა როზეტამ უცებ წამოიძახა:

—დედა, გახსოვს ის ორი ინგლისელი? ჩვენც შეგვიძლია ვუამბოთ, რომ ისინი ჩვენთან იყვნენ.

მე მქონდა ბარათი, რომელიც ინგლისელებმა წასვლის დროს მომცეს. ბარათი ინგლისურად იყო დაწერილი. ორივემ მას ხელი მოაწერა. ეს ბარათი ფულთან ერთად მქონდა შენახული. ფული ახლა თითქმის აღარა მქონდა, მაგრამ ბარათი სადღაც აქ უნდა ყოფილიყო. სულ დამავიწყდა, მისი არსებობა, მაგრამ ახლა მოვძებნე ჯიბეებში და აღმოვაჩინე. ინგლისელებმა მთხოვეს ეს წერილი მოკავშირეთა ჯარის პირველივე ოფიცრისთვის გადამეცა. გახარებულმა ვთქვი:

—გვეშველა!

და ჩვენს თანამგზავრს ჩემი სიხარულის მიზეზი ავუხსენი. ვუამბე ორი ინგლისელის შესახებ—როგორ შევიფარეთ ისინი შობა დღეს, რადგან ყველა დანარჩენ ლტოლვილს ეშინოდა მათი სახლში შეშვება, როგორ წავიდნენ ჩვენგან გათენებისას, ხოლო მერე მათს საძებრად გერმანელები მოვიდნენ. იტალიელმა თქვა:

—წამოდით, ჯერ ტანსაცმელი მიიღეთ, მერე კი შტაბში წაგიყვანთ და თქვენ ნახავთ, რომ ისინი გააკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა.

ჩვენ მივედით მეორე სახლში, სადაც ტანსაცმელს არიგებდნენ

და იქ მივიღეთ თითო წყვილი რეზინის ძირიანი ფეხსაცმელი, მწვანე წინდები მუხლამდე, ამავე ფერის ქვედა კაბა და ხალათი. ამ ფორმას მათს არმიაში ქალები ატარებდნენ. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვიყავით, რომ ეს ტანსაცმელი მივიღეთ, რადგან ჩვენი კაბები ძონძებად იქცა, თან ტალახი ჰქონდა შემხმარი. გარდა ამისა, მოგვცეს საპონი, რომლითაც მაშინვე ვისარგებლე, — ხელ-პირი დავიბანე, ასევე მოიქცა როზეტაც. მერე თმა დავივარცხნეთ; ახლა თითქმის წესიერი შეხედულება გვქონდა და იტალიელმა გვითხრა:

— მადლობა ღმერთს, ადამიანებს მაინც დაემსგავსეთ, თორემ მთლად ველურებს გავდით. ახლა კი წავიდეთ შტაბში.

შტაბი სხვა შენობაში იყო. ჩვენ კიბეებით ავედით. ყველგან სამხედრო პოლიციელები იდგნენ, რომლებიც გვეკითხებოდნენ, თუ სად მივდიოდით: ალბათ მათ ყველაფერი უნდა სცოდნოდათ და შეემოწმებინათ. კიბეზე ჯარისკაცები და იტალიელები მიმოდიოდნენ. ავედით ზემო სართულზე. ჩვენი გამყოლი დაელაპარაკა კარების წინ მდგომ გუშაგს, მერე მოვიდა და გვითხრა:

— თქვენი ცნობა მათ ძალიან აინტერესებს. ახლავე მიგიღებენ, დაჯექით ამ დივანზე და დაელოდეთ. ცდა დიდხანს არ მოგვიხდა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ჯარისკაცი ოთახში შევიდა, მერე გამოვიდა და დაგვიძახა. ჩვენ შევედით.

ოთახი, რომელშიც მოვხვდით, სრულიად ცარიელი იყო. შიგ მხოლოდ საწერი მაგიდა იდგა. მაგიდასთან იჯდა ქერა, ცისფერთვალება, ჭორფლიანი, სქელი, კეთილი გამომეტყველების შუახნის კაცი, რომელსაც წითური, ჯაგრისივით აბზეკილი ულვაშები ჰქონდა. მას მუნდირი ეცვა. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვარკვევდი ჩინებს, მაგრამ შემდეგში გავიგე, რომ მაიორი იყო. საწერი მაგიდის წინ ორი სკამი იდგა. როცა ოთახში შევედით, მაიორი წამოდგა, სკამები შემოგვთავაზა და მხოლოდ მაშინ დაჯდა, როცა ჩვენ დავსხედით.

— ხომ არ მოსწყენთ? — გვკითხა მან კარგი იტალიურით და სიგარეტების კოლოფი მოგვაწოდა.

უარი ვუთხარი და იგი მაშინვე საქმეზე გადავიდა:

— მითხრეს, ბარათი გქონიათ ჩემთვის.

— აი, — ვუთხარი მე და ბარათი გავუწოდე.

მან გამომართვა, ორჯერ თუ სამჯერ გულდასმით წაიკითხა სერიოზული სახით, დაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

— ეს ბარათი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. უკვე დიდი ხანია არაფერი ვიცოდით ამ ორი სამხედროს შესახებ და ძალიან მადლობელი ვართ იმისათვის, რაც მათთვის გაგიკეთებიათ. ამიწერეთ მათი გარეგნობა.

მე ავუწერე როგორც შემეძლო.

— ერთი ტანდაბალი იყო, ქერა, წაწვეტებული წვერით, მეორე — მაღალი, გამხდარი, შავთმიანი და ლურჯთვალა.

— რა ეცვათ? —

— რამდენადაც მახსოვს, შავი მუშამბის ქურთუკები და გრძელი შავი შარვლები ეცვათ.

— თავზე ეხურათ რამე?

— კი, რაღაც სამხედრო ქუდების მსგავსი.

— იარაღი ჰქონდათ?

— დიახ, პისტოლეტები ჰქონდათ.

— რას აპირებდნენ თქვენგან წასვლის შემდეგ?

— მთებით ფრონტის ხაზის მიმართულებით უნდოდათ წასვლა, მისი გადალახვა და ნეაპოლამდე მისვლა. მათ მთელი ზამთარი ფერრიის მთის ძირას გლეხის სახლში გაატარეს. ისინი ფრონტისკენ მიდიოდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ გადავიდოდნენ, მაგრამ, ვშიშობ, მათ ეს ვერ მოახერხეს იმიტომ, რომ მაშინ ყველანი ამბობდნენ, ფრონტის ხაზის გადასვლა შეუძლებელია გერმანელი გუშაგების, აგრეთვე ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების გამოო.

— დიახ, — თქვა მან, — ფრონტზე ისინი ვერ გადავიდნენ და ნეაპოლამდე ვერ მიაღწიეს. როდის, რომელ დღეს იყვნენ ისინი თქვენთან?

მე ვუთხარი, ის ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე ისევ მკითხა:

— რამდენ ხანს დარჩნენ?

— მხოლოდ ერთ ღამე-ღამეს. ძალიან ჩქარობდნენ, გარდა ამისა, დასმენისა ეშინოდათ. ასეც მოხდა, რადგან, როგორც კი წავიდნენ, თავს დაგვადგნენ გერმანელები. ინგლისელებმა ჩვენთან შობის პირველი დღე გაატარეს. ჩვენ ვეამეთ ქათამი და ცოტაოდენი ღვინოც დავლიეთ.

მან გაიღიმა და თქვა:

— ღვინო და ქათამი — ეს ჩვენი ვალის მხოლოდ ნაწილია... მითხარით, რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

მაშინ მე ვუამბე ყველაფერი. რომ ჩვენ საჭმელი არა გვქონდა, რომ ფონდიში დარჩენა არ გვინდოდა, რადგან აქ თავშესაფარიც კი არ გაგვაჩნდა: სახლი, რომელშიც დავსახლდით, წუხანდელი დაბომბვის დროს დაინგრა; ამიტომ გვსურს ვალეკორსის ახლოს ჩემს სოფლამდე მიღწევა. იქ ჩემი მშობლები ცხოვრობენ და ცოტა ხანს მათთან დავრჩებით. მან ძალიან სერიოზულად მომისმინა და მითხრა:

— ის, რასაც თქვენ მთხოვთ, მართალი გითხრათ, აკრძალულია, მაგრამ გერმანელთა ოკუპაციის დროსაც ხომ აკრძალული იყო ინგლისელი ტყვეების ძიღება, ასე არ არის?

ჩვენ გავუღიმეთ ერთმანეთს. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან თქვა:

— ასე მოვიქცეთ: მე ვიტყვი რომ თქვენ ჩვენს ოფიცერს მიჰყვებით, რათა მთებში დაკარგულ ორ სამხედროზე ცნობები შევკრიბოთ. ჩვენ, სულ ერთია, მოვძებნით მათ, თუმცა არა თქვენს სოფელში, რომელიც იმ გზის გადაღმა მდებარეობს, რითაც ისინი შესაძლოა წავიდნენ. მაშასადამე, ეს ოფიცერი ჯერ თქვენ შიგიყვანთ ვალეკორსამდე და მერე შეუდგება ძებნას.

უღრმესი მადლობა გადავუხადე, მან კი მითხრა:

— ეს ჩვენ უნდა გითხრათ მადლობა. ახლა კი თქვენი სახელები მიბრძანეთ.

მე ვუთხარი და მან გულდასმით ჩაიწერა ჩვენი სახელები. შერე ადგა, რათა დაგვმშვიდობებოდა. და იმდენი თავაზიანობა გაძოიჩიხა, რომ კარებამდე მიგვაცილა, ჩაგვაბარა კარში მდგომ ჯარისკაცს და რაღაც უთხრა ინგლისურად. ეს ჯარისკაციც ძეტად თავაზიანი გახდა და გვითხრა გავყოლოდით.

ჯარისკაცმა წაგვიყვანა ცარიელი ნათელი დერეფხით და ცარიელ, ჩაგრამ სუფთა ოთახში მიგვიყვანა. იქ ორი სალაშქრო საწოლი იდგა. მან გვითხრა, რომ ამ ოთახში გავატარებდით ღამეს, შეორე დღეს კი მაიორის ბრძანებით სადღაც წაგვიყვანდნენ. ჯარისკაცი წავიდა და კარი გაიხურა. ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ და ჩამოვჯექით საწოლებზე. თავს სულ სხვაგვარად ვგრძნობდით: სუფთა ტახსაცმელი გვეცვა; დაბანილები ვიყავით, გვქონდა კონსერვები, რომლებიც შეგვეძლო

გვეჭამა, გვქონდა საწოლები, გვქონდა ჭერი და, რაც ძთავარია, — მომავლის იმედი. ერთი სიტყვით, ჩვენ სრულიად გაძოვიცვალეთ და ეს ცვლილება მაიორმა და მისმა კეთილმა სიტყვებმა მოახდინეს. ხშირად მიფიქრია, რომ ადამიანს ადამიანურად უნდა ძოექცე, და არა როგორც პირუტყვს; ადამიანისადმი ადამიანური დაძოკიდებულება იძას ნიშნავს, რომ მისცე საშუალება იყოს სუფთად, იცხოვროს სუფთა სახლში, სიმპათიითა და პატივისცემით მოექცე, და, რაც ძთავარია, — ჩაუნერგო მომავლის იმედი. თუკი ადამიანს ასე არ ძოექცევი, იგი პირუტყვად იქცევა: ადამიანს ხომ ყველაფერი შეუძლია, პირუტყვად გახდომაც კი, თუ სხვებმა მოისურვეს, რომ ის პირუტყვი იყოს და არა ადამიანი, — მაშინ კი სულ ტყუილად ითხოვთ ძისგან ადაძიახურ მოქცევას.

როცა მე და როზეტა მარტონი დავრჩით, გადავეხვიეთ ერთმანეთს, მე ვაკოცე და ვუთხარი:

— აი ნახავ, ახლა კი ყველაფერი მოწესრიგდება. ჩვენ რაძდენიძე დღე დავრჩებით სოფელში, ცოტა მოვიკეთებთ, დავისვენებთ, ძერე დავბრუნდებით რომში და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენს წასვლამდე იყო. — ამაზე საწყალმა როზეტამ მიპასუხა:

— ჰო, დედა.

ამ დროს იგი კრავსა ჰგავდა, რომელიც დასაკლავად მიჰყავთ, ის კი ხელს ულოკავს ადამიანს, ყასბის დანისკენ რომ ეწევა. საუბედუროდ ეს ხელი ჩემი ხელი იყო და სწორედ მე მიმყავდა სასაკლაოზე. მაგრამ ამაზე უფრო გვიან გიამბობთ.

ჩვენ თითო ქილა კონსერვი შევჭამეთ და დანარჩენი დრო საწოლებზე თვლემაში გავატარეთ. სრულებით არ გვინდოდა ფოხდის ქუჩებში გავლა და ამ საცოდავი დაკონკილი ხალხისა და ჯარისკაცების ნახვა — ეს მეტად სამწუხარო სანახაობა იყო, ხახგრევები კი აძას გვაგრნებდა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძალიან დაღლილები ვიყავით, რადგან ღია ცის ქვეშ გავათენეთ და უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ბევრი გადავიტანეთ. ჩვენ გვეძინა, ვიღვიძებდით და ისევ ვიძინებდით. ჩემი საწოლი ფანჯარასთან იდგა, მას დარაბები არ ჰქოხდა და იქიდან ლურჯი, მოკამკაშე ცა ჩანდა. როცა ვიღვიძებდი, ვამჩნევდი, რომ თანდათან სინათლე სხვა მხრიდან ეცემოდა და ისეთი ძლიერი აღარ იყო, რადგან მზე თავისი გზის დასასრულს უახლოვდებოდა. მე

ისევ ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როგორც წინა დღეს, როცა ძეძიხა და ზარბაზნის გრიალი მესმოდა. მაგრამ ახლა როზეტას გაჭო ვიყავი ბედნიერი, რომელიც გვერდით საწოლზე იწვა: ძთელი ამ ძიძისა და გაჭირვების შემდეგ, რაც თავს გადაგვხდა, როზეტა ცოცხალი და უვნებელი იყო. მე ვფიქრობდი იმაზე, რომ მაინც მოვახერხე მთელი ამ ომის ქარცეცხლში გამოვლა, მყუდრო ნავსაყუდლამდე მიღწევა და ჩემი ქალიშვილის გადარჩენა. როზეტა ჯანმრთელად იყო, მეც არა მიშავდა და არავითარი განსაკუთრებული უბედურება არ დაგვმართია. ახლა კი მალე დავბრუნდებით რომში, ჩვენს ბინაში, მე ისევ გავხსნი დუქანს და ძველებურად ვიცხოვრებთ. არა, ახლა წინანდელზე უკეთესად ვიცხოვრებთ იმიტომ, რომ, რაღა თქმა უნდა, როზეტას საქმროც ცოცხალია, იუგოსლავიიდან დაბრუნდება და ის და როზეტა დაქორწინდებიან. ძილბურანში წარმოვიდგინე როზეტას ქორწილი. ვხედავდი როგორ გამოდიოდა ის ეკლესიიდან მზით განათებულ მოედანზე; მას თეთრი კაბა აცვია, თავს ფლერდორანჟი უმშვენებს, ის საქმროს მკლავს ეყრდნობა, უკან კი მოვდევთ მე, მთელი ნათესაობა და მეგობრები — მხიარულნი და ბედნიერნი. მაგრამ მათ მარტო ეკლესიიდან გამოსვლისას კი არ ვხედავდი, ფიქრით უკან ვბრუნდებოდი და ვხედავდი საკურთხევლის წინ დაჩოქილებს. ისინი ყურს უგდებენ პატრს, რომელიც მათ ჯვარსა სწერს და უქადაგებს წმიდა ქორწინების მოვალეობაზე. მაგრამ ესეც არ მაკმაყოფილებდა და ფიქრით წინ მივიწევდი; ვხედავდი როზეტას მისი პირველი შვილით ხელში: ყველა მაგიდასთან ვზივართ — როზეტა, მისი ქმარი და მე... მეზობელი ოთახიდან ბავშვის ტირილი ისმის. როზეტა დგება, გადის და ბავშვით ხელში ბრუნდება. კვლავ მაგიდასთან ჯდება, იხსნის საკინძეს და ბავშვს ძუძუს აძლევს, ის ტუჩებით იშერს ძუძუსთავს და პაწია თითებით ძუძუს ბღუჯავს. როზეტა ბავშვისკენ იხრება, თან კოვზით წვენსა ჭამს. ახლა მაგიდასთან ოთხნი ვართ: როზეტას ქმარი, როზეტა, პატარა და მე. ვხედავ ყველაფერს ამას ძილში და ვფიქრობ, აი უკვე ბებიაც ვარ და მომწონს, რომ ბებია ვარ იმიტომ, რომ აღარ მინდა სიყვარული. ჩქარა მინდა დავბერდე, ბებია გავხდე და დიდხანს, დიდხანს ვიცხოვრო როზეტასთან და მის ბავშვებთან ერთად. ამ სიზმრებს შორის ვხედავდი გვერდით საწოლზე მძინარე როზეტას, მაშასადამე, ეს მარტო სიზმრები არ იყო და მალე შეიძლება

სინამდვილედ ქცეულიყო. ოღონდ კი დავბრუნდეთ რომში და ძველებურად დავიწყოთ ცხოვრება.

მოსაღამურდა, მე საწოლზე წამოვჯექი და მივიხედ-მოვიხედე. როზეტას ისევ ეძინა: მას კაბა გაეხადა და სიბნელეში ჩანდა მისი ქათქათა მხრები და ჩამრგვალებული მკლავები, როგორც მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა და ჯანმრთელ ქალიშვილებსა აქვთ ხოლმე. მას ფეხი მოეღუნა, მუხლი ნიკაპთან მიეტანა, პერანგი ასწეოდა და ისეთივე თეთრი და მრგვალი ფეხები უჩანდა, როგორც მხრები და მკლავები ჰქონდა. ვკითხე, ხომ არა გშიან-მეთქი? ის არ მობრუნებულა, ისე გააქნია თავი, ვკითხე ქუჩაში გაელა ხომ არ გინდა? კელავ უარყოფის ჟესტი. მაშინ მეც დავწექი და უკვე ნამდვილად დავიძინე. ამდენი განცდის შემდეგ ძალა სრულებით აღარა გექონდა და ძალიან დიდხანს შეგვეძლო ძილი. ძილი ჩვენთვის საათის სამართივით იყო, რომლის ზამბარა ბოლომდე გაიშალა: ძალიან დიდხანს უნდა ქოქო იმიტომ, რომ საათი, რომლის სამართი გათავდა, ვეღარ მუშაობს.

თავი მეცხრე

გათენებისას კარზე საშინელმა ბრახუნმა გაგვაღვიძა. ეიღაც ისე მაგრად აბრახუნებდა, თითქოს კარის შემონგრევა უნდოდა. ეს ის ჯარისკაცი აღმოჩნდა, რომელმაც გუშინ გამოგვაცილა; როცა გავუღეთ, გვითხრა, მანქანა, რითაც ვალეკორსაში უნდა წახვიდეთ, უკვე ქვევით გელოდებათ და საჭიროა იჩქაროთო. ჩვენ სასწრაფოდ ჩავიცვით. მე კარგად დავისვენე და მხნედ ვგრძნობდი თავს; ეს, რასაკვირველია, ხანგრძლივი და ღრმა ძილის შედეგი იყო. როზეტაც სწრაფად, მხიარულად იბანდა და იცვამდა, ჩანდა, რომ მანაც კარგად დაისვენა. მხოლოდ დედას შეუძლია ზოგიერთი რამის მიხვედრა; მახსოვდა, როგორი იყო როზეტა წინადღით — უძილობისა და გადატანილი ღელვისგან გამოთაყვანებული, სახეზე ბიმხმარი ტალახის ზხეფებით, სევდიანი, ჩალურჯებული თვალებით, ახლა კი მის ნახვას არაფერი ჯობდა; უნდა გენახათ, როგორ იჯდა ის საწოლზე, იატაკზე ფეხებჩამოშვებული, როგორ იზმორებოდა და შლიდა თავის ლამაზ, სავსე, ქათქათა მკერდს, რომელიც, გეგონებოდათ, საცაა გახევსო პერანგს, როგორ მიდიოდა პირსაბანთან, ასხამდა დოქიდან ცივ წყალს და პეშვებით ისხამდა სახეზე, ყელზე, მკლავებსა და მხრებზე, მერე თვალ-

დახუჭული ეძებდა პირსახოცს და მანამ იმშრალებდა, სანამ კანი არ გაუწითლდებოდა, მერე კი იდგა შუა ოთახში და კაბას იცვამდა. ამაში არაფერი იყო არაჩვეულებრივი და ბევრჯერ მინახავს, როგორ იბანდა და იცვამდა იგი დილაობით, მაგრამ ახლა ამ მოძრაობაში მთელი მისი ახალგაზრდობა და აღდგენილი ძალა იგრძნობოდა, როგორც იგრძნობა ძალა და ახალგაზრდობა მზეზე გაუნძრევლად მდგომი ნორჩი ხისა, რომელიც გაზაფხულის სიოს ყოველ მსუბუქ შეხებაზე ოდნავ აშრიალებს ფოთლებს.

მაგრამ კმარა ამაზე. ჩვენ ჩავიცვით და სირბილით დავეშვით დაცარიელებულ კიბეებზე. კარების წინ იდგა მოკავშირეთა არმიის პატარა, ღია მანქანა, რკინის მაგარი დასაჯდომებით. საჭესთან ინგლისელი ოფიცერი იჯდა. მის წითურ სახეზე დაბნეულობა ან შეიძლება მოწყენილობა იყო აღბეჭდილი. მან უკანა სკამებზე მიგვითითა და დამტვრეული იტალიურით გვითხრა, განკარგულება მივიღე ვალეკორსაში წაგიყვანოთო. იგი მაინცდამაინც თავაზიანი არ ჩანდა, მაგრამ ალბათ იმიტომ კი არა, რომ არ მოვეწონეთ, არამედ უბრალოდ მორცხვობდა. მანქანაში ორი დიდი, კონსერვებით სავსე მუყაოს ყუთი იდგა და ოფიცერმა ისევე მორცხვად გვითხრა, ეს კონსერვები კეთილი მგზავრობის საუკეთესო სურვილებთან ერთად მაიორმა გამოგიგზავნათო, თან ბოდიშს იხდის, რომ დიდი მოუცლელობის გამო პირადად ვერ გამოგემშვიდობათ. ამასობაში, მანქანის გარშემო ლტოლვილები მოგროვდნენ; მათ, ალბათ, ღამე ღია ცის ქვეშ გაეტარებინათ და ახლა ჩუმად, მაგრამ აშკარა შურით გვიყურებდნენ. მაშინვე მივხვდი, მათ შურდათ, რომ ჩვენ ფონდიდან წასვლა მოვახერხეთ, თანაც ამდენი კონსერვი გვქონდა. გამოგიტყდებით, უნებურად მედიცური სიამაყე ვიგრძენი, თუმცა ცოტათი სინდისიც მქენჯნიდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ კი არ უნდა შეშურებოდათ, არამედ შევბრალებოდით.

ოფიცერმა მომართა მოტორი, მანქანამ სწრაფად გაიარა წუმპეები, ნანგრევები და მთებისკენ გაეშურა. გადავუხვიეთ შარაგზაზე და სიჩქარის შეუნელებლად დავიწყეთ ასვლა მთებს შუა მდებარე ვიწრო და ღრმა ხეობაში, რომელიც დაკლაკნილ მთის ნაკადულს მიჰყვებოდა. ჩუმად ვისხედით, ოფიცერიც ხმას არ იღებდა; ჩვენ იმიტომ ვდუმდით, რომ უკვე მოგვბეზრდა ყრუ-მუნჯებივით ჟესტებითა და ღმუილით ლაპარაკი. ოფიცერი კი მორცხვობდა, ან იქნებ არ სიამოვ-

ნებდა, რომ ჩვენ მძღოლობას გვიწევდა. ან კი რა უნდა გვეთქვა ამ ოფიცრისათვის? რომ გვიხარია ფონდიდან წასვლა? რომ დგას მაისის შესანიშნავი დღე, ცა ლურჯი და უღრუბლოა და მზე ჩვენს გარშემო მყოფ ბუნებას თავის სხივებსა ფენს? რომ მივდივართ სოფელში, სადაც მე დავიბადე? რომ იქ, როგორც საკუთარ სახლში, ისე ვიქნებით? ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მას არ აინტერესებდა და მართალი იქნებოდა, რომ ეთქვა, ეს არ მაინტერესებს, უბრალოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ და ბრძანებისამებრ აღნიშნულ ადგილას მიმყავხართო, ამიტომ უკეთესი იქნება გაჩუმდეთ და არ მიშლიდეთ ხელს ჩემს საქმეში, ანუ მანქანის ტარებაშიო. შეიძლება გასაკვირიც იყოს, მაგრამ როცა ყოველივე ამაზე ვფიქრობდი, ამავე დროს უდიდეს სურვილს ვგრძნობდი დავლაპარაკებოდი ოფიცერს, გამომეკითხა მისთვის ვინ იყო, სად ცხოვრობდა მისი ოჯახი, რას აკეთებდა ომამდე, ჰყავდა თუ არა საცოლე და ასე შემდეგ. საფრთხემ გაიარა და ჩემი ფიქრები გარემოს დაუბრუნდა. როგორც კი დავანებე თავი ფიქრს — ჩვენი, ჩემი და როზეტას სიცოცხლის გადარჩენაზე, ჩემს გარშემო მყოფმა ადამიანებმა და ნივთებმა კვლავ დამაინტერესეს. ერთი სიტყვით, სიცოცხლეს ვუბრუნდებოდი და სიცოცხლე კი იმას ნიშნავს, რომ იმოქმედო რაიმე გარკვეული მიზეზის გარეშე, სიმპათიით ან ჟინით, გულდასმით ან უბრალოდ ისე, გასართობად. ეს ოფიცერი ჩემს ცნობისმოყვარეობას იწვევდა ისევე, როგორც დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებულ ადამიანს აინტერესებს ხოლმე ძის გარშემო მყოფი ნივთები, სრულიად უმნიშვნელოც კი. შევამჩნიე, რომ მას ლამაზი ოქროსფერი თმა ჰქონდა, რომელიც ბზინავდა და კალათის წნელებივით ირეოდა და იხლართებოდა ერთმანეთში, მერე კი იშლებოდა და პატარ-პატარა ღარებად ეშვებოდა კეფაზე. ვუყურებდი ამ ოქროსფერ თმას და სურვილი მქონდა ხელი გადაძესვა მისთვის, იმიტომ კი არა, რომ მომწონდა ეს მამაკაცი, ან რაიმე ლტოლვა მქონდა მისდამი, უბრალოდ, ისევ შემიყვარდა სიცოცხლე, მისი თმები კი სიცოცხლით იყო სავსე. ასეთივე გრძნობა მქონდა გზის პირას მდგარი მწვანედ შეფოთლილი ხეებისადმი, სუფთა, სწორი ქვის კედლისადმი, რომელიც თხრილის მეორე მხარეს მდებარე მაჩერას აკავებდა, ლურჯი ცისა და მაისის კაშკაშა მზისადმი. ყველაფერი მომწონდა და ხარბად დავეწაფე შთაბეჭდილებებს, როგორც ადამიანი,

რომელსაც დიდი ხნის შიმშილობის შემდეგ დაკარგული ჭამის მადა და პირის გემო უბრუნდება.

შარაგზა, რომელიც ღრმა ხეობაში დიდხანს მიჰყვებოდა ნაკადულს, ბოლოს გზატკეცილს მიადგა, ნაკადული კი გაშლილ კამკამა მდინარეს შეუერთდა, რომელიც დაბლობზე მიედინებოდა. მთებმა განზე გაიწია, მათი ფერდობები ნაკლებად დაქანებული გახდა, სიმწვანე გაქრა, გარშემო შიშველი ქვები იყო. ყოველი მოსახვევის შემდეგ პეიზაჟი უფრო სევდიანი, უდაბური და მკაცრი ხდებოდა. ეს იყო სწორედ ის ბუნება, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდი, ამიტომ უიმედობის, შიშისა და მარტოობის გრძნობა, რომელიც ამ ველურმა ბუნებამ აღმიძრა, ბავშვობის მოგონებებმა შემირბილა. ეს ადგილები მართლაც საავაზაკო ადგილები იყო და მაისის მზესაც კი არ შეეძლო მათი გამხიარულება. გარშემო მხოლოდ ქვები და კლდეები აღმართულიყო, მთის ფერდობებზე არ იზრდებოდა არაფერი, ბალახის გარდა, რომელიც ძუნწად მოჩანდა ქვებსა და კლდეებს შორის. შავი, სუფთა და ბრჭყვიალა გზა გაზაფხულის პირველი სითბოთი გაღვიძებული გველივით იკლაკნებოდა ამ ქვებს შუა. გარშემო არც სახლები, არც ფერმები, არც ჯოხები და არც ფაცხები არ იყო. არც ადამიანები და ცხოველები ჩანდნენ. ვიცოდი, რომ გზა კარგა ხანს მიდიოდა ამ ცარიელ, მდუმარე, უკაცრიელ ხეობაში და ერთადერთი დასახლებული ადგილი ამ ხეობაში იყო ჩემი მშობლიური სოფელი, რომელიც გზის ორივე მხარეს გაშენებული სახლებისა და მოედანზე აგებული ეკლესიისაგან შედგებოდა.

კარგა ხანს მივდიოდით ჩუმად, უეცრად გზის მოსახვევში სულ ახლოს ჩემი სოფელი დავინახე. ყველაფერი ისევ ისეთი იყო, როგორიც მახსოვდა: სოფლის თავში გზის ორივე მხარეს ორი სახლი იდგა, რომლებსაც კარგად ვიცნობდი. ეს ძველი, ამავე კლდეების სიპი ქვებით ნაშენი ორი სახლი არასოდეს არ შეუთეთრებიათ და მათ თალხი შეხედულება ჰქონდა. სახლები ხავსით დაფარული კრამიტით იყო გადახურული. უცბად როგორღაც შემრცხვა ინგლისელი ოფიცრის, რომელსაც, ალბათ, სულაც არ ესიამოვნებოდა, რომ შოფრობას გვიწევდა; სრულიად ინსტინქტურად შევეხე მის მხარს და ვუთხარი, ჩვენ უკვე მოვედით და აქ ჩამოვალთ-მეთქი. მან მაშინვე დაამუხრუჭა მანქანა, მე კი უკვე ვინანე, რომ სოფლის მისადგომთან გავაჩერებინე, მაგრამ მაინც ვუთხარი როზეტას, რომ მოვედით და უნდა გადმოვი-

დეთ. ჩამოვხტით გზაზე, ოფიცერი მოგვეხმარა ყუთების გადმოღებაში, რომლებიც თავზე დავიდგით, მერე უცებ გაგვიღიმა და იტალიურად, თითქმის ალერსიანად გვითხრა:

— ბედნიერებას გისურვებთ! — მოაბრუნა მანქანა და ელვის სისწრაფით გაჰქრა.

რამდენიმე წამში მანქანა მოსახვევში გაუჩინარდა და ჩვენ მარტონი დავრჩით.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ სოფელში სიჩუმე და სიცარიელე იყო. გარშემო არც ერთი სულიერი არ ჩანდა, მხოლოდ გაზაფხულის მსუბუქი და ალერსიანი ნიავი ქროდა ველზე. შევხედე ორ განაპირა სახლს და თვალში მეცა ის, რაც უცბად ვერ შევამჩნიე: დარაბები დახურული იყო, ქვედა სართულის კარი ფიცრებით ჯვარედინად დაჭედილი, ეტყობა მცხოვრებნი გაესახლებინათ სოფლიდან. და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ არ უნდა წამოვსულიყავით ფონდიდან, იქ დაბომბვის საფრთხე გველოდა, მაგრამ ხალხში მაინც ვიყავით, გული შემეკუმშა. შიში რომ დამეძლია, როზეტას ვუთხარი:

— მგონი სოფელში არავინ არის, ალბათ ყველა გაასახლეს. თუ ასეა, არ დავყოვნდეთ აქ და ვალეკორსაში წავიდეთ, იქამდე სულ ორიოდე კილომეტრია. ან რომელიმე საბარგო მანქანას ვთხოვოთ მიგვიყვანოს, ამ გზაზე მუდამ დიდი მოძრაობაა.

იმავე წუთში, თითქოს ჩემი სიტყვების დასადასტურებლად, გზაზე საბარგო და სამხედრო მანქანების მთელი კოლონა გამოჩნდა, ჩვენ, როგორღაც ერთბაშად დავმშვიდდით: ესენი მოკავშირეები, მეგობრები იყვნენ, რომლებისთვისაც ყოველთვის შეგვეძლო დახმარება გვეთხოვა, როგორც ეს ფონდიში მოხდა. ჩვენ გადავედით გზიდან და მიმავალ მანქანებს დავუწყეთ ყურება. კოლონის თავში პატარა ღია მანქანა მიდიოდა, ისეთივე, როგორითაც ჩვენ აქ მოვედით. მანქანაში სამი ოფიცერი იჯდა, მასზე დროშა ეკიდა — ლურჯი, თეთრი და წითელი ზოლებით; მერე გავიგე, რომ ეს საფრანგეთის დროშა იყო, ოფიცრებიც ფრანგები იყვნენ, თავზე ქვაბების მსგავსი წინაფრიანი ქუდები ეხურათ. ამ მანქანას ჯარისკაცებით გატენილი, სულ ერთნაირი სატვირთო მანქანები მოჰყვებოდა, ოღონდ ეს ჯარისკაცები სრულებით არა ჰგავდნენ იმათ, ვინც მანამდე გვენახა: ისინი მუქკანიანები იყვნენ და ძალიან წააგავდნენ თურქებს, რამდენადაც მე ეს გავარჩიე, რადგან თავები წითელი ყაბალახებით ჰქონდათ შებურვილი,

თვითონ კი თეთრ ზეწრებში იყვნენ გახვეულნი, ხოლო ზევიდან მოკლე მუქი მოსასხამები ჰქონდათ მოგდებული. შემდეგში გავიგე, რომ ეს ჯარისკაცები მაროკოდან იყვნენ — მაროკოელები; ეს ქვეყანა ძალიან შორს არის, მგონი აფრიკაში და ომი რომ არ ყოფილიყო, ეს ხალხი არასოდეს, არაფრის გულისათვის არ მოვიდოდა იტალიაში. კოლონა მაინცდამაინც გრძელი არ იყო, რამდენიმე წუთში ჩაიარა და სახლებს მიეფარა. ბოლოში ისეთივე პატარა მანქანა მიდიოდა, როგორც თავში; და გზაზე კვლავ სიცარიელე და სიჩუმე ჩამოდგა. როზეტას ვუთხარი:

— ესენი უთუოდ მოკავშირეები არიან, მაგრამ ვინ იცის რა ტომისა. ასეთები არასოდეს არ მინახავს.

ჩვენ სოფლისკენ გავწიეთ. ვიდრე სოფლამდე მივიდოდით, გზაზე კლდე იყო გადმოკიდებული, რომლის ქვეშ გამოქვაბულში წყარო მეგულებოდა. მე წინ მივდიოდი ყუთით თავზე, და როზეტას ვუთხარი:

— ამ გამოქვაბულში წყაროა. შევიდეთ, ძალიან მწყურია.

ვუთხარი, რომ მწყუროდა, სინამდვილეში კი გამოქვაბულის ნახვა მინდოდა, სადაც წყალზე დავდიოდი ხოლმე ჯერ კიდევ ჩემს პატარაობისას, მერე როცა გოგო გავხდი, ბოლოს კი ქალიშვილობისას. აქ ყოველდღე ან დღეში რამდენჯერმე მოვდიოდი თავზე სპილენძის თუნგშედგმული, ავავსებდი ჭურჭელს და ათი წუთით, ან მეტი ხნით შევჩერდებოდი სხვა ქალებთან სალაპარაკოდ, რომლებიც წყალზე მოდიოდნენ. ხანდახან ახლომახლო სოფლის მცხოვრებლებსაც ვხვდებოდი, რომლებიც წყლის კასრებით დატვირთულ ვირებს მორეკავდნენ, რადგან ეს წყალი საყოველთაოდ განთქმული იყო; გარდა ამისა, მთელ ამ მხარეში ეს ერთადერთი წყარო იყო, რომელიც ზაფხულში არა შრებოდა, წყალი ბევრი და ყინულივით ცივი იყო. მე ძალიან მიყვარდა ეს გამოქვაბული; როცა პატარა გოგო ვიყავი, ეს ადგილი უცნაური და საიდუმლოებით მოცული მეგონა, მაშინებდა და მიზიდავდა კიდეც; ხშირად ვიხრებოდი აუზის კიდეზე და დიდხანს ვიყურებოდი წყალში, ვაკვირდებოდი ხშირ გვიმრებს, რომლებიც წყაროს ფარავდნენ. მიყვარდა წყალში ჩემი გამოსახულებისათვის მეცქირა, დამენახა ჩემი თავი ისე, როგორც სინამდვილეში ვიყავი, ოღონდ თავდაყირა; მიყვარდა გვიმრა მისი მწვანე ფოთლებითა და შავი ყლორტებით; მომწონდა ხავერდოვანი ხავსი, რომელზეც ბრწყინავდა

წყლის წვეთები და პაწაწინა წითელი ყვავილები მოჩანდა, მხიბლავდა ამ ხავსით დაფარული კლდეები. მაგრამ ყველაზე უფრო გამოქვაბული იმიტომ მიზიდავდა, რომ სოფელში ვიღაცამ ზღაპარი მიამბო: თუ გავბედავდი და წყალში გადავხტებოდი, მერე კი ნელ-ნელა ჩავიძირებოდი, აღმოვჩნდებოდი მიწისზედა სამყაროზე ბევრად უფრო ლამაზ მიწისქვეშა სამყაროში, უთვალავი განძეულობით სავსე გამოქვაბულებში, სადაც ქონდრისკაცები და ფერიები ცხოვრობდნენ. ამ ზღაპარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მაშინაც კი, როცა გავიზარდე და ზღაპრები აღარა მჯეროდა, გამოქვაბულში ყოველ მისვლაზე მახსენდებოდა და ვფიქრობდი, ვაითუ ეს სინამდვილეა და არა ზღაპარი; და წყალში ჩახტომა მინდოდა, რათა მიწისქვეშა სამეფოში ჯადოსნური გამოქვაბულები მენახა. შევედით თუ არა გამოქვაბულში, ყუთი მიწაზე დავდგი, აუზის საფეხურზე ავედი, კიდეზე გადავეკიდე და შიგ ჩავიხედე. თაღი აუზის თავზე მწვანე, სველი ხავსით იყო დაფარული, სტალაქტიტებიდან წყალი წვეთავდა. როზეტაც დაიხარა აუზზე. ვუყურებდი ჩვენი სახეების ანარეკლს შავ უძრავ წყალში და ვოხრავდი; გამახსენდა ყოველივე ცუდი, რაც პატარაობის შემდეგ გადამხდა, როცა სწორედ ამ წყალში ვიცქირებოდი. როგორც მაშინ, აუზის სიღრმეში, ხშირი გვიმრების ქვეშ მოჩანდა პატარა ჭავლი, იქ, სადაც წყარო აუზს უერთდებოდა; და უნებურად გავიფიქრე, რომ ეს წყარო სულ მუდამ იდენს კლდიდან, ასევე შეუმჩნეველად და მშვიდად, მაშინაც, როცა არც მე, არც როზეტა და არც სხვა ხალხი აღარ ვიქნებით, როცა ჩვენ საიქიოში წავალთ და ამ საშინელ ომზეც კი მხოლოდ მოგონება დარჩება. ყველაფერს აქვს დასასრული, ვფიქრობდი მე; აქ ბავშვობაში დავდიოდი, ახლა კი მოწიფული ქალიშვილი მყავს, მაგრამ წყარო არასდროს არ დაშრება და ისევე იდენს, როგორც წინათ. მე უფრო დაბლა დავიხარე, წყალს დავეწაფე და მგონი ჩემს თვალს ცრემლი მოსწყდა, წყალში ჩავარდა. როზეტა გვერდით სვამდა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია. ჩვენ ტუჩები მოვიწმინდეთ, ყუთები თავზე დავიდგით და სოფლისკენ გავწიეთ.

სოფელი, როგორც ვფიქრობდი, სრულიად დაცარიელებული იყო. ეტყობა, სულ არ დაუბომბავთ, რადგან არავითარი ნანგრევები არ ჩანდა, უბრალოდ მცხოვრებთ მიეტოვებინათ იგი. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული სახლები — რიყის ქვით ნაშენი, შეუთეთრებელი, უბადრუკი, ერთმანეთს მიბჯენილი სახლები მთელი იყო, მაგრამ ფან-

ჯრებჩარაზული, კარებდაჭედილი. მივყვებოდით ამ უსიცოცხლო სახლებს შუა მიმავალ გზას, რომელიც შიშს მგვრიდა, თითქოს სასაფლაოზე ვიყავით და იმათზე ვფიქრობდი, ვინც საფლავის ქვებს ქვეშ წევს. ასე გავიარეთ ჩემი მშობლების სახლთან, რომელიც სხვებივით დაკეტილი და დახშული იყო. დაკაკუნებაც კი ვერ გავბედე, ჩქარა ჩავუარე და არაფერი ვუთხარი როზეტას; ბოლოს გამოვედით მოედანზე, რომელიც საფეხურებად ადიოდა ეკლესიისაკენ, პატარა სოფლის ეკლესიისკენ. მისი ძველისძველი გაშავებული ქვები არც ქანდაკებებით, არც სხვა რაიმე სამკაულებით არ იყო მორთული. მოედანი იყო ისეთივე, როგორიც მახსოვდა: მუქი და ღია ფერის ქვის ფართო საფეხურები, ოთხი თუ ხუთი უწესრიგოდ გაზრდილი ხე, როგორც ყოველთვის გაზაფხულზე, ხშირი, მოთეთრო ფოთლებით დაფარული. ცოტა განზე — ასეთივე ქვით ამოყვანილი ძველი ჭა, დაჟანგული ჯაჭვით. შევამჩნიე, რომ ორსვეტიანი ტალანის ქვეშ ეკლესიის კარი ღია იყო და როზეტას ვუთხარი:

— იცი, მე და შენ რა ვქნათ? საყდარი ღიაა, დავჯდეთ იქ ცოტა ხანს, დავისვენოთ, მერე კი ფეხით წავიდეთ ვალეკორსაში.

როზეტამ არაფერი მიპასუხა და უკან გამომყვა.

ჩვენ შევედით და მე მაშინვე შევამჩნიე, რომ საყდარი ვიღაცას გაეძარცვა, ყოველ შემთხვევაში, აქ უთუოდ ჯარისკაცებს ეცხოვრათ, რომლებსაც ის ბოსლად ექციათ. საყდარი გრძელი და ვიწრო იყო, კედლები კირით შეთეთრებული, ჭერზე დიდი შავი კოჭები იყო გადებული, სიღრმეში კი საკურთხეველი აღმართულიყო, რომლის თავზე ეკიდა მადონას და მაცხოვრის გამოსახულება. საკურთხეველი მთლად გაეცარიელებინათ, დაფარნაც კი წაეღოთ; მხოლოდ მადონას გამოსახულება დარჩენილიყო, მაგრამ ისიც მოღრეცილად ეკიდა, თითქოს მიწისძვრის შემდეგ; სკამები, რომლებიც წინათ საკურთხევლის წინ ორ მწკრივად იდგა, აღარ იყო, მხოლოდ ორი ცალიღა დარჩენილიყო და ისინიც საკურთხევლისკენ გვერდულად იდგა. ამ სკამებს შორის იატაკზე ბევრი ნაცარი და შავი მუგუზლები ეყარა, ეტყობოდა აქ ვიღაცას ცეცხლი დაენთო. დღის სინათლე საყდარში კარების თავზე გაჭრილი უზარმაზარი ფანჯრიდან შემოდიოდა, რომელშიც წინათ ფერადი შუშები იყო ჩასმული. ახლა ამ შუშების მხოლოდ ნამსხვრევებიღა დარჩენილიყო და საყდარში უხვად იფრქვეოდა სინათლე. მივუახ-

ლოვდი ერთ-ერთ სკამს, მიეაბრუნე იგი ისე, რომ საკუროხევლისკენ პირით დაემჯდარიყავი, დავდგი მასზე ყუთი და ვუთხარი როზეტას:

— აი რას ნიშნავს ომი: საყდარსაც კი თავს არ ანებებენ.

დავჯექი სკამზე. როზეტა ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

მართალია წმინდა ადგილას მოვედი, მაგრამ სრულებით არ მინდოდა ლოცვა. ვუყურებდი მადონას გამოსახულებას, გაჭვარტლულს და მოღრეცილად დაკიდებულს. მადონა ახლა ქვემოთ, სკამებისაკენ და მრევლისკენ კი არ იყურებოდა, არამედ ზევით და ცოტა ირიბად. ვიფიქრე, რომ სანამ ვილოცებდით, მადონას გამოსახულება უნდა გაგვესწორებინა. მაგრამ, ალბათ, მაშინაც ვერ ვილოცებდი: გაქვავებულივით ვიჯექი. მე კი მეგონა, დავბრუნდებოდი მშობლიურ სოფელში, ვნახავდი ადამიანებს, რომლებიც პატარაობისას მიცნობდნენ. შეიძლება ჩემი მშობლებიც კი მეპოვა, მაგრამ ყოველივე ამის მაგივრად მხოლოდ ცარიელი ნაჭუჭი დამხვდა: — ყველა წასულიყო აქედან, შეიძლება მადონაც წავიდა, გაჯავრებული, რომ მისი გამოსახულება მოღრეცილად ეკიდა. ჩემს გვერდით მჯდომ როზეტას შევხედე. მას ხელები დაეკრიფა, თავი დაეხარა და ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა. ის ლოცულობდა. მე ჩურჩულითვე ვუთხარი:

— ილოცე, კარგია, რომ ლოცულობ... ჩემს მაგივრადაც ილოცე... მე არ შემიძლია.

ამ დროს უეცრად გარედან ფეხის ხმა და ლაპარაკი მომესმა. მოვტრიალდი და ტაძრის კარებში რაღაც თეთრს მოვკარი თვალი, რაც მაშინვე გაჰქრა. მომეჩვენა, რომ ეს ერთი იმ უცნაური ჯარისკაცთაგანი იყო, რომლებიც გზაზე მანქანაში მჯდომნი ვნახეთ. რატომღაც შიშის ერუანტელმა დამიარა, წამოვდექი და როზეტას ვუთხარი:

— წავიდეთ აქედან... უმჯობესი იქნება წავიდეთ.

როზეტა მაშინვე წამოდგა პირჯვრის წერით, ყუთი თავზე დაეადგმევინე, მეორე მე დავიდგი და გასასვლელისაკენ გავემართეთ.

მინდოდა გამეღო კარი; ის რატომღაც დაკეტილი აღმოჩნდა. მაგრამ იქვე ერთ-ერთ ჯარისკაცს შევეჩეხე, რომელიც თურქს გავდა. წითელი ყაბალახით შებურვილს, მუქ ნაყვავილარ სახეზე შავი თვალები უელავდა. თვითონ თეთრ ზეწარში იყო გახვეული, მხრებზე შავი მოსასხამი ჰქონდა წამოსხმული. მან მკერდში ხელი მკრა და უკანვე საყდარში შემაგდო, თან რაღაცას გაუგებრად ბურტყუნებ-

და; მის უკან სხვებიც დავინახე. არ ვიცი რამდენი იყვნენ, რადგან პირველმა ხელი მტაცა და საყდარში შემათრია, დანარჩენები, რომლებსაც თეთრი ზეწრები და წითელი ყაბალახები ებურათ, უკან მოგვყვებოდნენ. მე დავიყვირე:

— თავი დამანებე! რას შვრებით? ჩვენ ხომ ლტოლვილები ვართ!

ამასობაში ყუთი ჩამომიცურდა თავიდან და იატაკზე დაეცა. გავიგონე იქით-აქეთ გაგორებული კონსერვების ბრახუნი. იმ შავმა ქაჯმა წელზე ხელი მომხვია და ჩემს წაქცევას ცდილობდა, მთელი სიმძიმით მაწვებოდა. მე ვებრძოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, მისი სახე სულ ახლო იყო ჩემს სახესთან. ამ დროს გავიგონე როზეტას გულშემზარავი კივილი; უკანასკნელი ძალა მოვიკრიფე და გავიბრძოლე, რათა თავი გამეთავისუფლებინა და მივშველებოდი, მაგრამ იმ ქაჯს ძალიან მაგრად ვეჭირე; ვიბრძოდი, ხელს ნიკაპზე ვკრავდი, მის სახეს ვიშორებდი, ის კი მარჯვენა კუთხისკენ მიმათრევდა, სადაც ფანჯრიდან შემოსული სინათლე ვერ აღწევდა. მაშინ მეც დავიყვირე კიდევ უფრო გულშემზარავად, ვიდრე როზეტამ და ამ ყვირილში ჩავაქსოვე მთელი ჩემი სასოწარკვეთილება, არა მარტო იმის გამო, რაც ახლა ჩემს თავს იყო, არამედ მთელი სასოწარკვეთილება, რომელიც რომიდან წამოსვლის დღიდან დამიგროვდა გულში. იგი თმებში მწვდა და საშინელი ძალით დამწია უკან, თითქოს უნდოდა ჩემთვის თავი მოეგლიჯა, თვითონ კი მთელი სხეულით მაწვებოდა, სანამ ბოლოს ორივენი მიწაზე არ დავგორდით. მაშინ ის მთელი სიმძიმით დამაწვა, მე ხელებითა და ფეხებით ვებრძოდი, მას კი თმებით ვეჭირე ისე, რომ თავის განძრევა არ შემეძლო, მეორე ხელით კი კაბას მიწევდა, მერე ეს ხელი ლაჯებში შემიყო; მე ისევ დავიყვირე, მაგრამ ახლა უკვე ტკივილისაგან, რადგან მან მუცლის ქვემოთ თმებში წამავლო ხელი და მთელი ძალით ეწეოდა. ვგრძნობდი, რომ ძალღონე მელეოდა, სუნთქვა შემეკრა, ის კი მეწეოდა თმებში და საშინელ ტკივილს მაყენებდა; უცებ გამახსენდა, რომ მამაკაცებს აქვთ ერთი ძალიან მგრძნობიარე ადგილი. ხელი გავწიე მუცლისკენ, ჩემი ხელი მის ხელს შეხვდა და მან, ალბათ, იფიქრა, რომ მინდა დავეხმარო ჩემთან სიამოვნების მიღებაში, რადგან მაშინვე გაუშვა ხელი თმებს თავზეც და ქვევითაც და გამიღიმა კიდეც საშინელი ღიმილით, დაკრიჭა თავისი შავი, დამპალი კბილები. მე კი ამასობაში ხელი უფრო

ქვევით ჩავწიე და მის საოხრეს მთელი ძალით მოვუჭირე. მან დაიღრიალა, კვლავ თმებში მწვდა და ისეთი ძალით დამარტყმევინა თავი იატაკზე, რომ ტკივილიც არ მიგრძენია, რადგან მაშინვე გრძნობა დავკარგე.

არ ვიცი რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ როცა გონს მოვედი, დავინახე, რომ საყდრის ბნელ კუთხეში ვწევარ, ჯარისკაცები წასულან და სიჩუმეა. თავი მტკიოდა, მაგრამ მხოლოდ უკან, კეფასთან. მეტი არაფერი მტკიოდა და მივხვდი, რომ იმ ჯოჯომ ვერ მიაღწია თავის საწადელს იმიტომ, რომ ყველაზე მგრძნობიარე ადგილზე ვტაცე ხელი, მან თავი დამარტყმევინა იატაკზე და მე გრძნობა დავკარგე, გრძნობადაკარგულ ქალთან კი ძნელია რამეს გახდე. მაგრამ იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომ მან თავი დამანება. ამას უფრო გვიან მივხვდი: მას სხვა ჯარისკაცებმა დაუძახეს, რომ როზეტას დაჭერაში მოსმარებოდა, მან თავი დამანება და მათთან მივიდა, რათა მერე სხვებთან ერთად გაეუპატიურებინა ჩემი ქალიშვილი. საუბედუროდ, როზეტას გრძნობა არ დაუკარგავს, ხედავდა და გრძნობდა ყველაფერს, რასაც უშვრებოდნენ.

იმდენად დასუსტებული ვიყავი, რომ წამოდგომაც არ შემეძლო. შევეცადე წამოვმჯდარიყავი, მაგრამ მძაფრმა ტკივილმა დამბარა კეფაში. მაინც დავატანე თავს ძალა, ფეხზე ავდექი და მივიხედ-მოვიხედე. პირველად ვერაფერი დავინახე იატაკისა და მასზე გაბნეული კონსერვების მეტი, რომლებიც ყუთიდან გადმოცვივდნენ, როცა ჯარისკაცები თავს დაგვესხნენ. მერე ავიხედე და დავინახე როზეტა. ის საკურთხეველთან ეგდო, სადაც ჯარისკაცებმა მიათრიეს, ან შეიძლება თვითონ უნდოდა იქ დამალვა. იგი გულაღმა იწვა, წამოხდილი კაბა სახეს უმალავდა, სხეული წელსქვევით შიშველი ჰქონდა. იგი ეგრევე იწვა გაფარჩხული ფეხებით, როგორც მოძალადეებმა დატოვეს. მუცელი მარმარილოსი გეგონებოდათ, მუცლის ქვემოთ კი ქერა ხუჭუჭი თმა ბეკეკას თავს მიუგავდა. ლაჯებში და თმებზე სისხლი ჰქონდა. სისხლის დანახვაზე ვიფიქრე, რომ როზეტა მკვდარია, თუმცა ვიცოდი, რომ ეს მისი დაღუპული ქალწულობის სისხლი იყო. მივუახლოვდი და ჩურჩულით დავუძახე:

— როზეტა!

იმედი არ მქონდა, რომ მიპასუხებდა. მან მართლაც არ მიპასუხა, არც კი განძრეულა და სულმთლად გადავწყვიტე, რომ მკვდარია, და-

ვიხარე და კაბა გადავხადე. როზეტა ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებდა, არ ინძრეოდა და არც ხმას იღებდა, არასოდეს არ მენახა ასეთი გამომეტყველება მის თვალებში; ეს იყო ხაფანგში მომწყვდეული ნადირის თვალები, რომელიც ელოდება, რომ მონადირე აი ახლა მოკლავს.

მე მის გვერდით საკურთხეველთან ჩავჯექი, მოვეხვიე, წამოვაყენე და გულში ჩავიკარი. მხოლოდ ამის თქმაღა მოვახერხე:

— ჩემო სიცოცხლევ...

თვალებიდან ღაპაღუპით წამომცვივდა ცრემლები. მე ვტიროდი, ცრემლები კი პირში ჩამდიოდა და ისეთი მწარე იყო, თითქოს ჩემი ცხოვრების მთელი სიმწარე მათში დაგროვილიყო. მე ვტიროდი, თან ნელ-ნელა წესრიგში მომყავდა როზეტა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე, მოვწმინდე ჯერ კიდევ შეუმშრალი სისხლი ფეხებზე და მუცელზე, დავფარე მისი სიშიშვლე საცვლებით და კაბით, გავუსწორე ამ ბარბაროსების მიერ დაგლეჯილი ლიფი და საკინძე შევუკარი. მერე ავიღე სავარცხელი, რომელიც ინგლისელებმა მოგვცეს, და სულ დალალ-დალალ დავუვარცხნე აწეწილი თმა. როზეტა გაუნძრევლად იწვა, ხმას არ იღებდა, მაგრამ არც მეწინააღმდეგებოდა. მე აღარ ვტიროდი და იმის გამო, რომ აღარ შემეძლო არც ტირილი, არც ყვირილი, აღარც მოთქმა, გული უფრო მეტად დამიმძიმდა, სასოწარკვეთილებაში ვიყავი. როზეტას ვუთხარი:

— შეგიძლია ადგე და გახვიდე აქედან?

მან ძლივს გასაგონი ხმით მიპასუხა:

— ჰო.

იატაკიდან წამოვაყენე, ის ბარბაცებდა და მკვდრისფერი ედო. მე მხარში ამოვუდექი და გასასვლელისკენ წავედით, მაგრამ შუა საყდარში, სკამებთან შევჩერდი:

— ეს კონსერვები მაინც უნდა ავკრიფოთ და ყუთებში ჩავაწყოთ. აქ ხომ არ დავტოვებთ, შესძლებ?

მან ისევ მიპასუხა:

— ჰო.

— მაშინ გაბნეული კონსერვები ყუთებში ჩავაწყვე, ერთი ყუთი როზეტას დავადგი თავზე, მეორე მე წამოვიღე და გამოვედით საყდრიდან.

კეფა ისე ძალიან მტკიოდა, რომ საყდრიდან გამოსვლისას კინაღამ

ისევ შემიწუხდა გული, მაგრამ გავიფიქრე რა ტანჯვა ჰქონდა გადატანილი როზეტას და თავს ძალა დავატანე. ფრთხილად ჩამოვედით მოედნის განიერ და სრიალა კიბეებზე. მზე მაღლა იდგა და კაშკაშა სინათლეს ჰფენდა ქვაფენილის გაშავებულ ქვებს. მაროკოელები არ ჩანდნენ. ჩაიდინეს თავიანთი შავი საქმე და, მადლობა ღმერთს, წავიდნენ თუ გაემგზავრნენ სადღაც, შეიძლება იმისათვის, რომ ჩოჩარეთის სხვა სოფლებშიც იგივე ჩაედინათ.

ჩვენ გავიარეთ მთელი სოფელი ორ რიგად ჩამწკრივებულ, ჩარაზულ, მდუმარე სახლებს შორის და გამოვედით მზიან და სუფთა შარაგზაზე. მივდიოდით, გაზაფხულის ნიავი კი გველამუნებოდა და ყურში ჩამჩურჩულებდა, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდნილიყავი, რადგან ცხოვრება ძველებურად გრძელდებოდა და გაგრძელდებოდა წინანდებურად, როგორც მუდამ. ჩუმად გავიარეთ დაახლოებით ერთი კილომეტრი. ძალიან ნელა მივდიოდით, მაგრამ კეფა სულ უფრო და უფრო მტკიოდა. ვგრძნობდი, რომ როზეტაც ვერ გასძლებდა დიდხანს.

— მოდი, პირველსავე ფერმაში, რომელიც შეგვხვდება, გავჩერდეთ და იქ დილამდე დავრჩეთ, ცოტა დავისვენოთ.

როზეტამ არაფერი მიპასუხა. ის იმ წუთიდან დუმდა, რაც მაროკოელებმა გააუპატიურეს. მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს დუმილი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა. გავიარეთ კიდევ ასიოდე ნაბიჯი და უეცრად დავინახე ჩვენკენ მომავალი პატარა მანქანა, ისეთივე, როგორითაც ჩვენ აქ მოვედით. მანქანაში ორი ოფიცერი იჯდა. მათი ქუდების დანახვაზე მივხვდი, რომ ფრანგები იყვნენ. თითქოს ვიღაცამ ხელი მკრაო, გადმოვედი შუა გზაზე და თავისუფალი ხელი ავწიე. მანქანა გაჩერდა. მე მივედი და გაცოფებულმა შევყვირე:

— იცით, რა ჩაიდინეს მაგ თურქებმა, რომლებსაც თქვენ მეთაურობთ? იცით რა გაბედეს წმინდა ადგილას, მადონას თვალწინ? მითხარით, იცით რა ქნეს?

მათ მგონი ვერაფერი ვერ გაიგეს და გაკვირვებულებმა შემოძხედეს. ერთ-ერთი მათგანი მავგვრემანი იყო, შავი ულვაშებითა და წითელი სახით, ლოყები სიმსუქნისაგან ასკდებოდა; მეორე ფერმკრთალი, გამხდარი და ქერა, ცისფერი ბეცი თვალებით.

მე ისევ დავიყვირე:

— მათ გააფუჭეს ჩემი ქალიშვილი, აი ეს, ჩემი ქალიშვილი, დიახ,

მათ იგი სამუდამოდ დაღუპეს... ის ანგელოზი იყო და სჯობდა მოეკლათ,-ვიდრე ასეთი რამ ექნათ მისთვის. თქვენ იცით, რა უყვეს?

შავგვრემანმა ხელი ასწია, თითქოს ჩემი გაჩერება უნდოდა და ფრანგული კილოთი იტალიურად მითხრა:

— მშვიდობა, მშვიდობა.

მე დავიყვირე:

— ჰო, მშვიდობა, კარგი მშვიდობა კი მოგვიტანეთ, თქვე მამაძაღლებო!

ქერამ რაღაც უთხრა შავგვრემანს, ალბათ გიჟი ვეგონე, რადგან თითი მიიდო საფეთქელზე და გამიღიმა. მაშინ სულ დავკარგე გონება და უფრო ხმამაღლა დავიღრიალე:

— არა, მე გიჟი არა ვარ, შეხედეთ!

დავაგდე მიწაზე ყუთი და მივირბინე როზეტასთან, რომელიც ცოტა განზე იდგა გაუნძრევლად, ყუთით თავზე. როზეტა არც კი შენძრეულა, არც კი შემოუხედავს, მე კი ვტაცე ხელი კაბაში, ავუწიე, გავუშიშვლე თეთრი, ლამაზი, სწორი ერთმანეთზე მიკრული ფეხები. მახსოვდა, რომ სისხლი მოვწმინდე, იქნებ სულ ცოტა დარჩა, ახლა კი უცებ დავინახე, რომ სისხლი ისევ მოწანწკარებდა და ერთ ფეხზე მუხლამდე ჩამოსვლოდა. სისხლი ისეთი წითელი და ცოცხალი იყო, და მზეზე ბრწყინავდა.

— აი, ნახეთ, გიჟი ვარ თუ არა, — შევძახე მე შეშინებულმა და გაკვირვებულმა ამ სისხლის დანახვით. იმავე წამს გავიგონე, რომ მანქანამ სწრაფად ჩაგვიქროლა. როცა წელში გავიმართე, იგი უკვე მოსახვევში გაჰქრა.

როზეტა გაუნძრევლად, ქანდაკებასავით იდგა ერთმანეთს მიკრული ფეხებით, ერთი ხელით კი ყუთს თავზე იმაგრებდა. უცებ გავფიქრე. რომ შიშისაგან შეიშალა. მაშინ კაბა გავუსწორე და ვკითხე:

— შვილიკო, რატომ არაფერს მეუბნები? რა მოგივიდა? უთხარი რამე შენს დედას.

მან კი მშვიდი ხმით მიპასუხა:

— არაფერია, დედა, ეს ასეც უნდა იყოს. სისხლი მალე შეწყდება.

შვებით ამოვისუნთქე, რადგან მართლაც მეგონა, რომ ყოველივე ამისგან იგი შეიშლებოდა. კვლავ ვკითხე:

— შეგიძლია ცოტა კიდევ გამოიარო?

ძან მიპასუხა:

— ჰო, დედა.

დავიდგი ყუთი თავზე და კვლავ გზას გავუდექით.

გავიარეთ კიდევ დაახლოებით კილომეტრი. კეფა ისე ძალიან მტკიოდა, რომ დროდადრო გული ძიწუხდა, თვალთ მიბნელდებოდა, ძეგონა, თითქოს მზე აღარ ანათებდა. ბოლოს მოსახვევში ტყით დაფარული გორაკი დავინახეთ. მის წვერზე ქოხი შევნიშნეთ, სწორედ ისეთი, როგორშიც სანტ ეუფემიაში საქონელს ამწყვდევდნენ. როზეტას ვუთხარი:

— მე მეტი აღარ შემიძლია და შენც, ალბათ, ძალიან დაიღალე, მივიდეთ იმ ქოხთან; თუ იქ ხალხი ცხოვრობს, ეგება გაგვათევინონ ღამე, ხოლო თუ არავინ არის, კიდევ უკეთესი. დავრჩეთ იქ დღეს და ხვალ; როგორც კი ცოტა მოვიკეთებთ, განვაგრძოთ გზა.

როზეტამ არაფერი მიპასუხა. ეს ახლა მას ჩვეულებად გადაექცა, მაგრამ მე აღარ ვღელავდი იმიტომ, რომ ვიცოდი .ის კი არ გაგიჟებულა, არამედ გაოგნებულია. ეს გასაგებიც იყო იმის შემდეგ, რაც მას დაემართა. ეგრძნობდი, რომ როზეტა ისეთი აღარ იყო, როგორც წინათ. იგი მარტო ფიზიკურად კი არ გაძოცვლილა, საერთოდ სულ სხვანაირი გახდა. და თუმცა მისი დედა ვიყავი, არ მქონდა უფლება მეკითხა რაზე ფიქრობდა და ჩემი სიყვარული მისდამი მხოლოდ დუმილით შემეძლო გამომეხატა.

ჩვენ ბილიკზე გადავედით, რომელიც ბუჩქნარში ქოხისკენ მ. დიოდა. ნელ-ნელა ავდიოდით ზევით და ბოლოს ქოხამდე მივაღწიეთ. როგორც ვფიქრობდი, ეს მწყემსების სადგომი იყო. მას ქვის კედლები, თითქმის მიწაზე დაშვებული ჩალის სახურავი და ხის კარი ჰქოხდა. დავდგით ყუთები მიწაზე და შევეცადეთ კარის გაღებას, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ. კარი სქელი ფიცრებისაგან იყო გაკეთებული და დიდი ბოქლომი ედო, მამაკაციც კი ვერაფერს გახდებოდა. როცა კარი შევანჯღრიეთ, შიგნიდან ძლივს გასაგონი ბღავილი მოგვესმა. მერე ისევ და ისევ. გავდა, თითქოს თხები კიკინებდნენ, მაგრამ ხმამაღლა და გაჯავრებით კი არა, როგორც ჩვეულებრივ სიბნელეში მყოფმა თხებმა იციან, როცა გარეთ გასვლას ითხოვენ, არამედ სუსტად და საცოდავად. როზეტას ვუთხარი:

— ამ ქოხის პატრონებმა, ეტყობა, ჩაკეტეს თხები, თვითონ კი გაიქცნენ. როგორმე უნდა გამოვუშვათ ისინი.

შემოვუარე ქოხს მეორე მხრიდან და სახურავიდან ჩალის ჩამოგ-

ლეჯა დავიწყე. ეს ძალიან ძნელი იყო, რადგან ჩალა წვიმებისგან და სიძველისგან შეითელა, გარდა ამისა, ყოველი ძნა წნელით იყო შეკრული. როგორც იქნა, ნაწილ-ნაწილ მოვაცილე სახურავს თივა, წნელები გავხსენი, მოვახერხე რამდენიმე ძნის გადმოღება და ზედ კედელთან საკმაოდ დიდი ხვრელი გავაკეთე. ვერც კი მოვასწარი ამ ხვრელის გაკეთება, რომ შიგ თხის შავ-თეთრი თავი გამოჩნდა. თხა წინა ფეხებით კედელს დაეყრდნო, მიყურებდა თავისი თაფლისფერი თვალებით და საცოდავად კიკინებდა, მე დავუძახე:

— შოდი, მოდი აქ, ლამაზო.

მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ გადმოსახტომად ძალა არ ეყოფოდათ იმიტომ, რომ ისინი დიდი ხნის ხაშიმშილარი იყვნენ და ჩემს დაუხმარებლად ვერ ამოვიდოდნენ. უფრო გავაფართოვე ხვრელი, თხა კი იდგა, ფეხებით კედელს ეყრდნობოდა, მიყურებდა და ჩუმად ბღაოდა; მოვკიდე ხელი თავსა და კისერში და ამოვწიე, მან კი მოიკრიბა ძალა და კედლიდან თვითონ გადმოხტა. პირველს მეორე მოჰყვა, ისინი ამოვათრიე ხვრელში, მერე მესამე და მეოთხე. ხვრელში თხის თავი აღარ ჩანდა, მაგრამ შიგნიდან კვლავ ბღავილი ისმოდა. მე კიდევ გავაფართოვე ხვრელი და ქოხში შევძვერი. სწორედ ხვრელის ქვეშ ორი ციკანი იდგა, ისინი ისეთი პატარები იყვნენ, რომ თვითონ ვერ ამოხტებოდნენ ხვრელიდან. კუთხეში რაღაც თეთრი შევამჩნიე, მივუახლოვდი და დავინახე თეთრი თხა, რომელიც გაუნძრევლად იწვა. თხის გვერდით ჩაჩოქილიყო ციკანი და ძუძუს წოვდა. ჯერ მეგონა, რომ თხა გაუნძრევლად იმიტომ იწვა, რომ ციკანს აწოვებდა, მაგრამ როცა ახლოს მივედი, დავინახე, რომ მკვდარი იყო. პირი ნახევრად ღია ჰქონდა, ტუჩების კუთხეებში და თვალებზე ბუზები დაცოცავდნენ. თხა შიმშილისაგან მომკვდარიყო, ციკნები კი ცოცხლები იყვნენ, იმიტომ, რომ თხის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე წოვდნენ ძუძუს. ავიყვანე ციკნები და სათითაოდ გავსვი ქოხიდან. ორი თხა, რომლებიც პირველად გავათავისუფლე, უკვე ხარბად და განურჩევლად კორტნიდნენ ფოთლებს გარშემო ბუჩქებიდან, მათ შეუერთდნენ ციკნები და ჩქარა ყველანი ბუჩქებში მიიმალნენ. მათი ბღავილი სულ უფრო მკაფიო და ხმამაღალი ხდებოდა, თითქოს საჰმელი ხმას უბრუნებდა და მატყობინებდნენ ახლა უკეთა ვართო და მადლობას მიხდიდნენ, რომ შიმშილით სიკვდილს გადავარჩინე.

დიდი გაჭირვებით ამოვათრიე მკვდარი თხა ქოხიდან და რაც შე-

იძლება შორს წავიღე. რომ სიმყრალეს არ შევეწუხებინეთ. მერე შევაგროვე სახურავიდან გამოძრობილი ჩალა და ქოხის კუთხეში, ჩრდილში დავფინე: ეს ჩვენი საწოლი იყო. მოვრჩი ამას და ვუთხარი როზეტას:

— ჩალაზე მივწვები და ცოტას დაკიძინებ. ეგებ შენც დაწვე?

მან მიპასუხა:

— მე მირჩევნია მზეზე დავჯდე.

არაფერი ვუთხარი და ჩალაზე დავწექი. ვიწექი ჩრდილში, მაგრამ სახურავის ნახვრეტში ლურჯ ცას ვხედავდი. მზის სხივი შემოდიოდა ქოხში, ეცემოდა იატაკს, რომელიც თხის კურკლით იყო მოფენილი და დაფნის ხის ნაყოფსა ჰგავდა. ქოხში ბოსლის საამო სუნი იდგა. მე საშინლად დაქანცული ვიყავი და გუნებაში ვფიქრობდი, რომ დაღლილობა ხელს მიშლის ნამდვილად ვიგლოვო როზეტას უბედურება. მე ეს პირდაპირ შეუძლებელი და უაზრო მეჩვენებოდა: თვალწინ მედგა მისი ლამაზი, თეთრი, ერთმანეთს მიკრული, კუხთებდაჭიმული ფეხები, როცა ის გაქვავებული იდგა გზაზე, მის ფეხებზე კი სისხლი მოწანწკარებდა — ცალ ფეხზე მუხლამდე ჩამოსვლოდა. და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო ნაკლებად მესმოდა, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს. ბოლოს და ბოლოს ჩამეძინა.

ნახევარი საათიც არ მძინებია, რომ უეცრად თითქოს ვიღაცამ ხელი მკრაო, გამომეღვიძა; როზეტას დავუძახე, არავინ მიპასუხა, გარშემო სიჩუმე იდგა, თხების კიკინიც კი არ ისმოდა, ალბათ ისინი უკვე შორს იყვნენ. მე კიდევ დავუძახე, ისევ სიჩუმე, მაშინ ძღელვარებამ შეძიპყრო და ქოხიდან გამოვძვერი, მაგრამ მხოლოდ კოხსერვიანი ყუთები დავინახე. როზეტა არსად ჩანდა.

თავზარი დამეცა, ვიფიქრე, რომ როზეტამ სირცხვილისა და სასოწარკვეთილებისაგან გადაწყვიტა წასულიყო ჩემგან, შეიძლება გზაზეც კი გავიდა, რომ მიმავალი მანქანის ქვეშ ჩავარდნილიყო. სუნთქვა შემეკრა, გული ისე მიცემდა, თითქოს ამოვარდნას ლამობდა. ქოხთან ვიდექი, აქეთ-იქით ვიხედებოდი და როზეტას ვეძახდი. პასუხს არავინ მაძლევდა, თუმცა მაინცდამაინც ხმამაღლაც არ ვყვიროდი: ძღელვარებისგან ხმა ჩამიწყდა. მაშინ ლასლასით წავედი, ვინ იცის სად და ბუჩქებში შევიქერი.

მივდიოდი მტვრიანი ბილიკით, რომელიც ხან ფართოვდებოდა, ხან კი ძლივს ჩანდა მაღალ ბუჩქნარში. ბილიკმა კლდესთან მიმიყვანა,

რომელიც ციცაბოდ ეშვებოდა გზისაკენ. იქ ხე იდგა, თვითონ კლდე კი სკამს ჰგავდა, აქედან კარგად მოჩანდა გზის ნაწილი, რომელიც ვიწრო ველის გასწვრივ მიიკლაკნებოდა; გზის გადაღმა კი ნაკადი ჩამოდიოდა, რომელიც ორ, თუ სამ ტოტად იყოფოდა და თეთრ ქვებსა და ბალახებს შორის ძიედინებოდა. კლდეზე ჩამოვჯექი, ქვევით ჩავიხედე და როზეტა დავინახე; ახლა მივხვდი, რატომ არ მიპასუხა. იგი შორს იყო, წყლის შუა წელში, წინ ნელა და ფრთხილად მიიწევდა, ქვიდახ ქვაზე ხტებოდა, რომ ფეხები არ დაესველებინა. დავინახე თუ არა, როგორ ამოჰყვებოდა კალაპოტს, მაშინვე მივხვდი, რომ აქ სასოწარკვეთილებას და სულიერ განცდებს არ მოეყვანა იგი. ის შეჩერდა იქ, სადაც წყალი საკმაოდ ღრმა იყო, ჩაიჩოქა, დაიხარა წყლისაკენ, რომ წყალი დაელია. როზეტამ წყურვილი მოიკლა, ყურადღებით მიიხედ-მოიხედა, მერე აიწია კაბა მუცლამდე და ფეხები გამოაჩინა. მე ძალიან შორს ვიყავი მისგან, მარგამ თითქოს აქედანაც დავინახე მის ფეხებზე შემხმარი სისხლი, რომლის ნაკადული მუხლამდე ჩამოსდიოდა. ის ჩაცუცქდა, ფეხები გაშალა და მე დავინახე, როგორ იღებდა პეშვით წყალს და მუცლის ქვემოთ მიჰქონდა. თავი გვერდზე გადაეხარა, აუჩქარებლად და მშვიდად იბანდა და, როგორც მომეჩვენა, სრულებითაც არ ედარდებოდა, რომ მზე სასირცხო ადგილს უნათებდა. გამოდის, რომ შიშით გამოწვეული მთელი ჩემი ფიქრები ტყუილი იყო, როზეტა მხოლოდ დასაბანად წასულიყო მდინარეზე. გამოგიტყდებით, ამ აღმოჩენამ გული მატკინა. მე, რასაკვირველია, არ მინდოდა, რომ მას თავი მოეკლა, ამაზე ფიქრიც კი გულს მიხეთქავდა, მაგრამ როცა როზეტას მდინარის პირას ამ საქმეზე მივასწარი, მომავლის შიშმა შემიპყრო. მომეჩვენა, რომ როზეტა უკვე დაემორჩილა თავის ახალ ბედს, რომელიც მისთვის საყდარში დაიწყო, სადაც ბარბაროსებმა ქალწულობა წაართვეს, და მისი დაჟინებული დუმილი ბედის მორჩილებას უფრო გავდა, ვიდრე სასოწარკვეთილებას. მერე, როცა ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილება, საუბედუროდ, გამართლდა, მივხვდი, რომ ამ ტანჯვით აღსავსე რამდენიმე წუთში, ჩემი საცოდავი როზეტა, მარტო ფიზიკურად კი არა, სულიერადაც გამოიცვალა, ის უგულო, გამოცდილი, სიმწრის მნახველი ქალი გახდა, რომელმაც ერთბაშად გაიგო ცხოვრების მთელი სიდუხჭირე.

დიდხანს ვუყურებდი კლდიდან, როგორ იმშრალებდა იგი ტანს, რასაც უსირცხვილოდ, თითქმის ცხოველივით აკეთებდა. მერე ის

კვლავ მდინარის კალაპოტს გამოჰყვა, გამოვიდა გზაზე და გადმოსჭრა იგი. მაშინ მეც წამოვდექი და დავბრუნდი ქოხში: არ მინდოდა მიმ-ხვდარიყო, რომ ვუთვალთვალებდი. რამდენიმე წუთში როზეტაც მო-ვიდა. მისი სახე დაწყნარებული და მშვიდი კი არ იყო, არამედ უბ-რალოდ არაფერს არ გამოხატავდა; მე სულ არა მშიოდა, მაგრამ თავი მშვიერად მოვაჩვენე და ვუთხარი:

— მე რაღაც მომშივდა, მოდი ვჭამოთ!

მან მიპასუხა გულგრილად:

— როგორც გინდა.

დავსხედით ქოხთან ქვებზე, გავხსენი ორი ქილა კონსერვი და ისევ განვცვიფრდი, როცა დავინახე რა ხარბად ეცა როზეტა საჭმელს. მე, რასაკვირველია, არ მინდოდა, რომ მას საჭმელზე უარი ეთქვა, მაგრამ, უბრალოდ, მისმა სიხარბემ გამაკვირვა. მეგონა, რომ იმის შემდეგ, რაც მას დაემართა, ყოველგვარი მადა დაეკარგებოდა. არ ვიცოდი, რა მეთ-ქვა: ვუყურებდი, როგორ იღებდა თითებით ხორცს ქილიდან, იტენიდა პირში და ჩქარ-ჩქარა, რაღაც გაშმაგებით, თვალდაჭყეტილი ღეჭავდა.

ბოლოს ვუთხარი:

— შვილო, გენაცვალოს დედა, შენ არ უნდა იფიქრო იმაზე, რაც საყდარში დაგემართა, არასოდეს არ უნდა იფიქრო და ნახავ...

მაგრამ მან სიტყვა მომიჭრა:

— თუ არ გინდა ამაზე ვიფიქრო, იქიდან დავიწყოთ, რომ ამაზე არ მელაპარაკები.

მე გამაოცა არა იმდენად მისმა სიტყვებმა, რამდენადაც როზეტასა-თვის უჩვეულო ხმის კილომ: ბრაზიანმა და უგულოდ მშრალმა.

აქ ოთხი დღე-ღამე გავატარეთ. დღეები ძალიან ერთფეროვნად გა-დიოდა. ღამით ქოხში ვძვრებოდით, ვიძინებდით, გათენებისას ვდგე-ბოდით, ვჭამდით ინგლისელი მაიორის მოცემულ კონსერვებს და ზედ მდინარის წყალს ვაყოლებდით. ამ დროის განმავლობაში ჩვენ თითქმის არ ვლაპარაკობდით. მხოლოდ მაშინ მივმართავდით ერთმანეთს, როცა ეს აუცილებელი იყო. დღისით უმიზნოდ დავეხეტებოდით ტყე-ში; ხანდახან დღისით, პირდაპირ მიწაზე, რომელიმე ხის ქვეშ გვეძინა. თხები მთელ დღეს ძოვდნენ, საღამოს კი ქოხში ბრუნდებოდნენ და ჩვენ ვეხმარებოდით შემომძვრალიყვნენ ხვრელში, მერე კი ჩვენთან ერთად ეძინათ. ციკნებიც ჩვენთან იყვნენ, დაავიწყდათ დედა და ხან ერთი და ხან მეორე თხის ძუძუს წოვდნენ. როზეტა კვლავ ყველაფ-

რისადმი გულგრილი და შორებელი იყო. მე არც ერთხელ არ მილაპარაკია მასთან იმაზე, რაც საყდარში მოხდა და მერეც არასოდეს არ მითქვამს ამის შესახებ. ეს ტკივილი ეკალივით ჩაძრჩა გულში და არასოდეს აღარ გამივლის, რადგან ჩემი მწუხარება უსაზღვროა. ახლა, როცა ეს ოთხი დღე მაგონდება, ვფიქრობ, რომ როზეტას ხასიათი სწორედ ამ მოკლე დროში შეიცვალა, იქნებ იმიტომ, რომ იგი სულ ამაზე ფიქრობდა და შეეჩვია თავის ახალ მდგომარეობას, ან იქნებ მისი ხასიათი ნელ-ნელა, თავისთავად, მისთვის თითქმის შეუმჩნევლად, გამოიცვალა. ფაქტი ის არის, რომ ამ დღეებში სრულიად სხვანაირი გახდა. პირველად, ჩემი შვილის ხასიათის ასეთმა ცვლილებამ, როგორც თეთრის შავად ქცევამ, განმაცვიფრა, მაგრამ როცა დავფიქრდი და მხედველობაში მივიღე როზეტას ხასიათი, მომეჩვენა, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. უკვე ვთქვი, რომ როზეტა ბუნებით გასაოცრად უნაკლო იყო, რომ ყოველთვის მთელი გრძნობით, დაუფიქრებლად და უყოყმანოდ ეძლეოდა რაიმე ერთს, ისე რომ ხანდახან კიდეც ვფიქრობდი, ჩემი შვილი წმინდანია-მეთქი და ამ წმიდა უმანკოებას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, უმთავრესად გაძოუცდელობასა და ცხოვრების არცოდნას ემყარებოდა, საყდარში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს; და როზეტა ერთბაშად, ყოველგვარი სიფრთხილისა და ზომიერების გარეშე, რაც ყველა ნორმალური, გამოცდილი და ნაკლოვანი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი, მეორე უკიდურესობაში გადავარდა. აქამდე როზეტა მორწმუნე, კეთილი, სუფთა და თვინიერი ქალიშვილი იყო, ახლა კი, ალბათ, მეორე უკიდურესობაში გადავარდებოდა, და ამას ასევე დაუფიქრებლად და უყოყმანოდ იზამდა იმავე გაძოუცდელობისა და ცხოვრების არცოდნის გამო. ხშირად ვფიქრობდი ამ სამწუხარო ამბებზე და ვასკვნიდი, რომ ეგრეთწოდებული სიწმინდე ბუნების საჩუქარივით დაბადებიდან კი არ დაგვყვება, არამედ მას ცხოვრების ჭირ-ვარამის გამოვლით ვიძენთ; მაგრამ ის, ვისაც ეს სიწმინდე დაბადებიდან დაჰყოლია და ვინც ადრე თუ გვიან დაჰკარგა, მით უფრო იტანჯება, რაც უფრო დარწმუნებული იყო, მთელი სიცოცხლე ასე დავრჩებიო. უძჯობესია, ნაკლოვანი დაიბადო და თანდათან გახდე უნაკლო, ან ყოველ შემთხვევაში უკეთესი, ვიდრე დაიბადო უნაკლო, მერე კი დაჰკარგო ეს მოჩვეხებითი სიწმინდე და ამით ხარკი გადაუხადო ცხოვრებისეულ გაძოცდილებას.

თავი მეათე

კონსერვები, რომელიც ინგლისელმა მაიორმა მოგვცა, გაზაფხულის თოვლივით დნებოდა: როზეტას პირდაპირ მგლის მადა ჰქონდა; ძე გადავწყვიტე რაც შეიძლება მალე წავსულიყავით ამ გომურიდან, მაგრამ არ მინდოდა ვალეკორსაში ან რომელიმე ახლო-მახლო სოფელში წასვლა—ვინ იცის, კიდევ წავაწყდებოდით მაროკოელებს, მათი ნაწილები ალბათ მთელ ჩოჩარეთში იყო დაბანაკებული. ჰოდა, ვუთხარი როზეტას:

— მოდი, ფონდიში დავბრუნდეთ, ვიშოვოთ რაიმე მანქანა და რომში წავიდეთ, თუ მოკავშირეებმა უკვე გაათავისუფლეს იგი. მაროკოელებს დაბომბვა სჯობია.

როზეტამ მომისმინა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ისეთი რამ მითხრა, რომ გული ჩამწყდა:

— არა, დაბომბვას ისევ მაროკოელები მირჩევნია, იმაზე უარესს რას მიზამენ მაროკოელები, რაც უკვე მიყვეს? სიკვდილი კი სულაც არ, მსურს.

მე და როზეტა ცოტათი შევკამათდით ამაზე, სანამ არ დავარწმუნე, რომ ჩვენთვის ფონდიში დაბრუნება ჯობდა, სადაც ალბათ უკვე შეწყდა დაბომბვა: მოკავშირეები ხომ ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ. მეორე დღეს გამოვემშვიდობეთ თხებს და გზაზე გავედით.

ბედმა გაგვიღიმა (თუკი ასეთ შემთხვევაში საერთოდ შეიძლება ბედზე ლაპარაკი). რამდენიმე სამხედრო მანქანამ ჩაგვიარა, ვიცოდით, რომ მათ სამოქალაქო პირნი არ გადაყავდათ, და უცებ სრულიად მოულოდნელად საბარგო მანქანა დავინახე, რომელიც მხიარულად მიჰქროდა ქვევით. მხიარულად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მანქანა ძალიან სწრაფად მიდიოდა, თან აქეთ-იქით ეხეთქებოდა. მე დავდექი შუაგზაზე და ხელი დავუქნიე. მანქანა გაჩერდა; საჭესთან იჯდა ქერა, ცისფერთვალება ყმაწვილი, ლამაზ წითელ სათბურში გამოწყობილი. მან გააჩერა მანქანა და შემომხედა, მე კი დავუყვირე:

— მე და ჩემი ქალიშვილი ლტოლვილები ვართ, შეგიძლია ფონდიში წაგვიყვანო?

მან დაუსტვინა და მიპასუხა:

— ბედი გქონია: სწორედ ფონდიში მივდივარ. შენი ქალიშვილი სადღაა?

— ახლავე მოვა, — ვუთხარი მე და როზეტას ვანიშნე მოსულიყო.

მეშინოდა ისევ ცუდ ხალხს არ შევხვედროდით და როზეტა ბუჩქებში დავტოვე. იგი გამოვიდა გზაზე, მზის სხივებით მთლად განათებული და ჩვენკენ გამოემართა, თავზე ერთადერთი დარჩენილი კონსერვებიანი ყუთი ედგა. მე დავაკვირდი ყმაწვილს და არ მომეწონა: მის ცისფერ თვალებსა და მეტისმეტად წითელ ტუჩებში იყო რაღაც გარყვნილი, ეულგარული და სასტიკი. ხოლო როცა დავინახე, თუ როგორ უყურებდა როზეტას, სულ შემზიზღდა: იგი სახეში კი არ უყურებდა, არამედ მსუბუქი ხალათით შემოტკეცილ მკერდზე, რომელიც გამოზნექილი ჰქონდა, რადგან ცდილობდა თავზე ყუთი შეემაგრებინა. მან უტიფრად გაიცინა და დაუძახა:

— დედაშენმა მითხრა, რომ ლტოლვილი ხარ, ის კი არ უთქვამს, მზეთუნახავიც რომ ყოფილხარ.

იგი გადმოვიდა მანქანიდან და მოეხმარა როზეტას მის გვერდით დამჯდარიყო. მე კი მეორე მხრიდან დამსვა, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი ასეთ უტიფარ მოქცევაზე, ხოლო ეს რომ რამდენიმე დღის წინათ მომხდარიყო, უთუოდ შენიშვნას მივცემდი, შეიძლება უარიც მეთქვა წავყოლოდით; და მაშინ გავიფიქრე, რომ მეც გამოვიცვალე, ყოველ შემთხვევაში როზეტას მიმართ. ყმაწვილმა მომართა მოტორი და მანქანა დაიძრა.

ჯერ ყველანი ჩუმად ვიყავით, მერე კი, ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე, დავიწყეთ ჩვენ-ჩვენი ამბების მოყოლა. ჩემსა და როზეტაზე ძალიან ცოტა ვუამბე, მაგრამ ის კი საშინელი ყბედი გამოდგა და თავისთავზე ყველაფერი გვიამბო. იგი აქაური იყო და როცა ზავი დაიდო, ჯარიდან გამოიქცა და ტყეში იმალებოდა, მაგრამ მერე ალყაში მოხვდა და გერმანელებმა დაიჭირეს. რომელიღაც გერმანელმა კაპიტანმა მისდამი სიმპათია იგრძნო და სანგრების თხრის მაგივრად სამზარეულოში გაგზავნა, სადაც მუშაობდა მთელი ის ხანი, ვიდრე გერმანელები აქ იყვნენ. არასოდეს არ უჭამია ამდენი და ისეთი გემრიელი საჭმელი, როგორც მაშინ. სურსათის სამაგიეროდ ქალებისაგან იღებდა ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდა.

— ბევრი ლამაზი ქალიშვილი მოდიოდა მაშინ ჩემთან საჭმელის სათხოვნელად. მე ვაძლევდი რასაც მთხოვდნენ, მათ კი სამაგიეროდ რაღაც-რაღაცეები უნდა მოეცათ. შეგიძლიათ არ დამიჯეროთ, მაგრამ ერთიც კი არ შემხვედრია, უარი რომ ეთქვას ასეთ გაცვლაზე. შიმშილი

ხუმრობა ხომ არ არის, შიმშილის გამო ყველაზე ჯიუტებიც კი თვინიერები ხდებოდნენ.

ლაპარაკი რომ სხვა რამეზე გადამეტანა, ვკითხე რას აკეთებდა ახლა, მან მიპასუხა, რომ თავის მეგობრებთან ერთად ლტოლვილები გადაჰყავდა და ამით კაი ფულს აკეთებდა.

— თქვენ არაფერს არ გამოგართმევთ, — თქვა მან და ალმაცერად გახედა როზეტას.

უხეში და ხრინწიანი ხმა ჰქონდა; სქელ კისერზე წვრილ-წვრილი კულულები ეფინა, ამის გამო მისი თავი თხისას ჰგავდა, ხოლო როცა როზეტას უყურებდა, უფრო სწორად, მის მკერდს აშტერდებოდა, სულ ვაცს გავდა. გვითხრა, კლორინდო მქვიაო და როზეტასაც ჰკითხა სახელი, როზეტამ უპასუხა და მან უთხრა:

— დასანანია, ძალიან დასანანი, რომ შიმშილობა გათავდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მე და შენ მაინც მოვრიგდებით. მოგწონს აბრეშუმის წინდები? საკაბეზე რას იტყოდი? ან ეგებ ლამაზი შეეროს ფეხსაცმელი გირჩევნია?

ჩემდა გასაკვირად, როზეტამ მცირე დუმილის შემდეგ უცებ უპასუხა:

— ვინ იტყვის უარს ასეთ რამეებზე.

მან გაიცინა და გაიმეორა:

— ერთი სიტყვით მე და შენ მოვრიგდებით.

მე ავკანკალდი აღშფოთებისაგან და დავუყვირე:

— ხმა ჩაიწყვიტე... როგორ ბედავ?

მან ალმაცერად შემომხედა და მითხრა:

— აი კაპასი. მე უბრალოდ დახმარებას ვთავაზობ ორ ლტოლვილს, რომლებსაც სჭირდებათ ეს დახმარება.

ერთი სიტყვით, ის მხიარული ყმაწვილი იყო, ოღონდ მეტისმეტად -უხეში და უტიფარი.

ასე ვმასლაათობდით ცისას-ბარისას, სანამ უღელტეხილს არ მიეუახლოვდით, სადაც გზა ზღვამდე თავქვე ეშვება. მაშინ კლორინდომ გამორთო მოტორი და შურდულივით დაეშვა ქვევით, მოსახვევებშიც კი არ ანელებდა სვლას, თან რაღაც უწმაწურ სიმღერას გაჰკიოდა. რა თქმა უნდა, ის მხიარულად იყო: მშვენიერი დარი იდგა, თვით ჰაერში იგრძნობოდა თავისუფლება, რომელიც მოვიდა ამდენი თვის მონობის შემდეგ, და ხალხს ახლა შეეძლო თავისი სურვილის მიხედვით მოქცე-

ულიყო, ჰოდა, კლორინდოც სარგებლობდა ამ თავისუფლებით; ოღონდ მისი თავისუფლება არამზადის თავისუფლება იყო, რომელსაც არავისი და არაფრის პატივისცემა არა აქვს, ჩემთვის და როზეტასთვის კი თავისუფლება იმაში მდგომარეობდა, რომ დავბრუნებულიყავით რომში და ძველებურად გვეცხოვრა.

ერთ-ერთ მოსახვევში მივეხეთქე მას და დავინახე, რომ საჭეს ერთი ხელით მართავდა, მეორეთი კი როზეტას ხელი ეჭირა. როზეტა ამის უფლებას აძლევდა და მე, მისი დედა, არ ვეწინააღმდეგებოდი; რამდენიმე დღის წინ კი წარმოგიდგენიათ რა მოხდებოდა! ეს მისი უფლებაა, გავიფიქრე, მე ვერაფერს გავხდები, თუ მადონამაც ვერ შესძლო სასწაულის მოხდენა და ხელის შეშლა მაროკოელებისათვის, რომ ჩემი როზეტა არ გაეუპატიურებინათ მისსავე საკურთხეველთან, სად შემიძლია მე, სუსტ ქალს, დავუშალო კლორინდოს როზეტას ხელი ეჭიროს.

ჩვენ მივქროდით ქვევით და სულ მალე ნაცნობ გზატკეცილზე გავედით: ერთ მხარეს მაღალი მთები იყო, მეორე მხარეს კი ფორთოხლის ბაღები. უკანასკნელად როცა აქ ვიყავი, გზა ჯარისკაცებით, ლტოლვილებით, მანქანებით და ტანკებით იყო სავსე. ახლა კი გამაკვირვა სიჩუმემ, რომელსაც ეს ხმაური და აყალ-მაყალი შეეცვალა. მზე და გზაზე გადახრილი აყვავებული ხეები რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, ზამთარი დაბრუნებულა და მასთან ერთად გერმანული ოკუპაციის საშინელი დღეები, როცა შიშს ხალხი სოროებში ჩაეძვრინა. გზაზე არავინ იყო, მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა გლეხი თავისი ვირით; და არსაიდან ჩქამი არ ისმოდა. ჩვენ სწრაფად გავიარეთ გზატკეცილი და ფონდისაკენ გადავუხვიეთ. ქუჩები ცარიელი და მდუმარე იყო, სახლები დაბომბვით დაქცეული, გარშემო მხოლოდ ნანგრევები და აშმორებული წყლის გუბეები იდგა, ქუჩაში მოხეტიალე ხალხი ისეთივე ჩამოგლეჯილი და მშიერი ჩანდა, როგორც ერთი თვის წინ, როცა აქ გერმანელები იყვნენ. ამის შესახებ კლორინდოს ვუთხარი, მან მხიარულად მიპასუხა:

— ამბობდნენ, ინგლისელები დოვლათს მოიტანენო. მოაქვთ კიდეც, ოღონდ ორი-სამი დღით, სანამ ჩერდებიან, შემდეგ კი გზას განაგრძობენ. მაშინ ისინი არიგებენ შაქარყინულს, სიგარეტებს, ფქვილს, ტანსაცმელს. მერე წინ მიდიან და დოვლათი თავდება, ხალხი კი კვლავ-

ინდებურად განაგრძობს ცხოვრებას, კიდევ უფრო ცუდად, რადგან უკვე აღარაფრის იმედი არა აქვს.

მივხვდი, რომ იგი მართალს ამბობდა; ასეც იყო: მოკავშირეები თავისი ჯარით ერთი ან ორი დღით ჩერდებოდნენ იმ ადგილებში, საიდანაც გერმანელები განდევნეს, მათი ჯარი ოდნავ აცოცხლებდა დატანჯულ ქალაქებსა და სოფლებს. მერე მიდიოდნენ და ყველაფერი ისევ ისეთი ხდებოდა, როგორიც წინათ იყო. მე ვუთხარი კლორინდოს.

— მაშ რა ვქნათ? — ამ დაწყევლილ ადგილას ხომ ვერ დავრჩებით? ჩვენ არაფერი არა გვაქვს, რომში კი უნდა დავბრუნდეთ.

კლორინდომ, რომელსაც მანქანა ნანგრევებს შორის მიჰყავდა, მიპასუხა:

— რომი ჯერ არ გაუთავისუფლებიათ. თქვენთვის სჯობია ჯერჯერობით აქ დარჩეთ.

— მერე აქ რა გავაკეთოთ?

მან უხალისოდ მიპასუხა:

— მე ვიზრუნებ თქვენზე, ორივეზე.

უცნაური მეჩვენა მისი კილო, მაგრამ არაფერი ვუთხარი. ჩვენ გამოვედით ქალაქიდან და გავუწვიეთ ფორთოხლის ბაღებში მიმავალ შარაგზაზე.

— ამ ბაღებში ჩემი ნაცნობები ცხოვრობენ. — მშვიდად თქვა მან, თითქოს საუბარი სრულიად უმნიშვნელო საგანს ეხებოდა. — თქვენ მათთან იცხოვრებთ, სანამ მოკავშირეები არ გაათავისუფლებენ რომს. როგორც კი შესაძლებელი იქნება, მე თვითონ წაგიყვანთ მანქანით.

მე ისევ გავჩუმდი. მან შემოაბრუნა მანქანა, გააჩერა და თქვა, რომ მისი მეგობრების სახლთან მხოლოდ ფეხით შეიძლება მისვლა. ფორთოხლის ხეებს შორის ბილიკით წავედით. ეს ადგილი მეცნაურა, თუმცა ფორთოხლის ბაღები ყველგან იყო და ბილიკები არაფრით არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ზოგიერთი ნიშნით ვხვდებოდი, რომ სწორედ ამ ბაღებში ამ ბილიკით გამივლია. ათი წუთის შემდეგ ბილიკმა ბაღის კიდეზე გაგვიყვანა და მაშინვე ვიცანი ეს ადგილი: ჩვენს წინ კონჩეტას ვარდისფერი სახლი იდგა, იმ კონჩეტასი, რომელთანაც პირველი დღეები ვცხოვრობდით, როცა ფონდიდან ჩამოვედით.

— აქ ცხოვრება არ მინდა, — გადაჭრით ვთქვი მე.

— რატომ?

— ჩვენ უკვე ვიყავით აქ რამდენიმე თვის წინ და გავიქეცით იმი-

ტომ, რომ ეს ყაჩაღების ოჯახია, კონჩეტას უნდოდა, რომ როზეტა ფაშისტების ხასა გამხდარიყო.

კლორინდომ მხიარულად გაიცინა:

— წარსული დღეების ამბავია... ახლა ფაშისტები აღარ არიან, ხოლო კონჩეტას შვილები ყაჩაღები კი არა, ჩემი მეგობრებია. დარწმუნებული იყავი, რომ პატივისცემით მოგექცევიან, ძველის გახსენება კი არ ვარგა.

მინდოდა მეთქვა, რომ არაფრის გულისთვის არ დავრჩები კონჩეტასთან, მაგრამ ვერ მოვასწარი, რადგან სახლიდან კონჩეტა გამოვარდა და ჩვენს შესახვედრად გამოექანა, კვლავ ისეთივე მხიარული და აღფრთოვანებული.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კეთილი! კაცი კაცს ყოველთვის შეხვდება. მართალია, თქვენ გაგვეპარეთ აქედან, ისე რომ სიკვდილიც კი არ გვისურვეთ, ვალიც არ გადაიხადეთ; მაგრამ კარგი ჰქენით, რომ მთებში გაიქეცით. თქვენს მერე ჩემს შვილებსაც მოუხდათ გაქცევა. ეს არამზადა გერმანელები ყოველ წუთს თავს გვესხმოდნენ. თქვენ ძალიან კარგად მოიქეცით, ჩვენზე ჭკვიანები გამოდექით, ჩვენ კი რა არ გადავიტანეთ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კეთილი! ძალიან მიხარია, რომ ჯანმრთელად ხართ: ჯანმრთელობა ხომ ყველაფერია ცხოვრებაში. მობრძანდით, მობრძანდით! ვინჩენცოსა და ბიჭებს ძალიან გაუხარდებათ თქვენი ნახვა. გარდა ამისა, თქვენ კლორინდომ მოგიყვანათ, ეს კი იგივეა, ვითომ ჩემს ღვიძლ შვილს მოეყვანეთ, კლორინდო ხომ ჩვენი ოჯახის წევრია. წამობრძანდით, წამობრძანდით, როგორც თქვენს სახლში, ისე იყავით.

კონჩეტა სრულებით არ გამოცვლილიყო. გული შემეკუმშა — მაშინ ხომ სწორედ იმ უბედურებას გავექეცით, რაც ჩემს მშობლიურ სოფელში დაგვემართა. მაგრამ ამ საზიზღარ ქალს არაფერი ვუთხარი; იგი ჯერ მე მომეხვია და მაკოცა, მერე როზეტას, რომელიც არც კი განძრეულა, მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო. ამასობაში სახლიდან გამოვიდა ვინჩენცო, შავი ყორანი, იგი უფრო გამხდარიყო, ცხვირი ყორნის ნისკარტივით დაგრძელებოდა, თვალები კი უფრო უელავდა და წარბებიც უფრო გახშირებოდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე. ვინჩენცომ რაღაც წაიბურტყუნა, როცა ხელს მართმევდა, კონჩეტას კი თავხედობა ეყო ეთქვა:

— ვინჩენცომ მითხრა, რომ ფესტებთან გნახათ სანტ ეუფემიაში.

უბედური ფესტები. მათთვისაც ეს ზამთარი საშინელი გამოდგა. ჯერ იყო და სულმა წაგვძლია, დავხარბდით მათ ქონებას, რომელიც ჩვენ კედელში იყო დამალული, ამას კი ზედ შვილის უბედურებაც დაერთო. ჩვენ მათ ყველაფერი დავუბრუნეთ, რასაკვირველია, იმის გარდა, რაც უკვე გავყიდეთ; ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ და სხვისი ქონება ჩვენთვის წმიდათა წმიდაა. მაგრამ ვინ დაუბრუნებს მათ შვილს?

იგი სულ უბრალოდ, სასხვათაშორისოდ ამბობდა ამ საშინელ სიტყვებს. უცებ ვიგრძენი, რომ გული სისხლისაგან დამეცალა, შემამცივნა, მკვდრის ფერი დამედო. მერე ძალა მოვიკრიბე და ვკითხე:

— განა მიქელს რამე მოუვიდა?

მან კი ისე მხიარულად, თითქოს კაი ამბავს გვატყობინებდა, მიპასუხა:

— ნუთუ არ იცით? ის ხომ გერმანელებმა მოკლეს.

ჩვენ ჯერ კიდევ მდელოზე ვიდექით და უცბად ვიგრძენი, რომ მუხლები მომეკვეთა: მიქელე ხომ ღვიძლი შვილივით მიყვარდა; დავეშვი კართან სკამზე და სახეზე ხელები ავიფარე. კონჩეტა კი მხიარულად განაგრძობდა:

— დიახ, გერმანელებს ის სწორედ უკან დახევის დროს მოუკლავთ. იგი თან წაუყვანიათ თითქოსდა მეგზურად. ჰოდა, თურმე მთებით უვლიათ, სანამ ერთ უდაბურ ადგილას არ მისულან. იქ ერთი გლეხის ოჯახი ცხოვრობდა. მიქელეს გზა აღარა სცოდნია, გერმანელებს გლეხებისათვის უკითხავთ, მტერი საით არისო. მათ, რასაკვირველია, სურდათ ეკითხათ, სად იყვნენ ინგლისელები — მათთვის მტრები ხომ ინგლისელები არიან. საცოდავმა გლეხებმა კი იფიქრეს, მტრები გერმანელებიაო, — ჩვენ, იტალიელები, ხომ გერმანელებს მუდამ მტრებად ვთვლიდით, ამიტომ უპასუხიათ, მტერი ფროზინონესკენ გაიქცაო. როგორც კი გერმანელებს გაუგონიათ, რომ გლეხები მათ მტრებად თვლიდნენ, საშინლად გაბრაზებულან, აბა ვის მოეწონება, რომ მტერი უწოდონ, და მათი მოკვლა განუზრახავთ. მაშინ მიქელე გლეხებს წინ აჰფარებია და დაუყვირია: არ ესროლოთ, ესენი დამსაშავენი არ არიანო! ჰოდა, ისიც მოუკლავთ სხვებთან ერთად. მთელი ოჯახი ამოუხოცია, აბა, ომია და ომის დროს ყველასა ხოცავენ განურჩევლად: მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს. მიქელე-თურმე ზევიდან წოლილა, მკერდი კი საცერივით ტყვიებით ჰქონია დაცხრილული, რომლებიც მისთვის უსროლიათ, როცა გლეხებს გამოჰქომაგებია. ჩვენ ეს ერთი

გოგოსაგან გავიგეთ, რომელიც საბძელში დამალულიყო და ყველაფერი თავისი თვალით ენახა, მერე კი ბარში ჩამოვიდა და ეს ამბავი გვიამბო. ნუთუ თქვენ არაფერი იცოდით? მთელი ფონდი მარტო ამაზე ლაპარაკობს. რას იზამ: ომი — ომია.

მაშ მიქელე მოკვდა. მე გაუნძრევლად ვიჯექი სახეზე ხელებაფარებული და უცებ ვიგრძენი, რომ თითები დამისველდა ცრემლით, ღრმად ამოვისუნთქე და ყრუ გმინვა აღმომხდა. მეჩვენებოდა, რომ დავტიროდი ყველას: მიქელეს, რომელიც შვილივით მიყვარდა, როზეტას, იქნებ სჯობდა, ისიც მომკვდარიყო მიქელესავით, ჩემს თავს, რადგან ყველა ჩემი იმედი, რაც მთელ წელიწადს მასულდგმულებდა, დამემსხვრა. მესმოდა კონჩეტას სიტყვები:

— იტირე, იტირე, გულზე მოგეშვება. მეც ვტიროდი, როცა ჩემს შვილებს მთაში მოუხდათ გაქცევა, იცი, რამდენს ვტიროდი? და გულზე მეშვებოდა. იტირე, იტირე, გეტყობა კეთილი გული გქონია და სწორად იქცევი, რომ ტირი. მიქელე, უბედური, ხომ ნამდვილი წმინდანი იყო, თანაც ისეთი განათლებული, რომ არ მომკვდარიყო, უთუოდ მინისტრი გახდებოდა. ეს სულ ომის ბრალია, ამ ომში ყვეულამ რაღაც დაკარგა. მაგრამ ყველაზე მეტი მაინც ფესტებმა დაკარგეს. ვინც ნივთები დაკარგა, ისევ შეიძენს, მაგრამ შვილს ვეღარ შეიძენ, ვერა, ვერ შეიძენ. იტირე, იტირე, ცრემლი შვებას მოგცემს.

კიდევ დიდხანს ვტიროდი, ჩემს გარშემო მდელოზე კი ხალხი თავის საქმეებზე ლაპარაკობდა. როცა ბოლოს თავი ავწიე, დავინახე, რომ კონჩეტა, ვინჩენცო და კლორინდო მინდვრის ბოლოში რაღაც ფქვილზე კამათობენ, როზეტა კი გაქვავებული დგას მეორე ბოლოში და მიცდის, როდის მოვრჩები ტირილს. შევხედე და კვლავ შემაჟრჟოლა: სახე ისეთი მშვიდი ჰქონდა და თვალები სრულიად მშრალი, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, ან თითქოს არასოდეს არ იცნობდა მიქელეს. როცა ხელს დაიწვავ და დამწვარი ადგილი დაბებრდება, მერე შეგიძლია გავარვარებულ მუგუზალს დაადო ხელი და ვერაფერს ვეღარ იგრძნობ. ჩემის აზრით, როზეტას ასე მოუვიდა. როცა მისი მშრალი თვალები და მშვიდი სახე დავინახე, მიქელეზე უფრო მეტად დამეწვა გული, იმიტომ რომ მიქელეს უყვარდა როზეტა და შეეძლო მასზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ იგი მოკვდა და ახლა უკვე ვერაფერი ეშველება. გამოგიტყდებით, როზეტას საქციელმა, როცა მან მიქელეს სიკვდილი გაიგო, თითქოს უფრო იმოქმედა ჩემზე, ვიდრე თვით მიქელეს სიკვდი-

ლის ამბავმა. კონჩეტა მართალი იყო: ჩვენ ომიანობის დროში ვცხოვრობდით, თვითონ ამ ომის შემადგენელ ნაწილად ვიქეცით, თითქოს ომი და არა მშვიდობა ყოფილიყო ადამიანებისათვის ნორმალური მდგომარეობა.

ბოლოს სკამიდან წამოვდექი, და კლორინდომ მითხრა:

— ახლა წავიდეთ, ვნახოთ როგორ მოეწყობით აქ.

გავყევით კონჩეტას ჩვენი ძველი საბძლისკენ, მაგრამ თივის მაგივრად აქ სამი ლოგინგაწყობილი საწოლი დაგვხვდა. კონჩეტამ გვითხრა:

— ეს საწოლები ფრინდის სასტუმროს პატრონისაა. საწყალს ბედმა უმტყუნა, ყველაფერი დაჰპარეს. სასტუმროში სრული სიცარიელეა, ღამის ქოთნებიც კი მოუპარავთ. ჩვენ კი ამ საწოლებით ცოტაოდენი ხეირი ვნახეთ ზამთარში. ბევრი ლტოლვილი მოდიოდა, თან ყველანი ბოშებივით ჩამოძონძილ-ჩამოგლეჯილნი; საწყლები ღამის გათევაში ფულს გვიხდიდნენ და ცოტაოდენი თანხა მოვაგროვეთ. სასტუმროს პატრონები კი აქ არ არიან, სადღაც გაქცეულან. ზოგი ამბობს რომში წავიდნენო, ზოგი — ნეაპოლშიო. როცა დაბრუნდებიან, ჩვენ, რასაკვირველია, დავუბრუნებთ საწოლებს, ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, მანამდე კი ცოტაოდენ ფულს გავაკეთებთ ამ საწოლებით, არა, ისე, სულ ცოტას. რას იზამ, ომი — ომია.

კლორინდომ გააწყვეტინა:

— ამ ორ სენიორას არაფერს გამოართმევ, გესმის, კონჩეტა?

ის კი ეუბნება:

— რა თქმა უნდა, რა უნდა გამოვართვა, ჩვენ ხომ ყველანი ერთი ოჯახი ვართ.

კლორინდომ დაუმატა:

— სადილადაც შენთან იქნებიან, მერე გავისწორდები.

ის კი ეუბნება:

— რა თქმა უნდა, ჩვენთან ისადილებენ. საჭმელი, მართალია, უბრალო გვაქვს, სოფლური, მაგრამ ნუ გვიწყენთ, ხომ იცით, როგორია ეს სოფლური საჭმელი.

ბოლოს ყველანი წავიდნენ. მე დავკეტე ფარდულის კარი, თითქმის სრულიად დაბნელდა, და როზეტას გვერდით საწოლზე ჩამოვჯექი.

ჯერ ორივენი ვდუმდით, მერე რაღაც გაავებით ვუთხარი:

— რა მოგივიდა, იქნებ მითხრა, რა მოგივიდა? არ გეცოდება მიქელ? არ გეცოდება? შენ ხომ ის გიყვარდა.

მე ვერ ვხედავდი მის სახეს, რადგან თავი დაეხარა, თანაც ფარდულში ბნელოდა, მაგრამ გავიგონე მისი პასუხი:

— რა თქმა უნდა, მეცოდება.

— მაგრამ ამას ისეთი კილოთი ამბობ!..

— აბა როგორ უნდა ვთქვა?

— რა მოგივიდა, როზეტა, მითხარი! რატომ არც ერთი ცრემლი არ დალვარე ამ უბედურის გამო. ის ხომ ჩვენისთანა საწყალი ხალხის გამოქომაგებისათვის დაიღუპა, მოკვდა, როგორც ნამდვილი წმინდანი.

მან არაფერი მიპასუხა. მე ისევ სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, ხელი ვტაცე, შევანჯღრიე, თან ვიმეორებდი:

— რა მოგივიდა, აბა, რა მოგივიდა?

მან გაიოგაისუფლა ხელი, რომელსაც ჩაფრენილი ვიყავი და მშვიდად მითხრა:

— თავი დამანებე, დედა.

მე გავჩუმდი, გაუნძრევლად ვიჯექი და სიბნელეს ვაშტერდებოდი. როზეტა წამოდგა, გადავიდა მეორე საწოლზე და ზურგი შემაქცია. მეც დავწექი და მალე ჩამეძინა.

როცა გამომეღვიძა, უკვე ღამე იყო. შევამჩნიე, რომ საწოლი ცარიელია — როზეტა სადღაც წასულიყო. ერთხანს კიდევ უძრავად ვიწექი გულაღმა: ძალა არა მქონდა ავმდგარიყავი და რაიმე საქმისათვის მომეკიდა ხელი. კონჩეტას ხმა გავიგონე. იგი სახლის წინ მდელოზე ვიღაცას ელაპარაკებოდა. მოვიკრიფე ძალა, ავდექი და გამოვედი საბძლიდან. კარის წინ, მდელოზე, კონჩეტა სუფრას შლიდა. მისი ქმარი იქვე იყო, მაგრამ არც როზეტა, არც კლორინდო არ ჩანდნენ. კონჩეტასთან მივედი და ვკითხე:

— როზეტა სად არის? ხომ არ გინახავს?

კონჩეტამ მიპასუხა:

— მეგონა იცოდი: ის კლორინდოს გაჰყვა.

— როგორ თუ გაჰყვა?

— კლორინდო მანქანით წაკიდა — რამდენიმე ლტოლვილი წაიყვანა ლენოლაში, როზეტა კი თან წაიყვანა, მარტო დაბრუნება ეზარებოდა. ალბათ ხვალ საღამოს დაბრუნდებიან.

ეს სიტყვები შიგ გულში ტყვიასავით მომხვდა: არასოდეს არ იზამდა

როზეტა წინათ ასეთ რამეს. როგორ წავიდა ისე, რომ ერთი სიტყვაც არ მითხრა, თან ასეთ არამზადასთან, როგორიც კლორინდოა? ყურებს არ ვუჯერებდი და ვკითხე:

— არაფერი დაუბარებია?

— არაფერი. მითხრა მხოლოდ, რომ გამეფრთხილებინე. იგი კარგი შვილია, ამიტომ შენი გაღვიძება არ უნდოდა. გარდა ამისა, ხომ იცი, ახალგაზრდობა, წლოვანება... მას მოსწონს კლორინდო და მასთან მარტო დარჩენა სურს. დედები მუდამ გზაზე ვეღობებით ჩვენს შვილებს, როცა ისინი წამოიზრდებიან. ჩემი ბიჭებიც გარბიან სახლიდან, როცა ქალიშვილებთან მარტო დარჩენა სურთ. კლორინდო კი ძალიან ლამაზი ყმაწვილია, ის და როზეტა შესანიშნავი წყვილია.

— მას რომ ასეთი უბედურება არ დამართოდა, კლორინდოს ზედაც არ შეხედავდა! — აღმომხდა ჩემდა უნებურად.

ვთქვი ეს და მაშინვე ვინანე, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამ ალქაჯმა სეტყვასავით დამაყარა:

— რა მოუვიდა? მეც ცოტა არ იყოს გამიკვირდა, რომ როზეტა ასე თავისუფლად და უბრალოდ გაჰყვა მას, მაგრამ ამაზე არ დავფიქრებულვარ... ხომ იცი — ახალგაზრდობა... მაშ მითხარი, რა მოხდა?

არ ვიცი რატომ, შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან გამაბრაზა როზეტას საქციელმა, ან იმიტომ, რომ მინდოდა ჩემი უბედურება ვისმესთვის, თუგინდ კონჩეტასთვის, გამეზიარებინა, ვეღარ მოვითმინე და ვუამბე ყველაფერი, რაც დაგვემართა: საყდარზე, მაროკოელებზე და იმაზე, თუ რა გვიყვეს მე და როზეტას.

კონჩეტა თეფშებზე წვენს ასხამდა, ყურს მიგდებდა და იმეორებდა:

— საცოდავი გოგო, საცოდავი როზეტა, უბედური, აი უბედური...

მერე დაჯდა და როცა მოყოლა გავათავე, თქვა:

— ეს სულ ომის ბრალია. მაროკოელები კი ჩვეულებრივი მამაკაცები არიან, თანაც ახალგაზრდები... მათ დაინახეს შენი შვილი ასეთი ახალგაზრდა, ლამაზი და თავი ვეღარ შეიკავეს, ცდუნებას აჰყვნენ. ეს სულ...

მან ვერ მოასწრო დამთავრება, რადგან მე გველნაკბენივით წამოვვარდი, წავავლე დანას ხელი და შევყვირე:

— შენ არ იცი რა გადაიტანა როზეტამ! შენ თვითონ კახპა ხარ და დედაშენიც კახპა იყო, ამიტომ გინდა, რომ ყველა ქალი შენსავით კახ-

პა იყოს! მაგრამ თუ შენ ერთხელაც გითქვამს ასეთი რამ როზეტაზე, ღმერთს გეფიცები, მოგკლავ.

ასეთი გააფთრებული რომ დამინახა, იგი განზე გახტა, ხელები მუდარით დაიკრიბა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, რამ გაგაცოფა? რა ვთქვი ასეთი? ომი — ომია-მეთქი, ახალგაზრდობა — ახალგაზრდობაა და მაროკოელები კი ახალგაზრდები არიან, თანაც მამაკაცები. დამშვიდდი, ჩეზირა. ახლა როზეტაზე კლორინდო იზრუნებს და სანამ მასთან იქნება, ყველაფერი ექნება, აი ნახავ. ის სპეკულაციას ეწევა და ყველაფერი აქვს: სურსათი, ტანსაცმელი, წინდები, ფეხსაცმელი; დამშვიდდი, მასთან როზეტა ისე იქნება, როგორც სალი კლდის საფარქვეშ.

მივხვდი, რომ ამ ქალთან არ ღირდა ლაპარაკი. დავდე დანა და ჩუმად დავიწყე ჭამა. მაგრამ საჭმელი იმ დღეს მწარე მეჩვენებოდა, ვჭამდი და სულ როზეტაზე ვფიქრობდი, როგორი იყო წინათ და როგორი გახდა ახლა. როზეტა გაჰყვა კლორინდოს უკანასკნელი ქუჩის ქალივით, რომელსაც საკმარისია დაუსტვინო, რომ განურჩევლად ყველა მამაკაცს გამოეკიდოს; და არც კი გამაფრთხილა, რომ მიდიოდა. ეგებ საერთოდ აღარ მოინდომოს ჩემთან ცხოვრება. ჩუმად ვივახშმეთ და მე ფარდულში წავედი. დავწექი, მაგრამ ვერ დავიძინე, ისე ვიწექი მთელ ღამეს, გავცქეროდი სიბნელეს და ყოველ გაფაჩუნებას ვუგდებდი ყურს. სიბრაზისაგან მთელი კუნთები დაჭიმული მქონდა.

როზეტა მეორე დღესაც არ დაბრუნებულა; ადგილს ვერ ვპოულობდი, დავეხეტებოდი ფორთოხლის ბაღებში, გამოვდიოდი გზაზე, რომ მენახა, ხომ არ ბრუნდებიან-მეთქი. ვისაუზმე და ვისადილე ვინჩენცოსა და კონჩეტასთან ერთად, რომელიც ჩემს დამშვიდებას ცდილობდა და აღფრთოვანებით მიმეორებდა თავის სისულელეებს, რომ როზეტა კარგად იქნება კლორინდოსთან და არაფერი გაუჭირდება. მასზე გაბრაზების სურვილიც კი აღარ მქონდა. ვახშმის შემდეგ ისევ ფარდულში შევედი და ამჯერად დავიძინე. შუაღამე-იქნებოდა, გავიგონე, რომ ფარდულის კარი ნელა გაიღო. გავიხედე და მთვარის შუქზე დავინახე, რომ ფარდულში ფეხის წვერებზე როზეტა შემოვიდა. სიბნელეში მივიდა კარადასთან, ცოტა ხანს იზოზინა და სანთელი აანთო. მე თვალები მოვჭუტე და თავი მოვიმძინარე. ახლა როზეტა ჩემს წინ იდგა, სანთელი ოდნავ ანათებდა ფარდულს და მე დავინახე, რომ სულ ახლებშია გამოწყობილი. კონჩეტა მართალი იყო. მას მსუბუქი წითელი

ნაჭრის კაბა-კოსტუმი ეცვა, თეთრი ზედაწელი, შავი ლაქის ფეხსაცმელი და აბრეშუმის წინდები. მან ჯერ ჟაკეტი გაიხადა, გულმოდგინედ დაათვალიერა და სკამზე გადაკიდა, რომელიც საწოლთან ედგა. მერე ქვედა კაბა გაიხადა და იქვე დაჰკიდა. ახლა იგი შავი, ნაჩვრეტებიანი პერანგის ამარა დარჩა, რომელშიც მისი თეთრი კანი მოჩანდა. როზეტა საწოლზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელი გაიხადა, მიიტანა სანთელთან და დაათვალიერა, მერე კი საწოლქვეშ დააწყო. შემდეგ პერანგის გახდა დაიწყო. როცა პერანგს იხდიდა და მთელი ტანით იგრიხებოდა, დავინახე, რომ შავი, რეზინებიანი, ბაბთებით გაწყობილი სარტყელი ეკეთა. როზეტას არასოდეს არ ჰქონია რეზინებიანი სარტყელი, არც შავი და არც ფერადი. ის მუხლს ზემოთ მრგვალ რეზინებს ატარებდა. ამ შავმა სარტყელმა სრულიად შეცვალა იგი. მომეჩვენა, რომ ეს როზეტა აღარ იყო. რომ ეს აღარ იყო მისი სხეული. წინათ როზეტას ჯანმრთელი, ნორჩი სხეული ჰქონდა, ისეთი ძლიერი და სუფთა, როგორიც მხოლოდ უმანკო ქალიშვილებს აქვთ ხოლმე. ეს ვიწრო შავი სარტყელი კი მას გამომწვევ, გარყვნილ იერს ანიჭებდა: ფეხები უფრო თეთრი უჩანდა, თმები მუცლის ქვემოთ უფრო ღია ფერის, დუნდულები დამრგვალებოდა, მუცელი კი წინ წამოსწეოდა. ეს ჩემი როზეტას, ჩემი შვილის სხეული აღარ იყო, ეს კლორინდოს საყვარლის სხეული იყო. ავიხედე და მის სახეს მივაჩერდი; ისიც სრულიად შეცვლილიყო. სანთელი ქვემოდან ანათებდა და დავინახე მისი ხარბი, გაფაციცებული და დაძაბული სახე, როგორიც როსკიპებსა აქვთ ხოლმე, რომლებიც დიდხანს დახეტიალობენ ქუჩაში, ბევრის ხელში გაუვლიათ, მერე კი გვიან ბრუნდებიან სახლში და ფულს ითვლიან. ვეღარ მოვითმინე და ხმამაღლა დავუძახე:

— როზეტა!

მან მაშინვე შემომხედა და ნელა, თითქოს უხალისოდ მითხრა:

— რა, დედა?

მე ვკითხე:

— სად იყავი? მე სამი დღეა ვღელავ შენი გულისათვის. რატომ არ გამაფრთხილე? სად იყავი?

როზეტამ შემომხედა და მერე მითხრა:

— კლორინდოს წავყევი და დავბრუნდი.

— რა დაგემართა, როზეტა? შენ სრულიად გამოიცვალე.

მან ჩუმად მიპასუხა:

— როგორიც ვიყავი, ისეთივე დავრჩი, საიდან მოიგონე, რომ გამოვიცვალე.

მე კი გულის ტკივილით ვეუბნები:

— ჩვენ ხომ არ ვიცით ვინ არის კლორინდო, შვილო. რა გაქვს მასთან საერთო?

მან არაფერი მიპასუხა. იჯდა თავდახრილი და სდუმდა; მაგრამ მის მაგივრად მისი გაშიშვლებული სხეული ლაპარაკობდა. მას მხოლოდ რეზინებიანი სარტყელი და ლიფი ეცვა — და იყო მისი სხეული სრულიად სხვაგვარი, არა ისეთი, როგორიც წინათ. მე ვეღარ მოვითმინე, წამოვხტი, ვეცი როზეტას, მხრებში ჩავაფრინდი, შევანჯღრიე და დავუყვირე:

— გინდა გამაგიჟო შენი დუმილით? მესმის, რატომ არაფერს ამბობ, შენ გგონია მე არაფერი ვიცი? იმიტომ ხარ გაჩუმებული, რომ უკანასკნელი ქუჩის ქალივით იქცევი, გადაეკიდე ამ კლორინდოს, მე კი არაფერს მეუბნები, რადგან არაფრად აგდებ შენს დედას, მოგწონს კახპობა.

იგი დუმდა, მე კი კვლავ ვანჯღრევდი. ბოლოს სულ დავკარგე მოთმინება და დავუყვირე:

— ახლავე მოიშორე ეს საზიზღრობა!

ვეცი მას და მინდოდა მომეგლიჯა სარტყელი. როზეტა არც ახლა განძრეულა და თავი არ დაუცავს. იგი თავდახრილი იდგა, თითქოს სურდა ჩამხუტებოდა. მე მოვწიე სარტყელი, მაგრამ იგი არ იხეოდა, ნაჭერი მაგარი იყო. მაშინ ხელი ვკარი და იგი პირქვე დაემხო საწოლზე, მე კი მთელი ძალით ხელი შემოვარტყი საჯდომზე. აქოშინებული დავეცი ჩემს საწოლზე და დავუყვირე:

— შენ რა, ვერა ხედავ რას დაემსგავსე? როგორ შეგიძლია ვერ ხედავდე ამას?

რატომღაც მეგონა, რომ ახლა მაინც გაიმართლებდა თავს, მაგრამ იგი წამოდგა საწოლიდან და თვალიერება დაუწყო თავის წინდებს, რომლებიც ასწყვეტოდა სარტყელს, როცა მის ჩამოგლეჯას ვცდილობდი. ერთ წინდას თვალი წასვლოდა. როზეტამ შეამჩნია ეს, დაიჯვალა თითი, რომ გაეჩერებინა ნარღვევი, მერე მითხრა:

— რატომ არ გძინავს, დედა? იცი, უკვე ძალიან გვიანაა.

იგი მშვიდად და გონივრულად ლაპარაკობდა და მივხვდი, რომ მასთან ვეღარაფერს გავხდებოდი. მე დავეცი ლოგინზე და ზურგი შევაქ-

ციე. მესმოდა, რომ როზეტა კიდევ აკეთებდა რაღაცას, დადიოდა ფარდულში, ვხედავდი მის ჩრდილს კედლებზე, მაგრამ მისკენ არ მიებრუნებულვარ. მერე სანთელი ჩააქრო. სრულიად დაბნელდა და საწოლის ჭრიალზე მივხვდი, რომ დასაძინებლად ეწყობოდა.

რამდენი რამ მინდოდა მეთქვა მისთვის ახლა! სანამ სინათლე ენთო და მას ასეთ გამოცვლილს ვხედავდი, ბრაზი მერეოდა და არ შემეძლო ლაპარაკი, მაგრამ ახლა მინდოდა მეთქვა, რომ მესმის მისი; მესმოდა, რომ იგი სრულიად გამოიცვალა და ახლა მამაკაცის სიახლოვე სურს, რათა ქალად იგრძნოს თავი და ამით წაშალოს იმის მოგონება, რაც მაროკოელებმა უყვეს; მესმოდა, რომ რაკი ის მადონას თვალწინ გააუპატიურეს, ხოლო მადონა არაფრით დაეხმარა, როზეტამ დაჰკარგა რწმენა და ახლა მისთვის სულ ერთი იყო, თუ რა მოუვიდოდა შემდეგში. ძალიან მინდოდა მეთქვა მისთვის ყველაფერი ეს, მოვხვეოდი, მეკოცნა, მოვფერებოდი და მეტირა მასთან ერთად. მაგრამ ამასთანავე ვგრძნობდი, რომ მასთან ლაპარაკი აღარ შემეძლო, არ შემეძლო გულახდილობა და ახლა ჩვენს შორის აღარ იყო ძველებური ურთიერთობა, რამდენჯერმე ვიფიქრე — ავდგები, გადავალ მის საწოლზე, დავწვები მის გვერდით და მოვეხვევი, მაგრამ ყოველთვის რაღაც მაჩერებდა და ბოლოს ჩამეძინა.

მეორე დღეს და შემდეგშიც იგივე გრძელდებოდა. როზეტა თითქმის არ მელაპარაკებოდა. იმიტომ კი არა, რომ ნაწყენი იყო, უბრალოდ აღარაფერი ჰქონდა ჩემთან სალაპარაკო. კლორინდო სულ იმის გარშემო ტრიალებდა, ჩემიც კი აღარ რცხვენოდა, ჩქმეტდა, ეხვეოდა, ლოყაზე უცაცუნებდა ხელს და სხვა მაგდაგვარი, როზეტა არ ეწინააღმდეგებოდა, მას მოსწონდა მორჩილება — იგი თითქოს მადლობელიც იყო ამ ალერსისათვის; კონჩეტა კი მხოლოდ ხელებს შლიდა და იმეორებდა:

— რა შესანიშნავი წყვილია!

მე გულზე ლოდი მაწვა, ვიტანჯებოდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო, უბრალოდ არ შემეძლო, მორჩა და გათავდა.

ერთხელ როზეტას მის საქმროზე ჩამოვუგდე ლაპარაკი, რომელიც იუგოსლავიაში იყო. იცით რა მიპასუხა ამაზე:

— მანაც, ალბათ, ვინმე სლავი ქალი იშოვა. მერე, მთელი სიცოცხლე ხომ ვერ დაველოდები.

როზეტა ახლა ძალიან იშვიათად რჩებოდა შინ, რადგან კლორინდო

სულ თან დაათრევდა. მანქანით, შეიძლება ითქვას, რომ მანქანა მათი სახლი გახდა. ნეტავი გენახათ როგორი დამჯერი იყო, როგორ დასდევდა კუდში. საკმარისი იყო კლორინდო გამოსულიყო მდელოზე და დაეძახა, რომ იგი მაშინვე კისრისტეხით გარბოდა მისკენ. თანაც სახელს კი არ უძახოდა, უბრალოდ უსტვენდა, როგორც ძაღლებს უსტვენენ ხოლმე, და მას ალბათ მოსწონდა, რომ ძაღლსავით ექცეოდნენ. ცხადია, კლორინდომ იმით მიიზიდა, რომ მასთან, როგორც ქალთან ცხოვრობდა, ხოლო როზეტამ, რაკი ერთხელ იგემა მამაკაცის სიახლოვე, ვეღარ ძლებდა უამისოდ, როგორც ლოთი ვერა სძლებს უღვინოდ და მწეველი უთუთუნოდ. დიახ, მას ახლა მოსწონდა ის, რაც მაროკოელებმა ძალით განაცდევინეს. შეიძლება ეს ყველაზე უფრო სამწუხარო შედეგი იყო იმისა, რაც დაემართა. მე კი ვერაფრით ვერ ვურიგდებოდი ამას; განა საშინელება არ იყო, რომ იმის მაგივრად, ძალადობას გაქცეოდა, როზეტა ნებდებოდა, ეძებდა კიდეც ამ ძალადობის გაგრძელებას!

როზეტა და კლორინდო დადიოდნენ ფონდიში, ახლო-მახლო სოფლებში, ხანდახან ფროზინონეში, ტერაჩინასა და ნეაპოლშიც კი. და მაშინ შინ არ იძინებდნენ. ყოველი მგზავრობის შემდეგ როზეტა სულ უფრო ეჩვეოდა კლორინდოს და ვხედავდი, რომ ივი სულ უფრო ეცემოდა: ჩემს ჟინიან მზერას არ გამოეპარებოდა მასში მომხდარი სულ მცირედი ცვლილებაც კი. რომში დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც აღარ იყო, თანაც მოკავშირეებს ჯერ არ გაეთავისუფლებინათ ქალაქი. მაგრამ კლორინდო გადაკვრით ამბობდა, მოკავშირეების იქ შესვლის შემდეგაც ძნელი იქნება რომში დაბრუნებაო. რომი, რასაკვირველია, სამხედრო ზონად იქცევა და ქალაქში შესასვლელად, ღმერთმა იცის, რანაირი ქაღალდები დაგვჭირდება და ვინ იცის, როდის და როგორ შევძლებთ ამ საშვების მიღებას. ერთი სიტყვით, ის მომავალი, რომელიც განთავისუფლების დღეებში ასეთი ნათელი და უღრუბლო მეჩვენებოდა, ახლა შავი ღრუბლებით დაიფარა. ამის მიზეზი როზეტას ყოფაქცევა და ეს კლორინდო იყო. არც კი ვიცოდი, მინდოდა თუ არა რომში ძველებურ ცხოვრებას დავბრუნებოდი, რადგან ვიცოდი, რომ ეს ცხოვრება უკვე ვეღარ იქნებოდა ისეთი, როგორიც წინათ, და ჩვენც გამოვიცვალეთ. დღეები, რომლებიც ფორთოხლის ბაღებში, ვარდისფერ სახლში გავატარე, ყველაზე საშინელი იყო ჩემი ცხოვრების იმ პერიოდში. როზეტა რომ კლორინდოს გადაეკიდა არა მარტო ვხვდე-

ბოდი ამას, არამედ ჩემი თვალითაც ეხედავდი, რადგან მათ ეს ლამის ჩემს თვალწინ ექნათ. ხანდახან, მაგალითად, ჩვენ უკვე ვიწექით ხოლმე, როცა ეზოდან ნაცნობი სტვენა ისმოდა. როზეტა მაშინვე წამოხტებოდა ლოგინიდან, მე გაბრაზებული ვეკითხებოდი:

— სად მიდიხარ ასე გვიან? ვერ მეტყვი სად მიდიხარ? მაგრამ იგი არც კი მიპასუხებდა; საჩქაროდ იცვამდა და გარბოდა. სახე დაძაბული და ხარბი ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა ლენოლიდან დაბრუნდა. და მე მივხვდი, რომ როზეტა ისეთი აღარ იყო, როგორც წინათ, და არასოდეს აღარ იქნებოდა ძველებური როზეტა. ერთხელ კი კლორინდოს ჩვენთან ფარდულში ეძინა. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის იყო: გამომეღვიძა და მესმის, რომ როზეტას საწოლი ჭრიალებს და ვიღაც ჩურჩულებს. მე სიბნელეში წამოვჯექი საწოლზე და ვეკითხები როზეტას, სძინავს თუ არა. მან გაჯავრებით მიპასუხა:

— რასაკვირველია, მძინავს, მაშ რას ვიზამ? ტყუილად გამაღვიძე.

მე არ დავუჯერე, მაგრამ მაინც დავწექი, ისინი კი გაინაბნენ და ელოდნენ როდის დავიძინებდი. მხოლოდ გათენებისას გაიპარა კლორინდო ჩვენგან. მაშინ არ მინდოდა სანთლის ანთება, რადგან მეზიზღებოდა ლოგინში მათი ერთად დანახვა. როცა გათენებისას მიდიოდა, თავი მოვიმძინარე, თვალდახუჭული ვიწექი, მაგრამ გავიგე როდის წავიდა, იმიტომ რომ კარმა ოდნავ გაიჭრიალა. მაგრამ უფრო ხშირად ისინი ვახშმის შემდეგ მიდიოდნენ სადღაც მანქანით და გვიან ღამით ბრუნდებოდნენ. ასე მეორდებოდა თითქმის ყოველდღე. ერთი სიტყვით, ისინი ტკბებოდნენ თავიანთი სიყვარულით; კლორინდოს თვალები ჩაულურჯდა, გახდა, როზეტა კი ამასობაში უფრო დაქალდა; იგი ისეთი მიბნედილი და კმაყოფილი დადიოდა, როგორც, ჩვეულებრივად, ქალები, რომლებიც ხშირად და სიამოვნებით შვრებიან მამაკაცებთან ასეთ რამეებს, თანაც თუ ეს კაცი მოსწონთ და მამაკაცსაც მოსწონს ისინი.

ასე გავიდა ერთი თვე და მე უკვე ვიმშვიდებდი თავს, რომ კლორინდო მაინც ლამაზი ყმაწვილია, ყავს საკუთარი მანქანა. სპეკულაციას ეწევა და ბევრ ფულსა შოულობს. იგი შეირთავს როზეტას და ყველაფერი მოგვარდება. ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც მახარებდა, კლორინდო მეზიზღებოდა, მაგრამ როცა ასეა, ვერაფერს გახდები, თანაც მე კი არ მივყვებოდი ცოლად, არამედ როზეტა და თუ მას მოსწონდა, მე უძლური ვიყავი. ისინი შეუღლდებიან, ვფიქრობდი მე,

გადავლენ ფროზინონეში, სადაც კლორინდოს ოჯახი ცხოვრობს, ბავშვები ეყოლებათ და როზეტა ბედნიერი იქნება. ეს ცოტათი მამშვიდებდა, მაგრამ ოდნავ მაწუხებდა ის, რომ არც კლორინდო და არც როზეტა არასოდეს არ ლაპარაკობდნენ შეუღლებაზე. ამიტომ, ერთხელ, ვახშმის შემდეგ, როცა მე და როზეტა მარტონი დავრჩით, ძალა მოვიკრიბე და ვკითხე:

— მე არ მინდა ვიცოდე რას აკეთებთ, როცა მარტონი რჩებით, მაგრამ მაინც მაინტერესებს ის რას ფიქრობს? და თუ, როგორც იმედი მაქვს, სერიოზული განზრახვა აქვს, როდის აპირებთ დაქორწინებას?

როზეტა ჩემს პირდაპირ საწოლზე იჯდა და ფეხსაცმელს იხდიდა. იგი გაიმართა, შემომხედა და თითქოს ჩვეულებრივ რამეს ამბობსო, მითხრა:

— კლორინდოს უკვე ჰყავს ცოლი, დედა. ფროზინონეში ცოლი და ორი შვილი ჰყოლია.

ეს რომ გავიგონე, სისხლი თავში ამივარდა, იცით, მე ჩოჩარა ვარ! ჩვენ, ჩოჩარებს, სისხლი ცხელი გვაქვს და ადამიანის მოკვლა ჩვენთვის არაფერს არ ნიშნავს. ანგარიშს აღარ ვუწევდი ჩემს თავს, თუ რას ვაკეთებდი. წამოვხტი საწოლიდან, ვეცი როზეტას, ვტაცე საყელოში ხელი, დავაგდე ლეიბზე და გაბრაზებულმა სახეში ცემა დავუწყე. იგი ხელებით იფარავდა სახეს, მე კი გამეტებით ვცემდი და ვუყვიროდი:

— მოგკლავ... შენ კახპობა გინდა, მაგრამ სანამ მთლად გაბოზდებოდე, ჩემი ხელით მოგკლავ. იგი იცავდა თავს როგორც შეეძლო, სახეზე ხელებს იფარებდა, მაგრამ ამას ჩუმად აკეთებდა და გაქცევასაც არ ცდილობდა. ბოლოს დავიღალე და თავი გავანებე, მაგრამ იგი კვლავ არ განძრეულა, საწოლზე იწვა და თავი ბალიშში ჩაერგო. არ ვიცი რას აკეთებდა: ტიროდა თუ ისე ფიქრობდა. მე დიდხანს ვერ მოვედი გონს. ვიწექი საწოლზე და სასოწარკვეთილება სულ უფრო მიპყრობდა: რომ მომეკლა კიდეც, ამით ვერაფერს მივაღწევდი. მე უძლური ვიყავი, როზეტა არ მიჯერებდა და არასოდეს აღარ დამიჯერებდა. არავითარი ზეგავლენა აღარა მქონდა მასზე, ბოლოს გაბოროტებულმა ვთქვი:

— მაშ მე მოველაპარაკები იმ არამზადა კლორინდოს! ვნახოთ, რას მიპასუხებს, ეგ უნამუსო.

როზეტა წამოდგა და საწოლზე ჩამოჯდა, თვალები მშრალი ჰქონდა, სახეზე კი სრული გულგრილობა ეხატებოდა, მან მშვიდად მითხრა:

— შენ ვეღარასოდეს ვეღარ ნახავ კლორინდოს, იგი ოჯახს დაუბრუნდა, ფონდიში არავითარი საქმე აღარა აქვს, იგი ფროზინონეში წავიდა. დღეს ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და მეც ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ. მის სიმამრს უთქვამს, რომ უკან წაიყვანს თავის ქალიშვილს თუ კლორინდო არ დაუბრუნდება ცოლს, და რადგან ფული ცოლს ეკუთვნის, უნდა დამორჩილებოდა.

მე თითქოს თავში ჩამკრეს: არასოდეს არ მეგონა, რომ ამაზე ასე მშვიდად ილაპარაკებდა, თითქოს ეს ამბავი სრულებით არ ეხებოდა. კლორინდო მისთვის ხომ მაინც პირველი მამაკაცი იყო და მე გულის სიღრმეში იმედი მქონდა, რომ მათ უყვარდათ ერთმანეთი; და უცებ აღმოჩნდა, რომ იგი, როგორც ქუჩის ქალთან ისე ცხოვრობდა მასთან, როზეტა ყიდდა თავის სხეულს, კლორინდო კი ყიდულობდა და ახლა სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. სრულიად დაუნანებლად, უცნობებივით შორდებიან ერთმანეთს. როგორც ჩანს, როზეტა მართლაც ძალიან გამოცვლილა. მე სულ ამას ვეუბნებოდი ჩემს თავს, მაგრამ მაინც ვერ ვეგუებოდი ამ აზრს. ძალა არ შემწევდა ჩემს შვილში უცხო ქალი დამენახა, რომელმაც ჩემი როზეტა შეცვალა. გულმოკლულმა ვუთხარი:

— გამოდის, რომ სათრევად ჰყავდი, ახლა კი წავიდა და მიგაგდო; შენ კი ამაზე მშვიდად ლაპარაკობ?

მან კი მიპასუხა:

— აბა როგორ უნდა ვილაპარაკო?

გაცოფებულმა ისევ ავწიე ხელი და როზეტა დაფრთხა. გამეცალა, თითქოს ეშინოდა, კიდევ არ მეცემა. გული შემეკუმშა, იმიტომ, რომ დედას შვილის სიყვარული სჭირდება და არა შიში. მე ვუთხარი:

— დამშვიდდი, აღარა გცემ. მხოლოდ გული მიკვდება, რომ ქუჩის ქალი გახდი.

მან არაფერი მიპასუხა, ისევ ტანსაცმლის გახდა დაიწყო. და უცებ ვეკითხები სასოწარკვეთით აღსავსე მაღალი ხმით, ისე რომ თვითონაც გამიკვირდა:

— მაშ ახლა ვინღა წაგვიყვანს რომში? კლორინდო ხომ დაგვპირდა წაყვანას, როგორც კი მოკავშირეები გაათავისუფლებდნენ რომს. მოკავშირეები უკვე რომში არიან, კლორინდო კი წავიდა. მაშ ვინ წა-

გვიყვანს? მაგრამ რაც არის არის, ხვალ მივდივართ რომში, თუნდაც იქამდე სულ ფეხით მომიხდეს სიარული.

— მოვიცადოთ რამდენიმე დღე, — მშვიდად მიპასუხა როზეტამ. — კონჩეტას რომელიმე შვილი, ჯუზეპე ან როზარიო ჩამოვა ამ დღეებში და ორივეს წაგვიყვანს რომში. ისინი ხვალ საღამოს აქ იქნებიან. ძათ კლორინდო გააცილეს ფროზინონეში. მათი ამხანაგობა დაიშალა და ძმებმა კლორინდოს მანქანა იყიდეს. ნუ ღელავ. ჩვენ დავბრუნდებით რომში.

არც ეს მომეწონა მაინცდამაინც. კონჩეტას ვაჟები აქამდე არ გამოჩენილან. ისინი მგონი სპეკულაციას ეწეოდნენ ნეაპოლში. მაგრამ კარგად მახსოვდნენ ჯერ კიდევ პირველად აქ ყოფნის დროიდან და მათდამი, თუკი ეს შესაძლებელია, უფრო ნაკლები სიმპათია მქონდა, ვიდრე კლორინდოსადმი. სულ არ მინდოდა მათთან ერთად რომში დაბრუნება და ვთქვი:

— შენთვის კი ყველაფერი სულერთია ხომ?

მან შემომხედა და მკითხა:

— რად მაწვალებ ასე, დედა?

ეს ისე ალერსიანად მითხრა, რომ პირდაპირ გული ამიჩუყა და ვუთხარი:

— იმიტომ, ჩემო ძვირფასო, რომ შენ, ჩემის აზრით, ძალიან გამოიცვალე და არავისადმი, ჩემდაშიც კი, არავითარი გრძნობა აღარ დაგრჩა.

ის კი მეუბნება:

— მართალია, გამოვიცვალე, არ უარვყოფ, მაგრამ შენთვის ისევ ის როზეტა ვარ.

ხედავთ, იგი მაინც აღიარებდა, რომ გამოიცვალა, მაგრამ ამავე დროს ამბობდა, რომ ძველებურად ვუყვარდი. არ ვიცოდი, მწყენოდა ეს თუ გამხარებოდა, ამიტომ გავჩუმდი და საუბარი ამით დამთავრდა.

როზეტა მართალი აღმოჩნდა: მეორე დღეს ფროზინონეედან მანქანა მოვიდა, მაგრამ მასზე კონჩეტას მხოლოდ ერთი ვაჟი — როზარიო იჯდა. მეორე ფროზინონეედან პირდაპირ ნეაპოლში წასულა. მე არც ერთი მათგანი არ მომწონდა, მაგრამ როზარიო ძმაზე უარესი ჩანდა. ჯუჯა, ჩასხმული, უხეში, ოთხკუთხა სახით, დაბალი შუბლით, თვალებზე ჩამოფხატული ქოჩრით; ცხვირი თითქოს მოთლილი ჰქონდა, ყბა მძიმე, რომში ასეთებს „ბურინოს“ ეძახიან, რაც უხეშ, ხეპრე, გაუნათ-

ლებელ კაცს ნიშნავს; ამასთანავე, როზარიოს არც ჭკუის, არც გრძნობის ნატამალი არ ჰქონდა. ახლა კი ჩამოვიდა თუ არა, სუფრაზე ენა არ გაუჩერებია. როზეტას უთხრა:

— კლორინდომ მოკითხვა შემოგითვალა, დაგიბარა, როცა რომში იქნები, შენს სანახავად მოვალო.

როზეტას თავი არ აუღია, ძალიან მშრალად უთხრა: — გადაეცი, ნუ ჩამოვა, მე აღარა მსურს მისი ნახვა.

მაშინ პირველად მივხვდი, რომ როზეტას გულგრილობა მოჩვენებითი იყო. მას შეუყვარდა კლორინდო და შეიძლება ახლაც ჯერ კიდევ წუხდა მასზე. იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ არ მესიამოვნა, რომ იგი ამ არამზადის გულისთვის იტანჯებოდა, ეს გულგრილობაზე უარესი იყო. როზარიომ ჰკითხა:

— რატომ? გაჯავრებული ხარ მასზე? აღარ მოგწონს?

მე ვბრაზობდი, რომ როზარიო ასე უხეშად და უზრდელად ელაპარაკებოდა როზეტას, როგორც ქუჩის ქალს ელაპარაკებიან ხოლმე, მათ კი უფლება არა აქვთ აღშფოთდნენ ასეთი მოქცევის გამო, ანდა უბრალოდ ეწყინოთ მაინც, მაგრამ როზეტას პასუხმა უფრო გამაბრაზა:

— კლორინდო არ უნდა მომქცეოდა ასე. მას არასოდეს არ უთქვამს ჩემთვის, რომ ცოლიანია. ეს მხოლოდ გუშინ გავიგე, როცა დაშორება გადავწყვიტეთ. სანამ მისთვის მოსახერხებელი იყო დაენალა ეს ჩემთვის — მიმალავდა, ხოლო როცა მოსახერხებელი გახდა ეთქვა — მითხრა.

ასეთი ბედი მქონია, მე სრულებით აღარ მესმოდა როზეტასი. ვერ გამეგო რა ემართებოდა, ამიტომ, კვლავ განმაცვიფრა და გული მატკინა მისმა სიტყვებმა: მაშასადამე, მან მხოლოდ უკანასკნელ წუთს გაიგო, რომ კლორინდო ცოლშვილიანია. ამას კი ისე ამბობდა, თითქოს უმნიშვნელო რამეზე წაკინკლავდნენ. ამას ქუჩის ქალივით ამბობდა, რომელსაც არც სიამაყე და აღარც ღირსება არ შერჩენია და იცის, რომ ვეღარ დაიბრუნებს საყვარელ ადამიანს; სული შემეხუთა. როზარიომ კი ჩაიქირქილა და ჰკითხა:

— რატომ უნდა ეთქვა? თქვენ ხომ შეუღლებას არ აპირებდით?

როზეტამ თავი ჩაღუნა და არაფერი უპასუხა, მაგრამ ამ დროს ეს კუდიანი კონჩეტა ჩაერია:

— ახლა მუდამ ასე ხდება; ომმა ყველაფერი არია. ყმაწვილები

ეარშიყებიან ქალიშვილებს და არაფერს ეუბნებიან, რომ ცოლები ჰყავთ. ქალიშვილები კი ისე ნებდებიან ყმაწვილებს, რომ არც კი ეკითხებიან — შეირთავენ თუ არა ცოლად. ახლა ყოველთვის ასე ხდება, ყველაფერი გამოიცვალა, რა განსხვავებაა, ცოლიანია კაცი თუ არა, ჰყავს თუ არა შვილები? ახლა ასე ფიქრობენ, მთავარია, ყმაწვილს და ქალიშვილს უყვარდეთ ერთმანეთი, კლორინდოს კი მართლა უყვარდა როზეტა, შეხედეთ, როგორ გამოაწყო, წინათ მაწანწალა ბოშა ქალსა გავდა, ახლა კი ნამდვილ სენიორასავით დადის.

კონჩეტა ყოველთვის მზად იყო არამზადების დასაცავად, რადგან თვითონაც არამზადა იყო, მაგრამ ახლა მაინც სიმართლე თქვა: ომმა მართლაც შეცვალა ყველაფერი. აი, მაგალითად, ჩემი ქალიშვილი რომ ავიღოთ — წმინდა, უმანკო ანგელოზიდან იგი უნამუსო კახპად იქცა. მე ყველაფერი ეს ვიცოდი, ვიცოდი, რომ კონჩეტა მართალს ამბობდა, მაგრამ მისი სიტყვები მაინც დანასავით დამესო გულზე, აღვშფოთდი და ვიყვირე:

— გამოიცვალა, როგორ არა! თქვენ ხომ ომს ელოდებოდით, შენც და შენი შვილებიც, ეგ არამზადა კლორინდოც, ეს კაცისმკვლელი მარიკოელებიც — ყველა მას ელოდებოდით, რომ გაგეკეთებინათ ის, რისთვისაც მშვიდობიან დროს ვაჟკაცობა არა გყოფნიდათ! მამა გიცხონდათ! მე თქვენ გეუბნებით, რომ არ იქნება ისე, როგორც თქვენ გინდათ, ადრე თუ გვიან ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება და მაშინ შენ, შენს შვილებსა და კლორინდოს ცუდი დღე დაგადგებათ, ძალიან ცუდი დღე, აი მაშინ ნახავთ, რომ კიდევ არის ქვეყნად პატიოსნებაც, რელიგიაც და კანონებიც და პატიოსანი ხალხი უფრო დაფასდება, ვიდრე არამზადები.

ჩემს სიტყვებს გამოეხმაურა ვინჩენცო, ეს მტკნარი ყეყეჩი, რომელმაც თავისი პატრონი გაძარცვა, იგი თავს იქნევდა და იმეორებდა:

— სრული ჭეშმარიტებაა, სრული ჭეშმარიტება.

კონჩეტამ მხრები აიჩეჩა და თქვა:

— რამ გაგაცხარა? უნდა იცხოვრო და სხვასაც მისცე ცხოვრების საშუალება, სხვასაც მისცე ცხოვრების საშუალება და შენც იცხოვრო.

როზარიომ კი გადაიხარხარა და წამოიძახა:

— შენ, ჩეზირა, ომამდელი ქალი ხარ, ჩვენ კი: მე, ჩემი ძამია, როზეტა, დედაჩემი და კლორინდო — ყველანი ომის შემდგომი დროის ადამიანები ვართ. აი მაგალითად, წავიღე ნეაპოლში მთელი მანქანა ამე-

რიკული კონსერვები და ჯარისკაცის სათბურები, ყველაფერი იქვე გავყიდე, ამ ფულით საქონელი ვიყიდე, რომელსაც ჩოჩარეთში დიდი გასავალი აქვს — და აი შედეგი.

ამ სიტყვებით მან ჯიბიდან ფულის მთელი დასტა ამოათრია და ცხვირწინ ამიფრიალა.

— ერთ დღეში მეტი ვიშოვე, ვიდრე მამაჩემმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში. ჩვენ ადამის დროს როდი ვცხოვრობთ, ახლა ყველაფერი შეიცვალა, შენ უნდა აღიარო ეს. თანაც ასე რატომ ღელავ როზეტაზე? მანაც გაიგო, რომ ახლა, ომის შემდეგ, სხვანაირად უნდა ვიცხოვროთ, ვიდრე ომამდე ვცხოვრობდით და ფეხი აუწყო ცხოვრებას, ისწავლა ცხოვრება, შენ იქნება არასოდეს არ მოგწონდა სამიჯნურო საქმეები, შენ გასწავლიდნენ, რომ სიყვარული პატრის დაულოცავად არ არის ნამდვილი სიყვარული და ასეთი სიყვარული საერთოდ არ არსებობს. როზეტამ კი იცის, რომ სიყვარული პატრით თუ უპატროდ, მაინც სიყვარულია. შენ ხომ იცი ეს, როზეტა? უთხარი დედაშენს, რომ იცი.

როზარიოს სიტყვებმა თავზარი დამცა. როზეტა კი მშვიდად და აუღელვებლად იჯდა და მომეჩვენა, რომ კვერსაც კი უკრავდა მის სიტყვებს. როზარიომ განაგრძო:

— მაგალითად, ამას წინათ, ჩვენ ოთხნი — როზეტა, კლორინდო, ჩემი ძამია და მე ნეაპოლში ვიყავით. შეგობრულად ვიქცეოდით, არავითარი ეჭვიანობა და მისთანა სისულელეები. როზეტაც ჩვენთან იყო და სამივეს მოგვწონდა, მაგრამ ჩვენ ისეთივე მეგობრები დავრჩით, როგორც წინათ ვიყავით. და ძალიან მხიარულადაც გავატარეთ დრო. ხომ მართლა კარგად გავატარეთ დრო, როზეტა?

მე მთელი ტანით ავკანკალდი; მივხვდი, რომ როზეტა მარტო კლორინდოს საყვარელი კი არ იყო, თუმცა ეს თავისთავად საშინელებად მიმაჩნდა, არამედ მთელ ბრბოს ართობდა, მაშასადამე, ნებდებოდა არა მარტო კლორინდოს, რაც მე უკვე ვიცოდი, და არა მარტო როზარიოს, რაც ახლა გავიგე, არამედ კონჩეტას მეორე შვილსაც და შეიძლება კიდევ ვინმე ნეაპოლელ არამზადას, რომლებიც ქალების ხარჯზე ცხოვრობენ და მათ საქონელივით ცვლიან. როზეტა ნამდვილი ქუჩის ქალი გამხდარიყო, რომელთანაც მამაკაცები რასაც უნდათ იმას სჩადიოდნენ. მაშინ მაროკოელებმა შეურაცხყვეს იგი, მაგრამ ამავე დროს რაღაცამ, რაც მანამდე არ იცოდა, დასწვა მისი სხეული, და ახლაც წვავდა, ამიტომ უნდოდა, ყველა შემხვდური მამაკაცი ისევე მოქ-

ცეოდა, როგორც მარიოკოელები მოექცნენ. ჩვენ გავათაევეთ ვახშამი, როზარიო წამოდგა სუფრიდან, შეიხსნა ქამარი და თქვა:

— რატომღაც მანქანით გასეირნება მომინდა, ხომ წამოხვალ ჩემთან, როზეტა?

დავინახე, რომ როზეტამ თანხმობის ნიშანი მისცა, დადო ხელსახოცი და ადგომა დააპირა. კვლავ ხარბი, გარყვნილი და დაძაბული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, რომელიც ერთხელ უკვე ვნახე, როცა ის პირველად კლორინდოსთან გაიქცა. მე თითქოს ვიღაცამ ხელი მკრაო, ვთქვი:

— არსად არ წახვალ, აქ დარჩები.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. როზარიომ გაკვირვებით შემომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: რა მოხდა? დედამიწა ხომ არ გადაბრუნებულაო?

მერე როზეტას მიუბრუნდა და უბრძანა:

— აბა, წამოდი; დაუჩქარე, დაუჩქარე!

მე კვლავ ვთქვი, თუმცა უკვე არა ბრძანების კილოთი, არამედ თხოვნით:

— არ წახვიდე, როზეტა.

მაგრამ როზეტა წამოდგა და მიპასუხა:

— ჩვენ მოგვიანებით ვნახავთ ერთმანეთს, დედა.

უკან მოუხედავად გაჰყვა როზარიოს, დაეწია, მკლავში ხელი გაუყარა და ორივენი ფორთოხლის ხეებს მიეფარნენ. როზეტა უხმოდ დაემორჩილა როზარიოს, როგორც წინათ კლორინდოს ემორჩილებოდა; ახლა ალბათ წევს როზარიოსთან სადმე ბალახებში და მის ვნებას აკმაყოფილებს. მე კი არაფრის გაკეთება არ შემიძლია. კონჩეტამ წამოიძახა:

— დედას, რასაკვირველია, შეუძლია აუკრძალოს ის, რაც არ მოსწონს. მას აქვს ამის უფლება. მაგრამ შვილსაც აქვს უფლება გაჰყვეს მამაკაცს, რომელიც მოსწონს, რატომაც არა? დედებს არასოდეს არ მოსწონთ ისინი, ვინც მოსწონთ შვილებს, მაგრამ სიშაბუკესაც აქვს თავისი უფლებები და ჩვენ, დედებს, უნდა გვესმოდეს ეს და ვაპატიოთ, ვაპატიოთ და გავიგოთ.

მე არაფერი ვუპასუხე. თავჩაქინდრული ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ტრიალებდნენ და ბზუოდნენ ლამპის გარშემო მაისის ხოჭოპეპლები; ზოგიერთები ცეცხლს ედებოდნენ, იწვებოდნენ და მკვდრები

მაგიდაზე ცვიოდნენ. ასევე მოუვიდა ჩემს საცოდავ როზეტასაც: ომის ცეცხლმა დაწვა, და იგი მოკვდა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც.

იმ ღამეს როზეტა ძალიან გვიან დაბრუნდა. მე უკვე მეძინა და ვერ გავიგე მისი მოსვლა. ღამე დიდხანს ვერ დავიძინე, სულ მასზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი იმაზე, თუ რა დაემართა და როგორი გახდა. მერე რატომღაც მიქელე გამახსენდა და დიდხანს ვფიქრობდი მასზე, სანამ არ ჩამეძინა. ძალა არ მეყო წავსულიყავი ფესტებთან და მეთქვა, როგორ შემაწუხა მიქელეს სიკვდილმა, რომელიც ღვიძლი შვილივით მიყვარდა და შვილივით დავტიროდი, ამ სიკვდილის, ასეთი სასტიკი და მწარე შედეგის, მოგონება ეკალივით ჩამესო გულში და შიგ ჩარჩა. ასეთია ალბათ ომი, როგორც კონჩეტას უყვარს ხოლმე თქმა, საუკეთესო ადამიანები, ყველაზე გულადი, კეთილი და პატიოსანი ხალხი იღუპება ომის დროს: ზოგიერთებს კლავენ, როგორც მიქელე მოკლეს, ზოგიერთები სიკვდილამდე დასახიჩრებული რჩებიან, როგორც ჩემი როზეტა. სულმდაბლები კი, ვისაც არც ვაჟკაცობა, არც რწმენა, არც სიამაყე არ გააჩნია, ვინც ქურდი და ავაზაკია, მხოლოდ თავის თავზე და თავის ჯიბეზე ფიქრობს, — ასეთი ხალხი უთუოდ გადარჩება, ცხოვრობს, იფურჩქნება და ხშირად წინანდელზე უფრო უტიფარი და ბოროტმოქმედი ხდება. კიდევ იმაზე ვფიქრობდი, მიქელე რომ ცოცხალი ყოფილიყო, უსათუოდ რაიმე კარგ რჩევას მომცემდა. მე არ წავიდოდი ფონდიდან ჩემს სოფელში, არ შევხვდებოდი მაროკოელებს, და როზეტა ისეთივე წმინდა და უბიწო დარჩებოდა, როგორიც აქამდე იყო. მე ვიმეორებდი, რომ მიქელე არ უნდა მომკვდარიყო, რადგან ჩემთვის და როზეტასთვის მამაც იყო, ქმარიც, ძმაც და შვილიც; ის წმინდანივით კეთილი იყო, მაგრამ საჭიროების დროს დიდ სიმტკიცეს და შეუბრალებლობას იჩენდა როზარიოსა და კლორინდოსთანა არამზადების მიმართ. მას ჰქონდა ძალა, რომელიც მე არ გამაჩნდა, იგი განათლებული იყო, ბევრი რამ იცოდა და შეეძლო ცხოვრების ავკარგის გაგება. მე კი მთელი სიცოცხლე მიწაზე დავფოფხავდი, წერა-კითხვა ძლივს ვიცოდი და ჩემი სახლისა და დუქნის მეტი არაფერი მეკითხებოდა.

უცებ მთლად სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, გონება დავკარგე და ვუთხარი ჩემს თავს, რომ აღარ მინდა ამ ქვეყნად ცხოვრება, სადაც არამზადები და ყაჩაღები ბატონობენ, კარგი და პატიოსანი ხალხი კი იჩაგრება. ცხოვრებაში აღარაფერი დამრჩენია: როზეტა ის აღარ არის, მე კი არც რომი, არც ბინა, არც დუქანი აღარ მჭირდება. ერთი სიტყ-

ვით, გადავწყვიტე თავი მომეკლა, წამოვხტი ლოგინიდან, აკანკალებული ხელით ავანთე სანთელი, მოვძებნე სადღაც კუთხეში მიგდებული თოკი, რომელზეც კონჩეტა სარეცხს ფენდა, ავძვერი ჩალის დაწნულ სკამზე, ვიფიქრე, მივაბამ ამ თოკს ლურსმანზე ან კოპზე, ჩამოვიცვამ მარყუჟს კისერზე, ვკრავ ფეხს სკამს, ჩამოვეკიდები თოკზე და ბოლო მოეღება ამ მომაბეზრებელ ცხოვრებას-მეთქი. და აი, როცა თოკით ხელში ვეძებდი, თუ სად მიმება იგი, უცებ გავიგონე, რომ ჩემს უკან ჩუმად გაიღო კარი. მოვტრიალდი და კარებში მიქელე დავინახე, დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ის იყო, მიქელე ისევე გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, როცა ნაცისტებს მიჰყავდათ და უკანასკნელად ვნახე. მაშინდელივით შევამჩნიე, რომ შარვლის ცალი ტოტი გრძელი აქვს და ფეხსაცმელს უფარავს, მეორე კი მოკლე, კოჭამდე ძლივსა სწვდება. მას სათვალე ეკეთა, მაგრამ უკეთ რომ დავენახე თავი დაეხარა და სათვალის ზემოდან მიყურებდა, როგორც წინათ ხშირად იცოდა ხოლმე. როცა დაინახა, რომ თოკით ხელში სკამზე ვდგავარ, ხელი გაიქნია, თითქოს მითხრა: არა, შენ არ უნდა ქნა ეს. ნუ იზამ მაგასო.

მაშინ მე ვკითხე: — რატომ არ უნდა ვქნა-მეთქი?

მან ტუჩები აამოძრავა და რაღაც თქვა, მაგრამ ვერ გავიგონე, იცით, როგორც ხდება ხოლმე, როცა ცდილობთ გაიგოთ რას ამბობს ფანჯრის იქით მდგომი ადამიანი, მისი ტუჩები მოძრაობს, მაგრამ შუშა გიშლით გაიგოთ, თუ რას ამბობს.

მე დავუყვირე: — ხმამაღლა თქვი, არ მესმის-მეთქი.

და იმ წუთშივე გამომეღვიძა ჩემს ლოგინში, ოფლში გაღვარულს. მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი — თვითმკვლელობაზე ფიქრიც, მიქელეს მოსვლაც, მისი სიტყვებიც, რომელიც ვერ გავიგონე, — ყველაფერი სიზმარი იყო. მაგრამ გულში მაინც ძალიან მეწყინა და დიდხანს მაწუხებდა, რომ ვერ გავიგონე მიქელეს სიტყვები; ვერაფრით ვერ დავიძინე ამის შემდეგ, დიდხანს ვტრიალებდი და ვფიქრობდი — ნეტა რისი თქმა უნდოდა? ბოლოს გადავწყვიტე, რომ მიქელეს სურდა აეხსნა ჩემთვის, რატომ არ უნდა მომეკლა თავი, რატომ ღირდა სიცოცხლე, და რატომ არის ყველა შემთხვევაში სიცოცხლე სიკვდილზე უკეთესი. მესმოდა, რომ მიქელემ რამდენიმე სიტყვით ამიხსნა სიცოცხლის არსი, ჩვენ, ცოცხლებს, არ გვესმის იგი. მკვდრებისათვის კი ის ნათელზე ნათელია; მწყინდა ჰხოლოდ, რომ ვერ გავიგონე რა მითხრა, თუმცა მთელი ეს სიზმარი, ნამდვილი სასწაული იყო, მაგრამ

სასწაულს იმიტომ ჰქვია სასწაული, რომ შეიძლება ყველაფერი მოხდეს შეუძლებელიც კი. სასწაული, რასაკვირველია, მოხდა, ბაკრამ მხოლოდ სანახევროდ: მიქელე მოვიდა და ხელი შემიშალა თვითმკვლელობაში, ჩემი ბრალია, რომ ვერ გავიგონე. თუ რატომ არ უნდა მომეკლა თავი. ეტყობა, არ ვიყავი ამის ცოდნის ღირსი. მაშასადამე, უნდა განმეგრძო ცხოვრება და მეცხოვრა წინანდებურად, თუმცა ვერასოდეს ვერ გავიგებ, რატომ არის სიცოცხლე სიკვდილზე უკეთესი.

თავი მეთერთმეტე

როგორც იქნა დადგა რომში დაბრუნების სანატრელი დღეც, მაგრამ რარიგად არ ჰგავდა იგი იმას, რაზეც მე ცხრა თვეს ვოცნებობდი სანტ ეუფემიაში. მაშინ ვფიქრობდი, რომელიმე სამხედრო მანქანით რა მხიარულად დავბრუნდებოდით რომში ქერა, სიმპათიურ ინგლისელ ან ამერიკელ ყმაწვილებთან ერთად, ისინიც მხიარულნი და კმაყოფილნი იქნებიან; ჩემს გვერდით ზის როზეტა, ანგელოზივით წყნარი და მშვიდი, და ვინ იცის, შეიძლება მიქელეც, ისიც ძალიან კმაყოფილი. მივდივარ მანქანით და სულ ვიყურები, როდის გამოჩნდება ჰორიზონტზე წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათი. როცა რომს ვუახლოვდებით, მაშინვე ხედავთ მას. თავში კი ყოველგვარი ფიქრი მიტრიალებს მომავალზე: როზეტა, მისი ქორწილი, დუქანი, ბინა; ამ ცხრა თვის განმავლობაში ყველაფერი დაწვრილებით მოვიფიქრე. წარმოვიდგენდი ხოლმე როგორ ვბრუნდებით სახლში, ჩვენ გვხვდება მშვიდი, მომღიმარი ჯოვანი ჩამქრალი სიგარით პირში, გარს მეზობლები გვახვევიან, ჩვენ კი ყველას ვკოცნით და ღიმილით ვეუბნებით:

— აი, როგორც იქნა ჩვენც შინა ვართ, მერე მოგიყვებით, თუ რა გადაგვხვდა ამ დროის განმავლობაში.

და ხშირად ვამჩნევდი, როცა ყოველივე აბაზე და კიდევ მრავალ სხვა რამეზე ვფიქრობდი, ვიღიმებოდი ბედნიერი ღიმილით: ვერ წარმომედგინა, რომ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ერთი სიტყვით, მე არ ვიფიქრე იმაზე, კონჩეტას თქმისა არ იყოს, რომ ომი — ომია და დამთავრების შემდეგაც ომი კვლავ ომად რჩება, მომაკვდავ მხეცსაც შეუძლია საშინელი ჭრილობა მოგაყენოს. ასეთი ჭრილობა მივიღეთ ომისაგან სწორედ მაშინ, როცა იგი მთავრდებოდა: მარაოკოელებმა გააუპატიურეს როზეტა, ნაცისტებმა მოკლეს მიქელე, ჩვენ

რომში ამ არამზადა როზარიოს მანქანით გვიხდება დაბრუნება. და იმის მაგივრად, რომ მხიარულ და სასიამოვნო რამეებზე მეფიქრა, რაზედაც ხშირად მიოცნებია, შინ სასოწარკვეთილი ვბრუნდებოდი, გულზე შიში და სევდა მაწვა.

ივნისის შესანიშნავი დილა იდგა, ცხელი და მზიანი. ცა პირდაპირ იწვოდა, მიწა გაშრა და მტვრით დაიფარა. მე და როზეტა ფარდულში ვიცვამდით, როზარიო კი თავისი მანქანით გზაზე გველოდებოდა. იმ დღეს როზეტა სახლში მხოლოდ გათენებისას დაბრუნდა. ვიცოდი, რომ ისევ როზარიოსთან იყო, დავინახე, როგორ ჩუმად შემოვიდა ფარდულში, მაგრამ ძალა არ მეყო რაიმე მეთქვა. ჩემი სული კიოდა, ტუჩები კი სიტყვას ვერ სძრავდნენ. ბოლოს ძალა მოვიკრიბე და ვკითხე როზეტას, — ის ამ დროს კუთხეში ტაშტზე პირს იბანდა:

— შეიძლება გავიგო, სად იყავი წუხელ?

მე მეგონა, როზეტა არაფერს მიპასუხებდა, ან ორი-სამი სიტყვით მომიშორებდა, მაგრამ ამჯერად, ეტყობა გადაიფიქრა. მან ტანი შეიმშრალა, მობრუნდა ჩემკენ და მშვიდად, მკაფიოდ მითხრა:

— მე როზარიოსთან ვიყავი და მას დავნებდი. შენ კი ნუღარ მეკითხები სად დავდივარ, ვისთან და რას ვაკეთებ. შენ იცი: სადაც კი შემიძლია და როგორც შემიძლია დროს ვატარებ მამაკაცებთან. და კიდევ გეტყვი, რომ მომწონს მამაკაცებთან ყოფნა, არ შემიძლია და არც მინდა უმაგათოდ გაძლება.

მე დავუყვირე:

— რაღა მაინც და მაინც როზარიოსთან! იცი თუ არა, ვინ არის როზარიო?

ის კი მეუბნება:

— ის თუ სხვა, ჩემთვის სულ ერთია. მე უკვე გითხარი, რომ მინდა მამაკაცებთან ყოფნა, მინდა მათ ვეკუთვნოდე, ეს ერთადერთია, რაც მომწონს და რასაც სიამოვნებით ვაკეთებ. და ასე იქნება ახლა ყოველთვის, ამიტომ შეკითხვებს ნუღარ მაძლევ, რადგან ყოველთვის ასეთ პასუხს მიიღებ.

მას არასოდეს არ უთქვამს ჩემთვის ამგვარი რამ ასე პირდაპირ, და საერთოდ, პირველად მელაპარაკებოდა ამაზე; მივხვდი, სანამ ეს სიგიჟე არ გაუვლის, ისე უნდა მოვიქცე, როგორც მეუბნება, გავჩუმდე და არაფერი ვკითხო. ასეც მოვიქეცი, ჩუმად ვიცვამდი, საწოლის მეორე მხარეს კი როზეტა იცვამდა და სდუმდა.

როცა ფარდულიდან გამოვედით, როზარიო დავინახეთ; იგი თავისი დედის გვერდით სუფრასთან იჯდა და პურსა და ხახვს შეექცეოდა. კონჩეტა ჩვენს შესახვედრად წამოვიდა და როგორც ყოველთვის, სულმოუთქმელად დაიწყო ყოველგვარი სისულელეების როშვა. მე ეს წინათაც მაღიზიანებდა, ახლა კი მოთმინება აღარ მყოფნიდა მესმინა მისთვის.

— მაშ, მიდიხართ, რომში ბრუნდებით, ბედნიერებო; მიდიხართ და გვტოვებთ ჩვენ, სოფლის ღარიბებს. გვტოვებთ აქ, ამ უდაბნოში, სადაც არაფერი მოიპოვება; ყველანი შიმშილობენ, სახლები დანგრეულია, შიშველ-ტიტველი ხალხი მაწანწალებივით დაეხეტება. თქვენ ბედნიერები ხართ რომში რომ მიდიხართ, იქ სენიორები იქნებით. რომში ხომ ახლა ყველაფერი თავსაყრელია, იმას, რასაც ინგლისელები აქ მხოლოდ სამ დღეს არიგებდნენ, რომში მთელი წლის განმავლობაში აძლევენ. მაგრამ მე მახარებს თქვენი ბედი, რადგან მიყვარხართ, ხოლო ვინც გიყვარს იმის ბედნიერება მუდამ გახარებს.

მე მომბეზრდა მისი ქაქანი და ვუთხარი:

— ჰო, ჩვენ ბედნიერები ვართ, ჩვენ მართლაც ბედნიერები ვართ, ვერაფერს ვიტყვი! განსაკუთრებით გაგვიღიმა ბედმა, როცა ისეთ ოჯახს შევხვდით, როგორიც თქვენია.

მაგრამ მან დაცინვა ვერ გაიგო და მიპასუხა:

— "შენ ეს ხმამაღლა შეგიძლია თქვა. ჩვენი ოჯახი კარგი ოჯახია. თქვენ ჩვენთან ძალიან კარგად გრძნობდით თავს, ჩვენც როგორც დასა და შვილს ისე გექცეოდით, ჩვენთან ერთად ჭამდით, სვამდით და გეძინათ, და საერთოდ, რასაც გინდოდათ იმას აკეთებდით. დიახ, ჩვენნაირი ოჯახები ბევრი როდია.

— „საბედნიეროდ!" — კინაღამ წამომცდა მე, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა წავსულიყავი აქედან, თუნდაც ამ საზიზღარ როზარიოსთან ერთად, ოღონდ წავსულიყავი, მოეშორებოდი ამ მინდორს, რომელიც ისეთი ხშირი ფორთოხლის ჭალით იყო გარშემორტყმული, თითქოს ციხის კედელი ერტყა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ ვინჩენცოს, რომელმაც თავისებური სიყეყეჩით გვითხრა:

— უკვე მიდიხართ? თქვენ ხომ მხოლოდ ახლახან ჩამოხვედით? აგვისტომდე მაინც დარჩენილიყავით.

კონჩეტა კი გვეხვეოდა და მისი კოცნა მისი სიტყვებივით ხმაურიანი იყო. მეჩვენებოდა, რომ ამ კოცნაში ისეთივე დაცინვაა დამალული, როგორიც მის სიტყვებში. ბოლოს და ბოლოს ბილიკს გავუდექით და სამუდამოდ დავტოვეთ ეს დაწყევლილი ვარდისფერი სახლი. შარაგზაზე მანქანა იდგა, რომელშიც ჩავსხედით: როზეტა როზარიოს გვერდით, მე კი როზეტას გვერდით.

როზარიომ მომართა მოტორი, დაიწყო რაღაც მარშის ღიღინი და საზეიმოდ გამოაცხადა:

— მანქანა რომში მიემგზავრება.

მანქანა შარაგზით გზატკეცილისაკენ გაემართა. მზე უკვე მაღლა იდგა. ეს იყო ივნისის მცხუნვარე მზე, ხალისიანი, ახალგაზრდული ძალით აღსავსე. გზაზე მტვრის კორიანტელი იდგა, ცოცხალი ღობეებიც მტვრისაგან მთლად გათანგულიყო, ხოლო როცა მანქანა სვლას ანელებდა, გზის პირას ფოთლებში დამალული ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი ისმოდა. გავიგონე თუ არა ეს ჭრიჭინი, დავინახე თეთრი მტვერი გზაზე და ღობეებზე, თვალი მოვკარი ტოროლებს, რომლებიც შურდულის ქვასავით ეცემოდნენ გზაზე, ჰკენკავდნენ ჯორების ნაკელს, მერე კი ელვის სისწრაფით სწყდებოდნენ მიწას და ცაში შეინავარდებდნენ, — ცრემლი მომერია. ეს იყო სოფელი, ჩემი საყვარელი სოფელი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მასთან ვეძებდი შველას შიმშილისა და ომისაგან, როგორც ეძებენ შველას ძალიან მოხუც და მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილ დედასთან, რომელსაც მაინც შერჩენია კეთილი გული, ყველაფერს გაგიგებს და ყველაფერს გაპატიებს. მართალია, სოფელმა მიმტყუნა და ჩემი აქ ყოფნა ძალიან ცუდად დამთავრდა; ახლა კი მეც შევიცვალე, თუმცა სოფელი ისეთივე დარჩა. მზე ანათებდა და ათბობდა ყველაფერს, ჩემი გაყინული გულის გარდა. ჭრიჭინების ხმა, რომელიც ესოდენ სასიამოვნოა, როცა ახალგაზრდები სიცოცხლეს შეყვარებულნი ვართ, ახლა როცა არაფრის იმედი არა მქონდა, მომაბეზრებლად მეჩვენებოდა. მშრალი და ცხელი მტვრის სუნი, რომელიც უმანკო გრძნობებს აღძრავს, მახრჩობდა, თითქოს ვიღაცის მძიმე ხელი ცხვირ-პირს მიფარავდა. სოფელმა მიმტყუნა და მე ვბრუნდებოდი რომში უიმედოდ გულგატეხილი და სასოწარკვეთილი. მე ვტიროდი და ვსვამდი მწარე ცრემლებს, რომლებიც თვალების კილოებიდან პირდაპირ პირში ჩამდიოდა; ზურგი შევაქციე როზე-

ტას და როზარიოს, რომ არ დაენახათ ჩემი ცრემლები. მაგრამ როზეტამ მაინც შემამჩნია და მკითხა:

— რატომ ტირი, დედა?

მის ხმაში იმდენი სინაზე იყო, რომ ერთი წუთით იმედი მომეცა: სასწაული მოხდა და იგი ისევ ჩემი როზეტა გახდა-მეთქი. მინდოდა რაიმე მეპასუხა მისთვის, მივტრიალდი და უცბად დავინახე, რომ როზეტას ხელი უდევს როზარიოს მუხლებზე, სწორედ მუცლის ქვემოთ. გამახსენდა, რომ უკვე რამდენიმე ხანია ჩუმად იყვნენ და არ ინძრეოდნენ, მივხვდი თუ რას ნიშნავდა ეს დუმილი და სიჩუმე: ჩემი შვილი აქ, ჩემ თვალწინ ეძებდა მამაკაცთან სიახლოვეს; ამიტომაც გაუნაზდა ხმა. უსირცხვილოები, რას სჩადიან! და ეს მაშინ, როცა მას მანქანა მიჰყავს, შუადღისას, პირუტყვებივით, რომლებისთვისაც არც დროს და არც ადგილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მაშინ მე ვთქვი:

— იმიტომ ვტირი, რომ მრცხვენია.

გაიგონა თუ არა ეს როზეტამ შეკრთა და მომეჩვენა კიდეც, რომ ხელის აღება უნდოდა, მაგრამ იმ არამზადა როზარიომ ხელი დაუჭირა და ისევ იქ დაადებინა. ცოტა ხანს როზეტა ეწინააღმდეგებოდა, თუმცა, შეიძლება, ესეც მომეჩვენა; მერე როზარიომ თავი გაანება, მაგრამ როზეტას ხელი აღარ აუღია; მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მამაკაცთან სიახლოვის სურვილი როზეტაში ყოველგვარ სირცხვილს სძლევდა, თუკი ეს სირცხვილი საერთოდ შერჩენოდა.

მანქანა სწრაფად მიჰქროდა ვია აპიაზე უზარმაზარი ჭადრების მწვანე თაღის ქვეშ, მათი ტოტები ჩვენს თავზე მწვანე ფოთლების ჩარდახს ქმნიდნენ. ხანდახან ხშირ ფოთლებში გამოჩნდებოდა მზის სხივი და ეცემოდა მოასფალტებულ გზას; მაშინ გზა ახალგაზრდა ცხოველის ბეწვივით ბრწყინავდა. მე ფანჯრისაკენ მივბრუნდი, რომ არ დამენახა რას აკეთებდნენ როზეტა და როზარიო; მინდოდა ცოტათი მაინც გამექარვებინა დარდი და გარემოს თვალიერება დავიწყე. ჩვენ იმ ადგილებში მივდიოდით, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ გერმანელებს წაელეკათ, როცა კაშხალს აფეთქებდნენ. ნიავი ოდნავ არხევდა ცისფერ წყალს იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ დამუშავებული მიწები და გლეხების ფერმები იყო; წყლიდან აქა-იქ მოჩანდა ხის კენწეროები და სახლების ნანგრევები. მონტე სან ბიაჯოს

შემდეგ გზა ზღვისპირს გაჰყვა. ზღვა ისეთი მშვიდი იყო, მსუბუქი, გრილი ნიავი ნაპირის გასწვრივ ცისფერ ტალღებს მირეკავდა, რომლებზეც მზე თინათინობდა და მეჩვენებოდა თითქოს ზღვა მზეს უღიმოდა. აი ტერაჩინაც; იგი ფონდიზე მეტად არის დანგრეული; სახლის კედლები საცერივით დაცხრილულია, ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის კვალი ეტყობა, სახლებში ფანჯრები ბრმების თვალებივით ჩაშავებულან, ხანდახან კი ცისფერი ჩანან. ეს როცა სახლს მხოლოდ ერთი კედელი შერჩენია. გარშემო კი დამტვერილი ნანგრევები და ყვითელი წყლით სავსე ორმოებია. ტერაჩინა ცარიელი იყო, ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა, რადგან არსად, არც მთავარ მოედანზე, სადაც შადრევნის აუზი პირამდე ნამტვრევებით იყო სავსე, არც გრძელ, სწორ ქუჩებში, რომლებიც ნანგრევებს შორის ზღვისკენ მიემართებოდნენ, სულიერი არ შეგვხვედრია. ვფიქრობ, ტერაჩინაშიც იგივე მოხდა, რაც ფონდიში: პირველი დღეების ბაზრული მხიარულების შემდეგ, რასაც ჯარისკაცები, ლტოლვილები, გლეხები აჰყვნენ, რომლებიც იღებდნენ და არიგებდნენ სურსათსა და ტანსაცმელს, მთელი ამ სიხარულის, ხმაურისა და უდარდელი ცხოვრების შემდეგ ჯარი რომის მიმართულებით წინ წავიდა და სიცოცხლეც ჯართან ერთად წავიდა, გაშორდა აქაურობას, უკან კი უდაბნო, ნანგრევები და სამარისებური სიჩუმე დატოვა. გავიარეთ ტერაჩინა და მთელი სისწრაფით ჩისტერნისაკენ გავეშურეთ. გზის მარცხენა მხარეს მელიორაციული არხი იყო ამწვანებული წყლით, მარჯვნივ — უზარმაზარი ალაგ-ალაგ წალეკილი ველი; იგი ჰორიზონტზე მდებარე ცისფერ მთებამდე აღწევდა. გზის პირას აქა-იქ არხებიდან აყირავებული სამხედრო მანქანების ჩონჩხები მოჩანდა; ისინი დაჟანგებულიყვნენ, და ჯართად ქცეულიყვნენ, თითქოს ომი აქ ძალიან დიდი ხანის წინათ იყო; ზოგჯერ ყანის შუაგულში თვითმავალი ქვემეხის წვრილი გრძელი ლულა მოჩანდა, მიუახლოვდები და ხედავ, თავთავებში ტანკი გდია მძორივით: სასიკვდილოდ დაჭრეს და დააგდეს. როზარიოს მანქანა ძალიან სწრაფად მიჰყავდა, ერთი ხელით საჭეს მართავდა, მეორე კი როზეტას მუხლებზე ედო. მე ვერ ვუყურებდი მათ. რადგან როზეტას ყოველი მოძრაობა კიდევ უფრო განამტკიცებდა ჩემს გულში ძასში მომხდარ ცვლილებას. უცებ, არც კი ვიცი რატომ, გამახსენდა, რომ როზეტა ძალიან კარგად მღეროდა, მას სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ხშირად სახლის დალაგების დროს ღიღინებდა ხოლმე თავშესაქცევად,

მე კი მეორე ოთახში ვიჯექი, ვუსმენდი და მოსმენით ვერა ვძღებოდი, იმიტომ რომ ამ მშვიდ და მხიარულ ხმაში იყო მთელი მისი ჩასიათი, როგორიც მას იმ შორეულ დროში ჰქონდა; ის დიდხანს მღეროდა ხოლმე, არ იღლებოდა და არც არასოდეს ურევდა ერთმანეთში სხვადასხვა სიმღერების სიტყვებსა და მელოდიებს. გამახსენდა ეს გზაზე, ტერაჩინასა და ჩისტერნას შორის, და მომინდა ერთი წუთით მაინც წარმომედგინა, რომ როზეტა ისევ ისეთია. მე ვუთხარი:

— იმღერე რამე, როზეტა! შენ წინათ ისე კარგად მღეროდი, იმღერე რომელიმე კარგი სიმღერა... თორემ ამ მოსაწყენ გზაზე კაცს სიცხისაგან ჩაეძინება.

მან მკითხა:

— რა ვიმღერო?

მე დავუსახელე სიმღერა, რომელიც ამ ორი წლის წინათ დიდ მოდაში იყო და როზეტამ მთელი ხმით წამოიწყო ეს სიმღერა, თან გაუნძრევლად იჯდა და როზარიოს ხელს მუხლებიდან არ იშორებდა. მაგრამ მაშინვე შევატყვე, რომ ხმა სულ სხვანაირი გაუხდა, ისეთი სუფთა და სასიამოვნო აღარ ჰქონდა, ზოგიერთ ადგილას ტყუოდა კიდეც; მან, ეტყობა, თვითონაც შეამჩნია ეს, უცბად შეწყვიტა სიმღერა და მითხრა:

— ვშიშობ, ვერასდროს ვეღარ ვიმღერებ, დედა, რაღაც არ მემღერება.

მინდოდა მეთქვა მისთვის: „შენ იმიტომ ვეღარ მღერი, რომ მუხლებზე როზარიოს ხელი გიდევს, იმიტომაც, რომ შენ უკვე ის აღარა ხარ, რაც იყავი, გულში გრძნობა აღარა გაქვს, იყო კი დრო, როცა ჩიტივით მღეროდი“.

მაგრამ ძალა არ მეყო ამის სათქმელად. როზარიომ განაცხადა:

— თუკი ასე გინდათ, მაშ მე ვიმღერებ.

და თავისი ხრინწიანი ხმით რაღაც უწმაწური, თავხედური სიმღერა გააბა. გული უფრო დამიმძიმდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ როზეტა ვეღარ მღეროდა, ე. ი. ის ამ მხრივაც გამოიცვალა, მეორე კი როზარიოს სიმღერა მაბრაზებდა. ამასობაში მანქანა წინ მიჰქროდა და მალე ჩისტერნაში ჩავედით.

აქაც, როგორც ტერაჩინაში, მხოლოდ ნანგრევები და უდაბური ადგილები დაგვხვდა. ყველაზე მეტად, რატომღაც, მოედანზე მდგარი შადრევანი დამამახსოვრდა; გარშემო ყველა სახლი დანგრეული იყო,

შადრევნის აუზი კი—ნაგვით სავსე. აუზის შუაში ცალხელა, უთავო ქანდაკება იდგა (თავის მაგივრად რაღაც რკინის კაუჭი მოუჩანდა) და იმის გამო, რომ თავი და ხელი არა ჰქონდა, ცოცხალი მეჩვენებოდა. აქაც არავინ ჩანდა, ხალხი ან მთებში გახიზნულიყო, ან ნანგრევებში იმალებოდა. ჩისტერნის შემდეგ გზა კორპის ხეების მეჩხერ ტყეში შედიოდა. აქაც არც ხალხი, არც სახლები, გარშემო მხოლოდ მოღრეცილი, თითქოს შემოძარცული წითელი ხეები და მწვანე ხავსით დაფარული მიწა. ამინდი ფუჭდებოდა, ზღვიდან მარაოსავით წამოიშალა პატარა ნაცრისფერი ღრუბლები; ეს მარაო სულ უფრო იშლებოდა და მეჩვენებოდა, თითქოს მისი ტარი ზღვასთან რჩება, ხოლო ჩხირები, რომლებიც მუქი ნაცრისფერი ღრუბლებისაგან შედგება, სულ უფრო იშლებიან და მთელ ცას ფარავენ.

მზე ღრუბლებს მიეფარა და გარშემო ყველაფერი ჩამუქდა, მოიღუშა, მოღრეცილი წითელი კორპის ხეები კი თითქოს სწორედ ამიტომ იტაჯებოდნენ, რომ მოღრეცილები და წითლები იყვნენ. გარემოს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა და თუმცა მანქანა გამუდმებით რახრახებდა, მაინც იგრძნობოდა, რომ გარშემო სრული სიჩუმე სუფევს. არც ჩიტების სიმღერა ისმოდა, არც ჭრიჭინების ხმა. როზეტა თვლემდა, როზარიოს საჭე ეჭირა და თამბაქოს წევდა, მე კი კილომეტრების თეთრ ქვებს ვითვლიდი, ვაკვირდებოდი ტყის სიღრმეს, მაგრამ ვერავის და ვერაფერს ვხედავდი. ჰოდა, ვიყურები ასე გვერდით ფანჯარაში; უცებ გზამ მკვეთრად მოუხვია და მე კინაღამ მივეჯახე მანქანის წინა ფანჯარას, მერე ისევ უკან გადავქანდი და დავინახე, რომ გზაზე ტელეგრაფის ბოძი გდია, კორპის ტყიდან კი სამი კაცი გამოდის და ხელების ქნევით ჩვენკენ მოდის, რათა მანქანა გაგვაჩერებინოს. როზეტამ მაშინვე გაიღვიძა და იკითხა:

— რა მოხდა?

მაგრამ მას არავინ უპასუხა იმიტომ, რომ მე თვითონ არ მესმოდა არაფერი, როზარიო კი უკვე გადმოვიდა მანქანიდან და მტკიცე ნაბიჯით გაემართა უცნობებისაკენ. ეს სამი კაცი კარგად დამამახსოვრდა და ახლაც ათას კაცში გამოვარჩევდი: ისინი ჩამოგლეჯილები იყვნენ, თუმცა იმ დროს ყველა დაგლეჯილი დადიოდა; ერთ მათგანს, დაბალი ტანის მხარბეჭიან ქერა კაცს, ყავისფერი ხავერდის კოსტუმი ეცვა; მეორეს — მაღალს, შუახნის საშინლად გამხდარ კაცს, თვალები და ლოყები ჩაცვენოდა, შეევრცხლილი თმები აბურძგნოდა; მესამე —

სრულიად ჩვეულებრივი მესახედაობის ახალგაზრდა, შავგვრემახი, ფართო სახით და შავი თმებით, როზარიოს ჰგავდა. შეეამჩნიე, როცა როზარიო მანქანიდან გადავიდა, მან სწრაფად ამოიღო ჯიბიდან რაღაც შეკვრა და სკამის ქვეშ შედო. მივხვდი, რომ ეს ფული იყო, ხოლო ის სამნი გზაზე — ქურდები. ყოველივე დანარჩენი მეტისმეტად სწრაფად მოხდა. მე და როზეტა გაკვირვებისაგან გაქვავებულნი ვიყურებოდით მანქანის ჭუჭყიანი ფანჯრიდან, რომელსაც წვიმის, მტვრისა და გაჟღენტილი მწერების კვალი აჩნდა. ყველაფერი უფრო მეტად საშიში და მოღუშული გვეჩვენებოდა, რადგან ცა ღრუბლებით დაიფარა. და აი, ამ ჭუჭყიანი ფანჯრიდან დავინახეთ, რომ როზარიო ამ საძეულისაკენ გაემართა — ის გულადი ყმაწვილი იყო, ისინი კი ემუქრებიან და რაღაცას უყვირიან, როზარიო ჩვენკენ ზურგით იდგა, მაგრამ ქერა კაცის სახეს, რომელიც ელაპარაკებოდა, კარგად ვხედავდი; მას ძოღრეცილი წითელი ტუჩები ჰქონდა, ტუჩის კუთხეში კი მუწუკი. ქერამ რაღაც უთხრა, როზარიომ უპასუხა; ქერამ ისევ რაღაც უთხრა, როზარიომ ისევ უპასუხა; მაშინ ქერამ როზარიოს საყელოში ხელი წაავლო, როზარიომ გაიწ-გამოიწია, მოიშორა ქერა და მე დავინახე, როგორ წაიღო ხელი ჯიბისაკენ. ამ დროს რევოლვერმა იგრიალა ერთხელ, მეორედ, ვიფიქრე, როზარიო ისვრის-მეთქი, მაგრამ ის მოტრიალდა, თითქოს მანქანისკენ უნდოდა წამოსვლა, რამდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გადმოდგა, თავი თანდათან სულ უფრო ჩაქინდრა, მერე უცებ ჩაიჩოქა და ორივე ხელით მიწას დაეყრდნო. ცოტა ხანს ასე იყო, თითქოს ფიქრობსო, მერე კი წაიქცა. მაშინ იმ სამმა მას არავითარი ყურადღება აღარ მიაქცია და მანქანისაკენ წამოვიდნენ.

ქერა კაცი რევოლვერით ხელში ამოვარდა მანქანის კიბეზე, კაბინაში შემოიხედა და დაგვიყვირა:

— აბა, გადმოდით, გადმოდით ახლავე!

მას სუნთქვა უჭირდა და რევოლვერს იქნევდა, მაგრამ უფრო იმისათვის კი არა, რომ შეეშინებინეთ, ისე ფახიფუხისათვის. დანარჩენი ორი გზიდან ტელეგრაფის ბოძს მიათრევდა. მაშინვე მივხვდი, რომ სხვა გზა არ გვქონდა, უნდა გადმოვსულიყავით და ვუთხარი როზეტას:

— ჩავიდეთ.

მაგრამ დავაპირე თუ არა კარის გაღება, ქერამ, რომელიც ჯერ კიდევ კიბეზე იდგა, რაღაც დაინახა გზაზე, ის ორნიც ანიშნებდნენ.

მან უწმაწურად შეიგინა და ჩახტა კიბიდან, მიირბინა მათთან და დავინახე, რომ სამივენი ტყეში შეცვივდნენ, ხეებს უკან მიიმალნენ და ჩქარა თვალს მიეფარნენ. ჩვენ სულ მარტონი დავრჩით, როზარიოს გვამი შუა გზაზე ეგდო, ტელეგრაფის ბოძი კი გზის პირას.

როზეტას ვეკითხები:

— რა უნდა ვქნათ?

ამ დროს გზაზე პატარა სამხედრო ავტომობილი გამოჩნდა, რომელშიც ორი ინგლისელი ოფიცერი იჯდა, საჭესთან კი — ჯარისკაცი. ავტომობილმა შეანელა სვლა, რადგან როზარიო სწორედ შუა გზაზე იწვა, თუმცა მისი შემოვლაც შეეძლოთ; ოფიცრებმა შეხედეს გვამს, მერე მე და როზეტა შეგვათვალიერეს და დავინახე, რომ ერთმა რაღაც ანიშნა მძღოლს, თითქოს უნდოდა ეთქვა „რა გვესაქმება მათთან, წავიდეთ“.

ავტომობილმა შემოუარა როზარიოს, სიჩქარეს მოუმატა და სწრაფად მიიმალა გზის მოსახვევში. მე უცებ გამახსენდა ფული, რომელიც როზარიომ სკამის ქვეშ შეინახა, შევყავი ხელი, გამოვიღე შეკვრა და უბეში შევინახე. როზეტამ შეამჩნია ეს და მომეჩვენა, რომ საყვედურით შემომხედა. უცბად მუხრუჭების ღრჭიალი გავიგონეთ და ჩვენს გვერდით სატვირთო მანქანა გაჩერდა.

ამჯერად საჭესთან იტალიელი იჯდა, იცით, ისეთი შეუხედავი, ტანმორჩილი, დიდთავა და მელოტი, სახეგაფითრებული, გაოფლიანებული, მრგვალი გადმოკარკლული თვალებით და ჩამოგრძელებული ქილვაშებით, რომლებიც შუა ლოყებამდე სწვდებოდა. მას შეშინებული და უკმაყოფილო სახე ჰქონდა, მაგრამ არა ბოროტი, როგორც ადამიანს, რომელიც იძულებულია უნებლიეთ მამაცობა ჩაიდინოს და გულში თავბედს იწყევლის, რად მიხდება ვაჟკაცობის გამოჩენაო.

მან აჩქარებით გვკითხა:

— რა მოხდა? — თვითონ კი მანქანიდან არ გადმოსულა და საჭისათვის ხელი არ მოუშორებია.

მე ვუთხარი:

— ვილაცეებმა გაგვაჩერეს, ეს ბიჭი მოკლეს, მერე კი გაიქცნენ, ჩვენი გაძარცვა უნდოდათ. ახლა კი ჩვენ, საცოდავი ლტოლვილები...

მან შემაწყვეტინა:

— საით გაიქცნენ?

მე ტყისკენ მივუთითე, მან შეშინებული თვალები გააყოლა ჩემს თითს და წამოიძახა:

— თუ ღმერთი გწამთ, ჩქარა დასხედით ჩემს მანქანაში, რომში წასვლა თუ გინდათ, ოღონდ ჩქარა, ჩქარა, ღვთის გულისათვის.

მივხვდი, რომ ის საცაა წავა, ამიტომ სწრაფად ჩამოვედი მანქანიდან და როზეტაც გამოვქაჩე, მძღოლმა კი ტირილის ხმით დაგვიძახა:

— გასწიეთ ეგ გვამი, გასწიეთ, თორემ აბა როგორ გავივლი...

მე გავიხედე და უცბად მივხვდი, რომ სატვირთო მანქანა ბევრად დიდი იყო ინგლისელების პატარა ავტომობილზე, ამიტომ, ის მართლაც ვერ გაივლიდა არხსა და როზარიოს გვამს შორის.

— თუ ღმერთი გწამთ, დაუჩქარეთ! — გვეუბნებოდა იგი თავისი საცოდავი ხმით.

მაშინ მხნეობა მოვიკრიბე და როზეტას ვუთხარი:

— მომეხმარე!

ჩვენ მივუახლოვდით როზარიოს გვამს; იგი გვერდზე იწვა, ერთი ხელი თავსზემოთ აწეული დარჩენოდა, თითქოს უნდოდა რაღაცას მოსჭიდებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. მე დავიხარე და ერთ ფეხში წავავლე ხელი, როზეტამ კი მეორეში; ძლივძლივობით, რადგან ძალიან მძიმე იყო, გადავათრიეთ გზიდან, ისე რომ მის მხრებს, თავსა და გაშლილ ხელებს ასფალტზე მივაჩოჩებდით. როზეტამ პირველმა გაუშვა ხელი მის ფეხს, მერე კი მეც გავუშვი. ამის შემდეგ სწრაფად დავიხარე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად მკვდარი იყო: მისი ფული ხომ უბეში მედო, არ მინდოდა დაკარგვა ამ ფულისა, რომელიც ახლა ასე გვჭირდებოდა, ამიტომაც გადავწყვიტე დავრწმუნებულიყავი, რომ მართლა მოკვდა. ის მკვდარი იყო. ამას მივხვდი, როცა თვალებში ჩავხედე, გახელილი რომ დარჩენოდა და უბრწყინავდა, მზერა კი სამუდამოდ გაშტერებოდა. ვაღიარებ, ჭეშმარიტად სულმდაბლად და ანგარებით მოვიქეცი, ისე, როგორც კონჩეტა მოიქცეოდა, ის ხომ ამბობდა: ომი — ომიაო. მე მოვპარე ფული მკვდარს; ამ ფულის გამო მეშინოდა კიდეც, ცოცხალი ხომ არ იყო; მაგრამ, როგორც კი დავრწმუნდი, რომ მკვდარია, მოვინდომე ჩემი დანაშაულებრივი შიში რელიგიური ჟესტით დამეფარა, რომელიც არაფრად მიღირდა. მანქანაზე მჯდომი კაცი მიყვიროდა:

— დამშვიდდი, ის მოკვდა, მას უკვე ვერაფერს უშველი.

მაგრამ მე მაინც სწრაფად დავიხარე და საჩვენებელი და შუა თითით პირჯვარი გადავსახე როზარიოს სწორედ იმ ადგილას, სადაც ქურთუკზე სისხლის დიდი მუქი ლაქა აჩნდა. როცა თითებით ქურთუკს შევეხე, ვიგრძენი რომ იგი სველია; უკვე მაშინ, როცა როზეტასთან ერთად მანქანასთან მივირბინე, მალულად დავხედე თითის წვერებს და დავინახე ადამიანის სხეულიდან ამ წუთას დანთხეული წითელი, ჯერ მთლად ახალი სისხლი. ამ სისხლის დანახვაზე სინანულმა შემიპყრო და თითქმის ზიზღი ვიგრძენი საკუთარი თავისადმი, ასე საძაგლად რომ გადავწერე პირჯვარი ადამიანს, რომელსაც ეს წუთია ფული მოვპარე; იმედი მქონდა, როზეტამ ვერ შეამჩნია ეს, მაგრამ როცა კაბაზე ხელებს ვიწმენდდი, დავინახე — როზეტა მიყურებდა და მივხვდი, რომ თვალყურს მადევნებდა. ჩავსხედით კაბინაში მძღოლის გვერდით და მანქანა დაიძრა.

კაცი დაიხარა საჭისაკენ, ორივე ხელით ჩააფრინდა მას, თვალებდაჭყეტილი, ქაღალდივით გაფითრებული, ეტყობა ძალიან შეშინდა. მე კი სულ მტანჯავდა უბეში შენახული ფული. უძრავად, გულგრილად მჯდომი როზეტა პირდაპირ იყურებოდა, მისი სახე არავითარ გრძნობას არ გამოხატავდა. აზრმა გამიელვა, რომ ჩვენ სამივენი, მართალია სხვადასხვა მიზეზის გამო, მაინც ცუდად მოვექეცით როზარიოს: იგი ძაღლივით მოკლეს, ჩვენ კი შუა გზაზე დავაგდეთ; იტალიელი მძღოლი არც კი გადმოსულა მანქანიდან, რათა გაეგო მკვდარი იყო ის თუ არა. მე მხოლოდ ფულის გულისათვის გადავწყვიტე დავრწმუნებულიყავი მის სიკვდილში. როზეტამ ფეხში წაავლო ხელი და თხრილში გადაათრია მყრალი ლეშივით. გათავდა და მორჩა, არც ერთ ჩვენგანში არ იყო არც შეცოდება, არც ადამიანური სიმპათია, კაცი მოკვდა, ეს კი ყველას თავთავიანთი მიზეზის გამო, ფეხებზე ეკიდა. ერთი სიტყვით, როგორც კონჩეტა ამბობდა, ეს ომი იყო და მე ვშიშობდი, რომ იგი ჩვენს გულებში გაგრძელდებოდა მას შემდეგაც, როცა გათავდებოდა. მაგრამ ყველაზე ცუდად ჩვენ შორის მაინც როზეტა მოიქცა: ნახევარი საათის წინ ის როზარიოსთან ასე ახლოს იყო, ვნებას აღუძრავდა და უკმაყოფილებდა, ანიჭებდა და იღებდა სიამოვნებას. ახლა კი უძრავად ზის, გულგრილი და ცივი, ერთი ცრემლიც კი არ გადმოუგდია. დიახ, ყველაფერი მიდის ისე, როგორც არ უნდა მიდიოდეს, ყველაფერი გადაბრუნდა და აირია ცხოვრებაში: მნიშვნელოვანი ამბები აღარ არის მნიშვნელოვანი, ხოლო უმნიშვნე-

ლომ დიდი მნიშვნელობა მიიღო და უცებ, ისეთი რამ მოხდა, რასაც სრულიად არ მოველოდი. როზეტამ, რომლის სახე, როგორც უკვე ვთქვი, არავითარ გრძნობას არ გამოხატავდა, უეცრად სიმღერა წამოიწყო. ჯერ ისე ნელა, თითქოს აღრჩობენო, მერე კი სულ უფრო ხმამაღლა და გულდაჯერებით. იგი იმ სიმღერას იმეორებდა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ვთხოვე ემღერა, მან კი ვერ იმღერა და პირველსავე კუპლეტზე შეწყვიტა. ეს პოპულარული სიმღერა იყო, რომელსაც ორიოდე წლის წინ მღეროდნენ და რომლის ღიღინიც როზეტას უყვარდა, როდესაც სახლს ალაგებდა ხოლმე. არაფერი იყო ამ სიმღერაში განსაკუთრებული, გარდა ჩვეულებრივი მოტკბო სისულელეებისა და უცნაურადაც მეჩვენა, რომ როზეტა ამ სიმღერას მღეროდა ახლა, როზარიოს სიკვდილის შემდეგ; ამაში მისი უგულობის კიდევ ერთი საბუთი დავინახე, მაგრამ მერე გამახსენდა, როცა ვთხოვე, მან ვერ იმღერა და მითხრა სიმღერა აღარ შემიძლიაო. მაშინ ვიფიქრე, იმიტომ ვერ მღერის, რომ გამოიცვალა და ძველებური როზეტა აღარ არის-მეთქი. უცებ მივხვდი რატომ მღეროდა იგი ამ სიმღერას. მას უნდოდა ეჩვენებინა ჩემთვის, რომ ეს ასე არ იყო. იგი სრულებით არ გამოცვლილა და ძველი, ისეთივე კეთილი, მშვიდი და ანგელოზივით უბიწო როზეტა დარჩა. გავიფიქრე ეს და შევხედე — თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, და ეს ცრემლები ფართოდ გახელილი თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე, მე კი ვუყურებდი და გული სიხარულით მევსებოდა, მაშ არ გამოცვლილა-მეთქი, ჩემი როზეტა, რისიც ასე მეშინოდა. მივხვდი, რომ როზეტა დასტიროდა ძაღლურად მოკლულ როზარიოს, თავის თავს, მე და ომით დამახინჯებულ ყველა ადამიანს. მაშ ისევ ისეთი არა მარტო როზეტა დარჩა, მეც ისეთივე დავრჩი, თუმცა ფული მოვპარე როზარიოს, და ყველა ადამიანი, ვინც ომმა დროებით თავის ყაიდაზე შეცვალა, შეიძლება ისევე გარდაქმნა, როგორც ომამდე იყო. მე როგორღაც უცებ მომეშვა გულზე; გავიფიქრე: როგორც კი რომში ჩავალთ, ამ ფულს როზარიოს დედას გავუგზავნი-მეთქი. როზეტას არაფერი ვუთხარი, მხოლოდ მკლავში გავუყარე ხელი და მოვუჭირე.

მანქანა ვალტერის მიმართულებით მიჰქროდა, როზეტა კი სულ მღეროდა იმ სიმღერას, ათავებდა და კვლავ თავიდან იწყებდა. მხოლოდ მაშინ შეწყვიტა სიმღერა, როცა ცრემლები შეაშრა. მანქანის

პატრონმა, იგი ალბათ, ცუდი კაცი არ იყო, ოღონდ ძალიან შეეშინდა, — ეტყობა, რაღაცას მიხვდა, იმიტომ, რომ უცებ გვკითხა:

— ის ყმაწვილი, რომელიც მოკლეს, თქვენი ნათესავი იყო?

მე სწრაფად ვუპასუხე:

— ჩვენ მას ხრულებით არ ვიცნობდით, ის სპეკულანტი იყო და რომში წაყვანა შემოგვთავაზა.

მას თითქოს უფრო მეტად შეეშინდა და თქვა:

— არაფერი მინდა ვიცოდე... არაფერი ვიცი და არაფერი მინახავს. მე გადმოგსვამთ რომში და გათავდა. არასოდეს არ მინახავხართ და არც გიცნობთ.

მე ვუთხარი:

— შენ თვითონ არა მკითხე?

— მართალია, მაგრამ იყოს ისე, ვითომ არაფერი მიკითხავს, შენ კი არაფერი გითქვამს.

ბოლოს მწვანე ველის შემდეგ გამოჩნდა გაურკვეველი ფერის რაღაც მოთეთრო-მოყვითალო ზოლი — ეს რომის გარეუბნები იყო. ამ ზოლს იქით, მის თავზე, რუხი-რუხი ცის ფონზე, ძალიან შორს, მაგრამ მკაფიოდ მოჩანდა წმინდა პეტრეს გუმბათი. რამდენს ვფიქრობდი უკანასკნელ წელს იმ წუთზე, როცა ბოლოს და ბოლოს, შორს ჰორიზონტზე დავინახავდი ამ ჩემთვის სანატრელ გუმბათს, ისეთ პატარას და ამავე დროს ისეთ დიდს, რომ გორა ან მთა გეგონებოდათ, ისეთ მასიურს, თუმცა ჩრდილს მიაგავდა, ისეთ მშობლიურსა და ნაცნობს. ჩემთვის ეს გუმბათი მარტო რომის სიმბოლო კი არ იყო, არამედ რომში ჩემი ცხოვრების, უშფოთველი დღეების, მშვიდობიანი დროის, საკუთარ თავთან და სხვებთან შერიგების სიმბოლო. იქ, შორს ჰორიზონტზე, ეს გუმბათი მეუბნებოდა, შეგიძლია შინ დაბრუნდე იმედით, რომ ყველა განცდისა და ჭირ-ვარამის შემდეგ ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგება. ეს რწმენა მას შემდეგ გამიჩნდა, რაც როზეტამ სიმღერა წამოიწყო და თვალზე ცრემლი შევნიშნე. ეს რომ არ მომხდარიყო, რომში ის ორი ქალი კი არ დაბრუნდებოდა, რომლებმაც ერთი წლის წინათ, წმიდამ და უცოდველმა, დატოვეს ქალაქი, არამედ ქურდი და როსკიპი, როგორნიც ეს ქალები ომის დროს და ომის გამო გახდნენ.

ტანჯვა-წამება. მომაგონდა მიქელე, რომელიც ამ სანატრელ ჟამს ჩვენთან არ იყო და უკვე აღარასოდეს არ იქნებოდა. მომაგონდა

ის საღამო, როცა სანტ ეუფემიაში, ქოხში მიქელე ხმამაღლა გვიკითხავდა ლაზარეს იგავს, მერე კი გული მოუვიდა გლეხებზე, რომლებმაც ვერაფერი ვერ გაიგეს და ყვირილი დაიწყო, აღდგომის მოლოდინში ყველანი ლაზარესავით დაიხოცეთო. მაშინ ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა მიქელეს, მაგრამ ახლა გავიგე, რომ მართალი იყო: რამდენიმე ხნით მეც და როზეტაც მოვკვდით სიბრალულისათვის, რასაც ადამიანები უნდა გრძნობდნენ სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. მაგრამ უკანასკნელ წუთს ტანჯვამ გვიხსნა, მაშასადამე, ლაზარეს იგავი ჩვენც გვეხებოდა იმიტომ, რომ ტანჯვის წყალობით დავაღწიეთ თავი ომს, რომელმაც გულგრილნი და ბოროტნი გაგვხადა, რათა კვლავ დავბრუნებოდით ჩვენს ცხოვრებას; მასში ჯერ კიდეე ბევრი სიბნელე და შეცდომა იყო, მაგრამ ეს იყო ერთადერთი ცხოვრება, რითაც შეგვეძლო გვეცხოვრა, როგორც იტყოდა, ალბათ, მიქელე ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყო.

Альберто Моравиа
Чочара
(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1968

რედაქტორი ც. ბუაჩიძე
მხატვარი თ. მაცაბერიძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორები: ნ. აფხაზავა, პ. ღელეყვა

*

გადაეცა წარმოებას 5/III-68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-68 წ.
ქაღალდის ზომა 60 × 84 1/16.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21.
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 17,89.
ტირაჟი 30 000. შეკვ. № 494
ფასი 99 კაპ.

*

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილი, 5.

*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати. Тбилиси, Марджанишвили, 5.